ანზორ ერქომაიშვილი

ანსამბლი „რუსთავი“

ორმოცი წლისაა



გამომცემლობა „საქართველოს მატნე“
თბილისი 2009

წიგნი დაიბეჭდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით.

რედაქტორი: ადა ჭყოიძე

წიგნზე მუშაობდნენ:
ნათელა თუხარელი
ანა ხუროშვილი
მერაბ ცაგარეიშვილი

დიზაინერი: დალი ჯვარშეიშვილი

©ანზორ ერქომაიშვილი. 2009 წ.

ISBN 978-9941-16-033-2

წინათქმის მაგიერ

1968 წელს ქ. რუსთავის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ქალაქის კულტურის განყოფილების გამგის, რევაზ მორჩილაძის, ინიციატივით შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ამისთვის მომღერალთა გუნდი გაერთიანდა მოცეკვავეთა კოლექტივთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა უნიჭიერესი ქორეოგრაფი, დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი ხელოვანი რეზო ჯოხონელიძე.

ანსამბლს „რუსთავი“ ეწოდა.

ახალშექმნილმა ანსამბლმა საქართველოში მალე გაითქვა სახელი და უცხოეთშიც მოხიბლა მაუურებელი. ცნობილია, რომ ხელოვნებაში პირველად მოჰოვებული წარმატება დიდად განსაზღვრავს სამომავლო გზის სისწორეს. დიდი მადლობა ეკუთვნის ანსამბლ „რუსთავის“ პირველ შემადგენლობას – ახალგაზრდა ნიჭიერ მომღერლებსა და მოცეკვავეებს, ქორეოგრაფს, ცეკვების შესანიშნავ დამდგმელს, ბ-ნ რეზო ჯოხონელიძეს.

1972 წელს, რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, „რუსთავს“ მიენიჭა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი, რამაც დიდად შეუწყო ხელი მის შემდგომ შემოქმედებით წინსვლას.

1982 წლიდან „რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფი ხდება ლეგენდად ქცეული მოცეკვავე, საქართველოს სახალხო არტისტი ფრიდონ სულაბერიძე. მისმა უბადლო ოსტატობამ, ეოველდღიურმა დაუღალავმა შრომამ, საქმისადმი მოქალაქეობრივმა დამოკიდებულებამ განაპირობა ანსამბლის სტაბილური წარმატებები. ცხადია, ძალ-ღონე არც მომღერლებს დაუზოგავთ, ისინი სულ უფრო და უფრო ხვეწდნენ თავიანთ საშემსრულებლო დონეს.

დაარსებიდან დღემდე საქართველოში არ ჩატარებულა არც ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება, რომელშიც „რუსთავს“ მონაწილეობა არ მიეღო.

40 წლის განმავლობაში ანსამბლმა წარმატებით მოიარა მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყანა, გამართა 4000-ზე მეტი კონცერტი. პარიზის „ოლიმპია“, „ფლეიერი“ და „მოგადორი“, ლონდონის „ალბერტ ჰოლი“ და „ეილიზაბეთ ქვინი“, ვენის ფილარმონიისა და მოცარტის სახელობის, ნიუ-იორკის „ბეკონი“, მოსკოვის „დიდი თეატრი“ და ჩაიკოვსკის სახელობის, ბერლინის დიდი საკონცერტო, რომის, მადრიდის, ტოკიოს, ლისაბონის, ვარშავის, ისტამბულის, კიევის, მინსკის, რიგის, ვილნიუსის, ტალინის დარბაზები – აი, არასრული ჩამონათვალი იმ სახელგანთქმული საკონცერტო ცენტრებისა,

სადაც „რუსთავი“ გაჩოსულა და წარმატება მოუპოვებია.

1980 წელს მომღერალთა ანსამბლმა „რუსთავმა“ და მისმა სოლისტმა, ჰამლეტ გონაშვილმა, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ჰრემია მიიღეს.

1984 წელს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთაველ“ დამსახურებული წოდება მიენიჭა.

1986 წელს „რუსთავი“ დაჯილდოვდა ალბერტ შვაიცერის სახელობის საერთაშორისო ჰრემიით.

1998 წელს „რუსთავს“ აკადემიური ანსამბლის წოდება მიენიჭა, 1999 წელს კი მისმა მომღერლებმა სიმღერების ახალი კრებულისთვის და ფრიდონ სულაბერიძემ ცეკვების ახალი ჰროგრამისთვის საქართველოს სახელმწიფო ჰრემია დაიმსახურეს.

„რუსთავმა“ 40 წლის განმავლობაში აღადგინა ბევრი მივიწუებული სიმღერა. კომუნისტური მმართველობის წლებში, როცა ათეისტური ჰროპაგანდა მძლავრობდა, ანსამბლმა, ერთ-ერთმა ჰირველმა, ფართო საზოგადოებრიობას გააცნო უნიკალური ქართული საეკლესიო საგალობლები.

„რუსთავის“ მომღერლებს დღემდე ფირფიტებსა და კომჰაქტდისკებზე 640 ქართული ხალხური სიმღერა აქვთ ჩაწერილი. ანსამბლი მონაწილეობს ფესტივალებში, რადიო და ტელეგადაცემებში, ახმოვანებს ტელე და კინოფილმებს.

დაარსების დღიდან „რუსთავს“ გვერდში მრავალი ადამიანი ედგა. განსაკუთრებული მადლიერებით ვიხსენებთ გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს, საქართველოს კულტურის ყოფილ მინისტრს ბ-ნ ოთარ თაქთაქიშვილს, რომლის თანადგომამაც დიდად განსაზღვრა ჩვენი ანსამბლის წარმატება.

მნელია დაივიწყო ღვაწლი უდროოდ გარდაცვლილი შესანიშნავი ქართველი კინორეჟისორის სოსო ჩხაიძისა, რომელმაც გადაიღო ტელეფილმი „მღერის ანსამბლი „რუსთავი“.

გამოჩენილი დირიჟორის, ბ-ნ ჯანსუღ კახიძის, ინიციატივითა და თანადგომით „რუსთავმა“ ფირმა „სონისთვის“ ჩაწერა 300-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა. ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

დიდებულმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა „რუსთავი“ არაერთხელ მიიწვია უცხოეთის ჰრესტიჟულ დარბაზებში თავისი სახელობის ფესტივალებსა და საავტორო კონცერტებზე. დიდი მადლობის მეტი რა გვეთქმის.

მადლობა ცნობილ მუსიკისმცოდნეს, ქ-ნ მანანა ასმეტელს, რომელმაც მრავალი წერილი უძღვნა ჩვენს ანსამბლს.

„რუსთავთან“ დიდი მეგობრობა აკავშირებს ახალგაზრდა ნიჭიერ დირიჟორსა და კომპოზიტორს ვახტანგ კახიძეს, რომლის თანადგომამაც ჩვენი ანსამბლის მრავალი წარმატება განაპირობა. გულითადი მადლობა დიდი მამის საქმის ღირსეულ გამგრძელებელს!

საქართველოს და მის კულტურას უცხოეთში შედარებით ნაკლებად იცნობდნენ. ამიტომ ქართული კულტურის ჰოპულარიზაციას საზღვარგარეთ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. დიდი მადლობის ღირსნი არიან კულტურის ყოფილი მინისტრი ბ-ნი ვალერი ასათიანი და მისი თანამშრომლები,

რომლებმაც იმჟამინდელ ,,გოსკონცერტის" ხელმძღვანელობასთან გამუდმებულ ჭიდილში მაინც ახერხებდნენ უცხოეთში გაეტანათ ქართული ხელოვნება.

ქართული კულტურის ჰოჰულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის საქართველოს საზოგადოებას, რომელსაც შესანიშნავი ჰიროვნება, ბ-ნი გივი მელაძე ხელმძღვანელობდა. მისგან სითბო და უურადღებაარასდროს დაგვკლებია. ასევე გვექცეოდნენ ამ ორგანიზაციის ის თანამშრომლებიც, რომლებიც საზღვარგარეთ გასტროლებზე გვახლდნენ. ძნელია დაიწეო ქალბატონების მადონა მგელაძის (თავმჯდომარის მოადგილე), ნანა სირაძის, ინა დოლიძის, სვეტა ჩადუნელის, ბატონების გურამ გალოგრეს (თავმჯდომარის მოადგილე), ვანო ცაგარეიშვილის, ოთარ შენგელიას და სხვათა მიერ გამოჩენილი გულისხმიერება. დიდი მადლობა თითოეულ მათგანს!

,,გოსკონცერტთან" დაკავშირებული ჰრობლემები უკვე ვახსენეთ, მაგრამ იქაც მსახურობდნენ ჰიროვნებები, რომლებიც დიდ ჰატივს სცემდნენ ქართულ კულტურას. ძნელია დაიწეო ქ-ნ ვერა კრამსკაიას ამბავი. იგი ,,რუსთავთან" დღემდე მეგობრობს. მადლობა მას!

დიდად სასიხარულოა, რომ ,,რუსთავის" ეოველ წევრს ანსამბლის დაარსების ჰირველი დღიდანვე ნათლად ჰქონდა შეგნებული ჰასუხისმგებლობა იმ წინამორბედების წინაშე, რომლებმაც ქართული სიმღერისა და ცეკვის მადლი ფერუცვლელად მოიტანეს ჩვენს დრომდე. ,,რუსთაველები" ეოველთვის დიდ ჰატივს მიაგებდნენ დიდ წინაჰრებს. ეს ტრადიცია, საბედნიეროდ, დღემდე გრძელდება.

დიდი მადლობა ,,რუსთავის" თითოეულ წევრს, რომელმაც 40 წლის განმავლობაში თავი არ დაზოგა ანსამბლის დიდებისათვის. მათ ხშირად უმძიმეს ჰირობებში უხდებოდათ შრომა. მიუხედავად ამისა, შეინარჩუნეს სიმტკიცე, ნამდვილი ჰროფესიონალისთვის დამახასიათებელი შინაგანი სიმრთელე და ქართული მუსიკალური ფოლკლორის სიდიადეს ახიარეს მთელი მსოფლიო.

თუ დღეს ,,რუსთავი" სახელოვანი ანსამბლია, ეს, ჰირველ ეოვლისა, მისი უველა თაობის წევრთა დიდი დამსახურებაა.

ანზორ ერქომაიშვილი
ოქტომბერი 2009 წ

სიყვარული — გზად და ხიდად

(გერმანია)

გერმანიასა და საქართველოს ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. გერმანულ წყაროებში საქართველოს შესახებ ინფორმაცია XIII საუკუნიდან ჩნდება. გერმანელი პილიგრიმი თიტმარი 1217 წელს მოგვითხრობს ქართული სახელმწიფოს, ქართველების ძალისა და მისი გაელენის შესახებ მაშინდელი აღმოსავლეთის ქვეყნებზე. თიტბარი აღნიშნავს აგრეთვე წმინდა გიორგის კულტს საქართველოში.

ებსტორფის მსოფლიო რუკაზე (1235წ.) აღნიშნულია კოლხეთის სამეფო, კოლხების, ოქროს საწმისის, მეფე აიეტის, ქ. დიოსკურიის, მდინარე ფაზისის გამოსახულებით. ებსტორფის რუკაზე საქართველოს უჭირავს ერთგვარად შუალედური ადგილი ევროპასა და აზიას შორის.

დასავლეთევროპულ წყაროში, XIII საუკუნის პირველ ნახევარში „ქვემორაინულ აღმოსავლეთის აღწერაში“ და იოჰანეს ფონ ჰილდეს პაიმთან, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქართველებს აქვთ წმინდა გიორგის დროშები. აღნიშნული ევროპული წყაროები ქართველებს ლამის წმინდა გიორგის ერად სახავენ.

XIII საუკუნის მწერალმა პ. ფონ ფრიცლარმა ეპოსში „სიმღერა ტროაზე“ არგონავტების მითი დაამუშავა, ხოლო მოგვიანებით XVIII საუკუნეში. მედეას სახე გამოჩნდა ფ.მ. კლინგერის ნაწარმოებში „მედეა კორინთში“.

მარტინ ვალდზემიულერის მსოფლიო რუკაზე 1516 წელს აღნიშნულია კოლხეთისა და ქართლ-კახეთის სამეფო, ქ.თბილისი, აქეა გამოხატული საქართველოს მეფე გეირგეინით.

XVII საუკუნეში საქართველოს თემამ თავი იჩინა მწერლისა და მეცნიერის ე.ვ. პაპელის რომანებში, ამავე პერიოდში ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს ა.გრიფიუსის ტრაგედია „ქართველი ქალი ეკატერინე“, რომელიც მიძღვნილია საქართველოს დედოფლის ქეთევანის ცხოვრებისადმი.

ქართული კულტურის შესწავლასა და პროპაგანდას დიდი ამაგი დასდო არტურ ლაისტმა, რომელმაც თარგმნა და 1890 წელს დრეზდენში გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსანი“. მასვე ეკუთვნის მრავალი მოთხრობა ქართულ თემებზე. საინტერესოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე მეტი თარგმანი არსებობს გერმანულ ენაზე.

1887 წელს ლაიფციგში გამოვიდა ქართული პოეზიის ანთოლოგია, ქართული ლიტერატურის მრავალი ნიმუში თარგმნეს ა. ლაისტმა, ვ. გოლთერმა, ა. დირმა, ე. ბერმა და სხვ. საინტერესო შრომები შექმნეს ბონის უნივერსიტეტის პროფესორმა გ. დეეტერსმა, ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა კ.შმიდტმა და სხვებმა.

1901 წელს ბერლინში დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის მიერ გერმანულად თარგმნილი „მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“.

1931 წელს ბერლინში გამოიცა სულხან საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“.

საქართველოში ხდება მოქმედება ბერტოლდ ბრეხტის პიესაში „კავკასიური ცარცის წრე“.

1930-იანი წლებიდან გერმანიაში მოღვაწეობდა ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომელმაც იქ არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შექმნა. მეორე მსოფლიო ომის დროს, ცხადია, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები შეწყდა. ამ ომში საქართველოდან საბჭოთა არმიაში 800000-ზე მეტი კაცი გაიწვიეს, სამწუხაროდ 350000 აღარ დაბრუნდა.

საქართველოსა და გერმანიას შორის კულტურული ურთიერთობა 1950-იანი წლებიდან აღსდგა. ამ პერიოდში გერმანულად ითარგმნა და დაიბეჭდა ქართველ მწერალთა და პოეტთა მრავალი ნაწარმოები.

აღსანიშნავია, რომ გალაკტიონ ტაბიძეს თავის ლექსებში მოხსენებული ჰყავს პენრიხ ჰაინე, გოეთე და ფაუსტი, შილერი, ვაგნერი, მოცარტი, ბეთჰოვენის IX სიმფონია და სხვ.

1963 წელს ვისბადენში გამოქვეყნდა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოსადმი მიძღვნილი ნაწარმოებები აქვთ კუბას, ჰ. ბუდენზიგს, ე. შტრიტმატერს, ზ. კირშს და სხვა მრავალს. 1971 წელს ბერლინში გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგია „რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია“.

საქართველო-გერმანიის კულტურული ურთიერთობის შესახებ გამოკვლევები აქვთ ნოდარ კაკაბაძეს, ვიქტორ კახნიაშვილს, დავით ლაშქარაძეს, შოთა რევიშვილსა და სხვებს.

ქართულ ენაზე თარგმნილია გერმანელი კლასიკოსების მრავალი ნაწარმოები, სასწავლო და საკონცერტო პროგრამებში შეტანილია ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, ვაგნერის, ბრამსის, ჰაიდნის, ჰენდელის, ბრუკნერის, შუბერტის, შუმანისა და სხვათა ნაწარმოებები.

გერმანული კლასიკური მუსიკის ცალკეული შედევრები საქართველოში არაერთხელ შესრულებულა.

საქართველოში სხვადასხვა დროს დაიდგა შილერის „ვილჰელმ ტელი“ და „ყაჩაღები“, „ფიესკოს შეთქმულება“, „ვერაგობა და სიყვარული“, „მარიამ სტიუარტი“, ტოლერის „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ და სხვა.

მირიან ბატონიშვილმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში თარგმნა გერმანელი მწერლის იოაჰიმ ბრაუეს პიესა „ათეისტის ტრაგედია“.

ქართველი მეფის ერეკლე მეორის კარის ექიმი, საქსონელი იაკომ რეინეგზი ერთი იმათგანი იყო, ვინც მეფესაც მკურნალობდა და მეფის კარის თეატრის დასშიც თამაშობდა.

1967 წელს საქართველოში ჩატარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. გერმანიიდან ჩამოვიდა 350 კაცი, რომელსაც ღირსეულად შეხვდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის საზოგადოება. ქართველები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ გერმანული კულტურის მიმართ. ამჯერადაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ სიმფონიურ ორკესტრსა და სხვა მუსიკალურ კოლექტივებს, გამოფენებსა და ლექციებს ყველგან დიდი წარმატება ჰქონდა. მაყურებელი ერთხმად აღნიშნავდა გერმანული კულტურის წარმომადგენელთა მაღალ საშემსრულებლო დონეს.



ბერლინი. 1969 წ.

1969 წლის 1 ნოემბერს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიხსნა ქართული კულტურის დღეები. იგი ჩატარდა ბერლინში, დრეზდენში, კარლ მარქს-შტადტში, გერასა და ზულის ოლქებში. გდრ-ში ქართული კულტურის დღეები თავისი მასშტაბით დიდად აღემატებოდა მანამდე ჩატარებულ ყველა დეკადას.

დეკადაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, სახელმწიფო საესტრადო ანსამბლმა „რერომ“, ეოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ორერამ“, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა, ეოკალურმა ანსამბლმა „გორდელამ“, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „რუსთაველმა“, ანსამბლებმა „ფიროსმანმა“ და „სულიკომ“, ქალთა ეოკალურმა ტრიომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა ანსამბლებმა, გამოჩენილმა სოლისტებმა, დირიჟორებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა.

ჩატარდა მხატვართა გამოფენები, აჩვენეს ქართული კინოფილმები.

დეკადაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე კალათბურთის გუნდმა — თბილისის „დინამომ“; მოეწყო ქართული ღვინისა და სამზარეულოს გამოფენები.

გამოიცა ქართული პროზისა და პოეზიის ანთოლოგიები. გამოიცა წიგნი „გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობის შესახებ“ დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“

კულტურის დღეებში ათასობით მაყურებელმა ნახა გამოფენა „ქართული ლიტერატურა მეხუთე საუკუნიდან დღემდე“

ქართული კულტურის დეკადის მზადების პერიოდში მოგვარდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საქმეც. გდრ-ში ბოლო ოცი წლის მანძილზე საქართველოს აღსანიშნავად უმართებულოდ იხმარებოდა სიტყვა „Grusien“ (წარმოებულია რუსულიდან). ადრე ასეული წლების განმავლობაში გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან საქართველოს მოიხსენიებდნენ როგორც „Georgien“ (სახელწოდებას აწარმოებდნენ ფუძე „Georg“-იდან).

ყოველივე ამის გამო საქართველოს კულტურის სამინისტრომ თხოვნით მიმართა გდრ-ის სათანადო ორგანოებს შეეცვალათ „Grusien“ უფრო სწორი სიტყვით „Georgien“ ამან გარკვეული წრეების წინააღმდეგობა გამოიწვია, მაგრამ საბოლოოდ მაინც მართებულმა ფორმამ გაიმარჯვა და ქართული კულტურის დღეებში გდრ-ის

ყველა ჟურნალ-გაზეთი საქართველოს უკვე „Georgien"-ით იხსენიებდა.

ქართული დეკადის დროს უდიდესი წარმატება ჰქონდა სიმღერას „სულიკო". იგი იმდენად პოპულარული გახდა, რომ დეკადის ბოლოს მომღერლებთან ერთად მაყურებლებიც მღეროდნენ.

ქართული კულტურის ღღეები გდრ-ში დიდი მოვლენა იყო. მან ღრმა კვალი დატოვა ორივე ხალხის კულტურულ ცხოვრებაში და პირნათლად შეასრულა თავისი უპირველესი პოლიტიკური მისია — იყოს ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების მკვლევარი და მეხსიერიც.

ახლა გავეცნოთ ანსამბლ „რუსთაველის" მონაწილეობას ქართული კულტურის დეკადაში. 1969 წლის 1 ნოემბერს სპეციალური მატარებელი „თბილისი-ბერლინი" რომელშიაც დეკადის 430 მონაწილე იმყოფებოდა, ბერლინის ვაგზალში შევიდა.


ანსამბლები ბერლინში რამდენიმე ჯგუფად გაგვყვეს და სხვადასხვა ქალაქებში გაგვგზავნეს. „რუსთაველი" კარლმარქსშტადტში მოხვდა. კონცერტები დიდი წარმატებით მიდიოდა.

მაყურებელმა შესანიშნავად მიიღო ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა. კონცერტის ბოლოს ფეხზე ამდგარი აუდიტორია ოვაციებს უმართავდა ქართველ მსახიობებს. ჩვენა უმაღლეს შეფასებას ამსახველა ქართულ ხელოვნებას.

ერთ დღეს ასეთი კურიოზი მომხდარა. წყნი კონცერტი თავდებოდა, მე ფოიეში გამოვედი, სიგარეტს მოვუკიდე და ფიქრებში გავერთე. რატომღაც ჰიტლერის მთაურობა გამახსენდა, რომელმაც ამ დიდი კულტურის ქვეყანაში ფაშიზმი დაამკვიდრა და მეორე



ბერლინში საქართველოს კულტურის დღეების მონაწილეები ქალაქ ბერლინის ბარელებანში, კიენიცზე 1969 წ



ცეკვა „შარიკაობა“
მარცხნიდან: მიხეილ შარაშიძე, ლალი შიუკაშვილი და ბრიგოლ ცანავა

მსოფლიო ომი გააჩაღა. მათ შესახებ ბევრი მქონდა წაკითხული და გაგონილი. უცებ გერმანულმა ლაპარაკმა გამომაფხიზლა, მოვიხედე და რას ვხედავ, ჩემკენ მოდის ჰიტლერი და მისი მთავრობა — ჰესი, ჰიმლერი, გებელსი, გერინგი, რიბენტროპი, ბრაუხიჩი, კეიტელი და სხვები. მე მათ ფოტოებიდან და კინოფილმებიდან ვიცნობდი. ჰიტლერი ხელების აქტიური ჟესტიკულაციით რაღაცაზე უკამათებოდა გერინგს, თან ჩამოშლილ ქოჩორს მალიმალ ისწორებდა. მე თვალები მოვიფშვნიტე, ვიფიქრე ალბათ ჰალუცინაცია დამემართა მეთქი, მაგრამ არა, საჰაერადო ფორმაში გამოწყობილი გერმანელები უკვე ახლოს იყვნენ ჩემთან. მერე ხმაურით ჩაიარეს ჩემგან დაახლოებით 10 მეტრის დაშორებით. გაოგნებული ვიდექი და კარგა ხანს აღგილიდან არ დავძრულვარ. ამ დროს კონცერტიც გათავდა. ჩემთან მოვიდა კულტურის მინისტრის მოადგილე, გერმანული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, ბრწყინვალე პიროვნება, ბატონი ვახტანგ კუპრავა. მას ვუამბე, რაც ვნახე, თან ვფიქრობდი, არ ეგონოს რომ ჭკუიდან გადავდექი-მეთქი. ბატონი ვახტანგი წავიდა თეატრის ადმინისტრაციაში და რა გაირკვა: თურმე ჩვენივე შენობაში საკონცერტო დარბაზის გვერდით თეატრი იყო, სადაც იდგმებოდა სპექტაკლი ფაშიზმზე „ჰიტლერის მთავრობა“, რომელმაც კინაღამ შემარყია ჭკუიდან, მსახიობები ყოფილან, რომლებსაც სპექტაკლი დაემთავრებინათ და გასახდელისკენ მიდიოდნენ.

საქართველოს კულტურის დღეები გერმანიაში დიდი წარმატებით ჩატარდა. დასკვნითი კონცერტი გაიმართა ბერლინის „შტატს ოპერაში“ იმ დილით წაგვიყვანეს და ბერლინის კედელი გვაჩვენეს. ეს კედელი შუაზე ყოფდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინს, იგი ციხის კედელს ჰგავდა და შემზარავი სანახავი იყო. გამახსენდა ამერიკის პრეზიდენტის ჯონ კენედის ნათქვამი: „ეს კედელი ყველაზე დიდი ბოროტებაა მათ შორის, რაც კაცობრიობას ოდესმე ჩაუდენიაო“

მეორედ გერმანიაში 1973 წელს გაგვაგზავნა უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის საქართველოს საზოგადოებამ. ამჯერად დასავლეთ გერმანიაში მოვხვდით, მოსკოვიდან მაინის ფრანკფურტში ჩაფრინდით. იქ შესანიშნავ სასტუმროში ვცხოვრობდით. სასტუმროში იყო ტრენაჟორები, ბასეინი, გვემსახურებოდნენ მასაჟისტები. აუზის გვერდით ქვიშიანი ნაპირი იყო გაკეთებული. მაშინ პირველად ვნახეთ, რომ აუზში ქალები და კაცები ერთად დედიშობილა ცურავდნენ, მე და სალიკო ვადაჭკორიას შეგვრცხვა, ბასეინიდან ამოვედით და ქვიშაზე წამოვწექით. ახალგაზრდა ქალმა მასაჟი გაგვიკეთა. ჩვენ მას ანსამბლ „რუსთაველის“ ფირფიტები და ქართული სუვენირები ვაჩუქეთ. მეორე დღეს კლაუდიამ (ასე ერქვა მასაჟისტ ქალს), თავის ოჯახში დაგვპატიჟა. სახლში მეუღლე და ორი შვილი ჰყავდა, მეუღლე მუშა იყო. ჩვენ გაგვაკვირვა მათი ცხოვრების მაღალმა დონემ. ისინი შესანიშნავ ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ. ბავშვებს ცალ-ცალკე საძინებლებში ეძინათ, საძინებლები საკმაო იყო უამრავი სათამაშოებით; სახლში რამდენიმე ტელევიზორი და ძვირფასი ფონოაპარატურა ედგათ, ფორტეპიანო, ორი მაცივარი და კიდევ რა ვიცი, რამდენი რამ. მაცივრები საკმაო იყო ათასნაირი სასმელ-საჭმელით. სუფრა სასტუმრო ოთახში გაეშალათ, რომელზედაც უხვად ელაგა ლუდით სავსე ბოთლები, მრავალნაირი ბუტერბროტი, ნამცხვარი და ხილი. ჩვენ ვიმღერეთ. კლაუდიას მეუღლემ მაშინვე პატარა მაგნიტოფონი მოიტანა, სიმღერები ჩაიწერა და შემდეგ მოგვასმენინა, ეს იყო მაღალი ხარისხის ფონოჩანაწერი. თითქმის დილამდე ვიქეიფეთ, შევსვით უამრავი ლუდი, რომელიც თბილისში მაშინ იშვიათობა იყო.

ქრისტეშობის დღესასწაულს კიოლნში შევხვდით. კიოლნის უზარმაზარი ტაძარი გაჭედილი იყო ხალხით. მათ ხელში ნოტები ეჭირათ და ორღანთან ერთად მღეროდნენ. მაღალ ორასკაციან ბავშვთა და მამაკაცთა გაერთიანებული გუნდი იდგა, რომელიც მესებს ასრულებდა, ეს იყო საოცარი სანახაობა და მოსასმენად უმშვენიერესი. ტაძარში დილამდე დავრჩით (იმ დროისთვის თბილისში თუ ვინმეს ნახავდნენ ეკლესიის წინ გაჯილს, მყისვე სურათს გადაუღებდნენ და გაზეთში გამოაჭენებდნენ).

***

1971 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს თბილისში ჩამოვიდა გერმანიის ქ.ზაარბრიუკენის საოპერო თეატრის გენერალური დირექტორი პერმან ვედეკინდი. იგი გაეცნო ცნობილ დირიჟორს ვახტანგ ფალიაშვილს, რომელმაც ვედეკინდი საოპერო სპექტაკლზე მიიწვია და მოასმენინა ზ.ფალიაშვილის „დაისი“. ვედეკინდს ეს ოპერა ისე მოეწონა, რომ გერმანიაში თან წაიღო ფირფიტებზე ჩაწერილი „დაისი“ და მისი პარტიტურა, რომელიც გააცნო იქაურ მუსიკოსებს. გადაწყდა „დაისის“ დადგმა ზაარბრიუკენის საოპერო თეატრში, ეს მოხდა 1972 წლის მარტში. საქართველოს კულტურის მინისტრის, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის თაოსნობით ზაარბრიუკენის საოპერო თეატრს გარკვეული დახმარება აღმოუჩინეს. სპექტაკლისთვის შეუკერეს ქართული ეროვნული ტანსაცმელი, ოპერის ლიბრეტო ითარგმნა გერმანულად, ზაარბრიუკენში გაიგზავნა ოპერის დამდგმელი ჯგუფი, რეჟისორის, დირიჟორის, ქორეოგრაფის, მხატვრისა და რამდენიმე სოლისტის შემადგენლობით. ლიბრეტო თარგმნა გერმანელმა სასულიერო პირმა, ნამდვილმა პოლი-

გლოტმა, ვოლფგანგ ოფერმანსმა. მას დიდი დახმარება გაუწია გერმანული ენის შესანიშნავმა სპეციალისტმა ნელი ამაშუკელმა.

ყველა ამ საკითხის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა კულტურის მინისტრის მოადგილემ ბატონმა ვახტანგ კუპრავამ.

1973 წლის 14 იანვარს ზაარბრიუკენის საოპერო თეატრში გაიმართა „დაისის“ პრემიერა, რომელიც უდიდესი წარმატებით ჩატარდა.

„დაისის“ პრემიერასთან დაკავშირებით გერმანიის კანცლერმა ვილი ბრანდტმა ზაარბრიუკენის საოპერო თეატრში მისალოცი დეპეშა გამოგზავნა. იგი მიესალმა დამდგმელ ჯგუფსა და შემსრულებლებს. დეპეშები გამოგზავნეს აგრეთვე ზაარის მხარის კულტურის მინისტრმა ბატონმა შერერმა, ზაარბრიუკენის ობერბურგომისტრმა შუსტერმა და ბურგომისტრმა ჰასდენტოიფელმა.

„დაისის“ დადგმის შემდეგ დაიგეგმა თბილისში ვაგნერის „ლოენგრინის“ დადგმა. თბილისში ჩამოვიდა ანალოგიური სადადგმო ჯგუფი ჰ. ვედეკინდის ხელმძღვანელობით, რომელმაც თბილისის საოპერო თეატრში დადგა ვაგნერის უკედაესი ქმნილება. ეს ოპერა თბილისში უკანასკნელად 1923 წელს დაიდგა. პერმანმა თბილისის საოპერო თეატრი განაცვიფრა თავისი მრავალმხრივი ნიჭიერებით. სპექტაკლის მუსიკალური დადგმა განახორციელა შესანიშნავმა დირიჟორმა ზიგფრიდ კიოლერმა.

„ლოენგრინზე“ მუშაობის დროს გაღრმავდა და გამრავალფეროვნდა ნაყოფიერი თანამშრომლობა ქართველ და გერმანელ ხელოვანთა შორის, რომელსაც ზაარბრიუკენში საძირკველი ჰ. ვედიკინდმა ჩაუყარა, - „ხელოვნება ხალხებს აახლოვებს, ხელოვნებამ საზღვრები არ იცის“, - ამბობდა ბატონი ჰერმანი.

ვედეკინდმა თბილისში ბევრი მეგობარი შეიძინა. იგი ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი იყო.

„ლოენგრინის“ პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე ზაარბრიუკენიდან თბილისში წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩამოვიდა, რომელსაც თან დიდი ტურისტული ჯგუფი ჩამოჰყვა.

ეს ჯგუფი გაეცნო არა მარტო თბილისის მუზეუმებსა და სხვა ღირსშესანიშნაობებს, არამედ თბილისის ყოფას. ისინი დაუმეგობრდნენ ქართულ ოჯახებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სტუმართმოყვარეობით და ხელგაშლილობით, რამაც დაატყვევა გერმანელები. ბევრ მათგანს გაკვირვებით წამოსცდა: - „აი, თურმე რა იმალებოდა „რკინის ფარდის“ მიღმა. „ლოენგრინის“ პრემიერის წინა საათებში გამოვიდა გაზეთ „თბილისის“ საგანგებო ნომერი გერმანულ ენაზე, რომელიც მთლიანად მიეძღვნა „ლოენგრინის“ დადგმას, ამ ფაქტმა განაცვიფრა ზაარბრიუკენელები.

სპექტაკლი მართლაც წარმოუდგენელი წარმატებით ჩატარდა. ეს იყო ქართველ და გერმანელ ხელოვანთა დიდი გამარჯვება, რომელიც სცილდებოდა მარტო თეატრალური დადგმების გაცვლას; ეს იყო გერმანელი და ქართველი ხალხის მეგობრობის დემონსტრირება, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა თბილისსა და ზაარბრიუკენს შორის მეგობრობის ხიდს.

პრემიერის მეორე დღეს საქართველოს კულტურის მინისტრმა ბატონმა ოთარ თაქთაქიშვილმა და ზაარის ოლქის კულტურის მინისტრმა ბატონმა შერერმა ისაუბრეს თბილისსა და ზაარბრიუკენს შორის დამყარებული კონტაქტების გამყარებაზე და გადაწყვიტეს, რომ 1974 წელს ზაარბრიუკენში უნდა გამართულიყო ქართული კულტურის კვირეული, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა არა მარტო საოპერო ხელოვნება, არამედ დრამატული თეატრიც, აგრეთვე ქართული ხალხური სიმღერები,

სიმფონიური და კამერული მუსიკა, მწერალთა და მხატვართა შემოქმედება. ქართული კულტურის ასეთი მრავალმხრივი დემონსტრაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ძალზე საპასუხისმგებლო და რთული იქნებოდა, ამიტომ ასეთი ღონისძიების მოშზადებისათვის სულ ცოტა ერთი წელი იყო საჭირო. ეს იდეა თავიდანვე ჰ.ვედეკინდს ეკუთვნოდა და იგი ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებისათვის მზადებას. ამას ისიც დაემატა, რომ ვედეკინდის ინიციატივით ერთმანეთს შეხვდნენ ზაარბრიუკენის ბურგომისტრი ედმუნდ ჰასდენტოიფელი და თბილისის მერი ბატონი ბახვა ლობჟანიძე. მათ მოილაპარაკეს, რომ დასაბამი მისცემოდა თბილისისა და ზაარბრიუკენის დამეგობრებას ოფიციალურ დონეზე. გადაწყდა ამ ქალაქების დაძმობილება, თუკი ამ იდეას ყველა ინსტანცია მოიწონებდა.

მთელი წლის დაძაბული მუშაობისა და მზადების შემდეგ 1974 წლის 29 მაისს ზაარბრიუკენში საზეიმოდ გაიხსნა ქართული კულტურის ათდღიანი დემონსტრაცია და ეწოდა „საბჭოთა კავშირის ქართული კვირეული“. ამ ფაქტს წერილობით მიესალმნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ოფიციალური პირები. საბჭოთა კავშირის მხარეს წარმოადგენდა მისი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბატონი ვალენტინ ფალინი, რომელიც პირადად დაესწრო ამ კვირეულს, ხოლო შემდეგ დიდი როლი შეასრულა კულტურული კონტაქტების გაღრმავებასა და წარმატებაში.

ვალენტინ ფალინი პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება გახლდათ. ჯერ კიდევ 1973 წელს, როცა გაჩნდა აზრი ზაარბრიუკენში საქართველოს კულტურის დღეების ჩატარების შესახებ, ბატონმა ფალინმა პერმან ვედეკინდს უთხრა: „ადამიანებმა უნდა ისწავლონ ერთმანეთის პატივისცემა, თუკი კატასტროფას სიცოცხლე უნდა“. – „ვაქციოთ ხმლები სახნისებად და ყველგან მშვიდობა დამყარდება“, - უპასუხა ვედეკინდმა.

„მეგობრობის 7000 კილომეტრიანი ხიდი“, „ხელოვნებამ არ იცის საზღვრები“, „ხელოვნება აახლოებს ხალხებს“, „ხელოვნების მოღვაწეთა ჯერ არნახული მასშტაბით შეხვედრა“, „თბილისისა და ზაარბრიუკენის პარტნიორობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ხალხთა შორის ურთიერთობაში“, აი ასეთი ლოზუნგები წითელ ზოლად გასდევდა ზაარლანდის პრესას, სადაც ერცლად აშუქებდნენ ქართული საბჭოთა კულტურის კვირეულს ზაარბრიუკენში. საქართველო-გერმანიის შემოქმედებითი თანამშრომლობის ერთ-ერთმა ინიციატორმა და ორგანიზატორმა საარლანდის სახელმწიფო თეატრის გენერალურმა დირექტორმა ჰ. ვედეკინდმა თავის მგზნებარე მისასალმებელ სიტყვაში თქვა: „ჩვენ ყველას ერთი ცა, ერთი მზე და მთვარე დაგვნათის; აქაც ისეთივე მთები და ველებია, როგორც საქართველოში. იქ თქვენთან ისეთივე ტყეები და მდინარეებია, როგორც აქ – გერმანიაში. თბილისი ჩემთვის ისეთივე მშობლიური და ახლობელია, როგორც ზაარბრიუკენი. მიხარია, რომ თქვენ ისევე იცით, ისევე გიყვართ მეგობრობი, როგორც ჩვენ. დღესაც ისევ და ისევ მეგობრობისკენ მოგიწოდებთ“.

კულტურის კვირეულის მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმა ზაარლანდის პრეზიდენტი, დოქტორი ფრანც-იოზეფ რიოდერი. საზეიმო საღამოზე გერმანულ ენაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კულტურის მინისტრი ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი. მან ხაზგასმით აღნიშნა ამ კულტურული ღონისძიების დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა და თქვა: ლიტერატურა და ხელოვნება ყველა წამოწყების ჩინებული დესპანიაო.

მისმა სიტყვამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ხოლო ნამდვილ სენსაციად იქცა მისი განცხადება თბილისისა და ზაარბრიუკენის დაძმობილების შესახებ. ამ წინადადებას მხურვალედ მიესალმა იქ მყოფი საზოგადოება. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთმა ქალაქმა მიიღო და მოიწონა საბჭოთა კავშირიდან მომდინარე წინადადება ქალაქთა დაძმობილების შესახებ.

ზაარბრიუკენის თეატრში განხორციელდა სამი ქართული ნაწარმოების დადგმა: ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“, დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და რეზო ებრალიძის „თანამედროვე ტრაგედია“ წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, ანსამბლი „რუსთაველი“, მხატვრული კითხვის ოსტატი გურამ საღარაძე, სოლისტები ცისანა ტატიშვილი, ზურაბ სოტკილავა, ზურაბ ანჯაფარიძე, მედეა და პეტრე ამირანაშვილები, ლამარა ჭყონია, შოთა კიკნაძე და სხვ.

მოეწყო ქართული თეატრალური მხატვრების გამოფენა. შესრულდა კომპოზიტორების რეზო ლაღიძის, შალვა მშველიძის, სულხან ცინცაძისა და სხვათა ნაწარმოებები. მოკლედ ქართული ხელოვნება ფართოდ იქნა ექსპორტირებული.

ქართულ კულტურას მაღალი შეფასება მისცა ზაარლანდის პრესამ, რომელიც ძალზე ფართოდ და ოპერატიულად აშუქებდა ჩვენს სპექტაკლებსა თუ კონცერტებს.

„რუსთაველის“ შესახებ გერმანული გაზეთები წერდნენ: „ანსამბლმა „რუსთაველმა“ ა. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით ნამდვილად მოაჯადოვა ზაარბრიუკენი. იგი შთაგონებით, მგზნებარედ და არტისტულად მღეროდა უძველეს ქართულ ხალხურ სიმღერებს. სევდიან „სატრფიალოს“, „იავნანას“, შრომის სიმღერებს და ცეკვა-ლოვან მხედრულებს. „სულიკო“ და „ციცინათელა“, ანსამბლთან ერთად იმღერეს გერმანელმა მსმენელებმა.“

კვირეულის მონაწილენი მეორე დღიდანვე ჯგუფებად დაიყვანენ და პარალელურად მართავდნენ კონცერტებს ზაარის მხარის სხვა ქალაქებში.

„ქართული ხალხური სიმღერის მასპინძელი გახდა ქ. დანი, სადაც კოლეჯის 500 ადგილიან დარბაზში სრული ანშლაგის ვითარებაში გამოდიოდა ანსამბლი „რუსთაველი“ ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ორგანყოფილებიან პროგრამაში ქართული ხალხური სიმღერა მრავალი კუთხით იქნა წარმოდგენილი. აუდიტორიის რეაქცია იმდენად შთამაგონებელი იყო, რომ ქართული ხალხური სიმღერის შარავანდედი და ანსამბლ „რუსთაველის“ სახელი ელვის სისწრაფით მოედო ზაარლანდის მთელ მხარეს, ასევე გერმანიის სხვა ქალაქებსაც. ამ ქალაქებიდან კითხულობდნენ, - სად როდის გამოდის „რუსთაველი“ ქართულ ხალხურ სიმღერას „მშვიდობის ბომბი“ უწოდეს. ქ.დანის ბურგომისტრმა კი განაცხადა: ჩვენი აღმოჩენაა ასეთი მძლავრი ხალხური კულტურა. აი რატომ არის კიდევ საჭირო ხალხთა ასეთი დაახლოებაო.“ იგი აღტაცებული იყო თვით ანსამბლით: „როცა მღერიან, მათ სახეზე მთელი მუსიკა იკითხება და მათი გარეგნობაც ხალხის ღირსებას აღბეჭდავსო“

ქართულმა ხალხურმა სიმღერამ პირველივე აჟღერებისთანავე პპოვა საერთო ენა გერმანელ მსმენელებთან“

ანტონ წულუკიძე. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1974წ.

ცეცხლოვანება და რომანტიკა!

დარმშტადტის სახელმწიფო თეატრმა მიიწვია ვოკალური ანსამბლი „რუსთავი„ და მოცეკვავეთა ჯგუფი. ამ სახელწოდებით ანსამბლის წევრებს მსოფლიოს გზებზე გააქვთ იმ სამრეწველო ქალაქის სახელი, რომელიც უკანასკნელ ათწლეულებში აღმოცენებულა...

ქართველმა მომღერლებმა მოგვცეს სხვადასხვა საუკუნის ხალხური სიმღერები – მელანქოლიური სატრფიალო სიმღერები და იავნანები, მგზნებარე შრომის სიმღერები, მხიარული პატარა ბალადები და ცეცხლოვანი მგზაურულები. რომელთა უმრავლესობა მხედრულია. ცხრა მომღერლისაგან შემდგარი ანსამბლი იმდენად მშვენივრად ჟღერს, რომ უკეთესს ვერ ინატრებს მსმენელი. ხუნთქვახაეთ მსუბუქი და ნაზი პიანო ამავე დროს ინტენსიურ დატვირთვასაც იტანდა. შრომის ომახიან საგუნდო სიმღერებში მამაკაცური ძლიერება გამოსჭვიოდა. არ შეიმჩნეოდა არაეითარი ფორსირება, თუმცა გუნდი ძლაერად ხმოვანებდა. მართალია, ეს სიმღერები იმპროვიზების საშუალებას იძლეეიან, მაგრამ ამასთან მკაცრ კანონზომიერებებს ემორჩილებიან.

ამ ანსამბლის სოლისტია ქალბატ გონაშვილი. რომლის ტემპერამენტი დიდი სამოვნება განგვაცდევინა თავისი ხაეურდოვანი ხასიათით. ამ კონცერტის მწვერვალად

ანსამბლი „რუსთავი„, 1970 წ.

იქცა ომარ კელაპტრიშვილის გამოსვლა, რომელიც წარმოუდგენელი ვირტუოზულობით უკრავდა არა მარტო ერთ, არამედ ორ სალამურზე ერთად. მას აკომპანემენტს უწევდნენ ჯუმბერ ყოლბაია და გენო მუჯირი – ისევ ხალხურ საკრავებზე. დასასრულ, ო. კელაპტრიშვილმა ჩვენს პატივსაცემად მოცარტის „თურქული მარში“ შეასრულა, ფორტეპიანოს თანხლებით.

სცენაზე შურდულიევი დაჰქროდა ოთხი მოცეკვავე. მათ ისეთი სისწრაფე განავითარეს, რომ ოპტიკურად შეუძლებელი იყო რიტმის აღქმა. შეასრულეს ცეკვა ხანჯლებით, შემდეგ ხმლებით. სცენაზე ნაპერწკლები ცვიოდა.

„ზაარბრიუერ ცაიტუნგი„. 5.06.1974.

იმ დღეებში ავად გახდა პერმან ვედეკინდი და საავადმყოფოში დააწვინეს. მის სანახავად მივიდნენ ბატონი ვახტანგ კუპრავა და ანსამბლ „რუსთავის“ წევრები. აი, რას წერდა ზაარბრიუკენის პრესა ამ ფაქტის შესახებ: „საქართველოს სახელმწიფო ანსამბლმა „რუსთავმა“ თავისი არაჩვეულებრივი ხელოვნებით, დიდებული სიმღერებით დაატკბო არა მარტო ზაარბრიუკენის სახელმწიფო თეატრის მრავალრიცხოვანი მსმენელი, არამედ წმინდა მიხეილის საავადმყოფოს პაციენტებიც. ამჟამად მათ შორის იმყოფება ზაარლანდის სახელმწიფო თეატრის გენერალური დირექტორი პერმან ვედეკინდი, რომელიც გულითადად მიესალმა სტუმრებს.“

„ზაარბრიუკე ცაიტუნგი“ 7/VI-74 წ.

ჩვენს სიმღერაზე პაციენტები გამოვიდნენ პალატებიდან. საოცარი განწყობილება სუფევდა. საავადმყოფოში ასეთი რამ არ მომხდარა. პაციენტები სთხოვდნენ ჩვენს ბიჭებს, რომ კიდევ ემღერათ.

ისინი დაუზარელად უმღერდნენ ავადმყოფებს სამკურნალო თუ ლირიკულ სიმღერებს. – „თქვენმა სიმღერამ წამლებზე უფრო იმოქმედა ჩვენზე, თქვენი მელოდიები ყველა ავადმყოფობას კურნავს, მე უკვე ჯანმრთელად ვარ“, - სთქვა ვედეკინდმა და ექიმებს საავადმყოფოდან გაწერა მოსთხოვა.

უდიდესი წარმატება ხვდა ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას“, დირიჟორს გივი აზმაიფარაშვილს და სოლისტებს ზურაბ ანჯაფარიძეს, მედეა და პეტრე ამირანაშვილებს. პრესამ უმაღლესი შეფასება მისცა ამ მართლაც ბრწყინვალე ოპერასა და მის შემსრულებლებს.

არასოდეს დამავიწყდება დ.კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ ეს სპექტაკლი ჯერ გერმანელმა მსახიობებმა წარმოადგინეს და დიდი წარმატება მოიპოვეს. შემდეგ სცენაზე რუსთაველის თეატრი ავიდა. რამაზ ჩხიკვაძემ და მისმა მეგობრებმა პირდაპირ „ცეცხლი დაანთეს“ სპექტაკლი გვიან ღამით დამთავრდა. იყო გაუგონარი წარმატება, რომელიც ეკუთვნოდა მის რეჟისორებს თემურ ჩხეიძესა და რობერტ სტურუას, ასევე ბრწყინვალე მსახიობთა დასს.

ხალხი დიდხანს არ იშლებოდა, შთაბეჭდილებებით გაბრუებულები მსახიობებს ესაუბრებოდნენ. კონცერტის შემდეგ იქვე თეატრში გაიმართა ვაზშამი, რომელიც თითქმის დილამდე გაგრძელდა. აქ მსახიობებმა სიმღერით გამოიჩინეს თავი, რითაც დამსწრე საზოგადოება კიდევ ერთხელ განაცვიფრეს.

დიდი წარმატება ხვდა ოპერის სოლისტებს ცისანა ტატიშვილს, ზურაბ სოტკილავას. მათ მოხიბლეს გერმანელი მაყურებელი. განსაკუთრებით აღინიშნა მოცეკვავის ვახტანგ გუნაშვილის მაღალი ხელოვნება.

პრესაში ყოველდღე შუქდებოდა ინფორმაცია ამ მართლაც და იშვიათი კულტურის დღეების შესახებ, ხოტბას ასხამდნენ ქართველ შემსრულებლებს. ბევრი



ანსამბლ „რუსთავის ხოლისხევი.
მარცხნიდან: სალიკო ჭაღალაშვილი, რამინ ქიქავა, ირაკლი ბენია, მუხრან მუჯირი.

დაწერა საქართველოსა და მისი უძველესი კულტურაზეც.

კონცერტებზე ყოველდღე მოდიოდნენ ევროპაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან და შვეიცარიიდან. ჩვენ მათგან საგულდაგულოდ „გვიცავდნენ“

იმპილისიდან გამგზავრების წინ ცენტრალურ კომიტეტში, დიდი თათბირი ჩატარდა. თათბირზე გვითხრეს, რომ ქართველ ემიგრანტებთან კონტაქტი არ უნდა გაქონოდა, განსაკუთრებით გეფრძალებოდა ურთიერთობა ნუგზარ შარიასთან. დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა.

ამ დროს წამოდგა ბატონი ბუხუტი ზაქარიაძე: „რას ქვია მოყვრადღით იქაურ ქართველებს, როგორ, ჩემმა გაზრდილმა ნუგზარ შარიამ ლუდზე რომ დამპატიჟოს, ლუდი სახეში უნდა შეკასხა?“ ყველამ გაიცინა.

ჩვენ მართალია მოკრძალებით, მაგრამ მაინც ვხვდებოდით იქაურ ქართველებს, რომლებსაც დიდი სიყვარული ჰქონდათ ჩვენს მიმართ. ისინი გვეფერებოდნენ, გვესიყვარულებოდნენ, ჩვენ კი...

არასოდეს დამავიწყდება ერთი საღამო. კონცერტის შემდეგ ჩვენს სასტუმროსთან მოეიდნენ პარიზიდან ჩამოსული ქართველი ახალგაზრდები: სალომე და ოთარ ზურაბიშვილები, დარეჯან ბერიკაშვილი და სხვები, რომლებსაც ადრე ვიცნობდით. ისინი ჩვენი ფანჯრების წინ გვიან ღამემდე დადიოდნენ და ქართულად მღეროდნენ. ჩვენ კი მათთან შეხვედრის უფლება არ გვქონდა.

ზაარბრიუკენში გავიცანი შესანიშნავი ფოლკლორისტი ბელგიელი ქალბატონი ელენე წერეთელი, რომელთანაც მერე მქონდა მიწერ-მოწერა, სამწუხაროდ იგი მალე გარდაიცვალა.

კონცერტების შემდეგ, გერმანელები გულუხვად გვიმასპინძლდებოდნენ. დაილია ბევრი ლუდი და ქართული ღვინო, რომელიც სპეციალურად წავიღეთ საქართველოდან. იშვიათად შეიძლება ასეთი სითბო და სიყვარული გამოამჟღავნონ ჩვენ მიმართ, როგორც ეს გერმანელებმა გააკეთეს. არასოდეს დაგვავიწყდება ზაარბრიუკენში გატარებული დღეები; ვფიქრობ, ეს იყო უნიკალური მოვლენა საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიაში. საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ ჩვენი მეგობრობა დღემდე გრძელდება.

ერთ-ერთმა გერმანელმა მაღალი თანამდებობის მასპინძელმა თქვა: ვინ არ ყოფილა ჩვენს კუთხეში, „ვინ არ დაიპყრო ზაარლანდი, იგი დამპყრობლების ხელიდან ხელში გადადიოდა, ასე გრძელდებოდა ოდითგან. დღეს 1974 წელს კი საარის მხარე დაიპყრეს მშვენიერი ქვეყნიდან მოსულმა ქართველებმა, დაიპყრეს თავისი მაღალი და ნამდვილი შემოქმედებით“.

***

1976 წელს გერმანული კულტურის კვირეული ჩატარდა საქართველოში, რომელსაც ჰერმან ვედეკინდი ხელმძღვანელობდა; ამან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი გერმანელი და ქართველი ხალხის ურყევ მეგობრობას და აი 1987 წლის სექტემბერში ზაარბრიუკენში ოფიციალურად გამოცხადდა საქართველოს სსრ-სა და საარის მხარის დაძმობილება. ამ აქტს ხელს აწერდნენ გერმანიის მხრიდან საარის მხარის პრემიერ მინისტრი ოსკარ ლაფონტენი და საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ჩერქეზია.

ამის შემდეგ ჰერმან ვედეკინდმა 12 წლის განმავლობაში 10 სპექტაკლი დადგა საქართველოში (თბილისში, ქუთაისში, თელავში). მოაწყო მრავალი მხატვრული კოლექტივის მოგზაურობა გერმანიაში. თავის სოფელში დააარსა „ქართული მუზეუმი“. აი, ასეთი პიროვნებები აახლოებენ ხალხებს ერთმანეთთან, ისინი ახორციელებენ ნამდვილ სახალხო პოლიტიკას.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს თემას.

ქართული კულტურის დღეები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ზაარბრიუკენში არნახული მასშტაბებით ჩატარდა. უძველესმა ქართულმა კულტურამ გზა გაიკვლია ევროპისკენ. ცხადია, ყოველივე ამას თვალყურს ადევნებდა მოსკოვი, რომელსაც შემდეგში ასეთი „შეცდომა“ აღარ დაუშვია.

1977 წელს ზაარბრიუკენში საბჭოთა კავშირის კვირეული გაიხსნა. როგორც ამ ქალაქისთვის ნაცნობი ანსამბლი, საბჭოთა კოლექტივებს შორის „რუსთაველიც“ შეიყვანეს. მე არ შევუდგები ამ კვირეულის აღწერას, მოვიყვან მხოლოდ პრესის, ამონაწერს:

გაზ. „ზაარბრიუკერ ცაიტუნგი“. 3 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის კვირეულის საზეიმო გახსნა ზაარბრიუკენში. ანსამბლ „რუსთაველის“ გამოსვლა სახელმწიფო კონსერვატორიაში.

1977 წლის 30 სექტემბერი. გულღია დიალოგი თბილისელ სტუმრებთან.

ზაარბრიუკენის კონსერვატორიაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კვირეული, რომელშიაც ერთდროულად მონაწილეობა მიიღეს სსრკ-ს და გფრ-ს კოლექტივებმა. განსაკუთრებული წარმატება წილად ხვდათ ლიტველ ორგანისტს ლეოპოლდ დიგრისს და საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთაველს“, რომელთა გამოსვლამ მუსიკალური კვირეული ნამდვილ დღესასწაულად აქცია.

კონცერტს ესწრებოდნენ სსრკ-ს საელჩოს მუშაკი ბონში ტოკოვინი და საქართ-

ველოს წარმომადგენლები – მინისტრი აკაკი დვალიშვილი და პროფ. ალექსანდრე ჟღენტი.

კულტურის დღეების ორგანიზატორი იოზეფ ჰერმანი გულთბილად მიესალმა საბჭოთა სტუმრებს. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ გულთბილი ურთიერთგაგება, რომელიც სუფევს ზაარბრიუკენისა და თბილისის ხელოვანთა კოლექტივებს შორის, ნათელი მაგალითია იმ დიდი მეგობრობისა, რომელიც დღითიდღე ღრმავდება ჩვენს ქვეყნებს შორისაც.

ქალაქის ობერბურგომისტრმა ოსკარ ლაფონტენმა სიხარულით აღნიშნა, რომ ამ წელიწადს ზაარბრიუკენში ეს უკვე მეოთხე შეხვედრა იყო ქართველ სტუმრებთან. „ეს ურთიერთობა თბილისთან, - თქვა მან, - ჩვენ უნდა განვიხილოთ არა მარტო როგორც კულტურული თანამშრომლობა, არამედ როგორც ღია დიალოგი ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის".

ოსკარ ლაფონტენის გამოსვლის შემდეგ სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა სსრკ-ის წარმომადგენელმა ბონში ტოკოვინმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა კვირეულის მესვეურთ. საბჭოთა დიპლომატის შემდეგ გამოვიდა საქართველოს წარმომადგენელი აკაკი დვალიშვილი.

საზეიმო კონცერტი გახსნა ლიტველმა ორგანისტმა ლეოპოლდას დიგრისმა, საბჭოთა საორგანო სკოლის ერთ-ერთმა პიონერმა, ხოლო კონცერტის მეორე ნახევარში გამოვიდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „რუსთავი", რომლის მდიდარმა მუსიკალურმა შესაძლებლობებმა და ტემპერამენტმა განაცვიფრეს მაყურებელი, კონცერტი ნამდვილ ტრიუმფად იქცა.

გაზ. „ზაარბრუკენ ცაიტუნგი". 3 ოქტომბერი. 1977წ.

ქართული სასწაული სახელმწიფო თეატრში.

შესანიშნავი იყო ანსამბლ „რუსთავის" გამოსვლა. ხალხური ცეკვები, რომელიც ნამდვილი ბალეტის დონემდეა აყვანილი, ერთნაირად ანცვიფრებს და ხიბლავს მაყურებელს, ხოლო 9 კაცისაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი ხმების სიძლიერით საოპერო გუნდს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ხალხურ სიმღერათა შემსრულებელ ანსამბლს.

ვირტუოზულად ჟღერს მუსიკალური ტრიო – ჩონგურის, ფანდურისა და სალამურის შემადგენლობით. ორ სალამურზე ერთდროულად შესრულებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

გაოცებულმა მაყურებელმა არნახული ოვაცია მოუწყო შემსრულებლებს.

არანაკლები წარმატება ხვდა წილად ქართულ ხალხურ ცეკვებს. თითოეული ცეკვის ყოველი ელემენტი იმდენად დახვეწილია და ეფექტური, რომ მათი სიტყვებით აღწერა თითქმის შეუძლებელია. ქართველი მოცეკვავე ქალები გედებივით დაცურავდნენ სცენაზე და გეომეტრიული სიზუსტით გასაოცარ ქარგებს ქმნიდნენ; რაც შეეხება ვაჟებს, დიდი სიმაღლიდან მათმა მუხლებზე ვარდნამ, ხმლების ტრიალმა და ნაპერწკლების კორიანტელმა თავბრუ დაახვია მაყურებელს. გაოგნება იმდენად დიდი იყო, რომ დარბაზში აღტაცებულმა ოვაციამ იფეთქა!

ქართველებმა ნამდვილი მამაკაცური ხელოვნება გვიჩვენეს.

***

გაზ. „ზაარბრიუკერ ცაიტუნგი“. ანსამბლ „რუსთავის“ გამოსვლა კონგრესის დარბაზში. 4 ოქტომბერი, 1977 წელი.

„ფოლკლორის ყოველმხრივი დემონსტრირება“

ტემპერამენტით სავსე ცეკვები, ფერადოვანი ეროვნული კოსტიუმები, ხალხური სიმღერების მრავალხმიანობა – 75 წუთის განმავლობაში მეფობდნენ ზაარბრიუკენის კონგრესის დარბაზის სცენაზე! მაყურებელი მოხიბლულია!

ცნობილმა ქართულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „რუსთავმა“ საბჭოთა კავშირიდან ძველი ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ნამდვილი სანახაობა გვაჩვენა.

900-კაციანმა დარბაზმა ქართული ფოლკლორი მთლიანობაში აღიქვა. ანსამბლი ხალხური სიმღერით და ცეკვით აკავშირებს თაობების მიერ მიეიწყებულ წარსულს აწმყოსთან და განსაცვიფრებელ შედეგს აღწევს. ქართული ცეკვები ხმლებით, ნაპერწკლების ცვენა, იარაღის ელვარება, და ეს ყველაფერი ნაზ, ფაქიზ სიმღერებთან ერთად, რომლებსაც მამაკაცთა გუნდი ასრულებდა, აჯადოებდა მაყურებელს. ზაარბრიუკენელთა ოვაცია, რომელიც თან ახლდა ანსამბლის ყოველ ნომერს, ნათელი დასტური იყო იმ ღრმა ურთიერთგაგებისა, რომელიც სუფევდა მასპინძლებსა და სტუმრებს შორის...

მაყურებელი სინანულით ეთხოვებოდა „რუსთავს“, რომელიც 6 და 7 ოქტომბერს გასტროლებს გააგრძელებს ზაარლუისში და გასტიერნში.

გაზ. „ზაარბრიუკერ ცაიტუნგი“. 6 ოქტომბერი. 1977 წ. ქ.მერციგის განყოფილება.

„ოქროს ხმები - ფოლადის ცერები“.

ყველგან, სადაც ანსამბლი „რუსთავი“ გამოსულა, იყო ეს ევროპაში თუ ამერიკაში, მას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. მომღერლებმა ოქროს ხმებით, მოცეკვავეებმა კი თავიანთი სიმსუბუქით და გრაციით ერთნაირად დაიპყრეს მაყურებელი. „რუსთავი“ ზედმიწევნით ფლობს ძველ ხალხურ ხელოვნებას, რომელიც საესეა განუმეორებელი ტემპერამენტითა და ხალისით, იგი ყოველთვის აქტუალურია თავისი მნიშვნელობით.

ცეკვებიდან ქართველებმა „სიმდი“, „განდაგანა“ და „მარულა“ წარმოადგინეს; ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დავმტკბარიყავით ომარ კელაპტრიშვილის ვირტუოზული ხელოვნებით, რომელიც ერთდროულად ორ სალამურზე უკრავს. ამას „ხანჯლური“ მოჰყვა, რამაც მაყურებელზე ზღაპრული შთაბეჭდილება მოახდინა! შემდეგ გაისმა X საუკუნის საგალობელი – შესანიშნავი საგუნდო ნაწარმოები. საღამო დამთავრდა სიმღერა „ჰადილოის“ (ცხენოსნური) შესრულებით.

2000 მაყურებელი გულთბილად გამოეთხოვა „რუსთავს“.

მაყურებელთა დიდი სიმპათიებით სარგებლობენ ანსამბლის წამყვანი სოლისტები: იაშზე დოლაბერიძე, ფრიდონ სულაბერიძე, ჰამლეტ გონაშვილი, ბადრი თოიძე და სხვ.

ზაარბრიუკენს საქართველოსთან დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებს. ამის ნათელი დასტურია ქ.მერციგის სხდომათა დარბაზში გამართული ვახშამი, რომელმაც შუაღამემდე გასტანა. ეს იყო მეგობრობის დიდი ზეიმი; შესრულებული იქნა ქართული სუფრული სიმღერები.

ჟურნალი „მუზიკალნაია ჟიზნ“, N9, 1977წ.

„მძლავრად ჟღერს „რუსთავის“ ეოკალური ანსამბლი, თითქოს დიდი მრავალხმიანი გუნდი მღერის... „რუსთავის“ რეპერტუარში სხვადასხვანაირი სიმღერებია, თითოეული მათგანი პატარა ჟანრული სურათია. რამდენი სითბო და ალერსია იმერულ „ნანაში“, მის გვერდით ისმის შრომის სიმღერა „ოდოია“, მის ნათელ ფერებში იგრძნობა სიცოცხლის სიხარული და შრომაში გამოხატული ბედნიერება; ხმების მხიარულ გადაძახილში ისმის მთების ეკო. დიდებული და მკაცრია ძველი ქორალი „კვირია“. ამბობენ, რომ იგი საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჟღერდა. „კვირია“ გვიტაცებს სიბრძნის უბრალოებით; აქ ანსამბლი განსაცვიფრებელ ოსტატობას ავლენს.

მრავალი ქვეყანა მოიარა "რუსთავმა", მის კონცერტებს ყველგან დიდი წარმატება ახლდა.“

***

1986 წელს დასავლეთ გერმანიის ქ.კიოლნის რადიომ მიიწვია „რუსთავის“ მომღერლები. ამას დაემატა ქ.ბონის საერთაშორისო ფესტივალი და „რუსთავი“ კვლავ წარსდგა გერმანელი მაყურებლის წინაშე ცეკვითა და სიმღერით. მომყავს გერმანიაში საბჭოთა საელჩოს ანგარიში და პრესიდან ამონაწერები „რუსთავის“ გასტროლების შესახებ:

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ გფრ-სა და ლუქსემბურგში გასტროლების ანგარიში.

ქ.კიოლნის დასავლეთგერმანული რადიოს (WDR) მიწვევით საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“, 50 კაცის შემადგენლობით, 19-დან 29 სექტემბრამდე გასტროლებით იმყოფებოდა გფრ-ში და მონაწილეობდა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში ქ. ბონში; ანსამბლი გამოდიოდა აგრეთვე ლუქსემბურგში კომუნისტური გაზეთის „ცაიტუნგ ვუმ ლეტცებურგერ ფოლკე“-ის დაარსებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში.

20 სექტემბერს „რუსთავი“ გამოვიდა ქ. დუისბურგის საკონცერტო დარბაზში — „მერკატორ-პალლე“, – დაესწრო 1200 მაყურებელი. კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა; აღფრთოვანებულმა მაყურებელმა მსახიობები რამდენჯერმე გამოიძახა სცენაზე. კონცერტის შემდეგ ქალაქის ობერბურგერმაისტერმა ბატონმა კრიგსმა სტუმრების პატივსაცემად, რომელთა შორის იყვნენ საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები ქ.ბონში, გამართა მიღება. ბატონი კრიგსი, ქალაქის საზოგადოების სახელით, მხურვალედ მიესალმა საბჭოთა სტუმრებს, ჩვენს არტისტებს. ისევე როგორც კონცერტზე დამსწრე ყველა მაყურებელი, ისიც ვერ მალავდა აღფრთოვანებას. მან დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებლობა მიეცა შეხვედროდა ასეთი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობის კოლექტივს. ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გულთბილად ესალმებოდნენ ანსამბლის წევრებს. ისინი ხოტბას ასხამდნენ მოცეკვეთა და მომღერალთა ოსტატობას, სინანულს გამოთქვამდნენ, რომ ქართველი სტუმრებისაგან უნდა ისწავლონ ეროვნული განძის – ხალხური შემოქმედების დაფასება-შემონახვა. ისინი მადლობას უხდიდნენ სტუმრებს მაღალი ხელოვნებისათვის, იმ გულთბილი ატმოსფეროსათვის, რომელიც შექმნეს მსახიობებმა დარბაზში და მიღებაზე, მათ მიერ შესრულებული გერმანული

ხალხური სიმღერისათვის; ყოველივე ამით მათ წვლილი შეიტანეს ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და დაახლოების საქმეში.

22 სექტემბერს ანსამბლი გამოდიოდა თბილისის დაძმობილებულ ქალაქ ზაარბრიუკენში. დილით ანსამბლის წევრები მიიღო ქალაქის ობერბურგერმაისტერმა ბატონმა კიობნიკმა. ქალაქის წარმომადგენელთა სახელით იგი გულთბილად მიესალმა სტუმრებს და აღნიშნა, რომ ქართველი მეგობრების ყოველი ჩამოსვლა ზაარბრიუკენში დიდი მოვლენაა. ზაარბრიუკენელები ბედნიერები არიან, რომ აქვთ ხალხური შემოქმედებისა და კულტურის ასეთი მდიდარი ტრადიციების მქონე მეგობრები.

კონცერტი გაიმართა „კონგრესპოლში“ (1050 ადგილი). დარბაზი გადაჭედილი იყო. კონცერტს ესწრებოდნენ ზაარის მიწის პრემიერმინისტრი ოსკარ ლაფონტენი



შეუღლითურთ, ქალაქის ობერბურგერმაისტერი და ბურგერმაისტრები, მთავრობის წევრები. კონცერტი მიძღვნილი იყო ანსამბლის უდიდესი წარმატებით, თითოეულ გამოსვლას თან ახლდა აპლოდისმენტები აღფრთოვანებული შეძახილებით „ბრავო!“ მაყურებლებს არ სურდათ მსახიობებთან განშორება და ისევ და ისევ იძახებდნენ მათ სცენაზე. კონცერტის შემდეგ გაძართულ მიღებას ესწრებოდნენ: საარის მიწის პრემიერმინისტრი ო. ლაფონტენი, მთავრობის წევრები, ბატონი პერმან ველკინდი, რადიოსა და ტელევიზიის, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ზაარბრიუკენის ობერბურგერმაისტერმა კიდევ ერთხელ გადაუხადა სტუმრების მადლობა მათი საოცრად მაღალი ოსტატობისათვის, წარმოსთქვა დაძმობილებული ქალაქების სადღეგრძელო. მეგობართა პატივისაცემად ანსამბლის წევრებმა შეასრულეს რამდენიმე გერმანული სიმღერა. მათთან ერთად ძთელი დარბაზიც მღეროდა. სტუმ-

ოროველაშვილი თინიკო ჩხეიძე

რებს ყველა მადლობას უხდიდა მათი უშუალობის, მაღალი ხელოვნების, მეგობრობის, ურთიერთგაგებისათვის, საბჭოთა ხალხისა და მთაერობის ძალისხმევისათვის ხალხთა შორის მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

24 სექტემბერს კოლნის დასავლეთგერმანული რადიოს მიწვევით ანსამბლის მომღერლებმა ჩაწერეს ხალხური სიმღერები. რადიოს თანამშრომლები მადლობას უხდიდნენ ქართველ მსახიობებს ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტისას მათი კორექტულობისა და მხარდაჭერისათვის, მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებისათვის.

25 სექტემბერს ბონში ქალაქის ძველ რატუშასთან მოედანზე გამართულ ვეებერთელა სცენაზე ჩატარებული რეპეტიციის შემდეგ ანსამბლი „რუსთავი" მიიწვიეს საბჭოთა კავშირის საელჩოში, სადაც გაიმართა სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატთა დიდი მიღება ახლად დანიშნული კულტურის ატაშეს საპატივცემულოდ. აქ ანსამბლის მსახიობები სტუმართა წინაშე წარსდგნენ იმპროვიზებული კონცერტით. მათ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა და ცეკვებმა დამსწრეთა ერთსულოვანი აღფრთოვანება გამოიწვია.

25 სექტემბერს ბონში გაიმართა ფოლკლორული ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალში ევროპის, აზიის, აფრიკის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საფესტივალო კონცერტს პირდაპირი რეპორტაჟით გადასცემდა დასავლეთგერმანული ტელევიზია. ქალაქის ძველი რატუშის შესანიშნავი შენობის წინ, მოედანზე აღმართული იყო სცენა. ანსამბლი „რუსთავი" კონცერტის ორივე განყოფილებაში მონაწილეობდა: პირველ განყოფილებაში – ოცდახუთწუთიანი, ხოლო მეორეში – ოცდაათწუთიანი პროგრამით. ქართველების გამოსვლის დროს მოედანი გადაიჭედა მაყურებლებით, ისინი აღფრთოვანებულნი უკრავდნენ ტაშს ჩვენს არტისტებს. ფესტივალის წესებით აკრძალული იყო განმეორებითი გამოსვლები, მაგრამ ფესტივალის ორგანიზატორებმა და ტელევიზიის წარმომადგენლებმა მხარი აუბეს მრავალრიცხოვან მაყურებელთა მოთხოვნას და გამონაკლისის სახით ხელმეორედ გაიწვიეს სცენაზე ქართველი ხელოვნების ოსტატები, რომელთაც გამოსვლა განუწყვეტელი აპლოდისმენტებისა და აღფრთოვანებული შეძახილების ფონზე დაასრულეს. ოვაციებს ბოლო დიდხანს არ უჩანდა. კონცერტის შემდეგ ანსამბლის ხელმძღვანელებთან და წევრებთან მოდიოდნენ უბრალო მაყურებლები. ტელევიზიის წარმომადგენლები მადლობას უხდიდნენ მათ შესანიშნავი ხელოვნებისათვის. ისინი გამოთქვამდნენ აზრს, რომ ხალხები ერთმანეთს უნდა ელაპარაკებოდნენ ხელოვნების ენაზე. ხელოვნება აახლოებს ხალხებს და რაც უფრო მრავალად იქნება ამგვარი შეხვედრები, მით უფრო შემცირდება ის დიდი საფრთხე, მსოფლიოს რომ ემუქრება; უბრალო ადამიანებს არ სურთ ომი, ისინი მხოლოდ სცენაზე უნდა ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

28 სექტემბერს კონცერტი შედგა ლუქსემბურგში, დაბა შიფლინგენში. აქ ტარდებოდა კომუნისტური გაზეთის „ცაიტუნგ ვუმ ლეტცებურგერ ფოლლეკ"-ის დაარსებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული. კონცერტს ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირის საელჩოს წარმომადგენლები. ანსამბლი პუბლიკის წინაშე წარსდგა მრავალფეროვანი პროგრამით. წარმატება იყო ვეებერთელა.

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის" გასტროლებმა წარმატებით ჩაიარა და თავისი წვლილი შეიტანა ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში.

დასავლეთ გერმანიის რადიოს (WDR) ხალხური მუსიკის განყოფილება.

დირექტორი რაიხოვი.

ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი.

„10-ჯერ ჩატარდა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი კიოლნის ტაძრის კედლებთან, ისე, რომ უკვე შეიძლებოდა ლაპარაკი კიოლნის ტრადიციაზე, რომელშიც, სხვათა შორის, დასავლეთ გერმანიის რადიოს (WDR) გადაცემების ყველა რეგიონიდან თუ უფრო შორი მანძილიდან ჩამოსული ათასობით მაყურებელი მონაწილეობდა.

რატომ არ ვცადოთ ასეთი ფესტივალის ჩატარება ჩვეული გლობალური პერსპექტივით – სოფელსა და ქალაქს შორის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ჩრდილოეთის ტყეებსა და სამხრეთის უდაბნოს შორის, თუნდაც ბონის მთავარ მოედანზე, სადაც იქვე ახლოს სახლია, რომელშიც ბეთჰოვენი დაიბადა...

საბჭოთა კავშირის სამხრეთიდან, საქართველოდან ჩამოვიდა 50-კაციანი ანსამბლი „რუსთავი“, რომლის ბონში გამოსვლა შეიძლება სენსაციად ჩაითვალოს. თუმცა ამ ანსამბლის სამშობლო კავკასიონსა და შავ ზღვას შორის უფრო პატარაა, ვიდრე ბავარია, უფრო ნაკლებ მოსახლეობას ითვლის, ვიდრე მოსკოვი, ის მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს და საინტერესო ფოლკლორულ რეგიონებს მიეკუთვნება და სახელგანთქმულია თავისი სუნთქვისშემკვრელი ცეკვებითა და „პოლიფონიური“ სიმღერების მაღალი ხელოვნებით. ეს სიმღერები კომპოზიტორს არ შეუთხზავს და არ გადაუტანია ნოტებზე. ისინი იქმნებოდა სოფლად გლეხებისა და მწყემსების მრავალ თაობათა მიერ და ზეპირი შესრულებით გადაეცემოდა შემდგომ თაობებს.

რას ემსახურება ფესტივალი? – არა მხოლოდ ტრადიციული ხალხური მუსიკის შესრულებას, არამედ აგრეთვე მუსიკალური თანამედროვეობის მრავალფეროვნების გონივრულ მოწოდებას, შეგრძნებას, აღქმას. ეს არის საინტერესო შეხვედრა საპირისპიროსა და სინთეზის. იქნებ ყოველივე ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი არა მარტო მუსიკითა და ცეკვით ტკბობას, არამედ ხალხთა შორის ურთიერთაგებასაც“.

„ზაარბრიუკერ ცაიტუნგი“. 23 სექტემბერი. 1986წ.

ცეკვები ქალაქის საბჭოს დარბაზში.

გუშინ ზაარბრიუკენში დამშობილებულ ქალაქ თბილისიდან ჩამოვიდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „რუსთავი“, რომელმაც საღამოს კონცერტი გამართა კონგრესპალეში. მსოფლიოში ცნობილი ანსამბლის 50-ზე მეტი მომღერალი და მოცეკვავე გერმანიაში საგასტროლოდ პირველად არ იმყოფება: ზოგიერთი მათგანი უკვე 1972, 1974 და 1977 წელს „ზაარის მხარეში საბჭოთა კავშირის დღეებში“ მონაწილეობდა. სხვათა შორის, ისინი მაშინაც დიდი წარმატებით გამოდიოდნენ, როგორც ეს ობერბიურგერმაისტერმა კოებნიკმა გაიხსენა მიღებაზე.

თავიანთი ხელოვნების სინჯი შემოგვთავაზეს ქართველმა სტუმრებმა ქალაქის საბჭოს სახლში. საღამოს „რუსთავმა“ წარმოადგინა ფართო მუსიკალური და ქორეოგრაფიული სპექტრი. სიმღერები და ცეკვები ემყარება ქართული ხელოვნების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, მათ შორის IX-X საუკუნეების საეკლესიო საგალობლებს. ანსამბლი საგასტროლოდ მიემგზავრება ბონში, კიოლნსა და ლუქსემბურგში.

„ზაარბრიუკერ ცაიტუნგი“. 24 სექტემბერი. 1986წ.

დარბაზში ნაპერწკლები იფრქვეოდა

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „რუსთავმა“ კონგრესპალეს მაყურებლებით გადაჭედილ დარბაზში უზარმაზარი წარმატება იზეიმა. კონცერტს ესწრებოდნენ ზაარის მხარის მთავრობის წარმომადგენლები. დიდი ხანია ახლო ურთიერთობა დამყარდა კავკასიაში მდებარე ამ ქვეყანასთან, მის კულტურას, ხალხსა და ზაარბრიუკნელებს შორის. ამგვარად, 54 თბილისელი მომღერალი და მოცეკვავე პირველად არ იმყოფება საგასტროლოდ ჩვენთან. „თქვენთვის მღერიან და ცეკვაენ თქვენი ქართველი მეგობრები“, — ამ სიტყვებით გახსნა საგასტროლო კონცერტი წამყვანმა, რის შემდეგაც ხელოვნებმა თავიანთი შესაძლებლობები ისეთი ინტენსიურობით წარმოაჩინეს, რომ ზოგიერთი ცეკვის დროს სცენიდან მართლაც რომ ნაპერწკლები იფრქვეოდა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

განწყობილებებისა და კოსტიუმების ფართო პალიტრით, რომლებიც უმეტესად კეთილშობილ შავ და თეთრ ფერებში იყო გადაწყვეტილი, თავიდანვე მოაჯადოვეს მაყურებლები მუსიკოსებმა და მოცეკვაეებმა. განსხვავებულად იყო როლები განაწილებული ქალთა და მამაკაცთა შორის: ქალები გრაციოზული სიმსუბუქით, თითქოს ნიაგის მონაბერზე მოძრაობდნენ, მამაკაცები თავდავიწყებით ასრულებდნენ ორიგინალურ აკრობატულ ილეთებს. მათ მთლიანად დაიპყრეს მაყურებლები. რაც უფრო მარჯვედ აჭდობდნენ ისინი ხმლებს და ელვისებური სისწრაფით ასობდნენ იატაკზე ხანჯლებს, მით უფრო იზრდებოდა აღფრთოვანება დარბაზში.

დიდებულია შესრულების ვირტუოზულობითა და დინამიკით მამაკაცთა გუნდის სიმღერები, ინსტრუმენტალური ნაწარმოებები. 200 წელზე უფრო ძველი ინსტრუმენტები, სატრფიალო, სახუმარო სიმღერები ქართული ხალხური ხელოვნების ფართო პანორამას წარმოადგენენ. ღრმა სევდა თუ მოზღვაეებული ბედნიერების განცდა ქართველებს იმგვარი უშუალობით შეუძლიათ გადმოგვცენ, რომ ჩვენს გაუცხოებულ სამყაროში დაბნეული ევროპელი ისევ პოულობს თავის თავს. და საკვირველი არც არის, რომ მაყურებლებს 5 გამოძახების შემდეგაც კი – (სხვათა შორის, სტუმრებს რეპერტუარში გერმანული ხალხური სიმღერაც ჰქონდათ) – არ უნდოდათ მათთან დაშორება“.

„ზაარბრიუკერ ვოხენშპიგელი“. 25 სექტემბერი. 1986წ.

„რუსთაემა“ აღგვაფრთოვანა

ობერბიურგერმაისტერმა ჰანს იურგენ კოებნიკმა ორშაბათს ქალაქის საბჭოს საზეიმო დარბაზში მიიღო მსოფლიოში ცნობილი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“, რომელიც საღამოს ზაარბრიუკენში კონგრესპალეს დარბაზში გამოდიოდა. 50 მომღერალი და მოცეკვავე ზაარბრიუკენის დაძმობილებული ქალაქ თბილისიდან უკვე 4-ჯერ ეწვია ზაარის მხარეს. უკანასკნელად ისინი 1977წ. „ზაარის მხარეში საბჭოთა კავშირის დღეებთან“ დაკავშირებით აღტაცებით მიიღო საზოგადოებრიობამ.

ანსამბლი დიდი წარმატებით წარსდგა კონგრესპალეში, სადაც მაყურებელს უმაღლესი ესთეტიკური თუ აკუსტიკური სიამოვნება ელოდა. მოცეკვაეებმა, მომღერლებმა და მუსიკოსებმა ქ.რუსთავიდან, რომელიც ზაარბრიუკენის დაძმობილებულ ქალაქ თბილისთან ახლოს მდებარეობს, მოაჯადოვეს მაყურებლები, რომელთა შორის ზაარის მხარის პრემიერ-მინისტრი ო.ლაფონტენი და მისი მეუღლე იმყოფე-

ბოდნენ, და აღფრთოვანებული ოვაციები დაიმსახურეს. აბსოლუტური ჰარმონია და ფანტასტიკური აკრობატიკა ახასიათებთ ცეკვებს, ხმის უზარმაზარი დიაპაზონი და ვირტუოზული საშემსრულებლო ხელოვნება – მომღერლებსა და მუსიკოსებს. სცენაზე მრავალგზის გამოძახების შემდეგ და ზაარბრიუკნელთა მქუხარე ტაშის თანხლებით დატოვეს ბოლოს სცენა ქართველმა ხელოვნებმა„.

1986. სექტემბერი. „ცაიტუნგ ვუმ ლოცებურგერ ვოლეკი“

ცეკვავს და მღერის საქართველო, 28 სექტემბერს შიფლინგენის სპორტულ დარბაზში.

„ნაპერწკლები იფრქვევა, როცა ისინი ხმლებით ცეკვავენ. ცეცხლი, რომელსაც ისინი თავიანთი გამოსვლით ანთებენ სცენაზე, გადადის მაყურებელზე.

კავკასიაში სიამოვნებით სვამენ არა მარტო მაწონს, რძისგან დაშხადებულ სასმელს, რომელიც, როგორც მოხუცები ამბობენ, 100 წლის სიცოცხლის გარანტიას იძლევა. ცეკვა და სიმღერა აქ ისევე ჩვეულებრივია, როგორც მაწონი, კარგი ღვინო, გემრიელი მწვადები და ა.შ.

საქართველოში, კავკასიის სამ რესპუბლიკათაგან ერთ-ერთში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუსიკალურ ფოლკლორს, სიმღერისა და კულტურის ტრადიციების გაგრძელებას, რომელსაც ქართველმა ტომებმა ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ჩაუყარეს საფუძველი. თუმცა საქართველოს გასულ საუკუნეებში მრავალი დამპყრობელი ავიწროებდა, მან მაინც შეძლო შეენარჩუნებინა და განევითარებინა თავისი საკუთარი ენა, დამწერლობა, ცეკვისა და სიმღერის ხელოვნება. თაობიდან თაობას გადაეცემოდა ქართული ფოლკლორისათვის დამახასიათებელი მრავალხმიანი სიმღერის ტრადიციები.

ამ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული საყრდენი გახდა საქართველოს სახელმწიფო ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „რუსთავი“, რომელიც 1968 წელს შეიქმნა. ეს ვოკალურ-ქორეოგრაფიული დასი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ანსამბლია, რომელიც დღეს პროპაგანდას უწევს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს როგორც თავის ქვეყანაში, ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „რუსთავში“ გაერთიანებული არიან რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები. ამგვარად, თითოეული მომღერლის ხმას აქვს განსაკუთრებული ეროვნული ელფერის ტემბრი. ამას გარდა, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, რესპუბლიკის თითოეული მხარის წარმომადგენელს ანსამბლში მოაქვს თავისი კუთხისთვის დამახასიათებელი სიმღერები, ცეკვები და ამით ხელს უწყობს „რუსთავის“ რეპერტუარის კიდევ უფრო გაფართოებასა და სრულყოფას.

არც ისე ადვილია ის სამეცნიერო მუშაობა, რომელსაც „რუსთავი“ წლების მანძილზე ეწევა მივიწყებული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ასაღორძინებლად. ამისათვის საჭიროა მაგნიტოფონით ხელში ქვეყნის ყველა კუთხეში მოგზაურობა, შორეული მთის სოფლებში ჩაწერილი სიმღერების გაშიფრვა, მათი ნოტებზე გადატანა. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს ანსამბლი სიმღერების შესწავლას და მათ შესრულებას საკონცერტო სცენაზე. ამ გზით უახლოეს წარსულში მივიწყებას გადაურჩა ქართული ხალხური შემოქმედების ბევრი უნიკალური მუსიკალური ნაწარმოები. 1980წ. გამოცემული ფირფიტების კრებულისათვის, რომელიც 60 ქართულ ხალხურ სიმღერას შეიცავს, რუსთავის ანსამბლსა და მის სამხატვრო ხელმძღ-



უხუცესი რექისორი კერმან ვედეკინდი, ედელ ლუისი და რუდოლფ პაინცი

უანელს ანზორ ერქომაიშვილს ზაქარია ფალიაშვილის სახელმწიფო პრემია გადაეცათ. ანზორ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობს აგრეთვე თავისი კოლექტივის მთელ სამეცნიერო მუშაობას.

განუმეორებელია ქართული ხალხური სიმღერების შესრულების მანერა. გუნდის თითოეული შემსრულებელი ამავე დროს სოლისტიც არის. „ქართული პოლიფონიური სიმღერების ჩანაწერები არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მუსიკალური შთაბეჭდილებათაგანი, — წერს ი.სტრავინსკი, — ეს არის მუსიკის აქტიური საშემსრულებლო ტრადიცია, რომელიც სათავეებს ანტიკური ხანიდან იღებს და რომელიც უფრო მეტს იძლევა, ვიდრე თანამედროვე მუსიკის ყველა მიღწევა“

„რუსთაველი“ კიდევ უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სიმღერა, ვიდრე ხალხურ საკრავებზე, მწყემსის სალამურზე შესრულებული პანგები. ქართველი ხალხის ცეცხლოვანი ტემპერამენტი, სიცოცხლის მოზღვავებული ხალისი აისახება მაღალოსტატურად შესრულებულ ცეკვებში, რომელთა მიმართ შეუძლებელია გულგრილი დარჩეს რომელიმე მაყურებელი. „ხმლებით ცეკვა“ ჭეშმარიტად გაცოცხლებული ზღაპარია, საოცრებაა მაყურებელთათვის“, — წერს ბელგიური „ლა ნუველ გაზეტი“ რუსთაველის ანსამბლის გაშოსვლის შემდეგ. იტალიური გაზეთი „გაზეტა დე პოპოლო“: „რუსები (რუსებად გვნათლავენ) რომ მსოფლიოში საუკეთესო მოცეკვაეები არიან, ეს ყველამ იცის, მაგრამ მათი ნახვა ყოველთვის სიურპრიზია“

დიდია იმ ქვეყნების სია, რომლებშიც ანსამბლი „რუსთაველი“ უსაზღვრო ოვაციებს იმკიდა. დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ბელგია, გფრ, ავსტრია – ეს ანსამბლის საზღვარგარეთ გასტროლების მხოლოდ რამდენიმე ეტაპია“

ბონში ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა, საბჭოთა კავშირის საელჩოში „რუსთაველის“ კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ვაჟკაცური გარეგნობის ასე 55 წლის სიმპათიური მამაკაცი და გაგვეცნო: — რუდოლფ პაინცი გახლავართ ქალაქ რადეფორმვალდიდან, პროფესიით მოქანდაკე, მიყვარს ხელოვნება, ვარ რადეფორმვალდის მამაკაცთა გუნდის მომღერალი და ამ გუნდის პრეზიდიუმის თავმჯდომარე. მრავალჯერ გამოვსულვართ მსმენელთა წინაშე. კიყავით გასტროლებზე აშშ-ში, იტალიაში, სსრკ-ში. ჩვენი დეევიზი ყოველთვის ასეთი იყო: „უმჯობესია ერთად ვიმღეროთ, ვიდრე ერთმანეთს ვესროლოთ“, „ხელოვნებას არა აქვს საზ-

ღვრები, იგი ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების ხიდებს აგებს“ (მაშინ ჯერ კიდევ „ცივი ომის“ პერიოდი იყო). ამის შედეგად ხიდი მართლაც გაიდო და პირველი კონტაქტები დამყარდა საბჭოთა კავშირთან. გადავწყვიტე, საბჭოთა კავშირის მომღერალ გუნდებთან მეგობრული ურთიერთობა დამემყარებინა და ამ მიზნით მოსკოვში ჩავედი, მაგრამ იქ ისე მიყურებდნენ, როგორც მტერს, საშინელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე მოსკოვმა. ასეთი ბიუროკრატები ჯერ არსად შემხვედრია, ყველაფერზე „нет-нет“-ს იძახიან. საქმიანი ვიზიტით იქ მეტს აღარ ჩავალ. მოსკოვში ერთ კონცერტს დავესწარი, მოვისმინე გუსტავ ერნესაქსის გუნდი ესტონეთიდან, რომელიც ძალიან მომეწონა. ეს გუნდი რამდენჯერმე მყავდა საგასტროლოდ მიწვეული გერმანიაში, შესანიშნავი გუნდია, დიდი წარმატებაც ჰქონდა. აქედან იწყება ჩემი ე.წ. „კულტურის პოლიტიკის“ სფეროში მოღვაწეობა, ახლა ხშირად მიწვევენ ბონში, სსრ კავშირის საელჩოში.



ძ. ზაპარბრიუკენი, ოსკარ ლაფონტენი „რუსთაველის“ მომღერლებთან ერთად

ამჯერად თქვენმა სიმღერამ, მომღერლებმა და მოცეკვავეებმა თვალზე ცრემლი მომგვარეს. ქართული სიმღერა დღეს პირველად მოვისმინე, იგი არაჩვეულებრივად მელოდიური და მომხიბვლელია, განსაცვიფრებელია თქვენი პოლიფონია, ხოლო ცეკვები თავისი ცეცხლოვანებით მაყურებელზე წარმოუდგენელ შთაბეჭდილებას ახდენს. ძალიან მინდა თქვენი ქვეყანა ახლოს გაეცნო, ქვეყანა, რომელსაც ასეთი მდიდარი ძველი კულტურა აქვს. მოდით, ვიმეგობროთ, მე თქვენ გერმანიაში მოგიწვევთ საგასტროლოდ, — შეეთანხმდით.

ჩვენც დიდი სიმპათიით განვეწყვეთ გულღია გერმანელის მიმართ, რომელიც მხოლოდ ხელოვნებასა და მეგობრობაზე საუბრობდა და ირგვლივ სიყვარულს აფრქვევდა.

ბატონ რუდოლფ ჰაინცს ჩვენც სიყვარულით დაუეშმვიდობეთ.

— როლფი დამიძახეთ, — ჩემი მეგობრები ასე მეძახიან, ჩვენ ხომ უკვე მეგობრები ვართ, — გვითხრა მან და ღონიერად ჩამოგვართვა ყველას ხელი.

მართლაც, არ გასულა რამდენიმე კვირა და მოსკოვის „გოსკონცერტში“ მოვიდა რუდოლფ ჰაინცის მოწვევა ანსამბლ „რუსთავზე“ (მაშინ ასეთი წესი იყო). „გოსკონცერტმა“ რომელიღაც რუსული ანსამბლი შესთავაზა, მაგრამ რუდოლფმა შორს დაიჭირა და კატეგორიულად მოითხოვა ანსამბლი „რუსთავი“ საქმეში ჩაბმულიყო საქართველოს კულტურის სამინისტრო. ასეც მოხდა და საკითხი დადებითად გადაწყდა.

რუდოლფ ჰაინცი ამ გასტროლებისთვის საგანგებოდ მოემზადა. მან შექმნა ჯგუფი „ჰერა“, რომელიც მისი მეგობრებისა და თანამოაზრეებისაგან შედგებოდა. ამ

ჯგუფს უნდა მოეშზადებინა ჩვენი გასტროლი გერმანიაში. მაშინ „პერას" წევრები იყვნენ: რუდოლფ პაინცი და მისი მეუღლე ქალბატონი ედელტრაუტ ლუის (ედელი), მანფრედ ზაიფერტი, ქალბატონი ილზე ბერგი, კარლ კალკიული, ლოთარ ბეტცი, ოტმარ გასტი, როზვიტა და ფრიდპელმ ზელბახები, ჰანს და პანი რიომლერები. ისინი შესანიშნავი პიროვნებები იყვნენ.

„პერას" თითოეულ წევრს თავისი ფუნქცია პქონდა დაკისრებული.

ჩვენ ეს ჯგუფი თბილისში მოვიწვიეთ. დავათვალიერებინეთ ძველი ისტორიული ძეგლები, პქონდათ სასიამოვნო შეხვედრები ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებთან, მათ დაუმეგობრდა საქართველოს კულტურის მინისტრი, ბატონი ვალერი ასათიანი, თბილისის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ბატონი მალხაზ კაკაბაძე და სხვები. გერმანელები ვაზიარეთ ქართული „სუფრის წესს", თამადის ხელოვნებას, ქართულ სადღეგრძელოებსა და მასთან დაკავშირებულ სიმღერებს, ვასწავლეთ სასმისის დაცლება ბოლომდე. ეს სიტყვა ძალიან მოეწონათ ჩვენს მეგობრებს. „ბოლომდე" – ამბობდნენ კარლი და ლოთარი, თან ცერა თითის ფრჩხილზე იწურავდნენ დაცლილ სასმისს. ჩვენს სტუმრებს ძალიან მოეწონათ საქართველო და ქართველები. ჩვენ ერთმანეთს დავშორდით იმ იმედით, რომ მალე კვლავ შევხვდებოდით. ამჯერად გერმანიის ქალაქ რადეფორმვალდში.

***

1987 წელს მაინის ფრანკფურტში ანსამბლ „რუსთავს" დახვდა „პერას" მთელი ჯგუფი, იყო საოცარად თბილი შეხვედრა. მაინის ფრანკფურტიდან ქ. რადეფორმვალდამდე „მერსედესის" ფირმის საუკეთესო ავტობუსით ვიმგზავრეთ.

რადეფორმვალდში საღამოს ჩავედით და რაც იქ ვნახეთ, „რუსთავს" მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ უნახავს. გერმანელმა მეგობრებმა არაჩვეულებრივი შეხვედრა მოგვიწყვეს. რატუშასთან, ქალაქის ცენტრალური მოედანი ხალხით იყო გაჭედილი, იქ იყო ქალაქის ხელმძღვანელობა. ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი ორკესტრი საზეიმო მუსიკებს უკრავდა. ყველგან გაკრული იყო ტრანსპარანტები ასეთი წარწერებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება", „სალამი ანსამბლ „რუსთავს", „ხელოვნებას საზღვრები არა აქვს" და სხვა. ამ შეხვედრაზე რუდოლფ პაინცმა სპეციალურად მოიწვია კაცი, რომელმაც საბჭოთა კავშირში არსებული რთული იდეოლოგიური პოლიტიკის მიუხედავად თბილისსა და ზაარბრიუკენს შორის მეგობრობის ურყევი ხიდი გასდო. ამ ხიდის არქიტექტორი და მშენებელი პერმან ვედეკინდი გახლდათ. ეს ხიდი უკვე 30 წელია არსებობს და მომავალშიც იარსებებს.

პერმან ვედეკინდმა ერცელი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. მან დამსწრეთ უამბო იმ სიკეთეზე, რომელიც გერმანელი და ქართველი ხალხის მეგობრობამ მოიტანა. მან თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „ხელოვნებას საზღვრები არა აქვს, გაუმარჯოს საქართველოს და გერმანიის მეგობრობას, გაუმარჯოს მშვიდობას, სიყვარულს და ძმობას"

ვედეკინდის შემდეგ სიტყვით გამოვიდა რუდოლფ პაინცი, რომელმაც არაჩვეულებრივად თბილი სიტყვა წარმოსთქვა, მოგვესალმა ქალაქ რადეფორმვალდის მერიც, საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა მალხაზ კაკაბაძემ. გერმანულად შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა ჩვენმა მეგობარმა, ბატონმა ვახტანგ კუპრავამ. შემდეგ შეხვედრა გაგრძელდა ქალაქის განაპირას,

ტბასთან მდებარე ულამაზეს რესტორანში, გერმანელებმა ბრწყინვალე მასპინძლობა გაგვიწიეს.

რუსთაველმა გერმანიის 14 ქალაქში 22 კონცერტი გამართა. მოვიარეთ რადეფორმვალდი, რემშაიდი, ვუპერტალი, შვაინფურტი, რუნდფარტი, ზოლინგენი, კიოლნი, დიუსელდორფი, მაინერც პაგენი, ლევერკუზენი და სხვა. კონცერტებმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა, ამას აღნიშნავდა იქაური პრესა. გასტროლები უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი კონცერტები, რუდოლფ პაინცმა და „პერამ“ იგი ზეიმებად აქციეს. ყველა ქალაქში კონცერტის წინ ქალაქის ხელმძღვანელობა და მოწინავე საზოგადოება გვხვდებოდა, იყო საოცარი მისალმებები, ყვავილები და საჩუქრები. კონცერტის შემდეგ საუცხოო ვახშამს მართავდნენ. როლფი ყველგან თამადობდა, თავი მოსწონდა, რომ „მისმა“ ანსამბლმა დიდი წარმატება მოიპოვა. როლფთან ერთად ყველა ქალაქში დაგვყვებოდა „პერას“ ჯგუფი, ისინი თავს გვევლებოდნენ, საოცარი ყურადღებით იყვნენ ჩვენ მიმართ. ეს გასტროლი დაუვიწყარია ჩვენთვის.

გასტროლების გეგმაში ჩასმული იყო კონცერტი ჩვენს დაძმობილებულ ქალაქ ზაარბრიუკენში. კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის იყო ანსამბლ „რუსთაველის“ და საქართველოს დიდი მეგობარი ოსკარ ლაფონტენი. კონცერტის ბოლოს იგი სცენაზე ამოვიდა, მოგვესალმა და ჩვენთან ერთად რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულა. მერე სუფრაზეც გვითამადა.

დაუვიწყარი იყო გამოსათხოვარი საღამო, რომელიც ჩვენმა მეგობრებმა „პერას“ წევრებმა გაგვიმართეს ძვირფას რესტორანში. მათ არაჩვეულებრივი პროგრამა მოემზადებინათ, იყო საერთო მხიარულება და ლუდის სმა „ბოლომდე“ გამომშვიდობებისას გულაჩუყებულები დავშორდით ერთმანეთს.

თითქმის მთელი თვე დავყავით გერმანიაში, განგვაცვიფრა მათმა სტუმართმოყვარეობამ და საოცარმა ყურადღებამ. როცა თბილისში ვბრუნდებოდით, ყველას ერთი აზრი გვიტრიალებდა: როგორ უნდა გადაგვეხადა ის პატივისცემა, რომელიც ჩვენ მიმართ გერმანელმა მეგობრებმა გამოიჩინეს.

არ შეიძლება მადლობა არ ვუთხრათ დელეგაციის ხელმძღვანელს, ბატონ მალხაზ კაკაბაძეს და ქალბატონ ია ხვადაგიანს, ჩვენს თარჯიმანს, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს გასტროლების ღირსეულად ჩატარებაში.

***

მომდევნო წელს რუდოლფ პაინცმა ისევ მიგვიწვია გერმანიაში.

დელეგაციის ხელმძღვანელი ამჯერადაც მალხაზ კაკაბაძე იყო, ჩვენთან ერთად იყვნენ აგრეთვე ჩვენი უსაყვარლესი პიროვნებები: ვახტანგ კუპრავა, რეზო თაბუკაშვილი, თარჯიმანი ია ხვადაგიანი და ოპერატორი იური ბარამიძე.

მოსკოვიდან აღმოსავლეთ ბერლინში 3 სექტემბერს უზარმაზარი საბჭოთა ლაინერით „ილ 86“-ით გაეფრინდით.

ეს გაფრენა კინაღამ ტრაგიკულად დასრულდა. თვითმფრინავი ნორმალურად აფრინდა. მე ბატონი რეზო თაბუკაშვილის გვერდით ვიჯექი. ნახევარი საათის შემდეგ შევამჩნიეთ, რომ ჩვენმა თვითმფრინავმა სიმაღლე ვერ აიღო და ტყეების თავზე დაფრინავდა. გაეიდა კიდევ 10 წუთი, ბორტგამცილებლები ფერდაკარგულები დარბოდნენ და მოგვიწოდებდნენ სკამზე მისაბმელი ღვედები მაგრად შეგვეკრა. ჩვენ ვერ გავიგეთ, რა მოხდა, თვითმფრინავი მძიმედ ირყეოდა, ღმუოდა და სიმაღლეს

ვერ იღებდა. ბატონმა რეზომ ილუმინატორში გაიხედა, „მასი ვერ აკეცა". — თქვა მან მშვიდად. მარჯვენა ფრთის ქვეშ ერთი ბორბალი ავისმომასწავებლად ეკიდა ჰაერში. თვითმფრინავში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს და გვითხრეს, რომ მალე „დომოდედოვოს" აეროპორტში დაეშვებოდით. ირგვლივ ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდა, ვერავინ ხმას ვერ იღებდა საშინელების მოლოდინში. როცა თვითმფრინავი ეშვებოდა, დავინახეთ ასაფრენი ბილიკის გასწვრივ უამრავი „სახანძრო" და სასწრაფო დახმარების მანქანები იდგა. თვითმფრინავი უხეშად დაებერტყა მიწაზე, ცოტა ხანს მარცხნივ გადახრილი მიდიოდა, მერე თანდათან გასწორდა და სიჩქარეს უკლო, ჩვენ ჩაეუქროლეთ სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანებს. „დავჯექით" — დაიღრიალა ვიღაცამ. მე ისე მაგრად ჩამებღუჯა სკამის სახელურები, რომ ხელისგულები მტკიოდა. კარგა ხანს ფეხზე ვერავინ დგებოდა. ბატონი რეზო კაბინისკენ წაიყიდა, იქიდან გამოსულ პილოტებს გამოელაპარაკა და მერე ყველაფერი გვიამბო: თურმე თვითმფრინავის ერთი ბორბალი არ აიკეცა, ამიტომ სიმაღლე ვერ აიღო და პილოტები იძულებული გახდნენ „დომოდედოვოს" აეროდრომზე აკარიული დაშვება განეხორციელებინათ, მათ იმედი ჰქონდათ, რომ ერთ შასზე ძლიერი დარტყმის შემდეგ სხვა ბორბლებიც გაიხსნებოდა. მართლაც ასე მოხდა. როცა თვითმფრინავის კიბეზე ჩამოვდიოდით, მე დავაფიქსირე თვითმფრინავის ნომერი 86015 (რამდენიმე წლის შემდეგ ამ თვითმფრინავით ლიბანიდან მოსკოვში გამოვფრინდით, მაგრამ მე ამის შესახებ ანსამბლს არ გაუმხილე).

მოსაცდელ დარბაზში ერთი საათი გვაყურყუტეს, თვითმფრინავი შეგვიცვალეს. შერე ისევ ბერლინისკენ ავიღეთ კურსი.

აღმოსავლეთ ბერლინიდან დასავლეთში უნდა გადაესულიყავით, რაღაც 50 მეტრის გავლას 4 საათი მოუნდით. მაშინ პირველად გადავლახეთ „ბერლინის კედელი" რომელსაც „აღმოსავლეთის" გერმანელები აკონტროლებდნენ. ეს იყო



ძ. რადეშოროცკალდი. „რუსთაველის" მეგობრები — „ვეფხის ჯგუფში 1987 წ.

საშინელება; ბარგისა და ჯიბეების გასინჯვა, გასინჯვა, გასინჯვა... ბარგი რამდენჯერმე ამოგვაღებინეს და გაგვახსნევინეს, რას ეძებდნენ არ ვიცი, ფული ჩვენ არ გვქონდა, ხოლო მაშინ ნარკოტიკების ხსენებაც არ იყო საქართველოში, ჩვენი ავტობუსი ერთი პოსტიდან მეორეში გადადიოდა კუს სიჩქარით, ყველგან მაეთულხლართებით ვიყავით გარშემორტყმული, გაყინული სახეებით და თვალებით პასპორტებს ისე აკვირდებოდნენ, როგორც V საუკუნის ხელნაწერებს, მერე შეაგროვეს, სადღაც წაიღეს და მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ დაგვიბრუნეს. ჩვენ ისეთი ბიუროკრატია ვნახეთ, რუსებს არც კი დაესიზმრებოდათ. მოკლედ, ისე გაგვაწამეს, რომ ცეკვა-სიმღერის ხალისი საერთოდ დაგვიკარგეს.

აღმოსავლეთ ბერლინის საზღვარზე ხომ პოსტიდან პოსტზე სიკვდილმისჯილებივით გადავყავდით, დასავლეთის საზღვარზე, რომელსაც უკვე იქაური გერმანელები აკონტროლებდნენ უპრობლემოდ გაგვატარეს. ჩემთვის დღემდე გაუგებარია ერთი და იგივე ხალხი საბჭოურ ნაწილში რუსებმა ისე როგორ მოაქციეს, რომ ტიპურ რუსის ბიუროკრატსაც კი შეშურდებოდა. ვინც ბერლინის თეთრ კედელში არ გასულა, იგი ჩემს მონათხრობს ვერ გაიგებს.

დასავლეთ ბერლინში დაგვხვდა ჩვენი მეგობარი რუდოლფ პაინცი მეუღლისა და „ჰერას“ რამდენიმე წევრის თანხლებით. მათი დანახვა მზის ამოსვლა გვეგონა, ისეთი შეხვედრა გვქონდა, ჩვენთან სამამულო ომიდან დაბრუნებულებს რომ ხვდებოდნენ.

ბერლინიდან გავემგზავრეთ ქ. გიფჰორნში, სადაც ღია ცის ქვეშ „წისქვილების მუზეუმია“. იქ დგას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უზარმაზარი ქარის წისქვილები. მათი მფლობელია რუდოლფ პაინცის მეგობარი – ჰორსტ ფრობენი. მან 1980 წელს გიფჰორნში უზარმაზარი ტერიტორია შეიძინა და ზედ მრავალი ქვეყნის ქარის წისქვილები ააშენა. მართლაც იშვიათი სანახავია ეს მუზეუმი. ჯერ ერთი ულამაზეს ადგილზეა გაშენებული, მეორეც აქ არის უნიკალური წისქვილების ასლები. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც რვასართულიანი სახლის სიმაღლისაა, მოწყობილია მუზეუმი, სადაც გამოფენილია იმ გამოჩენილი პიროვნებების დიდი ფოტოსურათები, რომლებიც ამ წისქვილში იმყოფებოდნენ, მათ შორის არიან ნობელის პრემიის ლაურეატები, ამერიკის პრეზიდენტი ბუში (უფროსი), მიხეილ გორბაჩოვი მეუღლითურთ, რომელმაც ეს მუზეუმი რამდენჯერმე ინახულა, სხვათა შორის, ზედა სართულზე დაცულია საძინებელი, სადაც გორბაჩოვმა და მისმა მეუღლემ უკანასკნელი ღამე გაათიეს, მას შემდეგ ქალბატონი რაისა მალე გარდაიცვალა.

ამ წისქვილში გამოფენილია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დიდი პორტრეტი, რომელიც რამდენჯერმე იმყოფებოდა აქ.

მეორე დღეს, 12 საათზე დანიშნული იყო უკრაინული წისქვილის გახსნა, რომელიც ახლახან ააგეს. გახსნას დაესწრნენ უკრაინის ელჩი გერმანიაში და მათი საელჩოს წარმომადგენლები. უკრაინის დელეგაცია ვერ ჩამოვიდა, ამიტომ საზეიმო ცერემონიალში ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა.

წისქვილი უკრაინელმა მღვდელმა აკურთხა, ჩვენ ქართული საგალობლები შევასრულეთ. მერე პატარა კონცერტი გავმართეთ. კონცერტის შემდეგ იყო დიდი მიღება, რომელიც ამ მუზეუმის მფლობელმა ფრობენმა მოაწყო. საღამოს გიფჰორნის საკონცერტო დარბაზში ჩვენი პირველი კონცერტი გაიმართა. ხალხი ოვაციებით შეგვხვდა და ფეხების ბრაგუნით გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას. კონცერტის შემდეგ ბატონმა ფრობენმა არაჩვეულებრივი ვახშამი გაგვიმართა.

მეორე დილით ისევ წისქვილის მუზეუმი დავათვალიერეთ (მას ძალიან დიდი

ტერიტორია უჭირავს), მერე სადილი გაგვიმართეს და სამახსოვრო სუვენირები გადმოგვცეს. ჩვენც გადავეცით მასპინძლებს ქართული სუვენირები, მერე თბილად დაეშმშვიდობეთ და გეზი რუდოლფ ჰაინცის მშობლიურ ქალაქ – რადეფორმვალდისკენ ავიღეთ.

საღამოს 6 საათზე ქალაქის ცენტრში მდებარე მოედანზე მივედით, სადაც არაჩვეულებრივი შეხვედრა მოგვიწყვეს. ჩვენ აქ უკვე მეორედ ვართ. მოედანი ხალხით იყო გაჭედილი, უკრავდა დიდი სასულე ორკესტრი. ბავშვები 18 ეროვნების კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილები, ისინი თავთავიანთ ენებზე მოგვესალმნენ (ეტყობა იმ ქალაქში 18 ეროვნების ხალხი ცხოვრობს). აღმართული იყო სსრ კავშირის, საქართველოსა და გერმანიის დროშები.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ქალაქის ბურგომისტრი, რუდოლფ ჰაინცი და პერმან ვედეკინდი, რომელიც სპეციალურად ჩვენთვის ჩამოვიდა მშობლიურ ქალაქ ბალვედან. საღამოს რესტორანში გაიმართა დიდი მიღება, გერმანელები გულუხვი ხალხია და არაფერს იშურებდნენ ჩვენს პატივსაცემად.

მეორე დილით დავათვალიერეთ ამ პატარა ულამაზესი ქალაქის მიდამოები. შუადღისას გვასადილეს ძველებურ წისქვილში, სადაც არაჩვეულებრივი რესტორანია მოწყობილი. საღამოს რადეფორმვალდის თეატრში დიდი კონცერტი გაიმართა, ხალხი აღტაცებით შეგვხვდა, მოგვართვეს ბევრი ყვავილები. კონცერტის შემდეგ ბურგომისტრმა დიდი მიღება მოაწყო. გვიან ღამემდე ვსხედით შესანიშნავი გერმანული ლუდი.

7 სექტემბერს გავემგზავრეთ ქ. ვუპერტალში. ეს არის ძველი ულამაზესი ქალაქი. დავათვალიერეთ მსოფლიოში ერთადერთი დაკიდული რკინიგზა, რომელიც 100 წლისაა. იგი ქალაქის ცენტრში მდებარეობს — მდინარეს მიჰყვება. მისი სიგრძე 13კმ და 400 მეტრია. ვიმგზავრეთ სამეფო ვაგონით, ეს არის არაჩვეულებრივი მატარებელი, დაკიდული ვაგონებით, მიემგზავრები და ზემოდან ათვალიერებ ქალაქს.

საღამოს გაემართეთ კონცერტი, კონცერტის შემდეგ, როგორც წესი, „პერამ" გაგვიმართა ვახშამი.

მეორე დღეს ჩვენი კონცერტი დიუსელდორფში იყო დაგეგმილი. რადეფორმვალდიდან დიუსელდორფამდე 1 საათის სავალია. საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს ქალაქის ძველი უბნები. აქ გადის წყალუხვი მდინარე რეინი, რომელზეც მარტო დიუსელდორფში 13 ხიდია გადებული.

დიუსელდორფი ის ქალაქია, სადაც ფეხბურთში თბილისის „დინამომ" 1981 წლის 13 მაისს დაამარცხა იენის კარლ ცაისი. მე სტადიონთან მივედი. ქართული ფეხბურთის დიდება აქედან გაიცნო მსოფლიომ. ცოტა მოწყენილი გახლდით, წარმოვიდგინე მაშინდელი ზეიმი, რომელიც შემდეგ აღარ განმეორებულა, ღმერთმა კიდევ მოგვასწროს ასეთ გამარჯვებებს.

ჩვენი კონცერტი გაიმართა ულამაზეს დარბაზ „ტონჰალეში", სადაც 2000 მაყურებელი ეტევა. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ ქართველები თურქეთიდან, ჩვენ მათთან დიდხანს ვისაუბრეთ.

9 სექტემბერი. დღის 1 საათზე გავემგზავრეთ კიოლნში, რომელიც რადეფორმავალდიდან ავტომობილით 20 წუთის სავალზეა. აქ უკვე მერამდენედ ვართ. ჩვენ კარგა ხანი დაეყავით კიოლნის ტაძარში, ვიმღერეთ ქართული საგალობლები, საოცარი აკუსტიკაა, ხმა ნელ-ნელა გაშორდება და მაღალი თაღებისაკენ მიიწევს, თითქოს ზეცაში უნდა ამაღლდეს, მერე ისევ უკან გიბრუნდება.

საღამოს კიოლნის ფილარმონიის დიდ დარბაზში გამოვედით. ეს ერთ-ერთი საუკეთესო დარბაზია, რომელიც ოდესმე გვინახავს. აქ გამოდიან მსოფლიოს ვარსკვლავები. 2200 კაცი გასუსული უსმენდა ჩვენს კონცერტს, ბოლოს ოვაცია გაგვიმართეს. კონცერტის შემდეგ იან რაიხოვმა მოაწყო მიღება.

მომდევნო დღეებში კიდევ 3 კონცერტი გავმართეთ, რომლებმაც დიდად გაახარა რუდოლფ პაინცი და „ჰერას“ წევრები. 12 სექტემბერს როლფმა მთელი ანსამბლი თავის ოჯახში მიიწვია. პურმარილი ეზოში გაგვიმართა, ბიჭები იქვე წვაულნენ მწვადებს. ჩვენთან ერთად ქეიფობდნენ როლფის მეგობრები (რომლებიც ჩვენი მეგობრებიც არიან), იყო შეჯიბრება ლუდის სმაში, ყველას რუდოლფ პაინცმა, ფრიდონ სულაბერიძემ და ომარ კელაპტრიშვილმა აჯობეს, მათ ლიტრიანი რამდენიმე კათხა ზედიზედ გამოცალეს.

მეორე დღეს გავემგზავრეთ ქ. ბალვეში. გზად შევიარეთ ჰერმან ვედეკინდთან, რომელიც მაშინ ბალვეს საკონცერტო დარბაზის მთავარ რეჟისორად მუშაობდა. საღამოს კონცერტი გამოქვაბულში გაიმართა. ეს არის მიწისქვეშა დარბაზი, სადაც ფესტივალები იმართება. იგი ბალვეს მთიან რაიონში მდებარეობს. ამ ბუნებრივი გამოქვაბულის მდებარეობა მშვენიერადაა გამოყენებული საკონცერტო დარბაზისთვის, რომლის სიგრძე დაახლოებით 40, ხოლო სიმაღლე 10 მეტრია, იგი 1000 კაცს იტევს და აღჭურვილია შესანიშნავი თანამედროვე ტექნიკით, მოკლედ ეს დარბაზი ეგზოტიკური და დასამახსოვრებელია, სხვაგან ასეთი რამ არ გვინახავს.

პირველი განყოფილება მარტო „რუსთავმა“ გამართა. წინა რიგში იჯდა ღრმად მოხუცებული პერმან ვედეკინდი და სიხარულისგან ტიროდა. მეორე განყოფილება დაეთმო ჰერმან ვედეკინდის სპექტაკლს „ქეთევან წამებული“, რომელშიც ჩვენმა მომღერლებმაც მიიღეს მონაწილეობა და ქართული საგალობლებით დააშვენეს ლამაზი წარმოდგენა. კონცერტის ბოლოს სცენაზე ავიდა პერმან ვედეკინდი და ვრცელი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ ბალვეს ერთ-ერთ ულამაზეს რესტორანში მიღება გამართა. სუფრა ქართული წესით წარიმართა, იყო სიმღერები, ცეკვები და გრძელი სადღეგრძელოები. მერე „რუსთავის“ თითოეულ წევრს საჩუქრები და კონვერტები დაურიგეს, სადაც საკმაოდ სოლიდური თანხა იდო. პერმანმა იცოდა, რომ ჩვენი საკონცერტო შემოსავლის დიდ ნაწილს „გოსკონცერტი“ წაიღებდა, ამიტომ მან პირადად დაასაჩუქრა ანსამბლის წევრები.

როცა რესტორნიდან გამოვედიოდით, პერმანმა ხელი მომხვია და გვერდზე გამიყვანა.

— შენ კარგად მიცნობ, — მითხრა მან, — მე უკვე ღრმად მოხუცებული ვარ და მინდა ერთი რამ გთხოვო. თუ ისე მოხდა, რომ გერმანიაში მოვკვდე, გთხოვ, ჩემს მეგობრებსა და საქართველოს მთავრობას გადასცე ჩემი უმორჩილესი თხოვნა, ჩემი ნეშტი საქართველოში გადაასვენონ, — თქვა პერმანმა და ცრემლები გადმოყარა. მეც ცრემლი მომერია.

როგორ უნდა უყვარდეს კაცს საქართველო, რომ ასეთი რამ ინატროს.

ბალვედან რადეფორმვალდში გვიან ღამე დავბრუნდით. იქ დაგვხვდა ბატონი რეზო თაბუკაშვილი, რომელიც მიუნხენიდან დაბრუნებულიყო. მან ძალიან ცუდი ამბავი შეგვატყობინა, გარდაიცვალა ჩვენი დიდი მეგობარი, შესანიშნავი მსახიობი თენგიზ ჩანტლაძე.

მომდევნო დღეს კონცერტი გავმართეთ იმ ქალაქში, სადაც მზადდება „ბაიერის ასპირინი“, რომელიც მრავალ ქვეყანას ამარაგებს. კონცერტის შემდეგ ჩვენთან



ძ. გიუკორნი, ფისძეილების მუზეუმში

მოვიდნენ ქართველები თურქეთიდან — ნური ხინკილაძე, კირკიტაძე, ხინიკაძე და სხვები, დაახლოებით 25 კაცი.

15 სექტემბერს ერთ-ერთ ეკლესიაში იქაური რადიოს მოთხოვნით ჩაწერეთ 10 სიმღერა. საღამოს რადეფორმველდიდან 30 კილომეტრის დაშორებით ჩვენმა მეგობრებმა გაგვიმართეს გამოსათხოვარი საღამო; მოიწვიეს მშვენიერი ორკესტრი, ილუზიონისტები, მოცეკვავე გოგონები, გერმანული მომღერლები; იყო საოცარი მოლხენა, ლუდის სმა, სიმღერა-ცეკვა და ყველანაირი გართობა. გამოსათხოვარ საღამოზე ბალეედან სპეციალურად ჩამოვიდა პერშან ედეკინდი.

16 სექტემბერს დილის 10 საათზე ჩვენთან ჩამოვიდა პოლანდიელი იმპრესარიო იან პეინგი და პოლანდიაში წაგვიყვანა საგასტროლოდ. ავტობუსზე მგონი მთელმა რადეფორმველდმა გაგვაცილა. იყო გულის ამაჩუყებელი დამშვიდობება.

5 საათის მგზავრობის შემდეგ ჩაველით ზაანდარშში, სადაც ჩვენი პირველი კონცერტი იყო დაგეგმილი. გაგვანაწილეს ოჯახებში. მე და მალხაზ კაკაბაძე მოვხვდით მებოსტნის ოჯახში, მშვენიერი ოჯახია, ცოლს ჰქვია ტრუსი, ქმარს — იუპი. ჰყავთ 4 შვილი, ისინი ძალიან თბილად შეგვხვდნენ. მეორე დილით წაგვიყვანეს ექსკურსიაზე, ვნახეთ სახლი, სადაც პეტრე პირველი ერთი კვირა ცხოვრობდა 1696 წელს. საინტერესოა, რომ ოთახში, სადაც პეტრე პირველს ეძინა, დგას უცნაური საწოლი, რომელიც გაშლილ სკამს უფრო პგავს. როგორც ჩანს, პეტრე პირველს მასზე ეძინა

ნახევრად მჯდომარეს. საოცარია, 2 მეტრი და 4სმ სიმაღლის მეფე როგორ ეტეოდა ამ პატარა სკამ-ლოგინზე.

ზაანდარმში რამდენიმე დღე დავყავით.

კონცერტები კარგად მიდიოდა. ყველა კონცერტის შემდეგ საღამოობით ტრუსი და იუპი არაჩვეულებრივ ვახშამს გვიწყობდნენ. ისინი მართლაც გულღია და პურადი ხალხი არიან. ჩვენ ძალიან დავმეგობრდით და მოგვიანებით ისინი თბილისში მოვიწვიეთ.

შემდეგ საცხოვრებლად გადავედით ჰეტენში – პეპინგის სოფელში. ყოველ დილით ჩამოიელიდა დიდი მანქანა „სუპერმარკეტი“, სადაც ყველაფერი იყიდებოდა, რაც კი ადამიანს ესაჭიროება, ყოველნაირი პროდუქტი, სამელი და კიდევ მრავალი რამ. იგი ყველა ჭიშკართან ჩერდებოდა და ვაჭრობდა. ჰეტენიდან დავდიოდით კონცერტებზე როტერდამსა და ჰააგაში.

ჩვენს საელჩოში ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა წაიკითხა ლექცია ტექსელელებზე. ლექცია ძალიან საინტერესო იყო, ლექტორს ბევრი შეკითხვა დაუსვეს, მათ შორის არასასიამოვნოც.

საღამოს კონცერტის შემდეგ მიგვიღო ბურგომისტრმა.

24 სექტემბერს კონცერტი ჩავატარეთ ქ. სიტარდში. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეს“ „მშობლები“ (როგორც „მართვეს“ ბიჭები ეძახდნენ). „მართვე“ ჰოლანდიაში შარშან იყო საგასტროლოდ. ბავშვები ცხოვრობდნენ ოჯახებში. მასპინძლებმა შვილებიით შეიყვარეს პატარა მომღერლები. ჩვენს კონცერტზე მოსული „მშობლები“. უცრემლოდ ვერ იგონებდნენ „მართვეს“ ბიჭებს. ასე იყო სხვა ქალაქებშიც, სადაც კი „მართვეს“ უცხოვრია.

24 სექტემბერს შეგეატყობინეს, რომ რეზო თაბუკაშვილის დედა გარდაიცვალა. ყველამ გულწრფელად მივუსამძიმრეთ მას. 25 სექტემბერს, დილით ბატონი რეზო თბილისში გამოფრინდა.

27 სექტემბერს ეტენში ცხენების დღესასწაული ჩატარდა. სოფლის მოედანზე გამოიყვანეს სხვადასხვა ჯიშის ცხენები, მათ შორის პატარა „პონები“. როგორც ჩანს, აქ ცხენი ძალიან უყვართ, რახან მისი დღესასწაულიც დააწესეს. გარდა ცხენებისა, მოაწყვეს ჯუჯა თხების, ქათმების და ძაღლების გამოფენაც.

ყოველივე ეს ძალიან ლამაზი სანახავი იყო. ამას დაემატა ისიც, რომ გამოფენის ტერიტორიაზე იყიდებოდა ჰოლანდიური ქაშაყი და ლუდი „ჰეინეკენი“. ეს არის უგემრიელესი თევზი, რომელმაც „ჰეინეკენთან“ ერთად ჩვენი ყველაზე „სტაჟიანი“ გურმანებიც კი განაცვიფრა.

„რუსთაველი“, სრული შემადგენლობით, ჰოლანდიაში პირველად გამოვიდა. კონცერტები მაღალ დონეზე ჩატარდა, ბევრი თაყვანისმცემელი შევიძინეთ, გაზეთებმა მაღალი შეფასება მისცეს „რუსთაველს“ გამოსვლებს. თბილისში გამგზავრების წინ იან პეპინგმა გვითხრა, რომ მომავალში ისევ აპირებს „რუსთაველის“ მიწვევას ჰოლანდიაში.

ამის შემდეგ კიდევ ორი კონცერტი გავმართეთ.

ერთ საღამოს ჰოლანდიაში ჩვენს კონცერტზე ჩამოვიდნენ „ჰერას“ წევრები. თან ჩამოიტანეს საჩუქრები. იყო გულღია შეხვედრა. კონცერტის შემდეგ დაგეპატიჟეს რესტორანში, საიდანაც დიდხანს ისმოდა გერმანული და ქართული სიმღერები. მერე დააზუსტეს, როდის ებრუნდებოდით საქართველოში და გვიან ღამით გაბრუნდნენ რადეფორმვალდში.

ჰოლანდიაში გასტროლები დამთავრდა, ბოლო კონცერტის შემდეგ ავტობუსში ჩავალაგეთ ბარგი, დავემშვიდობეთ ჩვენს მეგობარ ჰოლანდიელებს და სამშობლოსკენ გამოვემგზავრეთ.

წინ დიდი გზა გველო, მთელი ღამე უნდა გვეველო ჯერ ჰოლანდიის, ხოლო შემდეგ გერმანიის ტერიტორიაზე და ადრე დილით ფრანკფურტიდან უნდა გაეფრენილიყავით თბილისში.

კონცერტით დაღლილ ანსამბლის წევრებს მშვიდად ეძინათ ავტობუსში. გავიარეთ ჰოლანდია და შევედით გერმანიის ტერიტორიაზე. გარეთ ცივოდა, მე არ მეძინა და გზას გავცქეროდი. იქნებოდა ასე ღამის 3 საათი, როცა ჩვენმა მძღოლმა საყვირი ჩართო და ნელ-ნელა დაამუხრუჭა ავტობუსი. გზაზე ხალხი გამოსულიყო, რომელთაც ანთებული ჩირაღდნები ეჭირათ ხელში და აიძულეს მძღოლი, მანქანა გაეჩერებინა. ჩვენ ვერ გავიგეთ, რა მოხდა, მძღოლმა კარები გააღო და ის იყო საჩხუბრად მოემზადა, რომ ავტობუსში როლფის მჭექარე ხმა გაისმა — „გამარჯობათ“. ქუჩის განაპირას იდგნენ „ჰერას“ წევრები მეუღლეებთან ერთად და „სულიკოს“ მღეროდნენ. მათ 400 კმ გამოეველოთ ჩვენთან შესახვედრად. მინდორში ენთო კოცონი, კოცონზე მწვადები იწვებოდა. ჩვენს ძმებს უამრავი საჭმელ-სასმელი წამოეღოთ ჩვენი გემოვნების მიხედვით, გარდა ამისა, „რუსთავის“ ყველა წევრს პაკეტები დაურიგეს, რომელშიც სამახსოვრო საჩუქარი და მდიდრული საგზალი იდო.

ჩვენს მეგობრებს სუფრა უკვე გაეშალათ, ირგელივ თავიანთი მანქანები დაეყენებინათ ანთებული ფარებით. ჩვენ ქეიფს შევუდექით. თამადად როლფი იყო, სასმისები ისმებოდა ბოლომდე. „ბოლომდე“ — ყვიროდა ლოთარი, „ბოლომდე“ — იძახდა კარლი და ცერა თითის ფრჩხილზე იწურავდა დაცლილი სასმისის უკანასკნელ წვეთებს.

გუგუნებდა „მრავალჟამიერი“, მერე ფრიდონ სულაბერიძემ, რომელიც სმაში ტოლს არავის უდებდა, ავტობუსიდან დოლ-გარმონი მოატანინა მუსიკოსებს და ისეთი ცეკვა-თამაში გაჩაღდა, რომ უკეთესს საკონცერტო დარბაზშიც ვერ ინატრებდით. ავტოსტრადაზე გამველელი მანქანები ჩერდებოდნენ და გაკვირვებული უყურებდნენ ამ მართლაც იშვიათ სანახაობას. ზოგიერთმა მანქანა დააყენა და ჩვენ შემოგვიერთდა. თუმცა საკმაოდ ცივოდა, მაგრამ იმდენი სითბო და სიყვარული გვაჩუქეს ჩვენმა გერმანელმა მეგობრებმა, რომ სიცივე ერთი წუთითაც არ გვიგრძენია. ქეიფი დიდხანს გასტანდა, რომ ავტობუსის მძღოლს არ შეეხსენებინა — შეიძლება თვითმფრინავზე დაგვაგვიანდესო. ჩვენ დავემშვიდობეთ საყვარელ მეგობრებს და სიმღერით ავედით ავტობუსში.

ავტობუსი ნელ-ნელა დაიძრა. გზის პირას გამწკრივებულიყვნენ ჩვენი მეგობრები, რომლებიც ხელებს გვიქნევდნენ და თვალცრემლიანები მღეროდნენ „სულიკოს“.

„რუსთავს“ მრავალი ქვეყანა მოუვლია, მაგრამ ასეთი სიყვარული არსად გვინახავს, ის ღამე არასოდეს დაგვავიწყდება.

***

1991 წელს 7 სექტემბრიდან რუდოლფ პაინცმა „რუსთავი“ ისევ მიიწვია საგასტროლოდ გერმანიაში ერთი თვით. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კონცერტები და შეხვედრები უმაღლეს დონეზე იყო დაგეგმილი.

„რუსთავის“ წევრები დანაღელიანებული ჩანდნენ, იმ დროს საქართველოში მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო, გერმანიის ტელევიზია ყოველდღე გადმოსცემდა

შემზარავ კადრებს. საქართველოში სამოქალაქო ომის აჩრდილი დადიოდა და სისხლის სუნი ტრიალებდა.

ანსამბლის წევრთა „ნაღველი“ სცენაზე არ იგრძნობოდა, ისინი ღიმილით უკრავდნენ თავს აღფრთოვანებულ მაყურებელს, რომელიც სკანდირებდა და ნომრების გამეორებას მოითხოვდა.

ჩვენი პირველი კონცერტი 8 სექტემბერს გაიმართა გიფჰორნში, წისქვილების მუზეუმში, სადაც ერთხელ უკვე ვიყავით. მუზეუმის დირექტორი და თანამშრომლები შეგვხვდნენ როგორც ძველ მეგობრებს. კონცერტის მეორე დღეს გიფჰორნის გაზეთი წერდა:

„რუსთავმა“ მოაჯადოვა გიფჰორნი. 1991წ. 9.09.

„მომღერალმა და მოცეკვავე დესპანებმა საქართველოდან დაიპყრეს გიპორნის საზოგადოების გულები. რუსთავის რეპერტუარი მთელ ქართულ ფოლკლორს მოიცავს. მსმენელ-მაყურებელი ვერ დაივიწყებს იმ ეაჟკაცობასა და სინატიფეს, რომელიც ახასიათებს ყოველ ქართულ სიმღერასა და ცეკვას.

ომარ კელაპტრიშვილი სალამურით ვირტუოზულად გადმოსცემს ქართველი მწყემსის საოცარ მელოდიებს“.

ერთი თვის განმავლობაში მოვიარეთ ჩვენი ნაცნობი ქალაქები. მოვინახულეთ მეგობრები. ამ გასტროლზე „რუსთავის“ შესახებ ბევრი დაიწერა, სამწუხაროდ მხოლოდ სამი სტატია შემოგვრჩა:

„ქართველმა სტუმრებმა აღფრთოვანება გამოიწვიეს“

რადეფორმვალდის გაზეთი „ბერგიშე მორგენპოსტ“ 23 სექტემბერი, 1991 წ. „ქალაქის ბურგომისტრი ფრიდელ მიულერი მიესალმა კონცერტის დაწყებამდე სტუმრებს საქართველოდან და დაარწმუნა ისინი, რომ ქალაქის მოსახლეობა მათ გაშლილი ხელებით, ღია გულით და თვალებით შეხვედებოდა და ამასთანავე იწინასწარმეტყველა, რომ საკონცერტო დარბაზი აღტაცებით აგუგუნდებაო“.

მისი წინასწარმეტყველება მალე ახდა. მაყურებლები მთელი კონცერტის მანძილზე ისე გაიტაცა ქართველი ოსტატების ხელოვნებამ, რომ ხალხით გაჭედილი დარბაზი აღფრთოვანებული გუგუნებდა ტაშისცემით და შეძახილებით.

პროგრამის დასასრულს მაყურებელი მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით მოითხოვდა ანსამბლისაგან ცეკვებისა და სიმღერების გამეორებას. ქართველმა მომღერლებმა თავისი მადლობა გერმანული სიმღერით გამოხატეს“.

***

გაზეთი „ვესტფალენპოსტ“, 26 სექტემბერი, 1991წ.

„ეს იყო ქალაქ ატენდორნის საკონცერტო სცენაზე ყველაზე დიდი კულტურული სპექტაკლი მიმდინარე წელს. ქართული სულის უბრწყინვალესი ვირტუოზულობით გამოცხადებამ ზღაპრულ სამყაროში ამყოფა ქალაქის საზოგადოება, რომელმაც საკონცერტო დარბაზი ააესო.

მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა ანსამბლმა „რუსთავმა“ ამ საღამოს სრულყოფილად წარმოადგინა საკუთარი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა და დაუვიწყარი საათები უბოძა მსმენელ-მაყურებელთ.

ორსაათნახევრიანი შოუს შემდეგ ატენდორნის სხვადასხვა ფირმების წარმომადგენლებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს ქართველ არტისტებს“.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ამ გას-

ტროლის დროს მოხდა. მას შემდეგ, რაც სსრ კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელი გახდა, ეს იყო ჩვენი პირველი გასტროლი გერმანიაში მოსკოვის „გოსკონცერტის“ გარეშე. ამიტომ ყველა ოფიციალურ მიღებაზე მხოლოდ საქართველოსა და გერმანიის დროშები ეკიდა, ხოლო ანსამბლის მთელი შემოსავალი საქართველოში მოგვქონდა. გერმანიაში დელეგაციის ხელმძღვანელად გაგვაყოლეს ჩვენი მეგობარი კონსერვატორიიდან, საგუნდო-დირიჟორი, იმჟამად ქ. რუსთავის მერი თემურ ჯანელიძე.

ანსამბლმა გასტროლები წარმატებით დაიწყო. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ცუდად გახდა, მას გულის პრობლემები აღმოაჩნდა. შეწუხდნენ ჩვენი მასპინძლები, „ჰერას“ წევრები; ფეხზე დააყენეს რადეფორმეალდის ექიმები. გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თემური სასწრაფოდ უნდა გადაეყვანათ გულის კლინიკაში. იგი გადაიყვანეს ქ. ვეხტაში ელეონორა ფელდკამპფის კლინიკაში, რომელიც „ჰერას“ წევრის მანფრედ ზაიფერტის მეგობარი იყო.

გერმანიამდე „რუსთავს“ ჰქონდა ოთხთვიანი ტურნე აშშ-ში. იქაური დანაზოგი ფულით გერმანიაში შეეიძინე მშვენიერი „მერსედესი“, როლფს ეს ამბაიი ძალიან გაუხარდა, რამდენიმე დღე ამ მანქანით ვსეირნობდით რადეფორმეალდში. ერთ დღეს ელეონორა ფელდკამპფმა დაგვირეკა, რომ თემურ ჯანელიძესთვის სასწრაფო ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ გულზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაიღუპებოდა. ოპერაცია ძალიან ძვირი ჯდებოდა, თუმცა ქალბატონმა ელეონორამ ყველაფერი იღონა, რომ ოპერაცია შეღავათიან ფასებში გაკეთებულიყო. ჩვენ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდით. რა უნდა გეექნა, სასწრაფოდ ფული უნდა გვეშოვა. მე „მერსედესი“ დავაბრუნე უკან, მაგრამ მარტო ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა. მაშინ დატრიალდნენ ჩვენი მეგობრები, „ჰერას“ წევრები. „რაიფაიზენბანკის“ დირექტორის მანფრედ ზაიფერტის თაოსნობით მათ ეს ფული შეაგროვეს და გულის კლინიკაში გადარიცხეს.

ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. რამდენიმე დღის შემდეგ მანფრედ ზაიფერტმა ჩამისვა მანქანაში და თემურ ჯანელიძის სანახავად წამიყვანა დაახლოებით 300 კმ-ის მანძილზე. გულის კლინიკა ულამაზეს პარკში იყო მოთავსებული (შემდეგ ამ კლინიკაში ელეონორა ფელდკამპფის თაოსნობით რამდენიმე ქართველს გაუკეთეს ოპერაცია, მათ შორის იყვნენ — ჯანსუღ კახიძე, ჯუმბერ ჩოლობარგია და სხვები). მეგონა, თემური რეანიმაციის განყოფილებაში იქნებოდა ლოგინს მიჯაჭვული და დასუსტებული, მაგრამ, პოი საოცრებავ, იგი ფეხზე დაგეხვდა და ერთი საათი ჩვენთან ერთად დაჰყო. შემდეგ მან რეაბილიტაციის პერიოდი კლინიკაში გაიარა და „რუსთაველთან“ ერთად დაბრუნდა საქართველოში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩვენი თარჯიმნის, შესანიშნავი პიროვნების ია ბაქრაძის მადლი. იგი მთელი ერთი თვის განმავლობაში თავზე ადგა თემურ ჯანელიძეს და ერთი წუთითაც არ მოშორებია.

კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო „ჰერას“ წევრებს და ქალბატონ ელეონორა ფელდკამპფს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს ქართველი მეგობრის გადასარჩენად.

* * *

ჩვენი წინათგრძნობა ახდა. საქართველოში სამოქალაქო ომი დატრიალდა, დაიღვარა ძმათა სისხლი, ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. პირველი, ვინც ჩვენს გვერდით დადგა, იყვნენ გერმანელი მეგობრები.

თებერვლის სუსხიანი საღამო იყო, იდგა 1992 წელი. თბილისში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, თვითმფრინავი ფრანკფურტიდან თბილისის აეროპორტში დაეშვა. თვითმფრინავთან მისასვლელად საგანგებო ნებართვა დაგვჭირდა, რომელიც ქ. რუსთავის მაშინდელმა მერმა ბატონმა სოსო არეშიძემ გაგვცა. ჩემთან ერთად იყვნენ თარჯიმანი ვალერი მჭედლიშვილი, რუსთავის მერის მოადგილე ბატონი სოსო ჯაფარიძე და კიდევ რამდენიმე ოფიციალური პირი.

სატვირთო მანქანები პირდაპირ თვითმფრინავის საბარგულს მივაყენეთ. ტრაპზე რუდოლფ პაინცი გამოჩნდა, იგი ჩქარი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე, თავშიშველი იყო, ტანზე თბილი ქურთუკი ეცვა. მან სათითაოდ ჩაგვიკრა გულში ყველა და ცრემლები გადმოყარა: — „ძალიან ვწუხვარ, რომ საქართველოში ასეთი ტრაგედია დატრიალდა, თქვა მან, — „ჰერას“ ჯგუფისა და კიდევ სხვა მეგობრების დახმარებით შევაგროვეთ თქვენთვის საჭირო ცოტაოდენი ტვირთი და ჩამოგიტანეთ“.

„ცოტაოდენი ტვირთი“ მთელი თვითმფრინავი აღმოჩნდა: მედიკამენტები, სამედიცინო ინსტრუმენტები, ერთჯერადი შპრიცები, საკვები პროდუქტები, თბილი ტანსაცმელი, ტკბილეული და სათამაშოები ბავშვებისათვის, ინვალიდების „ეტლები“ და კიდევ რამდენი რამ.

— „ეს კაცი ექიმი გახლავთ, იქნებ მისი რჩევაც გამოგადგეს, სპეციალურად წამოვიყვანე“, — გვითხრა როლფმა და გაგვაცნო მისი მეგობარი ვერნერ ფინგშაიდტი.

— „აბა, ახლა მოკითხვის დრო აღარ არის, სანამ დაღამდება, სასწრაფოდ ჩამოვცალოთ თვითმფრინავი, საუბარს მერეც მოვასწრებთ“, — თქვა მან, თვითმფრინავის საბარგულში უზარმაზარი ყუთით დატვირთული მალე გამობრუნდა. ჩვენ ბარგის გადმოტვირთვას შევუდექით. კარგა ხნის დაღამებული იყო, როცა ჩვენი სატვირთო მანქანების კოლონა კახეთის გზატკეცილით რუსთავისაკენ გაემგზავრა. კოლონას თან ახლდა რუსთავის პოლიციის შეიარაღებული მცველები, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თავდასხმა. რუსთავში მშვიდობით ჩავედით.

მეორე დღეს, დილით, რუდოლფ პაინცმა გადმოგვცა ჯგუფ „ჰერას“ წერილი, სადაც ჩვენი მეგობრები სიყვარულით გვეკითხებოდნენ და გვანუგეშებდნენ საქართველოში მომხდარი ტრაგედიის გამო.

დილიდანვე დავიწყეთ ჰუმანიტარული ტვირთის დარიგება. პირველად ბავშვთა საავადმყოფოში მივედით, მედიკამენტები და სამედიცინო ტექნიკა გადავეცით, გერმანელი ექიმი ვერნერი წამლებს დანიშნულებისამებრ ანაწილებდა და აავადმყოფებს სათანადო რჩევა-დარიგებას აძლევდა. რუდოლფ პაინცი თვითონ შედიოდა პალატებში და აავადმყოფ ბავშვებს მედიკამენტებთან ერთად სათამაშოებს, ტკბილეულსა და სხვა საკვებ პროდუქტებს ურიგებდა, რომელზეც მაშინ საქართველოში დიდი დეფიციტი იყო.

ამის შემდეგ სხვა საავადმყოფოში წავედით და ის დღე მარტო ჰუმანიტარული ტვირთის დარიგებას მოვანდომეთ.

მეორე დღეს საბავშვო ბაღებსა და ბავშვთა სახლებს ჩამოვუარეთ. პატარები ინტერესით უყურებდნენ უცნობ ძიას, რომელიც მათ სათამაშოებს, ტანსაცმელს და სანუკვარ ტკბილეულს ჩუქნიდა. როლფი გულში იხუტებდა პატარებსა, რომლებიც მონატრებულ ტკბილეულს სასწრაფოდ იტენიდნენ პირში და მეორე ხელი ისევ გამოწვდილი ჰქონდათ. როცა პატარებმა სახელდახელო კონცერტი გაუმართეს „თოვლის პაპასაით“ მოელენილ კაცს, ამაზე როლფმა თაი ვეღარ შეიკავა და

აქვითინდა, მასთან პატარები მივიდნენ და კოცნით ამშვიდებდნენ კეთილ ძიას, ეს იყო სულისშემძვრელი სანახაობა.

ამის შემდეგ როლფმა მძიმე ავადმყოფი ბავშვების სია შეადგინა გერმანიაში სამკურნალოდ. რუდოლფ ჰაინცი საქართველოში რამდენიმე დღე დარჩა. თბილისში ხშირი იყო სროლები და თავდასხმები, მიუხედავად იმისა, მან მოინახულა ძველი მეგობრები და დაასაჩუქრა. როცა რუდოლფმა რუსთაველის გაშხირზე დანგრეული შენობები იხილა, ქაშუეთის ეკლესიის წინ ჩამოჯდა და პატარა ბავშვივით აქვითინდა. იგი შესძრა ამ ტრაგედიამ და რამდენიმე დღე გაოგნებული დადიოდა. გერმანიაში რომ ბრუნდებოდა, თვალცრემლიანი დაგვემშვიდობა და შეგვპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა ჩვენს დასახმარებლად.

მას შემდეგ რუდოლფ ჰაინცი საქართველოში მომხდარი ყველა მოვლენის საქმის კურსშია, ხშირად გვეხმიანება ტელეფონით, გვიგზავნის სანუგეშო წერილებს, „პერასთან„ ერთად იგი მზადაა საქართველოსთვის გაიღოს ყველაფერი საუკეთესო, რაც კი გააჩნია. რუდოლფ ჰაინცი ხშირად აგზავნის სხვადასხვა სახის დიდძალ ჰუმანიტარულ დახმარებას. მან რამდენიმე ასეული ინვალიდის ეტლი გამოაგზავნა, რითაც იმ ადამიანების მადლი მოისხა, რომლებიც წლების განმავლობაში საწოლს იყენენ მიჯაჭვულნი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ რუდოლფი და მისი მეუღლე ქალბატონი ედელი საქართველოზე ფიქრით იძინებენ და იღვიძებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის ყველაზე მძიმე 1991 და 1995 წლებში „ჰერამ“ „რუსთავი“ რამდენჯერმე მიიწვია გერმანიაში საგასტროლოდ. მოგეხსენებათ, ჩვენ გამგზავრებისთვის არავითარი ფინანსური საშუალებები არ გაგვაჩნდა, „ჰერამ“ ყველა ხარჯი საკუთარ თავზე აიღო, ასეთი ერთსულოვანი მხარდაჭერა, ვეჭვობ, რომ კიდევ ვინმეს გამოეჩინოს.

შემოდგომაზე ისევ ჩამოვიდა როლფი საქართველოში მეუღლითურთ, ისევ დიდი ჰუმანიტარული დახმარება ჩამოიტანა, მოინახულა ანსამბლი „რუსთავი“ და სხვა მეგობრები; შეხვდა საქართველოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს. მათ დიდხანს გულიანად ისაუბრეს. როლფმა პატრიარქს სთხოვა, მისთვის რომელიმე ბავშვთა სახლი ეჩვენებინათ. უწმიდესმა გვთხოვა, როლფი ძეგვის ბავშვთა სახლში წაგვეყვანა.

როლფი და ედელი მოესიყვარულნენ ბავშვებს, საჩუქრებიც დაურიგეს, მერე კარგად დაათვალიერეს იქაურობა. დააფიქსირეს პირველ რიგში ბავშვებს რა ესაჭიროებოდათ და გულდათუთქულებმა დატოვეს ძეგვი.

გზაში როლფმა მითხრა: — „ამაღამ აღარ დამეძინება, ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, თუ რა სახის დახმარება შეიძლება გამოვუგზავნოთ ამ ბავშვებსო“.

საშობაოდ როლფისგან 2000 გერმანული მარკა მივიღე. იგი მთხოვდა, ეს ფული საპატრიარქოსთვის გადამეცა, რომ ძეგვის ბავშვებისათვის საშობაო საჩუქრები ეყიდათ.

მოგვიანებით როლფმა საპატრიარქოს 38000 გერმანული მარკა გამოუგზავნა აახენის ბავშვთა დახმარების ფონდიდან. ამ ფულით ძეგვის ბავშვთა სახლში სამედიცინო პუნქტი ააშენეთო.

ერთ დღეს გერმანიის საელჩოდან დამირეკეს, ქ. რუსთავისა და ძეგვის უპატრონო ბავშვთა სახლისათვის რუდოლფ ჰაინცმა მორიგი ჰუმანიტარული დახმარება გამოგზავნა და გთხოვთ მოაკითხეთო.

ერთი დიდი ტრაილერი სავსე იყო პუმანიტარული ტვირთით. ძეგვის ბაყშვთა სახლისთვის ტანსაცმელი, მედიკამენტები, საძინებელი ლოგინები და სათამაშოები ლამაზად იყო შეფუთული. ქ. რუსთაველისათვის აღმოჩნდა 40 ცალი ინვალიდის ეტლი, სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა, ერთჯერადი შპრიცები, მედიკამენტები, გინეკოლოგებისთვის საოპერაციო ტექნიკა და სხვა. ყველაფერი ეს როლფმა და ედელმა შეაგროვეს, მერე ყუთებში ლამაზად ჩაალაგეს და მანქანაში ჩატვირთეს, რომლის გამომგზავრებაზე თბილისში გერმანიის საელჩომ იზრუნა.

მას შემდეგ რუდოლფ პაინცი და „პერა“ კიდევ რამდენიმე წელს აგზავნიდნენ პუმანიტარულ დახმარებას, ამით დიდი მადლი გაუწიეს უპატრონო ბაყშვებს, ავადმყოფებსა და დავრდომილთ. მათი სახელით ჩვენ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც როლფს გვერდში ამოუდგა ამ მეტად კეთილშობილურ საქმეში.



გერმანია. ცეკვაჟს შრიდრონ სულაბერიძე, 2005წ.

ღმერთი სიკეთით გადაგიხდით ამ სიკეთეს, ჩვენო მეგობრებო.

* * *

1995 წლის აპრილში საგასტროლო კონტრაქტზე ხელის მოსაწერად როლფმა რადეფორმყალდში მიგვიწვია თარჯიმანი ია ხვადაგიანი და მე. ჩვენ სულ ერთდღიანი საქმე გვქონდა, მაგრამ როლფმა ერთი კვირა არ გამოგვიშვა. ქალბატონი ელენე გვიმხადებდა ჩემს საყვარელ კერძებს (სხვათაშორის, იგი შესანიშნავი დიასახლისია), როლფმა კასრებით მოიტანა საუკეთესო ლუდი — წასვლამდე უნდა დავლიოთო— მითხრა.

ჩვენთან ყოველდღე მოდიოდნენ ჩვენი მეგობრები: მანფრედ ზაიფერტი, კარლ კალკიული, ლოთარ ბეტცი და სხვები, იყო საოცარი მხიარულება, სიყვარული და იშვიათი მასპინძლობა.

კვირადღეს როლფმა მითხრა. დღეს ჩვენ გაკეცებით მდინარე რეინის სანაპიროს დ ყველა ცნობილი ლუდის ბარში თითო კათხა სხვადასხვა მარკის ლუდს დაგლევთ, გერმანელებს 200-ზე მეტი ლუდის სახეობა აქვთ და ვნახოთ, რომელი უფრო მოგეწონებათ. აპრილი იყო, ირგვლივ ყველაფერი ყვაოდა და მდინარე რეინი იშვიათი სანახავი იყო. ჩვენ ვჭრდებოდით ტრადიციულად სახელგანთქმულ ლუდის ბარებში და სხვადასხვა მარკის ლუდს ვსვამდით. არ მახსოვს, რამდენი დავლიეთ. ვერც ის გავიგე, რომელი მარკის ლუდი ჯობდა, რადგან ყველა მოეწონა (იმ პერიოდში საქართველოში უცხოური ლუდი პრაქტიკულად არ იყო), მაგრამ მახსოვს, გული მწყდებოდა იმაზე, რომ მეტის დალევა აღარ შემეძლო.

როლფმა და ედელმა არაჩვეულებრივი პატივი გვცეს. ედელი შესანიშნავი აღმზიანია, მეტად მომხიბვლელი და იშვიათი თვისებების მქონე. იგი საოცრად გულმოწყალე და ქველმოქმედია, როლფთან ერთად დადის ქალაქებში, რეგიონებში, ოჯახებში. ისინი აგროვებენ პუმანიტარულ ტვირთს, ახარისხებენ, ყუთებში აწყობენ, მერე პირად საჩუქრებსაც უმატებენ და ისე აგზავნიან საქართველოში.

„რუსთაველის“ გასტროლების პერიოდში ედელი ანსამბლის წევრებს ერთი წუთითაც არ შორდება, სულ ჩვენს გოგოებთანაა, თავს ევლება, მოაქვს საჩუქრები და მედიკამენტები. ანსამბლის წევრებმა მას „მფარველი ანგელოზი“ შეარქვეს — ეს მართლაც ასეა.

* * *

1995 წლის 9 სექტემბერს „აირ ჯორჯიათი“ მაინის ფრანკფურტში გავფრინდით. იქ დაგვხვდნენ ჩვენი მეგობრები — რუდოლფ პაინცი და მთელი „ჰერას“ ჯგუფი. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც იყო ძალიან თბილი შეხვედრა. მერსედესის ფირმის შესანიშნავი ავტობუსით გავემგზავრეთ რადეფორმვალდში, სადაც „ჰერას“ შტაბია მოთავსებული.

იქ მთელი ანსამბლი დააბინავეს სპორტსმენთა გამაჯანსაღებელ სანატორიუმში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური ვარჯიშებისა და დასვენებისათვის.

იმ საღამოს ქალაქგარეთ, მშვენიერ რესტორანში არაჩვეულებრივი შეხვედრა მოგვიწყვეს, რომელიც გვიან ღამემდე გაგრძელდა. მასპინძელი „რაიფაიზენბანკი“ და მისი დირექტორი მანფრედ ზაიფერტი იყო.

მეორე დღეს ჩვენი პირველი კონცერტი გაიმართა რადეფორმვალდის თეატრში. ბონიდან ჩამოვიდნენ ჩვენი ელჩი გერმანიაში ბატონი კოტე გაბაშვილი და მისი მოადგილე ქალბატონი მაია ფანჯიკიძე.

დარბაზი საცვე იყო. აპლოდისმენტებს ბოლო არ უჩანდა, ასე რომ, ჩვენი ელჩიც კი განცვიფრებული დარჩა, - „ასეთი რამ იშვიათად მინახავსო“, – მითხრა ბატონმა კოტემ.

კონცერტის შემდეგ ჩვენმა მასპინძლებმა ქალაქგარეთ, ტბის პირას მდებარე რესტორანში მოგვიწყვეს შესანიშნავი შეხვედრა, რომელსაც 200-ზე მეტი კაცი. ქალაქის რჩეული საზოგადოება დაესწრო. ჩვენთან ერთად იყვნენ ბ-ნი კოტე გაბაშვილი და ქ-ნი მაია ფანჯიკიძე. როცა რესტორანში შევდიოდით, ტბის პირას მაშხალებას ისეთი ფეიერვერკი გაიმართა, ჩვენთან რომ იცოდნენ 1 მაისსა და 7 ნოემბერს.

კონცერტის შესახებ რადეფორმვალდის გაზეთი წერდა:

ვირტუოზულობით მოჯადოებული. 15 სექტემბერი, 1995.

პაიკე პიუტენ.

დიდი საკონცერტო დარბაზი გაჭედილია, აუდიტორია დიდი სიხარულით მოელის ქართული ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთაველის“ გამოსვლას, რომელიც უკვე რამდენჯერმე იყო გასტროლებზე გერმანიაში და 16 ქალაქში 17 კონცერტით გაახარებს გერმანელ მაყურებელს ქართული ხალხური ხელოვნებით.

54-კაციანმა ანსამბლმა თავიდანვე ტყვეობაში მოაქცია მაყურებელი. როცა სცენაზე აკორდეონი აჟღერდა ცეცხლოვანი დოლის თანხლებით, სანახაობამ მაყურებელთა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ნაზად და თითქოს უხილავი ძალით ნარნარად მოძრაობენ სცენაზე თეთრ მანდილებიანი მოცეკვავე ქალები, იმ დროს, როცა მამაკაცებს ძველ ცეკვა ფერხულში აკრობატული ილეთებით აღტაცებაში მოჰყავდათ მაყურებელი. შრომის სიმღერა „ნადურში“, რომელიც სიმინდის ყანაში მუშაობის დროს სრულდება, მომღერლები შთამბეჭდავად გადმოსცემენ შრომის პროცესს.

დიდი გამომხატველობითი ძალა

კონცენტრირებული ენერგია და უბადლო გამომხატველობითი უნარი კავკასიის ანსამბლის დამახასიათებელი ნიშნებია. თუ სახასიათო ცეკვა „განდაგანას“ სხვადასხვა ილეთებით, მაგ., მხრების მოძრაობით მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავს, სულ სხვაგვარია ლირიკული ცეკვა „ნარნარი“, თავისი განუმეორებელი გამომხატველობითა და საპირისპირო ხასიათით, რომლის წყალობით მაყურებელი მთელი ორსაათიანი პროგრამის განმავლობაში სუნთქვაშეკრული ადევნებს მათ თვალყურს. მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ფეიერვერკს დასასრული არ უჩანს. ცეკვას სიმღერა ენაცვლება. ერთმანეთს აჭარბებენ ტრადიციული სიმღერები და სოლისტთა აკრობატული ნახტომები, რომელთაც თითქოს ჩვეულებრივ ადამიანთან შედარებით ორჯერ მეტი კიდურები აქვთ, რადგან ასეთი სიმარჯვე, სისწრაფე და მოძრაობა წარმოუდგენელია. სანახაობა კულმინაციას აღწევს ხანჯლებით ცეკვაში, რომელსაც ხალხური ინსტრუმენტების ტრიოს გამოსელის შემდეგ ქართველ მხედართა ფინალურმა ცეკვამ გადააჭარბა. ხმლები წკრიალებენ, ნაპერწკლები ცვივა და ფრიდონ სულაბერიძის ქორეოგრაფია იარაღის ფლობის სრულყოფილი ოსტატობის მეშვეობით თავის შესანიშნავ გამოხატულებას პოულობს.

მე აღფრთოვანებული, მოხიბლული ვარ. ასეთი რამ არასოდეს მინახავს. აღტაცებული ვარ ვირტუოზულობით, ბრწყინვალე კოსტიუმებითა და დიდი გამომხატველობითი ძალის მქონე ანსამბლით – ხმამაღლა ისმოდა მაყურებელთა აღტაცება. მრავალი მათგანი პირადად უხდიდა მადლობას გასტროლის ორგანიზატორთა ჯგუფს „ჰერა“-ს ამ განუმეორებელი სანახაობისათვის.

12 სექტემბერს, დილის 9 საათზე ჩვენი ავტობუსი ბონისკენ გაემგზავრა, რადგან ფორმვალდიდან ბონამდე საათნახევრის გზაა.

ღღეს სატელევიზიო არხი „დოიჩე ველე“ გადაიღებს ჩვენს კონცერტს. სატელევიზიო ჯგუფი დილიდანვე შეუდგა მუშაობას. რეპეტიციამ მთელ ღღეს გასტანა, ეს იყო ერთ-ერთი ურთულესი ღღე მთელი გასტროლის განმავლობაში. რეპეტიციას კონცერტის წინ მოვრჩით. მე განმაცვიფრა „დოიჩე ველეს“ თანამშრომლების მუყაითობამ და შრომისუნარიანობამ. ისინი მთელ ღღეს შეუსვენებლად მუშაობდნენ, მათ კონცერტისათვის უმნიშვნელო დეტალებიც კი გაითვალისწინეს, აპარატურაც საუკეთესო აქვთ.

თეატრში, რომ იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდებოდა. კონცერტს დაესწრო ჩვენი საელჩოს სრული შემადგენლობა, მათ დაპატიჟეს მრავალი ქვეყნის ელჩები.

ჩვენ ძალიან დაბაბული ვიყავით, რადგან „დოიჩე ველე“ ჩვენს კონცერტს 32 ქვეყანაში ერთდროულად გადასცემდა. გარდა ამისა, კონცერტს ესწრებოდ მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებსაც ჩვენი მეშვეობით უნდა შექმნოდათ წარმოდგენა ქართულ კულტურაზე.

ჩვენდა საბედნიეროდ, კონცერტი ისეთი წარმატებით ჩატარდა, რომ თვით „დოიჩე ველეს“ ხელმძღვანელობა იყო განცვიფრებული. ასეთი წარმატება იშვიათად გვინახავსო.

აღფრთოვანებას ვერც ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები ფარავდნენ, რომლებიც ჩვენთან ერთად იღებდნენ მილოცვებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ელჩებისაგან.

საინტერესოა, რომ კონცერტის წინ „დოიჩე ველეს“ წარმომადგენლებმა გვითხრეს, არ გაგიკვირდეთ, აქ არ არის მიღებული ბევრი აპლოდისმენტებიო. კონცერტის შემდეგ მათ ბოდიში მოიხადეს: „თქვენ მოინადირეთ და დაიპყარით ყველაზე ცივი მაყურებლის გულები, გაოცებული ვართ იმით, რაც ღღეს აქ მოხდა, ყოჩაღ“!

კონცერტის შემდეგ თეატრის ფოიეში „დიჩუ ველლე“ გამართა დიდი მიღება.

13 სექტემბერს ჩვენი კონცერტი გაიმართა ქ. ატენდორფში. დარბაზი მთლიანად ახალგაზრდებით იყო სავსე, რაც იშვიათი მოვლენაა გერმანიაში. მე არ მოგიყვებით ამ კონცერტის შესახებ, მოვიტან მხოლოდ ამონაწერს გაზეთიდან:

„რუსთავი“ – ქართული კულტურის დესპანი. ატენდორნი, 14.IX.

„ისინი კი არ ცეკვავენ, ისინი დაქრიან. ქართული „საბრძოლო ცეკვის“ ანდა „ხანჯლებით ცეკვის“ დროს ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს მსოფლიოში სახელგანთქმული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „რუსთავის“ წევრები მიწას ფეხებს არ აკარებდნენ, ისე დახვეწილი იყო მათი მსუბუქი მოძრაობები. ატენდორნის დიდ საკონცერტო დარბაზში ოთხშაბათ საღამოს მაყურებელი ზღაპრული სანახაობის მოწმე გახდა...ანსამბლის წევრებს დიდი სიამოვნება მიანიჭა ატენდორნში გამოსვლამ, „რადგანაც ყოველთვის, როცა ჩვენ ვმღერით და ვცეკვავთ, — ამბობდნენ ანსამბლის წევრები, – მაყურებელი მხურვალე ტაშით აჯილდოებს ჩვენი სამშობლოს კულტურას“.

მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველმა ხალხმა შექმნა თვითმყოფადი კულტურა, რწმენა, დამწერლობა, ენა, სიმღერა და ცეკვა. ეს ტრადიციები სათუთად შემოინახა ანსამბლმა „რუსთაემა“...

მართალია, რუსები საუკეთესო მოცეკვაეებად არიან აღიარებული, მაგრამ ქართველ მოცეკვაეთა ხილვა მართლა გასაოცარია.

პროგრამაში შედის არა მარტო მოცეკვაეთა დასი, არამედ ინსტრუმენტული ტრიო და მომღერალთა გუნდი, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი მუსიკალური სრულყოფილებით“.

14 სექტემბერს, დღის 12 საათზე რადეფორმეალდის თეატრში დანიშნული იყო კონცერტი მოხუცებისათვის, რომლებიც ხანდაზმულთა სახლში ცხოვრობენ. ისინი არაჩვეულებრივ პირობებში ატარებენ თავიანთ დარჩენილ სიცოცხლეს. ევროპის ქვეყნებში (სხვაგან არ მინახავს), როცა ადამიანი ღრმა მოხუცებულობაში შედის თვითონ ან მისი პატრონები იხდიან გარკვეულ თანხას, რომ ჩაირიცხონ ე.წ. „ხანდაზმულთა სახლში“, სადაც ცხოვრებისა და მკურნალობისთვის საუკეთესო პირობებია.

მოხუცები უკვე აღარავის სჭირდება, არავის უნდა მათი მოვლით თავი შეიწუხოს. შვილები თავიანთ მშობლებს ამ სახლში ჩააბარებენ და შემდეგ კვირაში ერთხელ ან თვეში ერთხელ მიდიან მათ სანახავად.

ევროპაში ეს მიღებული ფორმაა, ყველა შეჩვეულია იმ აზრს, რომ სიცოცხლის ბოლო წლები იქ უნდა გაატარონ, დასაფლავებითაც იმ სახლიდან ასვენებენ მიცვალებულებს.

ჩვენ რამდენჯერმე ვყოფილვართ „ხანდაზმულთა სახლები“, რომლებიც, როგორც წესი, აშენებულია ულამაზეს ადგილებში, აქვთ არაჩვეულებრივი კვება, სამედიცინო მომსახურება და გართობა.

დღეს ჩვენ ასეთი მოხუცებისთვის გავმართეთ უფასო კონცერტი. უნდა გენახათ, როგორი სიხარულით მოდიოდნენ. ბევრი მათგანი ვერ დადის, ისინი ინვალიდების ეტლებში სხედან და სპეციალური მანქანებით მოჰყავთ, შემდეგ მომვლელების დახმარებით (ყველა მოხუცს საკუთარი მომვლელი ჰყავს) შეჰყავთ საკონცერტო დარბაზებში, სადაც მათთვის გამოყოფილია სპეციალური ადგილები.

ჩვენი კონცერტი მოხუცებს ძალიან მოეწონათ. ისინი ყვავილებით მოვიდნენ, ვისაც ფეხზე დგომა არ შეეძლო, მომვლელების ხელით გვიგზავნიდნენ ყვავილებს.

კონცერტის შემდეგ ბევრი მათგანი ტიროდა. ისინი ძალიან ემოციურები არიან, გარდა ამისა, ალბათ, მოაგონდათ ოჯახი, შვილები, შვილიშვილები და მონატრების ცრემლი მოერიათ.

კონცერტის შემდეგ ჩვენ შევხვდით უხუცეს მაყურებლებს. ისინი გვეფერებოდნენ და მადლობას გვიხდიდნენ. თითოეული მათგანი საუკეთესოდაა მოელილი, ისინი სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში არიან, იციან, რომ ქვეყანას ჯერ კიდევ გამოადგებიან, ამიტომ სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობენ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის კეთებას.

ჩვენთან, თუ ვინმე ლოგინად ჩავარდა, ღმერთმა დაიფაროს, სახელმწიფოს აღარ სჭირდება. ჩვენთან მოხუცებს შვილები და შვილიშვილები უვლიან. ჩვენი სითბო და უფროსი თაობის მიმართ პატივისცემა ყველანაირ მთავრობის დახმარებას სჯობია.

ჩვენთან მოხუცმა იცის, რომ იგი სახელმწიფოს აღარ სჭირდება, იქ კი იციან, რომ ისინი ოჯახს აღარ სჭირდებიან.

ამ კონცერტის შესახებ რადეფორმაელდის გაზეთი წერდა: „პერას“ ერთ-ერთმა წევრმა ლოთარ ბეტცმა განაცხადა: — „ადრე ჩვენს კონცერტებზე ცოტას ვიწვევდით „მოხუცთა სახლიდან“ – წელს კი იმდენი მსურველი აღმოჩნდა, რომ მოხუცებისათვის სპეციალური კონცერტი გავმართეთ“

დიდი აღფრთოვანება:

როგორც შემდეგ გამოირკვა, კონცერტმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მოხუცი მაყურებლები ჩამოვიდნენ იოჰანიტერ-ალტენჰაიმიდან, დალერაუს მოხუცთა თავშესაფარ ტიელედან, ჰიუკესვაგენის იოჰანეს შტიფტიდან და სხვა.

„მე კარგი ურთიერთობა მაქვს „რუსთავის“ ხელმძღვანელთან, – განაცხადა ლოთარ ბეტცმა, ჩვენს საუბარში წარმოიშვა ამ ღონისძიების ჩატარების იდეა, ეს მოულოდნელი სიურპრიზი განსაკუთრებით გაუხარდათ იქაურ მცხოვრებლებს: — „ეს კარგი სიახლეა, – ამბობს მომვლელი ქალი პეგლა პიუბინგი, — „რადგან ჩვენ არ გვაქვს მაინცდამაინც დიდი კონტაქტი რადეფორმაელდთან, „მე ეს უბრალოდ ძალიან შემეწონა“, – აღტაცებით ამბობს სესილი აისპოლტი, – „მე ჯერ არსად მინახავს ასეთი მშვენიერი რამ, ამიტომ განსაკუთრებით გამახარა ამ საუცხოო მოვლენამ“

მოცეკვავეებმა და მომღერლებმა სულ მთლად მოაჯადოვეს გერდა ლეტციც: — „კოსტიუმები ძალიან ლამაზი იყო, ეს ყველაფერი ძალიან უცხოა ჩვენთვის, განსაკუთრებით მომხიბლა იმან, თუ რა თავისუფლად ცეკვავდნენ მამაკაცები ცერებზე შემდგარნი, ხოლო გოგოები ისე დაცურავდნენ, თითქოს გორგოლაჭებზე იყვნენ შემდგარნი“ ამ წარმოდგენამ აღაფრთოვანა ანა შინდელიც: — „ნანახმა ყოველგვარ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა, ეს იყო განუმეორებელი რამ, მე საშუალება მომეცა, კიდევ ერთხელ ვსტუმრებოდი ჩემს მშობლიურ რადეფორმაელდს“

— „იმედი მაქვს რომ „რუსთავი“ ოდესმე კიდევ გამოჩნდება ჩვენს ქალაქში და ურიცხვ მაყურებელს კვლავ მიეცემა საშუალება დატკბეს ამგვარი წარმოდგენით, – ამბობს ბურგომისტრი ფრიდელ მიულერი“

იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე ჩვენი კონცერტი დანიშნული იყო ჰილდენში. ამ მშვენიერ პატარა ქალაქში უკვე მეორედ ვართ, 1000 კაციანი დარბაზი წინდაწინ გაიჭედა. კონცერტის წინ სცენაზე ამოვიდა ქალაქის მერი, მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა და სამახსოვრო საჩუქარი გადმოგვცა. საპასუხო სიტყვით რუდოლფ



„რუსთაველი“ ქ. ბალტის ბაცუძისაბურლის თეატრის სცენაზე

ასაცა გაძლიერდა. მან მაღლობა გადაუხადა მერს და თქვა, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ საქართველოსთან შეგობრული ხიდის ასაგებად, ვინაიდან რუსეთისაგან განსხვავებით, ეს არის უძველესი კულტურის ქვეყანა, სადაც იშვიათი ბუნების ხალხი ცხოვრობს.

კონცერტის შემდეგ ქალაქის მერმა დიდი წვეულება გამართა. კონცერტზე აღარ ვისაუბრებ, მოვიცან მხოლოდ აძინაწერს პრესიდან:

თაყვანუდამხვეცი ეგზოტიკა. მკაცრი ღირსება. პილდენი. 16.IX

ცნება „ღირსება“ ასახავს იმ საერთო შთაბეჭდილებას, რომელიც საქართველოდან ჩამოსულმა სიმღერასა და ცეკვის ანსამბლმა „რუსთაველმა“ ქალაქ პილდენის დიდ საკონცერტო დარბაზში დატოვა. შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე შორეული რეგიონიდან ჩამოსული სტუმრები ქალაქის ბურგომისტრმა მიიღო და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. ახლა ისინი პრემიერ-მინისტრ იოპანეს რაუს ეგიდით გამოსვლებს გამართავენ გერმანიის 17 ქალაქში.

გულითადი ოვაციები

ქ. პილდენში ანსამბლმა სოლიდური რაოდენობის მაყურებლების გულწრფელი ოვაციები დაიმსახურა, რაც მათი აღიარების ნიშნად უნდა ჩაითვალოს.

ღირსებაზე ნათელი წარმოდგენა შეგექმნება, როდესაც უყურებ წარმოსადეგ, მაღალ, ჩამოსხმულ ახალგაზრდებს, რომლებიც თავბრუდამხვევი ცეკვის დროსაც კი განსაცვიფრებელ სიზუსტეს ავლენენ, სხეულის ზედა ნაწილი ყოველთვის ამაყად გამართულია, თავში საცემად ლამაზი ქალები, გრძელ კაბებში გამოწყობილები,

ისე მოძრაობენ, თითქოს მათ უხილავი ძაფებით მართავდნენ. ასე აღიქმებოდა ეს ფორმათა სიუხვით გამორჩეული სიცოცხლით სავსე ფოლკლორი, რომელშიც უძველესი ტრადიციები აისახება. ზოგი რამ სულაც ანტიკური ხანის თეატრს მოგვაგონებს. ცეკვები აღბეჭდილია, თაებრუდამხვევი ეგზოტიკისა და მკაცრი ღირსების ნიშნით, რომელსაც ხაზს უსვამს ძვირფასი ეროვნული ტანსაცმელი.

ცეკვები ასახავს გლეხური ცხოვრების მდიდარ რიტმს. უნაკლოდ არის წარმოდგენილი მებრძოლი თაობის მიერ გადმოცემული ტრადიცია ლამის შიშის მომგვრელ საბრძოლო ცეკვებში. ცალკეული მოძრაობები ერთმანეთს ერწყმის შესანიშნავი სიზუსტით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აქ ყველა და ყველაფერი ძველ წესებს ემყარება. ამ სიცოცხლის ხალისს ხაზს უსვამს მუსიკალური გაფორმება. თუმცა ინსტრუმენტების შემადგენლობა მარტივია: აკორდეონით, დიდი დოლებით, ბალალაიკისა და მანდოლინას მსგავსი სიმებიანი ინსტრუმენტებით და სხვადასხვაგვარი სალამურით შემოიფარგლება; წამყვანია რიტმული ჟღერადობა.

აღმოსავლური სიმღერა – მოძახილი

„თვით სიმღერის დროს მელოდია მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. წინა პლანზეა მოძახილი, რომელიც ძლიერი ბანების (ბურდონის) საორღანო ჟღერადობის ფონზე იკვეთება.

ყველაფრიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის შორეული სამყაროს უაღრესად ცოცხალ კულტურასთან შეხვედრა, რომლის მეშვეობით ეს სამყარო ბევრად ახლოს მოვიდა, თითქმის გაგვითავისიანდა“.

15 სექტემბერს, 12 საათზე გავემგზავრეთ ქ.ვეხტაში. ეს კონცერტი მოაწყვეს ჩვენმა ძველმა მეგობრებმა, ექიმმა ცოლ-ქმარმა ელეონორა და კარლ ფელდკამპფებმა. ეს ის ფელდკამპფებია, რომლებმაც საქართველოსთვის ყველაზე მძიმე პერიოდში, 1990-იანი წლების დასაწყისში გულის მძიმე ოპერაციები გაუკეთეს ჯანსულ კახიძეს, თემურ ჯანელიძეს, ჯუმბერ ჩოლობარგიას და სხვებს.

კონცერტი დაგეგმილი იყო უმაღლესი სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში. დარბაზის წინ დაგეხვედა ახალგაზრდული ორკესტრი, რომელმაც ჩვენს საპატივცემულოდ შეასრულა რამდენიმე ნაწარმოები. კონცერტს დაესწრო ქალაქის საუკეთესო საზოგადოება, რომელმაც ჩვენს მიმართ დიდი აღფრთოვანება გამოხატა.

კონცერტის შემდეგ ფელდკამპფებმა დიდი წვეულება გამართეს ჩვენს საპატივსაცემად. იყო სიმღერები და მეგობრული სადღეგრძელოები. სუფრასთან ელეონორა ფელდკამპფმა გვიამბო: თურმე მათ ქალაქში გამართულა ცნობილი მომღერლის პლაჩიდო დომინგოს კონცერტი. მთელი წელი მიდიოდა რეკლამა და ვინაიდან ამ კონცერტისადმი ინტერესი დიდი იყო, იგი ჩოგბურთის კორტებზე ჩაატარეს, სადაც დიდძალი საზოგადოება მივიდა. დომინგოსთან ერთად ვიღაც უცნობი გოგონა გამოდიოდა, რომელიც შესანიშნავ პარტნიორობას უწევდა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ ტენორს. მეორე განყოფილებაში ამ გოგონამ დაჩრდილა დომინგო, ამან მაყურებლის ისეთი ოვაცია გამოიწვია, რომ დომინგო ყველას დაავიწყდა. აინტერესებდათ, ვინ იყო ეს ახალგაზრდა სოპრანო. იგი ქართველი აღმოჩნდა, ეთერ ჭყონია (ლა მორისი), — მე მასთან მივედი, მივულოცე და ვუთხარი, რომ თქვენი მეგობარი ვარ. მას ძალიან გაუხარდა, — მითხრა ქალბატონმა ელეონორამ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მე თბილისში შევხვდი ეთერს და ვუამბე ელეონორას მონათხრობი. – „მართალია, — მითხრა მან, – მაგრამ მას შემდეგ დომინგოს არსად აღარ მიუწვევიარ“.

16 სექტემბერს ბალეშში გამოვედით, გამოქვაბულში, სადაც უკვე მესამედ ვართ.

მაყურებელმა ოვაცია გაუმართა ანსამბლს. კონცერტის შემდეგ მერიამ მშვენიერი დარბაზობა გამართა, გადმოგვცეს ჰერმან ვედეკინდის სალამი, რომელიც იმჟამად ქუთაისში იმყოფებოდა. დარბაზობის შემდეგ ჩვენმა მეგობარმა ხასან სარიმ (იგი ქართველია და თურქეთიდანაა), ფრიდონ სულაბერიძე და მე თავის ოჯახში წაგვიყვანა. ხასანს დიდი ოჯახი აქვს, მისი და-ძმები და დედა, რომელსაც „ნენეს" ეძახის, თურქეთში ცხოვრობენ. თვითონ ხასანი გერმანიაში ჩამოვიდა ოცი წლის წინ, სამსახურში მოეწყო, მერე სავაჭრო საქმეები გამართა და საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობს. ჰყავს ათი შვილი, აქედან ხუთი პირველ ცოლთან, რომელიც თურქია. ხასანმა მეორედ გერმანელი ქალი შეირთო, სახელად მათინა, რომელსაც სახელი შეუცვალა და თინა დაარქვა. თინა თანამედროვე ახალგაზრდა გერმანელი ქალია, გრძელი ოქროსფერი თმებითა და მომხიბვლელი გარეგნობით.

ჩვენ ამ ქალმა გაგვაოცა. როგორ უნდა უყვარდეს თავისი ქმარი, რომ მისი ხუთი და საკუთარი ხუთი შვილი გაზარდოს. თინამ მიიღო მუსლიმანობა, ბრწყინვალედ შეისწავლა თურქული ენა და ახლა ქართულს სწავლობს. იგი შესანიშნავი დედა და იშვიათი დიასახლისია.

ხასანმა გვიან ღამით მიგვიყვანა ოჯახში. ყველას ეძინა. მის ზარზე თინამ გაიღვიძა და ძალიან თბილად მიგვიღო, მერე ვახშამი მოამზადა და ქართული წესით გაგვიმასპინძლდა. ამასობაში ბავშვებმაც გაიღვიძეს და მოგვეხვივნენ, ისინი ერთმანეთზე ლამაზები არიან. მოკლედ ხასანს აქვს დიდი ოჯახი, მშვენიერად ლაპარაკობს ქართულად, ცხოვრობს გერმანიაში და ამრავლებს თურქებს, ვინაიდან მისი ცოლ-შვილი თურქეთის მოქალაქეები არიან.

მართალი გითხრათ, გული დაგვწყდა. ამისთანა ქართულ ოჯახს საქართველოშიც ვინატრებდით.

ხასანის ოჯახში პურმარილი დიდხანს გაგრძელდა და რადეფორმვალდში გამთენიისას დავბრუნდით.

ბალეშს პრესა ასე გამოეხმაურა ჩვენს გამოსვლას:

ქართული ჯგუფის – „რუსთავის" მსახიობებმა აღტაცებაში მოიყვანეს „ბალეშს" გამოქვაბულის სტუმრები.

„რუსთავმა" გვიჩვენა ქართული კულტურის მრავალფეროვნება.

მუსიკა და ცეკვა კონტინენტების შესაყარიდან.

საქართველო მიეკუთვნება იმ სახელმწიფოებს, რომლებიც 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ახლად წარმოიქმნენ. ის არც მთლად ევროპაში და არც მთლად აზიაში მდებარეობს; ერთი პატარა ქვეყანაა, რომელიც, როგორც ამ რეგიონის ყველა დანარჩენი სახელმწიფო, ებრძვის ეთნო-პოლიტიკურ და, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ პრობლემებს.

ამ ფაქტების შესახებ მრავალ მაყურებელს ალბათ გარკვეული წარმოდგენა უკვე ჰქონდა, როდესაც სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, უკვე მესამედ, გასულ შაბათს მართაედა გასტროლებს ბალეშს გამოქვაბულში. ანსამბლმა მაყურებელს შესთავაზა მაღალპროფესიული არტისტიზმის სუნთქვისშემკვრელი, მრავალფეროვანი შემოქმედებითი და აღმაფრთოვანებელი ექსკურსია უძველესი ქართული კულტურის საგანძურში, რომელიც დასასრულს დამსახურებულად იქნა დაჯილდოებული ფეხზემდგომი პუბლიკის აღტაცებული ოვაციებით.



ფრიდონ სულაბერიძე და ანზორ ერქომაიშვილი ბერმანელ მსახიობებთან ერთად

ისეთი მადლიერი იყო ბალეტს გამოქვაბულის პუბლიკა, შესაძლებლობა რომ მიეცა განეცადა და დამტკბარიყო მაღალი პროფესიონალების მიერ წარმოდგენილი ხელოვნებით, პროფესიონალებისა, რომლებიც საესე ენთუზიაზმითა და უმაღლესი სრულყოფით ფლობდნენ სცენას, მას შემდეგ, რაც ბოლოს ადგილობრივმა ორმა პროფესიულმა ორკესტრმა დემონსტრაციული მოწყენილობით, თუ სულაც მუშაობის სურვილის უქონლობით „გაიბრწყინა“

არავითარ მსგავსს ადგილი არ ჰქონია ქართველებთან. ბოლო წუთამდე „რუსთაველს“ დატყვევებული ჰყავდა მაყურებელი. შთამბეჭდავი იყო ტემპერამენტით აღსავსე მოცეკვავეთა ეირტუოზული არტისტიზმი, რომელმაც თავის მწვერვალს ცეკვა „ფარიკაობაში“ მიაღწია, თანაც ისეთი განუმეორებელი სრულყოფილებით წარმოადგენდნენ ეს მებრძოლი აკრობატები ბრძოლის სცენებს ბალეტს გამოქვაბულში, რომ ნაპერწკლები იფრქვეოდა და ერთ რიტმში ხმლების წკრიალი ისმოდა.

თუმცა ანსამბლი „რუსთაველი“ არა მხოლოდ ამ დიდებულ სენსაციურ სანახაობას ფლობს დიდი სიზუსტითა და ოსტატობით, არამედ უნაზეს ჰანგების სპექტრსაც შესანიშნავად ესადაგება. გოგონები კი არ ცეკვაედნენ, არამედ დასრიალებდნენ სცენაზე. დასანანია, რომ გოგონების სოლო გამოსვლა მხოლოდ ქალთა ლირიკული ცეკვა „ნარნარით“ იყო წარმოდგენილი. მასობრივ ცეკვაში ისეც და ისეც განაცვიფრებდნენ მაყურებელს ახალ-ახალი მოულოდნელი თავბრუდამხვევი კომბინაციები, რომლებიც ქორეოგრაფმა ფრიდონ სულაბერიძემ ანსამბლთან ერთად მოამზადა. ტემპერამენტმა და საშემსრულებლო სრულყოფილებამ იდეალური სიმბიოზი შექმნა.

უაღრესად საინტერესო მუსიკალური მოვლენა იყო მამაკაცთა გუნდის გამოსვლა. ქართული სიმღერის ხელოვნება არც ისე დაშორებულია ჩვენი ხელოვნებისაგან და მაინც, ქართულ სიმღერებში თურქეთისა და აზიის სიახლოვე იგრძნობა. ქართული სიმღერა შეიცავს მრავალხმიან ელემენტებს, როგორც დასავლეთ ევროპის მუსიკა, თუმცა მელოდიები ცალსახად განიცდის აღმოსავლეთის გაელვებას. ამ სინთეზმა ერთ-ერთი თანამედროვე კლასიკოსი კომპოზიტორის შემოქმედებითი ინტერესი გამოიწვია: იგორ სტრავინსკი აღფრთოვანებული გამოთქვამდა აზრს ქართული სიმღერის ტექნიკურ შესაძლებლობაზე და იყენებდა მათ თავის ნაწარმოებებში. მართლაც, რამდენიმე ძველი ჰანგი განსაცვიფრებლად თანამედროვედ ჟღერს. ვოკალის ამ ხელოვნებას მცირეოდენი საერთოც კი არა აქვს კარგად ცნობილ რუსულ გუნდურ სიმღერებთან. ქართველ ერს აქვს კულტურის თავისი საკუთარი ენა.

განცვიფრებას იწვევს ასევე ინსტრუმენტალისტების გამოსვლა. იმ დროს,

როდესაც ორი აკორდიონისტი და მედოლე ცეკვებს რიტმის ცეცხლოვანებას ანიჭებდნენ, მედოლეებმა ორი სოლო გამოსვლით მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. მედოლეთა ტრიოს სუნთქვისშემკვრელმა ვირტუოზულობამ დაარწმუნა მსმენელი ამ დასარტყამი ინსტრუმენტების მრავალფეროვან შესაძლებლობებში. საოცრად ვირტუოზული იყო ქართულ ხალხურ საკრავთა ტრიოს გამოსვლა. სალამური – მწყემსის ფლეიტა, ჩონგურისა და ფანდურის თანხლებით, სანახაობრივი ხმის ეფექტებით სულ უფრო და უფრო უმატებდა ტემპს და დასასრულს, მაყურებელს მისი სცენიდან გაშვება არ სურდა. აქაც ნათლად ჩანდა: ეს არ იყო რუსული ბალალაიკის მუსიკა, არამედ – ქართული ორიგინალური ეროვნული კულტურის გამოხატულება.

„კელავ გეგწვიეთ“ – ასეთი იყო წარმოდგენის დასასრულს მაყურებლის შეძახილი. ბალვეს გამოქვაბულის ფესტივალის დევიზს „ხელოვნებას არა აქვს საზღვრები, ხელოვნება აახლოებს ხალხებს“, ყველაზე მეტად ამ ანსამბლის გამოსვლა ეპასუხება, ყოველ შემთხვევაში, ქართველმა ხელოვნებმა თავიანთი ქვეყანა კულტურის ფართო სპექტრით უაღრესად შთამბეჭდავად წარმოადგინეს.

დიუსელდორფის კონცერტები კარგად გვაქვს დაცდილი, იქ ქართველები ყოველთვის დიდი წარმატებით გამოდიან. 1981 წელს თბილისის „დინამომ“ ევროპის თასი სწორედ დიუსელდორფში მოიპოვა.

დიუსელდორფმა ერთი საინტერესო ამბავი გამახსენა.

სსრ კავშირი დაიშალა, საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა და პირველად მიიღო მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატზე ფეხბურთში. იდგა 1995 წელი. თბილისში სტუმრად ჩამოვიდა გერმანიის პირველი ნაკრები ფეხბურთში, მასთან ერთად ჩამოვიდა აგრეთვე ოლიმპიური ნაკრებიც. ფეხბურთელებთან ერთად ჩამოვიდნენ ჟურნალისტები და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები.

საქართველოში დიდი ზეიმი იყო. ფეხბურთზე დასასწრებად ჩამოვიდნენ სხვადასხვა რეგიონებიდან, რუსთაველისა და თბილისის სტადიონებზე ტევა არ იყო.

პირველი მატჩი ოლიმპიური ნაკრებების დონეზე შედგა რუსთაველში. საქართველოს ნაკრებმა ცუდად ითამაშა და წააგო 0:2. გერმანელებმა დასაწყისშივე გაიტანეს ორივე გოლი და შემდეგ თავი აღარ შეიწუხეს, თორემ კიდევ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. მე მომეჩვენა, რომ შეეცოდეთ და დაგვინდეს.

მეორე დღეს თბილისის დინამოს სტადიონზე შეხვდნენ პირველი ნაკრებები. საქართველომ ძალიან სუსტი გუნდი გამოიყვანა. სამოქალაქო ომი ახალდამთავრებული იყო. ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდა. როგორც ჩვენი მეგობარი ქვეყანა, გერმანია გვერდში გვედგა და მაქსიმალურად გვეხმარებოდა, მაგრამ ფეხბურთში დახმარება არ გამოდის, ვინაიდან ოფიციალური მატჩი ტარდებოდა და ერთ-ერთ მათგანს უნდა მოეგო.

ჩვენმა ნაკრებმა გერმანიის ძლიერ გუნდს ვერ გაუწია წინააღმდეგობა და დამარცხდა ანგარიშით 0:2. ორივე გოლი კლინსმანს ეკუთვნის, განსაკუთრებით ლამაზი იყო მეორე გოლი, რომელიც მან მაღალ ნახტომში თავური დარტყმით გაიტანა თბილისელთა კარში. მაყურებელი იმედგაცრუებული ტოვებდა ტრიბუნებს, მათ ახსოვდათ 1981 წლის 13 მაისი, როცა ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის „დინამომ“ დიუსელდორფში 2:1 სძლია იენის კარლ ცაისს და ევროპის თასი მოიპოვა. ამიტომ ეგონათ, რომ საქართველოს ნაკრები ახლაც ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა გერმანელებს, მაგრამ, რას იზამ, ძალა აღმართს ხნავს.

მატჩის დამთავრების შემდეგ გერმანელ სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ ჟურნალისტები და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, დიდებული სუფრა გაუშალეს. სუფრა ქართული ტრადიციის მიხედვით წარიმართა: შეისვა გერმანიისა და საქართველოს მეგობრობის სადღეგრძელო, დალოცეს გამარჯვებული გუნდი და სხვა. სუფრაზე „რუსთაველიც“ იყო მიწვეული და ყველა სადღეგრძელოს შესაბამის სიმღერას ასრულებდა.

პირველი სიმღერის შემდეგ გერმანელებმა ოვაცია გამართეს, შემდეგაც ყველა სიმღერას გულწრფელი ტაშით აჯილდოებდნენ, მაგრამ, როცა „რუსთაველმა“ „ჩაკრულო“ შეასრულა, ისეთი ღრიანცელი და ტაშის გრიალი ატყდა, გეგონებოდათ გოლი გავიტანეთ.

ამის შემდეგ სიტყვა გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ აიღო: „მე პირველად ვარ საქართველოში და პირველად მოვისმინე ქართული სიმღერა. ეს ფანტასტიკაა. თუკი ასეთი სიმღერები გაქვთ და ასე არაჩვეულებრივად მღერით, რათ გინდათ ფეხბურთი, დაანებეთ თავი და იმღერეთ, დარწმუნებული ვარ, სიმღერაში მსოფლიო ჩემპიონები გახდებით“.

ახლა ისევ დიუსელდორფში დავბრუნდეთ.

ჩვენი კონცერტი ცნობილ „ტონჰალეს“ დარბაზში გაიმართა, სადაც შესანიშნავი აკუსტიკაა. ამ დარბაზში ჩვენ აქამდეც წარმატებით გამოვსულვართ.

კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა – WDR ტელეარხის წარმომადგენელი და საშობაო კონცერტში მონაწილეობის მიღება შემოგვთავაზა.

პურმარილი დიუსელდორფის მერმა ხორვატების რესტორანში გაგვიმართა, სადაც ვიგემეთ უგემრიელესი ხორვატული სამზარეულო.

18 სექტემბერს გამოვედით ქ. ჰიუკენსვაგენში.

იგი იშვიათი სილამაზის პატარა ქალაქია, რომელიც თავისი არსებობის 900 წელს ითვლის. ლამაზია ქალაქის მერიაც. იგი მაღლობზე მდებარეობს, ძველი შენობაა და მისი ერთი ნაწილი დათმობილი აქვს მუზეუმს, რომელშიც იშვიათი ექსპონატებია წარმოდგენილი. ქალაქის ძველი უბნის ქუჩები ვიწროა, სკვერები და პარკები ყვავილებითაა „მოქარგული“. სახლები პატარა ზომისაა და ქუჩის პირასაა ჩაწიკწიკებული. ბევრი მათგანი საუკუნეებს ითვლის.

კონცერტის შემდეგ მიგვიწვიეს ჩინურ რესტორანში.

ჩვენი კონცერტი პრესამ ასე შეაფასა:

„სუნთქვისშემკვრელი ცეკვები“.

„რუსთაველმა“ ჰიუკენსვაგენშიც აღაფრთოვანა მაყურებელი. „კულტურას ვერ იყიდი, კულტურა უნდა შექმნა“, — თქვა ბერძენმა მომღერალმა და ყოფილმა მინისტრმა მელინა მერკურიმ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუსიკას არა აქვს საზღვრები, მუსიკა ხელს უწყობს ხალხების ერთმანეთთან დაახლოებას. სწორედ ორ ქვეყანას შორის გადებულ მეგობრობის ხიდს წარმოადგენს ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის – „რუსთაველის“ საგასტროლო გამოსვლები ჰიუკენსვაგენის გადაჭედილ დარბაზში.

ეს წარმოდგენა შესაძლებელი გახდა კულტურის საზოგადოების ხელშეწყობით. ანსამბლმა შეძლო აღფრთოვანებული მაყურებლის საზეიმოდ განწყობა, რისთვისაც აუდიტორიამ ანსამბლის 54 წევრი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა. ცეკვის განუმეორებელი სიზუსტე, დამკვრელ სოლისტთა დიდი მუსიკალური შესაძლებლობები, ათკაციანი ვოკალური გუნდის უბადლოდ შეწყობილი ხმები განსაზღვრავდა დიდი მრავალფეროვნებით შედგენილ პროგრამას. მაყურებელთა თვალწინ ერთმანეთს

ენაცვლებოდა მუსიკალური ნომრები სუნთქვისშემკვრელი ცეკვების თანხლებით.

საუცხოო ფერადოვანი კოსტიუმებიც არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე.

დედოფლებივით, თითქმის მარიონეტებივით მოძრაობენ სცენაზე მოცეკვავე გოგონები. ერთმანეთს ენაცვლებოდა ქალთა ნარნარი, მსუბუქი და დაუჯერებლად ელეგანტური მოძრაობები და ვაჟთა უზადო პროფესიონალიზმით შესრულებული აკრობატული ილეთები. ისევ და ისევ ხალხური სიმღერების, ხალხურ საკრავებზე შესრულებული მუსიკისა და ცეკვების მონაცვლეობა.

ამგვარი კომბინაციებით აღფრთოვანებული მაყურებელი მქუხარე ტაშით ეგებებოდა ანსამბლის ცალკეული წევრების სოლო გამოსვლებს".

დღეს, 19 სექტემბერს კონცერტი უნდა გამართულიყო ქ. ლიპშტატში. ყველა ბილეთი გაყიდული იყო, მაგრამ პოლიციამ დარბაზის დირექციას არ მისცა კონცერტის ჩატარების უფლება, ვინაიდან დარბაზის სახანძრო-სასიგნალო სისტემაში რაღაც დარღვევები აღმოაჩინეს.

ჩვენმა ბიჭებმა გაიცინეს, — მაშინ საქართველოში საერთოდ არ უნდა იმართებოდეს კონცერტებიო. ვინაიდან თავისუფალი საღამო გვქონდა, ჩვენთან სასტუმროში მოვიდა რუდოლფ ჰაინცი, რომელმაც ია ხვადაგიანი, ფრიდონ სულაბერიძე და მე წაგვიყვანა ქალაქგარეთ. ჩვენთან ერთად წამოვიდნენ როლფის და ედელის მეგობრები — ჰანსი და ჰელგა, სტუმარი ჰანსი მეუღლითურთ.

უკვე ბნელდებოდა, გზა ტყისპირას მიდიოდა. იყო საოცარი სიმშვიდე და სილამაზე.

ჰანსი არმიის ოფიცერი ყოფილა, ამჟამად პენსიაზეა და ახლა სტუმრად იმყოფებოდა როლფთან.

ტყეში მშვენიერი სასტუმრო აუშენებიათ ძველებურ სტილში. სასტუმროს რესტორანი პატარა მდინარეს გადაჰყურებს, მართლა საოცრად ლამაზი ადგილია. რესტორანში ბევრია ეთნოგრაფიული ექსპონატები, რომელიც დიდი გემოვნებითაა გამოფენილი. აქ თურმე საქეიფოდ მოჰყავთ საპატიო სტუმრები.

რესტორანში გვიან ღამემდე დავრჩით, იყო გემრიელი გერმანული კერძები და რასაკვირველია, ბავარიული ლუდი. „ახლა მთელ ბავარიაში ლუდისა და მოსავლის დღესასწაული ტარდება", — გვითხრა ჰანსმა.

თურმე ყოველ 16 სექტემბერს მიუნხენის შემოგარენში იწყებენ მოსავლის აღებას და ტარდება ლუდის დღესასწაული. ამ დღესასწაულს რამდენიმე საუკუნის წინ საფუძველი ჩაუყარეს ბავარიელმა მეომრებმა. ისინი დაბანაკებული ყოფილან მიუნხენის ახლოს და მუდმივ მზადყოფნაში იმყოფებოდნენ მტრისაგან მოულოდნელი თავდასხმის შიშით.

მეომრები სექტემბრის მეორე ნახევარში აწყობდნენ მსროლელთა შეჯიბრებებს, გამარჯვებული დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ეს შეჯიბრი ორ კვირას გრძელდებოდა. ისმებოდა ბევრი ლუდი და იკვლებოდა ბევრი საკლავი.

ეს ტრადიცია ნელ-ნელა ლუდის დღესასწაულად გადაიქცა. ახლა, თურმე, მიუნხენის ახლოს გაშლილია კარვები, რომლებიც საუსეა გერმანელებითა და უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრებით. ისინი მონაწილეობას იღებენ ამ ზეიმში.

ძველებურ ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი გერმანელები ერთმანეთს ეჯიბრებიან თოფის სროლაში, დაწესებულია დიდი პრიზები. იმართება ცეკვა-თამაში, უკრავს ნაციონალური ორკესტრები. ცნობილი ფირმები ძველებური კასრე-

ბით და ურმებით ეზიდებიან ლუდს, რომელიც ისმება ძველებური ხის კათხებით. მოკლედ, როგორც პანსმა აღნიშნა, ეს ყოფილა საოცრად საინტერესო და სასიამოვნო ეროვნული დღესასწაული.

რესტორნიდან დიდად კმაყოფილები გვიან ღამით დავბრუნდით სასტუმროში.

მეორე დღეს, 20 სექტემბერს რეშმაიდში გაიმართა კონცერტი – შეხვედრა იქაურ გუნდთან, რომელსაც ხელმძღვანელობს მთელ გერმანიაში სახელგანთქმული ლოტბარი, პროფესორი ჰერმან იოზეფ რიუბენი.

კონცერტის შემდეგ მიგვიწვიეს რესტორანში ქალაქგარეთ, სადაც ქალაქის რჩეული საზოგადოება და გუნდის წევრები შეიკრიბნენ. „რუსთაველის“ ხელმძღვანელები დაგვსვეს იმ მაგიდასთან, სადაც ბატონი რიუბენი და დღეგანდელი სუფრის „სპონსორი“ ჰენრიხ შუმენჰოფი ისხდნენ. შუმენჰოფი ერთ-ერთი დიდი ქარხნის დირექტორია, რომელიც იმითაა ცნობილი, რომ უშვებს უზარმაზარ მრგვალი ფორმის ხერხს. მისი პროდუქცია მთელ მსოფლიოში იგზავნება. ჩვენ ამ ქარხანაში ვიყავით რამდენიმე წლის წინ. მართლაც იშვიათია 3-4 და მეტრ უფრო მეტი სიმაღლის მრგვალი ფორმის ხერხი, რომელიც ნებისმიერი მაგარ ხის მასალას ხერხავს.

ამ ქარხნის დირექტორი ახლა ჩვენი მასპინძელია. ჩვენდა საპატივსაცემად რესტორანში პატარა ორკესტრი უკრავდა და ამ ორკესტრში კონტრაბასის, პარტიას სწორედ ქარხნის დირექტორი, ბ-ნი ჰენრიხ შუმენჰოფი ასრულებდა. ჩვენთვის, ყოფილი საბჭოელებისათვის, მისი ამნაირი მოქმედება ცოტა უჩვეულოა. ეს კაცი ხან ჩვენ სუფრასთან იჯდა, ხანაც თავის ორკესტრთან იყო და რომელიმე საცეკვაო მუსიკას უკრავდა.

ბატონი რიუბენი საკმაოდ ენაწყლიანი გამოდგა. იგი ასე, 70 წელს მიტანებული იქნება, მას ყველაფერი აინტერესებს ჩვენი ანსამბლისა და ჩვენი ქვეყნის შესახებ.

„მთელი მსოფლიო მომივლია, რა არ მინახავს, რა არ მომისმენია, — გვითხრა რიუბენმა, — მაგრამ თქვენი ანსამბლის მსგავსი არაფერი მინახავს. დასანანია, რომ აქამდე ქართულ ხელოვნებას არ ვიცნობდი, რა კარგია, რომ თქვენ ასე ინახავთ თქვენს უძველეს კულტურას.

აბა ჩვენთან ნელ-ნელა თავს მოგვახვიეს ამერიკული მუსიკა. ხალხი კარგი ცხოვრებისაგან გაზულუქდა, ამიტომ გასართობებით უფრო ერთობა და ნაკლებად ზრუნავს ძველი კლუტურის გადასარჩენად, ახალს კი სერიოზულს თითქმის არაფერს ქმნის.

ჩვენი კომპოზიტორები რაღაცას თანამედროვე უცნაურ რეჩიტატივებზე აგებულ მუსიკას ქმნიან. ნამდვილ მუსიკას არავინ წერს. ბევრი უნიჭო თავს აფარებს ვითომ თანამედროვე ხელოვნებას. ხშირად ეფიქრობ, იქნებ ქვეყნის მატერიალურმა მდგომარეობამ განაპირობა ყოველივე. დაკვირდით, ხალხი, რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფილია, სულიერად დაბლა ეშვება, ხოლო, ვისაც მატერიალურად უჭირს, მაგალითად, თქვენ, მისი სულიერება ყოველთვის მაღლდება. თქვენ ჩვენზე ძლიერი ერი ხართ, ვინაიდან ასე კარგად ინახავთ ტრადიციულ ხელოვნებას, აბა ჩვენ? სხვა ქვეყნები უფრო ინახავენ ჩვენს კულტურას. ამაში დავრწმუნდი, როცა ვიმოგზაურე რუსეთში. ნოვოსიბირსკშიც კი ჩვენი კულტურის ზეიმია, რომ არაფერი ვთქვათ რუსეთის ცენტრალურ ქალაქებზე.

კიდევ ერთი რამ, შეხედეთ, ვინ ემსახურება ჩვენს მაგიდას, ჩინელი, ინდოელი, თურქი, არაბი; ამათ აიღეს ხელში ჩვენი ყოველდღიური ყოფა-სამსახური. ჩვენთან სკოლებში მოსწავლეთა 80% უცხოელი სწავლობს, ამიტომ ჩვენი ბავშვები სა-

კუთარ ენასა და ლიტერატურას ეელარ სწავლობენ, მითხარი, სად უნდა ისწავლოს ბავშვმა ნამდვილი გერმანული? ან გერმანული კულტურის მიმართ პატივისცემა? თუ ასე გაგრძელდა და პოლიტიკოსებმა ამაზე არ იზრუნეს, დასავლეთის ქვეყნებს კატასტროფა ემუქრებათ.

– აქედან გამომდინარე ჰიტლერის მიმართ ხომ არ მიდის მისი ნამოქმედარის გადაფასება? – შევეკითხე მე.

— „არა, ჰიტლერი იდიოტი იყო, მან გერმანია დაღუპა, ნაციზმი საშინელებაა, უარესი, ვიდრე კომუნისტები. მართლა, თქვენთან კომუნისტებს ისევ მისტირიან? არა, ეს არ შეიძლება, ნაცისტები და კომუნისტები მსოფლიომ უნდა დაგმოს“.

კიდევ ალბათ ბევრ რამეს გვეტყოდა რიუბენი, მაგრამ ბიჭებმა „მრავალჟამიერი“ წამოიწყეს. რიუბენმა ლაპარაკი შეწყვიტა და თვალცრემლიანი უსმენდა ჩვენს მომღერლებს.

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“, გუგუნებდა ქართული „მრავალჟამიერი“.

ახლა გაგაცნობთ რემშაიდის პრესა ჩვენზე რას წერდა:

ბერგიშერ გენერალანციგერი 20.09.1995.

ქართული კულტურის ტრადიცია წარმოდგენილი სიამაყითა და დიდი სერიოზულობით

ოვაციები ფეხზე დგომით „რუსთაველის“ ცეკვისა და სიმღერის ანსამბლს

რემშაიდის ქალაქის ცენტრში მაყურებელმა ფეხზე ადგომით გაუმართა ოვაციები ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „რუსთაველს“ საქართველოდან. სიამაყითა და ამავე დროს დიდი სერიოზულობით წარმოადგინეს ხელოვნებმა ორსაათიან პროგრამაში უძველესი, მრავალფეროვანი ქართული კულტურის ერთი ნაწილი.

ათკაციანი მამაკაცთა გუნდის მიერ შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა, უმეტესად ინსტრუმენტების თანხლების გარეშე, სრულიად თავისებური ატმოსფერო შექმნა.

მაღალი ტონალობის აკორდები შინაგანი პოლიფონიური მოძრაობითა და მელიზმებით მდიდარ სოლოს განსაკუთრებით შთამბეჭდავად ენაცვლებოდა სუფრულ სიმღერაში „ჩაკრულო“.

მსუბუქი ხალხური იუმორი იგრძნობოდა სახუმარო სიმღერაში „არამი დო შარიქა“. პატრიოტული სულისკვეთებისა და ენერგიის თავისებური გამოხატულებაა სიმღერაში სამშობლოზე.

მამაკაცთა და ქალთა როლები მასობრივ ცეკვაში მკაფიოდ განსხვავებულია: თუ მამაკაცები, მაგალითად, ცეკვა „განდაგანაში“ თავდავიწყებითა და მჩქეფარედ ცეკვავენ, გრძელ, თეთრ კაბებში გამოწყობილი ქალები გრაციოზულად დასრიალებენ სცენაზე, რაც ქალთა ცეკვა „ნარნარს“ თავისებურ, თავისთაეში ჩაღრმავებულ ოცნებათა სამყაროს ხასიათს ანიჭებს.

გუნდი და მოცეკვავეები ერთიანდებოდნენ სუიტის ხასიათის სცენებში, როგორიცაა სიმღერისა და ცეკვის შეჯიბრი, რომელიც არცთუ მთლად უსაფრთხო ხანჯლებით ცეკვაში გადაიზარდა. სხეულის ფლობის უმაღლეს დონეს მოითხოვდა ცეკვა „ფარიკაობა“, რომლის დროსაც ხმლების წკრიალი ისმოდა და სცენაზე ნაპერწკლები იფრქვეოდა. მხოლოდ მათ შორის ქალის გამოჩენამ დააცხრო მებრძოლი მხარეები.



ანსამბლი „რუსთაველი“ სტუმრად რუდოლფ ჰაინცის ოჯახში

ორი აკორდიონისტი და ორი მედოლე თავბრუდამხვევი მელოდიებით მუსიკალურ თანხლებას უწევდნენ მოცეკვავეებს. ამას გარდა, ჩართული იყო ინსტრუმენტალური გამოსვლებიც, სალამური ბრწყინავდა საცეკვაო და საზეიმო მელოდიების შესრულებისას, სამი მედოლის მიერ შესრულებულ სოლოსაც არ აკლდა არტისტული მომენტები.

ფინალში სოლო გამოსვლები ამკობდა ცეკვა „ძხედრულს“ შემსრულებლებს ვარდები მიართვეს, დაბოლოს, მომღერალთა გუნდის მიერ შესრულებული იქნა გამოსამშვიდობებელი სიმღერა გერმანულ ენაზე.

21 სექტემბერს ჩვენი კონცერტი ლევერკუზენში გაიმართა. ამ ქალაქში უკვე მესამედ ვართ, ძალიან ლამაზია, საკონცერტო დარბაზიც იშვიათია, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი.

დღეს აქ ახალი საკონცერტო სეზონი გაიხსნა. მოვიდა საუკეთესო საზოგადოება. კონცერტის წინ ქალაქის ბურგომისტრი მოგვესალმა. საპასუხოდ გამოვიდა რუდოლფ ჰაინცი, მან ილაპარაკა საქართველოზე, მის უძველეს კულტურაზე. მერე თქვა – „ვინაიდან თქვენ ასე გახარებთ „რუსთაველთან“ შეხვედრა, ლევერკუზენს ყოველთვის შევიტან გეგმაშიო“, — ამაზე დარბაზში დიდი ტაში ატყდა. რუდოლფ ჰაინცი არა მარტო მართავს „რუსთაველის“ კონცერტებს, არამედ შესანიშნავად წარადგენს საქართველოს, მის კულტურას და რასაკვირველია, ანსამბლ „რუსთაველს“

მოკლედ, როლფი დიდ საქმეს აკეთებს საქართველოს პოპულარიზაციისათვის, იგი ნამდვილი დესპანია.

მაყურებელმა კონცერტი ძალიან თბილად მიიღო. ეინ იცის, შერამდენედ გამოიძახეს ბისზე ჩვენი მსახიობები.

კონცერტის შემდეგ გაეცანით რადეფორმეალდთან ახლოს მდებარე პატარა სოფელ იონკფელდში.

მე და ბადრი თოიძე იმ სოფელში საკუთარი მანქანით წაგვიყვანა ჩვენმა ძველმა მეგობარმა რადეფორმეალიდან ფრიდჰელმ ზელბახმა, რომელიც მეუღლე როზიტასთან ერთად ჩამოვიდა ჩვენს კონცერტზე დასასწრებად. ფრიდჰელმი მდიდარი კაცია და, რასაკვირველია, ჰყავს მაღალი კლასის მანქანა „მერსედეს 500“

ფრიდჰელმი „ჰერას“ სხვა წევრებთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, იქ, როგორც შეგეძლო, პატივი ეცით, ამიტომ ყველანაირად ცდილობდა ჩვენთვისაც „სამაგიერო გადაეხადა“

მაშინ „მერსედესი“ (მით უმეტეს, ასეთი მაღალი კლასის) თბილისში იშვიათი მოვლენა იყო, ამიტომ გვაინტერესებდა მისი ტექნიკური მონაცემები. გერმანიის გზები ყველასათვის ცნობილია და სიჩქარე იქ არავის უკვირს, მაგრამ ჩვენ რაც ვნახეთ და განვიცადეთ, ამას ვერ წარმოიდგენთ. როცა მანქანის სიჩქარე 200კმ-ს მიუახლოვდა, ცოტა დავიძაბეთ, რადგან ასეთ სიჩქარეს მიჩვეული არ ვიყავით, მერე მძღოლმა თანდათან მოუმატა სიჩქარეს და სპიდომეტრი 280-ზე გაჩერდა, რადგან ეს იყო მაქსიმალური მაჩვენებელი, მაგრამ მომეჩვენა, რომ კიდევ უფრო სწრაფად მიდიოდა. ნერვიულობისაგან თავი ამტკივდა და ფეხის კუნთები დამეჭიმა. ეს კიდევ არაფერი, საოცარი ის იყო, რომ ჩვენმა მეგობარმა ლოთარ ბეტცმა 280კმ სიჩქარეზე თავის „პორშეთი“ ისე სწრაფად ჩაგვიქროლა და უკან ჩამოგვიტოვა, რომ ფრიდჰელმმა მხოლოდ შურით გააყოლა თვალი. ჩვენ უფრო იმიტომ შეგეშინდა, რომ ეშიშობდით, გზაზე ორმო ან კენჭი არ შეგვხვედროდა, ვინმეს მოძრაობის წესი რომ დაერღვია, ან მანქანის რომელიმე სავალ ნაწილს რომ ემტყუნა, ჩვენს „ბურდღას“ ვეღარ იპოვიდა კაცი. ფრიდჰელმმა იცოდა, რომ გზაზე არც კენჭი შეხვდებოდა, არც მოძრაობის წესს დაარღვევდა ვინმე და არც სავალი ნაწილი უმტყუნებდა.

მოკლედ, მოვედით სოფელ იონკფელდში, სადაც ჩვენი მასპინძლები იყვნენ ცოლქმარი ჰანსი და პაიდი რიომლერები. სუფრა კულტურის სახლში გაეშალათ ქართული წესით. სუფრა საცხე იყო ჩვენებური მწვანილებით, ათასნაირი თევზეულით, მწნილებით და ჩვენებური კერძების მსგავსი საჭმელებით.

ჩვენდა სასიამოვნოდ, ჰანს რიომლერს სპეციალურად მოეყვანა „მეორღანე“ მუსიკოსი, რომელსაც ჩვენებური „მეარღნის“ („არღანი“ ხომ სიტყვა „ორღანისაგან“ წარმოსდგება, გერმ. „ორგელი“) ქუდი ეხურა და მოზრდილი კარადისოდენა ხელის ორღანი ჰქონდა, რომელიც ბორბლებზე იდგა. – ეს „ორღანი“ 665 მელოდიას უკრავს, — გვითხრა მისმა პატრონმა იოჰანმა და მთელი ღამე გაგვართო ამ მელოდიებით. მერე ჩვენმა ბიჭებმა ქართული სიმღერები იმღერეს და გაიმართა ნამდვილი ქართული ქეიფი „არღნით“ იმ ღამეს განსაკუთრებით აქტიურობდა ჩვენი შესანიშნავი მომღერალი, პირველი ხმა ბონდო გუგავა, მან ლამის ჭერი ახადა დარბაზს, მის ბრწყინვალე ხმას კონცერტზე და აქაც ოვაციებით ხვდებოდნენ. როლფმა რამდენჯერმე გულში ჩაიხუტა ბონდო, ვინ იცის, იქნებ ორივემ იგრძნო, რომ ეს იყო მათი უკანასკნელი შეხვედრა, შემდეგ იგი ტრაგიკულად დაიღუპა და აუნაზღაურებელი დანაკლისი და გულისტკივილი მიაყენა „რუსთაველს“ და თავის ნაცნობ-მეგობრებს, გერმანელები დღესაც სიყვარულით იგონებენ ამ მართლაც განუმეორებელ მომღერალსა და შესანიშნავ პიროვნებას.

იმ დღეს ჩვენი მოცეკვავე-სოლისტის, ეკა მამასახლისის დაბადების დღე იყო. გერმანელებს არც ეს გამორჩენიათ მხედველობიდან. როლფმა მისი სადღეგრძელო

შესვა და „პერას“ სახელით მშვენიერი საჩუქარი გადასცა. ეკას თხზულით „რუსთაველმა“ რევაზ ლაღიძის „ჭრელ ბაღდადზე“ შესრულა, მერე დოლ-გარმონი „გახურდა“ და ბიჭებმა ეკა მამასახლისი აცეკვეს „კინტოურში“, შემდეგ „ორღანმა“ დაუკრა, მერე ბიჭებმა იმღერეს, მერე იცეკვეს და იმ უბანში ვინც ცხოვრობდა, ყველა მოვიდა ამ უცნაური კონცერტის სანახავად. როცა რომელიმე ნომერი დასრულდებოდა, გარეთ ტაში ატყდებოდა. ამირან გოლიაძემ იხუმრა – ამდენი ხალხი მგონი კონცერტზეც არ მოსულაო. ბოლოს ლადო თანდილაშვილმა გერმანული სიმღერა „წითელი ვარდები“ შეასრულა და ამით გერმანელი ქალების გულები საბოლოოდ მოინადირა.

22 სექტემბერი. მაინერცჰაგენი. ამ ქალაქშიც მესამედ ვართ. წინა ორ ჩამოსვლაზე ჩვენი კონცერტი დაემთხვა ლუდის დღესასწაულს, რომელიც აქ ყოველ წელს იმართება.

ქალაქის ცენტრში ლუდის დღესასწაულის დროს გაშლილია უზარმაზარი კარავი, დაახლოებით ათას კაცზე. კარავში დგას დიდი ხის მაგიდები, იყიდება ათასნაირი საჭმელი, იქვე იწვება ღორის ხორცი, ძეხვეული და სხვა. ლუდს სვამენ ხის დიდი კათხებით. მართავენ შეჯიბრს ლუდის სმაში, გამარჯვებულთათვის დაწესებულია სპეციალური პრიზები. უკრავს რამდენიმე ორკესტრი მონაცელეობით, გამართულია ცეკვა-თამაში ნაციონალურ ტანსაცმელებში, მოკლედ, საუცხოო სახალხო დღესასწაული იმართება. მიუნხენის დღესასწაულს ჩვენ არ დავსწრებივართ, მაგრამ აქაურიც მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაინერცჰაგენში ორჯერ დავესწარით ლუდის დღესასწაულს, ჩვენ საპატიო ადგილას დაგვსვეს და, როგორც სტუმრებს, უფასოდ გვემსახურებოდნენ, სამაგიეროდ საღამოს სიმღერებითა და ცეკვებით ვალამაზებდით.

ამჯერად ჩვენი ჩასვლა მაინერცჰაგენში ლუდის დღესასწაულს აღარ დაემთხვა. მიუხედავად ამისა, როგორც კი ჩვენი აფიშა გამოჩნდა ქალაქში, თურმე დიდი ამბავი ატყდა, რადგან აქ ბევრი ნაცნობი გვყავს. „რუსთაველის“ „ფანები“ ხშირად სხვა ქალაქებშიც ჩამოდიან ჩვენს კონცერტებზე დასასწრებად.

კონცერტის დღეს მაინერცჰაგენში ნაადრევად წაგვიყვანეს. ძალიან ლამაზია გზა რადეფორმვალდიდან მაინერცჰაგენამდე. ეს ქალაქი მთაში მდებარეობს, ამიტომ გზა ტყეში მიიკლაკნება და ჩვენ წინ იშვიათი სანახაობა იშლება. განსაკუთრებით ლამაზია მთიანი რაიონის პატარა დასახლება, რომელიც იმით განსხვავდება ჩვენი სოფლებისაგან, რომ იქ ყველაფერი აქვთ, რაც კი დიდ ქალაქებში იყიდება.

მაინერცჰაგენში რომ ჩაველით, იქ დაგვხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბატონი მალხაზ კაკაბაძე, რომელიც გერმანიაში იმყოფებოდა მიელინებით და სპეციალურად ჩამოვიდა ჩვენს სანახავად. მალხაზი „რუსთაველის“ დიდი მეგობარია და არაერთხელ წასულა ანსამბლი უცხოეთში მისი ხელმძღვანელობით. იგი უაღრესად დადებითი პიროვნებაა და ყოველთვის ცდილობს თბილისში და სხვაგან „რუსთაველს“ პრობლემები მოუხსნას. მოკლედ, მისმა ჩამოსვლამ ძალიან გაგვახარა. ჩვენც და ჩვენი გერმანელი მასპინძლებიც, რომელთანაც ბატონი მალხაზი დიდი ხანია მეგობრობს. მაინერცჰაგენის საკონცერტო დარბაზში ტევა არ იყო. კონცერტი დიდხანს გაგრძელდა, რადგანაც „ბისზე“ ბევრჯერ გავიმეორეთ ნომრები. კონცერტის შემდეგ ქალაქის მერიამ დიდი მიღება მოაწყო. სუფრა სავსე იყო დიდი ლუდის კათხებით და სხვადასხვანაირი ძეხვეულით. დაგვირიგეს სამახსოვრო საჩუქრები.

შვაინფურტი ჩვენი ძველი ნაცნობი ქალაქია, აქ არაერთხელ გამოსულა

„რუსთავის“ მომღერლები და მთლიანი ანსამბლიც. ამ ქალაქთან ბევრი სასიამოვნო მოგონება გვაკავშირებს. ამჯერად თქვენს ყურადღებას შეგაჩერებთ პრესის ამონარიდზე, რომელიც ჩვენი კონცერტის შემდეგ დაიბეჭდა:

შვაინფურტერ ფოლგს ცაიტუნგ
27.09.95.

ხმლებით ცეკვისას ნაპერწკლები იფრქვეოდა

გადამდებმა ტემპერამენტმა, პროფესიონალიზმმა და, ფოლკლორმა საუკეთესო გაგებით, კერძოდ, ხალხურმა ხელოვნებამ გამოიწვია ოვაციები შვაინფურტის თეატრში.

ხანჯლები ერჭობა იატაკზე, წარმოუდგენელი ტემპით მოძრაობენ მამაკაცები ბასრპირიან ხანჯლებს შორის, ეცემიან მუხლებზე, მოძრაობენ წრიულად, როგორც ტრანსში, სულ უფრო აჩქარებენ ტემპს და პროგრამის I ნაწილი სრულდება. ვისაც ეგონა, რომ ეს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტის კულმინაცია იყო, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო მეორე ნაწილში. როგორც ოთხი წლის წინ, ახლაც აღაფრთოვანებდნენ მაყურებელთ ქართველები თავიანთი ხელოვნებით.

სცენები ერთმანეთს ენაცვლება. მოძრაობა მუდმივია, იცვლება ტემპი მებრძოლი სულისკვეთებიდან ლირიკულ ცეკვამდე, ქორწილის პოეტური რიტუალიდან ისევ კონტრასტები. მაღალი, ტანადი ქალები პატარა ნაბიჯებით გადაადგილდებიან სცენაზე, რაც მათ მოძრაობას ჰაეროვნებას ანიჭებს. დაუჯერებელი სიზუსტით ცეკვავენ წარმოსადეგი მამაკაცები ფეხის წვერებზე, რომელთაც საოცარი გრაციულობა შეუძლიათ გადმოსცენ. ისევ და ისევ გამოდის გასაოცარ ხმათა ჟღერადობის მამაკაცთა გუნდი, წარმოდგენილი იყო აგრეთვე ქართული ინსტრუმენტები: ფანდური, სალამური და ჩონგური; ახალგაზრდა შემსრულებელმა სალამურზე დაკვრის ვირტუოზული ოსტატობა უჩვენა.

პროგრამის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ცეკვა „ხმლებით“; ლამაზი ქალისათვის მამაკაცების ორთაბრძოლა, რომლის დანახვაც მაყურებელს სუნთქვას უკრავს. თავდავიწყებით ფარიკაობენ მოცეკვავენი, ხმლებს აჭდობენ ერთმანეთზე, ნაპერწკლები ცვივა, ასე გგონია, რომ მოცეკვავეთა სიცოცხლე საფრთხეშია.

მაგრამ ეს ასე არ'არის. მთელი ანსამბლი უვნებლად წარსდგება მაყურებლების წინაშე ფინალში ოვაციებისას – უკვე მესამეჯერ.

ქ. კიოლნი გერმანიის მშვენებაა, ბიჭებმა ქალაქი ისე შეისწავლეს, რომ მგონი თბილისზე ნაკლებად არ იცნობენ, მაგრამ ასჯერ რომ ჩამოხვიდე კიოლნში და დატკბე მისი მშვენიერებით, მის ცნობილ ტაძარს გვერდს ერთხელაც ვერ აუვლი. იგი ანდამატივით გიზიდავს. ამ ტაძარში რამდენჯერ გვიმღერია, რამდენჯერ დავმტკბარვართ მისი მშვენიერებით. როგორც მოგახსენეთ, აქ ქრისტეშობის დღესასწაულს დავესწარით, რომელიც დღემდე არ ამოდის ჩემი გონებიდან, მაგრამ ამჯერადაც რამდენიმე საათი დავყავით იქ, მოვისმინეთ საორღანო მუსიკის რეპეტიცია, მერე ვიწრო კიბეებით ავედით მაღლა, საიდანაც მთელი ქალაქი ხელისგულივით მოჩანს, იქედან ისევ ჩამოვეძით ტაძარში და ვიტრაჟები დავათვალიერეთ. ამ შესანიშნავ ტაძარს ერთი საოცარი თვისება აქვს: რამდენჯერაც უნდა დაათვალიერო, ყოველთვის ახალ რამეს იპოვნი. ამჯერადაც იმდენი დრო დავყავით ტაძარში, სალიეერ

ვადაჭკორიას რომ არ შეეხსენებია, ჩქარა წაეედით, კონცერტი იწყებაო, ალბათ კიდევ დიდხანს დავრჩებოდით.

კიოლნში უამრავი ტურისტი ჩამოდის ყოველ წელს, ამიტომ ჩვენ კონცერტზე, გარდა „ჩვენი მაყურებლებისა“. ბევრი უცხოელიც დაესწრო.

ახლა ისევ მოვიშველიებ პრესას:

„მრავალსახოვანი კულტურა“

ფოლკლორი შემოიფარგლება ცეკვისა და მოძრაობის ტიპური ელემენტებით. ბალეტმეისტერმა ფრიდონ სულაბერიძემ ისინი თავისი ქორეოგრაფიით უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა და უფრო მრავალფეროვანი გახადა სტრუქტურა. ეს კარგად ეხამება ანზორ ერქომაიშვილის მიერ 1968წ. დაარსებული ანსამბლის შესანიშნავ დონეს. ფეხის წვერებზე ცეკვა მხოლოდ ქალებს კი არა მამაკაცებსაც შესანიშნავად ემარჯვებათ. გრძელი კაბები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ქალები კი არ ცეკვავენ, არამედ სცენაზე დასრიალებენ. აღსანიშნავია ცეკვა „განდაგანა“, რომელიც დრო და დრო აღფრთოვანებული მაყურებლის ოვაციებსა და ბრავოს შეძახილებს იმსახურებდა.

მიუხედავად მისი ტერიტორიის სიმცირისა — 5 მლნ მცხოვრები – კავკასიაში, შავი ზღვის პირას მდებარე პატარა ქვეყანა საქართველო მრავალფეროვანი კულტურის მატარებელია. ამას მოწმობს ცეკვები და სიმღერები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან: გურიიდან, იმერეთიდან, აჭარიდან და სვანეთიდან.

ხანჯლებით ცეკვა /აღმოსავლეთის მთიანი მხარე — მთიულეთი/ პროგრამის პირველი ნაწილის ფურორი იყო. სწრაფი შემობრუნებით ისროდნენ მოცეკვავენი ხანჯლებს, ასე რომ, ისინი ტრიალებდნენ და ხის იატაკში ზუსტად ესობოდნენ. „ფარიკაობაში“ მამაკაცები ასევე ვირტუოზულად ფლობდნენ ხმლების ხმარების ტექნიკას. მოწინააღმდეგეების ხმლები ერთმანეთთან შეხებისას წკრიალით აფრქვევდნენ ნაპერწკლებს. მებრძოლი სულის ხალხია ქართველები. საკაზნე ქამრის სტილიზებული ორნამენტები მამაკაცის კოსტიუმებზე ამას მიგვანიშნებს.

სიყვარულის თემა აისახა საქორწილო მაყრიონის სარიტუალო სიმღერის თანხლებით შესრულებულ ცეკვაში. ნეფე-პატარძლის დუეტი, ეფექტურად შეკერებული მუსიკითა და საშემსრულებლო ხელოვნებით შესანიშნავი იყო. წყვილი ცეკვისას ერთმანეთს არ ეხება, მიახლოება მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს. გუნდის სიმღერები და კაპელა და ინსტრუმენტული ჯგუფი შესანიშნავად ავსებდნენ პროგრამას. იქნებოდა ეს შრომის სიმღერა, რომელიც სიმინდის ყანებში მუშაობისას სრულდება, მზის ქალღმერთ ნანასადმი მიმართული სიმღერა თუ ქალაქური სიმღერა. ყოველივე ეს კარგად შეწყობილი გუნდისა და ფართო შესაძლებლობების ხმების მეშვეობით შესანიშნავად წარმოაჩენდა ხელოვნების ფასეულობებს.

28 სექტემბრამდე კიდევ რამდენიმე ქალაქში გავმართეთ კონცერტი. ყველგან იგრძნობოდა ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილება, ყველგან ოვაციებით გვხვდებოდნენ, მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდებით, მოვიტან კიდევ ერთ სტატიას ჩვენი კონცერტის შესახებ:

„მომაჯადოებელი ვირტუოზები“.

ყველა ადგილი შეივსო ბიურგერჰაუზის დიდ დარბაზში. კაცმა რომ თქვას, კიდევ უნდა დამატებინათ ადგილები, რათა დაეკმაყოფილებინათ დასწრების მსურველთა მოთხოვნა. დიდი სიხარულით მოელოდა აუდიტორია საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავს“, რომელიც კიდევ ერთხელ ესტუმრა გერ-

მანიას და 16 ქალაქში 17 გამოსვლით მაყურებელს სთავაზობს ტრადიციულ ქართულ ხალხურ ხელოვნებას. 54 წევრისაგან შემდგარი ფოლკლორული ანსამბლი პირველი წუთებიდან ატყვევებს მაყურებელს. აი გაისმის მაღალტემპერამენტული აკორდეონის მუსიკა, დოლის ცეცხლოვანი რიტმების თანხლებით და მთელი დარბაზი იძაბება, შთაბეჭდილებები მაყურებელთა ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს.

გრაციოზულად და ჰაეროვნად დანარნარებენ სცენაზე თეთრი მანდილებით შებურული მოცეკვავე გოგონები მაშინ, როცა მამაკაცები პირველივე ცეკვაში „ფერხული" რომელსაც გუნდური სიმღერა ახლავს თან, აკრობატული ნახტომებითა და ფეხის წარმოუდგენლად სწრაფი მოძრაობით თაებრუს ახვევენ მაყურებელს. შრომის სიმღერით „ნადური" რომელსაც სიმინდის ყანაში ძღერიან, მომღერლები გადმოგვცემენ მუშაობის პროცესს და დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ ევროპული კულტურისათვის ასე უცხო თავიანთი პოლიფონიური მრავალხმიანობით.

ასეთი იყო მაყურებლის საერთო შთაბეჭდილება და ბევრი მათგანი პირადად უხდიდა მადლობას ორგანიზატორთა ჯგუფს „პერას" ამ განუმეორებელი სანახაობის მოწყობისათვის.

ჩვენი გასტროლის დამაგვირგვინებელი აკორდი იყო კონცერტი ზაარბრიუკენში. მოგეხსენებათ, იგი თბილისთან დაძმობილებული ქალაქია და ყველა თბილისელი ამ ქალაქში თავს შინაურად გრძნობს. თბილისელი ანსამბლების გაშოჩენა ზაარბრიუკენში ნამდვილი ზეიმია.

ჩვენს კონცერტზე ქალაქის ხელმძღვანელობა და რჩეული საზოგადოება მოვიდა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ზაარბრიუკენის ყოფილი მერი, საქართველოს დიდი მეგობარი ოსკარ ლაფონტენი და რუდოლფ პაინცი. მათ ერთხმად



„რუსთავი" ძ. რადეფორმველდის ცენტრში

აღნიშნეს, რომ თბილისისა და ზაარბრიუკენის დამეგობრებაში „რუსთავმა“ დიდი როლი შეასრულა.

„ზაარბრიუკენ ცაიტუნგი“ ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევს „რუსთაველის“ ხელოვნებას:

„ზაარბრიუკენ ცაიტუნგი“, 28 სექტემბერი, 1995 წელი

შეხვედრა რუსთაველთან – ალმაფრთოვანებელი ზეიმი

„მსოფლიოში სახელგანთქმულმა ანსამბლმა „რუსთავმა“ საქართველოდან სამშაბათ საღამოს გასტროლი დაამთავრა ზაარლანდის სახელმწიფო თეატრში. კონცერტი ქართული ფოლკლორის ზღაპრულ საღამოდ გადაიქცა. აკრობატული ელემენტების მქონე მწყობრი ცეკვები ტრადიციული კოსტიუმებით სწრაფი თანმიმდევრობით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მამაკაცთა მრავალხმიან სიმღერასა და ფლეიტაზე (სალამური) ვირტუოზულ შესრულებას. მაყურებელთა მქუხარე ოვაციების თანხლებით, უსწრაფესი ტემპით დაქროდნენ ჰაერში მოცეკვავეები, ხანჯლები და ხმლები. ასევე, მომხიბლავი გრაციოზულობით, აღტაცებაში მოჰყავდათ მაყურებლები სცენაზე თითქოს უწონადობის მდგომარეობაში ნარნარად მოცეკვავე ქალებს“.

კონცერტის შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელობამ მოაწყო დიდი მიღება, სადაც თითქმის დილამდე ვიქეიფეთ. დილით ცრემლიანი დავტოვეთ „ჰერას“ ჯგუფი და გეზი ფრანკფურტისაკენ ავიღეთ.

გამომშვიდობებისას „ჰერას“ სახელით ჩვენმა დიდმა მეგობარმა რუდოლფ ჰაინცმა გადმოგვცა წერილი რუსთაველისადმი:

„ხელოვნებას საზღვრები არა აქვს – ხელოვნება აშენებს მეგობრობის ხიდებს“.

პროფესორ ჰერმან ვედეკინდის ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია. ვედეკინდმა ზაარლანდის მინისტრ-პრეზიდენტ ოსკარ ლაფონტენთან ერთად საძირკველი ჩაუყარა გფრ-სა და საქართველოს ერთობლივ კულტურულ მოღვაწეობას.

„იმედია, თქვენ, ძვირფასო მეგობრებო ანსამბლ „რუსთაველიდან“, ჩვენთან ამჯერადაც ლაღად იგრძენით თავი. ჩვენმა ჯგუფმა „ჰერამ“ დიდი სიხარულითა და მონდომებით დაგეგმა და განახორციელა თქვენთვის ყველაფერი.

თქვენც თქვენს ქვეყანას აცნობეთ ჩვენს ხალხზე, რომლისგანაც ალბათ ბევრი რამ ახალი გაიგეთ და შეიძინეთ. გისურვებთ, მომავალშიც დიდი წარმატებით იმოგზაუროთ გასტროლებზე სხვადასხვა ქვეყნებში, მეგობრებო.

სადაც არ უნდა მოაწყოთ ტურნეები, სადაც არ უნდა წარმოაჩინოთ თქვენი დიდებული ხელოვნება, გისურვებთ მშვიდობით დაბრუნებას თქვენს ლამაზ საქართველოში.

მოკითხვა გადაეცით ჩვენს მეგობრებს, რომლებიც იქ უკვე ბევრი გვყავს. ჩვენ ხშირად სიამოვნებით ვიგონებთ თქვენთან გატარებულ ლამაზ დღეებს და თქვენს უსაზღვროდ გულთბილ სტუმართმოყვარეობას.

სულითა და გულით ვუსურვებთ ყველა თქვენგანს, თქვენს ოჯახებს, თქვენს ქალაქსა და თქვენს ქვეყანას მშვიდობას, ბედნიერებასა და კეთილდღეობას.

„ჰერა“ გემშვიდობებათ იმის ღრმა რწმენით, რომ ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს“.

***

ბატონი კოტე გაბაშვილი დიდ საქმეს აკეთებს ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის, მისი სახით ჩვენ გვყავს ღირსეული წარმომადგენელი გერმანიაში. ბატონ კოტეს გვერდში უდგანან მისი მოადგილე მაია ფანჯიკიძე და მეუღლე მანანა ხელაია.

1996 წელს საქართველოს საელჩომ გერმანიაში ბატონი კოტე გაბაშვილის ხელმძღვანელობით გადაწყვიტა გაემართა ქართველი „ვასკელავების" კონცერტი, რომელიც დაინიშნა კიოლნში 1996 წლის 16 ივნისს სასტუმრო „მარტინის" საკონცერტო დარბაზში.

ჩვენმა საელჩომ უზარმაზარი მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარა, რაც მთავარია, მოიზიდა სპონსორები, რომლებმაც დააფინანსეს ეს ღონისძიება.

ამ კონცერტზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ: საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნოდარ ჟვანიასა და ოთარ ჩუბინიშვილის შემადგენლობით, ნინო ანანიაშვილი, ლიანა ისაკაძე, ზურაბ სოტკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, ლადო ათანელიშვილი, ლექსო თორაძე, ანსამბლ „რუსთავის" მომღერლები და სუხიშვილების ანსამბლი ნინო რამიშვილისა და თენგიზ სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

კონცერტის ყველა მონაწილემ უარი თქვა ჰონორარზე, ხოლო კონცერტის მთელი შემოსავალი გადაერიცხა თბილისის უპატრონო ბავშვთა სახლებს.

ჩვენი დელეგაცია ცხოვრობდა ძვირფას სასტუმრო „მარტინში".

ჩვენ კიოლნში გავემგზავრეთ 12 ივნისს. 16 ივნისამდე ტარდებოდა რეპეტიციები. ვინაიდან კონცერტის მონაწილეები სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწეობენ, ერთმანეთი კარგა ხანია არ გვენახა, ამიტომ დიდად გავიხარეთ.

ბილეთების ფასი მეტად მაღალი იყო (150 მარკა). საქართველოდან 16 ივნისს ჩამოვიდა პატარა დელეგაცია მანანა გიგინეიშვილის, ელდარ შენგელაიას, დალი და გურამ ფანჯიკიძეების შემადგენლობით. მათ ჩაატარეს კონფერენცია, რომელმაც დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

კონცერტი გახსნა ჩვენმა სახელოვანმა სიმებიანმა კვარტეტმა, შემდეგ გამოვიდნენ მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები: პიანისტი ლექსო თორაძე, მევიოლინე ლიანა ისაკაძე, ბალეტის სოლისტი ნინო ანანიაშვილი, საოპერო მომღერლები ლადო ათანელიშვილი, მაყვალა ქასრაშვილი და ზურაბ სოტკილავა. ყველა გამომსვლელს უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

მეორე განყოფილება მთლიანად დაეთმო ფოლკლორს, სადაც თავი გამოიჩინეს „სუხიშვილებმა" და „რუსთავმა".

კონცერტი არნახული წარმატებით ჩატარდა. მაყურებელთა აზრი ერთნაირი იყო, — „ამჟამად ძნელია მსოფლიოში მოინახოს ქვეყანა, რომელიც ამ დონის კონცერტს ჩაატარებსო".

კონცერტს დაესწრო გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოსა და ედუარდ შევარდნაძის დიდი მეგობარი ბატონი ჰანს დიტრიხ გენშერი. სხვებთან ერთად, რადეფორმვალდიდან კონცერტზე ჩამოვიდნენ ჩვენი მეგობრები რუდოლფ ჰაინცი და ლოთარ ბეტცი მეუღლეებით. ისინი ძალიან ნასიამოვნები დარჩნენ კონცერტით და ჩვენთან შეხვედრით.

კონცერტის შემდეგ გაიმართა მიღება, სადაც ჩვენს მომღერლებს გვიან ღამემდე მოუხდათ სიმღერა.

მონაწილეები დიდხანს აღარ დაშლილან, თითქმის დილამდე ეიჯუქით სასტუმროს ბარში, ეტყობა, ძალიან მოგვენატრა ერთმანეთი.

17 ივნისს კიოლნიდან მაინის ფრანკფურტში გაეემგზავრეთ, საიდანაც თბილისში გამოვფრინდით.

***

რუდოლფ პაინცი არა მარტო „რუსთაველის“, არამედ მთელი საქართველოს მეგობარია. მან „რუსთაველის“ გარდა გერმანიაში საგასტროლოდ არა ერთი მუსიკოსი მიიწვია, მათ შორის აღსანიშნავია გამოჩენილი მუსიკოსი ჯარჯი ბალანჩივაძე, ახალგაზრდა მეგიოლინე ნათია მდინარაძე, სახელოვანი ანსამბლი „ქართული ხმები“ (ძველი თაობა) რობერტ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით და სხვ. როცა „ქართული ხმები“ პირველად ჩავიდა რადეფორმფალდში, შესანიშნავი კონცერტები გამართა და მაყურებელთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა. პირველივე დღეს ანსამბლის წევრებს ძვირფასი სუფრა გაუშალეს და დილამდე აქეიფეს. ჩვენი საყვარელი მომღერალი, „ქართული ხმების“ წამყვანი სოლისტი ზაურ ბოლქვაძე გერმანიაში პირველად იყო. ადრე მას, როგორც ჩანს, გერმანელებზე ცუდი წარმოდგენა ჰქონდა, რადგან მამამისი ტარასი ბოლქვაძე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გახლდათ და, მგონი, ტყვეთაც იყო ნამყოფი. როცა ზაურმა გერმანელებისაგან ასეთი მასპინძლობა, ამდენი სიყვარული და მოფერება ნახა, განცვიფრდა. მეორე დილით, როცა ნაბახუსევსა და თავატკივებულს, გულზე ცივ-ცივი გერმანული ლუდის ბოთლები გაუგორეს, ზაურმა ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა გაკიცხა მამამისი — ტარასი ბოლქვაძე: „არ გრცხვენია? ამისთანა ანგელოზივით ხალხს თოფი როგორ ესროლე“



მალხაზ კაკაბაძე და ანზორ ერქომაიშვილი სტუმრად რუდოლფ პაინცთან

ეს ამბავი დღეს ანეკდოტად დადის საქართველოში. როლფი ცდილობს ყველა ქართველს პატივი სცეს. იგი მასპინძლადაა დაბადებული და აკი ჰყავს კიდეც ბევრი სტუმარი.

როცა ქართული ოპერის თეატრი არაჩვეულებრივად წარსდგა გერმანელი მაყურებლის წინაშე დიუსელდორფში გამართულ საოპერო ფესტივალზე, რუდოლფ პაინცი მეუღლესთან ერთად დაესწრო „აბესალომ და ეთერს“, რომელსაც შესანიშნავი მუსიკოსი ჯანსუღ კახიძე დირიჟორობდა. იგი აღფრთოვანებული იყო უმაღლეს დონეზე შესრულებული სპექტაკლით და ქართველებთან ერთად ინაწილებდა დიდი წარმატებით გამოწვეულ სიხარულს.

სპექტაკლის შემდეგ მან რადეფორმვალდში, თავის ოჯახში მიიწვია ქართული დელეგაციის დიდი ჯგუფი, მათ შორის გამოჩენილი მწერალი გურამ ფანჯიკიძე, პოეტი ტარიელ ჭანტურია, კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, მუსიკათმცოდნე მანანა ახმეტელი, ხელოვნების არქივის დირექტორი ვახტანგ გურგენიძე, ვახტანგ კუპრავა და სხვები. ამ ჯგუფის წევრებს დღესაც ახსოვთ ის გასაოცარი მასპინძლობა, რომელიც მათ როლფმა გაუწია რადეფორმვალდში.

1996 წლის 9 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე „რუსთავის“ მომღერლები საგასტროლოდ იმყოფებოდნენ საფრანგეთში, შვეიცარიასა და გერმანიაში. გასტროლი შედგა იმპრესარიოების ფინდლინგის (საფრანგეთი, შვეიცარია) და თომას როდეს (გერმანია) მიწვევით. საფრანგეთში კონცერტები გავმართეთ ბორდოში, შევალიეტში და რუანში. საფრანგეთიდან 14 აგვისტოს შვეიცარიაში გავემგზავრეთ და ჟენევის მიმართულებით გავიარეთ 350კმ. შვეიცარიის ტერიტორიაზე გვხვდება უამრავი გვირაბი, ისინი ხშირად მთებს შორის ხიდებითაა გადაბმული, საიდანაც ულამაზესი სანახაობა იშლება.

ნეტავ ოდესმე თუ იქნება საქართველოში ასეთი გზები?

ჟენევას გვერდი ავუარეთ და გზა ქალაქ ვერბისაკენ განვაგრძეთ, იქ ჩვენი კონცერტია დაგეგმილი.

ვერბი მთებში მდებარეობს, მისკენ მიმავალი გზა ულამაზესია. აქ ერთ მტკაველ მიწას ვერ ნახავთ დაუმუშაებელს. ასობით ჰექტარზე გაშენებულია ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი და სხვ. ხეხილი დაბალი ტანისა ჭარბობს. ვაშლები და მსხლები, როგორც ვენახი, ძირითადად მწკრივებში მავთულებზეა გაბმული და მეტად უხვმოსავლიანია, ჩვენთან რომ იტყვიან, ნაყოფი „ქინძის კაკალივით“ ასხია. მწკრივებს შორის პატარა ტრაქტორები დადიან და ხეხილს ამუშაებენ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვაზი. გზის ორივე მხარეს მთებში გაკეთებულია ლამაზი ტერასები და ზედ ვაზია გაშენებული, რომელიც საოცრადაა მოვლილი. მწკრივებს შორის დიდი მანძილია დატოვებული, რადგან იქაც ტრაქტორები ამუშაებენ ვენახს. ამიტომ ერთ ძირ ბალახსაც ვერ ნახავთ. ვაზი გაშენებულია ისეთ მაღლობებზეც, სადაც ფეხით ასვლა გაგიჭირდებათ.

ეზოებში პატარა კოხტა ბაღჩებია, სადაც ჭარბობს კიტრი, პომიდორი, კომბოსტო, სხვადასხვა სალათები და რაც მთავარია – ყვავილები. აქ ყვავილების კულტია, ყველა ეზო ყვავილებითაა მორთული. სახლებიც სულ ყვავილებშია ჩაფლული, აივნებიდან და ფანჯრებიდან უამრავი კალათაა ჩამოშვებული, რომლებიც სავსეა ცოცხალი ყვავილებით.

აქ ერთი მტკაველი მიწა არ არის უქმად. ყველგან იგრძნობა პატრონის ხელი, იგრძნობა, რომ მოწესრიგებულ და მდიდარ ქვეყანაში იმყოფებით.

ნეტავ გვეღირსოს, რომ საქართველოც ამნაირად მოვლილი გვენახოს.

ქალაქი ვერბი მაღალ მთებში მდებარეობს. იგი ბახმაროს, სტეფანწმინდას ან მესტიას მოგაგონებს. ვერბი ერთ-ერთი ულამაზესი საკურორტო ქალაქია მათ შორის, რაც კი ოდესმე მინახავს. ქალაქს ირგვლივ ნახევარწრედ კლდოვანი მთები არტყია, რომლის ბოლოები ხეობას უერთდება, რაც იშვიათ სანახაობას ქმნის. გზები აყვანილია მთების მწვერვალამდე და ულამაზესი სანახაობა. მთების წვერზე ადის აგრეთვე რამდენიმე საბაგირო გზაც. ტურისტებისთვის დასასვენებლად იდეალური პირობებია შექმნილი. შესანიშნავი აუზები, ჩოგბურთის კორტები, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. სათხილამურო ტრასები, მინი ფეხბურთის მოედნები, საპარაშუტო და დელტაპლანის საფრენი ბაზები, გაზონები, მოედნები, კორტები სულ ყვავილებითაა მოქარგული.

ქუჩებში ასფალტზე დახაზულია ჭადრაკის დაფები, სადაც ჭადრაკის დიდი ფიგურები დგას.

შენობები აგებულია რელიეფის შესაბამისად. საცხოვრებელი სახლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება, სახლის პირველი სართული, როგორც წესი, ქვითკირისაა. მეორე ან მომდევნო სართულები — ხისა. ყველა სახლი მთლიანად ჩაფლულია ფერად ყვავილებში, რაც ულამაზეს სანახაობას ქმნის.

პირველი სართული ბარს, კაფეს ან რესტორანს უკავია, რომლებიც გაბრდღვიალებულია ათასნაირი რეკლამებით. პიტალო მთების ნახევარწრე ზემოდან დაჰყურებს ამ მართლაც იშვიათ ბაღნარს და ყოველივე ეს სამოთხის შთაბეჭდილებას ტოვებს. სამოთხე თუ ამისთანა ლამაზია, მაშინ მართლა ისე უნდა იცხოვრო, რომ სიკვდილის შემდეგ იქ მოხვდეო, თქვეს ანსამბლის წევრებმა. ამაზე ამირან გოლიაძემ იხუმრა: ე, ბიჭო დამტოვეთ აქ და საქართველოში თქვით, რომ გარდაიცვალა და პირდაპირ სამოთხეში მოხვდაო.

მთები, რომელიც ქალაქს აკრავს, ზვავსაშიშია, მაგრამ ყველგან 5-10 მეტრის დაშორებით უჟანგი ლითონისაგან დამზადებული მაღალი ბოძები და რკინის ღობეებია ჩაბეტონებული, რაც თოვლს აკავებს და, როგორც იქაურებმა გვითხრეს, ქალაქი ზვავისაგან საიმედოდაა დაცული.

როცა ქ. ვერბიში ავედით, იშვიათი სანახაობა ვიხილეთ: ცაში სხვადასხვა ფერის დელტაპლანები და ნახევარკალისებური გასაბერი პარაშუტები იყო გამოკიდებული. ეს სპორტი აქ მაღალ დონეზეა განვითარებული. სპორტსმენები მწვერვალებიდან ხტებიან, შემდეგ ქარის დინებას მიჰყვებიან და ჰაერში დიდ სიმაღლეზე საათების განმავლობაში ლივლივებენ, რაც ულამაზეს სანახაობას ქმნის.

მოკლედ, ვისაც საშუალება აქვს, რომ ვერბიში დაისვენოს, ყოველგვარ სიამოვნებას მიიღებს, რაც კი ადამიანის გონებას მოუფიქრებია.

ჩვენი კონცერტი ქალაქის ცენტრში – პატარა მოედანზე გაიმართა, რომელიც ხის ულამაზესი სახლებითაა გარშემორტყმული. მაყურებელმა თვითონ მოიტანა საკუთარი სკამები და მოედანზე მოკალათდა. ბიჭები მიკროფონების გარეშე მღეროდნენ, მაგრამ ხმები მშვენივრად ისმოდა, რადგან ხის სახლები და მთები მშვენიერ აკუსტიკურ გარემოს ქმნიდა.

კონცერტი დამთავრდა, კმაყოფილი ხალხი დიდხანს არ იშლებოდა, ისინი ინტერესით გვეკითხებოდნენ ქართული სიმღერის და საერთოდ საქართველოს შესახებ. იდგა 15 აგვისტო, მაგრამ მაყურებელი თბილ ტანსაცმელში იყო გამოწყო-

ბილი, რადგან ძალიან ციოდა. ჩვენი ბიჭები ჩოხებში კინაღამ გაიყინენ, კონცერტის ბოლოს თითქმის გალურჯებული გამოვიდნენ სცენიდან.

როცა ავტობუსში ვსხდებოდით, უკვე საღამო იყო. 9 დელტაპლანი ცაზე გამწკრივებულიყო და ლივლივებდა. გამახსენდა ჩემს ბავშვობაში საირაოზე გადამფრენი წეროების გუნდი.

მზე ჩადიოდა, ფერადი „წეროები" ვერბის თაზე ჰაერში ირაოს აკეთებდნენ. ეტოვებდით მართლა სამოთხის მსგავს ქალაქს, სადაც აივნებიდან ხალხი ხელის ქნევითა და პირზე კოცნით გვაცილებდა.

ვერბიდან დაახლოებით 50კმ-ის დაშორებით მდებარეობს ქალაქი სიონი. რატომ ჰქვია ეს სახელი, ვერავინ გვითხრა. სიონი ძალიან ლამაზი ქალაქია, მაგრამ არა პგავს არც ბოლნისის სიონს, არც თიანეთის სიონს, ადგილმდებარეობით იგი უფრო სტეფანწმინდის სოფელ სიონს მოგაგონებს, ვინაიდან ისიც პიტალო კლდეებითაა გარშემორტყმული.

სიონიდან ქალაქ ჰოთ-ნონდისკენ გავემგზავრეთ. გზადაგზა გვხვდებოდა მთებზე შეფენილი ულამაზესი სოფლები. ისინი ძალიან პგვანან ჩვენს მთიან სოფლებს, იმ განსხვავებით, რომ იქ მთელი სოფელი რეკლამებითაა გაჩირაღდნებული და მცხოვრებლებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი უმაღლეს დონეზე, ამიტომაა, რომ იქაურები თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს არ ტოვებენ. ჩვენთან რომ ამის ნახევარი პირობები შეუქმნან ხალხს, სოფლები აღარ დაიცლებოდა.

ჰოთ-ნონდიდან მონტანაში გავემგზავრეთ. ეს ქალაქიც მთებში მდებარეობს. ჩვენი სასტუმროდან იშვიათი ხედი იშლება. თოვლიანი მთები ისე დაგვყურებს ზევიდან, როგორც სტეფანწმინდაში. მონტანაში ჩვენი კონცერტი ერთ-ერთი მთის კალთაზე აშენებულ ეკლესიაში გაიმართა. ეს ეკლესია 500-დე მაყურებელს იტევს. დარბაზი სავსე იყო და კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა.

17 აგვისტოს, ადრე დილით გამოვეთხოვეთ შვეიცარიის ულამაზეს მთებს და გერმანელ იმპრესარიო თომას როდესთან ერთად გერმანიაში გავემგზავრეთ.

ჩვენ გადავსერეთ თითქმის მთელი შვეიცარია, გავიარეთ ბერნი, ბაზელი, ციურიხი და მივადექით ავსტრიის საზღვარს, მაგრამ ავსტრიის ვიზა არ აღმოგვაჩნდა და იძულებული გავხდით უკან მოვბრუნებულიყავით. რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ მივადექით შვეიცარიის ტბას და ბორანით 45 წუთში გადავედით მეორე ნაპირზე. როგორც იქნა, საღამოს 7 საათზე შევედით გერმანიის ტერიტორიაზე, გავიარეთ მიუნხენი და 3 საათის მგზავრობის შემდეგ მიველით ერთ პატარა დაბა ბიბურგში იქ დავბინავდით ძველი ეკლესიის საერთო საცხოვრებელში, სადაც ადრე ბერები ცხოვრობდნენ. ეკლესია X საუკუნეს განეკუთვნება. ღამე გაგვიმართეს მშვენიერი ვახშამი. თომას როდეს ჩაფიქრებული აქვს ამ ეკლესიაში ჩაწეროს ჩვენი საგალობლები და გამოუშვას კომპაქტური დისკები, რომელიც კონცერტებზე გაიყიდება.

ნოემბერ-დეკემბერში მას ევროპაში დაგეგმილი აქვს „რუსთაველის" დიდი ტურნე, სადაც მხოლოდ ძველი ქართული საგალობლები უნდა შეასრულოთ. თბილისში თომასმა ხელნაწერთა ინსტიტუტში სლაიდებზე გადაიღო იშვიათი ძველი მინიატურები, რომელთა გამოყენებას აპირებს ჩვენს კონცერტებზე.

19 აგვისტოს, ფერიცვალებას, დილით წირვა ჩატარდა, შემდეგ ვიმეცადინეთ საკონცერტო პროგრამაზე, ხოლო საღამოს 6 საათზე დაიწყო ჩაწერა კომპაქტური დისკისათვის. ჩავწერეთ 4 საგალობელი. 8 საათზე ჩატარდა პირველი რეპეტიცია სლაიდების თანხლებით. იმპრესარიოს შეუძენია საპროექციო აპარატი და გალობის

დროს ჩვენს უკან, ეკრანზე აჩვენებდნენ ძველ მინიატურებს გადიდებული სახით. რეპეტიცია გვიან ღამით დამთავრდა. მართლაც იშვიათი ეფექტი იყო.

ეკლესია აშკარად რესტავრირებულია, თუმცა გარე ფასადზე შეუნარჩუნებიათ ძველი ორნამენტები ყურძნისა და გარეული ცხოველების გამოსახულებით. შიგნიდან ეკლესია მოპირკეთებულია და თანამედროვე ყაიდაზეა მოწყობილი, ძალიან ლამაზია ვიტრაჟები.

მოკლედ, ამ ეკლესიაში ვმეცადინეობთ ყოველდღე და ვიწერთ საგალობლებს კომპაქტ-დისკებისათვის.

ჩვენი იმპრესარიოს გეგმა ასეთია, რუსთავის გასტროლის წინ მოაწყოს სასინჯი 6 კონცერტი და გამოუშვას კ/დისკი ჩვენი საგალობლებით. საგალობლების ჩაწერა გაჭირდა, ვინაიდან ეკლესიაში ბავშვებისა და მანქანების ხმები შემოდიოდა, და ფონო-ჩანაწერებს ედებოდა, ამიტომ გადაწყდა, — ჩაწერები ღამის პირველი საათიდან დაგეწყო, როცა ყველა დაიძინებდა და მანქანების ხმაურიც მიწყნარდებოდა. ამან შედეგი გამოიღო, მაგრამ მანქანების ხმაური და სიგნალები ხანდახან მაინც აღწევდა ჩვენამდე, მაშინ ისევ თავიდან ვიწყებდით ჩაწერას, ხანდახან დილის 5-6 საათამდე ვმუშაობდით. ეს ამბავი ჩვენთვის უცხო არ იყო, რადგან 1970-იან წლებში თბილისში ფირმა „მელოდიაში“ ხმის რეჟისორი მიხეილ კილოსანიძე ფირფიტებისთვის სიმღერებს კონსერვატორიის დიდ დარბაზში იწერდა და სანამ ქალაქში მოძრაობა არ შეწყდებოდა, მუშაობას ვერ ვიწყებდით.

მოკლედ, რის ვაი-ვაგლახით ბიბურგის ეკლესიაში ჩაწერას 24 აგვისტოს მოვრჩით, ჩავწერეთ 24 საგალობელი.

25 აგვისტოს ჩვენი პირველი კონცერტი ქ. რეგენსბურგში იყო დანიშნული.

რეგენსბურგი ძველი ქალაქია ტრადიციული ვიწრო ქუჩებითა და გრანდიოზული ეკლესიებით. ეს ქალაქი გერმანიაში კათოლიკური ქრისტიანობის ერთ-ერთი ცენტრია. ეკლესიების უმრავლესობა ძველია და მეტად მდიდრულადაა მოხატული. მათ ბევრი მნახველი ჰყავს, ვინაიდან რეგენსბურგი ყოველთვის სავსეა ტურისტებით.

ამ ულამაზესი ქალაქის ქუჩებში, თანამედროვე მანქანებისა და ავტობუსების გვერდით, შეხვდებით ძველებურ ავტომობილებს და „კონკას“ მსგავს მრავალვაგონიან „მატარებლებს“, რომლებიც ტურისტებს ემსახურება.

ზაფხულობით ბარები და კაფეები ქუჩებშია გამოტანილი, რომლებიც სავსეა ხალხით, ისინი სვამენ ლუდს და ერთობიან იშვიათი სანახაობებით, რომელსაც ადგილობრივი თუ ჩამოსული მსახიობები სთავაზობენ.

ვიწრო ქუჩებში მანქანების მოძრაობა აკრძალულია, იგი მხოლოდ ფეხით მოსიარულეებისთვისაა განკუთვნილი. როცა ქუჩაში დადიხართ თავი შუა საუკუნეებში შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რადგან ყველაფერი ძველებურ ყაიდაზეა მოწყობილი. იქაც, ისევე როგორც ყველგან მთელ გერმანიაში, „ყვაეილების არის მრავლობა“

მოკლედ, ქ. რეგენსბურგი მნახველზე იშვიათ შთაბეჭდილებას ახდენს. ჩვენი კონცერტი დაგეგმილი იყო „ემერმანის“ ეკლესიაში, რომელიც კულტურის ცენტრად ითვლება.

დილით იქ ჩატარდა წირვა, მერე იყო სამი ჯვრისწერა, ამის შემდეგ ჩვენ ჩავატარეთ რეპეტიცია, 6 საათზე ისევ წირვა ჩატარდა, ხოლო 8 საათზე ჩვენი კონცერტი დაიწყო.

„ემირმანის“ ეკლესიის მშენებლობა დაუწყიათ 1597 წელს, შენდებოდა 135 წელიწადი. იგი აგებულია გამოჩენილი ოსტატების მიერ და გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს. ეკლესიის მოხატულობა მეტად მდიდრულია, ხოლო სტატ-

უები, რომელიც მრავალადაა განლაგებული შიგნით, სულ ოქროშია ჩასმული. ეკლესია მოცულობით დიდია, შიგნით დგას გრძელი ხის მერხები, რომელიც დაახლოებით 800-ღე კაცს იტევს. გარდა ამისა, ვნახეთ საოცარი რამ: შუშის სარკოფაგებში, რომლებიც სხვადასხვა ადგილას დგას, მოთავსებულია სამი წმინდანის ნეშტი. ჩონჩხებს აცვიათ ძალიან მდიდრული ტანსაცმელი, ძველებური სამკაულებით მორთული, ფეხები და თავი ნახევრადგამჭვირვალე ქსოვილითაა დაფარული, თაჯზე შემოხვეული აქვთ ძვირფასი ქსოვილი, თვალებისა და ცხვირის ადგილას ჩასმულია ძვირფასი დიდი თვლები, რომლებიც შორიდან ბრჭყვიალებს.

წმინდანები მწოლიარე მდგომარეობაში არიან და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს შუშის სარკოფაგიდან ისინი თვალყურს ადევნებენ ყველაფერს, რაც იქ ხდება.

ასეთი რამ არსად მინახავს.



შუშიცარია. ძალაძი ვერბი.

კონცერტის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე დარბაზი ხალხით გაიცსო. კონცერტი ზუსტად რვა საათზე დაიწყო. შუქი ჩაქრა და „რუსთავის" მომღერლებმა სანთლების შუქზე დაიწყეს გალობა. მომღერლების უკან გამართული იყო დიდი ეკრანი, სადაც საპროექციო აპარატით, გალობის ფონზე, აჩვენებდნენ უნიკალურ ქართულ მინიატურებს გადიდებულ (3X4მ.) მასშტაბებით. მართლაც იშვიათი სანახაობა იყო, საგალობლების ფონზე ამ მინიატურებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ასეთი რამ მეც არასოდეს მინახავს. შუქი მხოლოდ პირველი განყოფილების ბოლოს აინთო და მაყურებელმა აღფრთოვანება ტაშის გრიალითა და შეძახილებით გამოხატა. კონცერტის ბოლოს ისევ აინთო შუქი და მაყურებელმა ოვაცია გაუმართა შემსრულებლებს.

კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოდიოდნენ და გვეკითხებოდნენ ამ უცნაური საგალობლებისა და მინიატურების შესახებ, რომლის მსგავსი, როგორც ამბობდნენ, არაფერი უნახავთ და მოუსმენიათ. მაყურებელთა დიდი ნაწილი დაინტერესდა

საქართველოთი და მისი კულტურით. ბევრმა გამოთქვა საქართველოში ჩამოსვლის სურვილი.

27 აგვისტოს ჩვენი კონცერტი გაიმართა ქ.ლანცხუთში. იგი ბიბურგიდან 35 კილომეტრითაა დაშორებული. ლანცხუთი ძველი ქალაქია, რომელიც ეკლესიებითა და ლამაზი ეიწრო ქუჩებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეკლესია, სადაც ჩვენი კონცერტი უნდა გაიმართოს, ქალაქის ცენტრში მდებარეობს, იგი ბაზილიკის სტილშია აგებული და შიგნიდან შეტად მდიდრულადაა მოხატული. იქაც ერთი წმინდანი წეს შუშის სარკოფაგში მდიდრული სამოსით. თვალებისა და ცხვირის ადგილას ძვირფასი თვლებია ჩასმული, რაც ცოტა უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს. ეკლესია სავსეა მარმარილოს სტატუებით.

მოკლედ, აქაური ლანცხუთი ჩვენი ლანჩხუთისაგან განსხვავდება ძველი ეკლესიების სიმრავლითა და ცხოვრების უსაშველოდ მაღალი დონით.

ჩვენი კონცერტი ძალიან მოიწონეს, მაყურებელმა გულწრფელი ტაშით დაგვაჯილდოვა. უნდა აღინიშნოს მსმენელის მაღალი კულტურა, მთელი კონცერტის განმავლობაში, რომ იტყვიან, ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

კონცერტზე ასეთი კურიოზი მოგვივიდა: ვასრულებდით მიცკალებულსადმი მიძღვნილ ტროპარს „უგოდებ და ვიგლოვ“ საქართველოში ასეთი ტრადიციაა: გარდაცვლილის ხსენებაზე თუ ვინმე დააცემინებს, ძას სამჯერ დაარტყამენ ბეჭზე ხელს და დალოცავენ, იმის მოსელამდე არაფერი გეტკინოსო. ზემოხსენებულ საგალობელში ასეთი ტექსტია: ეგოდებ და ვიგლოვ მე, რაჟამს გულის ხმა ყოფით სიკვდილი და ვიხილოთ საფლავსა შინა მდებარე მშვენიერება...

როცა ვიმღერეთ „რაჟამს გულისხმა ვყოთ“ იქ პატარა პაუზა გაკეთდა, და-



ბაზში იდეალური სიჩუმე სუფევდა და ამ სიჩუმეში ვიღაცამ ისე ხმამაღლა დააცემინა, რომ მთელი დარბაზი მისკენ მიტრიალდა, გუნდმა კი ხმამაღლა მიამღერა – „სიკვდილიიი“ ამ ფაქტზე მომღერლებმა თავი ვეღარ შეიკავეს და ისეთი სიცილი ატეხეს, რომ საგალობელი კინაღამ ჩაშალეს. მაყურებელმა ქართული ტრადიცია არ იცოდა, ამიტომ ვერ გაიგეს, რაზე იცინოდნენ მგალობლები.

მორიგი კონცერტი 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე გაიმართა მიუნხენის წმ. ლუკას ტაძარში, რომელიც სხვებისაგან განსხვავებით გუმბათოვანია და მოცულობით დიდია. შიგნით დადგმული მერხები დაახლოებით 700 მაყურებელს იტევს. ტაძარში იშვიათი აკუსტიკაა, ერთი ბგერაც კი არ იკარგება.

კონცერტზე მოვიდნენ ჩვენი ძველი ნაცნობები ქ. გრაფინვიდან: უდო, როზვიტა, ელისაბედი, მილა და სხვები. ჩვენ მათ ოჯახებში ვცხოვრობდით რამდენიმე წლის წინ. ისინი არაჩვეულებრივი ადამიანები არიან, ამიტომ ძალიან გაგვეხარდა მათი ნახვა, კონცერტზე მოვიდა აგრეთვე რამდენიმე ქართველი გოგონა, რომლებიც მიუნხენში არიან გათხოვილები.

სახლში გვიან ღამით დავბრუნდით ისე, რომ მიუნხენი ხვირიანად ვერც დავათვალიერეთ, ვიყავით მხოლოდ წმ.მარიამის მოედანზე, რომელიც თავისი არქიტექტურით უაშრაში ტურისტის ყურადღებას იპყრობს.

29 აგვისტოს ჩვენი კონცერტი გაიმართა ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში. ეს ქალაქი გერმანიის საზღვართან ახლოს მდებარეობს და მთებითაა გარშემორტყმული. მას მეტად ლამაზი მდებარეობა აქვს.

ზალცბურგში დაიბადა მოცარტი.

იმ სახლში, სადაც მოცარტი დაიბადა, პირველ სართულზე, ამჟამად კომპაქტდისკების ფირმა და მაღაზიაა. მეორე სართულზე, მარცხენა მხარეს მოცარტის სახლ-მუზეუმია. სამწუხაროდ, იგი დაკეტილი დაგვხვდა. ამ ქალაქში ყველაფერი მოცარტის სახელთანაა დაკავშირებული. მაღაზიებიდანაც კი მოცარტის მუსიკა ისმის.

კონცერტი მოცარტის სახლთან ახლოს მდებარე ეკლესიაში „ანდრე-კირხენში“ გაიმართა და ზალცბურგელების მოწონება დაიმსახურა.

მეორე დილით ჩვენმა იმპრესარიომ გვთხოვა, რომ გავყოლოდით მისი ახლობლის დასაფლავებაზე და რამდენიმე სამგლოვიარო საგალობელი შეგვესრულებინა. გარდაცვლილი გახლდათ უმდიდრესი კაცი, მთელ გერმანიაში სახელგანთქმული ადვოკატი. გარდაცვლილის პარაკლისი ევანგელისტების ეკლესიაში 12 საათზე იყო დანიშნული.

ეს ეკლესია თანამედროვე არქიტექტურის მიხედვითაა აშენებული. იგი ვიწროა და მაღალი, საშენ მასალად ძირითადად გამოყენებულია ხე. გუმბათის წვერზე, რომელიც ქალაქის თითქმის ყველა კუთხიდან ჩანს, დიდი ჯვარია აღმართული. ეკლესიის გვერდით ეზოში ბავშვთა ბაღი და ბავშვთა სახლია მოთავსებული, რომელსაც ეკლესია პატრონობს.

სანამ პარაკლისი დაიწყებოდა, ჩვენთან მოვიდა მღვდელი და გვკითხა, რა შინაარსის საგალობლებს შეგასრულებდით. ჩვენ დავუსახელეთ სამგლოვიარო საგალობლები: „ვგოდებ და ვიგლოვ“, „სიჭაბუკის ყვავილი დააჭნო სიკვდილმა“, „ცა ვრცელი განცვიფრებულ არს“, „საფლავისა აღებასა“, „ზარი“ და სხვა. მან გვთხოვა ორღანთან მონაცვლეობით სამი საგალობელი გვეგალობა მაშინ, როცა თვითონ გვანიშნებდა.

პარაკლისი ზუსტად 12 საათზე დაიწყო. მას 80 კაცამდე ქალაქის რჩეული საზოგა-

დება დაესწრო. სულყველას შავი სამოსი ეცვა, თითოეული მათგანი ეკლესიის წიგნში წერდა თავის სახელსა და გვარს, რითაც ადასტურებდა თანაგრძნობას გარდაცვლილის ოჯახის მიმართ. იქ ყვავილებითაც კი არავინ მისულა. გაგვიკვირდა, რომ ეკლესიაში მიცვალებული არ ესვენა. მღვდელმა სამგლოვიარო სიტყვა წარმოსთქვა, შემდეგ გარდაცვლილის ოჯახს სამძიმარი და თანაგრძნობა გამოუცხადა. ორღანისტმა შესაფერისი მუსიკა დაუკრა.

ჩვენ ორღანთან ვიდექით ბალკონზე, რომელიც დარბაზს გადაჰყურებდა ზევიდან. პარაკლისზე მოსულები მერხებზე ისხდნენ, ყველას ხელში ლოცვების წიგნები ეჭირათ და ხმამაღლა კითხულობდნენ, შემდეგ ორღანის თანხლებით მღვდელთან ერთად საგალობლებს ასრულებდნენ უნისონში. ჩვენც შევასრულეთ ქართული საგალობლები. პარაკლისი სულ 40 წუთს გაგრძელდა. ბოლოს მღვდელმა მიკროფონთან მიიწვია სტუმრები პოლონეთიდან და ჩეხეთიდან. ისინი თანაგრძნობას უცხადებდნენ ოჯახს და ხოტბას ასხამდნენ გარდაცვლილს.

პარაკლისის შემდეგ პროცესია სასაფლაოსკენ გაემართა, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობდა, პროცესიას წინ მღვდელი მიუძღოდა.

სასაფლაოს ეზოში იდგა ერთსართულიანი პატარა შენობა, სადაც მიცვალებული ესვენა. გერმანიაში ასეთი წესია: როცა ადამიანი გარდაიცვლება, ჭირისუფალი ატყობინებს სპეციალურ დამკრძალავ ბიუროს, საიდანაც მოვლენ წარმომადგენლები და მიცვალებულს სპეციალურ შენობაში გადაასვენებენ. იქ ჩაატარებენ ყველა პროცედურას, რაც საჭიროა მიცვალებულის გასაპატიოსნებლად.

ჭირისუფალს მიუტანენ კატალოგს, ისინი კატალოგის მიხედვით კუბოს, გვირგვინსაც გემოვნებით შეარჩევენ და მიცვალებულის ტანსაცმელსაც. დანარჩენს ყველაფერს დამკრძალავი ბიურო აკეთებს. ჭირისუფალი მხოლოდ დასაფლავების დღეს მიდის სასაფლაოზე.

ჩვენ სასაფლაოზე მივედით. შავ კოსტიუმებში გამოწყობილმა მესაფლავეებმა სპეციალური ლამაზი ურიკით გამოასვენეს ცხედარი, კუბო გვირგვინებით იყო შემკული. ურიკას უკან გაჰყვა მღვდელი, მერე — ჭირისუფალი, დაბოლოს, პროცესია. სასაფლაო, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, ყველაზე პრესტიჟულია ქალაქში. თითოეული საფლავის თავთან დგას დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის საფლავის ქვა, რაზეც გარდაცვლილის სახელი, გვარი და დაბადება-გარდაცვალების თარიღებია ამოტვიფრული. რკინით ან ძვირფასი ქვებით შემოღობილ საფლავს ვერ ნახავთ, ისინი ყვავილების ბუჩქებითაა შემოფარგლული. ყველა საფლავი უბრალოა, მაგრამ იდეალურადაა მოვლილი და ყვავილების ბაღჩას ჰგავს.

ჩვენთან კი... ეჰ, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს.

ჩვენი პროცესია გარდაცვლილის საფლავისკენ გაემართა. საფლაეი იმ გვირგვინებით იყო შემოფარგლული, რომლებიც ჭირისუფლებმა და ნაცნობ-მეგობრებმა შეუკვეთეს.

საფლავში ჩაფენილი იყო ხასხასა ბალახის მსგავსი სპეციალური ხალიჩა ისე, რომ მიწა საერთოდ არ ჩანდა. ისეთივე ხალიჩა იყო დაფენილი იმ მიწაყრილზე, რომელიც საფლავიდან ამოიღეს. საფლავის თავზე სპეციალური ამწე იდგა, რომელზედაც რკინის ტროსებით ეკიდა კუბო, ავტომატური მოწყობილობა მას საფლავში ჩაუშვებს, მესაფლავეების გარეშე. ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ არც ჭირისუფალი შეაწუხონ, არც — დამსწრე საზოგადოება და არც — მიცვალებული.

მე გამახსენდა ბრეჟნევის დაკრძალვა, რომელიც ტელევიზიით გადაიცა მთელ

მსოფლიოში. მესაფლავეებს კუბო ხელიდან გაუვარდათ და საფლავში ისეთი ბრაგვანი მოადინა, რომ მისი ხმა მთელმა მსოფლიომ გაიგო. გერმანიაში ასეთი რამ გამორიცხულია.

მღვდელი მივიდა კუბოსთან, რომელიც საფლავის პირამდე იყო ჩაშვებული, ჯერ წაიკითხა ლოცვები, მერე სულყველამ ერთად თქვეს „მამაო ჩვენო“ ამის შემდეგ მღვდელმა აიღო პატარა ნიჩაბი, სამჯერ მიაყარა მიწა კუბოს და გამოსათხოვებლად ჯერ მეუღლე იხმო, მერე — შვილები.



თარჯიმანი ია ხვადაგიანი

მეუღლე კუბოსთან მივიდა, ზედ ერთი ცალი ვარდი დადო, მერე თავის თანამეცხედრეს ჩურჩულით რაღაცა უთხრა, ნიჩბით მიწა აიღო, ოღონდ გულზე დასაყრელად ვერ გაიმეტა და ფეხებთან საფლავის კუთხეში ჩაყარა. ასე გაიმეორეს ოჯახის სხვა წევრებმაც.

შემდეგ გარდაცვლილს მეგობრებმა გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართეს.

როცა ეს რიტუალი მორჩა, პროცესიის ნაწილი, დაახლოებით 40 კაცი რესტორანში წაგვიყვანეს ისე, რომ დასაფლავება არ გვინახავს.

რესტორანში ერთმა წარმოსადეგმა პიროვნებამ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც ხაზი გაუსვა მიცვალებულის საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. მერე ეისადილეთ, მოგვართვეს წვნიანი, ბიეშტექსი და დესერტი, თითო ჭიქა ღვინით მოიხსენიეს მიცვალებული და ისევ სასაფლაოზე დავბრუნდით. ჩვენთან მოვიდა გარდაცვლილის ქვრივი და უდიდესი მადლობა გადაგვიხადა იმ პატივისათვის, რომელიც ჩვენ მიცვალებულს მივაგეთ.

საფლავი სრულიად მოწესრიგებული დაგვხვდა, იგი ყვავილებით იყო შემკული, თავთან უკვე საფლავის ქვა დაედგათ, რომელზედაც მიცვალებულის გვარი, სახელი, დაბადების და გარდაცვალების წლები იყო ამოტვიფრული. უნდა აღინიშნოს, რომ კუბო ღახურული იყო და მიცვალებულის სახე არც ჭირისუფალს უნახავს და არც პროცესიის მონაწილეებს. ასე დაასაფლავეს ერთ-ერთი მდიდარი კაცი, ღარიბს როგორ ასაფლავებენ, არ ვიცით.

დასაფლავების შემდეგ გავემგზავრეთ ქ. სტრაუბინგში, სადაც ჩვენი კონცერტი იყო დანიშნული.

ჩვენი ბოლო კონცერტი გაიმართა ქ. პასაუში „მიქაელ გრუბეტის“ ეკლესიაში. ეს ეკლესია თანამედროვეა. იგი ცილინდრის ფორმისაა, მრგვალი და მაღალი. შიგნით საკმაოდ უბრალოდაა მოწყობილი და უფრო საკონცერტო დარბაზს მოგაგონებთ. იქ აკუსტიკაც ნაკლებია სხვა ეკლესიებთან შედარებით.

მეორე დღეს იმპრესარიომ თავის ოჯახში მიგვიწვია. ის დღე მიუნხენში გავატარეთ. კარგად ვიქეიფეთ და ნასიამოვნები დავბრუნდით სასტუმროში.

2 სექტემბერს ჩვენი ანსამბლი თბილისში გამოფრინდა.

1996. 13.11.-22.12.

„რუსთავი“ გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში.

ეს მოგზაურობა გაგრძელება იყო იმ გასტროლისა, რომელიც აგვისტოში დაიგეგმა. ტომას როდემ მიგვიწვია ევროპის ამ ქვეყნებში მხოლოდ საგალობლების შესასრულებლად. კონცერტები ეკლესიებში უნდა გამართულიყო.

გასტროლებამდე 10 დღით ადრე, 2 ნოემბერს ტრაგიკულად დაიღუპა ჩვენი ანსამბლის წამყვანი სოლისტი, მთელ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალი, უსაყვარლესი პიროვნება ბონდო გუგავა, რომლის დაკარგვა უდიდესი დანაკლისი იყო ქართული სასიმღერო ფოლკლორისათვის. იგი 16 წელი შეუცვლელად იდგა ანსამბლ „რუსთავის“ შემადგენლობაში და სიცოცხლის ბოლომდე კაცურად იცავდა ამ ანსამბლის ღირსებას. ქართველ და უცხოელ მაყურებლებს დღემდე ახსოვთ ბონდო გუგავას მძლაერი, განუსაზღვრელი დიაპაზონის ულამაზესი პირველი ხმა.

13 ნოემბერს ანსამბლი „რუსთავი“ პირველად გაემგზავრა უცხოეთში ბონდო გუგავას გარეშე. ჩვენ მაინის-ფრანკფურტში ჩავფრინდით, იქედან ზაარბრიუკენში გაევემგზავრეთ, რომელთანაც „რუსთავი“ 1972 წლიდან მეგობრობს, მას შემდეგ რამდენჯერ ვიყავით ამ ქალაქში, რამდენი სიხარული მოუნიჭებიათ ჩვენთვის იქაურ მეგობრებს პერმან ვედეკინდისა და ოსკარ ლაფონტენის ხელმძღვანელობით. თბილისისა და ზაარბრიუკენის დამეგობრებით მყარი საფუძველი ჩაეყარა გერმანელი და ქართველი ხალხის მეგობრობას. ზაარბრიუკენი პირველი იყო, რომელმაც რუსეთის გეერდის აელით თბილისთან გასდო მეგობრობის ხიდი, რომელიც დღემდე ურყევად დგას და მომავალშიც ასე იდგება. ზაარბრიუკენს საქართველოს სიყვარულში ეჯიბრება რადეფორმვალდი. პერმან ვედეკინდის საქმეს ღირსეულად განაგრძობს რუდოლფ ჰაინცი, რომელიც მთელ თავის ენერგიას ქართველებთან კეთილ ურთიერთობას ანდომებს. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ გერმანელი ხალხით. როგორ შეიძლება მათი სიყვარული ჩვენ მიმართ არ დაინახო და არ განიცადო.

დღეს ზაარბრიუკენს ეწვია „რუსთავი“, იგი ძველი ქართული საგალობლებით წარსდგა მაყურებლის წინაშე. კონცერტი გაიმართა 14 ნოემბერს ევანგელისტების ეკლესიაში. კონცერტზე დასასწრებად სპეციალურად ჩამოვიდა თბილისისა და ზაარბრიუკენის დამეგობრების თავკაცი პერმან ვედეკინდი, რომელსაც 18 ნოემბერს 86 წელი უსრულდება.

ვედეკინდმა მისთვის ჩვეული სითბოთი და სიყვარულით მოგვიკითხა, მოიკითხა საქართველო და იქ მყოფი მისი მეგობრები. მე საქართველოზე ფიქრით ვაღამებ და ვათენებო, გვითხრა.

კონცერტს დაესწრო ზაარბრიუკენის ბურგომისტრი მთელი თავისი აპარატით, ეკლესიაში ტევა არ იყო. როგორც კი „რუსთავის“ ბიჭები გამოჩნდნენ, დარბაზში ტაშმა იქუხა.

კონცერტის შემდეგ შესანიშნავი შეხვედრა მოგვიწყვეს საუკეთესო რესტორანში. სიტყვებით გამოვიდნენ ზაარბრიუკენის ბურგომისტრი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ოსკარ ლაფონტენი და, რასაკვირველია, პერმან ვედეკინდი, რომელიც ცრემლმორეული ლაპარაკობდა საქართველოზე, ქართველ მეგობრებზე, გერმანელი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე, „რუსთაზე“ და სხვა.

ჩვენ დიდხანს ვიყავით ერთად, ბევრი საინტერესო ამბავი გავიხსენეთ, ერთმანეთს მოვესიყვარულეთ და მხოლოდ გვიან ღამით დავშორდით ერთმანეთს.

მეორე დღეს კონცერტი გვქონდა გერმანიის დედაქალაქ ბონში, ეკლესია „კროიცკირხეში“. კონცერტზე მოვიდა მთელი ქართული საელჩო ბატონ კოტე გაბაშვილის ხელმძღვანელობით. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ ჩვენი საელჩოს მხარდაჭერასა და უდიდეს ყურადღებას. ევროპაში, სადაც კი „რუსთავი“ გამოჩნდება, კოტე გაბაშვილი მზადაა ყველა პრობლემა მოგვიგვაროს. გერმანიაში კი, სადაც არ უნდა ვიყოთ, ბატონი კოტე და ქ-ნი მაია ფანჯიკიძე აუცილებლად ჩამოვლენ ჩვენ სანახავად და მხარდასაჭერად. მადლობა მათ.

ბონში მოვიდნენ აგრეთვე ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც გერმანიაში სწავლობდნენ, მათ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩვენზე. ისინი სწავლის დამთავრების შემდეგ საქართველოში წამოსვლას აპირებენ, რათა ევროპაში მიღებული ცოდნა თავიანთ სამშობლოს მოახმარონ. მადლობა ღმერთს!

კონცერტს დაესწრო აგრეთვე გამოჩენილი ქართველი მომღერალი ეთერ ჭყონია. მისთვის ბონის საოპერო თეატრში სპეციალურად დგამენ „რომეო და ჯულიეტას“. იგი კმაყოფილი იყო კონცერტით და თქვა: ეს კონცერტი მთელმა ევროპამ უნდა ნახოს, რადგან გალობის გარდა ამ კონცერტში საქართველოს ისტორიაა წარმოდგენილიო.

ყველა კონცერტის შეფასება დიდ დროს წაიღებს. ვიტყვი მხოლოდ, რომ 16 ნოემბერს კონცერტი ჩატარდა კიოლნში „ტრინიდატისკირხე“-ში, 17 ნოემბერს ჩამოვედით რადეფორმვალდში, სადაც რამდენიმე დღით დავბინავდით. აქ ჩვენი მასპინძლები არიან ჩვენი მეგობრები რუდოლფ პაინცი და მისი მეუღლე ედელი „პერას“ წევრებთან ერთად, ხოლო რადეფორმვალდი ჩვენი მშობლიური ქალაქია, რამდენი სიხარული და სიამოვნება განგვიცდია ამ ქალაქში, მის მცხოვრებლებს, თანამდებობის პირებს, უბრალო ადამიანებს ჩვენთან მეგობრობის უკვე 20 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვთ. „რუსთავი“ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია ნამყოფი, მაგრამ ასეთი გულის ხალხი იშვიათად გვინახავს, ამიტომ რადეფორმვალდში და კერძოდ რუდოლფ პაინცის ოჯახში თავს ისე ვგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში.

ჩვენი ავტობუსი სწორედ პაინცის სახლს მიადგა. როლფი და მისი მეუღლე გველოდებოდნენ და დიდად გაიხარეს. გაიშალა სუფრა, მოიპატიჟეს მეგობრები, დაილია ბევრი ლუდი, გადავიღეთ სამახსოვრო სურათები. მერე როლფი და მისი მეუღლე ედელი გამოგვყვნენ სასტუმროში და დაგვაბინავეს, თან წამოიღეს მრავალგვარი კერძები, დიუსელდორფიდან გვიან დაბრუნდებით და არ მოგშივდეთო.

საღამოს კონცერტი დიუსელდორფის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეკლესიაში გაიმართა. კონცერტს დაესწრნენ ჩვენი მეგობრები ალეკო ბურდული და მისი მეუღლე ბარბარა ოერტელი დედასთან და მეგობრებთან ერთად. ეს ის ბარბარაა, რომელიც პერმან ეედეკინდის საინიციატივო ჯგუფში მუშაობდა და უდიდესი წვლილი შეიტანა ზაარბრიუკენში ქართული კულტურის დღეების ჩატარებაში.

კონცერტის შემდეგ ისინი ჩვენთან მოვიდნენ, ბარბარამ დიდი მწუხარება გამოთქვა ვახტანგ კუპრაიასა და ბონდო გუგავას დაღუპვის გამო.

დიუსელდორფიდან გვიან ღამით დავბრუნდით.

19 ნოემბერს ჩვენი კონცერტი გაიმართა რადეფორმვალდში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქალაქში იმდენი ნაცნობები და მეგობრები გვყავს, რომ ერთი წუთი არა

ვართ ყურადღების გარეშე. მთელი დღე საკონცერტო მზადება იყო, შუადღისას რუდოლფ ჰაინცმა სადილი გაგვიმართა რესტორან „ლოცენში“

კონცერტი საღამოს რვა საათზე დაიწყო კათოლიკურ ეკლესიაში, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს. ეკლესიაში ტევა არ იყო.

კონცერტის წინ ჯერ იქაურმა პასტორმა მოგვმართა სიტყვით, მერე ეკლესიის გუნდმა ჩვენს პატივსაცემად რამდენიმე სიმღერა მშვენიერად შეასრულა. ჩვენ მხოლოდ ამის შემდეგ გამოვედით. ფინალში მაყურებელი ფეხზე დადგა და ოვაცია გაგვიმართა. ჩვენ რამდენჯერმე მოგვიხდა „ბისზე“ გამოსვლა.

კონცერტის შემდეგ წაგვიყვანეს მდინარისპირა რესტორანში, სადაც მოვიდა ქალაქის საუკეთესო საზოგადოება ბურგომისტრის მეთაურობით. ვახშამი გაიმართა 200 კაცზე. იყო მისალმებები და მოფერება, სიტყვით ჯერ რუდოლფ ჰაინცი გამოვიდა, შემდეგ — ბურგომისტრი. მათ აღნიშნეს ანსამბლის მაღალი დონე და ჩვენი მეგობრული კავშირის მნიშვნელობა გერმანია-საქართველოს ურთიერთობაში. სათანადო სიტყვით მე გამოვედი.

გვამღერეს რამდენიმე ქართული სიმღერა. როლფმა, რომელსაც მშვენიერი ბარიტონი აქვს, ჩვენთან ერთად შეასრულა ქუთაისური მრავალჟამიერი. იმღერა ეკლესიის გუნდმაც, რომელიც მთელი შემადგენლობით იყო მოწვეული. მერე შეასრულეთ გერმანული სიმღერა „წითელი ვარდები“, რომელიც საღამოს განმავლობაში რამდენჯერმე გაგვამეორებინეს. მოკლედ, ჩვენს მეგობრობას საზღვარი არ ჰქონდა.

გვიან ღამით დავიშალეთ. გარეთ თოვდა, ციოდა, მაგრამ იგრძნობოდა დიდი სითბო და სიყვარული ჩვენ მიმართ. ასეა ყოველთვის, როცა რადეფორმშალდში ჩავდივართ.

რადეფორმშალდში დიდი თოვლი მოვიდა, და ეს ჰატარა ქალაქი ულამაზესი სანახაობა იყო. ჩვენთან მოვიდნენ როლფი, ედელი და ლოთარ ბეტცი. მათ მოგვცეს საჩუქრები, საგზალი და, რასაკვირველია, რამდენიმე ყუთი ლუდი.



ანსამბლ „რუსთავის“ მუსიკოსები:
ავთანდილ მაზანაშვილი, თენგიზ გობაძე, ზურაბ სალიკაშვილი

შემდეგი კონცერტები გაიმართა ბრემენში და კილში. კილში პატარა კურიოზი შეგვემთხვა. სანამ ქალაქში შევიდოდით, ავტობუსი გაჩერდა ერთ-ერთ დიდ უნივერმაღთან, ჩვენ ავტობუსიდან ჩამოვედით და შევედით ამ უნივერმაღში. იქ იყო ჩვენი მომღერალი ლადო თანდილაშვილიც, რომელსაც ეცვა შავი ფერის სპორტული პიჯამო, იყო გაუპარსავი და, ისედაც შავგვრემანი,ზ ნამდვილ არაბს წააგავდა. უნივერმაღიდან რომ გამოვედით, ლადო ვერსად ვნახეთ. სად არ ვეძებეთ, მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენით. მერე იქვე ახლოს პოლიციაში მივედით და განვაცხადეთ – მომღერალი დაკარგეთ-მეთქი და პოი საოცრებავ, ლადო იქ აღმოჩნდა. როგორც შემდგომში გაირკვა, ლადო უნივერმაღის კარებთან იდგა, პოლიციელს მისი გარეგნობა საეჭვოდ მოეჩვენა და პასპორტი მოსთხოვა. ლადოს პასპორტი ავტობუსში დაეტოვებინა. ამ დროს მეორე პოლიციელიც მოვიდა, მათ თანდილაშვილი არაბ ექსტრემისტად მიიჩნიეს, ხელბორკილები დაადეს და პოლიციაში უკრეს თავი. როცა ყველაფერი გაირკვა, პოლიციელებმა ბოდიში მოიხადეს და ლადო სასტუმროში თვითონვე მოიყვანეს.

ჩვენ პოლიციის უფროსი კონცერტზე დავპატიჟეთ. იგი მეუღლესთან ერთად მოვიდა და ეტყობა დიდად ნასიამოვნები დარჩა. ლადომ იმ საღამოს გამოისყიდა „დანაშაული“ და კარგად იმღერა.

კონცერტის შემდეგ პოლიციის უფროსი მასთან მივიდა, კიდევ ერთხელ მოუხადა ბოდიში, მრავალი კომპლიმენტი უთხრა და ავტოგრაფი სთხოვა, რომელიც ლადომ საკონცერტო პროგრამაზე წაუწერა.

მეორე დღეს დრეზდენში გავემგზავრეთ. კილიდან დრეზდენამდე რვა საათი ვიმგზავრეთ. ჩვენ კარგა ხანს მივდიოდით ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის საზღვრის გასწვრივ, ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ შემორჩენილა „ბოროტების კედელი“ გავიარეთ შავი სასაზღვრო გასასვლელები, სადაც ადრე საბაჟოები იყო მოთავსებული. ახლა ეს საბაჟოები დანგრეულია.

დიდი განსხვავებაა აღმოსავლეთ გერმანიასა და დასავლეთს შორის. დავიწყოთ გზებით, რომლებიც ჯერ კიდევ ჰიტლერის დროინდელია, შენობები ისეთივეა, როგორც რუსეთში, ხრუშჩოვის სახლებს რომ ეძახიან, ამიტომ აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქები ძალიან ჰგვანან ტიპურ რუსულ ქალაქებს, რაც გერმანელების დიდ გულისწყრომას იწვევს. ხალხის ფსიქოლოგიაც ჯერ კიდევ პრორუსულია. რუსეთში ყველგან აიღეს ლენინის ძეგლები, ჰალეში კი იდგა და მის პოსტამენტზე ყვავილები ელაგა. ალბათ დიდი დრო დასჭირდება ამ ხალხის ფსიქოლოგიის შეცვლას.

გერმანიის მთავრობამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი აღმოსავლეთ გერმანიის მშენებლობას და საკმაო წარმატებებსაც მიაღწია, აგებენ ახალ გზებს, დასავლეთ გერმანიის მსგავსად აშენებენ ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, გაუმჯობესდა ხალხის ეკონომიკური მდგომარეობაც, ეტყობა, მთავრობა ამ საქმეზე დიდ ფულს ხარჯავს.

დრეზდენში საღამოს ექვს საათზე ჩავედით. ხუთ საათზე უკვე დაბნელდა და გვარიანად თოვდა. მეორე დილით ქალაქში გამოვედით, გვინდოდა დათვალიერება იმ მუზეუმებისა, რომელიც ერთხელ უკვე ვნახეთ, 1969 წელს, მაგრამ ორშაბათი დღე იყო და მუზეუმები დაკეტილი აღმოჩნდა.

ქალაქში ფეხით გავისეირნეთ. ახალი დრეზდენი არაფრით განსხვავდება დიდი რუსული ქალაქებისაგან. ყურადღებას იპყრობს მხოლოდ ქალაქის ძველი ცენტრი, რომელიც დაბომბვას გადაურჩა. როგორც ვიცით, 1945 წლის მარტში ინგლისის თვითმფრინავებმა ღამით დაბომბეს დრეზდენი. 10 საათის განმავლობაში მათ 20000-დე ჯურეი ჩამოყარეს, რის შედეგადაც ქალაქი მიწასთან იყო გასწორე-

ბული. დაიღუპა 200000-ზე მეტი მცხოვრები. ეტყობა, მფრინავებს უბრძანეს, რომ დრეზდენის ცენტრი არ დაებომბათ, სადაც უნიკალური მუზეუმები და ძეგლები იყო განლაგებული. მფრინავებმა ეს ბრძანება შეასრულეს, მაგრამ ცნობილი სამხატვრო გალერეის ერთი ნაწილი მაინც დაინგრა. იგი დღემდე არ აღუდგენიათ და დგას როგორც ომის საშინელების სიმბოლო, როგორც გამაფრთხილებელი ნიშანი კაცობრიობისათვის.

დრეზდენის ცენტრი მართლაც გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ უძველესი და ულამაზესი სასახლეები და მუზეუმებია, რომელთა უმრავლესობას ახლა რესტაურაცია უკეთდება. შესანიშნავია საოპერო თეატრი, სადაც იმ დღეს პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“ გადიოდა. ეს თეატრი ერთ-ერთი ულამაზესია იმ საოპერო თეატრებს შორის, რომელიც ოდესმე მინახავს. იგი სასახლეებისაგან მოშორებით დგას და სილამაზით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

მთელი დღე ფეხით ვიარეთ და საღამოს, შთაბეჭდილებებით აღსავსენი, მივედით დრეზდენის „ჯვრის მონასტერში“, სადაც დაგეგმილი იყო ჩვენი კონცერტი. ეს შენობაც თავისი გრანდიოზულობითა და მასშტაბებით ძალიან შთამბეჭდავია. ტაძარი გუმბათოვანია, უზარმაზარი გუმბათი საყრდენი ბოძების გარეშეა, რაც განცვიფრებას იწვევს არქიტექტორული გადაწყვეტით. ტაძარი ევანგელისტურია. კედლები მოუხატავია და ნაცრისფრადაა შეღებილი.

ტაძრის შიგნით უზარმაზარი ფართობია, სადაც გრძელი მერხებია განლაგებული. გვითხრეს, რომ აქ 3000-ზე მეტი კაცი ჯდება. მიუხედავად გრანდიოზული მასშტაბებისა, იშვიათი აკუსტიკაა, არ იკარგება არც ერთი ბგერა თუნდაც პიანოზე შესრულებული.

ჩვენ ამ შესანიშნავ დარბაზში წარმატებით გამოვედით.

10 ნოემბერს გავემგზავრეთ ბერლინში, სადაც ახლა დიდი მუშაობაა გაჩაღებული, რომ გერმანიის დედაქალაქი ისევ ბერლინი გახდეს. აშენებენ გზებს და საგზაო ინფრასტრუქტურებს. დრეზდენიდან ბერლინამდე უკვე მთაერდება სულ ახალი ავტობანის მშენებლობა, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით კეთდება. ეტყობა, გერმანელები ქალაქსა და მის მისასვლელებს სერიოზულად შეუცვლიან იერსახეს, სანამ მას დედაქალაქის ტიტული დაუბრუნდება.

ჩვენ ცოტა დავისვენეთ და სასტუმროდან, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს, კონცერტზე გავემგზავრეთ. ეკლესიას, სადაც კონცერტია დანიშნული, ეწოდება „გედეხთენ კირხე“. იგი თანამედროვე შენობაა და ძველი ეკლესიის გვერდით მდებარეობს. ძველ ეკლესიას ოდესღაც მაღალი გუმბათი ჰქონია, მაგრამ 1945 წელს ეს გუმბათი რუსების ზარბაზნებს შუაზე გადაუტეხავთ. ახლა დგას ეს ეკლესია გუმბათგადატეხილი და ტყვიებით დაცხრილული, დგას როგორც ომის საშინელების სიმბოლო. სწორედ მის გვერდით ააშენეს გერმანელებმა თანამედროვე ეკლესია „გედეხთენ კირხე“. იგი რვაწახნაგიანია, წაკვეთილი თავით, კედლები ლითონის კონსტრუქციითაა აგებული, რომელშიც მხოლოდ ვიტრაჟებია ჩადგმული, შიგნიდან ეს შენობა საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს. გარედან შემოსული შუქი ვიტრაჟების გაელით მრავალად იფრქვევა ეკლესიაში, ამიტომ ირგელიე ყველაფერი ჭრელია. ასეთი რამ სხვაგან არ გვინახავს.

კონცერტზე მოვიდა ჩვენი სახელოვანი დასტაქარი, ბავშვთა გულის ქირურგიის ბერლინის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, ბატონი ლადო მესხიშვილი ვაჟთან ერთად. მან მომიტანა ფოტო და 1927 წლის ამონაბეჭდი რუსული პრესიდან, ფო-

ტოზე ჩემი ბაბუის — არტემ ერქომაიშვილის, მისი მამის – გიგოს და ბიძის — გიორგი ბაბილოძის სახეებია აღბეჭდილი.

კონცერტზე მოვიდნენ აგრეთვე ჩვენ გერმანელი მეგობრები, კინორეჟისორი რუდოლფ შრადე და მისი მეუღლე კიტი, რომლებსაც თან ახლდათ პატარა გოგონა და სვანი ახალგაზრდა, რომელიც მათთან სტუმრად იმყოფება. ბატონი რუდოლფი და მისი მეუღლე უკვე რამდენიმე წელია სვანეთში ძველი ფრესკების აღდგენაზე მუშაობენ.

კონცერტზე მოვიდა ფოლკლორისტი სუზანა ციგლერი, მასთან ერთად ბერლინის ფონოარქივის თანამშრომლები და სხვა სპეციალისტები. კონცერტი წარმატებით დასრულდა, ჩვენ დავემშვიდობეთ სტუმრებს, თუმცა ბატონმა ლადო მესხიშვილმა დაგვპატიჟა რესტორანში, მაგრამ დაღლილები ვიყავით და დასვენება ვარჩიეთ.

მეორე დილით ჩვენმა მძღოლმა გიუნტერმა წაგვიყვანა ექსკურსიაზე ბერლინში. მან ეს ქალაქი კარგად იცის, რადგან იქ 12 წელი იმუშავა გერმანულ არმიაში.

დავათვალიერეთ ქალაქის ცენტრი, ვნახეთ ბრანდენბურგის ჭიშკარი, „რაიხსტაგის“ შენობა, რომელიც ახლა ხარაჩოებშია ჩასმული და მის რესტავრაციაზე მუშაობენ, ვნახეთ ცენტრალური ქუჩა ცნობილი „უნტერ დენ ლინდენი“, პიტლერის დროინდელი სამინისტროების შენობები და სხვ. გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოსურათები.

„რაიხსტაგის“ ირგვლივ დიდი გათხრები მიმდინარეობს, გაიხსნა ყველა ბუნკერი, გერმანელებს გადაწყვეტილი აქვთ, სანამ ბერლინი გერმანიის დედაქალაქი გახდება, მანამდე აღადგინონ „რაიხსტაგი“ უმაღლეს დონეზე და არა მარტო „რაიხსტაგი“, ბერლინში საერთოდ გრანდიოზული მშენებლობები მიდის. მას „სატახტო ქალაქად“ ამზადებენ.

აქ სერიოზული პრობლემა დგას — აღმოსავლეთი ბერლინი თავიდანაა ასაშენებელი, რადგან იგი რუსული სტილის საცხოვრებელი სახლებითაა აგებული და დასავლეთ ბერლინისაგან დიდად განსხვავდება.

ჩვენი მორიგი კონცერტი პოტსდამში იყო დანიშნული, სადაც ნაშუადღევს გავემგზავრეთ.

ჩვენ გვაინტერესებდა იმ მუზეუმის ნახვა, სადაც 1945 წლის ივლისში პოტსდამის კონფერენცია შედგა. თავდაპირველად ეს კონფერენცია ბერლინში უნდა გამართულიყო, მაგრამ ბერლინი დანგრეული იყო. პოტსდამიც ძლიერ დაინგრა, მაგრამ გადარჩა ერთადერთი შენობა, სადაც შესაძლებელი იყო ამ კონფერენციის ჩატარება. ეს გახლდათ ისტორიული ცეცილიენჰოფის სასახლე. გერმანიის იმპერატორმა ვილპელმ მეორემ ეს სასახლე თავის მემკვიდრის მეუღლეს აჩუქა პირველი მსოფლიო ომის წინ.

კონფერენციამდე სასახლე კაპიტალურად შეაკეთეს. ამერიკელებმა პრეზიდენტისა და მისი ახლო გარემოცვისათვის ცისფერი აირჩიეს, ინგლისელებმა — ვარდისფერი, საბჭოთა დელეგაციისთვის დარბაზი თეთრად შეიღება, სან-სუსის პარკში ჩარგეს ათი ათასამდე სხვადასხვა ყვავილი და მრავალი ასეული დეკორატიული ხე.

სამი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირისათვის საჭირო იყო დიდი მაგიდა, რომელზედაც დელეგაციების მთავარი წევრები დაეტეოდნენ. ასეთი მაგიდა პოტსდამში კი არა, მთელ გერმანიაში ვერ მოინახა. მაშინ მოსკოვში ხისდამამუშავებელ ფაბრიკა „ლუქსს“ საჭირო სიგანის მრგვალი მაგიდა დაამზადებინეს. ახლა ეს მაგიდა პოტსდამის კონფერენციის მთავარ დარბაზში დგას, რომელსაც 15 გერმანული

სკამი უდგას, მათგან სამი — სახელმწიფოს მეთაურთათვის გამორჩეულია მხოლოდ იმით, რომ ოქროთი მოვარაყებული მითიური ფიგურები აზით ზურგის ორივე მხარეზე.

16 ივლისს ჩამოეიდნენ სტალინი, ჩერჩილი და ტრუმენი. 17 ივლისს ამ დარბაზში გაიხსნა ისტორიული პოტსდამის კონფერენცია. მრგვალ მაგიდას მარჯვნივ ეჯდა საბჭოთა დელეგაცია სტალინის მეთაურობით, პირდაპირ იჯდა ამერიკის დელეგაცია ტრუმენის მეთაურობით, ხოლო მარცხნივ — დიდი ბრიტანეთის დელეგაცია ჩერჩილის მეთაურობით. ჩერჩილმა კონფერენციის პერიოდში ინგლისში არჩევნები წააგო და პრემიერ-მინისტრობა კლემენტ ეტლის გადაულოცა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი — ამერიკის პრეზიდენტის ტრუმენის უკან კედლის თაზე აივან-ანტრესოლი იყო მოთავსებული პრესის მუშაკათათვის. სწორედ ამ ქანდარაზე იჯდა ამერიკის გაზეთის ჟურნალისტი, რომელიც შემდეგ თვითონ გახდა ამერიკის პრეზიდენტი. ეს იყო ჯონ კენედი.

ამ კონფერენციის მიმართ მთელი მსოფლიოს ყურადღება იყო მიმართული და, როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, იგი წარმატებით დასრულდა. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა, მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა. საბჭოთა კავშირი დაიშალა. გერმანია გაერთიანდა და მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად იქცა, მაგრამ პოტსდამის კონფერენცია ისტორიისთვის მაინც დიდმნიშვნელოვან მოვლენად დარჩა.

აი, ეს აზრები მიტრიალებდა თავში, როცა პოტსდამისაკენ გავემგზავრეთ.

„ჩემი გერმანულით“ ჩვენს მძღოლს გიუნტერს მე მგონი საკმაოდ კარგად ავუხსენი, რომ გვაინტერესებდა იმ დარბაზის ნახვა, სადაც პოტსდამის კონფერენცია ჩატარდა და აშშ-ის, ინგლისისა და სსრ კავშირის მეთაურთა მოლაპარაკება შედგა. მე სპეციალურად დავუსახელე ჩერჩილის, სტალინისა და ტრუმენის გვარები. თვითონაც დაინტერესდა და მითხრა, ეს მუზეუმი მეც არ მინახავსო. საღამო იყო, მუზეუმი ერთ საათში იკეტებოდა, ჩვენ ვჩქარობდით. გიუნტერმა ერთ დიდ შენობასთან მიგვიყვანა და ბილეთები აიღო, ჩვენ სასწრაფოდ შევედით და, ნუ იტყვით, თევზების მუზეუმში აღმოვჩნდით.

მძღოლმა თავი იმართლა — მისამართი შემეშალაო.

იქედან გულდაწყვეტილები წავედით კონცერტზე, რომელიც წმ. ნიკოლოზის ტაძარში ჩატარდა. ეს არის გრანდიოზული მასშტაბების ნაგებობა იშვიათი აკუსტიკით. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ მაყურებლები და გვითხრეს: ჩვენ ბერლინიდან ვართ, გუშინ ისე დაგვაინტერესა თქვენმა კონცერტმა, რომ დღეს პოტსდამში სპეციალურად წამოვედით და მეგობრებიც წამოვიყვანეთო.

შემდეგი ჩვენი კონცერტები გაიმართა ბრაუშვაიგში, ჰანოვერში, სადაც ჩვენს კონცერტამდე საშობაო ბაზრობა გაიხსნა და ჩვენ იქაც რამდენიმე სიმღერა შეგვასრულეთ, გოტინგენში (იქ იმხელა თოვლი იყო, რომ ავტობუსი საკონცერტო დარბაზამდე ძლივს მივიდა), ჰანოვერში, მთელი ქალაქი აჭრელებული იყო რეკლამებით „ექსპო 2000“. ჰანოვერიდან ისევ რადეფორმვალდისკენ ავიღეთ გეზი.

ჩვენი შემდგომი კონცერტები დაგეგმილი იყო რადეფორმვალდთან ახლოს დუისბურგსა და ვუპერტალში. ამიტომ რუდოლფ ჰაინცის თხოვნით ჩვენმა იმპრესარიომ ბაზად ისევ რადეფორმვალდი აირჩია, სადაც რამდენიმე დღე უნდა გეცხოვრა.

რადეფორმვალდში დიდი თოვლი იდო, როლფს თავისი სახლის მისადგომი ნიჩბით გაეწმინდა, ფანჯარასთან იდგა და ჩვენს ავტობუსს ელოდებოდა. როცა ავტობუსი გაჩერდა, როლფი ჩვენთან მოვიდა სვანური ქუდით და ყველა სათითაოდ



„რუსთავში" სტუმრად მეჯო რეინის ოჯახში

ძმურად გადაგვკოცნა, შემდეგ სახლში მიგვიწვია, სადაც ქალბატონ ედელს სუფრა უკვე გაეშალა. არასოდეს დამავიწყდება მათი სიხარულით აღსავსე მომღიმარი სახეები, რომელიც ჩვენც გაგვიხარეთ, რადგან როლფის სახლში თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საკუთარ ოჯახში იქ მართლაც ქართული ატმოსფეროა, ქართული სუვენირები, თბილისისა და საქართველოს ხედები, ქართული ხალხური ინსტრუმენტები, ქართული ღვინოები და სასმისები, ქართველ მეგობრებთან და გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად გადაღებული ფოტოები და ამ ფონზე ისმის ქართული სიმღერები. სუფრაც ქართული წესით გაგვიშალეს, არ დავიწყნიათ ანსამბლის წევრთა საყვარელი კერძები და სასმელები. თამადად როლფი დაიდგა. ის ქართული წესით თამადობდა, ქართულ სადღეგრძელოებს ამბობდა და ცერა თითის ფრჩხილზე იწურავდა სასმისებს. „ბოლომდე" იძახდნენ ლოთარი და კარლი, რომლებიც ჩვენს სუფრას შემოუერთდნენ. როლფთან კარგა ხანს დაეჩით, ვიმღერეთ მათი საყვარელი ქართული სიმღერები, შემდეგ ნუგზარ გელაშვილმა ნეაპოლიტანური სიმღერებიც შეასრულა (რომლებიც როლფს ძალიან უყვარს), ბოლოს გერმანული სიმღერა „წითელი ვარდები" ვიმღერეთ. სოლოს ლადო თანდილაშვილი ასრულებდა. ამ სიმღერაზე ედელი ატირდა, როლფის თხოვნით ეს სიმღერა ერთხელ კიდევ გაიმეორეთ და სუფრიდან ავიშალეთ.

ჩვენ მოგვართვეს საშობაო საჩუქრები და ევანგელისტური აკადემიის საცხოვრებელში მიგვიყვანეს, სადაც წინა ჩამოსვლის დროს ვცხოვრობდით.

მეორე დღეს გავემგზავრეთ დუისბურგში, სადაც ჩვენი კონცერტი გაიმართა „რეინოლდის ეკლესიაში"

2 დეკემბერს ჩემი მეუღლე ლალი ჩამოდიოდა თბილისიდან, მე მაინის ფრანკფურტში უნდა დავხვედროდი. დილის 9 საათზე როლფმა თავისი მანქანით დორტმუნდში წამიყვანა, იქ ჩამსვა მატარებელში და ფრანკფურტისკენ გამამგზავრა. ჯერ ჩავედი ზოლინგენში, იქ გადავჯექი სხვა მატარებელზე და ჩავედი კიოლნში, იქ ისევ გამოვიცვალე მატარებელი და ფრანკფურტში ჩავედი. მატარებელი პირდაპირ

აეროპორტში გაჩერდა. მე და ლალი გავემგზავრეთ ვუპერტალში, სადაც ჩვენი კონცერტი იყო დანიშნული.

კიოლნში მატარებელი უნდა გამოგვეცვალა. ის იყო ვაგონიდან ჩამოვედით, რომ რადიო ხმამაღლა აცხადებდა – ანზორ ერქომაიშვილს გასასვლელში ელოდებიანო. ეს იყო როლფი. საოცარი კაცია ეს როლფი, ვერ მოითმინა და კიოლნში დაგვხვდა, ლალის ყვავილები მიართვა და ვუპერტალში წაგვიყვანა, სადაც ჩვენი კონცერტი იწყებოდა.

კონცერტის შემდეგ როლფმა მე და ლალი რადეფორმვალდში წაგვიყვანა თავისი მანქანით. გზაში თოვდა, ციოდა, როლფი სიამოვნებით გვიყვებოდა ახალ ამბებს. ედელს სუფრა უკვე გაეშალა და ფანჯარაში იყურებოდა, ჩვენ გველოდებოდა. მე და ლალიმ როლფთან და ედელთან კარგად მოვილხინეთ და გვიან ღამით ნაქეიფრები და დასაჩუქრებულები სასტუმროში მოგვიყვანეს.

დილით სასტუმროში მოვიდნენ ედელი და როლფი (რასაკვირველია, ძვირფასი „საგზლით“) და ჰამბურგში გაგვაცილეს.

ბიჭებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ასეთი სითბო, რაც რუდოლფ ჰაინცმა და მისმა მეგობრებმა გამოიჩინეს ჩვენს მიმართ მართლაც იშვიათია, რადეფორმვალდი ჩვენთვის მშობლიური ქალაქი გახდა, ვინაიდან იქ გვყავს ბევრი მეგობარი რუდოლფ ჰაინცის მეთაურობით, რომლებიც არა მარტო კარგი მასპინძლები და ანსამბლ „რუსთავის“ ქომაგები არიან, არამედ ქველმოქმედებიც. როცა საქართველოს ძალიან გაუჭირდა, ისინი კატეგორიულად დაგვიდგნენ გვერდით, რამდენჯერმე შეაგროვეს დიდძალი ჰუმანიტარული დახმარები და თბილისში ჩამოიტანეს.

ამის დაფიწყება როგორ შეიძლება. დიდი მადლობა მათ. შემდეგი ჩვენი კონცერტები გაიმართა ჰამბურგში, დორტმუნდში, აუსბურგში. დორტმუნდიდან აუსბურგამდე თოვლი აღარ იდო, თბილოდა, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი იყო, მინდვრები, რომელთა უმეტესობაზე საშემოდგომო ხორბალია დათესილი, მწვანედ ბიბინებდა, აქ ერთ გოჯ მიწას ვერ ნახავთ დაუმუშავებელს.

გზის ორივე მხარეს ხშირად შენიშნავდით მშვიდად მობალახე შვლებსა და ირმებს, ისინი ხალხს არ უფრთხიან, რადგან ჩვენგან განსხვავებით მათ თოფს არავინ ესვრის.

საღამოს მივაღწიეთ აუგსბურგამდე. ჩვენი მძღოლი გიუნტერი სამი დღით გამოგვეშვიდობა, მის მაგივრად მოვიდა ახალი მძღოლი რობერტი, რომელიც ნუგზარ გელაშვილზე გაცილებით დაბალია, მაგრამ ენაწყლიანი მოსაუბრე და კეთილი კაცია. ამ ახალგაზრდა კაცს აქვს სამი ასეთი ავტობუსი, რამდენიმე რესტორანი და თურმე საკმაოდ მდიდარი კაცია. მიუხედავად ამისა, იგი თავად უზის ავტობუსის საჭეს.

ჩვენში ამას არ იკადრებდნენ, ამიტომაა, რომ გერმანიაში სიმდიდრე მხოლოდ დიდი შრომის ფასად მოდის.

აუგსბურგში რიგით მე-20 კონცერტი ჩავატარეთ და იქიდან ავსტრიაში ჩავედით. ჩვენი კონცერტები გაიმართა ვენაში და ინსბრუკში. ინსბრუკიდან მიუნხენში ჩამოვედით. ავსტრია-გერმანიის საზღვარზე არც არავის გავუჩერებივართ, აქ ისეთივე საზღვარია, როგორიც გურია-სამეგრელოს შორის. მგონი, მებაჟეები ფორმალობის გულისთვის დგანან.

მიუნხენში ცუდი ამინდი იყო, ციოდა, თოვლიც მოდიოდა, ქალაქში სიარული ჭირდა. მაინც გავიარეთ ქალაქის ცენტრში. იგი ლამაზია, მაგრამ პირქუშ შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ წელს უკვე მეორედ ვართ.

კონცერტი ისევ „ლუკას კირხეში“ გაიმართა.

მახსოვს, პირველ კონცერტზე დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი. ამჯერად ცუდი ამინდის გამო, თუ რეკლამა არ იყო სათანადო დონეზე, ნახევარი დარბაზი ცარიელი იყო. კონცერტს დაესწრო სანდრო ყანჩელი, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის ეჟი, რომელიც იქ მუშაობს ხმის ჩამწერ სტუდიაში. მოვიდნენ აგრეთვე ქართველი სტუდენტებიც. კონცერტის შემდეგ ბევრი მაყურებელი მოვიდა ჩვენთან, რომლებიც მეორედ ესწრებოდნენ ჩვენს გამოსვლას.

მიუნხენიდან ბაზელში გავემგზავრეთ, ბაზელიდან — ბერნში, სადაც ჩვენი კონცერტები კარგად ჩატარდა. ბერნში კონცერტის შემდეგ ბიჭები სასტუმროში შევიკრიბეთ და თითო ჭიქა ღვინო ავწიეთ. დღეს ბონდო გუგავას გარდაცვალებიდან 40 დღე შესრულდა. იყო ცრემლიანი მოგონებები ამ შესანიშნავ მომღერალზე.

ბერნიდან ისევ მიუნხენში ჩავედით და გერმანიაში ბოლო კონცერტი გავმართეთ. კონცერტის შემდეგ ჩვენმა იმპრესარიომ თომასმა თავისთან დაგვპატიჟა ოჯახში. მას ჰყავს მშვენიერი სტუმართმოყვარე მეუღლე და ორი პატარა ლამაზი ბავშვი. ტომასთან მშვენიერი გერმანული პურმარილი მოეშზადებინათ. თბილი, სასიამოვნო ატმოსფერო სუფევდა. ჩვენ კარგად მოვილხინეთ, მერე დავემშვიდობეთ სტუმართმოყვარე ოჯახს და ისევ ბაზელში გავემგზავრეთ, სადაც მოვეწყვეთ სასტუმრო „იბის“-ში.

კონცერტები გაიმართა ციურიხში, ჰაიდელბერგში და ფორცაიმში. ჩვენ აქ ორი დღე დავყავით, ვცხოვრობდით სასტუმრო „ადლერში“. ბოლო 29-ე კონცერტის შემდეგ მაინის ფრანკფურტში გავემგზავრეთ და იქიდან თბილისში გავფრინდით.

ფრანკფურტამდე გაგვაცილეს თომას როდემ და ჩვენმა შესანიშნავმა მძღოლმა გიუნტერმა, რომელმაც ჩვენთან ერთად თითქმის თვე-ნახევარი დაჰყო. გიუნტერი არაჩვეულებრივად კეთილი და დაუზარელი კაცია, იგი ანსამბლის წევრებს დაუმეგობრდა და ცდილობდა მათთვის პრობლემები მოეხსნა. ბიჭები გიუნტერს საღამოობით პატიჟებდნენ ვახშამზე, ასმევდნენ ქართულ ღვინოს, შეასწავლეს ქართული სადღეგრძელოები და რამდენიმე ქართული სიმღერა, რომელსაც გიუნტერი გზაში ღიღინებდა. ამირან გოლიაძემ გიუნტერს რამდენიმე ქართული წინადადება ასწავლა, მათ შორის უწმაწური სიტყვებიც. იგი მგზავრობის დროს ბიჭებს ამ სიტყვებით „ამკობდა“ და იყო ერთი მხიარულება. გიუნტერი არც ერთ ჩვენს კონცერტს არ აცდენდა, ის კი არა რეპეტიციის დროს ანსამბლის წევრები მას შუაში ჩაიყენებდნენ (გიუნტერი დაბალი ტანისაა, მას ყველაზე მაღალ მომღერალ გიორგი ბუგიანიშვილის გვერდით დააყენებდნენ), იგი ანსამბლის მაღალ ბიჭებში ჩატეხილი კბილიეით იდგა, მაგრამ სიმღერის დროს ყველს ისე მოიღერებდა და ისეთ სახეს მიიღებდა, თითქოს მთელი სიმღერა მიპყავდა. იყო ერთი სიცილ-ხარხარი.

კონცერტის ბოლოს, როცა მაყურებელი ფეხზე ამდგარი ოვაციებს გვიმართავდა, გიუნტერი აუცილებლად კულისებში იდგა და ელოდებოდა გერმანულ სიმღერას, „წითელი ვარდები“, რომელსაც კონცერტის ბოლოს, როგორც სუვენირს, მაყურებელს ეჩუქნიდით. ეს სიმღერა ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ და გერმანული ტექსტიც თარჯიმანთან გავიარეთ. ამ სიმღერაზე გიუნტერი ცრემლმორეული იდგა და სხვებთან ერთად აღფრთოვანებული ტაშს უკრავდა. ასე გრძელდებოდა მთელი გასტროლის განმავლობაში.

ბოლო 29-ე კონცერტზე გიუნტერმა უკანასკნელად მოისმინა „წითელი ვარდები“, შემდეგ ბიჭებთან მოვიდა გასახდელში, კიდევ ერთხელ დაუკრა ტაში, ცრემ-

ლები მოიწმინდა და იკითხა: ერთი ამიხსენით ეს სიმღერა სადაურია და რა ენაზე მღერიოთ.

მიუხედავად კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ერთი მოხუცი და ქართულად მოგვესალმა.

— რუსთაველები ხართ? — გვკითხა მან, — მეც რუსთაველი ვარ, პანსი მქვია. იქ ომის შემდეგ შვიდი წელი გავატარე. რუსთავი ჩემი აშენებულია. იგი გერმანული აქცენტით საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა ქართულად. დაინტერესდა დღეს როგორია რუსთავი, ძველი შენობები ხომ არ დაუნგრევიათ, ახალი ნაგებობები როგორია და სხვა. მოიკითხა ძველი რუსთაველები. ჩვენ დავინტერესდით მისი ვინაობით. იგი გერმანელი სამხედრო ტყვე აღმოჩნდა, — ჩვენ გაგვიმართლა, რომ საქართველოში მოვხვდით, ქართველები საოცრად გულკეთილი ხალხია. შიმშილობის დროს თვითონ იკლებდნენ ლუკმას და ჩვენ გვინაწილებდნენ — გვითხრა პანსმა. შემდეგ იკითხა, თუ არის რუსთავში გერმანელების სასაფლაო, იქ ჩვენ ბევრი მეგობარი დავტოვეთო. პანსმა ცრემლები მოიწმინდა, — ძალიან მინდა რუსთავში ჩამოსვლა, ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან, რომ ჩემი აშენებული ქალაქი არ ვნახოო, — თქვა და წავიდა. ამ ფაქტმა ერთი ამბავი გამახსენა:

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოში ბევრი გერმანელი ტყვე ჩამოიყვანეს, რომლებიც ძირითადად მშენებლობებზე მუშობდნენ. 1944 წელს ქ. რუსთავის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი და, უნდა ითქვას, რომ ქალაქის უმეტესი ნაწილი გერმანელმა ტყვეებმა ააშენეს. მათ მიერ შესანიშნავად აგებული შენობები დღესაც ამშვენებს ქალაქს.

გერმანელი ტყვეებიდან სხვადასხვა მიზეზების გამო ბევრი დაიღუპა და ისინი ქართულ მიწას მიაბარეს. საქართველოში ბევრია გერმანელთა სასაფლაო, რომელთაც ქართველები უვლიან.

ერთ დღეს როლფთან ერთად გერმანიიდან ჩამოვიდა ტურისტული ჯგუფი. გერმანიის საელჩოდან დამირეკეს და მთხოვეს, რომ რამდენიმე მათგანი რუსთავში გერმანელ ტყვეთა სასაფლაოზე წაგვეყვანა, რადგან ერთ-ერთ მათგანს ინფორმაცია ჰქონდა, რომ მამამისი ამ სასაფლაოზე იყო დასაფლავებული. ჩვენთან ერთად რუსთავში წამოვიდნენ რუდოლფ ჰაინცი, მისი რამდენიმე მეგობარი, გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები და თარჯიმანი ია ხვადაგიანი. ქ. რუსთავის ხელმძღვანელობა უკვე ადგილზე დაგვხვდა, მათ სასაფლაოზე გვირგვინები მიეტანათ და ჩვენ გველოდებოდნენ.

ჯგუფს გამოეყო დაახლოებით 65 წლის ქალბატონი, რომელიც ყველა საფლავის ქვაზე ყურადღებით კითხულობდა წარწერებს. იგი ერთ საფლავთან გაჩერდა, ცხვირსახოცი სათუთად გადაუსვა საფლავის ქვას და კარგა ხანს დააჩერდა, ეტყობოდა წარწერა რამდენჯერმე წაიკითხა. ცოტა ხანს ასე იდგა, მერე თვალებზე ცრემლი მოერია, ჯერ მუხლებზე დადგა, მერე დაიხარა და მიწას აკოცა. ასე იყო კარგა ხანს, მერე ადგა, ბოდიში მოიხადა და გვითხრა: „მამაჩემის საფლავს მივაგენი, ომში რომ წაიყვანეს, მე მაშინ რამდენიმე თვის ვიყავი, თურმე დაძინებულს მაკოცა და უკანმოუხედავად წავიდა. წავიდა ჩვენგან სამუდამოდ. დავრჩით მე და ჩემი დედიკო უპატრონოდ. დედა მაშინ 20 წლისა იყო. მამა ცოტა ხანს წერილებს იწერებოდა, სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ წერილებიც შეწყდა და მამის შესახებ აღარაფერი გაგვიგია. დედა არ გათხოვდა, ქარხანაში მუშაობდა და მარტოხელამ გამზარდა. მამისგან დაგვრჩა მხოლოდ მისი ფოტოსურათი, რომელიც დედას სასთუმალთან უდევს და სათუთად უვლის.

მე ორი შვილი მყავს, უფროსს მამაჩემის სახელი დავარქვი.

დედაჩემი ახლა 85 წლისაა, წამოსვლისას მთხოვა, თუ ვიპოვიდი მამის საფლავს, ფოტოსურათი გადამეღო და მისი სახელით ცოცხალი ყვავილები მიმეტანა საფლავზე. იგი მოუთმენლად ელოდება ჩემი ტელეფონის ზარს“

მან ცრემლები მოიწმინდა, კიდევ ერთხელ ბოდიში მოიხადა, შემდეგ მობილური ტელეფონი ამოიღო და ბერლინში დარეკა: — „დედა, მე ვარ. მამაჩემის საფლავს მივაკვლიე და ახლა მის თავთან ვდგავარ. ცოტა ხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ ქვითინნარევი ხმა გაისმა: — ჩემს მაგივრადაც ემთხვიე საფლავს, უთხარი, რომ მე ისევე მიყვარს, როგორც მიყვარდა, ერთი მუჭა მიწა აიღე მისი საფლავიდან და წამომიღე, ყოველდღე ვეამბორები. ბოდიში მომხადე მასთან და უთხარი, რომ მე უკვე ღრმად მოხუცებული ვარ და ვეღარ შევძლებ მანდ ჩამოსვლას. ჰო, კიდევ ერთი: თხოვე მანდაურ ხელმძღვანელებს, უფლება მოგცენ, როცა მოეკედები, ჩემი ფერფლი რომ მანდ ჩაიტანო და მამაშენის საფლავს მოაყარო. ეს იქნება ჩემთვის უდიდესი მადლი“

შვილი ქვითინებდა, ჩვენ გაოგნებულები ვიდექით, გულმოკლული შევცქეროდით ამ სულისშემძვრელი სურათს და ეფიქრობდით იმ საშინელებაზე, რომელიც ომმა თაყს დაატეხა კაცობრიობას. „ვაქციოთ ხმლები სახნისებად და ყველგან მშვიდობა დამყარდება“, — გამახსენდა პერმან ვედეკინდის ნათქვამი.



ცეკვა „შარიკაობა“



ნორვეგია, ქ.ბერგენი. ედუარდ გრიგის ქანდაკებასთან 1998წ.

***

1999 წლის 18 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე „რუსთაველის“ მოძღერლებმა მიწვეულები იყვნენ ჰამბურგის თეატრალურ ფესტივალზე. ჩვენ მაინის ფრანკფურტში ჩავფრინდით და იქიდან მანქანებით ჰამბურგში ჩაგვიყვანეს.

გერმანიის ჩრდილოეთით ამ უდიდესმა ნავსადგურმა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ეს გახლავთ გერმანიის „ჭიშკარი“ ჩრდილოეთიდან, საიდანაც უამრავი დატვირთული გემი შემოდის. ჩვენ პატარა კატარღით გავაყოყვანეს ხღვაში.

დავთვალიერეთ ეს უდიდესი ნავსადგური. ჰამბურგში რამდენჯერმე ვყოფილვართ, მაგრამ ახლოდან პორტი პირველად ვნახეთ. საინტერესოა, რომ იმ დროს თბილისში სიცხე 40° აღწევდა, ხოლო ჰამბურგში ტემპერატურა იყო +17°. ჩვენ საზაფხულოდ, მსუბუქად გვეცვა და სიცივისაგან კინაღამ გავითოშეთ.

თეატრალურ ფესტივალზე ერთადერთი მომღერალი ანსამბლი მიგვიწვიეს, ამიტომ სულ ყურადღების ცენტრში ვიყავით და დიდი წარმატებაც გვქონდა. ჰამბურგში სამი კონცერტი გავმართეთ. 23 აგვისტოს ბოლო კონცერტი გაიმართა ქალაქის ცენტრში წმ. ეკატერინეს სახელობის უზარმაზარ ტაძარში. კონცერტს დიდძალი მაყურებელი დაესწრო და იგი შესანიშნავად ჩატარდა, „ბისებს“ ბოლო არ უჩანდა.

კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ ქართველი სტუდენტები. მოვიდა მუსიკოსი მარიკა ლაფაური, რომელიც გერმანიაშია გათხოვილი და უკვე 8 წელია ჰამბურგში ცხოვრობს. ჩვენთან მოვიდა აგრეთვე პერმან ვედეკინდის მეუღლე ქალბატონი ილზე, რომელმაც ცრემლმორეულმა გაიხსენა საქართველოში გატარებული დღეები, გაიხსენა ქართველი მეგობრები, ის ურთიერთობები, რომელიც ვედეკინდმა დაამყარა საქართველოსა და გერმანიას შორის.

კონცერტის შემდეგ მოეწყო დიდი მიღება, რითაც მასპინძლებმა ჩვენს მამართ დიდი მადლიერება გამოხატეს.

ამ გასტროლზე ჩვენთან ერთად იმყოფებოდა ჩვენი მენეჯერი, შესანიშნავი მუსიკოსი, კომპოზიტორი და დირიჟორი ვახტანგ კახიძე, რომელმაც მამამისთან, — მსოფლიოში სახელგანთქმულ დირიჟორ ჯანსულ კახიძესთან ერთად, „რუსთაველის“ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ბატონი ჯანსული „რუსთაველის“ დიდი მეგობარია, იგი შესანიშნავად მღერის ქართულ ხალხურ სიმღერებს, ქართული ფოლკლორ-

ის შესანიშნავი მცოდნეა, ამიტომ იცის „რუსთავის“ ფასი და დღიდან ამ ანსამბლის დაარსებისა სულ მხარში გვიდგას. ამჯერადაც ბატონმა ჯანსუღმა თბილისში მოიწვია ფირმა „სონის“ წარმომადგენელი გერმანიაში, ბატონი მემო რეინი. „რუსთავმა“ ამ ფირმისათვის 300-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა ჩაწერა. ფონოჩანაწერები გაკეთდა ჯანსუღ კახიძის ცენტრის ხმის ჩამწერ სტუდიაში, იგი ჩაიწერა ერთ-ერთმა საუკეთესო ხმის რეჟისორმა ბატონმა მიხეილ კილოსანიძემ, რომელსაც დღიდან მისი დაარსებისა „რუსთავის“ 640 სიმღერა აქვს ჩაწერილი.

მემო რეინი პამბურგთან ახლოს, ერთ პატარა ლამაზ სოფელში ცხოვრობს. ჰამბურგის კონცერტების შემდეგ მემომ და მისმა მშვენიერმა მეუღლემ ქალბატონმა ირისმა „რუსთავის“ მთელი შემადგენლობა თავიანთ ოჯახში მიიწვია. მათ პურმარილი ქართული წესით გაუშალათ (ისინი საქართველოში ბევრჯერ არიან ნამყოფი), ეზოში იწვებოდა მწვადები, იქვე აშზადებდნენ მეტად გემრიელ გერმანულ კერძებსც.

ეზოში ბევრი ხეხილი იდგა. განმაცვიფრა ატმისა და შავი ქლიავის ჯიშებმა, რომლებიც არომატით ძალიან წააგავდა ქართულს, ასეთ ატამს ჩვენში „ვენახის ატამს“ ეძახიან, იგი გარეგნობით ველურ ჯიშს პგავს, მაგრამ მეტად არომატულია.

თამადად ვახტანგ კახიძე აეირჩიეთ. ითქვა ბევრი ლამაზი სადღეგრძელო და ბევრი სიმღერა. მემოს პატარა ქალიშვილმა ლიამ საოცარი მასპინძლობა გაგვიწია, დიდი ქალიეით გვემსახურებოდა სუფრაზე, რითაც ჩვენი სიყვარული დაიმსახურა.

თითქმის მთელი ღამე ვიქეფეთ, მეორე დილით გეზი რადეფორმვალდისკენ ავიღეთ. ეს ქალაქი ამჯერად არ იყო დაგეგმილი, მაგრამ, როცა რუდოლფ პაინცმა გაიგო, რომ ჩვენ პამბურგში გამოვდიოდით დაგვირეკა: — „როგორ, თქვენ გერმანიაში ჩამოხვალთ და რადეფორმვალდში არ შემოიელით? მე მანქანას გამოგიგზავნით და პამბურგიდან აუცილებლად ჩამოდით ჩვენთან, მთელი „პერა“ გელოდებათ“

რუდოლფს რამდენიმე ქალაქში ჩვენი კონცერტები დაეგეგმა, 24 აგვისტოს, დილით პამბურგიდან რადეფორმვალდში ორი პატარა ავტობუსით გავემგზავრეთ.

მაშინ პირველად ვნახეთ მანქანაში ნავიგაციის აპარატი, მძღოლებმა, რომლებიც არ იყვნენ ნამყოფი რადეფორმვალდში, მისამართი გეკითხეს და ნავიგაციის აპარატები ჩართეს. ჩვენ გვაინტერესებდა ზუსტად მივიდოდა თუ არა ჩვენი მანქანები დანიშნულ ადგილას. მთელი გზის განმავლობაში ეს იშვიათი აპარატი კარნახობდა მძღოლებს სად შეეხვიათ, რომელ ტრასაზე გადასულიყვნენ, სად იყო „საცობი“ და სხვა. ერთ ადგილას ტრასაზე დიდი „საცობი“ იყო. აპარატმა ადრევე „ურჩია“ მძღოლს სხვა გზით წასულიყო. 6 საათის მგზავრობის შემდეგ რადეფორმვალდში შევედით. მაინტერესებდა ჩვენი მანქანა მიაგნებდა თუ არა რუდოლფ პაინცის სახლს. მე ეს ქალაქი კარგად ვიცი და განცვიფრებული ვიყავი, როგორ მიიკვლევდა მანაქანა გზას დანიშნული ადგილისკენ.

სტოპ! გამოაცხადა ნავიგაციის აპარატმა და ეზოში როლფი, მისი მეუღლე ედელი და „პერას“ რამდენიმე წევრი დავინახეთ.

მეგობრები დიდი სიყვარულით შეგვხვდნენ რადეფორმვალდში, სადაც უკვე მერამდენედ გამოვედიეართ.

თეატრი, სადაც ჩვენი პირველი კონცერტი გაიმართა, მაყურებელს ვერ იტევდა. ფინალში დარბაზთან ერთად შეეასრულეთ „სულიკო“ და გერმანული სიმღერა „წითელი ვარდები“.

კონცერტზე ბონიდან ჩამოვიდნენ ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები ელჩის მოადგილის ქალბატონ მაია ფანჯიკიძის ხელმძღვანელობით. მათ თან ახლდათ მაიას დედა, ჩვენი დიდი მეგობრის, გამოჩენილი მწერლის გურამ ფანჯიკიძის მეუღლე ქალბატონი დალი.

კონცერტის შემდეგ ჩვენ ყველანი დაგვპატიჟეს რესტორანში.

რადეფორმვალდში შევიძინეთ ახალი მეგობრები, გადაპატიჟებას და პურმარილებს სათვალავი არ ჰქონდა.

ჩვენი მომდევნო კონცერტები მაინცაგენის ახალ საკონცერტო დარბაზში და კიდევ ორ პატარა ქალაქში გაიმართა, სადაც საინტერესო შეხვედრები გვქონდა. ხალხი ყველგან დიდი სიყვარულით გვიღებდა. როგორც წესი, „ჰერას“ წევრები ყველგან თან დაგვყვებოდნენ. რადეფორმვალდში მეგობრებთან ერთი კვირა დავყავით. ეს ერთი კვირა იყო სიყვარულის, ურთიერთმოფერებისა და მეგობრობის კვირა. არასოდეს დაგვავიწყდება ჩვენი მეგობრების დიდი ყურადღება. მინდა აღვნიშნო ერთი შემთხვევა. რადეფორმვალდში კონცერტის შემდეგ ჩვენს მომღერალს ნუგზარ გელაშვილს (რომელიც იქ ძალიან უყვართ) თირკმელში „კენჭმა გაუარა“ და საშინელი ტკივილები ჰქონდა. იგი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში. ფეხზე დადგა მთელი ქალაქი. საოცარი ყურადღება გამოიჩინეს ნუგზარის მიმართ ქალაქის მერმა და საზოგადოებამ.

ვინ არ დადიოდა მასთან საავადმყოფოში, ქალებს მოჰქონდათ მათ მიერ დამზადებული დიეტური სადილები, მოდიოდნენ კეთილი სურვილებითა და საჩუქრებით. ღამეც კი მორიგეობდნენ საავადმყოფოში, იქნებ ნუგზარს რამე დასჭირდესო. მკურნალობა ალბათ ძვირი დაჯდა, მაგრამ ფული ვინ გადაიხადა, დღემდე არ ვიცით. ნუგზარი მალე გამოჯანმრთელდა. მოკლედ, ჩვენი გერმანელი მეგობრების ამდენ პატივისცემას, ღმერთი თუ გადაიხდის.

1 სექტემბერს აცრემლებული დავტოვეთ ჩვენი საყვარელი მასპინძლები და თბილისში გამოვემგზავრეთ.

***

როლფი და „ჰერას“ წევრები დღენიადაგ ზრუნავენ ანსამბლ „რუსთავზე“, მის კეთილდღეობაზე. გარდა იმისა, რომ ხშირად იწვევენ საგასტროლოდ და ეწევიან ქართული კულტურის პროპაგანდას, უგზავნიან საჩუქრებს, ეხმარებიან საკონცერტო კოსტიუმების შეძენაში და სხვა. რადეფორმვალდში ვოკალის პედაგოგად მუშაობს კორეელი მომღერალი იან ხულ ლიმი, შესანიშნავი პიროვნება, რომელსაც ახლო ურთიერთობა აქვს როლფთან და, ცხადია, იგი „რუთავსაც“ გულშემატკივრობს. ერთხელ, როცა საქართველოში უკიდურესად მძიმე ეკონომიკური კრიზისი იყო, „რუსთავი“ საგასტროლოდ ემზადებოდა გერმანიაში, მაგრამ საკონცერტო კოსტიუმები გაცვეთილიყო და ბევრი მათგანი შესაცვლელი აღმოჩნდა კულტურის სამინისტროს საშუალება არ ჰქონდა, რომ დაგვხმარებოდა. ლიმმა და როლფმა რადეფორმვალდში მოაწყვეს ბენეფისი „რუსთავისთვის“. კონცერტი შედგა, მისი მთლიანი შემოსავალი ანსამბლს გამოუგზავნეს კოსტიუმების შესაძენად. ჩვენ ამ ფულით რამდენიმე ცეკვისთვის კოსტიუმები შევიკერეთ და ახლა სხვადასხვა ქვეყანაში გასტროლების დროს ვაცხადებთ, რომ ეს კოსტიუმები ჩვენმა გერმანელმა მეგობრებმა შეგეძინეს.

რამდენიმე წლის წინ როლფმა და „ჰერამ“ „რუსთავს“ საჩუქრად „მიცუბისის“

ფირმის პატარა ავტობუსი გამოუგზავნეს. დღეს ამ ავტობუსით ანსამბლის წევრები დაჰქრიან საქართველოს გზებზე და თავმომწონედ აცხადებენ, რომ იგი გერმანელი ძმების ნაჩუქარია.

„ჰერას" პირველი შემადგენლობა ნაწილობრივ შეიცვალა, მას ახალი წევრები შემოუერთდნენ, რომლებსაც ტრადიციულად უყვართ ანსამბლი „რუსთავი" და მუშაობენ გერმანია-საქართველოს მეგობრობის განსამტკიცებლად.

2004 წელს „ჰერა" რუდოლფ ჰაინცთან ერთად თბილისს ეწვია. ჩვენ სპეციალური პროგრამა შევადგინეთ სტუმრების შესახვედრად, ვაჩვენეთ ჩვენი უძველესი ძეგლები, მოვატარეთ რამდენიმე კუთხე. გავმართეთ ქართული პურმარილები, იყო სასიამოვნო შეხვედრები, ეწვივნენ წინანდალში ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმს, იქ კახელებმა შესანიშნავი სუფრა გაგვიშალეს, იყო სმა „ბოლომდე" და გრძელი კახური სიმღერები.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო საგურამოს ტყეში გატარებული დღე. სტუმრები ჯერ ზედაზენზე ავიყვანეთ და იქედან გადმოვახედეთ. ისინი მოიხიბლნენ არნახული სილამაზით, მერე „რუსთავმა" ზედაზის მონასტერში საგალობლები შეასრულა, რამაც სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, შემდეგ საგურამოს ტყეში დიდი სუფრა გაიშალა. შემოდგომის თბილი დღე იდგა. „რუსთავის" მთელი შემადგენლობა მღეროდა და ცეკვავდა. სუფრას ფრიდონ სულაბერიძე თამადობდა, იქ იყო როლფის და „ჰერას" ბევრი მეგობარი. როლფი განსაკუთრებით გაახარა მალხაზ კაკაბაძის ნახვამ. მალხაზი მისი ძველი მეგობარია და მასთან ახლო ურთიერთობა აქვს. ქეიფი დიდხანს გაგრძელდა. საგურამოს ტყეში გაჩაღდა ცეკვები, გუგუნებდა ქართული სიმღერები, როგორც მეგობრობის დიდებული საგალობელი. ეს იყო ჩვენთვის და სტუმრებისთვის (როგორც თავად თქვეს) დაუვიწყარი საღამო.

26 აპრილი რუდოლფ ჰაინცის დაბადების დღეა. ამ დღეს არის დაბადებული აგრეთვე ჩვენი ანსამბლის სასიქადულო მომღერალი, სოლისტი რამინ მიქაბერიძეც. ანსამბლი „რუსთავი" ყოველთვის აღნიშნავდა ამ დღეს. იყო რამინის და როლფის სადღეგრძელოები. ერთხელ როლფის დაბადების დღე რუსთავში აღვნიშნეთ. გერმანიიდან ჩამოვიდა „ჰერა" და როლფის სხვა მეგობრები. ქალაქის მერიამ დიდი პურობა გამართა, მოვიწვიეთ როლფის ყველა ქართველი მეგობარი, ანსამბლები, რომელთანაც მას ურთიერთობა აქვს. მოკლედ, რუსთავში დიდი მეგობრობის ზეიმი გაიმართა. სუფრასთან დაახლოებით 200 კაცი იჯდა, მღეროდნენ და ცეკვავდნენ საქართველოში საუკეთესო ანსამბლები, რასაკვირველია „რუსთავი" მასპინძელი იყო და არაჩვეულებრივი სუფრა გამოგვივიდა. ქართველი საზოგადოება მიესალმებოდა და მადლობას უხდიდა იმ კაცს, რომელმაც უდიდესი საქმე გააკეთა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. ყველაზე მძიმე პერიოდში, „ჰერას" ჯგუფთან ერთად, რუდოლფ ჰაინცი გვერდში დაუდგა ქართველ ხალხს; ფეხზე დააყენა გერმანიაში ყველა, ვისაც კი შეეძლო დახმარება; თავდაუზოგავად იმუშავა; რამდენჯერმე გაგვიწია დიდძალი მატერიალური დახმარება და დღეს თუ ლოგინზე მიჯაჭვულები ქუჩებში ინვალიდის ეტლებით დადიან, ამაში „ჰერას" და რუდოლფ ჰაინცის უდიდესი დამსახურებაა.

იდგა 2000 წლის 20 აპრილი, რადეფორმვალდიდან დამირეკეს ჩვენმა მეგობრებმა და 26 აპრილს მიგვიწვიეს როლფის დაბადების დღეზე, რომელსაც 70 წელი შეუსრულდა. თვითონ როლფმა ჩვენი მოწვევის შესახებ არაფერი იცოდა, რადეფორმვალდში ჩაველით 25 აპრილს. ფრანკფურტიდან ჩვენი მეგობარი ნუგზარ ქარსიძე



გერმანია, ბერლინის კედელი, „ნაშთი კველი დიდებისა“, 2009 წ.

შემოგვიერთდა. იმ ღამეს ჩვენმა გერმანელმა მეგობრებმა მოგვათავსეს ქალაქის განაპირა სასტუმროში, ასე რომ, როლფს არაფერი გაუგია.

26 აპრილს რადეფორმვალდის გარეუბანში, ერთ მოზრდილ კლუბში დიდი ზეიმით აღნიშნეს რუდოლფ პაინცის დაბადების დღე. ზეიმზე მოწვეულნი იყვნენ ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები, ქალაქის რჩეული საზოგადოება და მთავრობის წარმომადგენლები. მოწვეული იყო აგრეთვე ორკესტრი, მომღერლები და კორეული მოცეკვავე გოგონების ანსამბლი. როლფის დაბადების დღეს ბონიდან ჩამოვიდა ქართული საელჩოს მთელი შემადგენლობა ბატონი კოტე გაბაშვილის ხელმძღვანელობით.

ამ დღისთვის ჩვენც სპეციალურად მოვეშზადეთ, გარდა საჩუქრებისა, თან წაიღეთ საქართველოს პრეზიდენტის ბატონი ედუარდ შევარდნაძის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-სა და რუსთაველის მერის ლაშა მინდელის მისალოცი წერილები.

ზეიმი დაიწყო. ჯერ ორკესტრმა დაუკრა, შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს რადეფორმვალდის მერმა, მთავრობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, გამოვიდნენ მომღერლები, მოცეკვავეები. ჩვენ ყველაფერს კულისებიდან ვადევნებდით თვალს. თვითონ როლფი დარბაზში საპატიო ადგილას იჯდა.

უცებ წამყვანმა ანსამბლი „რუსთაველი“ გამოაცხადა, როლფი ჯერ დაიბნა, ვერ გაიგო, რა მოხდა, მერე, როცა სცენაზე დაგვინახა, ჯერ თვალები მოიფშვნიტა, მერე ტირილი დაიწყო და როცა მის პატივსაცემად „მრავალჟამიერი“ შეასრულეთ, იგი სცენაზე ამოვარდა და ცრემლმორეულმა სათითაოდ ყველა გულში ჩაგვიკრა. მერე მაია ფანჯიკიძემ წაიკითხა საქართველოს პრეზიდენტის, პატრიარქის და ქ.რუსთაველის მერის მილოცვები. დარბაზი ფეხზე ადგა და ტაშით შეეგება ამ ფაქტს. აქ კი როლფმა თავი ვეღარ შეიკავა და პატარა ბავშვივით აღრიალდა.

ჩვენ როლფთან ერთად სცენაზე რამდენიმე სიმღერა შევასრულეთ. საიუბილეო კონცერტი დიდხანს გაგრძელდა, რომელიც როლფმა გულუხვი სტუმარ-მასპინძლობით დაამთავრა.

რამდენიმე დღე როლფთან და „ჰერას" წევრებთან ერთად გავატარეთ. ყოველდღე ჩვენს პატივსაცემად იშლებოდა სუფრები რადეფორმვალდისა და მისი გარეუბნების საუკეთესო რესტორნებში. გერმანელებმა დიდად პატივნაცემები და დასაჩუქრებულები გამოგვისტუმრეს საქართველოში.

2002 წლის 1-6 მაისს მიმიწვიეს დიუსელდორფში, როგორც დელფიური მოძრაობის პრეზიდენტი საქართველოში. იქ ჩატარდა რამდენიმე სხდომა, რომელიც მიეძღვნა 2003 წლის დელფიურ თამაშებს. იქ გავიცანი ერთი მოლდაველი კაცი, ამჟამად გერმანიის მოქალაქე ბატონი კონსტანტინე პაველი, რომელიც მეუღლესთან ერთად მონაწილეობდა კომიტეტის სხდომაზე. დიუსელდორფში ბერლინიდან ჩამოვიდა ჩვენი საელჩოს მდივანი ქალბატონი მაია ფანჯიკიძე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა დელფიური კომიტეტის მუშაობაში.

კვირა დღეს კონსტანტინე (კოსტია) პაველი, მისი მეუღლე როზა და მე დიუსელდორფიდან გავემგზავრეთ რადეფორმავალდში, სადაც საავადმყოფოში იწვა ჩვენი მეგობარი რუდოლფ ჰაინცი, რომელსაც მუხლის ოპერაცია ჩაუტარდა.

როლფმა არ იცოდა, რომ მე გერმანიაში ვიყავი. ჩვენ საავადმყოფოში მივედით. მე პალატაში შევედი. როლფი თვლემდა, მერე თვალები გაახილა და რომ დამინახა, ჯერ თვალები მოიფშვნიტა. როცა დარწმუნდა, რომ ნამდვილად მე ვიყავი, ისეთი ყვირილი მორთო, რომ ექიმები შემოცვივდნენ, რაიმე უბედურება ხომ არ მოხდაო. როლფმა ყველას დაურეკა. საავადმყოფოში თავი მოიყარა ბევრმა ჩემმა ნაცნობ-მეგობარმა. მერე წაგვიყვანეს რესტორანში ტბის პირას, სადაც მრავალჯერ უქეიფია „რუსთაველს"

იმ ღამეს დიუსელდორფში დავბრუნდით, რადგან მეორე დილით დელფიადის სხდომა იყო დანიშნული. სხდომის შემდეგ რადეფორმვალდიდან ჩემთან ჩამოვიდა ჩვენი მეგობარი ლოთარ ბეტცი მეუღლით – მონიკათი. მათ რადეფორმვალდში წამიყვანეს, სადაც ბევრი ჩემი მეგობარი მელოდებოდა. რესტორანში გამიმართეს გულთბილი შეხვედრა. როლფი ყოველ წუთს რეკავდა საავადმყოფოდან და ჩვენს ამბებს კითხულობდა.

მან მთხოვა მოკითხვა გადამეცა ანსამბლ „რუსთაველის" და სხვა მისი მეგობრებისთვის, ამასთანავე მოიკითხა საქართველოს პატრიარქი ილია II და მადლობით მოიხსენია ქ. რუსთავის ხელმძღვანელობა მერაბ ტყეშელაშვილის მეთაურობით. როლფმა სიამოვნებით გაიხსენა ერთი ამბავი:

1998 წლის სექტემბერში აღინიშნა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „რუსთავის" დაარსებიდან 30 წლის იუბილე. საიუბილეო დღეებში ქ. რუსთავის მერმა ბატონმა მერაბ ტყეშელაშვილმა გერმანიიდან სტუმრად მოიწვია საქართველოსა და ანსამბლ „რუსთავის" დიდი მეგობარი ბატონი რუდოლფ ჰაინცი მეუღლითურთ. როლფი და ედელი ჩამოვიდნენ საჩუქრებით და მონაწილეობა მიიღეს ჩვენს საზეიმო დღეებში. „რუსთავის" საიუბილეო საღამო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კულტურის მინისტრმა ბატონმა ვალერი ასათიანმა, შემდეგ სიტყვით გამოვიდა რუდოლფ ჰაინცი. მან მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა და მაყურებელთა ოვაცია დაიმსახურა. როლფმა ანსამბლს გადასცა ფასიანი საჩუქრები და უზარმაზარი თაიგული.



ბერლინი. ბერლინი, რაიხსტაგთან, 2009 ▼.

ანსამბლ „რუსთავის“ იუბილე დაემთხვა ქ. რუსთავის 50 წლის იუბილეს, რომელზედაც რუდოლფ პაინცი სპეციალურად მიიწვიეს. ამ საღამოზე რამდენიმე ღირსეულ პიროვნებას მიენიჭა ქ. რუსთავის „საპატიო მოქალაქის“ წოდება, მათ შორის იყო ქართული კულტურის დიდი მოამაგე, ბატონი რუდოლფ პაინცი. მაყურებელი ტაშის გრიალით შეხვდა მთავრობის ამ გადაწყვეტილებას. იდგა როლფი სცენაზე გულხელდაკრეფილი და მადლობას უხდიდა იმ ხალხს, რომელმაც ღირსეულად დააფასა ის დიდი ამაგი, რომელიც რუდოლფ პაინცმა დასდო საქართველოსა და ქართულ კულტურას. იგი პირველი უცხოელია, რომელიც ამ საპატიო წოდებით დააჯილდოვეს.

2002 წლის 19 ივნისს „რუსთავი“ გერმანიის ქ.ინგოლშტადტში მიიწვია ფირმა „აუდიმ“ თავის ფესტივალზე, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. ამ ფესტივალზე გამოდიან მსოფლიოში გამოჩენილი მუსიკოსები. ჩვენ მიწვეული ვიყავით სამი კონცერტით.

19 ივნისს მაინის ფრანკფურტის აეროპორტში დაგვხვდა ინგოლშტატის ქართული კამერული ორკესტრის სოლისტი, ჩვენი უახლოესი მეგობარი ვიტალი სიხარულიძე. მოეთავსდით შესანიშნავ ავტობუსებში და ოთხი საათის მგზავრობის შემდეგ ჩავედით ინგოლშტადტში. დავბინავდით სასტუმრო „ანკერში“, რომელიც საკონცერტო დარბაზთან ახლოს მდებარეობს.

მეორე დღეს, 12 საათზე გავემგზავრეთ ქ. გრაფინგში, სადაც ჩვენი პირველი

კონცერტი იყო დაგეგმილი. გრაფინგში რამდენჯერმე გახლდით, ეცხოვრობდით ოჯახებში, ამიტომ იქ დიდი სამეგობრო წრე გვყავს.

გრაფინგში დაგეხვდნენ ძველი მეგობრები უდო პელმპოლცი და მისი მეუღლე როზვიტა. სწორედ ესინი იყვნენ ამ კონცერტის ინიციატორები. დაგეხვდნენ პანცი მეუღლით (რომელიც თბილისშიც იყო ჩამოსული), მილა და ბოჟეკი (იქ მაცხოვრებელი ჩეხები), გერტა და ფრანცი, ქრისტინა, რუდი და სხვები.

კონცერტს დაესწრნენ აგრეთვე ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები მიუნხენიდან. მათ შორის იყო ჩემი თანაკლასელის, მეგი აფხაზავას ქალიშვილი მაკა.

კონცერტი ნამდვილ ზეიმად გადაიქცა, იყო მისასალმებელი სიტყვები, მოიტანეს უამრავი ყვავილი, გვეპატიჟებოდნენ „ჩვენს ოჯახებში" კონცერტის შემდეგ გაგვიმართეს შესანიშნავი ვახშამი. რესტორნამდე ფეხით წავედით და კიდევ ერთხელ დავათვალიერეთ ეს ულამაზესი პატარა ქალაქი შუა საუკუნეების ძეგლებითა და არქიტექტურით დამშვენებული.

ინგოლშტადტში გვიან ღამით დავბრუნდით.

მეორე დღეს ჩვენი კონცერტი შედგა ინგოლშტადტის საუკეთესო საკონცერტო დარბაზში, სადაც წინა საღამოს კონცერტი ჩაატარა მსოფლიოში სახელგანთქმულმა დირიჟორმა ლეონაინმა.

პირველ განყოფილებაში ინგოლშტადტის ქართულ კამერულ ორკესტრთან ერთად შეგვასრულეთ დიდი ქართველი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის სუიტა „მეგრული სიმღერები", სოლო პარტიას ასრულებდა ნუგზარ გელაშვილი, დირიჟორობდა მარკუს პოშნერი.

ამ ნაწარმოებს და მის შემსრულებლებს დიდი წარმატება ხვდათ წილად, ოვაციებს ბოლო არ უჩანდა.

მეორე განყოფილება მთლიანად დაეთმო სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავს", რომელმაც კონცერტი მართლა უდიდესი წარმატებით ჩაატარა. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოდიოდნენ გერმანელები და თავიანთ აღტაცებას გამოხატავდნენ. ამ კონცერტზე სპეციალურად ჩამოვიდა რუდოლფ პაინცი მეუღლითურთ და ჩვენი მეგობრები რადეფორმვალდიდან.

მაყურებლები გვიანობამდე არ დაშლილან.

კონცერტის შემდეგ „რუსთავის" წევრები, რუდოლფ პაინცი და ფირმა აუდის წარმომადგენლები ჩვენმა მეგობარ ვიტალი სიხარულიძემ თავის ოჯახში დაგვპატიჟა. მის მეუღლეს მაგულის შესანიშნავი ქართული პურმარილი გაემზადებინა, თამადად მასპინძელი დადგა და, ცხადია, სუფრა ქართულად წაიყვანა. როლფი ძალიან კმაყოფილი იყო. ჩვენ არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ. „რუსთავს" ამდენი სიმღერა მგონი კონცერტზე არ უმღერია. მეორე დღეს ორკესტრის წევრებმა დათო ცხადაიამ, ნოდარ ჟვანიამ, თამაზ ლომიძემ და სხვებმა „რუსთავის" მომღერლები თავიანთ ოჯახებში „გადაიპატიჟეს" და საკადრისად გაუმასპინძლდნენ.

ჩვენი კონცერტები გერმანიაში დაემთხვა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში, რომელიც იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ჩატარდა.

ინგოლშტადტის კონცერტის მეორე დღეს 1/4 ფინალური მატჩები შედგა, თურქეთის ეროვნულმა ნაკრებმა დაამარცხა სენეგალის გუნდი და ნახევარფინალში გავიდა.

უნდა გენახათ, რა ხდებოდა ინგოლშტადტის ქუჩებში. ამ ქალაქში, ისე როგორც მთელ გერმანიაში, ბევრი თურქი ცხოვრობს. ისინი მანქანებით, გამაყრუებელი სიგნალებით და თურქეთის დროშებით ხელში მთელი დღე დადიოდნენ ქუჩებში შეძახ-

ილებით: „გაუმარჯოს თურქეთს“ უამრავი გოგო-ბიჭი საზეიმო სელითა და პატრიოტული შეძახილებით გამოხატავდა თავისი ქვეყნის საზეიმო განწყობილებას.

ქალაქი პრაქტიკულად პარალიზებული იყო და თურქების ზეიმი გვიან ღამემდე გაგრძელდა. როგორც შემდეგ გავიგეთ, ასეთივე ზეიმები გამართულა გერმანიის სხვა ქალაქებშიც.

23 ივნისს ჩვენი მეორე კონცერტი ინგოლშტადტში იგივე პროგრამით გაიმართა, როგორც წინა დღეს და ჩატარდა დიდი წარმატებით. უნდა ითქვას, რომ ჩვენს კამერულ ორკესტრს უდიდესი ავტორიტეტი აქვს არა მარტო ინგოლშტადტში, არამედ მთელ გერმანიაში, მას ყველგან დიდ პატივს მიაგებენ.

კონცერტის შემდეგ ჩვენმა სახელოვანმა ორკესტრმა შესანიშნავი ვახშამი გაგვიმართა საუკეთესო რესტორანში. „რუსთავი“ და კამერული ორკესტრი ერთ პერიოდში ჩამოყალიბდა, ამიტომ ჩვენ 35 წლის მეგობრობა გვაკავშირებს და ერთმანეთი ძალიან გვიყვარს.

24 ივნისს, დილით რუდოლფ ჰაინცმა და „პერას“ კიდევ რამდენიმე წევრმა შვაინფურტში წაგვიყვანეს. გასაცილებლად მოვიდნენ ჩვენი კამერული ორკესტრის წევრები, რომლებიც დიდი სიყვარულით დაგვემშვიდობნენ.

არასოდეს დაგვავიწყდება მათი გულითადი მასპინძლობა.

იმავე საღამოს ჩვენი კონცერტი გაიმართა შვაინფურტში.

შვაინფურტიდან მეორე დილით ადრე გავემგზავრეთ რადეფორმვალდში, სადაც მგონი მთელი ქალაქი მოვიდა ჩვენთან შესახვედრად, იყო მონატრების ხვევნა-კოცნა და ცრემლები.

საღამოს, ტრადიციისამებრ, რადეფორმვალდის „რაიფაიზენბანკის“ მმართველმა მანფრედ ზაიფერტმა რესტორანში არაჩვეულებრივი შეხვედრა მოგვიწყო, რომელსაც ქალაქის მთავრობაც დაესწრო, იყო საზეიმო მისალმებები და ცეკვა-სიმღერა, ჩვენმა მეგობრებმა, როგორც ყოველთვის, არაჩვეულებრივი მასპინძლობა გაგვიწიეს.

25 ივნისს „რუსთავი“ და ჩვენი გერმანელი ძმები ერთად ვმღეროდით „კაინ შონერ ლანდს“ და „სულიკოს“ იმ დღეს კონცერტი არ იყო დაგეგმილი ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის გამო. გერმანიის ნაკრებმა ნახევარფინალში 1:0 სძლია კორეის ნაკრებს და ფინალში გავიდა.

ქალაქში დაქროდნენ მანქანები გერმანული დროშებით, იყო საყვირების ხმაური და მხიარული ყიჟინა.

გერმანია გამარჯვებას ზეიმობდა.

26 ივნისს რადეფორმვალდის თეატრი ხალხს ვერ იტევდა. იქ ჩვენმა უამრავმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. — „რუსთავის“ კონცერტი ჩვენი ქალაქისთვის დიდი ზეიმია“, – თქვა ქალაქის მერმა კონცერტის წინ თავის მისასალმებელ სიტყვაში.

კონცერტის ბოლოს ხალხი ფეხზე დადგა და ოვაციები გაგვიმართა. ზეიმი იქვე ახლოს მდებარე ჩინურ რესტორანში გაგრძელდა.

27 ივნისს მთელი დღე დავყაიით ჩვენი მეგობრების ოჯახებში, იყო „გადაპატიჟება“ და იშვიათი სტუმარ-მასპინძლობა.

საღამოს კონცერტი ისევე დიდი წარმატებით ჩატარდა. კონცერტის შემდეგ ვახშამი გაგვიმართეს რადეფორმვალდის ტბასთან ახლოს მდებარე ულამაზეს რესტორანში, რომელსაც რუსთავის ბიჭებმა ჩვენი რესტორანი დაარქვეს. პირველად „რუსთავი“

ამ რესტორანში 1988 წელს დაპატიჟეს. მაშინ ჩვენთან ერთად იყვნენ რეზო თაბუკაშვილი, ვახტანგ კუპრაძა და ჰერმან ვედეკინდი

დღეს არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარაა. ღმერთმა აცხონოს.

28 ივნისს კონცერტი გაიმართა რადეფორმელადის ახლოს, ვუპერფურტის სპორტის სასახლეში. კონცერტს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

29 ივნისს დიუსელდორფის საუკეთესო საკონცერტო დარბაზს „ტონ-ჰალეში" „რუსთაველ" უკვე შეთხზედ გამოეიდა.

აქ შესანიშნავი აკუსტიკაა და სასიმღერედ პრობლემა არ არის, მაგრამ ცეკვისთვის სცენა ცოტა ძოუხერხებელია. ფრიდონ სულაბერიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისთვის არ არსებობს ასეთი სიძნელეები. მან ჩვეული ოსტატობით მოარგო მოცეკვეები იქაურ პირობებს და 1700 კაციანი სავსე დარბაზი ისეთი ოვაციებით შეხვდა ჩვენს გამოსვლას, იძდენჯერ გამოიძახეს ანსამბლი „ბისზე", რომ კონცერტი ორ საათნახევარი გაგრძელდა.

კონცერტის შემდეგ დარბაზში მე ვნახე ბევრი შერეული ოჯახი. ან ცოლი იყო ქართველი, ან ქმარი. ისინი ბავშვებით მოვიდნენ სამწუხაროდ, პატარებმა ქართული არ იცოდნენ. მათი მშობლები ტიროდნენ, ვინაიდან საშობლო და ნათესაები მოენატრათ. მე შემძრა ამ ფაქტმა. მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო ეს ხალხი განერიდა საშობლოს და სხვაგან მონახეს ბედი. ასე გაედინება ჩვენი გენოფონდი უცხოეთის ქვეყნებში. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამის შეჩერება შეუძლებელია. საქართველოში ოჯახები ზეიმით აღნიშნავენ, თუ მათი შვილი უცხოეთის რომელიმე ქვეყნის მოქალაქე გახდა. ეს ფაქტი სამწუხაროა კარგი ცხოვრებით არაა ნაკარნახები.

დიუსელდორფში ჩვენს კონცერტს დაესწრო თბილისის კონსერვატორიის ყო-



ბერლინი. „რუსთაველი" ბრანდენბურგის კარიბჭესთან. 2009 წ.

ფილი პედაგოგი, შესანიშნავი მუსიკოსი და ბრწყინვალე ადამიანი, ჩვენი მეგობარი ვილი გურევიჩი, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს. მან დიდი სიყვარული გამოხატა ჩვენ მიმართ.

დიუსელდორფიდან გულდამძიმებულები წამოვედით.

30 ივნისს ჩვენი კონცერტი არ შედგა, ვინაიდან ის დღე დიდი ფეხბურთის ღღე იყო, გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ფინალში ხვდებოდა ბრაზილიის ნაკრებს.

ჩვენმა მასპინძლებმა რადეფორმვალდის თეატრის სარეპეტიციო დარბაზში დიდი ეკრანი მოაწყვეს, სადაც ვიდეოპროექტორით გაუშვეს მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია ტოკიოდან. გარდა ამისა, იქვე გაგვიშალეს მშვენიერი პურ-მარილი. ჩვენ საშუალება გვქონდა გვენახა ფეხბურთი, თანაც ცივი გერმანული ლუდით გვექეიფა.

ასეთი რამ ჯერ არ გვახსოვს, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს სტადიონზე ვიჯექით და იქიდან ვადევნებდით თვალყურს ამ მეტად საინტერესო მატჩს.

მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა, გერმანიის ნაკრები დამარცხდა 1:2 ეს ფაქტი ტრაგედიად არავის ჩაუთვლია, პირიქით, ისინი დროშებით შეეგებნენ ნაკრების საერთო წარმატებას. გერმანელები ობიექტურად აღნიშნავდნენ, რომ ახლანდელი ნაკრები საჩემპიონო გუნდი არ იყო და რასაც მიაღწია, ეს მისი უდიდესი წარმატებააო.

სადამოს ვახშამი უპერტალში იყო დაგეგმილი. ნამუშადღევს „ჰერას“ წევრებმა ავტობუსით მოგვატარეს რადეფორმვალდის შიდამოები. ქალაქი სულ ტყეშია ჩაფლული, ირგვლივ ბევრი პატარა ტბაა. ან რა სიმწვანეა, ან რა სილამაზე, ან რა სისუფთავე. ხასხასა მწვანე მინდვრები და ტყეები საუკეთესო გზებითაა დასერილი, ასეა მთელ რეგიონში.

ეჰ, ნეტავი ოღესმე საქართველო თუ იქნება ასე მოვლილი.



კიოლნი. „რუსთაველის“ წევრები ბერმანელ მეგობრებთან

1 ივლისს თავისუფალი დღე გვქონდა, რომელიც ჩვენს მეგობრებთან გავატარეთ. საღამოს მიგვიყვანეს იქაური გუნდის სარეპეტიციო დარბაზში, სადაც გამოსამშვიდობებელი ვახშამი გაგვიმართეს. მოვიდა „პერას“ ყველა წევრი ოჯახებითა და ახლობლებით.

ჩვენთვის სპეციალურად მოიწვიეს ოთხი მუსიკოსი, რომლებიც უზარმაზარი ზომის (დაახლოებით 4მ.) საყვირებზე უკრავდნენ. ამ ინსტრუმენტებს გასაოცარი ხმოვანება აქვს.

შემდეგ შემოვიდა ნაციონალურ კოსტიუმში გამოწყობილი მუსიკოსი, რომელიც გუდასტვირის მსგავს ინსტრუმენტზე მშვენიერად ასრულებდა ევროპულ მელოდიებს.

მერე ჩვენებმა იმღერეს და იცეკვეს. მეგობრობის საღამო გვიანამდე გაგრძელდა.

2 ივლისს გამოვეშვიდობეთ რადეფორმეალდს და გავემგზავრეთ ქალაქ გიფპორნში, სადაც ჩვენი ბოლო კონცერტი იყო დანიშნული.

დილის 8 საათზე ჩვენს გასაცილებლად მოვიდა ბევრი ჩვენი მეგობარი, რომლებმაც გულწრფელი სიყვარული გამოხატეს „რუსთაველის“ მიმართ, იყო ბევრი ცრემლიც.

ჩვენ მადლობა გადავუხადეთ საოცარ მასპინძლებს.

გიფპორნამდე 5 საათი ვიმგზავრეთ. ჩვენთან ერთად წამოვიდნენ როლფი და ედელი, მათ ახლდათ მთელი „პერა“ და ჩვენი კორეელი მეგობარი ლიმი და ოთხი კორეელი მომღერალი გოგონა.

გიფპორნში „რუსთაველი“ უკვე მესამედ გამოდის. შეგახსენებთ, ამ ქალაქში არის წისქვილების უნიკალური მუზეუმი.

ამჯერად კონცერტი მუზეუმის საკონცერტო დარბაზში გაემართეთ. შემდეგ მუზეუმის მფლობელმა ბატონმა ფრობენმა გაგვიმართა იშვიათი ვახშამი. ჩვენ გვიანობამდე ვიჯექით. მერე მთელი ანსამბლი (50 კაცი) იქვე, მუზეუმში დაგვაძინეს. მე მერგო მდიდრული საძინებელი და ნამდვილად მეფურად მეძინა.

დილით მდიდრული საუზმის შემდეგ ჩვენმა მასპინძელმა ბ-მა ფრობენმა გვთხოვა გამოგვეგზავნა ქართული წისქვილის ნახაზები და იგი თავის მუზეუმში აუცილებლად ააშენებდა ჩვენებურ წისქვილსაც. სამწუხაროდ, ვის არ მივმართე, მაგრამ დღემდე ეს ვერ მოვახერხე.

ავტობუსამდე, გაგვაცილეს მუზეუმის ხელმძღვანელობამ და „პერას“ მთელმა შემადგენლობამ. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ გულითად მასპინძლებს, მერე ერთი სიმღერაც შემოვძახეთ და მასპინძლები თვალცრემლიანები დავტოვეთ.

ავტობუსი დაიძრა. საუკეთესო შთაბეჭდილებებითა და ემოციებით დახუნძლულნი 5 საათის მგზავრობის შემდეგ ჩავედით მაინის ფრანკფურტში და იქიდან თბილისში გამოვფრინდით.

***

40 წელია, რაც „რუსთაველს“ ურთიერთობა აქვს გერმანიასთან. ეს ანსამბლი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოდის წარმატებით, ყველგან კარგი შეხვედრები ჰქონია, მაგრამ, რაც გერმანელებმა გაგვიკეთეს, მსგავსი არაფერი გვინახავს. ყველა ქალაქი ვალდებულად თვლის თავის თავს, რომ ქართველებს საზეიმო შეხვედრები მოუწყოს. ეს ტრადიცია ზაარბრიუკენიდან დაიწყო, იგი დიდმა პერმან ვედეკინდმა დაამკვიდრა და მის შემდეგაც გრძელდება.

ალბათ, დააკვირდით გერმანიაში „რუსთავის“ სამუშაო გრაფიკსა და ყოველდღიურ განაწესს: ჩასვლა რომელიმე ქალაქში, მიღება მერიაში, ქალაქის დათვალიერება, კონცერტი გადაჭედილ დარბაზში, შესანიშნავი მისალმებები, მაყურებელთა გაუთავებელი ოვაციები, ყვავილები, საჩუქრები, სიყვარული, პატივისცემა, საუკეთესო პრესა, სადილები, ქეიფები, იშვიათი დამოკიდებულება ჩვენ მიმართ. ვფიქრობ, ვერც ერთი ანსამბლი ვერ დაიკვეხნის რომელიმე ქვეყანაში ასეთ მიღებას.

ყოველივე ამის ორგანიზატორია ფირმა „ჰერა“ და მისი დამაარსებელი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, ვაჟკაცური, დაუდეგარი ბუნებისა და დიდი ენერგიის პატრონი, სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი, გულმოწყალე, გაჭირვებულთა დამხმარე, დაუზარელი მშრომელი, ჩვენი ერთგული მეგობარი, ხალხთა შორის სიკეთისა და სიყვარულის მთესველი, დიდი ჰერმან ვედეკინდის საქმის გამგრძელებელი, რუდოლფ ჰაინცი.

ასეთი ადამიანები ქვეყნებს შორის არაჩვეულებრივ ურთიერთობებს ამყარებენ და ქმნიან დიდ პოლიტიკას.

ყველა ჩვენი გასტროლი გერმანიაში, რომელიც „ჰერამ“ მოაწყო, არ იყო ჩვეულებრივი კონცერტები. იგი ხელოვნებისა და მეგობრობის ნამდვილი ზეიმები გახლდათ, რომელმაც დიდი სიხარული მოგვგვარა ჩვენ და ყველა იმას, ვინც ამ შეხვედრა-კონცერტებს ესწრებოდა. ზეიმში ჩართული იყო ქალაქები, ოლქები, პრესა და სხვა საინფორმაციო საშუალებები. ხელოვნებით, სიმღერით შეაყვარო ხალხი ერთმანეთს — აი, ეს არის რუდოლფ ჰაინცის მიზანი, რომელიც მაღლა დგას ყოველგვარ პოლიტიკურ ამბიციაზე.

„ჰერას“ ჯგუფის წევრების ამაგს ვერასოდეს დავივიწყებთ, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ „რუსთაველს“ წევრებს პრობლემები არ ჰქონდეთ. გერმანიაში ყოფნისას ვგრძნობდით, რომ ჩვენს მეგობრებს ღამე არ ეძინათ, ისინი ჩვენს ძილს დარაჯობდნენ. ყველა ჩვენი გასტროლი და შეხვედრა ერთმანეთზე უკეთესი იყო, რადგან მათში ჩვენი მეგობრების სული და გული იყო ჩადებული.

დიდი მადლობა „ჰერას“ ძველ და ახალ შემადგენლობას: მანფრედ ზაიფერტს, ლოთარ ბეტცს, კარლ კალკიულს, აწ განსვენებულ ქალბატონ ილზე ბერგს, ფრიდჰემ ზელბახსა და მის მეუღლეს ქალბატონ როზვიტას, ჰანს და ჰანი რიომლერებს, ოტმან გასტს, რასაკვირველია, რუდოლფ ჰაინცსა და მის მეუღლეს ედელტრაუტ ლუისს (ედელი), ქრისტინე და ვილი ფონ ეშენოვსებს, ჰანელორე და ული ჰაკენბეკებს, ბერნდა და ზიგრედ როზენტალებს, ინგეზაფერტს ინგრიდ ვალისკის კარინ ანტრეხტს, კლაურს ფიშერს, გიზელა და ბერტოლდ ბორნევასერებს.

„ჰერამ“ ანსამბლი „რუსთავი“ და ქართული კულტურა თითქმის მთელ გერმანიას გააცნო. მათ ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწიეს ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდნენ ქართული კულტურის პროპაგანდას გერმანიაში, მათ დიდი წვლილი მიუძღვით გერმანია-საქართველოს მეგობრობის განმტკიცებაში. ესენი არიან: ყოფილი კულტურის მინისტრი საქართველოში, დიდი ქართველი კომპოზიტორი ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი, მისი მოადგილე, გერმანული ენისა და ლიტერატურის იშვიათი მცოდნე ბატონი ვახტანგ კუპრავა, შესანიშნავი მწერალი, „რუსთავის“ დიდი

მეგობარი ბატონი რეზო თაბუკაშვილი, იშვიათი თარჯიმანი ქალბატონი ნელი ამაშუკელი. დღეს ისინი ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ მათი დაწყებული საქმე გრძელდება. მადლობა მათ.

მადლობა ანსამბლ „რუსთავის“ დიდ მეგობრებს — ყოფილ კულტურის მინისტრს ბატონ ვალერი ასათიანსა და საქართველოს ყოფილ ელჩს რუსეთში ბატონ მალხაზ კაკაბაძეს, რომლებიც არაერთხელ იყვნენ „რუსთავთან“ ერთად გერმანიაში. მადლობა ნუგზარ ქარსიძეს, საქართველოს ავიახაზების წარმომადგენელს გერმანიაში, მადლობა თარჯიმნებს ია ბაქრაძესა და ვალერი მჭედლიშვილს.

განსაკუთრებული მადლობა არაჩვეულებრივ ქალბატონს, გერმანული ენის იშვიათ მცოდნეს, ენერგიულ, დაუღალავ, თავდადებულ, უანგარო პიროვნებას ია ხვადაგიანს, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია არა მარტო „რუსთავის“ გასტროლების დროს, არამედ საერთოდ ქართველი და გერმანელი ხალხის დამეგობრებისთვის.

„რუსთავი“ დიდადაა დავალებული გერმანიაში ჩვენი საელჩოსაგან, რომელმაც უდიდესი წვლილი გაიღო ანსამბლის პოპულარობაში. მადლობა ყოფილ ელჩს ბატონ კოტე გაბაშვილს და მის ყველა თანამშრომელს.

ჩვენმა საელჩომ გერმანიაში უამრავი კულტურული ღონისძიება მოაწყო. საქართველოდან ჩამოიყვანა ხელოვნების წარმომადგენლები და შესანიშნავი კონცერტები გამართა. ამ საქმეში ბატონ კოტეს დიდ დახმარებას უწევდა საელჩოს მდივანი ქალბატონი მაია ფანჯიკიძე. დიდი მადლობა მათ.

ამ იშვიათმა ადამიანებმა პერმან ვედეკინდთან და რუდოლფ პაინცთან ერთად შექმნეს უზარმაზარი სამეგობრო გერმანიასა და საქართველოში. ეს ხალხი დღესაც უანგაროდ იღწვის ამ ქვეყნებს შორის კეთილი ურთიერთობის დამყარებისთვის.

მადლობა პრესის თანამშრომლებს, რომლებმაც მაღალ დონეზე გააშუქეს არა მარტო „რუსთავის“ გასტროლები, არამედ ყველა კულტურული ღონისძიება, რომელიც გერმანია-საქართველოში ჩატარდა, ამან დიდად შეუწყო ხელი ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის განმტკიცებას.

დაბოლოს, მადლობა ჩვენს გერმანელ მაყურებლებს ასეთი გულთბილი მიღებისა და სიყვარულისათვის, ფეხზე ამდგარი რომ უმართავდნენ ოვაციებს ანსამბლ „რუსთავს“.

ხელოვნებამ გერმანელი და ქართველი ხალხი მტკიცედ დაამეგობრა და ეს მეგობრობა მომავალ თაობებს გაჰყვება საუკუნეების განმავლობაში, რადგანაც „ხელოვნებამ დრო და საზღვრები არ იცის“.

2009 წელი

ტრიუმფი „ოლიმპიაში“

(საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, ლუქსემბურგი)

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“ საფრანგეთში პირველად 1970 წელს გაემგზავრა. იმ პერიოდში საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის „რკინის ფარდა იყო დაშვებული“, ამიტომ საბჭოთა ანსამბლებს ამ ქვეყნებში იშვიათად უშვებდნენ. ერთადერთი კოლექტივი, რომელმაც ფურორი მოახდინა საფრანგეთში, სუხიშვილების ანსამბლი იყო.

ჩვენ ვიცოდით, რომ საფრანგეთში დიდი ქართული დიასპორა ცხოვრობდა, მათგან ერთი ნაწილი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1921წ.) წავიდა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა, სხვები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სხვადასხვა მიზეზის გამო დარჩნენ. მათთან ურთიერთობა და მიწერ-მოწერა აკრძალული იყო, ვინაიდან ისინი მოღალატეებად და სსრ კავშირის მტრებად იყვნენ შერაცხულნი.

1970-იანი წლებიდან საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ნელ-ნელა დაჩლუნგდა და წნეხიც შედარებით შერბილდა, ამიტომ ჩვენ უცხოეთში თანამემამულეებთან შეხვედრას მაინც ვახერხებდით, თუმცა, ვისაც კი შეამჩნევდნენ მათთან ახლო ურთიერთობას, იმას საზღვარგარეთ მეტჯერ აღარ გაუშვებდნენ.

1970 წელს, როცა საფრანგეთში პირველად ჩავედით, იქ მცხოვრები ქართველების სამი თაობა გავიცანით: მეორე მსოფლიო ომამდე წასულები, ომის შემდეგ იძულებით დარჩენილები და იქ დაბადებული ქართველები.

ჩვენთან მოვიდნენ: ტარიელ ჟღენტი, ვიქტორ ხომერიკი, ბაგრატ წულაძე, ვალიკო წილოსანი, რეზო გოგიტიძე, ბიჭიკო ახვლედიანი, ლევან ზურაბიშვილი, თათარხან და აპოლონ ანთაძეები, გაიოზ ბერიკაშვილი, გურამ წულაძე, შალიკო და შოთა თაყაიშვილები, კოლა გელაშვილი, ორესტი გორდელაძე და მისი მეუღლე ნუცა თაყაიშვილი, აბაშიძეები, მაჩაბლები, ბერძენიშვილები, რამიშვილები, დადიანები და სხვები.

ისინი ნამდვილად „გულდამწვარი“ ქართველები იყვნენ, რომლებიც სამშობლოზე ფიქრით აღამებდნენ და ათენებდნენ. ათეული წლების განმავლობაში ისინი ყოველდღე ელოდებოდნენ, თუ როდის მისცემდნენ სამშობლოში დაბრუნების უფლებას, მაგრამ ამაოდ.

მათ აინტერესებდათ ჩვენთან ურთიერთობა, მოდიოდნენ ჩვენს კონცერტებზე, ისმენდნენ დიდი ხნის მონატრებულ სიმღერებს და თვალცრემლიანები უკრავდნენ ტაშს, მათი აცრემლებული სახეები დღემდე დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

ისინი გვეკითხებოდნენ საქართველოს და მისი ახლანდელი მდგომარეობის შესახებ, აინტერესებდათ, ხომ არ ვიცნობდით მათ ახლობლებსა და ნათესავებს.

ჩვენთან პოლიტიკაზე საუბარს გაურბოდნენ, გვერიდებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ შეიძლება ამით ჩვენთვის ზიანი მოეყენებინათ.

თაეიდან ვნერვიულობდით, როგორ მიიღებდნენ ჩვენს კონცერტს ფრანგები, ნერვიულობდნენ ჩვენი თანამემამულეებიც, მაგრამ, როცა ქართულმა სიმღერამ და ცეკვამ უდიდესი წარმატება მოიპოვა, იქაური ქართველები სიამაყით უზსნიდნენ ფრანგებს, რომ ჩვენ რუსები არა ვართ და ისინიც იმ ქვეყნიდან არიან, საიდანაც ეს ანსამბლი ჩამოვიდა.

მაშინ ჩვენი კონცერტი პირველად ნახა ბატონმა ილია ჭაბუკიანში ბელგიაში სწავლობდა და რევოლუციამ იქ მოუსწრო. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საშობლოში აღარ დაბრუნებულა, საფრანგეთში დასახლდა და ცნობილი იმპრესარიო გახდა. ბატონი ილია ძალიან დაინტერესდა ჩვენი ანსამბლით და ევროპაში რამდენიმე ტურნე გამართა. იგი სიცოცხლის ბოლომდე თანაშრომლობდა ჩვენთან და დღეს თუ „რუსთავი“ მსოფლიოში სახელგანთქმული ანსამბლია, ამაში ბატონი ილიას დიდი ღვაწლია.

მან 1970-იან წლებში რამდენჯერმე მიგვიწვია საგასტროლოდ წასელა ესპანეთში, საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ლუქსემბურგში, მაროკოში და სხვ.

გასტროლების დროს იგი სულ ანსამბლთან ერთად იყო და საქართველოსთან განშორების სევდას ჩვენთან ურთიერთობით იქარვებდა

„რუსთავის“ მოძღვრალთა ანსამბლი საფრანგეთში მეორედ 1972 წელს გაგზავნა ჩვენმა კულტურის სამინისტრომ, სადაც ძონაწილეობა მივიღეთ ფოლკლორულ ფესტივალში.



საფრანგეთი. ბასკონია, 1970 წ.



პარიზი. რეჟისორ იოსებ თუმანიშვილთან (ცენტრში) ერთად, 1972 წ.

მოსკოვის „გოსკონცერტი“ და საქართველოს კულტურის სამინისტრო ფესტივალებსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე „რუსთაველის“ მომღერლებს ევროპაში ხშირად აგზავნიდნენ.

1974 წელს ზურაბ სოტკილავასთან ერთად ვიმოგზაურეთ საფრანგეთის ქალაქებში — ნანტში და ანჟერში, სადაც კამერული ანსამბლის თანხლებით შეგვასრულეთ კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის სუიტა „მეგრული სიმღერები“, რომელსაც დირიჟორობდა დიდი თეატრის ახალგაზრდა დირიჟორი ალექსანდრე (საშა) ლაზარევი. მოსკოვიდან გამგზავრების წინ დიდ თეატრში დავესწარით ჯუზეპე ვერდის ოპერა „აიდას“ მილანის „ლა-სკალას“ საოპერო თეატრის შესრულებით, რომელიც საგასტროლოდ ჩამოეცა მოსკოვში. სპექტაკლი შესანიშნავად ჩატარდა. მონაწილეობდნენ იმ დროისთვის ყველაზე გამოჩენილი იტალიელი მომღერლები, წარმატება მართლაც დიდი იყო და მეორე დღეს ჩემი შთაბეჭდილება საშა ლაზარევს თვითმფრინავში გავუზიარე. უდავოდ შესანიშნავი სპექტაკლი იყო, მაგრამ ვისაც უნახავს „აიდა“ 60-იან წლებში დიდ თეატრში, ალექსანდრე მელიქ-ფაშაევის დირიჟორობით, სადაც მონაწილეობდა საბჭოთა საოპერო ხელოვნების სამი ყველაზე გამოჩენილი ძომღერალი: ზურაბ ანჯაფარიძე (რადამესი), გალინა ვიშნევსკაია (აიდა) და ირინა არხიპოვა (ამნერისი) დამერწმუნება, რომ ყველა საოპერო თეატრი, მათ შორის „ლა სკალაც“ ინატრებდა ასეთ სამეულს. სამწუხაროდ, ასეთი სპექტაკლები მას შემდეგ დიდ თეატრში აღარ მინახავს, — მითხრა საშა ლაზარევმა.

ანჟერში გვიან ღამით ჩავედით. დილის 6 საათზე გამეღვიძა, ახალგათენებული იყო, ქუჩაში ცხენის ფეხების „პაკა-პუკი“ გავიგონე. ჩვენს სასტუმროს უახლოვდებოდა ორი ცხენი, ერთზე მხედარი იჯდა უბელოდ, მეორეც თოკით მოჰყვება. ისეთი ლამაზი ცხენები დღემდე არ მინახავს. ერთი იყო კუპრივით შავი, წვრილ მაღალფეხებზე იდგა, ვიწრო წელით, გრძელი კისრითა და პატარა თავით. შუბლზე პატარა თეთრი ნიკორა ჰქონდა. მეორე ტყუპისცალივით პგავდა შავ ბედაურს, ოღონდ იგი წაბლისფერი იყო, ისიც შუბლზე თეთრი ნიკორით. კარგა ხანს ვიდექი აივანზე, სანამ ბუნების ეს უშშვენიერესი ორი ქმნილება თვალს არ მიეფარა.

საღამოს შესანიშნავად ჩატარდა კონცერტი. იქაურ მაღალი კლასის კამერულ ორკესტრთან ერთად გამოვედიოდით. ოთარ თაქთაქიშვილის „მეგრულ სიმღერებს“ და მის შემსრულებლებს ზურაბ სოტკილავასა და ანსამბლ „რუსთაველს“ დიდი წარმატება ხვდათ წილად. ბოლო ნომერი „კუჩხი ბედინერი“ სამჯერ გავიმეორეთ.

ანჟერიდან ქ.ნანტში გავემგზავრეთ, სადაც მე-2 კონცერტი ჩავატარეთ. „ბისებს“ ბოლო არ უჩანდა, ზ.სოტკილავა მღეროდა ბრწყინვალედ, ვიდრე არ გაიხარჯა ბოლომდე. დირიჟორმა საშა ლაზარევმა აღიარა, — წარმატება რომ დიდი იქნებოდა ვიცოდი, მაგრამ ასეთ რამეს ნამდვილად არ მოველოდიო. – ასე იცის ბიძია მეგრულმა სიმღერამ, – უპასუხა ზურაბმა.

ნანტში მეორედ თბილისის ოფიციალურ დელეგაციას ვახლდით 1979 წელს ნანტისა და თბილისის დაძმობილების საზეიმო ცერემონიალზე. დელეგაციის ხელმძღვანელი გახლდათ თბილისის მერი, ბატონი გურამ გაბუნია, მასთან ერთად იყვნენ ქალბატონი ნათელა ლაღიძე, ბატონი ნოდარ მგალობლიშვილი და ანსამბლი „რუსთავი“ ეს იყო შესანიშნაები დელეგაცია და ნანტში არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ. მაშინ იქ ბევრი მეგობარი შევიძინეთ ქალაქის მერით, ბატონი შერარით დაწყებული და სტუდენტებით დამთავრებული.

მახსოვს, ნანტში დიდი პატივით მიგვიღეს, თბილისის დელეგაციის პატივსაცემად ძვირფას რესტორანში იშვიათი სუფრა გაშალეს. სუფრაზე სულ ფრანგული დელიკატესები ეწყო: შემწვარი ბაყაყები, ლოკოკინები, უზარმაზარი კიბორჩხალები და კიდევ ბევრი სხვა რამ. მოიტანეს იშვიათი ფრანგული ღვინოები და კონიაკები. ჩვენ საჭმელს ხელი არ ვახლეთ, რა იცოდნენ ფრანგებმა, რომ ეს ძვირადღირებული დელიკატესები ჩვენთვის მიუღებელი იყო.

ბატონი გურამ გაბუნია ნანტის მერის, შერარის გვერდით იჯდა. შეისვა თბილისისა და ნანტის დამეგობრების სადღეგრძელო. ჩვენ „მრავალჟამიერი“ დავაგუგუნეთ, ფრანგებმა ტაში დაკრეს. მერე ბატონმა შერარმა შემწვარი ბაყაყი მიაწოდა გურამ გაბუნიას, ბატონმა გურამმა უარი ვერ უთხრა და კბილი დააკარა თუ არა, სახეზე გათეთრდა, ცუდად გახდა და სასწრაფოდ დატოვა სუფრა. ფრანგებმა ვერ გაიგეს, რა მოხდა, ქალბატონმა ნათელამ, რომელმაც ბრწყინვალედ იცის ფრანგული ენა, მასპინძლებს განუმარტა რაშიც იყო საქმე. ამაზე ფრანგებმა ბევრი იცინეს და ბლომად მოიტანეს ხორცისა და თევზისაგან დამზადებული კერძები, ცნობილი ფრანგული ყველის რამდენიმე სახეობა და სხვა. ბაყაყების აღება უნდოდათ სუფრიდან, მაგრამ ჰამლეტ გონაშვილმა არ დაანება: „ფრანგები ციყლიზებული ერია, ეს რომ ცუდი იყოს, არ შეჭამდნენ, მოდი ჯერ მე გავსინჯავ და გეტყვით როგორიაო“ ჰამლეტმა თავისი ულუფა შემწვარი ბაყაყი მიირთვა და გულზე ისვამდა ხელს სიამოვნებისაგან, მაგრამ რომ ვერ აგვაყოლია, ჩვენი ულუფებიც მან გადაიღო და სიამოვნებით მიირთვა, თან ზედ ფრანგულ ღვინოს აყოლებდა.

სადილის შემდეგ ქალაქი დავათვალიერეთ. იგი არაჩვეულებრივადაა მოვლილი. სულ ყვავილებითაა „მოქარგული“ მიგვიყვანეს ხიდთან, რომელსაც თბილისის სახელი დაერქვა, ხიდზე გადასვლისას ჯუმბერ ყოლბაიამ „მგზავრული“ წამოიწყო, ემღეროდით დიდი ხალისით, ფრანგებიც დიდად გამხიარულდნენ ჩვენი სიმღერით და „მგზავრული“ ტაშის გრიალში დავამთავრეთ.

მერე ჩატარდა თბილისისა და ნანტის დამეგობრების ოფიციალური ცერემონიალი, რომელსაც ნანტის ხელმძღვანელობა და ქალაქის სხვა გამორჩეული პირები დაესწრნენ.

საღამოს ნანტის ულამაზეს საკონცერტო დარბაზში გაიმარ-



საურანგეთი. ემიგრანტ ტარიელ ქლენტთან (მარცხნიდან მეორე) ერთად 1970 წ.

თა ჩვენი კონცერტი, სადაც „რუსთავმა“ თავი ისახელა. ნანტში გატარებული რამდენიმე დღე არასოდეს დამავიწყდება. ბატონი გურამ გაბუნია და დელეგაციის სხვა წევრები დიდ ყურადღებას იჩენდნენ ჩვენს მიმართ. მაშინ ჩვენ დავმეგობრდით და ეს მეგობრობა დღემდე გრძელდება.

***

1979 წელს ბ-ნი ილია ჯაბადარი „რუსთავისთვის“ ამზადებდა ერთთვიან ტურნეს. იგი მოსკოვში ჩამოვიდა კონტრაქტის გასაფორმებლად. „გოსკონცერტი“ ყველა იმპრესარიოს სთავაზობდა რუსულ კოლექტივებს, ასე იყო ამჯერადაც, მაგრამ ესპანეთის გასტროლის შემდეგ მიხვდნენ, რომ ჯაბადარი სხვა ანსამბლს არ წაიყვანდა და ამ თემაზე საუბარი შეწყვიტეს. მოსკოვიდან ბატონი ილია თბილისს ჩამოვიდა და რამდენიმე დღე დარჩა. მოინახულა ნათესავები, იყო თავის მშობლიურ სოფელ საბუეში, სადაც სულ ცრემლებად იღვრებოდა, დაათვალიერა ძველი თბილისი, იყო მცხეთაში, შეიარა ხელოვნების მუზეუმში და თქვა: „საქართველო რომ ისეთი დამოუკიდებელი ქვეყანა იყოს, როგორიც არის თუნდაც ბელგია, მსოფლიოში უდიდესი ავტორიტეტი ექნებოდა, სამწუხაროდ, დღეს ცოტამ იცის საქართველოს შესახებ, იგი ყველას რუსეთის შემადგენელი ნაწილი ჰგონია, ამიტომ მინდა, რომ თქვენი ანსამბლის მეშვეობით ბევრ ქვეყანას ეუთხრა: — ჩვენ რუსები კი არა, უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა ვართ, რომელსაც საქართველო ჰქვია“

ბატონი ილია მოსკოვამდე გავაცილეთ. – აბა, პარიზში შეხვედრამდე, გვითხრა მე და რეზო მორჩილაძეს (ანსამბლის დირექტორს) და ცრემლმორეული დაგვშორდა.

25 ივლისს „რუსთავი“ მოსკოვიდან პარიზში გაფრინდა, იქედან მარსელში გავემგზავრეთ მატარებლით, სადაც ხუთ დღეს დავრჩით. აღსანიშნავია, რომ ფრიდონ სულაბერიძე კგბ-მ მოსკოვში დატოვა, რატომ? არავინ იცის, რადგან კგბ-ში მიზეზს არ გვეუბნებოდნენ. ფრიდონი ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე და ქორეოგრაფი იყო (მთავარი ქორეოგრაფი მაშინ რეზო ჭოხონელიძე გახლდათ). მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდა. საქმეში საქართველოს კულტურის მინისტრი ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი ჩაერთეთ, რომელმაც თავის მხრივ ცენტრალური კომიტეტის მდივანს გურამ ენუქიძეს სთხოვა დახმარება. ორივემ მოსკოვში თავიანთ კოლეგებს დაურეკეს, აწრიალდა მთელი მოსკოვი და რამდენიმე დღის შემდეგ ფრიდონი მარსელში შემოგვიერთდა. წუხდა ბატონი ილიაც, ფრიდონის გარეშე ცეკვა როგორ გამოვაო და უნდა გენახათ მისი აღტაცება, როცა ფრიდონი დაინახა. ამის შემდეგ შესანიშნავ წყვილს – იაშზე დოლაბერიძესა და ფრიდონ სულაბერიძეს მთელი გასტროლის განმავლობაში აღტაცებაში მოჰყავდათ ფრანგი მაყურებელი.

მარსელსა და მის გარეუბნებში სამი კონცერტი გაემართეთ ძალიან დიდი წარმატებით. საფრანგეთში უკვე „მკვდარი“ სეზონი იყო და კონცერტები ღია ცისქვეშ ტარდებოდა. კონცერტებს სხვებთან ერთად სომხური დიასპორაც დაესწრო, როგორც გვითხრეს, მარსელში 80000 სომეხი ცხოვრობდა.

დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაო ადგილები, კატარღით გაგვიყვანეს კუნძულზე, რომლის ციხეში ოდესღაც იჯდა გრაფი მონტე-კრისტო. ვნახეთ ის საკანი, სადაც მან პატიმრობა გაატარა, მერე გაძვერი ხვრელში, რომელიც კედელში იყო გამოჭრილი. მაშინ ძალიან გამხდარი გახლდით და ძლივს გავეტიე იმ ხვრელში, მოცეკვავეები უფრო იოლად გაძერნენ. მერე გადავიხედეთ ციხი-

დან ზღვაში, ციხე ძალიან მაღლა დგას და დიდი ოსტატი უნდა იყო, რომ იქიდან გადახტე.

მარსელში საღამოობით სასტუმროში ვიკრიბებოდით ბატონ ილია ჯაბადართან ერთად. იგი მაშინ საკმაოდ ასაკოვანი იყო, ამიტომ ცოტას სვამდა (რასაკვირველია, „ქინძმარაულს“).

ერთ დღეს კონცერტის შემდეგ სასტუმროში დავბრუნდით, კონცერტს ბევრი ხალხი დაესწრო და დიდი წარმატებით ჩატარდა, ამიტომ ბატონი ილია ძალიან გახარებული იყო და გვთხოვა მასთან შევსულიყავით. სუფრასთან, თამადად თვითონ დადგა და დაიწყო სადღეგრძელოები, მოიგონა თავისი ძმა ერეკლე და ბევრი იტირა, — ამდენი წელი გავიდა, რომ აღარ მყავს და უიმისობას მაინც ვერ შევეჩვიეო, თქვა. იმას რომ აქამდე ეცოცხლა, მსოფლიო მნიშვნელობის კომპოზიტორი გახდებოდაო.



მარსელი. „რუთაული“ მეგობარი აზიზა (უთაური) 1979 წ.

იგი ლაპარაკობდა და თან ცრემლებად იღვრებოდა. მერე საქართველოს სადღეგრძელო შესვა, მოიგონა ქაქუცა ჩოლოყაშვილი და საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპული გმირები. ილიას სადღეგრძელოები უმეტესად პატრიოტული ხასიათისა იყო. იგი ბოლომდე ცლიდა სასმისებს და ახალგაზრდებს ტოლს არ გვიდებდა. მერე თანდათან „შეჭიკჭიკდა“, კარგ გუნებაზე დადგა და ჩვენთან ერთად იმღერა: „ზამთარიაო“, „გუშინ შეიდნი გურჯანელნი“, „აღსდექ გმირთ-გმირო“ და სხვა. ამასობაში გათენდა კიდეც. – რამდენი წელი იქნება ამდენი ღვინო აღარ დამილევია და ასე არ მიქეიფიაო, – გვითხრა. ბატონი ილია ნასვამი ისეთი საყვარელი იყო, როგორც არასდროს. ჟველას გვეფიცებოდა, გვესიყვარულებოდა და ისე დაგვემშვიდობა. იმ დღეს კონცერტი არ გვქონდა და ისევ ექსკურსიაზე წავედით. ავედით იმ მთაზე, სადაც მარსელის ცნობილი ღვთისმშობლის ფიგურა დგას. იქიდან ხელისგულივით ჩანს მარსელი, რომელიც ულამაზესი სანახაობაა.

ზღვისპირა სავაჭრო უბანში ბიჭებმა გაიცნეს ერთი არაბი, სახელად აზიზა, რომელიც ტყავის ქურთუკებით ვაჭრობდა. ბიჭებმა აზიზას რამდენიმე ქართული სიტყვა შეასწავლეს, მათ შორის უწმაწურიც, მერე ცოტა დაალეკინეს და აზიზა ჩვენი მეგობარი გახდა. მან მთელი ანსამბლისთვის მოიტანა ტყავის ქურთუკები, რომელიც საკმაოდ იაფად შეკეთინეთ. იმ დროს თბილისში ასეთი ქურთუკები არ იშოვებოდა ან ძალიან ძვირი ღირდა.

მარსელიდან ნიცაში გავემგზავრეთ, დავბინავდით ზღვისპირა სასტუმროში, საიდანაც ზღვაზე საოცარი ხედი იშლებოდა. იმ საღამოს ჩვენი კონცერტი ღია საკონცერტო დარბაზში დუანის ნაძვნარში მდებარე ტურიზმის სახლში გაიმართა, დარბაზი სულ სიმწვანეში იყო ჩაფლული. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ: ვიქტორ ხომერიკი, ბაგრატ წულაძე, ვალიკო წილოსანი და სხვები. აღმოჩნდა, რომ მთელი პარიზის ქართველობა დასასვენებლად ნიცაში იყო ჩამოსული. მათ შორის,



საზღვარგარეთ, 1979 წ.

ყველაზე უფროსი – ძმები ანთაძეები იყვნენ. აპოლონი 90 წელს იყო გადაცილებული. ვიქტორ ხომერიკმა გვითხრა, რომ აპოლონი თავისი შანქანით წამოსულა. საჭესთან თურმე თვითონ იჯდა და 700-ზე მეტი კილომეტრი გამოუვლია, მერე თვითონვე დასძინა ხუმრობით, — აპოლონი ბალკონიდან ბინოკლით ათვალიერებს პლაჟს და რომელი ქალიც მოეწონება, თავისთან პატიჟებსო. იმ ღამეს ბეკრი ვიხუმრეთ, მეორე დღეს „ბერიკაცებმა“ რესტორანში დაგვპატიჟეს, თამადად ვიქტორ ხომერიკი აირჩიეს და იყო ერთი მხიარულება, სიმღერა, მოცეკვება, ხუმრობა, სვენდა ცრემლები. „სამშობლოს გარეშე არ შეიძლება კაცი ბედნიერი იყოს, კარგ ქვეყანაში ცხოვრება მაშინაა კარგი, თუ ის შენი სამშობლოა, აბა ჩვენ სიცოცხლეს რა ფასი აქვს“, – თქვა ბაგრატ წულაძემ. მერე თავისუფალი საქართველოს პირველ „დიდება“ იმღერეს, ხოლო შემდეგ — „აღსდექ გმირთა-გმირო“ ახლაც ყურში მესმის ვიქტორ ხომერიკის გამქინავი პირველი ხმა, თვალწინ მიდგას მათი ცრემლიანი თვალები.

ნიცაში ორი კონცერტი გავმართეთ. პრესამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს გამოსვლას, ვაქვეყნებთ ერთ-ერთ მათგანს:

გაზ. „ნის-მატენი“ ნიცა. 1979, 30 იელისი.

„დღეს საღამოს და ხვალ – საქართველოს ცეკვები და სიმღერებია“

დღეს და ხვალ ჟუანის ნაძვნარში მდებარე ტურიზმის სახლი გვთავაზობს იშვიათ სპექტაკლს: „ქართული სიმღერისა და ცეკვის საბჭოთა ანსამბლი“

უძველესი დროიდან, სპარსელ, არაბ, მონღოლ და სხვა დამპყრობლებთან ბრძოლებში გამომუშავდა ქართველთა თავისუფლების სიყვარული და დიდებული სიმტკიცე, რომელმაც გამოხატულება პოვა პოეზიასა და განსაკუთრებით სიმღერებსა და ცეკვებში. ამით აიხსნება, რომ საქართველო მდიდარია ხალხური ცეკვებით, რომელთა მრავალფეროვნება გვაოცებს, ხოლო ილეთების თავისებურება და დახვეწილობა მაყურებელთა აღტაცებას იწვევს.

ცეკვები სხვადასხვაგვარია: რაინდული, მხედრული, გლეხური თუ ადათ-წესების ამსახველი, მაგრამ თავადაზნაურული და ხალხური ცეკვები ერთი წარმოშობისაა და ერთგვარ შთაგონებას გამოსახავს. სპექტაკლზე დამსწრეთათვის ნათელი ხდება, რომ ქართველი მოცეკვავეები, რომელთაც რბილი ტყავის წაღები აცვიათ, მსოფლიოში ერთადერთნი არ ხმარობენ პუანტებს, რაც ტექნიკის სითამამეზე მიუთითებს. შემსრულებლებს თითქოს ურთიერთგადაჭარბება აქვთ ჩაფიქრებული. დავსძენთ, რომ „რუსთაველი“ საფრანგეთში პირველად გამოდის. ყოველივე ეს მრავალრიცხოვან მაყურებელს აღუძრავს სურვილს, რომ მიაშუროს ორ წარმოდგენას უუანის ნაძვნარში“

ჩვენი სასტუმრო ზღვის პირას იდგა. ბიჭები დილით ადრე გავედით პლაჟზე, სადაც უკვე მოეყარათ თავი დამსვენებლებს. ჩამოვჯექით და გავცქეროდით ზღვის უზარმაზარ სივრცეს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა მაღალმა, ლამაზმა ქალმა, რომელიც ჩვენს ახლოს „დაბინავდა“ მან ნელ-ნელა გაიხადა ტანსაცმელი და წელს ზემოთ სრულიად გაშიშვლდა. ეს კიდევ არაფერი, მთელი ტანი დაფარული ჰქონდა ფერადი სვირინგებით, ასეთი რამ არც ერთ ჩვენგანს არ ენახა. ალბათ ციხეშია ნაფდომი, თქვა სალიევერ ვადაჭკორიამ, ვინაიდან ჩვენთან სვირინგები უმეტესად ნაციხარ მამაკაცებს ჰქონდათ ხელზე ამოტეიფრული. ჩვენ მათი გვეშინოდა, რადგან ისინი რეციდივისტები გეგონა. აქ კიდევ ულამაზეს ქალებს სხეული აქვთ ღასახირებული.

ღმერთო-საითკენ მიდის ეს ქვეყანა.

მოგეხსენებათ, ნიცა არაჩვეულებრივი საკურორტო ქალაქია, დამსვენებლები განებივრებულები არიან მრავალნაირი ანსამბლების ხელოვნებით. „რუსთაველს“ ორი კონცერტის შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელობამ სთხოვა ბატონ ილიას კიდევ ერთი კონცერტი ჩაეტარებინა ნიცაში. ეს კონცერტი 8 აგვისტოს გაიმართა. ადგური პრესა მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენს გამოსვლებს:

გაზ. „ნიცა-მატინი“ 9 აგვისტო.

სასიამოვნო მოგზაურობა საქართველოში რუსთაველის ანსამბლის სახით.

„უტყუარი პროფესიონალური ღონითა და აუწერელი სილამაზის სახით წარმოგვიდგინა სპექტაკლი ხუთშაბათს საღამოს რუსთაველის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

50 კაცისაგან შემდგარმა ანსამბლმა, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან 30 კილომეტრით დაშორებული ქ.რუსთაველის სახელს ატარებს, წარმოგვიდგინა ისეთი საუცხოო სპექტაკლი, რომელიც ნამდვილად იმსახურებდა ქებას.



საფრანგეთი, 1979 წ.

კოსტიუმების სილამაზემ, მოცეკვავეთა სიმსუბუქემ, მომღერალთა არაჩვეულებრივმა ხმებმა, რაინდთა, მეომართა, გლეხთა და ქალაქურმა ცეკვებმა ყველას იქ

დამსწრე საზოგადოებიდან წარუშლელი შთაბეჭდილება შეუქმნა იმ შორეული ქვეყნის საუკეთესო ბუნებასა და ტრადიციებზე. მსუბუქი ტყავის ჩექმებიანი მოცეკვაკე მამაკაცები, რომლებზედაც ამბობენ, რომ მხოლოდ მათ შესწევთ ცერებზე დგომა, ვირტუოზული ტექნიკის არსენალს დაუზოგავად აფრქვევდნენ.

ამ ქვეყნის მთელი მშვენიერება გამოვლინდა ხუთშაბათს საღამოს ფრეჟუსში. მნახველებმა კარგად შეიგრძნეს ქართველი ხალხის თავისუფლების სიყვარული და რაინდული სულისკვეთება.

მათი საამო და გულშიჩამწვდომი უძველესი სიმღერები თითქოსდა გრილ სიოსავით ესალმუნებოდა გულს.

ვინც ვერ დაესწრო ამ კონცერტს, შეცდომა დაუშვა, რადგანაც ძალიან კარგი იყო ამ შორეულ და პოეტურ საქართველოში მოგზაურობა, სადაც მდინარეები და ნაკადულები წმინდა, ანკარა სახით მოედინება“

ნიცაში ჩატარებული სამი კონცერტის შემდეგ მონტე-კარლოში გაეემგზავრეთ.



საშრანგეთი, 1970 წ.

ულამაზესია გზა მონტე-კარლომდე. იგი ზღვიდან იწყება და მთებში მიიკლაკნება, რომლის კალთებზე გაშენებულია პატარა სახელმწიფო მონაკო და მისი დედაქალაქი მონტე-კარლო. ეს არის მდიდრების ქალაქი, იშვიათი მდებარეობით, არაჩვეულებრივი არქიტექტურით, ძეგლებით, ულამაზესი თეატრით, ღია საკონცერტო დარბაზით, სტადიონებით, აუზებით, კორტებით, უმდიდრესი ბანკებით, კაზინოებით. მოკლედ, აქ არის ყველა საშუალება, რომ ადამიანმა მიიღოს უდიდესი სიამოვნება.

მონტე-კარლოში კონცერტი ღია საკონცერტო დარბაზში გაემართეთ. დარბაზი გადაჭედილი იყო. კონცერტს დაესწრენ მონაკოს პრინცი რენე III და ქალაქის მერი ჟან ლუი შედვინი. კონცერტზე მოვიდა უმდიდრესი საზოგადოება, უძვირფასესი სამკაულებით. კონცერტის წინ, როცა შუქი ჩაქრა, ბატონმა ილია ჯაბადარმა დარბაზში გამახედა, იგი სამკაულებისაგან ბრჭყვიალებდა, ასეთი რამ მართლა არ მენახა.

კონცერტმა თავიდანვე აღაფრთოვანა მაყურებელი, რომელიც ბოლოს ტრიუმფით დამთავრდა. ფინალი სამჯერ გაიმეორეთ.

მონაკოს პრესა ასე გამოეხმაურა ჩვენს გამოსვლას:

გაზეთი „მონაკო“ მონაკო. 13 აგვისტო. ნიკოლო ლაფონტი.

წარმტაცი და პარმონიული საქართველო.

„საბჭოთა ანსამბლი საქართველოდან გამოდიოდა თეატრ „ლეზ ეტუალში“ სადაც მრავალრიცხოვან დამსწრეთა შორის მოიკალათეს უფლისწულმა რენე III-მ და ჟან ლუი მერსენმა, ქალაქ მონაკოს მერმა.

ორიგინალური ანსამბლი დიდი, დახვეწილი კოლორიტით, იმ ქვეყნიდან ჩამოვიდა, რომელმაც წარსულში მრავალი უცხო ქვეყნის სხვადასხვა სახის ცივილიზაციის გავლენა განიცადა.

რაინდთა, მეომართა, გლეხთა ან ქალაქის ხელოსანთა სახით წარმოდგენილმა ცეკვებმა საომარი ტემპერამენტი გამოააშკარავეს, რასაც თან ახლდა სიფაქიზის,

სინარნარისა და გრაციულობის სიჭარბე. ეს იყო სადარბაზო თუ სხვა ხალხური ლეგენდარული თავბრუდამხვევი ცეკვები. სიმკვირცხლესთან ერთად გამოსჭვიოდა აღმოსავლური ელფერი, რაც ძალზე უხდებოდა მშვენიერ ლამაზნაკვთებიან ქართველ ქალებს. ქალთა ხელების მოძრაობა, მათი ფეხებით სრიალი, ბრწყინვალე კოსტიუმები, საოცარი ქალური სინარნარე, მამაკაცთა ცეკვები აუღწერელი ტექნიკის წყალობით სრულდებოდა. ფარიკაობა დიდი ოსტატობისა და ჰარმონიულობის ნიმუშია.

სვანეთიდან თუ საქართველოს სხვა მაღალმთიან მხარიდან მოსულმა უძველესმა სიმღერებმა საოცრად გაგვაკვირვა. გაგვაოცა მათმა არქაულობამ, პოლიფონიურობამ, მუსიკალობამ და ვაჟკაცურმა ჟღერადობამ. ძალზე მოგვეწონა ინსტრუმენტული ტრიოს მიერ შესრულებული მელოდიები, რამაც დიდი პატივისცემა და მოწონება დაიმსახურა.

ეს სპექტაკლი მეტად დახვეწილი გახლდათ, ასე ვთქვათ, მისი უმცირესი დეტალიც კი ძალზე დამუშავებული იყო. მოცეკვავეთა და მომღერალთა პროფესიონალური მხარე მაღალია და დიდი ტალანტით გამოირჩევა. მოდით და პატივი დავდოთ ამ საუცხოო ანსამბლს, მეგობრებო, რომელმაც მოაჯადოვა ყველა აქ დამსწრე საზოგადოება თავისი დიდი ჯაფითა და ოსტატობის წყალობით. ანსამბლი საკმაოდ დოზირებულია პოეზიით, საოცარი უნარიანობითა და ვირტუოზობით“

კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოდიოდნენ და ავტოგრაფებს გვთხოვდნენ. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა მოხუცმა. მაღალი, გამხდარი, სპორტული აგებულების, მხრებში გაშლილი სიმპათიური მამაკაცი ხელჯოხით, თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი მოგვიახლოვდა და გამოკვეთილი კახური აქცენტით წარსდგა ჩვენ წინაშე: თაყვადი ირაკლი ჯორჯაძე გახლავართ სოფელ საბუედან, ბოლშევიკებს განვერიდე და აგერ თითქმის 60 წელია საფრანგეთში ვცხოვრობ; ძალიან მომეწონა თქვენი კონცერტი, მან ახალგაზრდობის წლები გამახსენა და წუთიერად ჩემს სამშობლოში დამაბრუნა. მერე ილია ჯაბადარი მოიკითხა, ბიჭებმა მოიყვანეს. ისინი ძმებივით გადაეხვიენენ ერთმანეთს. ირაკლი მსოფლიოში გამოჩენილი ავტორალისტია, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი პრიზები, — გვითხრა ბატონმა ილიამ და დაამატა: ეს იყო ულამაზესი ვაჟკაცი, ასეთი კი არა, ახლა რომ უყურებთ, იყო ქალების ნამდვილი რისხვა. ირაკლიმ გაიცინა. — ხვალ კონცერტი თუ გაქვთ? — იკითხა და, უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, გვითხრა: მაშინ 6 საათზე ჩემს ოჯახში გელოდებით უკლებლივ ყველას, ჩვენ 50-ნი ვართ, მორიდებით შევკადრე, — უკლებლივ ყველას, თუ გნებავთ, სხვა ვინმეც წამოიყვანეთ. იქ მონაკოს პრინცი მეუღლით, კიდევ რამდენიმე ჩემი მეგობარი იქნება, 5 საათზე თქვენთვის ავტობუსები მოვა.

აბა, ნახვამდის, ხვალ საღამომდე, გვითხრა ბატონმა ირაკლიმ და სწრაფი, ახალგაზრდული მოძრაობით და ბეჭების რხევით გაგვშორდა.

86 წლისაა, — გვითხრა ბატონმა ილიამ, — ძალიან მდიდარი კაცია, იმდენი ფული იშოვა, რომ მონაკოში დიდი სასახლე იყიდა და იქ დასახლდა, სტადიონთან ახლოს ცხოვრობს.

მეორე დღეს ჩვენი გოგოები „გაიპრანჭნენ“, ბიჭებიც სადღესასწაულოდ გამოეწყვნენ და ველოდებოდით 5 საათს. გახდა 5, 6 საათი, ავტობუსი კი არ ჩანდა. რაღაც ცუდად მენიშნა. — ეს ისეთი ამაყი კაცია, თავს არაფრით არ შეირცხვენს, – გვითხრა ბატონმა ილიამ და როცა 7 საათი დაიწყო, ირაკლისთან დარეკა. ყურ-

მილი მისმა მოახლემ აიღო.

— ბატონი ირაკლი წუხელ ქართველების კონცერტზე წავიდა, — იყო პასუხი, — იქიდან რომ მოვიდა ღამე ცუდად გახდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, ამბობენ, ძალიან ცუდად არისო. მეორე დღეს გავიგეთ, რომ იგი მძიმე „ინფარქტის“ შედეგად გარდაცვლილიყო.

მომდევნო ჩვენი კონცერტი 5 აგვისტოს დაგეგმილი იყო სტრასბურგში. 4 აგვისტოსუთენია გავემგზავრეთ. გზა გრძელი და მომქანცველი იყო, სტრასბურგში გვიან ღამით ჩავედით. მეორე დღეს გაზეთები ასეთ რეკლამას უკეთებდნენ „რუსთაველს“:

გაზ. „დერნერ ნუველ დ'ალზასი“ ქ.სტრასბურგი. 1979, 5 აგვისტო.

დღეს საღამოს თეატრში – საქართველოს სიმღერები და ცეკვები.

„პუბლიკას, რომელიც დღეს საღამოს თეატრში მოვა ღვინის ბაზრობაზე, ბედნიერება ექნება დაესწრონ ანსამბლ „რუსთაველის“ პრემიერას. ანსამბლი, რომელმაც ქართული სიმღერები და ცეკვები ჩამოიტანა, ვრცელ ტურნეს აწყობს საფრანგეთში. საქართველოს მრავალი ხალხური სიმღერა და ცეკვა აქვს. ოსტატობა, რომლითაც ეს რაინდული, სამხედრო ყოფითი ცეკვები სრულდება, ყოველთვის აღტაცებას იწვევს. ანსამბლმა „რუსთაველმა“ სრულყოფის უმაღლეს დონეს მიაღწია, ამიტომ სარგებლობს იგი წარმატებით თავის ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც“

დღეს 5 აგვისტოა. ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „რუსთაველს“ ავტოკატასტროფა შეემთხვა ყირიმში. ფეოდოსიაში კონცერტი გვქონდა, კონცერტის შემდეგ სასტუმროში ვბრუნდებოდით, გზად მთიანი მონაკვეთი უნდა გაგვეველო. ჩვენს ავტობუსს მუხრუჭებმა უმტყუნა და ღამის პირველ საათზე მანქანა ხრამში გადაიჩეხა. საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ანსამბლის ექვსი წევრი — მოცეკვაეები: ვასიკო გეგელიშვილი, კარლო ღარიბაშვილი, ნოდარ მაზიაშვილი; მუსიკოსები: ლერი თავაძე, ედუარდ გაბოიანცი და ჟანი მირკოვიჩი ადგილზევე დაიღუპნენ. დანარჩენი 32 კაცი მძიმედ დაჭრილი მიგვიყვანეს ქალაქის საავადმყოფოში. ინფორმაცია ელვის სისწრაფით გავრცელდა. დილის 6 საათზე მოსკოვიდან ჩამოიყვანეს ქირურგები, ამასთანავე სხვადასხვა ქალაქიდან ვერტმფრენებით მოპყავდათ საუკეთესო სპეციალისტები. მეორე დილას 9 საოპერაციო მაგიდა მუშაობდა და რომ არა ექიმების დიდი პროფესიონალიზმი და ძალისხმევა, ძალიან ბევრი ანსამბლის წევრი დაიღუპებოდა.

5 აგვისტო „რუსთაველის“ ისტორიაში შავი ასოებით შევიდა, ამ დღეს ანსამბლი ყოველთვის აღნიშნავს და დიდი გულისტკივილით ეიგონებთ ჩვენს შესანიშნავ სოლისტებს. ახლა სტრასბურგში ვართ და გადავწყვიტეთ ჩვენი დღევანდელი კონცერტი მათ ხსოვნას მივუძღვნათ. კონცერტის წინ გამოცხადდა ამის შესახებ და ხალხი მდუმარედ ადგა ფეხზე. ჩვენც საგალობელი შევასრულეთ დაღუპულთა მოსახსენებლად. მხოლოდ ამის შემდეგ გაიხსნა ფარდა.

ყველა მონაწილემ მაქსიმალურად მოინდომა, რომ კონცერტი მაღალ დონეზე შესრულებულიყო. ალბათ, დაღუპულთა სულებიც იმ დროს იქ დაგეტრიალებდნენ და თავის წილ წარმატებას ინაწილებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ კონცერტი „რუსთაველის“ დაღუპულ წევრთა მოგონებას მიეძღვნა, იგი ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. „ბისებს“ ბოლო არ უჩანდა, მაღლიერი მაყურებელი დიდხანს არ ტოვებდა დარბაზს. კონცერტის შემდეგ რესტორანში ავწიეთ გარდაცვლილთა სულის მოსახსენებელი.



პარიზი. ანსამბლ „ორუსთავის“ წევრები კოსმონავტ სავიცკაიასთან ერთად, 1979 წ.

7 აგვისტოს პრესამ ასეთი შეფასება მისცა ჩვენს გამოსვლას:

გაზ. „დერნერ ნუველ დ' ალზასი“ ქ.სტრასბურგი. 1979, 7 აგვისტო.

ანსამბლი საქართველოდან: სრულყოფილი ხელოვნების დიდი შთაგონება.

„ისინი ბედნიერები არიან! ბედნიერები არიან, რომ მღერიან და ცეკვავენ. მაყურებელი კი მათი ქვეყნის სულის ნაწილს უკრავს ტაშს. კვირა საღამოს საბჭოთა საქართველოს მომღერლებმა, მოცეკვავეებმა და მუსიკოსებმა საზაფხულო თეატრის სცენის კედლები გაასწიეს. გულწრფელად ეწუხვარ, რომ ტაშს მხოლოდ ათასი წყვილი ხელი უკრავდა!

კვირა საღამოს ჩვენ გვიამბეს დღევანდელ საქართველოზე. ეს არის საქორწილო ლხინი, აკვნის „ნანინას“ სინაზე, მებრძოლთა მხურვალე, თავდაუწყებული როკვა, შრომის სიმღერების რიტმი. მიუხედავად მრავალგზის შემოსევებისა, ფოლკლორი უცვლელი დარჩა სერიოზული, თითქმის ეკლესიური, რომელმაც შეინარჩუნა ქვეყნის გამომწვევი ხასიათი მიმართული დამპყრობთა წინააღმდეგ. თუ წინათ საქართველოს მიწაზე სხვები ბატონობდნენ, ქართველების სული უცვლელი რჩებოდა. სწორედ ეს სული დაეშვა ჩვენთან კავკასიის თოვლიანი მწვერვალებიდან, როგორც სიხარულისა და სიწმინდის მძლავრი სუნთქვა, და თეატრი აკასო.

მაყურებელი არ შემცდარა: წარმოდგენა, რომელიც მან კვირას იხილა, არ იყო ტურისტებისათვის განკუთვნილი უბრალო ფოლკლორული გამოსვლა: ეს თვით ხალხის სულია, ხალხისა, რომელიც ისევე ცეკვავდა აქ, როგორც თბილისის, სვანეთის ან ოსეთის მოედნებზე. ცეკვა ხანჯლებით თუ ხმლებით ნამდვილი ფოლკლორია. მოცეკვავეები ახდენენ ბრძოლის იმიტაციას. აქ ისევე იბრძვიან, როგორც მომაკვდინებელ ომში, მაგრამ მოწინააღმდეგე თავბრუდამხვევ რიტმში უსხლტება მთელი ძალით მოქნეულ ხანჯალს. ქართული ქორწილი, — სცენაზე ორმოცდაათამდე მოცეკვავეა და ყველა ბედნიერია შეგობრის ბედნიერებით ისევე, როგორც საქართველოში, სადაც ქორწილში ღვინო წყალივით იღვრება. შესაძლოა, ამანაც განაპირობა მათი და ელზასელების ურთიერთგაგება, რადგან ისინი ხომ ღვინის ბაზრობაზე იყვნენ მოსულნი, ღვინის ზეიმზე“

გაზ. „დერნერ ნუველ დ'ალზასი“, ქ.სტრასბურგი. 1979, 7 აგვისტო.

საქართველოს ცეკვები და სიმღერები. ქვეყანა, რომელმაც თავისი სული გადაგვიშალა.

„ჩვენს სპექტაკლში ჩვენი ქვეყნის სულს გთავაზობთ“, — საბჭოთა ანსამბლის ერთ-ერთი მოცეკვავის ეს აზრი მოკლედ ასახავს კვირა საღამოს საზაფხულო თეატრში მოსული მაყურებლის გრძნობებს.

სამარი, შრომის, სიხარულის ცეკვები, იავნანა – ეს ჭეშმარიტი საქართველოა, ინტენსიური ცხოვრების ორი საათი ღვინის ბაზრობის თეატრის სცენაზე. „ჩვენი კოსტიუმები, ჩვენი საკრავები ზუსტად ისეთივეა, როგორიც ცნობილია ფოლკლორული ტრადიციების წარმოშობის დროდან, ე.ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნიდან“

„და ისინი თავდავიწყებით გვიამბობენ ქვეყნის ისტორიაზე: მონღოლთა, არაბთა, თურქთა შემოსევებზე, სიცოცხლის სიყვარულზე, ვენახების ბარაქაზე. „მიირთვით, შეგარგოთ ქინძმარაული“, - ღვინის ბოთლს გვაწვდიან და უხარიათ, რომ ისეთებად გვაცნობენ თავს, როგორიც თავიანთ ქვეყანაში არიან. ღვინის ბოთლი თითქოს მათი ქვეყნის სიკეთესა და სიცოცხლის სიხარულს მოიცავს, იმ ქვეყნის სიამაყეს ასახავს, სადაც ტრადიციები უცვლელი დარჩა. თავის მხრივ თეატრის მაყურებელმაც მიიღო ეს საჩუქარი. სპექტაკლში იგრძნობოდა ერთგვარი სენტიმენტალობა (იგულისხმება დაღუპულ წევრთა ხსენება), შეიგრძნობოდა საქართველოს ვენახებში მოწეული ბლანტი, მწკლარტე, მაგარი და იმავდროულად ტკბილი გემოვნების ღვინის სურნელი. სტრასბურგში ამჯერად ღვინის ფესტივალი ტარდებოდა, სადაც „რუსთაველი“ მიიწვიეს“

კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ ფესტივალის წარმომადგენლები და გვთხოვეს კიდევ ერთი კონცერტი გაგვემართა, მაგრამ ჩვენ მეორე დღეს შვეიცარიაში მივემგზავრებოდით.

მეორე დილა თავისუფალი გვქონდა და ჩვენ სტრასბურგი დავათვალიერეთ. იგი ძალიან ლამაზი ქალაქია, მისი „სობორო“ ერთ-ერთი უძველესია საფრანგეთში (XI-XVI საუკუნე). აშენებდნენ 400 წელი. ერთი კოშკი მაინც ვერ აუშენებიათ. გარედან „სობორო“ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი გრანდიოზულობით. შიგნით აღსანიშნავია ძველი საათი, საიდანაც გამოდიან ქრისტეს მოციქულები და ნაჩვენებია სხვადასხვა სცენები ქრისტეს მოძღვრებიდან. „სობოროში“ უხვადაა გობელენები და ულამაზესი ვიტრაჟები.

შვეიცარიაში კონცერტი დაგეგმილი იყო მონტრეს კაზინოში. კაზინო ჰქვია, თორემ ეს არის ულამაზესი საკონცერტო დარბაზი, რომელიც კაზინოს შენობაშია განთავსებული.

კონცერტის წინ ჩემთან მოვიდნენ მომღერლები და ჩამიყვანეს პირველ სართულზე, სადაც ტუალეტი იყო მოთავსებული. ასეთი რამ მართლა არ მენახა. უზარმაზარი მარმარილოს დარბაზი, ფერადი მარმარილოს იატაკით, ბროლის ჭაღებით გაჩახჩახებული. ვერაფრით წარმოიდგენთ, რომ ეს ტუალეტია, რადგან ხელსაბანებიც კი არსად ჩანს, ისინი კუპეებშია დამონტაჟებული. ხელსაბანებს ონკანი არა აქვს, ონკანის მაგივრობას სხივები უწევს, საკმარისია იგი გადაკვეთოთ, რომ წყალი ავტომატურად წამოვა. იქაც ყველაფერი მარმარილოსია. კუპეებში შესასვლელი კარები წითელი ხისგანაა გაკეთებული, გეგონებათ, ფეშენებელურ სასტუმროში შედიხართ. მოკლედ, ასეთი რამ ჯერ მართლა არ გვენახა. ნეტავი თუ მოვესწრებით,

რომ საქართველოში თუნდაც ერთი ამის მსგავსი ტუალეტი იყოს. თბილისში მგონი ერთი ტუალეტია ოპერასთან და იქაც ისეთი ანტისანიტარიაა, რომ უცხოელები გარეთ გამორბიან, ხოლო თუ საქართველოს გზებზე ავტობუსით მიემგზავრებით და ტუალეტი მოითხოვეთ, ტყეში გასეირნებას გთავაზობენ. მოკლედ, არ ვიცი... უცხოეთში ნანახი ტუალეტების შემდეგ ასეთი აზრი დამებადა: როცა უცხო ქვეყანაში ჩადიხართ, როგორიც ტუალეტია, იმნაირია ქვეყანაც.

გაოგნებულები გამოვედით კონცერტზე. ბიჭებს ერთი სული ჰქონდათ, რომ კონცერტის შემდეგ იმ საოცარ ტუალეტში მიელოთ შხაპი. კონცერტის ბოლოს მაყურებელმა ოვაცია გაგვიმართა.

შვეიცარიის პრესამ მაღალი შეფასება მისცა რუსთავის გამოსვლებს, თუმცა „რუსთაველის“ მომღერალთა ჯგუფი ადრეც გამოსულა ამ ქვეყანაში. 1979 წელს ჩვენმა მომღერლებმა დიდი წარმატება მოიპოვეს აქ გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე.



მოცეკვავე რენცო ბახტაძე

შვეიცარია, მონტრე. გაზ. „ლესტ ვოდუა“ 8 აგვისტო.

აღმაფრთოვანებელი ქართული ბალეტი მონტრეში.

სიმღერები და ცეკვები საბჭოთა საქართველოს ანსამბლ „რუსთაველისა“

„მოქნილ ტყავის ჩექმებში გამოწკეპილი ჯაბუკები, რომლებიც მსოფლიოში ერთადერთნი არიან ცეკვებზე მოცეკვავენი. შაბათს იმყოფებოდნენ მონტრეში. ქვემოთ ვაქვეყნებთ სურათს მთიულური ცეკვიდან“

საქართველოს აღმაფრთოვანებელი სიმღერები და ცეკვები

„ზეადამიანები? არა, უბრალოდ შესანიშნაი მომღერლები და მოცეკვავეები მაღალი ნიჭის გარდა შემოქმედებაში აქსოვენ სითბოსა და კეთილშობილურ გრძნობებს. ამავე დროს ისინი ძალზე თავდაჭერილნიც არიან.

საბჭოთა საქართველოს ანსამბლმა შაბათ საღამოს კაზინოს მაყურებელზე

დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. მათი ფოლკლორი ისე ორგანულადაა შერწყმული ცხოვრებასთან, წარსულთან, ქვეყნის ისტორიასთან და ყოფასთან, რომ მაყურებელთაგან ვერავინ შეძლო გულგრილი დარჩენილიყო მის მიმართ.

ეს შესანიშნავი მომღერლები და მოცეკვავეები მაღალ ნიჭიერებასთან ერთად თავიანთ შემოქმედებაში აქსოვენ სითბოსა და კეთილშობილურ გრძნობებს. ამავე დროს ისინი ძალზე თავდაჭერილნიც არიან.

უამრავი ვარიაციებით მდიდარი მათი ცეკვები ასაზრდოებს ჯერ სულს და არა თვალს. აღუწერელია სიზუსტე და სირთულე მოძრაობებისა, რომელთაც თან ახლავს ღიმილი, გამომხატველი ქართველთა სიამაყისა. ეს ღიმილი ყოველთვის თან ახლავს მოცეკვავეებს სხვადასხვა სახის სცენების შესრულების დროს, იქნება ეს საქორწინო, სადღესასწაულო თუ სამშობლოსათვის ბრძოლის სცენები. ფეხის წვერებზე დაყრდნობილი მოხდენილი მანდილოსნები თითქოს დაცურავენ, მამაკაცები კი უფრო დაფრინავენ, ვიდრე ცეკვავენ. სპექტაკლში ბევრია სინატიფე და სინაზე.

რაც შეეხება სიმღერებს, ისინი იბადებიან ჩუმად ამოსუნთქვასთან ერთად, და მქუხარებამდე აღწევენ. ეს სიმღერები უნიკალურია, ხოლო მათი შემსრულებელთა ხმის ჟღერადობა და შესრულების სტილი – განუმეორებელი.

საჭიროა ვილაპარაკოთ კოსტიუმებზეც. არავითარი მყვირალა, თვალში უხეშად მოსახვედრი, არაეითარი საერთო უცხოურთან (ორიგინალურია ანსამბლის კონსტიუმებიც).

უნდა ითქვას სიტყვა დარბაზზეც. ადგილი ამ სპექტაკლზე ღირდა 40 შვეიცარიული ფრანკი და დარბაზში ტევა არ იყო. ამიტომ მაყურებელთა ნახევარი იძულებული გახდა, სპექტაკლი ფეხზე მდგომი ენახა. რა დიდი პატივი იქნებოდა მათთვის ამფითეატრის სკამი, არა?

7 აგვისტოს გრენობლში ჩამოვედით, ძალიან ცხელოდა. კონცერტი გაიმართა ღია საკონცერტო დარბაზში, რომელიც ულამაზეს პარკში მდებარეობს. კონცერტს დაესწრო ქალაქის მერი. კონცერტის შემდეგ მერმა თავის რეზიდენციაში მიგვიწვია რეზო ჭოხონელიძე, ფრიდონ სულაბერიძე, მე და დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს კულტურის სამინისტროს თანამშრომელი ქალბატონი ზინა კოლხიდაშვილი. მერმა თავის კაბინეტში შეგვიყვანა და მაცივრის კარი გამოაღო, იქიდან შამპანურები გამოიღო და ჩამოგვისხა. ძალიან ცხელოდა, ამიტომ ცივი შამპანური სულმოუთქმელად გამოვცალეთ. – კარგია, მაგრამ ცოტა მჟავეა, ჩვენი შამპანურები შედარებით უფრო ტკბილიაო, – თქვა რეზო ჭოხონელიძემ. თარჯიმანმა იმ წუთში თარგმნა. შამპანური აქაურია და თქვენთან რას „ჩამახავენ“, არ ვიცით, თანაც ეს შამპანური ერთი ბოთლი 700 ფრანკი ღირს, – თქვა ქალაქის მერმა. შემდეგ აქაური შამპანური ყველამ შევაქეთ და რამდენიმე ბოთლი გამოვცალეთ.

გრენობლის პრესა ასე გამოეხმაურა ჩვენს გამოსვლას:

ქ.გრენობლი. გაზ. „ლე დოფინე დიშერე“. 1979, 8 აგვისტო. როჟენ ვინიორი.

საქართველოს სიმღერები და ცეკვები – დიდებული ფოლკლორი.

„საბჭოთა ანსამბლმა საქართველოდან გუშინ საღამოს დახურა სეზონი საციგურაო მოედანზე. მაყურებელი, რომელიც სხვა სპექტაკლებზე ზღვად ასკდება, ამჯერად შედარებით მცირე იყო. ეს, რა თქმა უნდა, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ფოლკლორი საერთოდ ცუდი რეპუტაციით სარგებლობს. სამწუხარო ფაქტია, რადგან ამჯერად სწორედ ეს ფოლკლორი იყო დიდებული და კეთილშობილი.

საქართველო, ზუსტად არ ვიცით, სადაა იგი. როგორც გვაჩვენეს, სადღაც აღ-

მოსაელეთში მდებარეობს იქ, სადაც დასაელეთის ცივილიზაცია აღმოსაელეთის მრავალ მიმდინარეობას ემიჯნება. გეიამბეს, რომ უძველესი დროიდან საქართველო იძულებული იყო, თავი დაეცვა სპარსელთა, არაბთა, მონღოლთა და თურქთა შემოსევებისგან. მათ აითვისეს ყველაფერი საუკეთესო, რაც დამპყრობლებმა დატოვეს. მან მისცა თავისებური სიმდიდრე და სახესხვაობა მათ სიმღერებსა თუ ცეკვებს. დიდი სიყვარულით შეუდგენია პროგრამა ამ ერთსულოვან საბჭოთა ანსამბლს, რომლის გამოსვლაშიც ხელოვნურობის ნატამალიც კი არ იგრძნობა.

მთელი სპექტაკლის მანძილზე ჩვენ ეგრძნობდით მხედრულ აღტყინებას, განსაკუთრებით ხმლებით ცეკვის წკრიალში. ზოგჯერ შიში გიპყრობს, ვაი თუ მართლა დაეცეს ხმლით განგმირული რომელიმე მოცეკვავე. ეს აღტყინება რაინდულია. მოცეკვავენი წმინდა სისხლის ულაყებივით დაქრიან და... ასეთებიც არიან. მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ცეკვა „ჰუანტებზე“ ჰაეროვნებას მატებს შესრულებას.

კიდევ ერთი: პოეზიის სინაზე, ადამიანური, სლავური მომხიბელელობით აღსავსე პოეზიისა, რომელიც ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. უძლიერესია მამაკაცთა გუნდი (ღმერთმანი, ჭეშმარიტად მამაკაცთა), ყველა ტემბრში მჟღერადია და ახუნებს „კომპანიონ დე ლა შანსონისა“ და „ფრერე ჟაკის“ მსგავს ჩვენს კოლექტივებს, ათასგზის აჭარბებს, მკრთალ შემსრულებელთა რიგებში სტოვებს.

აჰ! რა დიდებული გუნდია!

ქალები? მათზეც ვთქვათ: ტანწერწეტნი, პირმშვენიერნი, როგორც ჩინური თოჯინები, იდუმალნი, როგორც იეროგლიფები, მოძრაობენ ჰაერის ბალიშებზე, თითქოს სიზმარში. ქალები კი არა, მონარნარე ოცნებანი არიან! (ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ჩვეულ მკეირცხლ რუსებს არ ჰგვანან).

მშვენიერია, როგორც აღმოსაელური ზღაპარი“.

მომდევნო დღეებში კონცერტები ჩავატარეთ მონპელიეში, ბეტიუნში, რუანში, არასაში და სხვა. ჩვენი ბოლო კონცერტი გაიმართა ბორდოში. მოგეხსენებათ, ბორდოს ღვინოები მთელ მსოფლიოში განთქმულია. ჰამლეტ გონაშვილი კახელი კაცია, ღვინის კარგი მცოდნე. ამიტომ დიდი ინტერესით ელოდებოდა ბორდოში ჩასელას. მისი თხოვნით ვენახში წაგვიყვანეს, ყურძენი უკვე მწიფდებოდა, ჰამლეტმა ყურადღება მიაპყრო ვაზის ძირს, რომელიც ძალიან მსხვილი იყო, იგი დაბალზე გადაეჭრათ და მასზე მხოლოდ ერთი „ნაყარი“ დაეტოვებინათ, რომელზედაც საუსე, ჯანმრთელი მტევნები ესხა.

— „ძირზე რატომ ორი ან სამი ნაყარი არ დატოვეთ? მაშინ ხომ შესაბამისად მეტ მოსავალს მიიღებდით“, — შეეკითხა ჰამლეტი მეღვინეს, რომელიც თან გაგვაყოლეს.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ხარისხი! ძირიდან წამოსული „მთელი ბარაქა“ როცა ერთ „ნაყარს“ ამარაგებს, ყურძნის მთელი სიკეთე მხოლოდ ამ ნაყარში მიდის, ამიტომ ყურძენიც საუკეთესო გამოდის და ღვინოც, ხოლო, როცა იგი რამდენიმე ნაყარზე ნაწილდება, შესაბამისად ხარისხიც იკლებს.

ჰამლეტი ვერ მოვაშორეთ ვაზს, მას უნდოდა ყურძნის მოყვანის და დაყენების მთელი ტექნოლოგია გაეგო და იგი საქართველოში დაენერგა.

იმ დღეებში გაზეთებში სკანდალი იყო ატეხილი. პრესა ქარხანას ადანაშაულებდა ღვინის ფალსიფიცირებაში. ქარხანა დახურეს, დაიწყო გამოძიება, სახელი გაუტყდა ფრანგულ საუკეთესო ღვინოს. თუ ეს ფაქტი დადასტურდებოდა, ქარხნის მფლობელებს დიდი ფულადი ჯარიმა და ციხე ემუქრებოდათ.

— „ღვინის ფალსიფიცირება რომ საქართველოში შეამოწმონ, ყველა ღვინის



პარიზი. ვერსალი, 1981 წ.

ქარხანა დაიხურება და ნახევარ საქართველოს დაიჭერენ“ — თქვა ჯუმბერ ყოლბაიამ.

ბოლო კონცერტი კარგად ჩატარდა. სასტუმროში გვიან დაებრუნდით. ბატონ ილია ჯაბადარს ეზოში აუხთან გამოსათხოვარი სუფრა გაეშალა. თბილი, წენარი სალამო იყო, სასტუმროში ყველას ეძინა.

„დალიეთ და ჭამეთ რამდენიც გნებავთ, ღღონდ არ იხმაუროთ, თორემ შეიძლება პოლიცია გამოიძახონ“ – თქვა ბატონმა ილიამ.

თამადად ანსამბლის დირექტორი რეზო მორჩილაძე ავირჩიეთ. იგი ჩვეული ოსტატობით უძღვებოდა სუფრას, სადღეგრძელოებს წენარად გამოთქვამდით, რომ ზედმეტი ხმაური არ გამოგვეწვია.

ბორდოს შესანიშნავმა „არაფალსიფიცირებულმა“ ღვინომ გაჭრა, ბიჭები შეზარხოშდნენ და პამლეტ გონაშვილმა „წინწყარო“ წამოიწყო. ანსამბლი გაისუსა. პამლეტის ხავერდოვანი ხმა მალამოსავით ედებოდა იქაურობას. შუა სიმღერაში ჯერ ერთი ფანჯარა გამოაღეს, მერე — მეორე, მესამე და სიმღერის ბოლოს სასტუმროდან ტაში გაისმა, ისინი კიდევ თხოულობდნენ სიმღერას.

– „ნახევარ საუკუნეზე მეტია საფრანგეთში ვცხოვრობ და ასეთი რამ ჯერ არ მინახავს“, — თქვა ბატონმა ილიამ.

„რუსთაველი“ მღეროდა, ფანჯრებიდან ტაში თანდაათან მატულობდა, მერე რამდენიმე მათგანი ძირს ჩამოვიდა და ჩვენს სუფრას შემოუერთდა, გამთენიას გაიშართა ცეკვა-თამაში. როცა ინათა, სუფრა დაიშალა და ჩვენ ტაშისა და „ბრავოს“ ძახილში დავტოვეთ იქაურობა. ეს იყო დაუვიწყარი საღამო.

საფრანგეთში დამთავრდა „რუსთაველის“ გასტროლი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი იყო კულტურის სამინისტროს თანამშრომელი ქალბატონი ზინა კოლხიდაშვილი. უაღრესად წესიერი, საქმიანი, თავდაჭერილი, პრინციპული, გულთბილი ქალბატონი, ქართული კულტურის ქომაგი და ჩვენი ანსამბლის მოყვარული. ქალბატონი ზინა თავს ევლებოდა ანსამბლის წევრებს, ეხმარებოდა გოგოებს,

ცდილობდა ყველა პრობლემა მოეგვარებინა საბჭოთა საელჩოსთან, რასაც აღწევდა კიდეც. შეიძლება ითქვას, რომ ზინა კოლხიდაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა საფრანგეთში „რუსთავის“ გასტროლის ნორმალურად ჩატარების საქმეში.

მეორე დღეს მოსკოვში გავფრინდით.

ტურნე მართლაც მაღალ დონეზე ჩატარდა, მაგრამ ერთ რამეზე გვწყდებოდა გული, პარიზში არ გამოვსულვართ და თუ პარიზი არ გიცნობთ, ისე აღიარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რადგანაც იგი მთელ მსოფლიოში წარმატების გარანტია. ეტყობა, ბატონი ილია „რუსთავის“ წარდგენას პარიზში დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა, ამისთვის სათანადო ნიადაგის მომზადება იყო საჭირო, თორემ პარიზში წარუმატებლობა ანსამბლის დაღუპვას ნიშნავდა.

* * *

1981 წელი, „რუსთავი“ საფრანგეთში, შვეიცარიაში, ლუქსემბურგსა და ბელგიაში.

1981 წლის იანვრის ბოლოს ილია ჯაბადარმა „რუსთავი“ ისევ მიიწვია საფრანგეთში.

21 იანვარს მოსკოვიდან პარიზში გავფრინდით. ჯაბადარი აეროპორტში დაგვხვდა, შევატყვეთ, რომ ჯანმრთელობა შელახული ჰქონდა.

საფრანგეთში გასტროლების წინ ცნობილმა კინორეჟისორმა ოთარ იოსელიანმა დაბირეკა, — „თუ შეგიძლია წამოიღე გუდის ყველი. გლეხურად დაწურული საფერავი და კახური ჩურჩხელები. პარიზში ბურბონების სასახლეში მინდა რუსთავის მომღერლების კონცერტი ჩავატარო და ფრანგებს ქართულ სიმღერასთან ერთად ქართული ღვინო და ყველი გაეასინჯო, გაეაცნო ის, რითაც ფრანგები მთელ მსოფლიოში არიან განთქმულები“

გლეხური საუკეთესო საფერავი კახეთში ვიშოვეთ, რამდენიმე გუდის ყველი კინორეჟისორმა სოსო ჩხაიძემ მწყემსებს ალვანიდან ჩამოატანინა.

მოსკოვის საბაჟოდან გუდის ყველს არ გვატანდნენ. — „ხომ ხედავთ გაფუჭებულია, სად მიგაქვთ“, — გვითხრა საბაჟოს უფროსმა, როცა გუდა გახსნა. ყველამ ცხვირსახოცი აიფარა ცხვირზე. მე ძლივს დავარწმუნე მებაჟეები, რომ ეს სპეციფიკური სუნია.

22 იანვარს ბურბონების სასახლეში კონცერტს დაესწრო ამ სახელოვანი გვარის ასზე მეტი წარმომადგენელი, იყვნენ სხვებიც; პარიზში გამოჩენილი ადამიანები — მწერლები, რეჟისორები, მუსიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, პრესის წარმომადგენლები. კონცერტი სალონურ სიტუაციაში ჩატარდა და თითქმის ორ საათს გაგრძელდა. იგი მიჰყავდა ოთარ იოსელიანს. ვიმღერეთ 30-ზე მეტი სიმღერა. იყო ბევრი შეკითხვა. მაყურებელს ყველაფერი აინტერესებდა საქართველოსა და ხალხური სიმღერის შესახებ. კონცერტის შემდეგ ოთარმა ყველა გვერდით დარბაზში მიიწვია, სადაც გაშლილი იყო სუფრა. სუფრაზე მხოლოდ საფერავი, გუდის ყველი და ჩურჩხელა იდო. ფრანგები აღფრთოვანდნენ. – „ამ ღვინოს და ყველს რომ კარგი რეკლამა ჰქონდეს, იგი მსოფლიო სახელს მოიპოვებსო“, – თქვეს.

კონცერტის შესახებ გაზეთი „მონდი“ წერდა: „ქართულ ხალხურ სიმღერას ახასიათებს საოცარი პოლიფონიურობა. „რუსთავი“, რომელსაც ა.ერქომაიშვილი ხელმძღვანელობს, შესანიშნავად ჟღერს, არაჩვეულებრივია ბანი. სოლისტები თითქოს დიალოგს უმართავენ სხვა ხმებს.

ყველაფერი ეს დიდებულია“.

„მონდი“, საფრანგეთი, 21.01.1981.

შემდეგ „რუსთაველი“ ბრიუსელის სამეფო ცირკში გამოვიდა. პრესა ასეთ რეკლამას უკეთებდა ჩვენს კონცერტს:

ბელგია. ბრიუსელი. გაზეთი „ლა ლანტერნი“. 1981, 29 იანვარი.

ქართული მოცეკვავეთა ანსამბლი (60 არტისტი) ბრიუსელის სამეფო ცირკში.

„ქართული მოცეკვავეთა ანსამბლის გამოსვლები შედგება 16-დან 19 თებერვლამდე (20.30სთ-ზე) ბრიუსელის სამეფო ცირკის არენაზე (მოედანზე). მოცეკვავე ვაჟები და ქალები, რომლებსაც „შავი ეშმაკები“ და „თეთრი ანგელოზები“ შეარქვეს, აცოცხლებენ ძველ კავკასიურ ტრადიციებს და შეეყავართ „ბარბაროსული უხეშობისა“ და დახვეწილი გემოვნების ცეკვის სამყაროში. ამ საოცარი ანსამბლის მოცეკვავე მამაკაცების ვირტუოზულობა (ისინი მსოფლიოში ერთადერთნი ცეკვავენ ცერებზე ჩვეულებრივად გამაგრებული ფეხსადგამის გარეშე და ფლობენ შესანიშნავ ტექნიკას, რომლითაც ფრენის შთაბეჭდილებას ქმნიან) ეხმარება ქალთა გრაციოზულ მოძრაობებს. და ყოველივე ამას ენაცვლება სიმღერები და ხალხური მუსიკა. ქართული ცეკვები, სოლო ნომრებისა და პა-დე-დეთა გარდა, წარმოდგენილია აგრეთვე ჯგუფური დადგმებით, რომლებიც სიმარჯვე-სიჩაუქის, ძალისა და ვირტუოზულობის შეჯიბრს წარმოადგენს. ცეკვების თანხლება სრულდება ტიპურ ქართულ საკრავებზე, როგორიც არის დუდუკი (პობოის ნაირსახეობა), კავკასიური აკორდეონი, დოლი (პატარა დაფდაფი, რომელზეც ხელებით უკრავენ). ამ საკრავთა ხმოვანება ჭეშმარიტ განუმეორებლობას ანიჭებს სანახაობას“.

ბრიუსელიდან „რუსთაველი“ კანში გაემგზავრა. კანი ულამაზესი ზღვისპირა ქალაქია. იგი ჩვენთან ცნობილია კინოფესტივალებითა და კონკურსებით. იქ ერთხელ უკვე ვიყავით, ვცხოვრობდით თეატრის წინ მდებარე სასტუმრო „მოდერნში“. კანი ძალიან სუფთა და მოწესრიგებული ქალაქია. ზაფხულში აქ უამრავი დამსვენებელი ჩამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

კანში ამჯერად ორი კონცერტი ჩავატარეთ. თეატრში ტევა არ იყო. მაყურებელმა ოვაცია გაგვიმართა.

მეორე დღეს პატარა გემით გაგვასეირნეს. იქიდან შესანიშნავად მოჩანდა ეს ულამაზესი ქალაქი. გემის კაპიტანი და ხელმძღვანელობა ხილით, ნამცხვრებითა და ფრანგული შამპანურით გაგვიმასპინძლდა. ჩვენ ისინი კონცერტზე დავპატიჟეთ. კონცერტის შემდეგ ვესაუბრეთ. როგორც ჩანს, ძალიან კმაყოფილები დარჩნენ.

7 თებერვალს რეიმსში გავემგზავრეთ. ავტობუსით გავიარეთ 390კმ. საღამოს გაიმართა კონცერტი. მეორე დილით მიგვიწვია ქალაქის მერის მოადგილემ, შემდეგ თვითონვე წაგვიყვანა ექსკურსიაზე. ვნახეთ მშვენიერი ღვთისმშობლის ტაძარი. აღსანიშნავია, რომ ტაძრის შესასვლელთან, მარცხენა მხარეს დგას ანგელოზის სტატუა. მას აქვს არაჩვეულებრივი ღიმილი და იგი ქალაქის ემბლემას წარმოადგენს, ტაძარში აღსანიშნავია აგრეთვე ფრესკები, სტატუები და ვიტრაჟები. ზევითა ვიტრაჟები ძალიან ძველია. იგი XIV-XVII საუკუნეებს ეკუთვნის. ქვევითა ვიტრაჟები XX საუკუნეშია გაკეთებული და ავტორს შედარებით მუქი ფერის გაუკეთებია, რომ ზევითამ თავისი პეწი არ დაკარგოს.

დავათვალიერეთ მუზეუმი, სადაც ღვთისმშობლის ტაძრის სტატუებია გამოფენილი. აქ არის აგრეთვე მეფეთა პირადი ნივთები და ტანსაცმლები, აქეა დიდი შანდალი, რომელიც ნაპოლეონის ჯვრისწერის დროს ენთო.

საღამოს გაიმართა ჩვენი კონცერტი, რომელსაც დიდძალი მაყურებელი დაეს-

წრო. მეორე დღეს გაზეთებმა „რუსთაველს“ „მშვიდობისა და მეგობრობის დესპანი“ უწოდეს.

9 თებერვალს, დილით წაგვიყვანეს შამპანურის ქარხანაში. იქ უკვე გველოდებოდა მშვენიერი ქალბატონი მარლენი, რომელმაც მოგვატარა მთელი ქარხანა და აგვიხსნა შამპანურის დამზადების წესი. პირველად კრეფენ შამპანურისთვის განკუთვნილ ყურძენს, რომელსაც წურავენ და ასხამენ სპეციალურ ქვაბებში შეფარდებით: 2/3-ზე წითელი და 1/3 თეთრი ღვინო. ოღონდ ჭაჭაზე არ ადუღებენ და დაწურვისთანავე იღებენ სუფთა წვენს. 5-6 თვის შემდეგ, როცა თხლე დაილექება, ყურძნის წვენს ფრთხილად ჩაასხამენ ბოთლებში და თითქმის თაედაყირა ჩაამაგრებენ სპეციალურ ხის დაფის სამაგრში. შეიძლება დაუმატონ 2 ან 4 გრამი შაქარი და განსაკუთრებული ფერმენტები, რომლებიც მას სპეციფიკურ არომატს აძლევს. რამდენიმე თვის განმავლობაში ბოთლებს ნელ-ნელა აბრუნებენ თითქმის ვერტიკალურ მდგომარეობაში. საცობთან მოგროვდება თეთრი ნალექი, ბოთლის თავს საცობით თაედაყირა ამაგრებენ სპეციალურ მაცივარში, რომელიც იყინება 20-25 გრადუსზე. ამის შემდეგ გაყინული თეთრი ნალექის „საცობს“ ამოაძრობენ, თავს სპეციალური საცობით (რომელიც აფრიკიდან ჩამოაქვთ) დაუცავენ და დებენ ხის მაგიდაზე, სადაც ბოთლებს წლების განმავლობაში ნელ-ნელა ატრიალებენ, 20-გრადუსით ყოველდღე. რაც უფრო ძველდება შამპანური, მით უფრო ფასობს, რადგან სიძველით იგი ღვინის საუკეთესო თვისებებს იძენს.

ექსკურსიის შემდეგ შეგვიყვანეს სპეციალურ სადეგუსტაციო დარბაზში, სადაც საუკეთესო შამპანური გაგვასინჯეს.

პარიზი. გაზ. „უნიონი“. 1981, 10 თებერვალი.

ანსამბლი „რუსთავი“ ეწვია რეიმსს. წარმოდგენა გამართა კულტურის სასახლეში“.

„ევროპაში თავისი ვრცელი ტურნეს განმავლობაში სიმღერისა და ცეკვის ქართული ანსამბლი შეჩერდა რეიმსში. ანდრე მალროს სახელობის კულტურის სასახლეში მათ გამართეს სამი შესანიშნავი წარმოდგენა. შაბათს და კვირას, სპექტაკლების შემდეგ პუბლიკა ერთსულოვანი იყო თავის შეფასებაში. ორი საათის განმავლობაში ორმოცდახუთმა მოცეკვავემ და მუსიკოსმა ბრწყინვალედ წარმოადგინეს თავიანთი ხელოვნება. „რუსთავის“ წარმოდგენა – ეს შორეული ქვეყნის ცოცხალი, მფეთქავი გულია, ეს აზიის მეზობელი დიდი საბჭოთა რესპუბლიკის ნაკლებცნობილი ხალხის ისტორიაა. წარმოდგენის უმცირესი დეტალებიც კი სკრუპულოზურად არის დამუშავებული, რაც არტისტიზმის სრულყოფილად გამოვლენას განაპირობებს. მუსიკალური რიტმები შეხამებულია მოცეკვავე ქალების გრაციოზულობასა და მათი პარტნიორების მამაცურ ნახტომებთან. დღეს კულტურის სახლში გაიმართება ამ შესანიშნავი ანსამბლის ბოლო კონცერტი.

დასვენების დღეს ანსამბლმა „რუსთავმა“ სრული შემადგენლობით დაათვალიერა ქალაქის მიდამოები და წმინდა ადგილები. გუშინ მოცეკვავეთა და მუსიკოსთა ჯგუფი მერიის შენობაში მიიღო ჩვენი ქალაქის მერის თანაშემწემ ბატონმა დელეტრმა. თავისი სიტყვის დასაწყისში ბატონმა დელეტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის ეს მიღება წარმოადგენს სხვადასხვა კულტურისა და ეთნოგენეზისის ხალხთა შორის ნამდვილი მეგობრობის დადასტურებას. მერის თანაშემწის სიტყვებით, ეს მსახიობები, ჭეშმარიტი ხალხური კულტურის წარმომადგენლები, არიან ელჩები სსრკ-სა, რომლის როლი თანამედროვე მსოფლიოში თანდათან

უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. თავისი სიტყვის დასასრულს ბატონმა დელეტრმა პარალელი გაავლო შორეული საქართველოს ღვინისა და ჩვენებური შამპანურის წარმოებას შორის. საპასუხო გამოსვლაში ანსამბლის დირექტორმა ბ-ნმა გიგინეიშვილმა თქვა, რომ იგი ბედნიერია ქალაქ რეიმსში სტუმრობით. მან აღნიშნა აგრეთვე ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობა პირველ და მეორე სამამულო ომებში. დასასრულს მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტს გულთბილი მიღებისათვის. ამ მეგობრულ შეხვედრას ესწრებოდნენ კულტურის სასახლის პრეზიდენტი ბ-ნი ლებრიე, დირექტორი ბ-ნი ჟაკ დაროლი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი ქ-ნი ტომა. სსრკ საელჩოს წარმოადგენდნენ მისი პირველი მდივანი ბ-ნი ვ. ლუკიანცევი და კულტურის ატაშე ბ-ნი ი.მიუსენკო. რეიმსის ყველა სტუმარი, როგორც წესი, მის ტაძარსაც ათვალიერებს. ქართველ სტუმრებს არ დაურღვეიათ ეს ტრადიცია. აბატ გუასთან მიღებაზე ჯგუფი გულცივ პატივისცემას ამჟღავნებდა. სტუმართა ყურადღება მიიქცია ნოტრდამის ფასადის არქიტექტურულმა დეტალებმა, ხოლო მომღიმარე ანგელოზმა, როგორც ყოველთვის, გაკვირვება და კითხვები გამოიწვია. შემდეგ შენობის ინტერიერი... აქ ყველაზე ცხოველი ინტერესი სტუმრებს აღუძრა ვიტრაჟებმა, რომლებიც, სამწუხაროდ, გუშინ არ იყო მზით განათებული და მათი სილამაზე ბევრად გაფერმკრთალებული იყო. სტუმრები დიდხანს იდგნენ შამპანის ვიტრაჟის, მერე კი – შაგალის ნაწარმოებების წინ. ექსკურსიის დასასრულს დასი ესტუმრა სასახლე ტოს, სადაც მრავლადაა წარმოდგენილი ჩვენი ქალაქის ისტორიული რელიკვიები. მსახიობები ესტუმრნენ აგრეთვე შამპანურ რიუნარის სარდაფებს. აქ მათ აჩვენეს თავიანთი ხელოვნება და ეს არამც და არამც არ ყოფილა დეგუსტაციის შედეგად. უნდა აღინიშნოს, რომ სარდაფების კამერებმა შესანიშნავი აკუსტიკა შეუქმნა კავკასიის მთებიდან წვეულ ამ ტემპერამენტულ ხმებს.

რეიმსიდან „რუსთაველი“ ნანტში გაემგზავრა“.

ნანტში მესამედ ვიყავით. როგორც ძველ მეგობრებს, ისე შეგვხვდნენ. საღამოს 7 საათზე ქალაქის მერმა, ბატონმა შერარმა ჩვენს პატივსაცემად მიღება მოაწყო. მიღებას დაესწრო ქალაქის ხელმძღვანელობა და ინტელიგენცია. სიტყვით გამოვიდა ბატონი შერარი. მან გვითხრა, რომ ნანტი და თბილისი ძმები არიან და თქვენ შეგიძლიათ თავი იგრძნოთ ისე, როგორც საკუთარ სახლშიო. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი, ბატონი ოთარ გიგინეიშვილი. მან მერს გადასცა თბილისიდან წამოღებული საჩუქრები და კონცერტზე დაპატიჟა. კონცერტი ნანტის სპორტის სასახლეში ჩატარდა და 4000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ჩვენთან მოვიდა ბატონი შერარი და გვითხრა, რომ ამ ქალაქში ასეთი წარმატება მას ჯერ არ ახსოვს, შემდეგ ვახშამზე მიგვიწვია, რომელიც არაჩვეულებრივად თბილად ჩატარდა. იყო სიმღერები, ცეკვები. ფრანგებმა იშვიათი მასპინძლობა გაგვიწიეს. ბოლოს სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა ბატონმა ოთარ გიგინეიშვილმა.

ბატონი ოთარი პირველად გახლდათ ჩვენთან ერთად უცხოეთში. ვიცოდით, რომ იგი მეტად განათლებული კაცი იყო, პროფესორი, ჰქონდა ახლო კონტაქტები უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან და სხვ. ამ გასტროლის დროს იგი ძალიან დაგვიახლოვდა და მეტად საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. ოთარი იყო ძველი მთამსვლელი, გამოცდილი სპორტსმენი, დიდ ინფორმაციას ფლობდა ალპინიზმის ისტორიის შესახებ და არა მარტო. მას ბევრი რამ ჰქონდა ნანახი, გადატანილი

და მოსმენილი, თავისუფალ დროს სიამოვნებით გვიყვებოდა მეტად საინტერესო ამბებს. ბატონი ოთარი შესანიშნავი მთხრობელი იყო, ამიტომ ანსამბლი სულგანაბული უსმენდა.

გარდა ამისა, იგი დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივი იუმორით. საფრანგეთში თარჯიმნად გამოგვაყოლეს მოსკოველი ახალგაზრდა ქალი ირინა ნიკოლაევა. ბატონი ოთარი მას გვერდიდან არ იშორებდა და სულ ეკითხებოდა, თუ როგორ არის ესა თუ ის სიტყვა ფრანგულად, როცა სიტყვით გამოდიოდა რუსულად, გრძელ ფრაზებს და რთულ წინადადებებს ამბობდა, თანაც აიძულებდა ირინას, რომ სიტყვა-სიტყვით ეთარგმნა ყოველივე. მოკლედ, გამწარებული ჰყავდა მოსკოველი თარჯიმანი. ირინამ რამდენჯერ დაიწუწუნა ჩვენთან, — ასეთი უნიჭო ჯერ არ შემხვედრია, ასჯერ ვუხსნი ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობას და მაინც ერთსა და იმავეს მეკითხებაო. ასე გავიდა 20 დღე. როცა ბატონი ოთარი ნანტში გამოვიდა და საპასუხო ერცელი სიტყვა უნდა ეთქვა, თარჯიმანი ირინა, ჩვეულებისამებრ, მის გვერდით დადგა.

„ქალბატონებო და ბატონებო“ – დაიწყო ბატონმა ოთარმა ქართულად. ირინამ თარგმნა და ჰოი საოცრებაე! გიგანეიშვილმა თავისი სიტყვა ფრანგულად გააგრძელა, თანაც ისეთი სუფთა ფრანგულით, რომ დარბაზში ტაშმა იქუხა. უნდა გენახათ თარჯიმან ირინას სახე. მას გაკვირვებისაგან ყბა ჩამოუვარდა და გაშტერებული მისჩერებოდა ამ „უნიჭო“ ხელმძღვანელს, რომელსაც ყოველი წინადადების შემდეგ ტაშით ავჯილდოვებდნენ. ეს ფაქტი ჩვენთვისაც იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მთელი ანსამბლი ხარხარებდა.

ნანტის გაზეთები ასე გამოეხმაურნენ „რუსთავის“ კონცერტს:

საქართველოს სიმღერები, მუსიკა და ცეკვები

„სპექტაკლს, რომელიც ნანტსა და თბილისს შორის მეგობრობის ეგიდით იყო წარმოდგენილი უმაღლეს სამსახიობო დონეზე და რომელსაც ესწრებოდნენ მერი, დეპუტატი და მუნიციპალური საბჭოს წევრები, დიდი წარმატება ჰქონდა. ჩვენ შემოგვთავაზეს საუცხოო წარმოდგენა, რომელიც გვაცნობს გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის ისტორიასა და ხალხის ცხოვრებას. ქართველმა ხალხმა აიღო საუკეთესო ორივე ცივილიზაციისაგან. ამით აიხსნება მათი სიმღერების, მუსიკისა და ცეკვების ხმოვანების სიმდიდრე, მრავალმხრიობა და გამომსახველობა. სოლისტები ფლობენ ძლიერ ხმებს, გუნდი კი – არაჩვეულებრივ ერთიანობასა და განუმეორებელ პოლიფონიას. მომღერლები აგრეთვე სლავური წარმოშობის მკერდისმიერ ბგერებს. ხმოვანებს ჩვეულებრივი აკორდეონი და ხელის დაფდაფი (დოლი), აგრეთვე ეროვნული ქართული საკრავები: ფანდური და ჩონგური (სამსიმიანი ბალალაიკის მსგავსად) და პატარა ფლეიტები, რომლებსაც არტისტები სრულყოფილად ფლობენ. რაც შეეხება მოცეკვაეებს, ისინი ყველაზე არაჩვეულებრივნი არიან ყველა იმათთან შედარებით, ვინც ჩვენ გვინახავს აღმოსავლეთის რესპუბლიკებიდან. აღმოსავლელი პრინცესებივით მშვენიერი (ტურფა) ქალიშვილები მდიდრულ კაბებში არიან გამოწყობილნი და პატარა ნაბიჯებით, სრიალით მოძრაობენ დახვეწილი ნარნარით და ხატავენ ცეკვის დიდებულ ფიგურებს, რომელთა სიმბოლიკა ძალიან ახლოსაა შორეული აღმოსავლეთის საკრალურ ცეკვებთან. ჭაბუკები მუქ ტანსაცმელში და ფეხებზე შემოტკეცილ თხელ ტყავის ჩექმებში, რომლებითაც ცერებზე ახერხებენ ცეკვას (ამ მხრივ ისინი ერთადერთნი არიან მსოფლიოში) – საოცრებას აკეთებენ სიჩაუქესა და სიმარჯვეში: მოძრაობებს პაერში, თავბრუდამხვევ ნახტომებს... შესანიშნავადაა მოშზადებული ჯგუფური ნომრები, რომლებშიც მოცეკვაეები

გააფთრებულ (შლეგ) რიტმებში ასრულებენ სახიფათო და ექსტრაორდინალურ შეთარაღებულ სცენებს შიშველი ხმლებით, მათი ფოლადის პირთა დარტყმის ანაბეჭდი ნაპერწკლებით გარშემორტყმულნი. აი, ყველაზე ფანტასტიკური ცეკვა ხმლებით, რომელიც შეიძლება იხილოთ!

11, 12 და 13 თებერვალს ვიმყოფებოდით შვეიცარიაში, პირველი კონცერტი ნავატარეთ ჟენევაში. დარბაზი გაჭედილი იყო. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ჩვენი თანამემამულე გოგი კალატოზიშვილი გურჯაანიდან, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს, მაგრამ სამუშაოდ ჟენევაში მიაყლინეს. იგი მუშაობს „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში“ გოგიმ დაგვათვალიერებინა ღამის ჟენევა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. მეორე დღეს დავათვალიერეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობები.

საღამოს გაიმართა ჩვენი მეორე კონცერტი. კონცერტის შემდეგ გოგი კალატოზიშვილმა ოჯახში მიგვიწვია და ქართულად გაგვიმასპინძლდა. იყო საუკეთესო მასპინძელი.

ჩვენი რიგით მესამე კონცერტი გაიმართა ჟენევის უდიდეს კაზინოში (აქ უკვე ერთხელ ვიყავით 1979 წ. რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა კავშირის ელჩი შვეიცარიაში, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი და ჩვენი შეგობარი მოსკოვიდან ვერა კრამსკაია („გოსკონცერტის“ თანამშრომელი), რომელიც ჩვენს გასტროლზე სპეციალურად მოაელინეს მოსკოვიდან.

პრესა ასე გამოეხმაურა ჩვენს გამოსვლას შვეიცარიაში:

შვეიცარია. ჟენევა. გაზეთი „ტრიბიუნ დე ჟენევი“ 1981, 12 თებერვალი. ანდრე კლოპმანი.

საქართველოს სიმღერები და ცეკვები.



პარიზი, 1972 წ.

„ვეფხვისტყაოსნური ძლიერება და მეომრული სიმამაცე – შეხამებული ელეგანტურობასა და ვირტუოზულობასთან“, — ასე წერდა პრესა საბჭოთა ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალ და მოცეკვავე ქალ-ვაჟთა შესახებ. ეს ერთობ გააოცებს იმ მაყურებლებს, ვინც მოელის წითელი არმიის გუნდის გამოსვლის მსგავს სპექტაკლს. ქართველების წარმოდგენა რაღაც სულ სხვაა და ეს ალბათ გეოგრაფიულ მდებარეობით თუ აიხსნება. ანსამბლი ჩვენთან ჩამოვიდა შავი ზღვისპირეთიდან. ხალხური სიმღერები სრულდება არაბულ სტილში, საგუნდო სიმღერის კულტის შენარჩუნებით. ცეკვებში კი შესამჩნევადაა შენარჩუნებული რუსული კლასიკური სტილი. ისინი ისევე კარგადაა დამუშავებული, როგორც რუსული სამხედრო ანსამბლის ცეკვები. აქ ტრადიციულ ქორეოგრაფიულ შესრულებაში არის ნახტომებიც და

აკრობატიკაც, ხანჯლების სხვადასხვაგვარი სროლებიც და კონდენცირებული ქარით აფრიალებული ტანსაცმელიც. ეს მოცეკვეები მართლაც რომ ვირტუოზები არიან. და ეს თავადაც კარგად იციან. რომელი ნომერია საუკეთესო? ცეკვა ხმლებით. უდავოდ შთაბეჭდავია და ჰაეროვანი: „სულიკო“: საცეკვაო კომპოზიცია „ქორწილი“: ფანტასტიკური სოლო ორ სალამურზე... რეპერტუარი, ისევე როგორც მთელი სპექტაკლი, ავტომატიზმამდეა მოწესრიგებული. სხვა ბგერებია, სხვა კულტურა: მუსლიმანური მწყემსური სალამური არ შეეხება აკორდეონის სახეობის ხმოვანებას. სცენას თუ ყურადღებით დააკვალიერებთ, ხუთზე მეტ ინსტრუმენტს ვერ დაითვლით. მიუხედავად იმისა, რომ დადგმა ტექნიკურად სრულყოფილია, მაინც გრჩება ამ ცეკვის ქაიდაზე შესრულებული ხელოვნური ხერხებით გამოწვეული სინანულის შეგრძნება. საბედნიეროდ, „რუსთაველმა“ შეძლო ამ შთაბეჭდილების განეიტრალება: საუკეთესო ფიზიკური სიჩაუქის დემონსტრირების შემდეგ მათ იმღერეს (რასაკვირველია, ფრანგულად) „შეყვალიე დე ლა ტაბლ რონდ“ ეს სიმღერა სტილით განსხვავდება ქართული ფოლკლორისგან, თუმცა დაბოლოება მოგვეწონა, ძალიან მოგვეწონა... ერთი სიტყვით, ქვეყნად არაფერია ახალი.



პარიზი, 1972 წ. ანსამბლ „რუსთაველის“ სოლისტები: მიხეილ და ლალი შარაშიძეები

საქართველო მშვენიერი ქვეყანაა. მან შემოინახა თავისი კულტურული და არტისტული მემკვიდრეობა, თავისი უმდიდრესი ეროვნული მუსიკალური ფოლკლორი. ღამე სტრასბურგში გავათენეთ.

ანსამბლმა „რუსთაველმა“ დაუვიწყარი წუთები განგვაცდევინა“

14 თებერვალს გავემგზავრეთ ლუქსემბურგში. გზად გავიარეთ სტრასბურგში, გადავლახეთ შვეიცარიის ალპების გადასასვლელი, სადაც ორ მეტრამდე თოვლი იდო, იქ ბევრი მოთხილამურე შეგვხვდა.

15 თებერვალს ჩავედით ლუქსემბურგში. ეს პაწაწინა სახელმწიფო რამდენიმე საათში გადავლახეთ. მან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ლუქსემბურგი ტიპური გერმანული ქალაქია, სადაც ბევრია ხიდები და ეკლესიები.

საღამოს გაიმართა ჩვენი კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ სტუმრები თბილისის დაძმობილებულ ქალაქ საარბრიუკენიდან, მათ შორის იყო ბატონი პერმან ვედეკინდი. მეულლით. იყო ძალიან თბილი შეხვედრა. კონცერტის წინ ვედეკინდმა სიტყვით მიმართა საზოგადოებას, მან სიყვარულით ისაუბრა საქართველოსა და საარბრიუკენის მეგობრობაზე, ისაუბრა ქართულ კულტურაზე და ანსამბლ „რუსთაველის“ ხელოვნებაზე. კონცერტის შემდეგ ვედეკინდმა სათითაოდ დაასაჩუქრა ანსამბლის წევრები და ძალიან თბილად დაგვემშვიდობა.

მეორე დღეს, რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ ჩავედით ბრიუსელში, დავბინავდით იმ სასტუმროში, სადაც ეცხოვრობდით 1973 წელს. საღამოს გავემართეთ

კონცერტი სამეფო ცირკში, სადაც ერთხელ უკვე გამოვედით 1979 წელს. მაშინ კონცერტს დაესწრნენ იქაური ქართველები: მამა-შვილი ირაკლი და ყარამან ოთხმეზურები მეუღლეებით, ნათელა წერეთელი (ფოლკლორისტ ელენე წერეთლის და), მარინა ობოლაძე და სხვები.

ელენე წერეთელი უკვე ცოცხალი აღარ იყო. მე მახსოვს მასთან პირველი შეხვედრა 1973 წელს იგი არაჩვეულებრივად განათლებული მუსიკოსი და შესანიშნავი ადამიანი გახლდათ მან მიგვიწვია ოჯახში, სადაც ქართულად გაგვიმასპინძლდა. მას ჰქონდა ქართული ხალხური სიმღერების უნიკალური ჩანაწერები. გვიან ღამემდე დავრჩით ქალბატონ ელენესთან. იქ იყო ჩვენი დიდი მეგობარი ვიქტორ ხომერიკი. მოვისმინეთ ბევრი ფონოჩანაწერი, შერე ვიმღერეთ. ვისაუბრეთ საქართველოზე. ქართულ ფოლკლორზე და გამთენიისას დავემშვიდობეთ ჩვენს კეთილ მასპინძელს.



ანსამბლი „რუსთაველის“ შუაკაცელები ანზორ ერქომაიშვილი, რეზო მოკობილაძე რეზო ჯოხონელიძე

ქალბატონ ელენესთან ხშირად მქონდა მიწერ-მოწერა, იგი მიგზავნიდა მასალებს მსოფლიო ფოლკლორზე, აგრეთვე იშვიათ ფონოჩანაწერებს. ბოლოს იგი მუშაობდა „ნანებზე“, რამდენიმე ქვეყნის „ნანას“ მსგავსებაზე, მან გამომიგზავნა რამდენიმე „ნანას“ სანოტო ჩანაწერი, მათ შორის იყო ესპანური „ნანა“, რომელიც მართლა პგაუდა ქართულს. ქალბატონი ელენე მწერდა თავის მოსაზრებას ამის შესახებ.

მე გამახსენდა ჩვენი პირველი გასტროლი ბელგიაში 1973 წელს. მაშინ ახალგამოსული იყო გახმაურებული ფილმი „დოქტორ ჟივაგო“ ომარ შერიფის მონაწილეობით. ეს იყო ბორის პასტერნაკის შესანიშნავი რომანის პირველი ეკრანიზაცია. ჩვენ მოსკოვში კატეგორიულად გაგვაფრთხილეს, რომ ვინც ამ ფილმს ნახავდა ბელგიაში, მას შემდგომში უცხოეთში აღარ გაუშვებდნენ.

კინოთეატრი, სადაც ეს ფილმი გადიოდა, ზუსტად ჩვენი სასტუმროს გვერდით იყო. ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ბატონი გივი მაისურაძე. შესანიშნავი პიროვნება, დიდი პატრიოტი, ფრანგული ენის კარგი მცოდნე. უშიშროების კომიტეტიდან გვახლდა ბატონი გივი სეხნიაშვილი.

ჩვენ ყოველდღე ვუყურებდით „დოქტორ ჟივაგოს“ რეკლამებს. ერთ დღეს ბატონმა გივი სეხნიაშვილმა მითხრა – წაიყვანე რამდენიმე კაცი და ნახეთ ეს ფილმი, მაგრამ მე ვითომ ამის შესახებ არაფერი ვიცი. წავედით მე, ჰამლეტ გონაშვილი, რეზო ჭოხონელიძე და ომარ კელაპტრიშვილი. ფილმმა მართლა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, მაგრამ არაფისთვის გვითქვამს.

რომანი „დოქტორ ჟივაგო“ უცხოეთის რომელიღაც ქვეყანამ წარადგინა ნობელის პრემიაზე. ეს იყო ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში. ეს პრემია პასტერნაკმა მიიღო, მაგრამ იგი აიძულეს, რომ პრემიაზე უარი ეთქვა. შემდეგ გაგრძელდა პასტერნაკის მიმართ რეპრესიები, რომელიც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

მოგვიანებით, როცა ხრუშჩოვი გადააყენეს, იგი მოსკოვთან ახლოს აგარაკზე ცხოვრობდა. მას დაცვა მიუჩინეს, რომელსაც პრაქტიკულად შინაპატიმრობაში აყავდა ყოფილი სახელმწიფოს მეთაური.

ხრუშჩოვი აღარ იყო ცოცხალი როცა, მე მოსკოვში ერთ სუფრასთან შევხვდი მისი პირადი დაცვის ყოფილ წევრს. მან გვითხრა, რომ თურმე ხრუშჩოვი ბოლო პერიოდში ბევრს ლაპარაკობდა თავის შეცდომებზე, მათ შორის იყო რეპრესიები გამოჩენილი პიროვნებების მიმართ: — „მაგალითად, ავიღოთ ბორის პასტერნაკი, იგი რეპრესირებულ იქნა და მალე დაიღუპა, მე ახლახან წავიკითხე „დოქტორი ჟივაგო“, იქ არაფერია ისეთი ანტისაბჭოთა, რომ ამისთვის კაცი დაგეღუპა“, – უთქვამს ნიკიტა ხრუშჩოვს. ჩანს პასტერნაკი ისე აწამეს, რომ სახელმწიფოს მეთაურს მისი ნაწარმოები წაკითხულიც კი არ ჰქონდა.

ბრიუსელში ჩვენ სასტუმროსთან ახლოს ვიწრო ქუჩა გადიოდა, რომელზედაც განლაგებული იყო „ბორდელები“, ჩვენ იმ ქუჩაზე გაელაც კი გვეკრძალებოდა. ჩვენი შესანიშნავი მომღერალი გაიოზ არაბაშვილი ერთ საღამოს გაიპარა სასტუმროდან და იმ ქუჩაზე გაიარა. თურმე ქალები ეპატიჟებოდნენ მათთან შესულიყო, მაგრამ გაიოზმა ყველას უარი უთხრა (საბჭოთა მორალიდან გამომდინარე), ქალები დაინტერესდნენ, რომელი ქვეყნიდან იყო ეს ხუჭუჭთმიანი შავგვრემანი ახალგაზრდა, რომელსაც არც ერთი ქალი „არ მოეწონა“ „არაბ, არაბ“ დაუძახიათ აქეთ-იქიდან. გაიოზმა ამის შესახებ ჩუმად უამბო ანსამბლის წევრებს. ომარ კელაპტრიშვილს მეტი რა უნდოდა, მაშინვე ექსპრომტი დაუწერა:

„შენ, გაიოზა არაბაშვილო,
გატაცებული რომ ხარ ინტიმით,
ჩვენი ანსამბლის მარცხენა ფრთაც და
ტაშის მომგერელო „მესხის ფინტივით“.
უცხო ქალებმა ვერ შეგაცდინეს,
კინაღამ თოკით დაგაბიაო,
ქართველობასაც გედაეებიან,
ასე ამბობენ „არ აბიაო“

ამჯერად ჩვენი მეორე კონცერტი ბრიუსელის „სამეფო ცირკში“ 18 თებერვალს გაიმართა. უამრავი ხალხი დაგვესწრო, მათ შორის იქაური ქართველებიც. ანტრეპრენიდან ჩამოიძახეს ქართველი ებრაელები, ერთ-ერთი მათგანი იყო ისააკ ნანიკაშვილი, რომელმაც კონცერტის შემდეგ დაგვპატიჟა რესტორანში. ნანიკაშვილი მახარაძიდან ყოფილა. მან გვახოვა დიდი მოკითხვები გადაგვეცა მისი მეგობრების თამაზ სალუქვაძისა და გური გოლიაძისათვის.

ბელგიის პრესამ მაღალი შეფასება მისცა „რუსთავის“ კონცერტს.

ბელგია. ბრიუსელი. გაზეთი „და ლიბრ ბელჟიკი“ 1981. 18 თებერვალი.

საქართველოს სიმღერები და ცეკვები.

„საბჭოთა ანსამბლი საქართველოდან გამოდის ბრიუსელის სამეფო ცირკში ხუთშაბათამდე. იშვიათად განგვიცდია მსგავს ფოლკლორულ საცეკვაო ანსამბლების კონცერტებზე ისეთი ცხოველმყოფელი ჭეშმარიტება, რომლითაც ჭაბუკები და ქალიშვილები მსჭვალავენ თავიანთი უძველესი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან სიმღერებსა და ცეკვებს. მოყოლებული „მთიულური სიუიტიდანვე“, რომლითაც გაიხსნა პროგრამა, ჩვენს თვალწინ წარმოსდგნენ არტისტები, რომლებიც ჩინებულად, სპორტული გაწაფულობით „თამაშობენ“ ხანჯლებით. პირველი განყოფილება მთავრდება ცეკვა „ფარიკაობით“, რომლის შესრულების დროს ხმლებს ნაპერწკლები სცვივა. გურიის უძველეს მეომრულ ცეკვა „ხორუმში“ გამოსჭვივის წარმოუდგენელი გულადობა, გზნება. სიძლიერისა და სიმსუბუქის გასაოცარ შეგრძნებას ქმნის ფეხთა მოძრაობა სხვადასხვა – სწრაფ და ნელ რიტმებში; ლითონისებური კუნთებითა

და წარმოუდგენელი ვირტუოზობით ისინი „ილიადას“ გმირებს მოგვაგონებენ. ამ თაებრუდამხვევი ცეკვის მონაწილენი რიგრიგობით გამოეყოფიან ენებიანი მგზნებარებით აღსავსე მწკრივებს და სხარტად, დახვეწილად ასრულებენ პირუეტებს, ტრიალებს მუხლებზე დაცემით, დაფრინავენ ნახტომებში, ელვისებურად ბზრიალებენ, ვით დაცვენილი ფოთლები კავკასიონის ხეობებში.

ეს არის მამაკაცური გულადობის მშვენიერი გამოვლინება გამოხატული არა მარტო ცეკვებში, არამედ მრავალხმიან სიმღერებში, რომლებსაც ვაჟთა გუნდი არაჩვეულებრივად ასრულებს. შესანიშნავია იმერული „ნანა“, პირქუში სამონადირეო სიმღერა, სვედიან-ლირიკული, ამაღლებული პატრიოტული და შრომის სიმღერები, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ შუა საუკუნეების საქართველო არ ჩამოუვარდებოდა ბიზანტიას.

კიდევ ერთი ელემენტი: სილამაზით მბრწყინავი ქალთა ჯგუფი მშვიდი, მაგრამ ამაყი კდემამოსილებით უერთდება ვაჟებს. ლირიკულ ცეკვა „სიმდში“ შავჩოხოსანი, შაე წაღებსა და ბოხოხებში შემოსილი ვაჟები და თეთრ კაბებსა და მაღალ თეთრ თავსაბურავებში გამოწყობილი ქალები უნებურად XIV საუკუნის უფლისწულებსა და დედოფლებს მოგვაგონებენ.

შეუძლებელია არ აღფრთოვანდე მაღალი კულტურის ტრადიციებით, რომლებსაც ასე სათუთად უფრთხილდებიან საქართველოში. შეუძლებელია აღტაცების გარეშე უყურო და უსმინო ამ შესანიშნავ „ანსამბლს!“ და აპლოდისმენტებით არ დააჯილდოო მსახიობები, წაღებით ცერებზე რომ ცეკვავენ“

ბელგია. ბრიუსელი. გაზეთი „ლა დერნიერი“ 1981, 18 თებერვალი.

საქართველოს ცეკვები

„ყოველთვის არსებობს შანსი კარგად გაატარო საღამო ხალხური ანსამბლის კონცერტზე, მეტადრე, თუ მას უძველესი ტრადიციები აქვს. ყოველივე ეს სავსებით ეხება ანსამბლ „რუსთავს“ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად მაყურებელი სრულად იქნება მონადირებული. იგი იხილავს ანსამბლის ხელმძღვანელის ანზორ ერქომაიშვილის მცოდნე ხელით ოსტატურად შედგენილ მრავალფეროვან პროგრამას. სცენაზე გამოდის რვა გამოყვანილი ტანის ქალიშვილი, პოხდუნილნი და ელეგანტურები, და ამდენივე ათლეტური აღნაგობის ვაჟი, რომლებიც მათ ირგვლივ წრეს არტყამენ. მათი ჭაბუკური აღგზნება თანდათან მატულობს და ისინი ლომისებურ ნახტომებს აკეთებენ. ცნობილია რუს მოცეკვაეთა სახელგანთქმული ნახტომები და მათი ფეხების „რეზინისებური“ მოქნილობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს ნახტომიდან უმტკივნეულოდ ეცემოდნენ მუხლებზე. მაგრამ ქართველებმა ამას გარკვეული სიმამაცეც შეამატეს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მოცეკვაეები ატარებენ რბილი ტყავის ჩექმებს და ცეკვაენ ცერებზე. აცვიათ კაზაკების (?) ტანსაცმელი. ახალგაზრდა ქალიშვილები გრძელ კაბებში გეომეტრიულად ისეთ ზუსტ მოძრაობებს აკეთებენ, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დასრიალებენ იატაკზე: ფეხები არ ჩანს, ტანი კი თითქოს უძრავია. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს ცეკვა მანდილებით: ხელებისა და თითების წრიული მოძრაობები დახვეწილი და ელეგანტურია. განსაკუთრებით შთამბეჭდავია საბრძოლო ცეკვები ხანჯლებითა და ხმლებით, რომელთა დარტყმებისაგან ნახევრად წყვდიადში ნაპერწკლები ცვივა. ჭაბუკები და ქალიშვილები ასრულებენ პატარა სცენა „ქორწილს“. რიგში ჩამწკრივებულნი, ისინი მოქნილი საცეკვაო ტრიალებით ენაცვლებიან ერთმანეთს. შემდეგ ჯგუფი წყვილებად იყოფა და თითოეული მათგანი იქცევა მოძრავი ჯაჭვის რგოლად. მთელი ჯგუფი კი წარმოადგენს ეფექტური მონოლითურობის ნი-

მუშებს. ცეკვებს შორის სცენაზე გამოდის საკრავიერო ტრიო ორი ბალალაიკა, ხონგურ-ფანდურა და ფლეიტა, სალამურა, რომელიც ასრულებს პატრიოტულ სიმღერებს და მაინც არ არის არანაირი საიმარა ან საბრძოლო მოწოდება. ეს უფრო მელანქოლიური ჰიმნებია, და ოცნებებით ნასაზრდოები. რა საუცხოო და ფაქიზი ხმებია! შეიძლება თქვას, რომ აქაც არის ქველაფერი ის, რაზედაც არის დაფუძნებული საბჭოთა რესპუბლიკების სხვა ანსამბლების გამოსვლები თუნდაც ეს ანსამბლი კეთილშობილური სასადაგესა და ბუნებრიობას ასხივებს“



საკონცერტო დარბაზს „ოლიმპიის“ წინ, პარიზი, 1981 წ

ბელგია. ბრიუსელი გახსნილი „ლა სიტე“ 1981, 19 თებერვალი.

საქართველოს სიმღერები და ცეკვები

„არაფერი მგავსერთიმეორეს უყურო, ვიდრე ერთი რუსული ცეკვის ანსამბლი ქართველ. საბჭოთა ანსამბლი საქართველოდან „რუსთაველ“ უარეყოფს ამ მტკიცებას. სპექტაკლი, რომელსაც იგი გვთავაზობს ამ საღამოს სამყაო ცირკში არაძც და არამც არ ტოვებს „უკვე ნანახის“ შთაბეჭდილებას. ეს, ძირითადად, მამაკაცთა ანსამბლია. მერე როგორ მამაკაცთა! მაგარი ბიჭები, რომლებიც ყოველთვის შზად არიან შებრძოლებისთვის... მაგრამ ამას ისინი ძოხდენილად (ლაზათიანად, ზნიანად) აკეთებენ. ნაპერწკლები, რომლებიც ხმლების შემოკვრისას ცვივა, იმაზე მეტყველებს, რომ ეს სულაც არ არის ხის სათამაშოები! რაც შეეხება მუსიკას (ძირითადად საგუნდო მუსიკას) ის საუცხოოა. ზოგი შესაძლოა წამიერად განაცვიფრის ქართული სიმღერების პოლიფონიურობამ, მაგრამ ჩვენი დასაწყისი ყურები სწრაფად აწყვებენ მას აღქმას. უნდა აღინიშნოს კიდევ ჩინებული გამოსვლა საკრავიერო ტრიოსი. მის შემადგენლობაში არის უჩვეულო მუსიკოსი, რომელიც ერთდროულად უკრავს ორ სალამურზე. როგორც ჩვენში ამბობენ ხოლმე, ეს უნდა შეგეძლოს! აი წარმოდგენა, რომლის შემდეგ რჩება კეთილშობილებისა და სიხუფთავის შეგრძნება: სიმღერებსა და ცეკვებში არის შებრძოლი, ამაღლებული სული. და ეს მშვენიერია!“

ბრიუსელში ბატონი ილია ჯაბადარი ავად გახდა. იგი მძიმე გასტროლის განსაცდელობაში არ მოგვშორებია, სულ ჩვენთან იყო, ჩვენთან ერთად მგზაურობდა, გვეფიქრებოდა, გვამღერებდა, ძველ ამბებს გეიყვებოდა.

ბატონი ილიას მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. იგი პარიზის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

20 თებერვალს პარიზში გავემგზავრეთ, დაებინაედით ჩვენს ძველ სასტუმროში. მეორე დღეს დილით რეპეტიცია.ჩავატარეთ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ დარბაზ „ოლიმპიაში“ სადაც ჩვენი ორი კონცერტი იყო დაგეგმილი. „ოლიმპიის“ თეატრი ძველი შენობაა 2500 კაციანი დარბაზით. სცენა დარბაზთან შედარებით პატარაა, იგი აშკარად რეკონსტრუქციას მოითხოვს. რეჟი ჭეიხონელიძეს ცეკვების გადაკეთება მოუხდა, რომ სცენას კარგად მოერგებოდეთ. რეპეტიცია გვიანამდე გაგრძელდა. საღამოს დარბაზი ხალხით გაიცსო. ჩვენი კონცერტი უცილობა წარმატებით ჩატარდა. ხალხი ფეხებს აბრაგუნებდა და „ბრავოს“ გაძახოდა. ტაშს ბოლო არ უჩანდა. ფარდა რამდენჯერმე აიწია. ფინალი სამჯერ გავიმეორეთ.

კონცერტს დაესწრო საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში და საელჩოს სხვა წარმომადგენლები. ჩვენ გაეიმარჯვეთ, მითხრა რეჟი ჭეიხონელიძემ.

კონცერტის შემდეგ საბჭოთა საელჩოში მიგვიწვიეს. აქ ვნახე ხელი ძველი მეგობარი, ბატონი გოჩა ჩოგოვაძე. ელჩი გულთბილად მოგვესალმა. შემდეგ გაიხარია ვახშამი. პარიზიდან გაზეთ „იზვესტიაში“ გადაიცა ასეთი წერილი.

„პარიზის სახელგანთქმულ დარბაზ „ოლიმპიაში“ გამართულმა ორმა ტრიუმფალურმა კონცერტმა დააგვირგვინა ქართული ფოლკლორული ანსამბლ „რუსთაველის გასტროლები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.



ცეკვა „ქართული“, იავზე ჭოლაბერიძე და შორიდან სულაბერიძე



ციკლი „კინტაურო“. სოლისტი შოთლის სულაბერიძე

ამ შესანიშნავმა კოლექტივმა (ხელმძღვანელი საქართველოს სახალხო არტისტი აკრსიმაძე) საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, ლუქსემბურგის ათობითასობით მსმენელს გააცნო თვითმყოფადი ქართული ხალხური შემოქმედება. ხელოვნების ოსტატები საბჭოთა კავშირიდან ყველგან გამოდიოდნენ გადაჭედილ დარბაზებში და მსუბუქად აპლოდისმენტებს იმსახურებდნენ. ბევრ ნოტერს რამდენჯერმე ამეორებინებდნენ. ქართულ ანსამბლს ქალაქ რეიმსის გახეთმა „იუნონმა“ ხალხთა შორის „მშვიდობისა და შეგობრობის დესპანი“ უწოდა“ „იზვესტია“ სსრ კავშირი. 8.03.1981წ.

კონცერტის მეორე დღეს მე და ჩვენი მშვენიერი მოცეკვავე სოლისტი, მარინა ჯალაღანია, რომელიც კარგად ლაპარაკობს ფრანგულად, კოკანასმა საავადმყოფოში წაგვიყვანა ილია ჯაბადარის სანახავად. ბატონი ილია ცუდად დაგვხვდა, იგი რაღაც აპარატზე იყო მიერთებული. ცოლმა გვითხრა, რომ მდგომარეობა ძალიან მძიმეა, მას ფილტვების ანთება აქვსო. თურმე ბატონი ილია ფილტვების ანთებით დაჰქვებოდა „რუსთაველ“ რამდენიმე კვირის განმავლობაში.

იგი ძალიან დასუსტებული იყო. მიუხედავად ამისა, ილიამ გაგვიღიმა და მასთან ახლოს დაგვსვა. იგი დაინტერესდა, როგორ მიდიოდა გასტროლი, რაიმე პრობლემა ხომ არ შეგვექმნა, მერე ანსამბლის წევრები მოიკითხა და გვითხრა, თუ ცოცხალი დავრჩი, 1983 წელს ისევ წამოგიყვანთ საფრანგეთში, კოკანასს უკვე დავაველე ამაზე იმუშაოს, ჩვენი ანსამბლი ყველას მოსწონს და რახან ახლა „ოლიმპიაში“ კარგად გამოხვედით, საქმე აუცილებლად გამოვაო“ – ბატონი ილია მისუსტებული ხმით ლაპარაკობდა, თან ხელებზე გვეფერებოდა. მე განმაცვიფრა იმან, რომ მას

მაგნიტოფონი პქონდა ჩართული და ჩვენს „ზამთარიოს“ ისმენდა, — დღედაღამ თქვენს ჩანაწერებს უსმენსო, — გვითხრა მისმა მეუღლემ. ჩვენ დაეემშვიდობეთ ბატონ ილიას და დამძიმებული გულით გამოვედით საავადმყოფოდან.

მოხდა სასწაული, ექიმებმა უშველეს ბატონ ილიას. იგი ერთი თვის შემდეგ გამოჯანმრთელდა და საავადმყოფოდან გამოვიდა.

23 თებერვალს მოცეკვაეები გავაცილეთ მოსკოვში. მომღერლები დარჩნენ, რადგან მათ ოთარ იოსელიანის თაოსნობით კონცერტი პქონდათ პარიზის რადიოში. კონცერტმა წარმატებით ჩაიარა, ვიმღერეთ 27 სიმღერა, რომელიც პარიზის რადიომ ჩაიწერა. ეს კონცერტი პირდაპირი ეთერით გადაიცა მთელ საფრანგეთში.

რადიოს წარმომადგენლებმა გვთხოვეს, ერთი კონცერტი კიდევ გაგვემართა რადიოს თანამშრომლებისათვის. ტელევიზიამ სურვილი გამოთქვა, გადაიღოს ჩვენი კონცერტი.

პარიზის მუსიკალური ფესტივალის დირექტორმა მოგვიწვია მომავალ წელს თავის ფესტივალზე.

მოგვყავს კიდევ რამდენიმე ამონაწერი გაზეთებიდან.

გაზ. „ვეჩერნი ტბილისის“ სპეციალური კორესპონდენტი პარიზიდან. 1981.

„რუსთაველი“ ევროპას იპყრობს“

პარიზი. „უპრეცედენტო ტრიუმფი“, „სრულყოფილების მწვერვალი“, „გაბრაგნებელი, დაუვიწყარი სპექტაკლი“, - ასეთი კომენტარები გაუკეთა ადგილობრივმა პრესამ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთაველის“ ტურნეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში – საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიასა და ლუქსემბურგში.

გასტროლები დასრულდა პარიზის დარბაზ „ოლიმპიაში“, სადაც ანსამბლმა გამართა ორი კონცერტი. ძნელია, სიტყვებით გადმოიცეს მათ მიერ იქ მიღწეული წარმატება. პარიზში დღემდე განაგრძობენ აღფრთოვანებით საუბარს ამ კონცერტების შესახებ“

საფრანგეთი. 1981. გაზ. „პრესს-ოკეანი“

„რუსთაველის“ გამოსვლა საფრანგეთში საქართველოს ისტორიისა და ქართველი ხალხის ცხოვრების ყველაზე შესანიშნავი ილუსტრაციაა. მისი სიმღერების, მუსიკისა და ცეკვების სიმდიდრე უბრალოდ განსაცვიფრებელია. პუბლიკა აღფრთოვანებული და დატყვევებულია შესანიშნავი დასით“

ასე დამთავრდა ჩვენი საგასტროლო ტურნე საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიასა და ლუქსემბურგში 1981 წელს. მოვიარეთ ამ ქვეყნების მრავალი ქალაქი, 38 დღეში ჩავატარეთ 32 კონცერტი. კონცერტები მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარდა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. პრესამ უმაღლესი შეფასება მისცა „რუსთაველის“ გამოსვლებს, გვქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრები მუსიკოსებთან და ხელოვნების სხვა მოღვაწეებთან.

25 თებერვალს დავბრუნდით სამშობლოში.

* * *

1982 წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ „რუსთაველის“ მომღერლები ისევ მიავლინა საფრანგეთში, ამჯერად სუხიშვილების ანსამბლთან ერთად. მოგეხსენებათ, ეს ანსამბლი დიდი ტრადიციების მქონე ანსამბლია, რომელმაც პირველად გაკაფა გზა უცხოეთისკენ და საქართველოს უდიდესი სახელი და პოპულარობა მოუ-

ტანა. მისი ხელმძღვანელობის ნინო რამიშვილისა და ალიკო სუხიშვილის სახელობა ოქრის medal-ებით შეივსო ქართული კულტურის ისტორიაში.



საშრობელში, 1983 წ

ამ ანსამბლთან ერთად ჩვენმა მომღერლებმა საფრანგეთში ერთი თვე გაატარეს. ჩვენ მოვწიე ვიყოთ იმ დღის წარმატებისა, რომელიც ამ ანსამბლს ხვდა წილად. იმ პერიოდში ანსამბლი დაკომპლექტებული იყო ასეთი შესანიშნავი მღეროებით, როგორიც არიან თენგიზ სუხიშვილი, ომარ მხეიძე, ჯუმბერ ბერაძე, ომარ ხურცილაძე, ჯემალ ნაცარიშვილი, ანგა თევზაძე, მანანა აბაშიძე, გულიკო სიხარულიძე და სხვები. მათი საშემსრულებლო ხელოვნება ანსამბლის დიდი წარმატების გარანტი იყო. არანაკლებ დაძაბულებულია ქალბატონ ნინო რამიშვილის დამოკიდებულება ჩვენი ანსამბლის მიმართ. იგი ჩვენს ყველა გამოსვლას ადევნებდა თვალყურს კულისებიდან და ძალზე ანსამბლთან ერთად ხარობდა ჩვენი წარმატებით. პირადად ჩემს მიმართ დედაშვილური დამოკიდებულება აქვთ. ამას ყოველთვის ვგრძნობდი. რაც შეეხება მის პროფესიონალიზმს, ამაზე ლეგენდები დადის საქართველოში.

ერთ დღეს კონცერტი არ გვქონდა და ფრანგებმა ექსკურსიაზე წაგვიყვანეს. ექსკურსიის შესვლა ერთ დიდ დარბაზში შესანიშნავი ვახშამი გაგვიმართეს. ეს სადაც ტრადიციული ქართული სუფრის და მასთან დაკავშირებული ცეკვის და სიმღერის ზეიმად იქცა. მღეროდა „რუსთავი“. ცეკვავდნენ სუხიშვილები და ეს ყველაფერი ძალზედ მომხიბლველი იყო. რომ ფრანგები განცვიფრებულები უყურებდნენ ამ იშვიათ სანახაობას. მე ქალბატონი ნინოს გვერდით ვიჯექი. როცა ქეიფი ქეიფში შეიქცა, ომარ მხეიძე გადაეცა სუფრას და მისთვის დამახასიათებელი, განუმეორებელი ილეთებითა და კაკაცური სულისკვეთებით ყველა განაცვიფრა, მერე საცეკვაოდ გამოიწვია ულამაზესი გოგონები, რომლებიც ფერიებივით დასრიალებდნენ, უცბად ომარი ჩვენკენ წამოვიდა და ქალბატონი ნინო გაიწვია. — რაღა დროს ჩემი ცეკვაა—“ მითხრა ქალბატონმა ნინომ, მაგრამ ომარი და მასთან ერთად სხვა მოცეკვავე გოგო-ბიჭები სთხოვდნენ ნინო რამიშვილს, რომ მათთან ერთად ეცეკვა. ქალბატონმა ნინომ ქოშები გაიხადა, სუფრას გადაეცალა და საცეკვაო მოედანზე „გაფრინდა“ ისე, რომ ახალგაზრდები ვერაფერს ეწეოდნენ. იგი ცეკვავდა ფეხშიშველი, თავაწეული, წელგამართული. ცეკვავდა თავდავიწყებით და ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ, რომ ცეკვაც ნამდვილი ხელოვნებაა. ახალგაზრდები გაოგნებულები მისჩერებოდნენ ამ მართლაც ცეკვის დიდოსტატს. ახალგაზრდებმა სიყვარულით გამოხატეს მის მიმართ უდიდესი პატივისცემა.

ქალბატონი ნინო სუფრას დაუბრუნდა და ჩემს გვერდით დაჯდა. მე დამუნჯებული ვიყავი, ასეთი რამ ვერც წარმომედგინა, მერე ჩემი აზრი გამოვხატე, — „ქა-

მითხრა ქალბატონმა ნინომ, ხომ გაგიგონია ძველი ანდაზა: ვისაც ახალგაზრდობაში არ უნახივარ, ღმერთმა ჩემი თავი ნურც სიბერეში ანახოსო“, და მე წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდნენ სცენაზე ახალგაზრდა ნინო და ილიკო სუხიშვილები. სამწუხაროდ, ბატონი ილიკო იმ დროს აკადმყოფობდა და გასტროლზე ვერ წამოვიდა.

საფრანგეთში გასტროლის დროს ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ლიონიდან ანსამბლი პარიზში მიემგზავრებოდა, სადაც „ფლეიერის თეატრში“ დანიშნული იყო ჩვენი კონცერტი. გრძელი გზა გვქონდა გასაველი და ანსამბლის წევრებს ავტობუსში ეძინათ. თენგიზ სუხიშვილი, რომელიც შესანიშნავად ლაპარაკობდა ფრანგულად, მძღოლის გვერდით იჯდა და პარიზის საინფორმაციო გამოშვებას უსმენდა.

უცბად თენგიზმა შეყვირა, — მოსკოვში რაღაცა ხდება, საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემენ, რომ მოსკოვში ვიღაც დიდი ჩინოსანია დაღუპულიო, მაგრამ ვინაობას არ აცხადებენ, რადიოში გადაცემები შეწყვეტილია და მხოლოდ სამგლოვიარო მუსიკა ისმისო.

მთელი ავტობუსი გამოცოცხლდა, ყველას აინტერესებდა, თუ რა მოხდა მოსკოვში. საფრანგეთის საინფორმაციო საშუალებები არ ფლობდნენ ინფორმაციას მოსკოვში მომხდარი ამბის შესახებ, მხოლოდ 13 საათზე, იაპონიის სააგენტოზე დაყრდნობით, გამოაცხადეს, რომ მგონი ლეონიდ ბრეჟნევი უნდა იყოს გარდაცვლილიო.

პარიზში ეს ცნობა დადასტურდა, ჩვენ სსრ კავშირის საელჩოში მიგვიყვანეს, სადაც ბრეჟნევის დიდი სურათი ეკიდა შავებში ჩასმული, ელჩი სამძიმარს იღებდა.

იქ გვითხრეს, რომ საღამოს „ფლეიერის თეატრში“ კონცერტის ჩაშლა არ შეიძლება, ვინაიდან ყველა ბილეთი გაყიდულია, მაგრამ საზეიმო კონცერტის მიცემაც არ შეიძლებაო, ამიტომ შემოგვთავაზეს მარტო მომღერლებს ჩაეტარებინათ კონცერტი, თანაც მხოლოდ საგალობლები და სამგლოვიარო სიმღერები შეესრულებინათ. უკან შავი ფარდა იყო ჩამოშვებული, რომელზედაც ბრეჟნევის უზარმაზარი სურათი ეკიდა.

საღამო გახსნა საბჭოთა კავშირის ელჩმა, რომელმაც ისაუბრა ბრეჟნევის როლზე მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. მერე სცენაზე გამოვიდნენ ჩვენი მომღერლები და კონცერტი „სვანური ზარით“ გახსნეს, შემდეგ საგალობლები შეასრულეს. ტაში არ შეიძლებოდა, ამიტომ საათნაზევარი რუსთაველ მღეროდა მისთვის უჩვეულო სიტუაციაში. ბოლოს კონცერტი „კვირიათი“ დავამთავრეთ, აქ მაყურებელმა თავი ვეღარ შეიკავა და ოვაცია გაუმართა „მგლოვიარე“ „რუსთაველს“ წევრებს.

იმ საღამოს პარიზის ტელევიზიამ სპეციალური გადაცემა მიუძღვნა ლეონიდ ბრეჟნევს. კადრში პირველად გამოჩნდა ბრეჟნევის მკერდი, რომელიც გავსებული იყო ორდენებით. წამყვანმა იკითხა – რისთვის მიიღო საბჭოთა კავშირის მეთაურმა ამდენი ჯილდო? მერე აჩვენეს ჩეხოსლოვაკიის 1968 წლის ანექსია, ავღანეთის ომი, დაჩაჩანაკებული საბჭოთა ქალები, რომლებიც ასფალტს აგებდნენ მოსკოვში, აჩვენეს ღარიბები, დანგრეული ეკონომიკა. მართლაც შემზარავი კადრები იყო.

ბოლოს წამყვანმა გადაცემა ასე დაამთავრა, — ალბათ ყოველივე ამისთვის დაჯილდოვდა ბრეჟნევი ამდენი ორდენითო.

რამდენიმე დღის შემდეგ მთელმა მსოფლიომ იხილა მისი დასაფლავების ცერემონიალი, ყველამ დაინახა, როგორ გაუვარდათ მესაფლავეებს კუბო ხელიდან და ბრაგვანით ჩავარდა საფლავში. ამ ფაქტს საინფორმაციო საშუალებები ხშირად აშუქებდნენ სათანადო კომენტარებით.

* * *

1983 წელს, დაბადების, მივწვეთ 15 თებერვალს ისევ გაეემგზავრეთ საფრანგეთში. აეროპორტში მარტო ჟილბერტ კოკანაი დაგვხვდა. იანვარში ბატონი ილია ისევ ცუდად შეიქნა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა უიმედობა გამოუქვეს. იგი ძალიან დასუსტებული იყო და პრაქტიკულად ხანგრძლივ აპარატზე იყო მიერთებული. სამი-ოთხი კვირა კიდევ მაცილეს. მერე „ჩვენ ბიჭები“ წამოეწვნენ და ალარაფერი გამჭირდებაო, უთქვამს ბატონ ილიას ექიმებისათვის. ვერ აცილეს. იანვრის ბოლოს იგი გარდაიცვალა. ჩვენ მის მეუღლესთან, ექტორ ხომერიკთან და კოკანასთან ერთად სასაფლაოზე წავედით. ბატონი ილიას საფლავს ქართული მიწა მოეყარეთ და „ქანძარაულო“ ეაკურეთ, მერე რამდენიმე საგალობელი ვუგალობეთ, მისი საყვარელი „ჩამიარეთ“ კუძღერეთ და გამოვეთხოვეთ. ჩვენ რთული გასტროლი გველოდა, ხუმრობა ხომ არ არის, მარტო პარიზის „ოლიმპიაში“ 12 კონცერტი იყო დაგეგმილი. ორი კვირა პარიზში უნდა ვეოფილიყავით.



ცისკვა „ბაბაოული სუიტა“. სოლისტი ციური სულაბერიძე

ჩვენი პირველი კონცერტი 17 თებერვალს ქ. ლუკსტრაში გაიმართა. პროგრამა გადავახალისეთ და ძველი ეურადღება გავამახვილეთ „ოლიმპიას“ მაყურებელზე. სხვა ქალაქებში გამოეცადეთ ოგიეც პროგრამა და, უნდა გითხრათ, რომ მას ყველგან დიდი წარმატება ხვდა.

აი, რას წერდა გაზეთი „კორიერე დე ლუკსტრა“ 18 თებერვალს, 1983წ.

„საბჭოთა საქართველოს ფოლკლორული ანსამბლის კონცერტმა ოთხშაბათს პოლიეალანსის თეატრში 1300 მაყურებელი მიიზიდა, მართლაც რომ იშვიათად მოდის ამდენი მაყურებელი რაიმე სპექტაკლის სანახაეად.

ამ სპექტაკლმა დიდის სიხარულითა და ბრწყინვალებით წარმოგვიდგინა საქართველოს რესპუბლიკის ხალხური სიმღერები და ცეკვები.

მათ სიმღერებსა და ცეკვებში პარმონიულად აირეკლება ქართველი ხალხის კულტურის სხვადასხვა თავისებურება. მომღერალთა ანსამბლი, რომელიც საოცარი სინაზითა და ხანდახან ძალზე მძლავრად და შემართებით ასრულებდა შრომის,

სამკურნალო, ლირიკულ ხალხურ სიმღერებს, გასაოცარი ვოკალური მონაცემებით, მართლაცდა ვირტუოზულია. საოცარია ქორეოგრაფია. ყველა ცეკვას თავისი დაუვიწყარი მადლიანი ელფერი დაჰკრავს, მაგრამ მაინც გვსურს გამოვყოთ ძველი საბრძოლო ცეკვა, ლირიკული ცეკვა „სიმდი“, საქორწილო ცეკვა და არაჩვეულებრივი ფრესკების ცეკვა „სამაია“.

ეს სპექტაკლი იყო მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების ტრიუმფი. ხალხმა თავისი თავი არ დაზოგა და მთელი კონცერტის მსელელობის პერიოდში მხურვალე ტაშით აჯილდოვებდა მოცეკვავეთა და მომღერალთა ჯგუფის საუკეთესო ხელოვნებას“.

ჩვენ განვაგრძობდით მოგზაურობას საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში. მაკონში ჩვენთან ჩამოვიდნენ ვიქტორ ხომერიკი და ვალიკო წილოსანი. მათ გვითხრეს, რომ პარიზის ქართველებში დიდი აჟიოტაჟია ატეხილი „ოლიმპიაში“ თქვენს გამოსვლასთან დაკავშირებითო, მერე ისინი ჩვენს კონცერტს დაესწრნენ და კმაყოფილება გამოთქვეს, - ვფიქრობთ, განებივრებულ პარიზელ მაყურებელს თქვენი კონცერტი მოეწონებაო.

მეორე დღეს ვიქტორ ხომერიკმა გაზეთი მოგვიტანა.

„ლე ჟურნალ დე საონ ე ლუარი“. მაკონი.

„რუსთავი“, საქართველოს სიმღერები და ცეკვები.

„შავად ჩაცმულმა მხედრების ჯგუფმა გასაოცარი სისწრაფით, თითქოსდა გაჭენებული ცხენებით, გადაკვეთა ჩვენი სცენის ღრმა სივრცე; ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც თეთრად სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულნი, საოცარ სანახაობას ქმნიდნენ, და ასევე პატარა მუსიკოსების პატარა ორკესტრი, რომელიც სიცოცხლეს ანიჭებდა „პლას დე ვილაჟის“ სცენას. არა, მეგობრებო, ეს ფილმი არ გახლდათ, ეს ჩვენი წარუშლელი შთაბეჭდილების მიზეზია, რომელიც რუსთავის ცეკვისა და სიმღერის საუცხოო ანსამბლმა დაგვიტოვა ოთხშაბათ საღამოს.

ეს საუცხოო ანსამბლია, სადაც გასაოცარი უნარით არის შეხამებული სიმღერა, მუსიკოსების ოსტატობა, კოსტიუმების სილამაზე და მოცეკვავე ქალებისა და ვაჟების ვირტუოზული ოსტატობა. ეს იყო მართლაცდა დაუვიწყარი საღამო და სწორედ ამის გამო მან ძალზე მაღალი შეფასება მიიღო. ამ ანსამბლის პროფესიონალიზმმა გააოცა სპეციალისტები.

ცეკვების მარაო ჩვენ წინაშე წარსდგა ჟანრის სახით (საქორწილო, პატრიოტული თუ ქალაქური), ასევე სხვადასხვა ეპოქის სახით (მებრძოლთა, ხელოსანთა ცეკვა). თუ ბიჭები მეტისმეტად მკვირცხლნი და ცოცხალნი ჩანდნენ სცენაზე, გოგონები საოცრად ნაზები, ქალურები და მომხიბვლელად გამოიყურებოდნენ. „რუსთავის“ მომღერალთა ჯგუფმა დიდი იუმორითა და საუკეთესო მანერით შეასრულა ჩვენი ცნობილი ფრანგული სიმღერა „მე ვამაყობ რომ ბურგუნდიელი ვარ“.

შემდეგ გამოვედით ქ. ოქსერში.

ქალაქ ოქსერის გაზეთი „შევალიერ დე ლა ტაბლე რონდე“.

„შესანიშნავი სპექტაკლი ვნახეთ ხუთშაბათს საღამოს ოქსერის მუნიციპალიტეტის თეატრში. საბჭოთა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა 50 მნიშვნელოვანი მომღერლისა და მოცეკვავის წყალობით ძალზე მაღალხარისხოვანი სპექტაკლი წარმოგვიდგინა“

სრულყოფილი კლასიკა

„ფოლკლორულ ანსამბლებს ყოველთვის ჰყავს თავისი მაყურებელი. ხუთშაბათს მოსულმა მრავალრიცხოვანმა ხალხმა თავისი დასწრებითა და აღფრთოვანებული

გრძნობის გამოხატვით დაამტკიცა საქართველოს ფოლკლორისადმი დიდი პატივისცემა და აღიარება.

ინტერესი სპექტაკლის მიმართ მთელი კონცერტის მსვლელობის განმავლობაში არ შენელებულა. ცეკვები დახვეწილი, მშვენიერი, ზოგჯერ თავბრუდამხვევი რიტმებით, მართლაც რომ განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. რაც შეეხება მომღერლებს, მათმა ორიგინალობამ და სრულყოფამ აღაფრთოვანა ყველა იქ მყოფი.

ხუთშაბათს ვინც კონცერტს დაესწრო, ძალზე კმაყოფილი და გახარებული დარჩა სპექტაკლით და განსაკუთრებით მაშინ, როცა კონცერტის დამთავრების შემდეგ ამ შესანიშნავმა მომღერალთა გუნდმა შეასრულა ფრანგული სიმღერა „ბურგუნდიელი მხიარული ახალგაზრდობა“.

მაყურებელი მოხიბლა ანსამბლმა „რუსთავმა“

„ამ დალოცვილ კონცერტზე ხალხი მართლაც ძალზე ბევრი მოვიდა და ძნელია გამოხატო ყველა იმ სიამოვნების გრძნობა, რაც ხალხმა განიცადა ამ ბრწყინვალე კონცერტის შემდეგ.

ორმოცდაათმა მომღერალმა და მოცეკვავემ თავისი განუმეორებელი სიმღერებითა და ცეკვებით მოგვითხრეს თავიანთი ქვეყნის ისტორია. მხოლოდ ცხრა ქალი ცეკვავდა, ცხრა მოცეკვავე ქალი, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ჩვენ მოეხიბლეთ თავისი გრაციითა და მშვენიერებით.

პატრიოტულ სიმღერებს, შრომის პიმნებს, ლირიკულ სიმღერებსა და საგალობლებს ცხრა კაცისაგან შემდგარი ეოკალური ჯგუფი ასრულებდა. სიმღერები თითქმის უაკომპანემენტოდ სრულდებოდა და საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა.

საქართველო განუწყვეტელ ომებს აწარმოებდა და თავს იცავდა მრავალი საუკუნის განმავლობაში უცხო მტრების შემოსევისაგან და ქართველ ხალხს რაინდული და პატრიოტული სულისკვეთება განუვითარდა, რაც ჩვენ ეიხილეთ თხელი აზიურის ჩექმებით ფეხებზე ამოჭიმული მოცეკვავე მამაკაცები მსოფლიოში ერთადერთნი არიან მამაკაცთა შორის, რომლებიც ფეხის წვერებზე ცეკვავენ და თითქმის ამგვარი ცეკვით სურთ გვაგრძნობინონ დაუოკებელი მამაკაცური ვნებისა და რაინდული სულისკვეთება. მათი ყოველი ილეთის კოორდინაცია ხარვეზების გარეშეა, რომელსაც საფუძვლად უდევს ძალზე ნაცადი, შემოწმებული დინამიზმი.

ასეთია ჩვენი მიღებული შთაბეჭდილება, რაც ვიგრძენით ქართველების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის მიმართ. არასდროს დაგვავიწყდება „ფრესკების“ ცეკვა, სამი ქალის მიერ შესრულებული, რომელთა ყოველ მიხვრა-მოხვრაში უმანკოება და სიწმინდე სჩანდა.

ქართული საქორწილო ცეკვა მართლაც რომ დამაგვირგვინებელი გახლდათ ამ სპექტაკლისა“.

ვალიკო წილოსანი რამდენიმე დღე დარჩა ჩვენთან, კონცერტის შემდეგ ავტობუსით ჩვენთან ერთად მგზავრობდა.

— „კაცო, — მითხრა ვალიკო წილოსანმა, — დღეს მიეკუციე ყურადღება, რომ თქვენ „ალიფაშას“ ტექსტს არასწორად მღერით, ჩემს ახალგაზრდობაში ეს სიმღერა ასე იწყებოდა:

„თათარი და რუსი ჩხუბობს, იგინია ორიე ეში,
ალიფაშამ გვიღალატა, ჩაგვიყვანა კვირიკეში“...

თქვენ „ალიფაშას“ მეორე ბწკარიდან იწყებთ, ეტყობა, რუსების გინებას მოერიდეთ“

მე მართლა არ ვიცოდი „ალიფაშას“ ტექსტის ეს ვარიანტი, ჩამოსულისთანავე ლადიკო ერქომაიშვილს ეკითხეთ ამის შესახებ, — მან დამიდასტურა.

პარიზის „ოლიმპიაში“ კონცერტები გასტროლის ბოლოს იყო დაგეგმილი. მანამდე კიდევ რამდენიმე ქალაქი მოეიარეთ.

საოცრად გულთბილად შეგეხვედა მაყურებელი ქალაქ სოშოში. ისინი არ დაიშალნენ, სანამ ჩვენი ანსამბლის წევრები ავტობუსში არ დასხდნენ. ლადო წიკწყვაძემ ავტობუსში წამოიწყო სიმღერა „ბურგუნდიელი შხიარული ახალგაზრდობა“ ფრანგები აქაც აგვყვნენ და ტაშისკვრითა და სიმღერით მიაცილებდნენ ავტობუსს, სანამ იგი თვალს არ მიეფარა.

პრესა ასე გამოეხმაურა ჩვენ კონცერტს:

„ქართველები სოშოში“ მსოფლიოში ერთ-ერთი არიან, რომლებიც ფეხის ცეკვებზე ცეკვავენ.

საქართველო ძალზე მდიდარია ხალხური ცეკვებით. მათი ცეკვების მრავალსახეობა მეტისმეტად მიმზიდველი და საგანგებოა. მოცეკვაეეთა მიერ რთული, ორიგინალური, უხვი ილეთების შესრულებისას მაყურებელმა არაერთხელ დაკარგა „წონასწორობის“ გრძნობა და საოცარი ოვაციით, აპლოდისმენტებით აჯილდოებდა ყოველ მათ გამოსვლას.

მათი ყოველი ცეკვა, იქნება ეს სადარბაზო თუ საქორწილო, გლეხებისა თუ ხელოსნების, ჩვენში ერთი და იმავე შთაგონების ღირებულებით აირეკლა.

ქართველი მოცეკვავე მამაკაცები, რომლებიც თხელი ამოჭიმული ახიურებით ცეკვავდნენ, ერთადერთნი არიან მამაკაცთა შორის, რომლებიც ფეხის ცერებზე ცეკვავენ. მარდსა და ძალზე დახვეწილ ტექნიკას თითქოსდა საყუძვლად უდევს



რაჭული „სუიტა“

სურვილი მორალური და სულიერი ცხოვრების აძაღლებისა, სურვილი იმისა, რომ საკუთარი ძალის შესაძლებლობას გადააჭარბონ“

გაზ. „ესტ რესპუბლიკენი“ საქართველოს ბალეტი სოშოში.
მებრძოლი სული ფეხის წვერებზე

„რეკლამა მატყუარა არ აღმოჩნდა: ქართველი მოცეკვავეები შავი რბილი ტყავის მაღალყელიანი ფეხსაცმელებით მართლაც შესანიშნავად ცეკვავენ ფეხის წვერებზე. თუმცა, მარტო ეს სრულყოფა არ იყო მათი (ნამდვილ ტრიუმფად ქცეული) უმაღლესი გამარჯვების მიზეზი შაბათ საღამოს თეატრ სოშოს ხალხით გადაჭედილ დარბაზში.

სპექტაკლი, რომელშიაც ერთმანეთს ენაცვლება ცეკვები, მამაკაცთა მომღერალი გუნდი და მუსიკალური ბალადები, მაყურებელს გადატყორცნის სრული შუა საუკუნეების ხანაში. მოცეკვავეები ჯაჭვის პერანგებითა და მოკლე შარვლებით აჩვენებენ მებრძოლ მგზნებარებას – ხმლებით, რომლებიც არ არის ხისაგან გამოთლილი და ხანჯლებით, რომლებიც არ არის პლასტმასისგან გაკეთებულსი. და ეს მოცეკვავეები რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიქმნებიან უაღრესად ზრდილობიან რაინდებად კეთილშობილი, სამკაულებით შემკული ღვთაებრივი ქალების წინაშე.

ბალადები და მელოდიები ჩვენ მოგვითხრობენ მუდმივი თოვლის, ტყეებისა და კრისტალივით ჩხრიალა მდინარეების შესახებ და იქვე შაშვი უსტვენს მელოდიებით სავსე სალამურს.

უცხოობაში გადაყვანა ნაღდია“

კონცერტის შემდეგ ხშირად სხვა ქალაქებში მივემგზავრებოდით, პრესა ვერ ასწრებდა გამოსვლას, ამიტომ მას ან რომელიმე სხვა ქალაქში გვიგზავნიდნენ, ან იკარგებოდა. მოვიყვანთ სხვადასხვა ქალაქებიდან კიდევ რამდენიმე სტატიას, რომელიც „რუსთავის“ შესახებ წერდა:

გაზ. „კურიერ დე ლ' უესტი“

„პუბლიკა არ იშურებდა აპლოდისმენტებს, განსაკუთრებით სპექტაკლის ბოლოს. მხედრების ცეკვის შემდეგ, ნომრის, რომელმაც შეძრა მაყურებელი და დარბაზის თხოვნით დასს მისი ბისზე გამეორება მოუხდა. ეს იყო არაჩვეულებრიად სასიამოვნო სპექტაკლი, რომელიც დამთავრდა გუნდის მიერ შესრულებული ძველებური ფრანგული სიმღერით“

გაზ. „უესტ-ფრანსი“

„შესანიშნავი ნამუშევარი, რომლისთვისაც ოვაციებით იხდიდა მადლობას 650 მაყურებელი. და როდესაც მომღერლებმა ფინალში თავიანთ ორიგინალურ ყაიდაზე დაამღერეს ძველებური ფრანგული სიმღერა „მრგვალი მაგიდის რაინდები“, დარბაზი აღტაცებისგან გადაირია“

გაზ. „დიჟონი“

„ანსამბლი „რუსთავი“ საკუთარ მომხიბვლელობას არა მარტო მდიდარ რეპერტუარს უნდა უმადლოდეს, არამედ თავის შემსრულებელთა არაჩვეულებრივად მაღალ ოსტატობასაც“

მოვიარეთ ათზე მეტი ფრანგული ქალაქი, ვიყავით ბელგიის ქალაქ ლიეჟში, რო-

მელიც ულამაზესი სანახავია. ჩვენი სასტუმრო ტყის განაპირას მდებარეობდა და ყოველ დილას შაშვი გვაღვიძებდა გალობით.

ლიეჟიდან კვლავ პარიზში დავბრუნდით, რათა „ოლიმპიაში“ 12 კონცერტი ჩაგვეტარებინა. ჩვენი პირველი კონცერტი გაიმართა 1 მარტს. დარბაზი გადაჭედილი იყო (2500 კაცი). პირველივე კონცერტზე მოხდა კურიოზი.

მაყურებელი აღფრთოვანებით შეგვხვდა. პირველი განყოფილების შუაში, როცა „სიმდი“ სრულდებოდა, უეცრად გაიღო დარბაზის კარი და შავ მანტიებში ჩაცმული 20 კაცი ნიღბებით და რუპორებით ხელში ხმაურით შემოიჭრა დარბაზში, სცენაზე ავიდნენ, ჯერ შეავიწროვეს ჩვენი მოცეკვაველები და მერე საერთოდ გაყარეს სცენიდან. ისინი თან რაღაცას ყვიროდნენ გაუთავებლად. ცეკვა შეწყდა. გოგოები ატირდნენ. დარბაზიდან სცენაზე ამოვარდნენ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ბატონი ვალერი ასათიანი და ვიქტორ ხომერიკი. ვალერიმ ძლივს დააშვიდა აღელვებული ანსამბლის წევრები, რომლებმაც „ხმალზე გაიკრეს ხელი“, ესენი სიონისტები არიან, გვითხრა ბატონმა ვიქტორმა, — ვინაიდან საბჭოთა კავშირიდან ხართ, თქვენც რუსები პგონიხართ, ამიტომ კონცერტის ჩაშლით იმუქრებიან. ყვირიან, რომ ციხიდან გაათავისუფლონ ებრაელი პოლიტპატიმრები. მდგომარეობა დაიძაბა. მსახიობთა უსაფრთხოების მიზნით სცენაზე რკინის ფარდა ჩამოუშვეს. მაყურებელი ხმაურობდა, ყვიროდა, ილანძღებოდა, ისინი სიონისტების სცენიდან გაყრას მოითხოვდნენ. სიონისტები კი აინუნშიაც არ აგდებდნენ ხალხის მოთხოვნას, იარუსებიდან ანტისაბჭოთა პროკლამაციები გადმოყარეს.

ამ დროს სცენაზე ავიდა ერთი ბრგე ვაჟკაცი, ეს იყო შალიკო თაყაიშვილი. იგი მივიდა მეგაფონიან სიონისტთან (როგორც ჩანს, ის იყო მათი ხელმძღვანელი, რადგან ყველაზე მეტს ის ყვიროდა) და სთხოვა სცენა დაეტოვებინათ. მან ხელი აუქნია შალიკოს და ყვირილს მოუმატა, მაშინ შალიკომ ერთი ისეთი შემოჰკრა დაუპატიჟებელ სტუმარს, რომ შავნიღბიანი საორკესტრო ორმოს იქეთ გადავარდა და სკამებს შორის გაიჭედა. შალიკო ისე დაერია სიონისტებს, ქორი რომ ყვავებს დაერევა ხოლმე. სცენაზე კიდევ რამდენიმე ქართველი ამოვარდა და შალიკოსთან ერთად სულ ტყაპატყუპით გაყარეს შავმანტიანი სიონისტები სცენიდან.

ბატონი ვიქტორ ხომერიკი ერთ-ერთ მათგანთან მივიდა და ჰკითხა, რა გინდათო. რუსეთში ებრაელებს ავიწროებენ და პროტესტის ნიშნად კონცერტი უნდა ჩაშალოთო. – ესენი ქართველები არიან და რუსეთში მათ ებრაელებზე მეტად ავიწროებენ, — უთხრა ბატონმა ვიქტორმა. უკაცრავად, ეს არ ვიცოდით, ესენი რუსები გვეგონაო, — თქვა სიონისტმა, მერე დაუძახა თავისიანებს და ხმაურით დატოვეს დარბაზი. კონცერტი განახლდა. მაყურებელი ტაშის გრიალით შეგებება. ბოლოს ისეთი ოვაცია გაგვიმართა, რომ შეიძლება ჩვეულებრივ პირობებში არც ყოფილიყო. ფინალი რამდენჯერმე გავიმეორეთ, ვინ იცის, რამდენჯერ აიწია და დაიხურა ფარდა. გარდა იმისა, რომ მაყურებლებს ძალიან მოეწონათ ჩვენი კონცერტი, ისინი ცოტა შეურაცხყოფილადაც გრძნობდნენ თავს და ტაშის გრიალით ცდილობდნენ ამ უხერხულობის გამოსწორებას.

ეს შემთხვევა შეიძლება „რუსთავისთვის“ ტრაგიკულად დამთავრებულიყო. ხუმბრობა ხომ არაა, სცენაზე ამოცვივდა უცხო ხალხი. მათ სცენიდან გაყარეს ანსამბლის წევრები, შეურაცხყოფა მიაყენეს გოგოებს, თავმოყვარეობა შეგვილახეს, ამიტომ ძალიან ძნელი იყო ამ დროს თავშეკავება. ჩვენ, საბჭოელებს უცხოეთში გვეკრძალებოდა ნებისმიერ კონფლიქტში ჩარევა, საქმეს მოსკოვში განიხილავდნენ, როგორც საგანგებო შემთხვევას, იქ მტყუანსა და მართალს არავინ გაარჩევდა და

ამას შეიძლებოდა ანსამბლისთვის უმძიმესი შედეგი მოჰყოლოდა. აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა ბატონმა ვალერი ასათიანმა. იგი დარბაზიდან სცენაზე აიჭრა, ბიჭებთან მივარდა და ძლივს დააშოშმინა ხანჯალამოწვდილი მოცეკვაეები. მე ამ დროს დარბაზის ბოლოს, მესამე სართულზე ხმის რეჟისორს ვეხმარებოდი, ამიტომ ანსამბლს ვერაფრით ეშველოდი. როცა სცენაზე ავედი, ვალერის უკვე ყველაფერი მოეგვარებინა და ახლა შალიკო თაყაიშვილი უმოწყალოდ ურახუნებდა მუშტებს ჩვენს შეურაცხმყოფელებს. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდა და ამაში ვალერი ასათიანის დიდი მადლია. საერთოდ იგი არაჩვეულებრივი პიროვნებაა. ნიჭიერი, განსწავლული, შესანიშნავი პროფესიონალი, პრინციპული, გაწონასწორებული, უღალატო, კეთილშობილი, ამიტომ ანსამბლისთვის დიდი სიხარული იყო მისი დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშვნა.

მთელი გასტროლის განმავლობაში ბატონი ვალერი გვერდში ედგა „რუსთაველის“ წევრებს, მათი ცხოვრებით ცხოვრობდა, ყველა პრობლემას გააზრებულად აგვარებდა, თავისუფალ დროს ჩვენთან ერთად ქეიფობდა. იგი ისე დაგვიმეგობრდა, რომ ჩვენი მეგობრობა დღემდე გრძელდება.

როცა ბატონი ვალერი კულტურის მინისტრად დანიშნეს (სხვათა შორის, შესანიშნავი მინისტრი იყო), მან ძალიან ბევრი გააკეთა ანსამბლ „რუსთაველისთვის“ და საერთოდ ქართული კულტურის კეთილდღეობისთვის.

მადლობა მას.

ახლა ისევ ოლიმპიაში დავბრუნდეთ.

***

კონცერტის შემდეგ ბატონმა ვიქტორმა ანთაძეების რესტორანში წაგვიყვანა, სადაც გველოდნენ ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები: ბაგრატ და გურამ წულაძეები, ვალიკო წილოსანი, ბიჭიკო ახელედიანი, ორესტი გორდელაძე, შალიკო და შოთა თაყაიშვილები და სხვები. თამადად ბატონი ვიქტორ ხომერიკი აირჩიეს. გვიან ღამემდე გაგრძელდა სამშობლოს მონატრებული ხალხის გულისამაჩუყებელი სადღეგრძელოები, მოგონებები და სიმღერები. თამადამ ჩემი სადღეგრძელო შესვა და ალავერდი ბაგრატ წულაძესთან გადავიდა. მანაც ბევრი საქებარი სიტყვა მითხრა და დასძინა, მე მინდოდა შენთვის საჩუქარი მომეძღვნა, მაგრამ ვერაფერი შევარჩიე და გადაწყვიტე, გაჩუქო ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი, შენი ნათესავის, დათიკო ერქომაიშვილის ნაქონი „პარაბელუმი“. დათიკოზე ვაჟკაცი ჩვენს სათვისტომოში არ იყო, ამიტომ ეს იარაღი შენ უნდა გქონდესო. ამოიღო გაპრიალებული „პარაბელუმი“ და გადმომცა. სუფრაზე ტაში დასცხეს. მე გამოვართვი ეს მართლაც იშვიათი საჩუქარი და გულდაწყვეტილმა დავუწყე თვალიერება. რა იცოდა ბატონმა ბაგრატმა, რომ ჩვენ ასეთი საჩუქრის აღების უფლება არ გვქონდა, მას საბჭოთა თვითმფრინავშივე ჩამომართმევდნენ. უფრო მეტიც, ამასაც არ დასჯერდებოდნენ და მოსკოვში სატუსაღოში მიკრავდნენ თავს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბატონი ბაგრატისთვის ამის თქმის უფლებაც არ მქონდა.

მე მადლობა გადავუხადე მას იშვიათი საჩუქრისათვის და დავძინე, რომ ვინაიდან გახშირდა ტერორისტების მიერ თვითმფრინავის გატაცების ფაქტი, ამიტომ ამ იარაღს ჩამომართმევენ და დაიკარგება ეს იშვიათი საჩუქარი-მეთქი. ამ მიზეზით ბატონ ბაგრატს დავუბრუნე „პარაბელუმი“. შეწუხდნენ ჩვენი თანამემამულეები. შეწუხდა ბაგრატიც. მან ჭრელი ტყავის ქისა გახსნა, იქიდან თუთუნი ამოიღო, ქაღალდში გაახვია და კაჟის ქვას კვესი გაკრა. კვესს ნაპერწკლები დასცვივდა.

ბაგრატი მანამ აკვესებდა კვესს კაჟის ქვაზე, სანამ აბედს ნაპერწკლებისაგან ცეცხლი არ მოეკიდა. მერე სული შეუბერა, ცეცხლი გააღვივა და იქიდან პაპიროსს მოუკიდა. ბაგრატ ბიძია, რას წვალობ ამდენს, აგერ ჩემი სანთებელა იხმარე, — უთხრა შალიკო თაყაიშვილმა. შენ ვერ გაიგებ ამას გემოს, — შეუღრინა ბატონმა ბაგრატმა და თუთუნის კვამლი ღრმად შეისუნთქა. ეს კვეს-აბედი ბატონ ბაგრატს მე ჩავუტანე. წინა გასტროლების დროს ვკითხე, — ბატონო ბაგრატ, რა ჩამოგიტანო საქართველოდან, ყველაზე მეტად რა გაგიხარდება-მეთქი. თუ იშოვი, თუთუნის ქისა და კვეს-აბედიო, — მიპასუხა. ეტყობა, კვეს-აბედი იმდროინდელ საქართველოს აგონებდა, მან რომ დატოვა. მაშინ იმას ხმარობდნენ, ამიტომ სწორედ ის მოენატრა. სათუთუნე ჭრელი ტყავის ქისა ბიცოლაჩემმა ჟუჟუნამ შემიკერა. კვეს-აბედის შოვნა მართლა ძალიან გაჭირდა; აჭარიდან, ხიხაძირიდან ენვერ ხალვაშმა გამომიგზავნა ძველებური კვეს-აბედი.



ბატონი ბაგრატი არ იშორებდა ამ „ძვირფას რელიკვიას“ და ყველგან, ოჯახში თუ საზოგადოებაში, ქისიდან ამოიღებდა თუთუნს, ქაღალდში გაახვევდა და კვეს-აბედით უკიდებდა.

ბატონი ბაგრატი მეტად კოლორიტული პიროვნება გახლდათ. მიუხედავად დიდი ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენ ვმეგობრობდით. მისი ახლო მეგობრები იყვნენ ბატონი რეზო თაბუკაშვილი და ოთარ იოსელიანი (რომელმაც იგი ფილმშიც გადაიღო). ოთარმა მიამბო, — ბაგრატი ბოლო დღეებში ვინახულე. დილა იყო, ბაგრატი იწვა და თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა. ახლა გამომელვიძა, მთელი ღამე გურიაში გავატარე, ჩემს ეზოში, მშობლებთან, მეზობლებთან და ნათესაებთან. საქონელიც კი მახსოვს. ქათმებიც, ყველაფერი ისე იყო, როგორიც დავტოვე. უბედნიერესი კაცი ვიყავი. გამომელვიძა და გული დამწყდა, რატომ ძილში არ გევიპარე. ჩემიანებთან არ დაველიე სული-მეთქი. ასე მემართება ამ ბოლო დროს, თითქმის ყოველდღე ჩემი ეზო-კარი და ჩემიანები მესიზმრებიან. ეტყობა, ჩემი აღსასრულიც მოვიდაო.

გათენებას აღარაფერი აკლდა, როცა ანთაძეების რესტორანი დავტოვეთ. ვიქ-

მოცეკვავე თეონა ცაციაშვილი

ტორ ხომერიკმა მე და ბაგრატ წულაძე თაკისი „დოჯით“ წაგვიყვანა. ჯერ ბაგრატი მივიყვანეთ, მერე გეზი ჩემი სასტუმროსკენ ავიღეთ. ვიქტორი გვარიანად ნასვამი იჯდა საჭესთან, მე იმდღევანდელ შთაბეჭდილებებში ვიყავი ჩაძირული.

— რა ბედნიერი დღე მქონდა, — სიჩუმე დაარღვია ბატონმა ვიქტორმა, — რამდენი ქართველი ვიყავით ერთად, აქაურიც, იქაურიც. შვილებიც მყავს, შვილიშვილებიც, მაგრამ მაინც ეულად ვგრძნობ თავს. რა მინდოდა მე აქ?! – ხმას აუწია მან, — 11 წლისას დამატოვებინეს საქართველო. რატომ მომწყვიტეს ჩემს სამშობლოს, რატომ?! უბედური კაცი ვარ მე. სამშობლოში ცხოვრება არ მაღირსა ღმერთმა. დავიბადე ციმბირში, მერე მთელი ცხოვრება უცხოეთში გავატარე. ნუთუ იმის ღირსი მაინც არა ვარ, რომ ჩემი ტანჯული სხეული ჩემმა სათაყვანებელმა საქართველოს მიწამ მიიბაროს“?! – მანქანა ნერვიულად დაამუხრუჭა, საჭეს ხელი გაუშვა, ჯერ ზეკით აღაპყრო ხელები, მერე ჯვარედინად გულზე დაიკრიფა და ისე მწარედ ამოიოხრა, გული თან ამოაყოლა.

— ბაუშვობიდანვე დამებედა ყოველგვარი უბედურება, — გააგრძელა ბატონმა ვიქტორმა, — ძალიან პატარა ვიყავი, უფროსი ძმა რომ დამეღუპა. დედაჩემი ვერაფრით შეეგუა მის სიკვდილს და უმძიმეს დეპრესიაში ჩავარდა. ერთ დღეს დედამ ეზოში გამგზავნა წყლის მოსატანად. რომ მოვბრუნდი, დედა იატაკზე იწვა, თავი მოეკლა. მკერდში ჩემი ძმის სურათი და ტანსაცმელი ჩაეკრა. მამა რომ დაბრუნდა, მე დედაჩემის მკერდზე დამხობილი მწარედ ვქვითინებდი. აქედან დაიწყო ჩემი უბედურება: მამაჩემი – ნოე ხომერიკი მაშინდელი მთავრობის წევრი იყო, ერთ-ერთი მინისტრი. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, როცა მთავრობამ საქართველო დატოვა, მამამ მეც საფრანგეთში წამომიყვანა. მერე იგი საქართველოში გაემგზავრა მთავრობის სპეციალური დავალებით, მაგრამ ბოლშევიკებმა შეიპყრეს და დახვრიტეს. დავრჩი ობლად, ფრანგების გარემოცვაში. მას შემდეგ დაედიეარ საფრანგეთში სამშობლოს, მშობლებსა და ნათესავებს მონატრებული. რა დავაშავე ასეთი, — ხმას აუწია ბატონმა ვიქტორმა, — რა ცოდვა ჰქონდათ ასეთი ჩემს წინაპრებს, რომ მხოლოდ ჩემზე მოიწია? ან მე რა შეგცოდე, ღმერთო, ასეთი, რომ ბედის საჯიჯგნად გამხადე? – ვიქტორს ნერვებმა უმტყუნა. მან ორივე ხელი მძლავრად დაკრა მანქანის საჭეს. მერე კარი გააღო და გადაიყვა. მეც გადავყევი. ბატონმა ვიქტორმა საბარგული გახსნა, სადაც პატარა თოფრაკი და მუყაოს ქაღალდი იდო ფრანგული წარწერით: „მე ვარ ქართველი, ვიქტორ ხომერიკი. ამ საბარგულში დევს ჩემი ქვეყნის – საქართველოს მიწა და თუ დავიღუპო, გთხოვთ ყველას, ეს მიწა გულზე დამაყაროთ“

ბატონმა ვიქტორმა თოფრაკიდან მიწა ამოიღო. პერანგი გაიხსნა და მიწა ჯერ მკერდზე დაიყარა, მერე კისერზე და სახეზე. მერე მუხლებზე დაეცა და ბავშვივით აქვითინდა: — „ღმერთო, რა დაგიშავე ასეთი, რომ ქართული მიწა უცხოეთში პეშვით უნდა დამქონდეს?“ – იგი მთელი ხმით ბღაოდა, გულზე მუშტებს იბრაგუნებდა და მდუღარე ცრემლებს ღვრიდა.

მე გაოგნებული შევცქეროდი ამ სულისშემძვრელ სანახაობას და მიახლოებას ვერ ვბედავდი. ბატონი ვიქტორი ნელ-ნელა დაწყნარდა, ადგა, თოფრაკს თავი მოუკრა და მანქანის საბარგულში ფრთხილად შეინახა. წარწერიანი მუყაოს ქაღალდი გამოსაჩენ ადგილას დადო. მერე ჩემთან მოვიდა, მხარზე ხელი დამადო, მომიბოდიშა – სამშობლოდაკარგული კაცი შვილებისდამკარგაუზე უბედურიაო. ტროტუარის კიდეზე ჩამოვსხედით. მან ჩიბუხი ამოიღო და გააბოლა. კარგა ხანს ვისხედით მდუმარედ. თენდებოდა, ქუჩაში ჩვენ გარდა არავინ იყო. უცებ ბატონმა ვიქტორმა ღიღინით წამოიწყო: „სიონში შევალ, სანთლებს ავანთებ...“ მე ნანახითა

და განცდილით ისე ვიყავი გაოგნებული, რომ ძალა არ მეყო ავყოლოდი.

მას შემდეგ აგერ რამდენი წელი გავიდა და ახლაც თვალწინ მიდგას ვიქტორ ხომერიკის გაწამებული სახე. იმ წუთში მასზე უბედური კაცი ქვეყანაზე არ მეგულებოდა.

* * *

საფრანგეთის ქართული დიასპორიის წარმომადგენლები ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან, ისინი ყველა კონცერტს ესწრებოდნენ „ოლიმპიაში“, ძველი თაობის გარდა მოდიოდნენ აგრეთვე ახალგაზრდები: სალომე და ოთარ ზურაბაშვილები, ნიკო ჭავჭავაძე და მისი მეუღლე ნელი ხომერიკი და მრავალი სხვა. ისინი გვეხმარებოდნენ ყველა პრობლემის მოგვარებაში, გვაცნობდნენ იქაურ ახალგაზრდა ქართველებს და სხვა.

ერთხელ ვიქტორ ხომერიკმა წაგვიყვანა ლევილში, სადაც ქართული სასაფლაოა. ლევილში ვნახეთ ბ-ნი მამია ბერიშვილი, გავიცანით ქალბატონი ნამეტია ბერძენიშვილი. იგი ვალოდია გოგუაძის მეუღლე გახლდათ. ვალოდია ნიჭიერი მეთაური იყო. დღემდე ლეგენდად რჩება გოგუაძის ბრონირებული მატარებელი, რომელმაც სოფელ ნატანებთან, მოჩვენებითი მანევრების დროს, თურქეთის რამდენიმეათასიანი ჯარისკაცი გაწყვიტა. ერთხელ თბილისის ცენტრალურ არქივში ძველ მასალებს ვეძებდი, იქ ვნახე კინოკადრი ვალოდია გოგუაძის გამოსახულებით. იგი იარაღშია ჩამჯდარი და განკარგულებებს იძლევა. ამის შესახებ ვუამბე ქ-ნ ნამეტიას, მას ძალიან გაუხარდა, — ნეტავ ერთი მანახვაო-თქვა. ქალბატონი ნამეტია გურული ქალია. იგი თითქმის 60 წელია საფრანგეთში ცხოვრობს, მაგრამ შეუნარჩუნებია გურული დიალექტი. ჩემი გვარი რომ გაიგო, გამომკითხა, ვისი შტო ვარ. მე ვუთხარი, რომ ბებიაჩემი მარიამი ბერძენიშვილის ქალი იყო შემოქმედიდან-მეთქი, ვისი შვილი იყოო, — მკითხა, მარკოზ ბერძენიშვილის-მეთქი ვუპასუხე. უი, რა მითხარი, – შეიცხადა ქალბატონმა ნამეტიამ, მაგინი ჩემი ნათესავები იყვნენ, მარკოზი და მისი ცოლი სოფიო კარგად მახსოვსო. – „ახლა ნენა, შემოით ჩემთან, კაი კეცის ჭადს გამოგიცხობთ, ჭყინტი ყველიც მაქ, ლობიოც, კაი მწნილი და სხვაი ყოლისფერი სიკეთე, მე აქ სულ ქართულ საჭმელებს ვაკეთებ“.

მართლაც, ქალბატონმა ნამეტიამ მშვენიერი ქართული სუფრა გაგვიშალა, ოღონდ ქართული ღვინო არ მაქ და კაი ფრანგულ ღვინოს დაგალევინებთო, გვითხრა. დათიკო ერქომაიშვილი რა იყო შენიო – მკითხა ნამეტიამ. ბაბუას ახლო ნათესავი იყო-მეთქი, – ვუთხარი. „ოჰ, რა ვაჟკაცი იყო, ხუთი კაცი ვერ მოკიდებდა ხელს, თანაც იყო საოცრად ოხუნჯი, ისეთ რამეს მეიგონებდა, კაცი რომ ვერ მეიფიქრებს, სიცილით გვხოცავდა ყველას. ნამეტანი არ უყვარდა რუსები, რამდენჯერმე იყო გადასული საქართველოში, მარა იქ რომ ვეფერი მოუხერხეს რუსებმა, აგერ მოკლეს პარიზში, თანაც რაფერ ვერაგულად თუ იცი, რუსული საელჩოს მანქანა ავარდა ტროტუარზე და დათიკოს „შემთხვევით“ დაეჯახა“.

ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ ძველ გურიაზე, აღმოჩნდა, რომ ქალბატონ ნამეტიას ძმები ერქომაიშვილების სიმღერები მოუსმენია თურმე.

ჩვენ მალე კონცერტი გვეწყებოდა „ოლიმპიაში“, ამიტომ ავდექით და დიდი სიყვარულით დავემშვიდობეთ ჩვენს „ენაკვიმატ გურულს“. დღეს ვერ მოვახერხებთ, მარა ხვალ აუცილებლად მოვალ თქვენ კონცერტზეო, გვითხრა ქალბატონმა ნამეტიამ.

ლევილის სასაფლაომ სევდა მოგვგვარა. პარიზში დარდიანი ებრუნდებოდით.

„ოლიმპიაში“ კონცერტების დროს ბევრი შეხვედრები გვქონდა გამოჩენილ მუსიკოსებთან, ჟურნალისტებთან. თეატრის დირექციამ ჩვენი აფიშა დაკიდა „ოლიმპიის“ მუზეუმში, სადაც ყველას აფიშაა, ვინც კი „ოლიმპიის“ სცენაზე გამოსულა. პრესამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს გამოსვლებს. მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

გაზ. „ფრანს-სუარი“.

„საბჭოთა ებრაელების დაცვის კომიტეტის წევრთა 20-კაციანმა ჯგუფმა შეაწყვეტინა გუშინ საღამოს „ოლიმპიაში“ სპექტაკლი ქართული სიმღერისა და ცეკვის საბჭოთა ანსამბლს და ცნობილი მიუზიკ-ჰოლის სცენა პოლიტიკურ ტრიბუნად აქცია... ისინი სცენაზე ათი წუთის განმავლობაში იყვნენ, რამაც პუბლიკის უკმაყოფილება გამოიწვია. მაყურებლები მათ უყვიროდნენ: „გაეთრიეთ!“ „ეს სამარცხვინოა!“, „გაათავისუფლეთ სცენა!“ პასუხად კომიტეტის წევრთა მოწოდებაზე გაათავისუფლონ შჩარანსკი... „ოლიმპიას“ დირექციამ, რომელიც პირველად შეეჯახა ასეთ სიტუაციას, უწინარეს ყოვლისა, გადაწყვიტა მსახიობთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჩამოუშვა მეტალის ფარდა“.

გაზეთი „ფიგარო“, ხუთშაბათი, 3 მარტი. რენე სირვინი. ოლიმპია. საქართველოს ანსამბლი „რუსთაველი“. „ოქრო და ცეცხლი“.

„ისინი ჩამოვიდნენ შორეული კოლხეთიდან, მედეასა და ოქროს საწმისის ქვეყნიდან, დღევანდელი აზიისა და ევროპის საზღვართან მდებარე საბჭოთა საქართველოდან. ისინი ჩამოვიდნენ, რათა წარმოგვიდგინონ თავიანთი ერის მრავალსაუკუნოვანი (ათასწლიანი) შემოქმედებითი ტრადიციები. ოქრო მართლაც უხვად ეფინება ქალების კაბებს, ამ ლეგენდიდან მოყვანილ უმანკო და წმინდა პრინცესებს, მორთულებს ისევე, როგორც მე-15 საუკუნეში – ძვირფასი დიადემით დამშვენებული უმწიკვლო მანდილებით.

თუ ქალთა კოსტიუმებში თეთრი ფერი დომინირებს, მამაკაცი მოცეკვავენი, სამკერ უფრო მრავალნი და კეთილშობილნი, უმეტეს შემთხვევაში შავი, ვერცხლისფერი მასრებით გაწყობილ კოზაკის მსგავს ეროვნული კოსტიუმებით ცეკვავდნენ, ხელთათმანივით რბილი ტყავის ფეხსაცმელებში გამოწყობილნი და საუკეთესო კონტრასტს ქმნიდნენ.

სხვადასხვა ჟანრის სიმღერებს ცელის საოცარი ცეკვები. რიტმები ორიგინალურია, დასი – ვირტუოზული, ფორმა – სრულყოფილი, ქორეოგრაფიის მწვერვალები — მაქსიმუმი.

მოცეკვავე ქალები ნაზად და ფაქიზად დასრიალებდნენ, გაუნძრეველად, როგორც გედები წყალში. ყოველი მათი მოძრაობა კეთილშობილების სიმბოლოა. მათი მარდი პარტნიორები, მოცეკვავე ვაჟები, ლომისებური იერის მქონენი, საოცრად მარდად ტრიალებდნენ და სასწაულს ახდენდნენ ფეხის წვერებზე, რაც ქართველი ვაჟკაცების დამახასიათებელი ნიშანია. ყოველი მათი მიხვრა-მოხვრა, ნახტომი თუ მუხლებზე დაცემა ძალზე მამაცური და ვაჟკაცურია. ფინალური ფანტაზია მაყურებლის აღტაცებას იწვევს: ცეკვა „მხედრულმა“, ისევე როგორც ძველმა საბრძოლო ცეკვა „ფარიკაობამ“, რომელიც მოლურჯო, ოდნავ ჩაბნელებულ სინათლეზე მიმდინარეობდა, საოცარი ეფექტი გამოიწვია. მოცეკვავეები ცეცხლივით იბრძვიან, ხმლებით ნაპერწკლების შადრევნებს აფრქვევენ და ანათებენ სცენას. ეფექტი უაღრესად ძლიერია.



მუსიკოსი ზურაბ სალიჩაშვილი

ამ მოლვაწე ცეკვებს შორის მამაცმომღერალთა გუნდს შემოაქვს პოეტური სიმშვიდე, განმუხტავს მოცეკვაეთა დაუოკებელ მგზნებარებას. ცხრა მომღერლის ყოველი სიმღერა წარმოადგენდა საუკეთესო მუსიკალური ხელოვნების გვირგვინს. თბილი, რბილი, ნაზი, მელოდიური, ზოგჯერ ჯადოსნური „პიანისიმოთი“ შესრულებული მელოდიური სერენადები და უცნაური სეედიანი მელოდიები, ხანაც მჭექარე „ფორტეთი“ შესრულებული პატრიოტული და ბრწყინვალე ანტიკური დროის სიმღერები ჯავარიანი შეძახილებით, რომელთა ჰარმონია და მელოდია ჩვენსოვის უცნობი, მაგრამ ძალზე მოხიბლავია, — წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

აი, ნამდვილი ტრადიციული ხელოვნება, რომელსაც არც ფერი აკლდა და არც ორიგინალობა.

ვნახეთ მხნე, სიცოცხლით სავსე სპექტაკლი“

12 ტრიუმფალური გამოსვლით დააშთავრა „რუსთავმა“ კონცერტები „ოლიმპიაში“. ეს იყო დიდი გამარჯვება, ვინაიდან „ოლიმპია“ მეტად პრესტიჟული საკონცერტო დარბაზია და იქაური წარმატება გასაღებია მსოფლიოს უდიდესი საკონცერტო დარბაზებისკენ“

ამით დამთავრდა ჩვენი ტურნე საფრანგეთში 1983 წელს.

ამის შემდეგ „რუსთავი“ სრული შემადგენლობით (ცეკვა-სიმღერა) კარგა ხანს არ ყოფილა საფრანგეთში, გამონაკლისს წარმოადგენდა „რუსთავის“ მომღერალთა ანსამბლი, რომელიც სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალში წარმატებით მონაწილეობდა და საფრანგეთის ხშირი სტუმარი იყო.

2000 წლამდე „რუსთავის“ მომღერლები რამდენჯერმე იყვნენ საფრანგეთში. ამ პერიოდში „რუსთავს“ უმეტესად ახსოვს, ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე ჰქონდა დიდი საკონცერტო ტურნეები.

* * *

2003 წელი, „რუსთავი“ საფრანგეთში, ბელგიაში.

2003 წელს „რუსთავმა“ დიდი ტურნე გამართა საფრანგეთში. თავდაპირველად ეს ტურნე განსაზღვრული იყო მსოფლიოში სახელგანთქმული სუხიშვილების ანსამბლისათვის, მაგრამ მათ სხვაგან ჰქონდათ დაგეგმილი გასტროლები, ამიტომ

ჩვენმა დიდმა მეგობარმა, თავის დროზე შესანიშნავმა მოცეკვავემ და არაჩვეულებრივად კეთილშობილმა პიროვნებამ ბატონმა თენგიზ სუხიშვილმა ეს ტურნე ჩვენ შემოგვთავაზა და გასტროლების მომწყობ იმპრესარიატს „რუსთაველი“ ღირსეულად წარუდგინა.

საფრანგეთში გამგზავრების წინ „რუსთაველის“ დიდმა მეგობარმა, გერმანიაში საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა, ბატონმა კოტე გაბაშვილმა ჩვენი მომღერლები გერმანიასა და ჰოლანდიაში მიიწვია. „რუსთაველმა“ ბერლინში, ჰანოვერსა და ეარშაველში რამდენიმე კონცერტი გაართა. საქართველოს საელჩომ, პირადად ელჩმა, კოტე გაბაშვილმა, მისმა მეუღლემ მანანა ხელაიამ და საელჩოს მდივანმა ქალბატონმა მაია ფანჯიკიძემ დიდი საორგანიზაციო და სარეკლამო სამუშაოები გასწიეს, რომ გერმანელ და პოლონელ მაყურებელთა ინტერესი გაეღვივებინათ. შედეგმაც არ დააყოვნა. კონცერტებზე ტევა არ იყო. ჩვენმა შესანიშნავმა კომპოზიტორმა ბიძინა კვერნაძემ, რომელიც კოტე გაბაშვილმა ამ გასტროლზე პერსონალურად მიიწვია – იხუმრა: „ბერლინის უდიდეს ტაძარში „რუსთაველის“ კონცერტზე იმდენი ხალხი მოვიდა, რომ მღვდლები გარეთ დარჩნენო“ ამ კონცერტის დაწყებამდე გერმანელმა მუსიკისმცოდნემ ისაუბრა ქართულ ფოლკლორზე, საზოგადოებას აცნო, იუნესკომ როგორ აღიარა ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო პოლიფონიის შედევრად, შემდეგ მაყურებელს ანსამბლი „რუსთაველი“ წარუდგინა და თქვა: ქართველები ის ხალხია, ღმერთებს რომ სიმღერით ელაპარაკებიან. კონცერტის ბოლოს, როცა ოვაცია არ ცხრებოდა, მან ეს ფრაზა კიდევ ერთხელ გაიმეორა.



ხმის რეჟისორი მიხეილ კილოსანიძე

ალბათ, არ არსებობს უფრო დიდი შეფასება, ვიდრე ის, რომ, თურმე, ქართველი კაცისთვის ღმერთს მახთან სასაუბრო ენად სიმღერა აურჩევია!

ბატონმა კოტე გაბაშვილმა და საერთოდ მთელმა საელჩომ, გარდა კონცერტების ორგანიზებისა, არაჩვეულებრივად გვიმასპინძლეს და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ თავი საკუთარ სახლში გვეგრძნო, თავიანთი სტუმართმოყვარეობით. საელჩოში „პატარა საქართველო“ მოგვიწყეს. მადლობა მათ.

27 თებერვალს „რუსთაველის“ მომღერლები ჩვენს მოცეკვავეებს დახვდნენ დიუსელდორფის აეროპორტში და ერთად ავიღეთ გეზი საფრანგეთისაკენ. პირველად ჩავედით ქ. ამიენში, სადაც 3 მარტამდე ჩვენთან რეპეტიციებს გადიოდა ტექნიკური ჯგუფი 12 კაცის შემადგენლობით, რომელიც განათებისა და გახმოვანების საკითხს აგვარებდა, ჩვენ თან გვახლდა შესანიშნავი ქართველი ხმის რეჟისორი მიხეილ კილოსანიძე, რომლის მეშვეობითაც მთელი გასტროლის განმავლობაში კონცერტები არაჩვეულებრივად იყო გახმოვანებული.

ქალაქი ამიენი ჩვენი იმპრესარიოების ქალბატონ არმანდასა და ბატონ რეჟისის მშობლიური ქალაქია. იგი მეტად საინტერესოა ძველებური არქიტექტურით. განსაკუთრებით მოგვეწონა შუა საუკუნეებისდროინდელი ტაძარი, რომელიც სიდიდით 4-ჯერ მეტია პარიზის ღვთისმშობლის ტაძარზე.

4 მარტს, დილით გავემგზავრეთ ბელგიის ქალაქ ლიეჟში, სადაც ჩვენი პირველი კონცერტი გაიმართა. კონცერტზე დასასწრებად ანტვერპენიდან ჩამოვიდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული კომპოზიტორი ბატონი გია ყანჩელი მეუღლითურთ, და ბატონი იური ბერიძე. გერმანიიდან გვესტუმრნენ ჩვენი მეგობრები რუდოლფ პაინცის ხელმძღვანელობით. იყო თბილი შეხვედრა და საინტერესო მოგონებები.

ლიეჟის კონცერტზე „რუსთავი“ განახლებული პროგრამით წარსდგა, რომელიც მაყურებელს ძალიან მოეწონა. ტაში დიდხანს არ წყდებოდა.



ძმები დეპარდიე და ანზორ ერქომაიშვილი 2007 წ.

5 მარტს გამოვედით ბრიუსელის სამეფო ცირკში. აქ „რუსთაველი“ 25 წლის წინ გამოიყვანა ჩვენმა საყვარელმა იმპრესარიომ ბატონმა ილია ჯაბადარმა.

ბრიუსელში კონცერტს დაესწრო ქართული საელჩოს წარმომადგენლები ბელგიაში ბატონი კოტე ზალდასტანიშვილის მეთაურობით. ბატონმა კოტემ კონცერტზე დაპატიჟა 20 ქვეყნის საელჩო მთელი შემადგენლობით. კონცერტზე ისევ ჩამოვიდა ბატონი გია ყანჩელი მეუღლითა და მეგობრებით.

წარმატებული კონცერტის შემდეგ ჩვენმა საელჩომ დიდი მიღება მოაწყო, სადაც მოვიდნენ 20-ვე საელჩოს წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენს კონცერტს დაესწრნენ. თამადობდა ბ-ნი კოტე ზალდასტანიშვილი ჩვენთან მოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნების ელჩები და მადლობას გვიხდიდნენ.

მიღება გვიან ღამით დამთავრდა. ბატონმა კოტემ და საელჩოს მთელმა შემადგენლობამ საფრანგეთში გაგვაცილა.

6 მარტს კონცერტი გაიმართა ქ. რუანში, დიდ სპორტის სასახლეში. საფრანგეთის ტელევიზიამ გადაიღო სიუჟეტი, რომელიც უკანასკნელ ცნობებში აჩვენეს. კონცერტს ბევრი მაყურებელი დაესწრო. პრესამ ასე შეაფასა „რუსთავის“ გამოსვლა:

პარიზი. ნორმანდია. 2003წ. რუანი.

ქართული ფოლკლორის მომაჯადოებელი ძალა.

„30 მოცეკვავე, 20-მდე მუსიკოს-შემსრულებელი, სულ 50-მდე არტისტი. შემსრულებელთა ეს რაოდენობაც კი უკვე შთამბეჭდავია... ხუთშაბათს საღამოს „ზენიტის“ საკონცერტო დარბაზი ქართული ფოლკლორის პანგებმა აავსო... „ცეკვა და პოლიფონია“

უასელში მცხოვრები სილვია რუსო მშობლებთან ერთად დაესწრო ამ კონცერტს: „სპექტაკლის ნაწყვეტი ტელევიზორში ვნახე. ცეკვამ და რიტმმა კონცერტის მიმართ ინტერესი გამიღვიძა. ვიფიქრე, ისეთი კონცერტი ჩანს, ალბათ, უამრავი ხალხი

დაესწრება-მეთქი, და თან ჩემი ბიძაშვილების წაყვანაც გადავწყვიტე, ისინი იშვიათად თუ გადიან სახლიდან და ეს ნამდვილად არ ყოფილა ცუდი იდეა“

ცეცხლოვანი, მგზნებარე რიტმი კი ნამდვილად თან სდევდა კონცერტს. სცენის ერთ კუთხეში ოთხი მუსიკოსი იჯდა, ორი აკორდეონზე უკრავდა, ორიც – დოლზე, სცენაზე კი ერთმანეთს ენაცვლებოდა საცეკვაო ილეთები...

განსაცვიფრებელია ანსამბლ „რუსთავის“ ქორეოგრაფია. იგი გასაოცარი სისწრაფით ვითარდება მუსიკის თავაწყვეტილი ტემპის ქვეშ – სწორხაზოვნად ჩამწკრივებული მოცეკვავეები, ტრიალები, ჯგუფურად და სოლისტების მიერ შესრულებული ილეთები... ლამაზი კოსტიუმები კი ბოლო შტრიხს მატებენ სრულყოფილებით აღბეჭდილ სამყაროს.

ქართული ფოლკლორისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, პოლიფონიური სიმღერები მამაკაცთა ხმებისათვის, რასაც ანსამბლ „რუსთავში“ 9 შესანიშნავი მომღერალი და ინსტრუმენტალისტი ასრულებს.

50 არტისტის მონაწილეობით შექმნილი ეს სპექტაკლი პირველი სცენიდანვე იპყრობს მაყურებელთა ყურადღებას. ეს ძლიერ შთამბეჭდავია.

7 მარტს გამოვედით კალეში. ეს ქალაქი მდებარეობს საფრანგეთის უკიდურეს ჩრდილოეთით პადეკალეს ნაპირზე. იქიდან ლონდონამდე 30კმ-ია და მიწისქვეშა გვირაბით, რომელიც ოკეანის ქვეშ გადის, სულ 20 წუთის სავალია, მაგრამ ჩვენ იქ წასვლის უფლება არ გვქონდა, ამას ვიზა სჭირდებოდა.

კალეში საკმაოდ ციოდა.

კონცერტზე მოვიდნენ იაპონელები, რომლებსაც ანსამბლის გადაღება უნდათ. ჩვენ შეეთანხმდით, რომ ისინი საქართველოში ჩამოვლენ და იქ გადაიღებენ „რუსთავს“

ახლა მოვიყვანთ პრესას, რომელმაც მაღალ დონეზე შეაფასა „რუსთავის“ გამოსვლა კალეში:

„ლა ვუა დიუ ნორი“

ხუთშაბათი, 2003 წლის 13 მარტი.

ეგზოტიკა გასულ პარასკევს მუნიციპალურ თეატრში,

მომაჯადოებელი ქართული ცეკვები და სიმღერები.

„ქართული ტრადიციის მიხედვით, ხალხი სამუშაო პროცესს სიხარულად, სიამოვნებად, ცეკვად და სიმღერად აქცევს. გასულ პარასკევს კალეს თეატრში მისულმა მაყურებელმა ამით უდიდესი სიამოვნება მიიღო...

50 არტისტი, არაჩვეულებრივი კოსტიუმები, ბრწყინვალედ შესრულებული დახვეწილი ქორეოგრაფია – ასეთი იყო სპექტაკლი. რომელიც საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ შესთავაზა კალეს თეატრში მისულ მრავალრიცხოვან მაყურებელს. ანსამბლმა პირველი წუთებიდანვე შეძლო მაყურებლის დაპყრობა. ეს იყო მაღალხარისხოვანი სპექტაკლი, რომელშიც შესრულდა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ეროვნული სიმღერები და ცეკვები: შრომის სიმღერა „ნადური“ და საბრძოლო ცეკვა „ხორუმი“, ხანჯლებით შესრულებული ცეკვა „მთიულური“

ცეკვა და სიმღერა ფართოდ იყო გავრცელებული უძველეს ქართულ ტომებს შორის. ასურეთის მეფე სარგონი (ძვ.წ.აღ-ის VII საუკუნე) გადმოგვცემს: „მანას ქვეყანაში ხალხისთვის მუშაობა სიხარულად, სიამოვნებადაა ქცეული და ეს სიმღერის წყალობით ხდება“

ქართული სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ჟანრთა მრავალფეროვნება და შესრულების ორიგინალური სტილი. ეს ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემა. მაშასადამე, არაა გასაკვირი, რომ ანსამბლი „რუსთაველის“ წევრები ასეთი მაღალი დონის მსოფლიოს 60-მდე ქვეყანამ მიიღო და აღიარა“

9 მარტს გამოვედით ქ. არასში. იგი ძველი ქალაქია, პატარა ვიწრო ქუჩებით, ულამაზესი მოედნებით და იშვიათი არქიტექტურით. მოკლედ, დადიხარ ამ ქალაქში და გგონია, რომ შუა საუკუნეებში ცხოვრობ. კონცერტი გაიმართა უძველეს თეატრში, რომელიც 900 მაყურებელს იტევს. მათი უმრავლესობა ხანდაზმული ასაკის გახლდათ. ისინი ძალიან გულთბილად შეგვხვდნენ და დიდი პატივისცემა გამოხატეს ჩვენ მიმართ.

გაზეთებმა ასე გააშუქეს „რუსთაველის“ გამოსვლა არასში:

„ლია ვეეა დიუ ნორი“ (ჩრდილოეთის ხმა), სამშაბათი, 11 მარტი, 2003 წელი.

არსი.

„შავი, წითელი და ოქროსფერი ტრადიციული კოსტიუმები მკვეთრი რაობებით ტაშის რიტმის ქვეშ ცოცხლდება.

კვირას კაზინოს საკონცერტო დარბაზში ანსამბლმა „რუსთაველმა“ წარმოდგენა გამართა.

ქართული ფოლკლორის ტრადიცია

„ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუსიკალურ ფოლკლორს. ქართული ფოლკლორის ტრადიცია ანტიკური დროიდან იღებს სათავეს. 1968 წლიდან, თავისი დაბადების დღიდან, ამ ტრადიციას აქტიურად აგრძელებს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთაველი“

კვირა საღამოს ანსამბლი კაზინოს საკონცერტო დარბაზში მისული მაყურებლის წინაშე წარსდგა და პოლიფონიური სიმღერებით, ხალხური საკრავებითა და ცეკვებით გააცნო ქართული კულტურა, იქნებოდა ეს საომარი რიტუალები თუ პატრიოტული სიმღერები.

ანსამბლმა „რუსთაველმა“ შთამბეჭდავი სპექტაკლი უჩვენა მაყურებლებს. მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა შრომის სიმღერამ „ნადური“ (რომელიც სიმინდის ყანაში სრულდება), ცეკვამ „ქართული“ (რომელშიც გამოხატულია მამაკაცის უსაზღვრო პატივისცემა ქალისადმი), სალაშქრო სიმღერამ „ხასანბეგურა“

შავი, წითელი და ოქროსფერი ტრადიციული კოსტიუმები ცოცხლდება წყვეტილი მოძრაობებით ტაშისა და ქართული ტრადიციული დოლის რიტმის ქვეშ. მაყურებელიც ნებდება გაოცების ამ დიდ გრძნობას, თვითონაც პყვება ტაშს, თითქოს იმისთვის, რომ უკეთ შეიგრძნოს სპექტაკლის თავბრუდამხვევი რიტმი.

მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ სპექტაკლში ყველაზე შთამბეჭდავია „ფარიკაობა“ – სიმღერა და ცეკვა, რომელიც ფარებით და ხმლების გამოყენებით სრულდება. ეს არის უძველესი ტრადიცია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული და რომლის დროსაც მოფარიკავეები იბრძოდნენ და უჩვენებდნენ ფარ-ხმლის ტარებისა თუ ხმარების გასაოცარ ხელოვნებას ან კი სხვაგვარად როგორ შეიძლება ორ საათში შემოიარო უძველესი დროის საქართველო?“

არასიდან ღამე გაუემგზავრეთ ქ. ლაროსში, 8 საათი ვიმგზავრეთ ავტობუსით. მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლის წევრებმა მთელი ღამე ავტობუსში გაატარეს, კონცერტი საღამოს მაინც მაღალ დონეზე ჩატარდა.

11 მარტს ლორიანში გამოუედით კონგრესის სასახლეში. კონცერტი კარგად ჩატარდა. იგი საფრანგეთის ტელევიზიის ეროვნულმა არხმა გადაიღო. ამ კონცერტს მაღალი შეფასება მისცა ლორიანის გაზეთმა „ჟესტ ფრანსმა“

სამართალი და თავისუფლება

ლორიანი, ოთხშაბათი, 12 მარტი, 2003 წელი.

პასტორალური გარემოსა და საომარი რიტუალის ცეკვები.

საქართველო ენერგიის ზღვარზე

„ქალები ისე დაცურავენ, როგორც ოცნებაში, გაბედული მამაკაცები მკვეთრი მოძრაობებით კვეთენ პაერს დაშნის დარტყმით. გუშინ კონგრესის სასახლეში ქართველებმა ლამაზი და ცეცხლოვანი სანახაობა წარმოადგინეს.

ქართველები იღიმებიან, მაგრამ ისინი სულაც არ ხუმრობენ... გუშინ საღამოს კონგრესის სასახლეში კონცერტი გამართა ანსამბლმა „რუსთაველმა“ ეს იყო კონცენტრატი დინამიტისა, ერთობლიობა მგზნებარე რიტმისა, გასაოცარი ფიზიკური სისხარტისა და დემონური სიმკაცრისა.

სტალინის ნამდვილი სახელი და გვარია იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი. სახელი, რომელიც ცხოვრების ბოლომდე შერჩა „ხალხის მამას“ მხოლოდ 1913 წელს დაერქვა. იგი რუსული სიტყვიდან Сталь-იდან მომდინარეობს, რაც ფოლადს ნიშნავს.

რაც შემდგომში მოხდა, ჩვენ უკვე შესანიშნავად ვიცით. გარდაცვალების დღიდან 50 წლის შემდეგ კომუნისტი დიქტატორის ხსოვნის დღე უკვე აღარ ითვლებოდა დიდ და ბრწყინვალე დღესასწაულად.

სტალინი საქართველოში, გორში დაიბადა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველა ქართველი როდია მისნაირი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტალინსა და ქართველებს აშკარად აერთიანებს ველური სიამაყე. ანსაბლ „რუსთაველის“ მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის შემდეგ ამაში თვალნათლივ დარწმუნდნენ კონგრესის სასახლეში მისული მაყურებლები. საომარი, გლეხური, სატრფიალო თუ საზეიმო სიმღერებისა და



ცეკვების შესრულებაში ანსამბლის წევრები მთელ სულსა და გულს დებენ.

გრძელი კაბებით შემოსილი ქალები საოცარი სინქრონული მოძრაობებით დაცურავენ სცენაზე, მკაცრი და გაბედული მამაკაცები მკვეთრი მოძრაობებით კვეთენ ჰაერს. ცეკვებს შორის სიმღერებია ჩართული, ზოგი სიმღერა ომახიანია, ზოგიც — ნაზი. თითოეული მათგანი სათავეს საუკუნოვანი ქართული ტრადიციებიდან იღებს. სიმღერათა განსაკუთრებულობა მათ პოლიფონიურობაშია, 9 კაცისაგან შემდგარი გუნდის მიერ დიდი ოსტატობით შესრულებული ეს მრავალხმიანი სიმღერები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

მაყურებელზე წარუშლელ კვალს ტოვებს ხანჯლებით ცეკვაც, მისი კვალი კონგრესის სასახლის სცენაზეც აღიბეჭდა – კონცერტის პირველი ნაწილი ცეკვა „ხანჯლურით“ დასრულდა. მოცეკვაეები თავბრუდამხვევი ტრიალებისა და ცეცხლოვანი მოძრაობების დროს გასაოცარი სიზუსტით არჭობდნენ დანებს სცენაზე, რაც მართალია, მართალია, ისევე, როგორც სტალინს — პოლიტიკაში, სხვა ქართველებსაც არ უყვართ მეორეხარისხოვანი როლის თამაში“

„ლე ტელეგრამ ლორიანი“, ხუთშაბათი, 13 მარტი, 2003წ.

ქართული ცეკვა – ეს გამაოგნებელია

„სამშაბათ საღამოს კომპანია „ნიუ დასპიტისტმა“ კონგრესის სასახლეში წარმოადგინა ბრწყინვალე სპექტაკლი საქართველოს სიმღერებისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავის“ შესრულებით. ეს ერთადერთი ანსამბლია, რომელიც მაყურებელს ქართულ ტრადიციულ სიმღერებს, ცეკვებსა და მუსიკას აცნობს. კონგრესის სასახლეში 35 ვირტუოზულ მოცეკვავეს, პოლიფონიური სიმღერების 9 შესანიშნავ შემსრულებელსა და 7 ინსტრუმენტალისტს აერთიანებს. საქართველოს სიმღერებისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ კონგრესის სასახლის საკონცერტო დარბაზში ემოციებით აღსავსე, ფერადოვანი სანახაობა წარმოადგინა“

12 მარტს დაბრუნდით ქ. ამიენში. 13 მარტს ორი კონცერტი გვქონდა. პირველი კონცერტი გაიმართა 2 საათზე მოხუცებისა და ინვალიდებისათვის. ბევრი მათგანი ინვალიდების ეტლებით მოიყვანეს სპეციალური მანქანებით. უცხოეთში ხშირად მინახავს კონცერტებზე წინა რიგებში მჯდარი ინვალიდები, იქ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, თითქმის ყველა საკონცერტო დარბაზში მათთვის სპეციალური ადგილებია გამოყოფილი.

ამჯერად ჩვენს კონცერტზე ზოგიერთ მაყურებელს ტაშის დაკვრაც კი არ შეეძლო, ამიტომ სხვადასხვანაირი ჟესტებით გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას. შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება დატოვეს მათ, ვინც საერთოდ ვერ მოძრაობდა, მაგრამ ცრემლებით გამოხატავდნენ თავიანთ განწყობილებას.

კონცერტის შემდეგ ყველა მანქანებში ჩასვეს და ისე წაიყვანეს.

მე გამახარა იმ ფაქტმა, რომ ასეთი ავადმყოფები არ არიან მიტოვებული (ჩვენგან განსხვავებით), ისინი თავს საზოგადოების წევრებად თვლიან და მათთვის ყოველთვის საპატიო ადგილებია გამოყოფილი.

მეორე კონცერტი საღამოს ჩატარდა, ხალხმა იგი ძალიან თბილად მიიღო.

ამის შემდეგ სხვადასხვა ქალაქში კიდევ რამდენიმე წარმატებული კონცერტი გვქონდა. აი, რას წერდა საკვირაო გაზეთი „ლე ჟურნალ დიუ დიმანში“, კვირას 16 მარტს:

კვირა, 2003 წლის 16 მარტი
საქართველო საუცხოო ქართული ჯგუფი

„საფრანგეთი საქართველოს რიტმს ჰყვება, 5 აპრილამდე საფრანგეთის 29 ქალაქში პირველად მართავს დიდ ტურნეს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთაველი“. ამ ანსამბლს არაფერი აქვს საერთო ქართული ლეგენდის „ერისიონის“ მძიმე მანქანასთან („ერისიონი“ ხელახლა გამართავს კონცერტებს საფრანგეთში მაისის თვეში). 35 შესანიშნავი მოცეკვავის, პოლიფონიური სიმღერების 9 ვირტუოზული შემსრულებლისა და 7 ბრწყინვალე მუსიკოსისაგან შემდგარი ჯგუფი კვლავაც ქართული ფოლკლორული მუსიკისა და ტრადიციების ერთგული რჩება.

ანსამბლი „რუსთაველი“ შრომის სიმღერებით, იაკნანებით, სასიყვარულო თუ საომარი ჩასიათის ხალხური ცეკვებით სამოგზაუროდ მიგვიძღვის მკაცრი და საკუთარი ისტორიით ამაყი ქვეყნის გულში. მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავს მამაკაცების აკრობატულ ნახტომებს, ულამაზეს კოსტიუმებში გამოწყობილი ქალების ნაზ და გრაციოზულ მოძრაობას. საქართველოს სიმღერის აკადემიური ანსამბლი „რუსთაველი“ აღიარებულია იუნესკოს მიერ, ხოლო მისი სიმღერა „ხასანბეგურა“ მსოფლიო კულტურის საგანძურად. პოლიფონიური სიმღერების შედევრადაა მიჩნეული.



ცეკვა „ხორუმი“, საფრანგეთი, 1981 წ.

14 მარტს, დილით პარიზს გავემგზავრეთ. ამიენიდან პარიზამდე 130კმ-ია. მოვეწყეთ პატარა მშვენიერ სასტუმროში. ანსამბლის წევრებმა ისარგებლეს იმით, რომ ორი დღე დასვენება გვქონდა და ქალაქს მიაშურეს დასათვალიერებლად.

მე მიშა კილოსანიძესთან, ფრიდონ სულაბერიძესა და ბადრი ოოიძესთან ერთად გავედი ქალაქში. პარიზის ქუჩებში კარგა ხანს ფეხით ვიარეთ. ბოლოს შევედით „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ იქ

რამდენიმე საათი დავყავით, კარგად დავათვალიერეთ (უკვე მერამდენედ) ეს შესანიშნავი ძეგლი. მოვუსმინეთ რეპეტიციას, ორღანთან ერთად მშვენიერი სოპრანო მღეროდა.

საოცარი ქალაქია პარიზი. უკვე აღარც მახსოვს, მერამდენედ ვარ აქ, მაგრამ სულ მგონია, რომ ყველაფერ ამას პირველად ვხედავ. პარიზი ულამაზეს ქალს მოგაგონებს, რომელთან შეხვედრა არასდროს მოგწყინდება.

17 მარტს პარიზის „მოგადორის“ მეტად პრესტიჟულ თეატრში ორი კონცერტი იყო დანიშნული. 3 საათზე ძირითადად ხანდაზმულები და ტურისტები დაესწრნენ კონცერტს. საღამოს მოვიდნენ ჩვენი საელჩოს, „იუნესკოს“ და სხვა დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლები, მოვიდა ქართული სათვისტომო და სხვ. ინგლისიდან „რუსთაველის“ კონცერტზე სპეციალურად ჩამოვიდა მაიკლ ბლუმი მეუღლითურთ. კონცერტს დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

უნდა აღინიშნოს, რომ დილიდან სულ ჩვენთან იყო ქალბატონი ნათელა ლაღიძე, ჩვენი დიდი ხნის მეგობარი, რომელიც დიდად დაგვეხმარა პრობლემების მოგვარებაში.

კონცერტი „მოგადორში“ უდიდესი წარმატებით ჩატარდა. იქაურებმა გვითხრეს, რომ ასეთი წარმატება იშვიათად თუ ღირსებია რომელიმე კოლექტივს.

„მოგადორში“ კონცერტების წინ პარიზის გაზეთებმა ასეთი რეკლამა დაბეჭდეს:

„ლე მონდე ადანი“, 12-13 მარტი, 2003წელი.

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთაველი“

17 მარტი, მოგადორი

„საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთაველი“ ერთ-ერთი იმათგანია, ვინც თავიანთი შემოქმედებით საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ საქართველოს, ქართულ კულტურას. 35 მოცეკვავით, 9 მომღერლით და 7 ინსტრუმენტალისტით დაკომპლექტებული დასი უკვდავყოფს ცეკვისა და სიმღერის დიდი ანსამბლების ტრადიციებს, რომელთაც ჩვენ ჯერ კიდევ კომუნისტური ეპოქიდან ვიცნობთ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ანსამბლ „რუსთაველის“ გამოსვლა იმდენად სანახაობრივია, რომ გულგრილს ნამდვილად არავის დატოვებს.“

პარიზი. თეატრი „მოგადორი“. მოგადორის ქ.25, ფასი 43 ევრო.

„ლე პარიზიენი“ (პარიზელი) ორშაბათი, 17 მარტი, 2003წ. N18

სპექტაკლები

ნამდვილი დღესასწაული ქართულ ანსამბლთან ერთად

„საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთაველი“, რომელიც მართაეს დიდ ტურნეს საფრანგეთში, დღეს საღამოს „მოგადორში“ გაჩერდება. ეს არის ფოლკლორული სპექტაკლი, რომელშიც კარგადაა გადმოცემული ორ ზღვას (შავი და კასპიის) შორის მდებარე მთაგორიანი საქართველოს ტრადიციები. მათ მიერ შესრულებული ცეკვებისა და სიმღერების მგზნებარე რიტმის ქვეშ ყველაფერი განსაკუთრებული ენერგიულობით თრთის, ჩქეფს და ფეთქავს. კონცერტი 19 ნომრისაგან შედგება. მასში ასახულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის განსხვავებულ ცივილიზაციათა გზაჯვარედინი. შავ და შინდისფერ ჩოხებში გამოწყობილი ვაჟები ცერებზე დგებიან, ბზრიალებენ და ხტიან თავიანთი მშვენიერი ქალბატონების გულის მოსაგებად. გულგრილი, თაედახრილი ქალები ჩაბმულან ფერხულში და პატარ-პატარა ნაბიჯებით აგრძელებენ სვლას ისე,

თითქოს დაცურავენ სცენაზე. ოთხ-ოთხი გრძელი, შავი ნაწნავებით დამშვენებული სამეფო კაბებსა (ღია და მოლივლივე ფერის კაბები) თუ სხვადასხვა კუთხისათვის ტრადიციულ კაბებში გამოწყობილი გოგონები ძალზე მომხიბლავნი და გრაციოზულნი არიან. ისინი კვლავ მიუწვდომელ ქალბატონებად რჩებიან ეაჟებისათვის, რომლებიც მართლაც რომ აკრობატულ ნახტომებს ასრულებენ. „ხორუმში“ მტრის დასაზვერად მოცეკვავეები ქმნიან ცოცხალ პირამიდას, რომლის დროსაც თავში მდგომი დოლზე დაკვრით ამცნობს მოახლოებული საფრთხის შესახებ. მწყემსები კი უდარდელად მღერიან დროის გასატარებლად.

იუნესკოს ფონდში შესული ხალხური სიმღერები

ამ ახოვანი ჭაბუკების მიერ შესრულებული პოლიფონიური სიმღერები ესაა თაობიდან თაობამდე ზეპირად შემონახული ხალხური სიმღერები, რომლებიც დღეს უკვე იუნესკოს საგანძურშია შესული.

მაშ ასე, ჩაერთეთ ამ ხალისიან, მხიარულ და მოულოდნელობებით აღსავსე დღესასწაულში. მოისმინეთ უძველესი დროის წიაღიდან მომდინარე მელოდიები“.

„მოგადორის“ თეატრში ჩვენს კონცერტს დაესწრო ბევრი იქ მცხოვრები ქართველი, რომლებიც დიდი ხანი არ არის, რაც საფრანგეთში დასახლდნენ. ჩვენი ელჩი, ბატონი გოჩა ჩოგოვაძე დიდი ყურადღებით იყო ჩვენ მიმართ, ბატონმა გოჩამ დაპატიჟა „იუნესკოს“ წარმომადგენლობა. კონცერტის შემდეგ მათ მოითხოვეს, რომ „რუსთავს“ ერთი კონცერტი „იუნესკოსთვის“ გაემართა და ამასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს თავის თავზე იღებდნენ, მაგრამ გასტროლების მეტისმეტად გადატვირთულმა გრაფიკმა ამ იდეის განხორციელებას ხელი შეუშალა.

მაყურებელთა შორის იყვნენ იაპონელები „იუნესკოდან“, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მიიწვიონ „რუსთავი“ იაპონიაში, სადაც 2005 წელს „გაერო“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) აღნიშნავდა თავისი არსებობის 60 წლის იუბილეს.

ამ თარიღის აღსანიშნავად წარდგენილი იყო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საუკეთესო ანსამბლები. „მოგადორის“ კონცერტის შემდეგ „იუნესკომ“ არჩევანი „რუსთავზე“ შეაჩერა.

2005 წელს „გაეროს“ იუბილეზე „რუსთავმა“ იაპონიაში ქ.ნიაგოიაში სოლო კონცერტი გამართა, რითაც „იუნესკოს“ და მაყურებლის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. „იუნესკომ“ ანსამბლი ფულადი ჯილდოთი და საპატიო სიგელით დააჯილდოვა, ხოლო ანსამბლის თითოეულ წევრს საჩუქრად ძვირფასი იაპონური საათები გადასცეს.

დავუბრუნდეთ საფრანგეთს: 18 და 19 მარტს ჩვენი კონცერტები გაიმართა რუბესა და ბოვეში. 20 მარტს გამოვედით ლიონში, აქ უკვე მეორედ ვართ და ძველი მოგონებები გაცოცხლდა ჩვენ თვალწინ.

21 და 22 მარტი, ლემანსი და ბესანზონი. მშვენიერი საკონცერტო დარბაზებია.

23 მარტი, გრენობლი, დარბაზი ხალხით გაიჭედა. იყო შეძახილები, ოვაციები. გრენობლი, მოგეხსენებათ, არაჩვეულებრივი საკურორტო ქალაქია. აქ პირველად 1979 წელს გავხლდით. საინტერესოა, რომ დღევანდელ კონცერტზე მოვიდა რამდენიმე პიროვნება, რომლებიც 24 წლის წინ დასწრებიან ჩვენს კონცერტს. მათ დიდი პატივისცემა და სიყვარული გამოხატეს ჩვენ მიმართ.

გრენობლიდან ბიარიცში გავემგზავრეთ. ავტობუსით 11 საათი ვიმგზავრეთ. გზა დამღლელი იყო, მაგრამ — ულამაზესი. — „ღმერთო ჩემი ქვეყანა მაჩვენე ასეთი მშვიდი და აყვავებული“, — ინატრა სალიევერ ვადაჭკორიამ“.

ბიარიცში პირველად 1970 წელს გახლდით. კონცერტს ამჯერადაც დიდი წარმატება ჰქონდა.

ბიარიცადან ნიცაში გადავედით. ავტობუსით 12 საათი ვიმგზავრეთ. დავათვალიერეთ ყველაფერი, რასაც ჩვენი თვალი და გონება მისწვდა. ხეხილიდან ბევრი იყო ჩვენი ხეხილის მსგავსი, ოღონდ ვერსად ვნახე მოყვითალო ფერის ჭორფლებიანი მსხალი, რომელსაც გურიაში „ფრანგულას“ ეძახიან, საფრანგეთში დავდივარ აგერ 33 წელია და მსხლის ეს ჯიში ვერსად ვიპოვე. მოგვიანებით იგი სამხრეთ კორეაში „აღმოვაჩინე“.

ნიცაში, აღარ მახსოვს, მერამდენედ ვართ. პირველად აქ ილია ჯაბადარმა ჩამოგვიყვანა. გარდა „რუსთაველის“ სრული შემადგენლობისა, ამ ქალაქში რამდენჯერმე მიიწვიეს ჩვენი მომღერლები.

ამჯერად „რუსთაველის“ კონცერტი გაიმართა უზარმაზარ საკონცერტო დარბაზში, რომელსაც „ნიკეა“ ეწოდება. დაგეგესწრო დიდძალი მაყურებელი. ჩვენი კონცერტის სანახავად სპეციალურად ჩამოვიდა ირლანდიელ იმპრესარიატის ჯგუფი ცხრა კაცის შემადგენლობით. მათ კონცერტი მოიწონეს და ჩვენი ირლანდიაში მიწვევის სურვილი გამოთქვეს.

სტრასბურგში ჩვენი ბოლო კონცერტი გაიმართა. კონცერტს დაესწრნენ ბატონი მინდია უგრეხელიძე (ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოს წარმომადგენელი მოსამართლე) და ქალბატონი ლანა ღოღობერიძე (საქართველოს ელჩი ევროსაბჭოში). მათ სხვა ქვეყნის წარმომადგენელი კოლეგებიც მოიწვიეს, რომელთაც ძალიან მოეწონათ ქართული სიმღერები და ცეკვები.

„რუსთაველის“ გასტროლების პერიოდში ანსამბლთან ერთად მოგზაურობდა ბიზნესმენი ზურაბ ჩხაიძე. ყველა ქალაქის საკონცერტო დარბაზის ფოიეში იგი აწყობდა ქართული ღვინის დეგუსტაციას. მან თან წაიღო კახური ღვინის შესანიშნავი კოლექცია და ბუკლეტები. დეგუსტატორები აღტაცებას ვერ ფარავდნენ ქართული ღვინის საუკეთესო თვისებებისა და მეღვინეობის ტრადიციების გამო. როცა ამას ემატებოდა ქართული ცეკვა და სიმღერა, ისინი ამბობდნენ: „საკმარისია მხოლოდ ქართული სიმღერა, ცეკვა და ღვინო, რომ მთელ მსოფლიოს წარმოდგენა შეექმნას, თუ რაოდენ დიდი კულტურის ქვეყანაა საქართველო“.

გასტროლების დროს კურიოზიც მოხდა: ერთ-ერთ კონცერტზე ჩვენს მოცეკვავე სოლისტს ზურაბ მიგრიაულს სოლოს შესრულების დროს სცენა ჩაუნგრა და იგი სარდაფში ჩავარდა, საბედნიეროდ, გადარჩა. ფრიდონ სულაბერიძე არ დაბნეულა, მან სასწრაფოდ გადააწყო ანსამბლი და კონცერტი გაგრძელდა. მეორე დღეს ფრანგული პრესა აჭრელდა ფოტოებით, ლანძღავდნენ საკონცერტო დარბაზის დირექციას და მიუთითებდნენ ანსამბლის წევრების მაღალ პროფესიონალიზმზე.

ფრანგ მაყურებელზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ფრიდონ სულაბერიძის მიერ დადგმულმა ცეკვებმა. პრესაში წერდნენ ფრიდონის ქორეოგრაფიულ ოსტატობაზე და იმასაც დასძენდნენ, რომ „იგი თურმე ერთ დროს გამოჩენილი მოცეკვავე ყოფილა: ფრიდონ სულაბერიძე ქართული ცეკვის ცოცხალი ლეგენდააო“.

საინტერესოა, რომ „რუსთაველი“ სრული შემადგენლობით პარიზში უკანასკნელად 20 წლის წინათ იყო, ამიტომ ახალმა თაობამ მასზე არაფერი იცოდა. ძველი თაობის

ქართული სათვისტომოდან, რომლებთანაც ჩვენ ურთიერთობა გვქონდა, თითქმის აღარავინ იყო ცოცხალი, ამიტომ ცოტა ეულად ვგრძნობდით თავს. აღარ დაგვხვდნენ ჩვენი შესანიშნავი ქართველი პატრიოტები, რომლებმაც საქართველოზე ფიქრში დალიეს სული. ისინი ყველა კონცერტზე გვესწრებოდნენ, მოგზაურობის დროს თან დაგვყვებოდნენ, პრობლემების გადაწყვეტაში გვეხმარებოდნენ, გვამხნევებდნენ, გვეფერებოდნენ, გვანუგეშებდნენ, გვაქეიფებდნენ, გვიყვებოდნენ ძველ ამბებს, უდიდესი პატივისცემით იგონებდნენ თავიანთ წინაპრებს, ვერ იტანდნენ რუსებს და მათ ქართველების უპირველეს მტრებად თელიდნენ.

ჩვენ მათთან ერთად საფრანგეთში თავს შინაურად ვგრძნობდით, რადგან იქ პატარა საქართველო გვეგულებოდა.

2003 წელს ჩვენი ტურნე საფრანგეთში დამთავრდა.

ხანგრძლივი საგასტროლო მოგზაურობა მომქანცველია, ძნელია გონებამ აღიქვას ყველა ის შთაბეჭდილება კალეიდოსკოპური სისწრაფით რომ იცვლება.

ფრანგულ ტურნეში დიდ წარმატებებთან ერთად მრავალი სირთულეც შეგვხვდა, მაგრამ ანსამბლმა ღირსეულად გადაიტანა ყველა სიძნელე და დიდი წარმატება და სახელი მოუტანა არა მარტო „რუსთავს“, არამედ ქართულ კულტურას და მთელ საქართველოს. ამჯერად ანსამბლი გამოდიოდა არა სსრ კავშირის (ხშირად რუსებად „მონათლული“), არამედ უძველესი კულტურის მქონე დამოუკიდებელი საქართველოს სახელით. ფულს უკვე სსრ კავშირის საელჩოს აღარ ვაბარებდით, აფიშაზე აღარ ეწერა „რუსული ანსამბლი“ და, რაც მთავარია, პრესა ჩვენს წარმატებას რუსულ კულტურას აღარ მიაწერდა. ყოველივე ეს თითოეულ ჩვენგანს ძალას მატებდა და ყველა ცდილობდა, რომ გაორმაგებული ენერგიით თავისი წვლილი შეეტანა საქართველოსა და მისი კულტურის პოპულარიზაციაში. როგორც ჩვენმა ელჩმა საფრანგეთში – ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ თქვა: „რუსთავი ის კოლექტივია, რომელსაც შეუძლია ყველას შეაყვაროს საქართველო და ჭეშმარიტი ქართული ხალხური ხელოვნება“.

2004 წელი

„წინწყაროს“ შავი შაშვი შეეხმიანა

(ესპანეთი)

ყოველი წლის ზაფხულს ესპანეთის ტურიზმისა და ინფორმაციის სამინისტრო აწყობს მუსიკალურ ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს როგორც საუკეთესო ანსამბლები, ასევე ინდივიდუალური შემსრულებლები.

1975 წელს ეს ფესტივალი რიცხვით ოცდამეხუთე იყო და ესპანელები ყოველნაირად შეეცადნენ, რომ იგი მაღალ დონეზე ჩაეტარებინათ.

„რუსთავს“ წილად ხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიეღო ამ საიუბილეო ფესტივალში ისეთი გამოჩენილი კოლექტივების გვერდით, როგორიცაა იაპონიის კლასიკური ბალეტი, არგენტინის ბალეტი, ჩეხოსლოვაკიის ცეკვის ანსამბლი, საფრანგეთის ცეკვის ანსამბლი, მომღერლები იტალიიდან, გამოჩენილი ესპანელი მომღერალი რაფაელი, ესპანეთის ანსამბლი „ფლამენგო“ და სხვა.

კონცერტები ისე იყო დაგეგმილი, რომ ფესტივალში მონაწილე კოლექტივები სხვადასხვა ქალაქებში ერთმანეთის მიმდევრობით გამოდიოდნენ. ასე რომ, თვენახევრის განმავლობაში მოგვიხდა ესპანეთის თითქმის 25 ქალაქში გამოსვლა.

„რუსთავი“ ესპანეთში წაიყვანა ცნობილმა იმპრესარიომ საფრანგეთიდან, ჩვენმა თანამემამულემ, ბატონმა ილია ჯაბადარმა. მან ესპანეთიდან მოსკოვის გოსკონცერტში ფესტივალის მთავარი იმპრესარიოს – ბურიოს წერილი ჩამოიტანა, რომელიც ითხოვდა ანსამბლ „რუსთავს“. „გოსკონცერტში“ დაიწყო ტრადიციული ვაჭრობა, მათ უნდოდათ რუსთავის ნაცვლად გაცილებით იაფად რომელიმე რუსული კოლექტივი გაეგზავნათ, ეს იცოდა ილია ჯაბადარმა და კატეგორიულად მოითხოვა მხოლოდ „რუსთავი“ საქმეში ჩაერია საქართველოს კულტურის მინისტრი, შესანიშნავი კომპოზიტორი ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი, მას მოსკოვის კულტურის სამინისტროში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ამიტომ მისმა ჩარევამ საქმე „რუსთავის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა. ბატონმა ოთარმა ესპანეთში დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშნა მისი პირველი მოადგილე, გამოჩენილი თეატრმცოდნე, მწერალი, შესანიშნავი პიროვნება, დიდი პატრიოტი და გამორჩეული ორგანიზატორი ბატონი ნოდარ გურაბანიძე, რომელიც სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ესპანეთში ცოტა მოგვიანებით შემოგვიერთდა.

ამ გასტროლებისთვის საგულდაგულოდ მოვემზადეთ. ჩვენმა ქორეოგრაფმა რეზო ჭოხონელიძემ დადგა ახალი ცეკვები, სიმღერებიც გადავახალისეთ, მოშზადდა ახალი საკონცერტო პროგრამა, რომელიც დადგა გამოჩენილმა რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ბატონმა იოსებ თუმანიშვილმა მხატვარ ნიკოლოზ იგნატოვთან ერთად. ჩვენ ვგრძნობდით იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც დაგ-

ვაკისრეს როგორც საქართველოსა და სსრ კავშირის წარმომადგენლებს; ეს ხდება იმ პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირს ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს და ყოველგვარი საშუალებებით ცდილობს, ესპანელ ხალხთან დაამყაროს მეგობრული კავშირი. იმ ქეყანაში, რომელიც განებივრებულია ყოველ წელს მსოფლიოს საუკეთესო კოლექტივების ხილვით, უცხო არც ქართული ხელოვნება იყო. რამდენიმე წლის წინათ იქ დიდი წარმატებით გამოდიოდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტების, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით და ამ ანსამბლის ბრწყინვალე გამოსვლებს ახლაც დიდი სიხარულით იგონებენ ესპანელები, ეს ცეკვის შესახებ, მაგრამ ქართული სიმღერა ჩვენ უნდა გაგვეტანა ესპანეთში.

ივლისის შუა რიცხვებში დავამთავრეთ შზადება გასტროლებისთვის და 1975 წლის 21 ივლისს დილით მოსკოვიდან კურსი ავიღეთ პარიზისაკენ, რომლის გავლითაც უნდა ჩაფრენილიყავით ბარსელონაში. პარიზში ჩავფრინდით „ბურჟეს“ აეროდრომზე დღის 1 საათზე, ხოლო იქიდან გადაგვიყვანეს ახალ აეროდრომზე, რომელსაც შარლ დე გოლის სახელი ჰქვია. ეს აეროდრომი აგებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, მეტად ორიგინალური არქიტექტურით და მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

5 საათზე შუა ევროპის დროით პარიზიდან კომპანია „იბერიას“ თვითმფრინავით გავფრინდით ბარსელონაში და ორი საათის ფრენის შემდეგ ფეხი დავდგით ესპანეთის მიწაზე. იქ დაგვხვდა იმპრესარიო პატონი ილია ჯაბადარი და ავტობუსის მძღოლი ანტონიო, რომელთან ერთად ავტობუსით გავემგზავრეთ ტარაგონას პროვინციაში ქ. სარაგოსაში, სადაც მეორე დღეს ჩვენი კონცერტი იყო დანიშნული. კონცერტის წინ ჩვენს ნერვიულობას (მოეწონებოდათ თუ არა ჩვენი ხელოვნება ესპანეთში) დაემატა მეორე სანერვიულო ამბავი. თურმე, ჩვენი ბარგი, რომელშიც საკონცერტო



ანსამბლი „ორსთავი“. 1974 წ.



რეზო ჯოხონელიძე და ანზორ პოპოლაშვილი, შაანდონი, 1975 წ.

კოსტიუმები გვქონდა, დარჩენილა პარიზში, რადგან იქ რამდენიმე დღეა, რაც საფრანგეთის ავიაკომპანიის მუშები გაიფიცნენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით, ფესტივალის მომწყობმა ორგანიზაციამ ყოველი ღონე იხმარა, რომ კოსტიუმები დროზე ჩამოეტანათ ჩვენთვის. მართლაც, კონცერტის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, როცა ჩვენ უკვე სრულ სასოწარკვეთილებაში გახლდით, მიგვიღეს ჩვენთვის ასე ძვირფასი ბარგი.

კონცერტი გაიმართა ღია სცენაზე, რომელიც შესანიშნავად იყო მოწყობილი და იტევდა 3000 მაყურებელს. ყველა ბილეთი გაყიდული იყო.

კონცერტის წინ ჩვენთან მოვიდა ამ ქალაქში ფესტივალის დირექტორი და გვირჩია, რომ სიმღერები შეგვეკვეცირებინა, რადგან ხალხს ნაკლებად აინტერესებს და არ მოისმენსო (თურმე ამიტომ დააწერეს ჩვენს აფიშაზე, „ქართული ბალეტის კონცერტი“). ჩვენ ზრდილობიანად მოვიშორეთ ფესტივალის დირექტორი და სიმღერები არ შეგვიმცირებია.

კონცერტი დაიწყო ჩვენთვის უჩვეულო დროს, ღამის 23 და 30 წუთზე მადრიდის დროით, მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია. ზაფხულობით ესპანეთში ისე ცხელა, რომ წარმოუდგენელია დახურულ დარბაზში საღამოობით კონცერტის გამართვა, ამიტომ კონცერტები იმართება ღამით, როცა საკმაოდ აგრილდება. კონცერტის შემდეგ, როცა სასტუმროდან ებრუნდებოდით (დაახლოებით ღამის 4 საათზე) და გვეგონა, რომ ყველას ეძინა, ჩვენდა გასაოცრად მთელი ქალაქი, დიდი და პატარა, ქუჩებში გამოფენილიყო სასეირნოდ.

როგორც კი დამთავრდა კონცერტის ბოლო ნომერი, სცენაზე ამოვიდა ფესტივალის დირექტორი, რომელიც სიმღერების შემცირებას გვთავაზობდა. მან ბოდიში მოიხადა და გვითხრა, რომ მსგავსი რამ ჯერ არ გაუგონია. „მოუმატეთ სიმღერები, ხომ ხედავთ, ხალხი რა სიამოვნებით იხმენს, მე-20 საუკუნეში თუ ამისთანა ხალხურ სიმღერებს გაეიგონებდი, ამის წარმოდგენა არ შეგეძლო“ — თქვა მან.

რაც შეეხება კონცერტის წარმატებას, ამის შესახებ მოვიყვან ციტატას ადგილობრივი გაზეთიდან, რომელიც ჩვენი ანსამბლის შესახებ წერდა:

“საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „რუსთავმა“ პროგრამის ლამაზი და კოლორიტული შესრულებით განუმეორებელი წარმატება მოიპოვა. შემსრულებელთა ყოველ გამოსვლას ხალხი ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით ხვდებოდა.

მრავალი ათასი მაყურებელი დიდად კმაყოფილი დარჩა ასეთი გამოჩენილი საბჭოთა ანსამბლის გამოსვლით”

მეორე დღეს მუნიციპალიტეტში მიგვიღო ქალაქის მერმა. გაიმართა საინტერესო საუბარი ჩვენსა და ქალაქის ხელმძღვანელობას შორის, მათ გვითხრეს, რომ მოხარულნი არიან საბჭოთა კოლექტივთან შეხვედრით და მასთან ურთიერთობით. ჩვენ

სამახსოვრო ქართული სუვენირები გადავეცით და გულითადი მადლობა გადავუხადეთ გულთბილი მიღებისათვის. მას შემდეგ, რაც ჩვენმა ბიჭებმა ქართული "მრავალჟამიერი" დასჭექეს, მასპინძლებმა თავი ვეღარ შეიკავეს ზედმეტი კომპლიმენტებისაგან.

ჩვენი მეორე კონცერტი გაიმართა ვალენსიაში. ქალაქში ჩაველით დღის 2 საათზე. ქუჩები ცარიელი დაგვხვდა. აქ, ისე როგორც მთელ ესპანეთში დღე არავინ გამოდის გარეთ, სამაგიეროდ, ღამით იწყება ნამდვილი ცხოვრება.

კონცერტი გაიმართა ვალენსიის დიდ პარკში, სადაც აგრეთვე 3000-დე კაცი დაგვესწრო. კულისების მაგივრად მოწყობილი იყო დეკორატიული მცენარეები. რაც შთაბეჭდილებას ქმნიდა თითქოს ტყეში ვმართავდით კონცერტს.

კონცერტის შემდეგ კულისებთან გავიგონეთ მხიარული ქართული მისალმება: „გამარჯობათ თქვენი" და გასახდელში შემოაბიჯა ახოვანმა ვაჟკაცმა. ჩვენ იგი ქართველი ემიგრანტი გვეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ესპანელი იყო, რომელიც ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს სხვებთან ერთად ჩამოეყვანათ საბჭოთა კავშირში, იგი საქართველოში, კერძოდ, მახარაძეში გაიზარდა.

გარეთ ბევრი ასეთი "ქართველები" გველოდებოდნენ. ისინი მოსულიყვნენ ოჯახებით, გვეხვეოდნენ როგორც ნათესავებს და დიდი სიყვარულით იგონებდნენ იმ წლებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში გაუტარებიათ, სულ ყველამ იცოდა რუსული ენა, ხოლო ზოგიერთმა — ქართულიც. ისინი თავიანთ შვილებს სიხარულით უყვებოდნენ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხისა და მათი ზნე-ჩვეულებების შესახებ. ბოლოს აცრემლებული დაგვშორდნენ და გამოთქვეს სურვილი, რომ ისევ ჩამოვიდოდნენ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც მათთვის მეორე სამშობლოდ იქცა.

მეორე დღეს გაზეთები ჩვენ შესახებ იუწყებოდნენ:

გაზეთი „ლას პრობინსიას" ვალენსია – „გუშინ საღამოს რეალის ბაღის ღია სცენის ვალენსიის ცის ქვეშ წარსდგნენ ესპანეთის ფესტივალის მონაწილენი. საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთაველი" ჩვენ ვალენსიელებს გვხვდა პატივი გვენახა, „რუსთაველის" შესანიშნავი ანსამბლი. რომელმაც დიდი მოწონება და ტაში დაიმსახურა მისი მრავალფეროვანი ქორეოგრაფიული ეფექტით და სიმღერების მაღალპროფესიონალური შესრულებით.



ესპანეთი. ფალანგა

მამაკაცთა საცარმა მარდმა შეხტომამ, ქალთა მომხიბლავმა მსუბუქმა სინარნარემ და მომაჯადოებელმა სიკოხტავემ, გასაცარი კონტრასტული ელემენტები შეიტანა მის ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში და ცეკვის დადგმის ორიგინალობაში.

გასაცარმა ვაჟკაცურმა და სახიფათო ცეკვამ ხანგრძლებით, ცეკვამ ხმლებით, "ფარიკაობამ", შესანიშნავმა საერო და საეკლესიო სიმღერებმა, მწყემსურ სალამურზე ვირტუოზულად დაკრულმა რეპერტუარმა, დახვეწილად გააზრებულმა პროგრამამ აიძულა ვალენსიელები სიმპათიითა და გულითადად მიეღო ისინი.''

მეორე დღეს დილით დავათვალიერეთ ქალაქი ვალენსია. იგი ძალიან ლამაზია თავისი ბუნებრივი მდებარეობით. ზღვისპირეთი, შესანიშნავი პარკები, აუარებელი შადრევნები, ძველი და ახალი არქიტექტურის შერწყმა, რაღაც საოცარ სილამაზესა და კოლორიტს აძლევს ამ ქალაქს.

ქალაქში არის შესანიშნავი სტადიონი და მთელ ესპანეთში განთქმული კორიდა, სადაც მეორე დღეს გამოდიოდა ესპანეთში ცნობილი მატადორი პაკო კამინო. ამას იუწყებოდა რეკლამები, იმ დღეს კონცერტი არ გვქონდა, ამიტომ გადავწყვიტეთ დაესწრებოდით კორიდას.

კორიდას შესახებ ბევრი გვსმენია და ბევრი წაგვიკითხავს, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უზარმაზარი სტადიონი გაჭედილი მაყურებლებით, გაფაციცებით ადევნებს თვალს ხარისა და ადამიანის ბრძოლას. ულამაზესი ხარი გამძვინვარებული დასდევს ადამიანებს, რომლებიც მტკივნეული ილეთებითა და ცრუ მოძრაობებით აგიჟებენ მას და ეს შმაგი ცხოველი ბოლოს რა უსუსური აღმოჩნდა შეიარაღებული ადამიანის წინაშე, რომელმაც არა ძალით, არამედ გონებით მოუგო მას ბრძოლა, მატადორმა იგი დაღალა და როცა ხარს ძალა გამოეცლია და საცოდავი თვალებით მისჩერებოდა, ამ უკანასკნელმა მაშინ ბეჭებში დაუნა ვადამდე ჩაურჭო. ხარი ცოტა ხანს გაოგნებული იდგა, მერე ნელ-ნელა დაიჩოქა და გათავდა. ამას მოჰყვა ხალხის გამაყრუებელი ყიჟინა და მხიარული შეძახილები "ო-ლა-ლა''

ამ სურათის ხილვით ბევრმა ჩვენგანმა ცრემლი ვერ შეიკავა. მერე მეორე ხარი გამოიყვანეს ბრძოლის ველზე, მან სისხლის სუნი იყნოსა და ფეხებით დაუწყო თხრა იმ ადგილს, სადაც თაეისი მოძმის სისხლი იყო დაღვრილი. შემდეგ – მიატოვა ბრძოლა, ჯერ ჩაჯდა, შემდეგ გულშესაბრალი ბღაეილით გამოემართა ხალხისაკენ. თითქოს მათგან ითხოვდა შველას. მატადორი ბევრი ეცადა ხარი გამოეწვია, მაგრამ რომ ნახა, ხარი ბრძოლას არ აპირებდა – ზუსტი მოძრაობით ჩასცა დაშნა ბეჭებს შუა.

საცოდავმა არსებამ იგრძნო სიკვდილის მოახლოება, - ბარბაცით და ბღავილით გასწია იმ ადგილისაკენ, საიდანაც რამდენიმე წუთის წინ მერცხალივით გამოფრინდა. გასწია, მაგრამ ვერ მიაღწია. ჯერ ცალ მუხლზე დაიჩოქა, მერე — მეორეზე და ასე ნელ-ნელა შეურიგდა სიკვდილს. ხალხი კი ზეიმობდა.

გულდამძიმებული გამოვედით კორიდადან. ხმას არავინ იღებდა. ჩვენთან ხარი ძლიერების, შრომისა და პატიოსნების სიმბოლოდ მიაჩნდათ ოდითგანვე, აქ კი... ამ სანახაობას ესწრება აუარებელი ხალხი ოჯახებითა და საგვარეულო დროშებით, ბილეთები კორიდაზე ძნელად იშოვება და ზღაპრულად ძვირი ღირს.

ვალენსიაში მეორე კონცერტი იმავე პარკში ჩავატარეთ და გავემგზავრეთ ქ. ალიკანტეში. გაზეთები ასე გამოეხმაურნენ ჩვენს გამოსვლას, გაზეთი „ლეპანტე" (აღმოსავლეთი) წერდა: "სამშაბათს, ძალიან დიდი ყურადღება მიიქცია საქართ-



ესპანეთი. კორიდა, 1975 წ.

ველოს სიმღერისა და ცეკვის აკადემიური დონის ანსამბლმა, „რუსთაველმა“ რომლის შემადგენლობაში შედიან ვირტუოზი მოცეკვაველები, შესანიშნავი მომღერლები და ინსტრუმენტული ტრიოს არაჩვეულებრივი შემსრულებლები. ანსამბლი, გასაოცარი კონტრასტის ორგანული ერთიანობით, ჰარმონიულად შეკავშირებული და შერწყმული სახით წარმოგვიდგა. 10 მომღერლის ლამაზი, მჭექარე და ამავე დროს ნაზი ლირიკული პოლიფონიური ტიპის დამახასიათებელი სიმღერა, მოცეკვაველების არნახული, ეფექტური თავბრუდამხვევი, ვირტუოზული ილეთების დაუსრულებელმა მოზღვავებამ საუკეთესო და დაუვიწყარი სანახაობა აჩვენა ჩვენს ვალენსიელ მაყურებლებს.

ამ სცენაზე შესანიშნავად შესრულებული ყველა სიმღერა და ცეკვა უძველესი დროით თარიღდება.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ინსტრუმენტალური ტრიო, გასაოცარი ჩიტების სიმღერის იმიტაციით და ფინალური ვოკალურ-ქორეოგრაფიული სუიტა “ქართული ქორწილი“

ალიგანტე ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტია, იგი ჩაფლულია პალმებში. ვალენსიიდან ალიგანტემდე მთელი გზა მხოლოდ ზეთისხილისა და ფორთოხლების ტყეში გაგვიეთ. სხვა ხე გზაში თითქმის არ შეგვინიშნავს. განსაკუთრებით მოგვაჯადოვა ზეთისხილის უზარმაზარმა პლანტაციებმა, რომელსაც ჩამქრალი ვერცხლისფერი გადაპკრავს და უჩვეულო ფერადოვნებით გაოცებთ.

ალიგანტემდე დიდი გზა გამოვიარეთ. გზაში ერთ სოფელში წყაროსთან დასასვენებლად გავჩერდით.

ცოტა ხანში უზარმაზარი თხის ფარა მოგვადგა. თხები ურქო (დოლა) იყო, ჯიქნებს მიწაზე მოათრევდნენ, ამიტომ რომ არ გაეხეხათ – ტყავით ჰქონდათ აკრული. საინტერესო ის იყო, რომ ამ თხებს უზარმაზარი ოთხცურიანი ჯიქნები ჰქონდათ, ასეთი რამ მართლა არ გვენახა. ჰამლეტ გონაშვილი აენთო. როგორმე ორი თხა საქართველოში უნდა წავიყვანო, ფული თუ არ მეყოფა, უნდა დამიმატოო – მითხრა. მე თანხმობა განვუცხადე, მაგრამ ვუთხარი თვითმფრინავით თხების



თემურ ვაშაკიძე და თემურ გურგენიძე

წაყვანა გაგვიჭირდება, თანაც საბაჟო არ მოგვცემს ამის უფლებას-მეთქი. შევეცადოთო – მითხრა. მართლა ვინ არ შეეაწუხეთ, საელჩო შეეაწრიალეთ, მაგრამ ყველგან უარი გვითხრეს. შეწუხდა პამლეტი, იქნებ ჩვენ მთავრობას ვთხოვოთ, ესპანელებთან ხელშეკრულება გააფორმონ და ეს თხები იყიდონ, ძალიან მოუხდებოდა კახეთს, მე ვუთხარი რომ ესეც შეუძლებელია, ვინაიდან საბჭოთა კავშირს ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს-მეთქი.

პამლეტი დიდხანს ყვებოდა საქართველოში ესპანური თხების ამბავს.

ალიგანტეში გავმართეთ კონცერტი და მეორე დღეს მადრიდის გაელით გავემართეთ ქ. მერიდაში. მერიდა ძალიან ძველი ქალაქია. კონცერტი გავმართეთ კორიდაზე, სადაც დაგვესწრო 6000 მაყურებელი. სცენა ღამაზად გააფორმა სამმა ესპანელმა ახალგაზრდამ, რომლებიც თან გვახლდნენ გასტროლების პირველი დღიდანვე. ესენი იყვნენ: ხმის რეჟისორი რაფაელი, გამნათებელი მანოლო და სცენის მუშა ანტონიო. ანსამბლის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ბატონმა ვანო ცაგარეიშვილმა, რომელმაც გამოამჟღავნა ესპანური ენის ბრწყინვალე ცოდნა. თეითონ ესპანელებსაც კი ხშირად ეჭვი ეპარებოდათ ესპანელი ხომ არ არისო. ესპანეთი ტურიზმის ქვეყანაა, ამიტომ „რუსთაველს“ კონცერტებზე ხშირად ნახაედით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტებს, რომლებსაც ჩვენი ვანო კონცერტის შემდეგ დიდი ხალისით პასუხობდა შეკითხვებზე ესპანურ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. ვანო ჩვენი ანსამბლის "ფიგარო" გახდა. ვინ არ ეძახდა მას და რას არ სთხოვდა. ვანოც დაუზარებლად გვაკავშირებდა ქალაქის მერთან, ჟურნალისტებთან, უბრალო მსმენელებთან თუ ჩვენს გამნათებელთან და ხმის რეჟისორთან. იგი ყველა კონცერტზე სცენაზე იდგა და პროგრამა ესპანურად მიჰყავდა. სტატიებს გაზეთებიდან ცხადია, ვანო გვითარგმნიდა. აი ერთ-ერთი მათგანი:

ესპანეთი გაზ. „ლა ნუება ესპანია" N17 ქართული სიმღერებისა და ცეკვების დიდი წარმატება.

"ეს კონცერტი ნამდვილად უდიდეს ქებას იმსახურებს. ქართველების სრულყოფილმა ხელოვნებამ ყველა ჩვენგანი აღაფრთოვანა. ქართველმა მსახიობებმა უმდიდრეს ქართულ ფოლკლორს აკადემიზმი შესძინეს და ამით იგი კიდევ უფრო გააკეთილშობილეს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ანსამბლ „რუსთავს" განუმეორებელი წარმატება ხვდა წილად, რასაც ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დაივიწყებს. ღამაზი კოსტიუმები, საოცარი კოლორიტი, გასაოცარი უძველესი სიმღერები, რომლებსაც მომღერალთა გუნდი ასრულებდა, და ცეკვები. მოცეკვავეთა სიმსუბუქე, მარდი ხტომები, ქალისადმი რაინდული მოქცევა, შესრულების მაღალი ტექნიკა, ცერებზე ვირტუოზულად შესრულებული ცეკვები. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ქმნიდა არაჩვეულებრივ სანახაობრივ ეფექტს, რის გამოც ხალხი არ

ზოგადად ძალას და ყველა ნომერს განუწყვეტელი ოვაციებითა და ტაშის გრიალით აჯილდოებდა.

ჩვენი სტატიის დასასრულს გვსურს დავუმატოთ ის, რომ აურაცხელი აპლოდისმენტები, რომლებიც ქართველ მომღერლებსა და მოცეკვაეებს ხვდათ გუშინ, ეს, პირველ რიგში ანზორ ერქომაიშვილისა და რევაზ ჭოხონელიძის დამსახურებაა. მათი ხელმძღვანელობისა და თავდადებული, ფანატიკური შრომის შედეგად აღორძინდა ქართული ხალხური ხელოვნების ეს საუკეთესო განძი.

ასეთი შინაარსიანი, ხალხური კოლორიტული, მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებული ცეკვები და სიმღერები ესპანეთს ჯერ არასდროს უნახავს“

მერიდას შემდეგ კონცერტი გაემართეთ სეგოვიაში. კონცერტს 2300 კაცი დაესწრო, ხოლო დასწრების მსურველი, დაახლოებით, 1000 კაცი გარეთ დარჩა. მეორე დღეს დავათვალიერეთ ქალაქი. სეგოვიაში არის დიდი კათედრალური ტაძარი, რომაელების მიერ აშენებული წყალსადენი 50მ. სიმაღლეზე, რომელიც დღესაც მოქმედია.

სეგოვიას შემდეგ კონცერტი გვქონდა ეიგოში. ეიგო ლამაზი ზღვისპირა ქალაქია, ჩვენი სასტუმროდან შესანიშნავი სანახაობა იშლება. ყურეს მეორე მხარეს ლამაზი მთებია, რომელიც ჩვენი „რიწის“ ტბის ნაპირებს მოგვაგონებს.

სცენა მოწყობილი იყო ულამაზეს დიდ პარკში. კულისები და უკანა ფარდა გაეკეთებინათ სუროსა და ზეთისხილის რტოებისაგან, ხოლო უზარმაზარი სცენა ჩაფლული იყო პალმებსა და ჭადრებში, რომელთა ტოტებზე დამაგრებული იყო ხმის დიდი გამაძლიერებლები. კონცერტის დაწყების წინ შაშვმა დაიწყო გალობა. რამაც ჩვენი საკონცერტო “დარბაზი” კიდევ უფრო ეგზოტიკური გახადა. მერე შაშვის გალობა შეწყდა და ტყის იდუმალი სიჩუმე ჩამოწვა. ეს შთაბეჭდილება გააძლიერა იმ ფაქტმა, რომ როცა პამლეტ გონაშვილმა “წინწყარო” დაიწყო, მას შაშვი გამოეხმაურა გალობით, თითქოს ხმას უწყობსო ჩვენს მგალობელს. ეს ფაქტი იმდენად მომხიბლაეი იყო, რომ ჩვენს ბიჭებს ბანი გაუჭირდათ, რომ არ დაერღვიათ ეს დიდებული დუეტი.

დამთავრდა პირველი განყოფილება. აინთო სინათლეები და მხოლოდ ახლა შევამჩნიეთ, რომ გამოვდიოდით უდიდესი აუდიტორიის წინაშე. თურმე ჩვენს კონცერტს ესწრებოდა 16 ათასი მაყურებელი, ეს სარეკორდო ციფრი იყო არა მარტო ესპანეთში, არამედ საერთოდ ჩვენი არსებობის ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ასეთი მრავალობისა კონცერტის მსელელობის დროს არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ თუნდაც უმნიშვნელო ხმაური გაგეგონოს დარბაზიდან. რაც მეტყველებდა ესპანელი მაყურებლის მოსმენის მაღალ კულტურაზე.

კონცერტის შემდეგ ზღვა ხალხი მოაწყდა კულისებს. ჩვენი ბიჭები ვერ ასწრებდნენ ავტოგრაფების გაცემას. გაისმოდა კომპლიმენტები ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების მიმართ.

ერთ-ერთმა მსმენელმა გვითხრა: “სიმღერა ის კი არ არის, რომ ერთ ყურში შევიდეს და მეორიდან გამოვიდეს, არამედ იგი გულში უნდა დარჩეს სამუდამოდ, - აი ასეთია თქვენი სიმღერებიო”

მეორე დღეს ქალაქში ჩვენი სიმღერები გაისმოდა, რომლებიც კონცერტზე ჩაეწერათ. (მსმენელები კონცერტის დროს პორტატულ მაგნიტოფონზე იწერდნენ სიმღერებს, რომლებიც ხშირად სხვადასხვა ქალაქში პლაჟებზე, პარკებში და სტადიონებზე გაისმოდა პატარა მაგნიტოფონებიდან).

აი რას წერდნენ ვიგოს გაზეთები ანსამბლის შესახებ:

გაზეთი „ფარო დე ვიგო“, კვირა 3/08-1975წ.

„სახ.კასტრელოს პარკის სცენაზე წარსდგა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „რუსთავი“ რომელმაც შემოგვთავაზა ბრწყინვალე, კოლორიტული, აღმაფრთოვანებელი, გულწრფელი, ჭეშმარიტი ხალხური ხელოვნება. მათმა ცეკვაში გამომჟღავნებულმა სიმარჯვემ, მცირერიცხოვანმა მომღერალთა ჯგუფის ოსტატობამ, მელოდიისა და რითმების სასიამოვნო ჟღერადობამ, ტანსაცმლის ფერის პარმონიულობამ და არაჩვეულებრივმა ქალთა ელეგანტურობამ, სილამაზემ დიდი სიამოვნება განაცდევინა მაყურებელს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათ მიერ შესრულებული ნომერი იმსახურებს დიდ პატივისცემასა და სიმპათიას, მათ ალაფრთოვანეს მაყურებელი, მაინც მინდა გამოვყო რამდენიმე მათგანი: მამაკაცებმა არაჩვეულებრივი აკრობატიული სიზუსტით, თითქმის ცირკული ტექნიკით განავითარეს და შექმნეს სიძლიერითა და ამტანობით უძნელესი და უძველესი ხალხურ მეომართა სახეები, „ფარიკაობაში“, სადაც ხელოვნება და რისკი ერთმანეთთან არის შეკავშირებული, გვთავაზობენ დაძაბულ ქორეოგრაფიას, სწრაფი ნაპერწკლოვანი ხმლების შეხლას, რომელსაც მისდევს საოცარი სიზუსტით აკორდიონისა და დოლის თავბრუდამხვევი რითმები. ასეთივეა ცეკვა „ხანჯლური“ და საბოლოოდ აპოთეოზური დღესასწული ვოკალურ-ქორეოგრაფიული სუიტა „ქართული ქორწილი“



მსახიობი – გვანცა მალაგისაძე. რეზო ჯოხონელიძე, ომარ კელაპტრიშვილი, ლალი შიუკაშვილი. 1975 წ

მომღერალთა გუნდმა, მქუხარე და არაჩვეულებრივად ნაზი, მოდულირებული, უძველესი და ურთულესი პოლიფონიური სიმღერები შეასრულა, სადაც კარგად გამომჟღავნდა ამ ანსამბლის შესრულების მაღალი დონე.

არაჩვეულებრივი ეფექტი დატოვა ინსტრუმენტური ტრიოს გამოსვლამ, სადაც მწყემსის სალამურზე გასაოცარი სიზუსტით და ოსტატობით შემსრულებელმა, ომარ კელაპტრიშვილმა დაიპყრო მაყურებელთა გულები.

საერთოდ „რუსთავის“ მსახიობთა მიერ შეთავაზებული კონცერტი განსაკუთრებულად სასიამოვნოდ არის შედგენილი და ანსამბლი არაჩვეულებრივად მაღალპროფესიულ დონეზეა მოშზადებული.

იშვიათად მდიდარ ქართულ ხალხურ ფოლკლორს, ანსამბლის ხელმძღვანელებმა მაღალი შემოქმედებითი სახე მისცეს და ისინი კლასიკური ხელოვნების დონეზე აიყვანეს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ არც ჩვენთან, არც არსად ხალხურ ფოლკლორს ფასი არ ექნებოდა, რომ არ ყოფილიყო შემოქმედებითი ძიების დიდი ნიჭი და უნარი, რომელსაც უფრო მაღალ დონეზე აჰყავს ხალხური შემოქმედება“

ს.პ.კომესანია

„ოხა დე ლუნეს დე ვიგო“ 3.08-75წ.

„რუსთაველის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, თავიანთი ხელოვნების გასაოცარი ლამაზი და კოლორიტული შესრულებით დაიმსახურეს განუმეორებელი წარმატება, რომელიც გამოიხატა დიდი ტაშითა და ოვაციებით. მრავალი ათასი მაყურებელი დიდად კმაყოფილი დარჩა ასეთი გამოჩენილი საბჭოთა ანსამბლის გამოსვლით“

ვიგოს შემდეგ კონცერტი გავმართეთ ქ. ლა კორუნიას სპორტულ დარბაზში. კონცერტს 4000 მაყურებელი დაესწრო.

სხვებთან ერთად კონცერტზე მოვიდნენ მექორწილენი. ნეფე-დედოფალი თავიანთი მაყრებით გამოწყობილნი იყვნენ საზეიმო ნაციონალურ ტანსაცმელში. ჩვენ ისინი შევამჩნიეთ და “ქართული ქორწილი”, რომელიც პროგრამაში გვქონდა შეტანილი მათ მივუძღვენით, რამაც არაჩვეულებრივი ეფექტი მოახდინა მაყურებელზე. კონცერტის შემდეგ მექორწილეებმა განაცხადეს: თქვენი ქორწილი გაცილებით რომანტიკული და დიდი ტრადიციების გამომხატველია, ვიდრე ჩვენი ნატურალური ქორწილიო“

ლა კორუნიას შემდეგ კონცერტები გავმართეთ პონტევედრასა და ხიხონში. მოვიყვან პონტევედრას გაზეთიდან ამონაწერს: “დიარიო და პონტევედრა” –

„სპექტაკლი, რომელიც მუნიციპალიტეტის სპორტის სასახლეში გუშინ გეიჩევნა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „რუსთაველმა“, ნამდვილად არაჩვეულებრივი იყო. კონცერტს დაესწრენ არა მარტო პონტევედრას მცხოვრებნი, არამედ უამრავი ხალხი ჩამოვიდა სხვადასხვა პროვინციებიდან, რათა დამტკბარიყვნენ ამ ზღაპრული ტრადიციული ხალხური მუსიკითა და ცეკვით. ყველა შესრულებულ ნომერს მაყურებელი მხურვალე ტაშით შეხვდა“

ხიხონში არსებობს ხალხური რეზერვუარიანი ჩასაბერი ინსტრუმენტების მუზეუმი, რომელშიც მსოფლიოს უნიკალური ნიმუშებია წარმოდგენილი. მუზეუმის დირექტორმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ქართული კულტურის მიმართ. ჩვენ მას ავუხსენით, რომ ჩვენცა გვაქვს ასეთი ტიპის ძველი ხალხური ინსტრუმენტები. ბატონი ნოდარ გურაბანიძე შეპირდა, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე გაუგზავნით ქართულ გუდასტვირს. გადავეცით მას სუვენირები და ფირფიტები ქართული სიმღერებით. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ჩვენი დანაპირები შეეასრულეთ.

6 აგვისტოს დილით გავემგზავრეთ ბასკეთის დედაქალაქ ბილბაოში. ბასკებმა მთავრობასთან პროტესტის ნიშნად უარი თქვეს, მიეღოთ ფესტივალის მონაწილე რომელიმე კოლექტივი, გამონაკლისს წარმოვადგენდით ჩვენ. ამით ბასკებმა გვიჩვენეს, თუ რამდენად მეგობრულად არიან განწყობილი საქართველოს მიმართ.

ბილბაოში შესვლის დროს გამახსენდა ნიკო მარის სიტყვები „მე გურია ვნახე“ მართლაც ეს ადგილები საოცრად ჰგავს დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, გურიას. ასე რომ, ბილბაოში მიმავალი გზა ჩვენმა სოლისტმა სალიერ ვადაჭკორიამ მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში მიმავალ გზას შეადარა.

მართლაც საოცარი მსგავსებაა. ჩვენებური ოდა სახლები, ვენახები, ბაღჩები ჩვენებური მწვანილით, ჭურები, შუაცეცხლი და კერია, შარაგზაზე მიმავალი შავებში ჩაცმული მოხუცი ქალები (რაც იმის მაუწყებელია, რომ ჩვენსავით გავრცელებულია მიცვალებულის კულტი) ხელების ჟესტიკულაციით ხმამაღლა მოლაპარაკე ახალგაზრდები, ეს მეტყველი ცოცხალი სახეები თითქოს სადღაც გინახავს, ჩვენებური ურმები და მეურმეები, ტოპონიმები: გორი, მესტია, ხაშური, გკარები: ნარსია,



ესპანეთი. მადრიდი. 1975 წ

მეუნარგია, ნოდია, სასტუმრო „ალაზანი“ რესტორანი „გურია“ და ბერიას მიება — ეფიქრობ უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს.

ბილბაოდან გაეშართეთ ბასკების ქალაქ სან სებასტიანში, სადაც ჩვენი კონცერტი იყო დანიშნული. უცებ ავტობუსში ატყდა ძახილი „გურია, გურია“ თურმე ჩვენმა ბიჭებმა შორიდანვე შეამჩნიეს რესტორანი „გურია“ და თხოულობდნენ გვესადილა იქ. ჩვენმა დირექტორმა რეჩხ მორჩილაძემ იხუმრა კიდეც. „გურიაში მგონია ჩემი თაიო და რესტორანში „სანთლის არაყი“ და „ხაბაელა“ მოითხოვა.

ბასკებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენ მიმართ. კონცერტი უდიდესი წარმატებით ჩატარდა სან-სებასტიანის საუკეთესო ველო ტრეკზე, რომელსაც 5000 კაცი დაესწრო. ეს ის დარბაზია, სადაც რამდენიმე წლის წინაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა ომარ ფხაკაძემ. ჩვენთან მოვიდნენ ომარის ესპანელი მეგობრები, რომლებიც მას მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ველოსიპედისტად მიიჩნევენ. მათ გვითხრეს, სან-სებასტიანს დღემდე ახსოვს ომარის შესანიშნაი გამოსვლაო და მოკითხვა დაგვაბარეს მასთან.

ბასკეთში ყოფნის დროს შეეცადე ასეთი არაჩვეულებრივი ბუნებრივი მსგავსების შემდეგ, მსგავსება მუსიკაშიც აღმოვაჩინა. ბილბაოში, ჩვენი სასტუმროს რესტორანში „ასლანური მრავალჟამიერი“ ვიმღერეთ, რესტორნის დირექტორი აღფრთოვანებული მოვიდა ჩვენთან და მითხრა: ჩემს სოფელში, რომელიც აქედან 100 კილომეტრითაა დაშორებული, ასეთ სიმღერებს მღერიანო და შემოიმთაკაზა მასთან ერთად წასვლა.

სამწუხაროდ ჩვენმა „ზედამხედველებმა“ ამის უფლება არ მომცეს. დაიკარგა შანსი, რომ უშუალოდ ხალხში შესრულებული სიმღერები მომესმინა. ამიტომ მე დავეყრდი მუსიკალურ მაღაზიებში ფირფიტებზე ჩაწერილი სიმღერების მოსმენას, რაშიც ძალიან დამეხმარნენ ბასკი მეგობრები და ჩვენი ვანო ცაგარეიშვილი. სამწუხაროდ, იქ ქართულ და ბასკურ სიმღერებს შორის ვერავითარი მსგავსება ვერ აღმოვაჩინე.

რამდენიმე დღე დავყაყაით ბასკებში და შემდეგ დაბრუნდით ისევ სამხრეთ ესპანეთში.

გასტროლები გრძელდებოდა, დაცდილდით ქალაქიდან ქალაქში. ხშირად ჩვენ ავტობუსით დღეში 600-700 კილომეტრს, ხოლო აშკიათად 900 და 1000 კილომეტრს გაცდილდით. კონცერტის შემდეგ, ხშირად, ავტობუსით პირდაპირ სხვა ქალაქში მიცდილდით დასაძინებლად, მეორე დღესაც ავტობუსში ვატარებდით და მხოლოდ საღამოს პარდაპარ სცენაზე გვიხდებოდა გასვლა.

ბატონი ნიდარ გურაბანიძე გზაში გვიკითხავდა საინტერესო ლექციებს, გვყვებოდა ესპანური და ქართული კულტურის შესახებ, იგონებდა კურიოზულ შემთხვევებს, რაიაც ანსამბლის წევრებს უმსუბუქებდა მძიმე მოგზაურობას.

მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, ანსამბლის წევრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს წარმატების მოსაპოვებლად.

ჩვენთან ერთად ავტობუსით მგზავრობდა ჩვენი იმპრესარიო ბ-ნი ალია ჯაბადარი. ბატონი ალია წარმოშობით კახეთის სოფელ საბუედან იყო. რევოლუციის წინა პერიოდში ბელგიაში სწავლობდა, რევოლუციის შემდეგ კელარ დაბრუნდა სამშობლოში და პარიზში დასახლდა. მისი ძმა იყო ცნობილი კომპოზიტორი ერეკლე ჯაბადარი, რომელიც აგრეთვე პარიზში ცხოვრობდა, სადაც დაიღუპა. რასაც ბ-ნი ალია ძალიან მტკივნეულად განიცდიდა. ბატონ ალიას ძალიან უყვარდა ანსამბლი „რუსთავი“ მის წევრებს „ჩემს ბიჭებს“ ეძახდა. იგი მიუხედავად ხანდახმულობისა გასტროლების დროს ერთი წუთითაც არ გვშორდებოდა, ავტობუსში სულ ჩვენთან იჯდა. ძრაჟალსაათიანი მგზავრობის დროს გვიყვებოდა საინტერესო ამბებს. მას მხურვალედ უყვარს საქართველო, უყვარს ქართველები და ისინი მსოფლიოში ყველაზე კეთილშობილ ხალხად მიაჩნია. — „სად არ ყოფილვარ, მაგრამ ქართველზე უფრო კეთილშობილი კაცი ჯერ არ მინახავს. ყველა ქართველში 70 პროცენტი სიკეთეა. 30 პროცენტი ეშმა ხის, მაგრამ ის ეშმა თუ ამოქმედდა, ღმერთმა



რუსთავი. 1975 წ.

დაიფაროს, ყველაფერს გადაფარავსო“ – გვეტყოდა. უყვარდა ქართლ-კახური სიმღერები, განსაკუთრებით „ზამთარიო“ იგი საკონცერტო პროგრამაში შეგვატანინა, ავტობუსშიაც ჰამლეტ გონაშვილსა და ირაკლი მათიკაშვილს სულ სთხოვდა, ერთი „ზამთარიო“ მიმღერეთო.

ბატონ ილიას ძალიან უყვარდა „ქინძმარაული“ და „გუდის ყველი“ რომელიც ყოველკვირეულად მიგვქონდა მისთვის. — ამ ყველს რომ სათანადო რეკლამა ჰქონდეს, ყველა ფრანგულ ყველს აჯობებდაო – ამბობდა. საღამოობით, კონცერტის შემდეგ, სასტუმროში შევიკრიბებოდით ბატონ ილიასთან, იგი „ქინძმარაულს“ წრუპავდა „გუდის ყველთან“ ერთად და თან საინტერესო ძველ ამბებს გვიყვებოდა. ბ-ნი ილია შესანიშნავი მოსაუბრე იყო. შიგადაშიგ გვთხოვდა, აბა ერთი რაძე კიდევ წავიღიღინოთო. ერთხელ გვიამბო, თუ როგორ აჩუქა თავის მეზობელს პარიზში ერთი ბოთლი „ქინძმარაული“ ორი, დღე მეზობელი ჩვეულებრივ ხვდებოდა, არაფერი უთქვამს, ალბათ არ მოეწონაო, იფიქრა ბატონმა ილიამ. მესამე დღეს ფრანგი მეზობელი აღფრთოვანებული შეხვდა, ეს რა მაჩუქეო. მოგეწონა ქართული ღვინო? კითხა ილიამ. ეს ღვინო კი არა, პოემაა სიყვარულზე, უპასუხა მეზობელმა. ხშირად ასეთ საუბრებში თავზე დაგვთენებია, მაგრამ დაღლა არ გვიგრძვნია.

ესპანეთში ჩვენთან პარიზიდან ჩამოვიდა დიდებული ქართველი ბატონი ვიქტორ ხომერიკი, მას ჩვენ 1970 წლიდან ვიცნობდით „რუსთაველის“ საფრანგეთში გასტროლების პერიოდიდან. ბატონ ვიქტორს გულწრფელად უყვარდა ჩვენი ანსამბლი და ევროპაში სადაც კი „რუსთაველი“ გამოჩნდებოდა, აუცილებლად ჩამოვიდოდა.

ამჯერადაც ასე მოხდა, იგი ესპანეთში გვესტუმრა და ჩვენთან რამდენიმე ღღე დარჩა. კონცერტის შემდეგ ხან რესტორანში გვეპატიჟებოდა, ხანაც ბატონ ილიასთან ერთად ვსხდებოდით სასტუმროში, ქართულ ღვინოსა და ყველს შევექცეოდით და დილამდე ვსაუბრობდით საქართველოს ბედსა და მომავალზე. ვიქტორს უფრო გურული სიმღერები უყვარდა და როცა სიმღერას წამოვიწყებდით, მას თვალებში ცრემლი ჩაუდგებოდა, ილია და ვიქტორი სულ ჩვენთან ერთად იყვნენ და ამით იქარვებდნენ სამშობლოსაგან განშორების სევდას.



ესპანეთი. ვალენსია. 1975 წ.

ეს საღამოები ალბათ სიცოცხლის ბოლომდე დამამახსოვრდება.

ჩვენ ესპანეთში ბევრი მეგობარი გავიჩინეთ. კონცერტების დროს ხშირად ყრიდნენ ფურცლებს სცენაზე წარწერით, „თქვენ ესპანეთში ბევრი მეგობარი გყავთ“ ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ ქ. დეინაში ჩვენთან მოიყვანეს 9 წლის ბიჭუნა, სახელად ხოსე, რომელიც ტიროდა და ანსამბლის წევრებს ეხვეოდა. თურმე ხოსეს ძალიან მოუწონა ქართული ცეკვები და ითხოვა აგვეხსნა მისთვის, სად არის საქართველო. ვანომ სახელდახელოდ დაუხატა კავკასიის რუქა და ზედ საქართველო მოუნიშნა. ხოსემ



ესპანეთი. თემურ ბუაძენიძე და ანზორ ერქომაიშვილი. 1975 წ.

ითხოვა, გვეამბნა ბევრი რამ საქართველოზე. ჩვენც ვუამბეთ. შემდეგ მოითხოვა, რომ თან წამოგვეყვანა საქართველოში. ატირებული ხოსე მანამ ვერ დავაშშვიდეთ, სანამ არ შეუპირდით, რომ როცა ხელმეორედ ჩამოვდიოდით, მაშინ წავიყვანდით.

ახლახან მივიღე ხოსეს წერილი, იგი თხოულობს ანსამბლის ფოტოსურათებს მისი წევრების ავტოგრაფებით.

10 აგვისტოს ჩავედით ქ.მალაგაში, ბატონ ნოდარ გურაბანიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავიდანვე მიიღო ზომები, რომ ანსამბლი თავისუფალ დროს წაეყვანათ ღირსშესანიშნავი ადგილების და ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად. ჩვენც ამისთანა მომენტს ხელიდან არ ვუშვებდით. დავათვალიერეთ ქ.მალაგა. აქ არის შესანიშნავი კათედრალური ტაძარი, რომლის მუზეუმში გოიას, ტინტორეტოს და სხვა დიდი მხატვრების რამდენიმე ნამუშევარი ინახება. დავათვალიერეთ მალაგის ციხესიმაგრე, რომელიც შუასაუკუნეებშია აგებული და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. დავუთვალიერეთ მალაგის ცენტრალური პროსპექტი. რომელიც დაფარულია პალმებითა და ჭადრებით ისე, რომ მასში მზე და წვიმაც კი ძნელად ატანს, ხოლო ამ პროსპექტს ბოლომდე მარმარილოს ქვაფენილი მიჰყვება. რომელზედაც მხოლოდ ლამაზად მორთული ეტლები და ფეხით მოსიარულენი დადიან.

მალაგიდან გემით გადავცურეთ ხმელთაშუა ზღვა და ჩავედით მარსელში, სადაც ქ.მელილაში დანიშნული იყო ჩვენი კონცერტი. მთელი გზა ხმელთაშუა ზღვაზე ჩვენს გემს მოაცილებდნენ დელფინები, რომლებმაც შესანიშნავი ატრაქციონი გვიჩვენეს.

მელილაში კონცერტი გაიმართა ბრწყინვალედ მოწყობილ ღია საკონცერტო ესტრადაზე, სადაც ფარდის მაგივრად სცენას შადრევნების ჭაუჭები ფარავს.

მელილა წმინდა აფრიკული ქალაქია თავისი მეჩეთებით, აქლემებითა და ჩადრიანი ქალებით.

მელილადან ისევ ესპანეთში დავბრუნდით და კონცერტები გავაგრძელეთ. პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ჩვენს გამოსვლებს. მოგვყავს ერთ-ერთი მათგანი.

გაზ. „დიარიო დი ანდალუსია“, სამშაბათი, 1 სექტემბერი. საბჭოთა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „რუსთავი“

„პროგრამა უაღრესად თანმიმდევრული და დიდი გემოვნებით იყო შედგენილი.



ესპანეთი. ანსამბლი „რუსთაველის“ აფიშა. 1975 წ.

ეს წააგავდა სრულყოფილი მოზაიკით შესრულებულ ქშნილებას, რომლის ხილვითაც ტკბები და ესთეტიკური სიამოვნების ექსტაზში შედიხარ. დაუვიწყარი უძველესი მრავალხმიანი სიმღერები, უმაღლეს დონეზე შესრულებული, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ცეკვების განსხვავება თუმცა ძნელია, ისევე როგორც ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების შედარება, მაგრამ რამდენიმე ცეკვაზე მაინც შევჩერდებით. ძალიან კარგი ცეკვაა ბრძოლის სულისკვეთებით აღბეჭდილი „ხორუმი“ „ფარიკაობა“ და საქორწილო ცეკვა „სიმდი“

დადგმა სრულყოფილია, ქორეოგრაფიული მხარე, კოსტიუმები და მუსიკალური შესრულება – უმაღლესი დონის.

ღირს ასეთი სამაგალითო სპექტაკლის ნახვა.

ამ აზრს ეზიარა ყველა, ვისაც ხედა ბედნიერება ენახა ხალხური შემოქმედების მშვენება, და ეს იყო ერთადერთი მიზეზი იმ დიდი წარმატებისა, რამაც ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. ღირსეულ ანსამბლს ხალხმა ღირსეული განაჩენი გამოუტანა“

ბოლო ორი კონცერტი გაიმართა სევილიაში. ამ ქალაქმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე.

მეფისა და შაჰის სასახლეები, არაჩვეულებრივი მუზეუმები, არაბული, რომაული და ესპანური არქიტექტურა, შუასაუკუნეების შესანიშნავი ნაგებობანი არაბული გაკლენით, რომაული ხიდები, ვიწრო ქუჩები, ბალკონები ყვავილებით და შეყვარებულებით სავსე. ღამღამობით ისედაც ვიწრო ქუჩები გაუსებულია მოსეირნე წყვილებით, წყვილები — გამოწყობილნი ესპანურ ნაციონალურ კოსტიუმებში, მოედნებზე — ესპანური ცეკვები. ყოველივე ეს ისეთ სურათს ქმნიდა, რომ უცებ თავი შუასაუკუნეებში წარმოვიდგინეთ, ხოლო სევილიის დიდი კათედრალური ტაძარი ალბათ ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის, რაც კი ოდესმე მინახავს. მასში უხვადაა წარმოდგენილი ესპანეთის ისტორიული ნივთები: შუასაუკუნეების კოსტუმები, სამკაულები, გობელენები, ტილოები, დიდი ესპანელი მხატვრების ნამუშევრები, რომელზედაც ასახულია ესპანელი ხალხის ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ.

არასდროს დამავიწყდება ბოლო კონცერტი სევილიაში, როცა ჩვენი ხმის რეჟისორი რაფაელი თვალცრემლიანი იჯდა თავის სამართავ პულტთან და სცენაზე ჩვენი ბიჭების მიერ შესრულებულ სიმღერებს ზუსტად აყოლებდა თავის ხმას. (მან

თვე-ნახევრის განმავლობაში ბევრი ქართული სიმღერა შეისწავლა ჩვენი რეპერტუარიდან), ხოლო კონცერტის შემდეგ სამივე ჩვენმა ესპანელმა მეგობარმა მძღოლმა ანტონიომ (რომელსაც საჭის გვერდით ვეჯექით და მხიარული სიმღერებით ვართობდით, რომ არ ჩასძინებოდა მთელი დამის განმავლობაში) და გამნაოებელმა მანოლომ გულწრფელი ცრემლებით გამოხატეს ჩვენდამი სიყვარული და გვითხრეს, რომ ქართველების სახით მათ უჩვეულო ხალხი გაიცნეს, რომ ძალიან შეგვეჩვიენენ და უჩვენოდ ძალიან მოსწყინდებათ.



მოცეკვავე თემურ ბურჯანიძე

სვილიაში შევხვდით კიევის დინამოს ფეხბურთელებს, რომლებმაც დაამთავრეს ტურნე ესპანეთში და სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ისინი ძმებივით გადაგვეხვიენენ და გაგვაგებინეს ჩვენი ქვეყნის ახალი ამბები. დიდი გულისტკივილით განვიცადეთ თანამედროვეობის უდიდესი კომპოზიტორის, დიმიტრი შოსტაკოვიჩის გარდაცვალება. დავეშვიდობეთ ფეხბურთელებს და შურით გავაყოლეთ თვალი სამშობლოში მიმავალთ.

სვილიიდან გავემგზავრეთ მადრიდში, სადაც რამდენიმე დღე დავყავით. მადრიდში ჩვენი კონცერტი არ იყო დანიშნული, ვინაიდან საკონცერტო სეზონი 16 სექტემბერს იხსნებოდა. ჩვენ თავისუფალი დრო გვქონდა და ეს დრო ქალაქისა და მუზეუმების დათვალიერებას მოვანდომეთ. აქ ისევ ნოდარ გურაბანიძე დაგვეხმარა. ის იყო ყველა ექსკურსიის ორგანიზატორი.

ჩვენ მთელი თვე ერთად გავატარეთ. იგი შესანიშნავი ხელმძღვანელია, ფრიად განათლებული პიროვნება, ენერგიული, ძომთხოვნი. იშვიათი პატრიოტი, პრინციპული, უშიშარი, თქვა ყველაზე მძიმე სიტუაციაშიც კი „ზედამხედველებს“ აიძულებდა დათმობაზე წასულიყვნენ. პასუხისმგებლობას თავისთავზე იღებდა. ადვილი არ არის, როცა სსრ კავშირის სახელით გამოდიხარ და აყიშპბზე ხშირად რუსულ ანსამბლად მოგიხსენიებენ, დაიცვა შენი თავი და შენი ქვეყნის ღირსება, მთელ ქვეყანას ამცნო, რომ ჩვენ რუსები კი არა. უძველესი კულტურის მქონე ხალხი, ქართველები ვართ და ჩვენი სამშობლო საქართველოა.

ბატონი ნოდარი დაუმეგობრდა „რუსთაველს“ თითოეულ წევრს, მათთან ერთად იყო, მძიმე გადასვლების დროს ამხნევებდა, პრობლემებს აგვარებდა, თავისუფალ დროს ახერხებდა და ესპანეთის ღირსშესანიშნაობებს აცნობდა ანსამბლის წევრებს. მუზეუმებში ექსკურსიამძღოლობასაც გვიწევდა თავისი იშვიათი განათლების წყალობით. მოკლედ, ბატონმა ნოდარმა ძლიერ შეაყვარა თავი რუსთაველებს, ის რომ არა, პრაქტიკულად ვერაფერს ვნახავდით და ბევრი პრობლემაც შეგვექმნებოდა.

„რუსთაველთან“ ბატონ ნოდარ გურაბანიძის მეგობრობა დღემდე გრძელდება. დიდი მადლობა მას.

მადრიდმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა თავისი მასშტაბურობით, ისტორიული ძეგლებით, პარკებით, ძველი და ახალი არქიტექტურული ნაგებობებით, სერვანტესისა და მისი გმირების ძეგლებითა და, რაც მთავარია, შესანიშნავი მუზეუმებით. ბოლო ორი დღე მოვანდომეთ „პრადოს“ დათვალიერებას, სადაც მეგზურობას ნოდარ გურაბანიძე და ჩვენი ვანო გვიწევდნენ.

რაფაელი, ელ-გრეკო, ბოსხი, ველასკესი, მურილიო, გოია, რუბენსი, ბოტიჩელი, ტინტორეტო და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი დიდი მხატვრის შესანიშნავი ქმნილებებია ამ მუზეუმში. შთაბეჭდილება, რომელიც მათმა ნამუშევრებმა მოახდინეს ჩვენზე, ენით აუწერელია.

ერთ საღამოს ესპანელმა მეგობრებმა დაგვპატიჟეს რესტორანში, სადაც გამოდიოდა ცნობილი ანსამბლი „ფლამენგო“. წარმოდგენას იწყებს სოლისტი, რომელიც გიტარის აკომპონიმენტზე მღერის ხალხურ სიმღერას მაღალ რეგისტრში. ეს სიმღერა არაფრით განსხვავდება არაბული სიმღერისაგან (როგორც ჩანს, არაბთა მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ თავისი დაღი დაამჩნია ესპანურ ფოლკლორს). სიმღერის შემდეგ სცენაზე მსხდომი სოლისტები იწყებენ ტაშის დაკვრას უჩვეულო რიტმით, რომლის თანხლებით ნაციონალურ ტანსაცმელში ჩაცმული მოცეკვავე ქალი იწყებს ცეკვას ნელა, ხოლო შემდეგ თანდათან ცეკვის ეშხში შედის, ტაშთან ერთად ქუსლების კაკუნით ურთულეს რიტმს ქმნის, თანდათან უმატებს ტემპს და თავბრუდახვევამდე მიდის. ეს იმდენად ეფექტურია, რომ არც კი მახსოვს, ცეკვის დამთავრებისას როგორ ავდექი ფეხზე სხვა მაყურებელთან ერთად. დიდი ლირიზმით არის გამსჭვალული მოცეკვავე წყვილის ცეკვა, სადაც ქალის მიმართ დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც ქართულ ცეკვაში (სხვაგან ეს არ გვინახავს).

ჩვენ აღტაცებული დავრჩით ესპანური ცეკვით და განსაკუთრებით საცეკვაო რიტმებით, რომლის მსგავსი არც გაგვიგონია. შემდეგში ბევრჯერ ვცადეთ მისი გამეორება, მაგრამ არ გამოგვივიდა.

მადრიდში ცხოვრობს ჩვენი თანამემამულე ქალბატონი თამარ (ციცა) ბერიძე, იგი ჩვენთან მოვიდა და ოჯახში დაგვპატიჟა. ქალბატონი თამარი ჩემი თბილისელი მეგობრის ბიჭიკო მარჯანიშვილის ახლო ნათესავია, გარდა ამისა, მას თბილისში დიდი სანათესაო და სამეგობრო წრე ჰყავს. ნათესავები მას სიყვარულით ციცას ეძახიან. იგი დიდი ხანია ესპანეთში ცხოვრობს. მისი მეუღლე იყო უნგრული წარმოშობის, საკმაოდ შეძლებული პიროვნება, რომელსაც მადრიდში რამდენიმე აფთიაქი ჰქონდა. ციცას ქმარი რამდენიმე წელია გარდაიცვალა და ახლა ამ აფთიაქებს თვითონ ფლობს.

ციცა ბერიძეს არაჩვეულებრივი პურმარილი მოეწყობინა ჩვენთვის. მან ქართული სუფრა გაგვიშალა, რომელიც ძალიან მოგვენატრა თითქმის თვე-ნახევარი მოგზაურობის შემდეგ. ქეიფი დილამდე გაგრძელდა, ითქვა ბევრი სადღეგრძელო და ბევრი სიმღერა. მეზობლებს ფანჯრები გამოელოთ და დიდი ინტერესით უსმენდნენ თამარ ბერიძის უცნაურ სტუმრებს, სიმღერების შემდეგ ხანდახან ტაშიც კი გაისმოდა. აქ ასეთი რამ არ ხდება, ეს მეზობლები ღამე რომ შეაწუხო, პოლიციას გამოიძახებენ, დღეს ალბათ ძალიან მოეწონათ თქვენი სიმღერები და გეთხოვენ, თუ შეიძლება თქვენმა სტუმრებმა კიდევ იმღერონო.

ქალბატონი თამარი შესანიშნავი მასპინძელი იყო, მან ანსამბლის ყველა წევრისთვის საჩუქრები მოამზადა, გარდა ამისა, თავისი აფთიაქებიდან შეაგროვა დიდძალი დეფიციტური სამკურნალო საშუალებები და თბილისში გამოგვატანა, ჩვენ იგი ჯანმრთელობის სამინისტროს გადავეცით.

ციცა ბერიძესთან ქეიფი დილამდე გაგრძელდა, დილით შეზარხოშებული და კმაყოფილი „რუსთაველები“ სიყვარულით დაემშვიდობნენ ჩვენს იშვიათ მასპინძელს.

ჩვენი გასტროლის ბოლო საღამოს ფესტივალის მთავარმა იმპრესარიომ – ბურიომ ანსამბლის ხელმძღვანელობა დაპატიჟა მადრიდის ყველაზე ძვირად ღირებულ რესტორანში.

ეს რესტორანი ქალაქგარეთ მდებარეობს ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას. იგი ერთსართულიანია და გარეგნულად რაიმე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. რესტორანი იმითაა საინტერესო, რომ იქ ნებისმიერი ქვეყნის ნაციონალური კერძი შეგიძლიათ შეუკვეთოთ, გარდა ამისა, შეგიძლიათ მოითხოვოთ მსოფლიოში სახელგანთქმული ღვინოები, როგორც ძალიან ძველი, ასევე ახალიც.

ბატონმა ბურიომ მოგვილოცა გასტროლების წარმატებით დამთავრება და მადლობა გადაგვიხადა მაღალი პროფესიონალიზმისათვის, რომელიც ანსამბლის წევრებმა გამოამჟღავნეს.

რესტორანში გამოჩენილი მხატვრების ორიგინალების ნამდვილი გამოფენაა მოწყობილი, გარდა ამისა გამოჩენილი მუსიკოსები მხოლოდ კლასიკას უკრავენ. ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, დავმტკბარიყავით მათი მუსიკით და გვენახა დიდი მხატვრების იშვიათი ტილოები.

ჩვენმა ქორეოგრაფმა რეზო ჭოხონელიძემ და მე შევუკვეთეთ ესპანური ნაციონალური კერძები, ხოლო ღვინოებიდან შეგვირჩიეს 40 წლის წინანდელი ესპანური საუკეთესო ღვინოები. მახსოვს, ღვინო მოიტანეს გაქათქათებულ თეთრ ტილოებში გახვეული მტვრიანი ბოთლებით, რომელსაც თავზე ძველი თოკები პქონდა გადაკრული და ლუქით იყო დაბეჭდილი, ისინი ისეთივე მტვრიანი გვაჩვენეს, როგორც ინახებოდა სარდაფში, შემდეგ წაიღეს, კარგად გარეცხეს და მოგვიტანეს უკვე სუფთა, რომელიც ჩვენ თვალწინ გახსნეს და ლიტრიან ფუჟერებში ჩამოგვისხეს. მე და რეზომ ღვინოს ჭაშნიკი გავუსინჯეთ, ცდუნებას ვეღარ გაუძელით და ქართულად სულმოუთქმელად დავცალეთ ლიტრიანი ფუჟერები, თურმე იგი ქეიფის ბოლომდე ნელ-ნელა უნდა გვესვა.

ჩვენმა მასპინძლებმა ეს ფაქტი იმით ახსნეს, რომ ჩვენ ესპანური ღვინო ძალიან მოგვეწონა და ამჯერად ასეთივე ძველი, მაგრამ თეთრი ღვინო შეუკვეთეს. ვახშამი გვიან ღამემდე გაგრძელდა. განვიხილეთ ფესტივალთან დაკავშირებული ყველა საკითხი და კმაყოფილები დავცილდით ჩვენს მასპინძლებს.

თვე-ნახევრის განმავლობაში ესპანეთში ავტობუსით გავიარეთ 10000 კილომეტრზე მეტი, 25 ქალაქში გავმართეთ 31 კონცერტი, რომელსაც დაესწრო 103 ათასი მაყურებელი, დაიწერა ბევრი შესანიშნავი სტატია, სადაც არც ერთი კრიტიკული შენიშვნა არ ყოფილა.

ასე დავამთავრეთ ტურნე ესპანეთში და 3 სექტემბერს გამოვემგზავრეთ სამშობლოში. მადრიდის აეროპორტში გვაცილებდნენ ჩვენი ესპანელი მეგობრები, მძღოლი ანტონიო, რაფაელი და მანოლო, მათ რწმენა გამოთქვეს, რომ აუცილებლად ჩამოვლენ საქართველოში, რომელიც ასე შეგვაყვარა თქვენმა ანსამბლმაო.

ვბრუნდებოდით სამშობლოში დაღლილები, მაგრამ კმაყოფილები იმითი, რომ „რუსთავმა“ და ქართულმა ხალხურმა ხელოვნებამ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ისეთი კულტურის ქვეყანაში, როგორიც ესპანეთია, ეს წარმატება ეკუთვნოდა ქართველ ხალხს, ჩვენს წინაპრებს, რომლებმაც ასეთი არაჩვეულებრივი თვითმყოფადი კულტურა შექმნეს.

1975 წელი

არივედერჩი

(იტალია)

იტალიაში ვინც ერთხელ მაინც ყოფილა, გამომშვიდობებისას აუცილებლად იტყვის, – „არივედერჩი“, ე.ი. „ნახვამდის“ იტალია. რამდენჯერაც არ უნდა ჩახვიდე ამ შესანიშნავ ქვეყანაში, ყოველთვის გიჩნდება სურვილი, კიდევ ერთხელ ნახო იგი და ასე გრძელდება უსასრულოდ.

ანსამბლი „რუსთაველი“ იტალიაში რამდენჯერმე იყო. პირველად იგი 1973 წელს გაემგზავრა, ტურნე უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის საქართველოს საზოგადოების მიერ იყო ორგანიზებული. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი გახლდათ ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ქ-ნი მადონა მგელაძე, რომელმაც ერთთვიანი გასტროლი შესანიშნავად წარმართა. კონცერტები დიდი წარმატებით მიდიოდა, გვქონდა შესანიშნავი შეხვედრები და თუ დღეს „რუსთაველი“ ხშირად იწვევენ იტალიაში, ქ-ნი მადონა მგელაძის დიდი დამსახურებაა.

ამჯერადაც სიხარულით შევიტყვეთ, რომ 1986 წელს, ისევ გვიწვევდნენ „ტენორებისა და ფორტეპიანოს ქვეყანაში“.

ჩვენთან ერთად დელეგაციაში იყვნენ ჩვენი უცვლელი თანამგზავრი: დიდი რეზო თაბუკაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე გურამ გალოგრე, ოპერატორი იური ბარამიძე და თარჯიმანი ვანო ცაგარეიშვილი. დელეგაციის ხელმძღვანელად დაგვინიშნეს ჩვენი დიდებული პოეტი ბატონი ჯანსულ ჩარკვიანი, რამაც ძალიან გაგვახარა.

ამჯერად იტალიაში მიეყავდით ცნობილ იმპრესარიოს აიაცს, რომელსაც არ ენახა, მაგრამ გაეგონა „რუსთავის“ წარმატების შესახებ, და რადგან „გოსკონცერტმა“ შესთავაზა „რუსთავი“, აიაცმა იცოდა, რომ „გოსკონცერტში“ ცუდი კოლექტივები არ თანამშრომლობდნენ.

ხელშეკრულების დადების დროს მოსკოვში გამომიძახეს. იქ გაიცანი ჩვენი იმპრესარიო, მერე რესტორანში ვიეახშმეთ ერთად და დავმეგობრდით. აიაცი ყოფილი მოცეკვავე იყო, იგი კარგად იცნობდა ქართულ ცეკვას, იცოდა სუხიშვილების წარმატების შესახებ „ლა-სკალაში“, ამიტომ მთხოვა, - იტალიაში ახლა ტენორების ბუმია. პავაროტი მეფობს, ამიტომ ვეჭვობ, რომ ხალხური სიმღერა ვინმემ მოისმინოს, და გთხოვ, იგი მაქსიმალურად შეამცირეო.

მოსკოვიდან 17 ივლისს ჩაეფრინდით მილანში. აეროპორტში დაგვხვდა აიაცი, თარჯიმანი და ექსკურსიამძღოლი ლუიზა და მძღოლი პეპე. ცოტა ხანს ქალაქი დავათვალიერეთ, ვისადილეთ და გავემგზავრეთ ქ.ბიბიონში. იგი მშვენიერი ზღვისპირა საკურორტო ქალაქია, სულ რაღაც 30 წელია რაც აშენდა. ჩვენი სასტუმრო ზედ ზღვის ნაპირზე დგას, საიდანაც ულამაზესი ხედი იშლება.

18 იელისს დანიშნული იყო ჩვენი პირველი კონცერტი, მაგრამ დაწყების წინ დიდი წვიმა მოვიდა და იგი მეორე დღისთვის გადაიდო. მეორე დღეს დიდი წარმატებით გამოვედით, აიაცი კონცერტზე არ იყო, წარმატების შესახებ პრესით გაიგო.

19 იელისს ადრე დილით ექსკურსიაზე ვენეციაში გავემგზავრეთ, რამაც ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა (უკვე მერამდენედ). იქ მიგვიღო ქალაქის მერმა, ჩვენ ვიმღერეთ, მერს ძალიან მოეწონა და გამოთქვა სურვილი დღეს საღამოს ბიბიონში დასწრებოდა ჩვენს კონცერტს. ვენეციის მერი ბატონი რეზო თაბუკაშვილის მეგობარია.

ბიბიონში ჩვენი კონცერტი უდიდესი წარმატებით ჩატარდა, კონცერტს დაესწრო 3000 კაცი. კონცერტის შემდეგ სცენაზე ამოვიდა ვენეციის მერი მეუღლითა და თანმხლები პირებით, მან აღტაცება ვერ დაფარა და ბატონ რეზოს სთხოვა, 22 იელისს მინდა ეს ანსამბლი ვენეციაში დაეპატიჟო და "სან მარკოს" მოედანზე დიდი კონცერტი გაემართოო. – ჩვენ, რასაკვირველია, სიამოვნებით დავთანხმდით.

მეორე დღეს დავათვალიერეთ ქალაქი ლიდო, ესეც საკურორტო ზღვისპირა ქალაქია, ლიდოდან გავემგზავრეთ „სან-მარინოში", სადაც ცხოვრობს სულ 18000 კაცი, ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში. ამ პატარა სახელმწიფოს ჰყავს თავისი პრეზიდენტი, რომელსაც „კაპიტანს" ეძახიან.

„სან-მარინო" აშენებულია მთაზე, იგი ულამაზესი სანახავია და ბევრ ტურისტს იზიდავს. დადიხარ ამ ქალაქში და გგონია, რომ შუა საუკუნეებში ცხოვრობ.

იმ დღეს კონცერტი არ გექონდა, „სან-მარინოდან" ექსკურსიაზე ქ.ვერონაში გავემგზავრეთ. ვერონა უძველესი კულტურის ქალაქია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა V-VI საუკუნეების ტაძრებმა, სადაც იმდროინდელი მოზაიკაა შემორჩენილი. ვერონა დანტეს სამშობლოა, მივედით მის საფლავზე, თაყვანი ვეცით და ქართულად ვუგალობეთ, მერე სურათებიც გადავიღეთ. 1944 წელს დანტე გადაუსვენებიათ სხვაგან, რომ ფაშისტებს მისი საფლავისთვის მიეგნოთ, შემდეგ ისევ დააბრუნეს თავის სავანეში. ვერონაშია, აგრეთვე, რომეოსა და ჯულიეტას საფლავები, ეს ქალაქი განთქმულია ცნობილი არენით, სადაც ტარდება თეატრალური ფესტივალები. ვერონაში პირველად 1985 წელს გახლდით, მაშინ ქალაქის ულამაზეს საოპერო თეატრში ორი კონცერტი გავმართეთ. შემდეგ სხვა ქალაქში გავემგზავრეთ, გზად ერთ სოფელში შეგვაჯავნეს, მერე რესტორანში შეგვიყვანეს სასადილოდ. ჰამლეტ გონაშვილი არსად ჩანდა, ბიჭებმა ბევრი ეძებეს, მაგრამ ამაოდ. მერე ვანო ცაგარეიშვილმა ძალიან შორს შეამჩნია მამაკაცის ფიგურა და იქითკენ წავიდა. ახლოს რომ მივიდა, რას ხედავს, ჰამლეტი ვიღაცის ჭიშკარს მიდგომია და შუახნის ქალბატონს ხელებით რაღაცას უხსნის, ის ქალი ვერ იგებს და სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი, აი რა გაირკვა: ჰამლეტს მინდორში შეუნიშნავს განსხვავებული ჯიშის დიდი ლამაზი ქათამი, ასეთი ჯიშის ქათამი თურმე საქართველოში არ არსებობს. იგი ნელ-ნელა მიუახლოვდა ქათამს, რომელიც შეშინდა და სახლისკენ გაიქცა, ჰამლეტი გაჰყვა. სახლი საკმაოდ შორს იდგა, ჰამლეტს არ დაეზარა და ბოლომდე მიჰყვა. მერე დიასახლისს დაუძახა და როცა მათთან ვანო მივიდა, გაირკვა, რომ ჰამლეტი ქალბატონს ამ ქათმის კვერცხებს სთხოვდა, მაგრამ ვერაფერი გააგებინა, ჰამლეტს უნდოდა, რომ ამ ქათმის ჯიში საქართველოში მოემრავლებინა. ვანომ ყველაფერი აუხსნა ქალბატონს, მან ბევრი იცინა თურმე, მაგრამ, სამწუხაროდ, სახლში კვერცხები არ აღმოაჩნდა.

22 იელისს ვენეციის მერის მიწვევით დილიდანვე გავემგზავრეთ ვენეციაში. იქ დაგვხვდნენ მერიის წარმომადგენლები. საკონცერტო ესტრადა მოეწყოთ ცნობილი

„სან-მარკოს“ მოედანზე, როგორც გვითხრეს, ამ მოედანზე ჯერ არც ერთი საბჭოთა კოლექტივი არ გამოსულა, ის კი არა ბოლო სამი წელია საერთოდ აიკრძალა აქ კონცერტების გამართვა. ჩვენთვის დიდი გამონაკლისი დაუშვეს, მერიამ ამისთვის სპეციალური დადგენილება გამოიტანა. კონცერტი გეიან საღამოს იყო დანიშნული, ამიტომ შივაშურეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

ვენეციაში რომ ჩადიხარ, შენ უკვე მისი ტყვე ხარ, ეს არის მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება, მასთან ყოველი შეხვედრისას ისე ღელავ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ულამაზეს ქალს პაემანზე უნდა შეხვდე. ვენეციაში „სან-მარკოს“ მოედანზე ვინც ყოფილა, უსათუოდ დამეთანხმება, მას თავზე თაღად ადგას განსაკუთრებული ფერის ცა, ღამით ეს ცა ვარსკვლავებით მოიჭედება, აბრდღვიალდება და ისეთი შეგრძნება გაქვს, რომ ამდენი ვარსკვლავი სხვაგან არსად არის.

დიდი არხის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია არაჩვეულებრივი შენობები – მარმარილოს სასახლეები აგებული XIII — დან XVIII საუკუნემდე. როგორც გვითხრეს, ერთში ცხოვრობდა კეთილშობილი მაური ოტელო, მეორეში — ჯორდანო ბრუნო, მესამეში — ტიციანი და ა.შ.

აქ თითოეული სახლი ისტორიული ძეგლია. „სან მარკოს“ მოედანი „დოჟების სასახლით“ აშენებულია მოყვითალო ფერის მარმარილოთი, სამრეკლო წითელი აგურისგანაა აშენებული და ატყორცნილია ცაში, მისი კოშკი - ფრთიანი ლომით ვენეციის სიმბოლოა და თავისი სილამაზით ყველას ანცვიფრებს. „სან-მარკოს“მოედანი ნაპოლეონს ასე შეუმკია: - „ეს საცეკვაო დარბაზი ერთადერთია მსოფლიოში, რომელსაც სახურავად ცა გაუხდია“.

დღეს აქ ათასნაირი ჯურის ხალხი ირევა, ტურისტები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან იღებენ ფოტოსურათებს, ვაჭრობენ სუვენირებით. მოკლედ, “სან-მარკოს” მოედანი გაჭედილია ხალხითა და მტრედებით, რომლებიც აქ მილიონობითაა, ხალხს არ უფრთხის და ფეხებში ედება, ხალხიც მათ საკვებს უყრის. ვენეციის მუზეუმებში და გალერეებში თავმოყრილია მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნების უამრავი ნიმუში.

„დოჟების სასახლე“ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს, მახსოვს 1976 წელს, რუსთავის გასტროლების დროს, „დოჟების“ სასახლეში მერიამ დიდი მიღება მოაწყო, სადაც მე და ჰამლეტ გონაშვილი დაგვპატიჟეს. იქ მრავალნაირი ღვინო მოიტანეს.

ჰამლეტ გონაშვილი ღვინის კარგი მცოდნე და დეგუსტატორია, ჩვენ გავსინჯეთ ყველანაირი ღვინო, რომელიც მიღებაზე იყო წარმოდგენილი. ჰამლეტს ძალიან მოეწონა იტალიური ღვინოები, ზოგიერთ მათგანს მშობლიურ კახურ ღვინოს ადარებდა. თქვენებურ ღვინოს „იზაბელას“ არც ერთი არ გავსო? – მკითხა ჰამლეტმა, მე გამეღიმა და მას ვუამბე პატარა ისტორია, რომელიც ბიძაჩემს – შაქრო თოიძეს შეემთხვა.

შაქროს ოჯახში სტუმრები ჰყავდა, რომელთაც მისი დაწურული „შეკეთებული“ „იზაბელა“ დაალევინა. სტუმრები მაგრად დათვრნენ. მეორე დილით, უთენია, შაქრო ტყეში მიდიოდა სანადიროდ. გზაში ფხალის ფოთოლით თავშეხვეული გუშინდელი სტუმარი, ახლო მეზობელი გური თოდრაძე შეხვდა.

– სა მიხვალ ბიჭო შაქროია ამ უთენია? – შეეკითხა გური და როცა გაიგო, რომ შაქრო კვერნებზე სანადიროდ მიდიოდა, უთხრა: - მერე რად გინდა მაი თოფი რომ მოგაქვს, წამოგეღო ერთი ბოთლი შენი ღვინო, შეასხამდი ხეზე და ყველა კვერნა ჩამოცვივდებოდა ძირს“.

– ჰამლეტმა გულიანად იცინა.

ულამაზესია ვენეციის ვიწრო „ქუჩები“ – არხები, აქ ნავებით დაცურაენ და მეზობლებთანაც ქალები „საჭორაოდ“ ნავებით გადადიან.

ლამაზია გონდოლები, შავი ბრჭყვიალა ლაქით შეღებილი, რომელშიც გამოკრულია აბრეშუმის ნაქარგები, ბალიშები და ჩაფენილია იშვიათი სილამაზის ხალიჩები. გონდოლიორების სიმღერა არაჩვეულებრივი მოსასმენია, ისინი უკმაყოფილოები არიან და ებრძვიან თანამედროვე ტექნიკას, რომელმაც გააუფასურა მათი შრომა, თუმცა, ყველამ იცის, რომ გონდოლას გარეშე ვენეცია წარმოუდგენელია.

საღამოს „სან-მარკოს“ მოედანზე გაიმართა „რუსთაეის“ კონცერტი, ზეცა და მოედანი ერთნაირად იყო გაჩახჩახებული. კონცერტს დაესწრო დაახლოებით 10000 კაცი, მათ შორის ბევრი ტურისტი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან, კონცერტზე მოვიდნენ ვენეციის მერი და ქალაქის მთელი ხელმძღვანელობა.

თუ როგორ ჩატარდა ეს კონცერტი, ამაზე ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ჯანსულ ჩარკვიანი მოგახსენებთ, მისი წერილი ცოტა ქვევით იბეჭდება.

კონცერტის შემდეგ სცენაზე ამოვიდა ქალაქის მერი, მან იშვიათი საჩუქარი გადასცა ანსამბლ „რუსთავს“ და მიგვიპატიჟა რესტორანში, რომელიც ცენტრალურ არხს გადაჰყურებდა, იქიდან ხელისგულივით მოჩანდა მთელი ვენეცია. თამადად ბატონი რეზო თაბუკაშვილი ავირჩიეთ (უკეთესს კიდევ ვის ვინატრებდით). ბატონი რეზო დინჯად შეუდგა სადღეგრძელოებს, რომელსაც გასაოცარი სიზუსტით თარგმნიდა ვანო ცაგარეიშვილი (იტალიელებს იგი იქაური ეგონათ, რადგან ვანომ იტალიური ენა დიალექტებით იცის). სადღეგრძელოებს სიმღერები მოჰყვა, მერე ცეკვები და „სან-მარკოზე“ დაწყებული კონცერტი სუფრასთან გაგრძელდა. სადღეგრძელოებში იტალიელებიც ჩაებნენ. მათ უცბად აუღეს ალღო ქართულ სუფრას, მერე მათაც შეასრულეს იტალიური სიმღერები და როცა ნუგზარ გელაშვილმა კომპოზიტორ დენცას პოპულარული სიმღერა „ფუნიკული-ფუნიკულა“, შეასრულა, ისეთი ამბავი ატყდა, გეეგონა, ჭერი ჩამოიქცეოდა, ქუჩაში მოსეირნენი რესტორანს გარს შემოერტყნენ. ისინი „ბრავოს“ ძახილითა და ტაშისცემით სიმღერის გამეორებას მოითხოვდნენ. რაღას ვიზამდით – გაიმეორეთ. ჩვენთან ერთად სუფრასთან იჯდა იმპრესარიო აიაცი, რომელიც გაოგნებული იყო ჯერ კონცერტით, მერე — სუფრით და ბოდიშს იხდიდა, — არ მეგონა თუ ასეთი ხალხური სიმღერები გქონდათ და ხალხი ასე მიიღებდაო, — მას განსაკუთრებით მოეწონა ჩვენი სოლისტი მოცეკვაე მაია დარჩიაშვილი, რომელიც "ხევსურულ სუიტაში" ლადო თანდილაშვილთან ერთად შესანიშნავად მღეროდა დუეტს, თან არაჩვეულებრივად ცეკვავდა ამ ცეკვას უდიდესი წარმატება ხედა წილად. არადა მოსკოვში აიაცი მარწმუნებდა — ქალის სიმღერა ვინ გაიგონა ცეკვაში და გთხოვ, იგი შეცვალოო.

ახლა ისევ მოიხადა ბოდიში, მაიას გადაეხვია და მშვენიერი საჩუქარიც მიართვა. ამის შემყურე ამირან გოლიაძემ აიღო ქაღალდი და სასწრაფოდ „გამოაცხო“ ექსპრომტი:

„იმპრესარიო აიაცს,
სმენა სულ არარაი აქვს,
თურმე ამიტომ არ უსმენს,
ლეონკავალოს „პაიაცს“
ჩვენთან სადაო რაი აქვს? —
ვამღერებთ, ვისაც ხმაი აქვს

სიმღერის გამო აიაცს
არ ნაყვარება მაიაც“.

ლექსი ბატონმა რეზომ წაიკითხა სუფრასთან. ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი. ვანო ცაგარეიშვილმა იგი იქვე თარგმნა და აიაცს მიართვა, რომელიც სიცილისაგან ცრემლებად იღვრებოდა და სულ ბოდიშებს იხდიდა.

ამ სიცილსა და მხიარულებაში, ალიონმაც მოაწია. იშვიათი სანახავი იყო ვენეცია დილით, ამ სილამაზეს ვერ გაუძლო ბატონმა ჯანსულ ჩარკვიანმა და ჩვენი თხოვნით რამდენიმე ლექსი წაიკითხა, რომელმაც მოხიბლა საზოგადოება.

ჩვენ გარეთ გამოვედით, ისეთი ფეიერვერკი გაიმართა, გეგონებოდათ ციდან მოჭედილი ვარსკვლავები მოცვივაო, - ესეც დაგეგმილი ჰქონია ქალაქის მერს. მერე მოზრდილი კატარღა მოიყვანეს, ზედ დაგვსვეს და უთენია არაჩვეულებრივი ექსკურსია მოგვიწყვეს, ამჯერად წყლიდან. კატარღაზე იყო შამპანურების ბათქაბუთქი და ვენეციისა და მისი ამშენებლების სადღეგრძელოები.

ის დღე არასოდეს დაგვავიწყდება, შეიძლება სხვა ბევრი სასიხარულო დღე გვქონდეს, მაგრამ ისეთი არასოდეს იქნება.

ვენეციიდან ქ.ლიდოს გავემგზავრეთ, კონცერტი, რომელსაც 3000 კაცი დაესწრო, გაიმართა ლიდოს უდიდეს საზაფხულო თეატრში. კონცერტი გახსნა გამოჩენილმა იტალიელმა მწერალმა, დრამატურგმა და კინოსცენარისტმა, რეზო თაბუკაშვილის უახლოესმა მეგობარმა ტონინო გუერამ. იგი რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში, სტუმრად იყო ბატონ რეზოსთან ოჯახში, სადაც ჩვენც გავიცანით.

ტონინო გუერამ ბევრი ილაპარაკა საქართველოზე, ქართულ ხელოვნებაზე, შესანიშნავად წარადგინა ანსამბლი „რუსთავი“ და დატოვა სცენა. გუერა უდიდესი ავტორიტეტია იტალიაში, ამიტომ მის გამოსვლას მეუხარე ტაში მოჰყვა.

კონცერტის შემდეგ ხალხი მოაწყდა სცენას, გადმოგვცეს ბევრი თაიგული და დიდხანს არ დაშლილან. ქეიფი ტონინო გუერასთან გაგრძელდა.

დღეს უთენია გავემგზავრეთ ქ. ბარში. ეს დიდი სამრეწველო ქალაქია ნახევარი მილიონიანი მოსახლეობით. გზაში ავტობუსით 8 საათი ვიმგზავრეთ, ანსამბლის წევრებს რომ არ მოეწყინათ, ბატონმა რეზომ მიკროფონი აიღო და ლექცია წაგვიკითხა უძველეს ქართულ კულტურაზე, შემდეგ ბატონ ჯანსულს ვთხოვეთ, მან ჯერ საკუთარი ლექსები წაგვიკითხა, შემდეგ ექსპრომტები ანსამბლის წევრებზე და იყო ერთი სიცილ-ხარხარი, ჯანსულს ხომ საოცარი იუმორი აქვს. გზა ისე გაგვიარა, რომ არც გაგვიგია.

საღამოს კონცერტი ქ. ბარიდან დაახლოებით 50კმ-ის დაშორებით გაიმართა ქალაქის ულამაზეს მოედანზე, კონცერტს 2000 კაცი დაესწრო.

დღეს 25 ივლისია. პამლეტ გონაშვილის გარდაცვალების დღე. დღევანდელი კონცერტი, რომელიც ქ.ბარის საოპერო თეატრში გაიმართება, მას ეძღვნება. ორი წელი გავიდა, რაც ჰამლეტი აღარა გვყავს, იტალიაში პირველად ვართ მის გარეშე. ვინც მანამდე „რუსთავის“ გამოსვლას დასწრებია, კონცერტის შემდეგ მოდიან და კითხულობენ იმ გასაოცარი ტემბრის მქონე მომღერალს, როცა ვეუბნებით, რაც მოხდა, ყველა სინანულს და მწუხარებას გამოთქვამს, ერთმა ქალმა ორივე ხელი შემოიკრა თავში, ჩვენთან რომ იციან ისე. არა და მაშინ ნამდვილად ღვთის რისხვა იყო ჩვენს თავს, კონცერტი გვქონდა ახმეტაში. ჰამლეტი სცენიდან არ გაუშვეს, მანაც ბევრი იმღერა, ჩვენ გაგვიკვირდა, აღრე ასე არ აკეთებდა, იგი იშვიათად იმეორებდა სიმღერას, ახლა კი... — ვინ იცის იქნებ მეტი ვეღარც შევხვედე ამ ხალხსო-თქვა. კონცერტის შემდეგ რაიკომის მდივანმა დიდი პურობა გამართა, ჰამლეტი

აქაც თავგამეტებით მღეროდა, ადრე თუ ხვეწნა სჭირდებოდა სუფრასთან, ახლა თვითონ გვეხვეწებოდა, აბა ერთი ბანი მომეცითო, დილამდე არ დაუსვენია.

ე, ბიჭო ჰამლეტ დავიღალეთო, ეუბნებოდნენ ბიჭები.

- არა უშავს თქვენ ჩემზე ახალგაზრდები ხართ და გაუძლებთ. — ჰამლეტს ორი ექიმი-პროფესორი ახლდა სტუმრად რუსეთიდან, — ახლა ამათ ანაგაში გავატარებ, დედაჩემს ვაჩვენებ, მერე ჩვენებურ ღვინოს წამოვიღებ და საღამოს თბილისში შევხვდეთ ჩემთანო, — მითხრა, ასე დავშორდით ერთმანეთს. საღამოს უკვე ის საზარელი ამბავი შევიტყვეთ. ჰამლეტი მისულა დედასთან, მოფერებია, სტუმრები გაუცნია მისთვის, მერე სუფრასთან დამსხდარან ცოტა ხანს და როცა თბილისში მოდიოდნენ, დედას უთქვამს: — „შვილო, იმ ბუჩქის ტოტები მეზობელს უჩრდილავს ფანჯარას, იქნებ გამოჩეხოო". — ჰამლეტი ჩამოვიდა მანქანიდან აიღო ცული, ავიდა ერთ მეტრიან ტერასაზე და ის იყო ცული მოიქნია და ტოტი მოჭრა, რომ ფეხი დაუცურდა, გადმოვარდა და რკინის ღობეზე, რომელიც დაბლა იყო დარჭობილი ჩამოეცვა მკერდით და ორი პროფესორის თვალწინ ერთ წამში გათავდა.

აი ეს სურათები გვიტრიალებდა თვალწინ ქ. ბარის საოპერო თეატრში, ამიტომ კონცერტი ცოტა სევდიანი გამოგვივიდა, თუმცა საზოგადოებას იგი მაინც ძალიან მოეწონა და ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს იმ პიროვნებას, რომელიც რამდენიმე წლის წინ თავისი სიმღერით აღაფრთოვანებდა ყველას. ეს იყო ჰამლეტ გონაშვილის უკანასკნელი წარმატება იტალიაში.

ამ კონცერტმა ემოციურად ძალიან დაგვღალა, კიდევ კარგი მეორე დღეს კონცერტი არ გვქონდა და ბიჭებმა ცოტა ძალა მოიკრიბეს.

შემდეგი კონცერტი ქ. ბარიდან 4 საათის სავალზე ერთ პატარა დაბაში იყო დანიშნული. მაღალ მთაზე აშენებულია ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი, მის ირგვლივ სოფელია გაშენებული.

საკონცერტო ესტრადა მოეწყოთ ამ ტაძრის გვერდით, რაც ძალიან ლამაზი სანახავი იყო. კონცერტს დაესწრო დაახლოებით 4000 კაცი, რომლებმაც ოვაციები გაგვიმართეს. კონცერტის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეახშამი მოგვიწყო, რომელსაც იტალიელებიც დაესწრნენ. გაიმართა ნამდვილი მეგობრობის საღამო, ბოლოს ნუგზარ გელაშვილი, რომელმაც იტალიური სიმღერა შეასრულა, ხელში აიტაცეს.

იმ დღეს მოხდა ერთი პატარა ინციდენტი. კონცერტის შემდეგ, სანამ ბიჭები იხდიდნენ საკონცერტო კოსტუმებს, ბატონი რეზო თაბუკაშვილი და მე გამოველით სოფლის შარაზე. ხალხი კონცერტიდან ბრუნდებოდა, ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ნასვამი იყო, ისინი წაეკიდნენ სხვებს და გაიმართა ხელჩართული ჩხუბი, მერე ახალგაზრდების ნაწილი გაიქცა და დარჩა მხოლოდ ერთი, რომელიც თავგანწირული ჩხუბობდა მარტო, მაგრამ რას იზამდა. იგი წრეში მოაქციეს და სასტიკი ცემა დაუწყეს. ბატონი რეზო დაუფიქრებლად გადაეშვა ჩხუბში, მეც მივყევი. ჩვენ, უცხოელებს საბჭოთა ქვეყნიდან ჩხუბის უფლება არ გვქონდა, მაგრამ იმ ახალგაზრდის დაცვის მიზნით ვიგერიებდით მომხდურებს, ჩვენ ერთმანეთს ზურგში ვედექით, ბატონი რეზო ძველი მოკრივე იყო და უნდა გენახათ, როგორი აზარტით მიყარ-მოყარა ახალგაზრდები, მერე ასაკოვანი ხალხი მოვიდა, მოგვაშორეს მოჩხუბრები და ლანძღვა-გინებით გაყარეს სახლში. ის ახალგაზრდა ადგა, ტანსაცმელი ჩამოიბერტყა და მადლობა გადაგვიხადა. მართლაც, ჩვენ რომ არა, ფეხით გაათელავდნენ მთვრალები. ეჰ, ცოტა ახალგაზრდა ვიყო და ჩხუბის უფლება მქონოდა, მაგათ კარგად დავამახსოვრებდით თავს, –ინატრა ბატონმა რეზომ.



ანსამბლი „რუსთავი“ რომის ცენტრალურ ტელევიზიაში. ცენტრში პროგრამის წამყვანი, ტელევიარსკვლავი რაფაელა კარა. რომი 1985 წ.

მეორე დილით გავემგზავრეთ ქ. კაპუაში, გზად გავიარეთ პომპეაში და დავათვალიერეთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 79 წელს ვეზუვის ვულკანის ლავისაგან დამარხული ეს უძველესი ქალაქი, რომელიც ისე შეხვდა ვეზუვის ამოფრქვევას, როგორც დღეს გამოიყურება. მშვენივრად არის შენახული სახლები, სალოცავები, ქუჩები, რომელიც დღემდეა მოკირწყლული.

სახლებზე დღემდეა შემორჩენილი წარწერები და ნახატები. მათ შორის ეროტიკული სცენებიცაა. სახლები დღევანდელ მასშტაბებთან შედარებით ძალიან პატარაა, ქუჩები ვიწროა, პომპეი მინიატურული ქალაქია, მაგრამ ისე კარგადაა შემონახული, რომ გეგონებათ, ახლა გამოვლენ სახლებიდან მისი მცხოვრებნი. ერთ დროს ხომ აქ ცხოვრება დუღდა. დადიხართ პომპეის ქუჩებში და ფიქრით 20 საუკუნით უკან წარმოდგენა გექმნება მაშინდელ ყოფაზე. მოკლედ პომპეიმ მართლაც გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ჩვენგანზე.

შემდეგი კონცერტი გვქონდა ქ. როსსანოში, ძველი ლამაზი ციხის მოედანზე. როსსანო შესანიშნავი ქალაქია, ჩაფლულია ფორთოხლის, ზეთისხილის, ლეღვის, ბუშმალის, ბროწეულისა და სხვა ხეხილის ბაღებში. კონცერტს 2000 კაცი დაესწრო.

მომდევნო დღეებში კონცერტები გავმართეთ ქ. პოლისტენაში და შილაში. შილა ზღვისპირა კურორტია, ერთმანეთს ერწყმის მთები და ზღვა. აქ, ისევე, როგორც მთელ იტალიაში, შესანიშნავი გზებია. მთებში გვირაბები გადის, გვირაბებს შორის ხიდებია აგებული, რომელთა სიმაღლე ხშირად 100 მეტრამდე აღწევს. საოცარია, პირადაპირ ავტობუსიდან იყურები ქვეყით და გგონია, რომ თვითმფრინავში ზიხარ. საერთოდ ისეთი გზები, როგორიც იტალიაშია (განსაკუთრებით მთიან ადგილებში) მსოფლიოში არსად არ შემხვედრია. ამბობენ, რომ იტალიელები ყველაზე კარგი

გზის მშენებლები არიან, თურმე გერმანელებიც კი, როცა გზები გაპყავთ, მშენებლებად იტალიელებს იწვევენ.

შილა არაჩვეულებრივად მომხიბლავი კურორტია, ძველი ციხესიმაგრეებით, თანამედროვე არქიტექტურით. იშვიათი პლაჟებით, მუქი ლილისფერი გამჭვირვალე წყლით. აქედან კუნძული სიცილია სულ რაღაც 3 კილომეტრზეა, გეგონებათ, ამ მანძილს ერთი ხელის მოსმით გადაცურავთ. ქ. შილაში მიმავალ გზაზე თვალს გტაცებთ ათასნაირი ხეხილი; აქ ერთად ხარობს: ფორთოხალი, დაფნა, ზეთისხილი, ალოია, ლეღვი, ბუშმალა, ევკალიპტი და სხვა ყველანაირი ხილი. მოკლედ შილა ძალიან მოგვეწონა, იქ დავრჩით გვიან საღამომდე.

2 აგვისტოს ბორანით გადავედით კუნძულ სიცილიაზე. ხალხი სერიოზული საქმიანი სახეებით შეგეხვედა, მე გამეცინა, რადგან ბავშვობაში ყველას გეეგონა, რომ კუნძულს სიცილია იმიტომ დაარქვეს, რომ აქაური მაცხოვრებლები სულ იცინოდნენ.

ავტობუსებით გავიარეთ პატარა ქალაქი (სახელი არ მახსოვს), რომელიც მონტე-კარლოს მსგავსად მთაზეა გაშენებული. აქედან არაჩვეულებრივი სილამაზე იშლება. აქ არის ბერძნული თეატრი, აქვეა რამდენიმე ციხე-კოშკი, რომელიც თურმე კერძო საკუთრებას წარმოადგენს.

აქედან გავემგზავრეთ კატანიაში, სადაც 400 ათასამდე მაცხოვრებელია. საღამოს კონცერტი გაიმართა თეატრ „მეტროპოლიტენში“, კონცერტს 1500 კაცი დაესწრო, ფინალი სამჯერ გაიმეორეს. კონცერტის შემდეგ სასტუმროში პატარა სუფრა გაეშალეთ, დღეს ბატონი რეზო თაბუკაშვილის და ჩვენი მოცეკვაეის გელა ყაველაშვილის დაბადების დღეა. სუფრამ გვიან ღამემდე გასტანა.

მორიგი კონცერტი გაიმართა ქ. ებოლში, იქედან გავემგზავრეთ ქ. სანორინოში. იგი ბათუმის მსგავსი არაჩვეულებრივი ქალაქია, აქაც მთელ გზაზე და ქალაქში გვხვდება ათასნაირი ხეხილი და სუბტროპიკული მცენარეები.

ქალაქში რამდენიმე ეკლესია და ციხე-სიმაგრეა, ერთ-ერთი მათგანი გამოყენებულია საკონცერტო დარბაზად, რომელიც ძალიან მოგვეწონა. კონცერტის ბოლოს ბევრი ყვავილები მოგვართვეს.

6 აგვისტოს ადრე დილით გავემგზავრეთ ნეაპოლში. მართლაც ზღაპრული ქალაქია. არაჩვეულებრივი ისტორიით, ანტიკური ხანიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე. აგვიყვანეს მთაზე, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანს ქალაქი. დაპყურებ ამ საოცარ სილამაზეს და უნებლიეთ გახსენდება ერთი თქმულება: „თუ ნეაპოლს ნახავ, მერე შეგიძლია მშვიდად მოკვდე.“

საღამოს ვალვაში გავმართეთ კონცერტი. ვალვა ერთი პატარა საკურორტო სოფელია 2000 მცხოვრებით. ეს სოფელი იმითაა საინტერესო, რომ იგი ძველი მარკიზების წარმომადგენელ ბარონს, ვინმე ვალვას გაუშენებია თავისი არაჩვეულებრივი საკონცერტო ამფითეატრით, რომელიც გაუსებულია მარმარილოს ძეგლებით. მარტო ამფითეატრში 40 ძეგლი დგას და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აქ ხალხი ზის. ამბობენ, რომ მის მფლობელს მარტო ყოფნა არ უყვარდა, ამიტომ შეუკვეთა მარმარილოს სტატუები, რომლებითაც გაავსო პარკი და ამფითეატრი. ამ სტატუებს სად არ შეხვდებით, წყაროზე, ხის ძირში, ბაღში და სხვა. ისინი შესანიშნავად არიან განათებული. სცენაც ძალიან ლამაზია. აქ ტრადიციულად უმიკროფონოდ მღერიან. როცა თეატრი იესება, სცენიდან ძნელი გასარჩევია, რომელია სტატუა და რომელი — მაყურებელი. მოკლედ, ვალვას პარკმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ასეთი რამ სხვაგან არ გვინახავს.

7 აგვისტო

დილით გავემგზავრეთ ექსკურსიაზე. დაგათვალიერეთ სანაპირო, რომელსაც ეწოდება კოსტიერა ამალფიტანა. ეს არის რაღაც საოცრება. კლდოვანი მთები აღმართულან ზღვაში და ამ კლდეებზე ბუდეებივით აშენებულია პატარა ქალაქები. ან რა ხელმა ააშენა, ან ვინ მოიფიქრა მათი აშენება. ახლა ეს ქალაქები ევნეციაზე ნაკლებ შთაბეჭდილებას არ ახდენენ. ეს საკურორტო ქალაქებია, სადაც ჩამოდიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ტურისტები. ამ სანაპიროზე გაშენებულია შემდეგი ქალაქები: პოზიტანი, რაველო, ამალფი და ცნობილი სორენტო. ამალფში ზღვაში ვიბანავეთ. მართლაც ზღაპრული სილამაზის ქალაქებია. საღამოს დაგბრუნდით ქ. ებოლში, სადაც დიდ მოედანზე გაიმართა კონცერტი, რომელსაც 5000-ზე მეტი კაცი დაესწრო. კონცერტი ძალიან მოეწონათ.

8 აგვისტო

დილით გავემგზავრეთ ქ.მაჩარატაში. ეს შუა საუკუნეების ქალაქია. ძალიან ლამაზი, ვიწრო ქუჩებითა და სკვერებით. აქ არის შესანიშნავი საზაფხულო თეატრი. ტიპური რომაული თეატრი უზარმაზარი სვეტებითა და დეკორატიულად გაფორმებული უზარმაზარი სცენა, სადაც საოპერო სპექტაკლები იმართება, კონცერტს დაესწრო 1500 კაცი, იგი გადაიღო ქალაქის ტელევიზიამ.

9 აგვისტო

დღეს კონცერტი გვქონდა ქ.ბარასთან 30კმ-ით დაშორებულ პატარა ქალაქში, იგი გაიმართა მთავარ მოედანზე, რომელსაც დაესწრო 2000 კაცი. იმდენად მოეწონათ კონცერტი, რომ გვთხოვეს, კიდევ გაგვეგრძელებინა. ჩვენ დავთანხმდით და კონცერტი 2 საათ-ნახევარს გაგრძელდა. კონცერტის შემდეგ სცენაზე ამოვიდა ქალაქის მერი და წარმოსთქვა მეტად თბილი სიტყვა, რომელსაც თან ახლდა მაყურებლის გამაყრუებელი ოვაციები. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ჯანსულ ჩარკვიანი, იგი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ტაშის გრიალში მიდიოდა. კონცერტის შემდეგ მერმა გამართა დიდი მიღება.

10 აგვისტო

დღეს ჩემი დაბადების დღეა. უთენია გავემგზავრეთ ქ.ებოლში, ვცხოვრობთ ჩვენს ნაცნობ სასტუმროში, რომელიც შედარებით ნაკლებადაა კეთილმოწყობილი. კონცერტი გვქონდა ქ. კავადეიტირენში. დაგვესწრო 2000 კაცი. კონცერტიდან გვიან ღამე დავბრუნდით. შემდეგ სასტუმროში გავმართე პატარა პურმარილი. სუფრას ბატონი ჯანსულ ჩარკვიანი თამადობდა ისე ოსტატურად, რომ როდის გათენდა ვერ გავიგეთ. მოკლედ, კარგი დრო ვატარეთ. დილით გავემგზავრეთ ქ.პიედი ლუკოში, იგი მაღალმთიან რაიონში მდებარეობს ტბის პირას. აქვეა დიდი ჩანჩქერი, ამბობენ, მსოფლიოში მესამეაო. ზღაპრული სილამაზეა, მთებში ჩაწოლილი ბუნებრივი ტბა. სასტუმროს ფანჯრიდან რომ ვიხედები, რიწას მაგონებს. კონცერტი გვქონდა ტერნში. აქ გავიცანით ქართველი მხატვარი გვარად კოკოჩინსკი (შესაძლოა კოკოჩაშვილი). ძალიან კარგი მხატვარია, გვაჩვენა თავისი ალბომი.



კაპლერ პროექტი 1985 ▼ უსახელო ფოტოსურათი

12 აგვისტო

მთელი დღე გაყატარეთ რიმში.

„ყველა გზა რიმისკენ მიდის"

„რიმი ბატებმა გადაარჩინეს"

„სანამ დგას კოლიზეუმი, დგას რომიც, რაც კოლიზეუმი დაინგრევა, რომიც დაინგრევა, და რაც რომი დაინგრევა, მაშინ მთელი მსოფლიოც დაინგრევა

რომი შეგიძლიათ 3 ნაწილად დაყოთ: ძველი, აღორძინების პერიოდის და ახალი — თანამედროვე რომი.

კოლიზეუმი აშენებულია ათასწლის 19 საუკუნის წინათ. თავისი მასშტაბებითა და არქიტექტორული გადაწყვეტით უნიკალურია. იგი ქალაქის ყურძნისაა ზომებია (188-156 მეტრზე).

კოლიზეუმის არენა ხაშინელი სანახაობაა. სახურავი ხმტვრეულია და ზეციდან ნათ ქვის საკრები. ეს იყო დიდი მაწესქეშა ცოხე, სადაც არენაზე გამოსაყვანად საკვლდმისუღლნი და სასიკვდილოდ განწირულნი. რამდენიმე ათასი მაყურებელი სიამოვნებით შეხედერდა ამ საშინელ სანახაობას. („სიკვდილის ყველას გვეშინის. ხხვას რომ კვლენ, ცქერა გვწადიან").

ამ არენაზე რომაელი ამპერატორები ატარებდნენ ათასნაირ სანახაობებს მასიური სიკვდილით დასჯით. გადმოცემით ამ წელს როცა კოლიზეუმი გაიხსნა, აქ მარტო დღესასწაულებზე დაიღუპა 9000 კაცი. ხხეადახხვა ქვეყნიდან მოყვანილ ტყეებს, ურჩ მონებს მასიურად ათავსებდნენ კოლიზეუმის საკნებში და მერე განსაკუთრებული რიტუალით ხოცავდნენ. აქ თეატრალურ წარმოდგენებს მართავდნენ, ამ განსხვავებით, რომ სპექტაკლში ვინც უნდა მომკვდარიყო. იმას მართლა კლავდნენ. უკრაველა ორკესტრი და ფლეიტის ხმაზე სიკვდილმისუღლნი ანსახიერებდნენ ორფეოსს. მათ გლეჯდნენ მხეცები და ისინი კვდებოდნენ დამსწრე საზოგადოების აღტაცებული შეძახილების ფონზე.

კოლიზეუმის საკნებიდან გამოდიოდნენ გლადიატორები და იწყებოდა სასიკვდილო შეჯიბრებები. არ იყო დანდობა, ძლიერი იმარჯვებდა. მანამდე მათ თვეების განმავლობაში წვრთნიდნენ და როგორც ამბობენ, დიდი ფულადი ანაზღაურებაც ჰქონდათ. გამარჯვებული დიდ თანხას იღებდა.

მდინარე ტიბრზე დგას ფაბრიციუსის ხიდი აგერ 20 საუკუნეა.

აქ არის ერთი ბრწყინვალე ტაძარი „სანტა მარია მაჯორე", რომელიც გადაკეთეს აღორძინების ეპოქის დროს, რომაულ პაზილიკად. შედიხართ უზარმაზარ სვეტებიან განაოებულ დარბაზში, რომელიც საოცარი სანახაობაა.

მეორე „სან პიეტრო ინ ვინკოლი" აქ დგას მიქელანჯელოს მოსე. მიქელანჯელომ ჩაიფიქრა გრანდიოზული ანსამბლი იულიუს II საფლავისა, რომელშიც შე-

დიოდა მოსეს ქანდაკებაც. ეს არის უდიდესი შემოქმედებითი გენიის ზეიმი. ეს არის გიგანტური ფიგურა.

მსოფლიოში სახელგანთქმული სიქსტის კაპელა ააგეს პაპის-სიქსტე IV ბრძანებით, არქიტექტორ ჯოვანი დედოლჩის მიერ 1473-1481 წლებში.

მთელ სიგრძეზე მარცხნივ და მარჯვნივ კედლებზე XV საუკუნეში მოხატულთ იქნა 12 ფრესკა. მარცხნივ: მოსეს ცხოვრების ისტორია, და მარჯვნივ — იესოსი, შესრულებული მაშინდელი გამოჩენილი მხატვრების მიერ:

გირლანდაიო, ბოტიჩელი, ლუკას სინორელი, პინტურიკიო და კაზიმო როსელი. ფანჯრებს შორის კედლები მოხატული იყო პაპების პორტრეტებით.

1508 წელს პაპმა იულიუს II მიქელანჯელოს შესთავაზა, მოეხატა სიქსტის კაპელის ჭერი. ამ დროს მიქელანჯელოს უკვე შესრულებული ჰქონდა “დავითი” “პიეტა” და მსოფლიო შედევრი რამდენიმე მხატვრული ტილო.

სიქსტის კაპელაში მიქელანჯელო შევიდა 1508 წლის 10 მაისს. მას უნდა ფუნჯით მოეხატა 600კვ.მეტრი. მხატვარმა უარი თქვა ვინმეს მოხმარებაზე. დაიტოვა მარტო ორი მუშა, რომლებიც ტექნიკურად დაეხმარებოდნენ. მიქელანჯელომ იმუშავა 1512 წლამდე. 4 წლის განმავლობაში კაპელაში შესვლა მკაცრად იყო აკრძალული. თვით პაპიც კი ყოველთვის ვერ ახერხებდა შესულიყო სახელოსნოში. მხატვარი წლების განმავლობაში ფრესკებს ხატავდა სახურავის ქვეშ მწოლიარე. სალებავი სახეზე ეღვრებოდა.

მუშაობა უხდებოდა ურთულეს პირობებში, როგორც თვითონ წერდა, მუშაობდა იმდენს, თავის ძალას რომ აღემატებოდა, ნახევარჯერ მშიერი და ავადმყოფიც კი არ წყვეტდა მუშაობას.

იულიუს II გამოიჩინა დიდი ჭკუა და ტაქტი. მან არ შეხლუდა მხატვარი და



ცეკვა „შარიკაობა“

უთხრა, დაეხატა ის, რაც მას მიაჩნდა მიზანშეწონილად. მიქელანჯელომ მოხატვა დაიწყო სრულიად ახალგაზრდამ. მეორედ იგი კაპელაში შევიდა 22 წლის შესვენების შემდეგ, 1535 წელს უკვე 60 წლის მოხუცი.

როცა გაიხსნა სიქსტის კაპელა, აღმოჩნდა, რომ მან არა მარტო მაშინდელ მხატვრებს აჯობა, არამედ თავის თავსაც, რაც ყველაზე დიდი გამარჯვება იყო.

რომთან ჩვენი ბევრი საინტერესო მოგონებაა დაკავშირებული. 1985 წელს იტალიაში ჩატარდა მუსიკალური ფესტივალი, სადაც „რუსთაველი" იყო მიწვეული, ფესტივალზე კარგად გამოვედით და 24 დეკემბერს, როცა ფესტივალი დამთავრდა, დილიდან წაგვიყვანეს ექსკურსიაზე რომში, ჯგუფს თან ახლდა შესანიშნავი ექსკურსიამძღოლი პიეტრო, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა იტალიის ისტორია და იტალიური ხელოვნება. იგი რუსულად მშვენიერად ლაპარაკობდა, ამიტომ მისგან ყველაფერს ვიწერდი.

ჩვენ დავათვალიერეთ ქალაქის მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები. წმ. პეტრეს ტაძარი ყველაფრის გვირგვინია, მიქელანჯელოს "პიეტამ" უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

წმ.პეტრეს ტაძარი უდიდესი და ულამაზესი არქიტექტურული მონუმენტის შთაბეჭდილებას ქმნის. ცენტრალური დარბაზის სიგრძეა 187მ. სიგანე 25. სიმაღლე 45მ.

შესასვლელთან ახლოს ხელმარჯვნივ მაღალ პოსტამენტზე დგას მიქელანჯელოს "პიეტა" — გენიალური ქმნილება, რომელიც თურმე მან გამოკვეთა, როცა 22 წლის იყო. ეს ერთადერთი ძეგლია, სადაც გამოსაჩენ ადგილას მისივე ხელით ამოტვიფრულია მსხვილად – "მიქელანჯელო" გადმოცემით, როცა ეს ქანდაკება ძალიან აქვს და მიაწერეს სხვა გამოჩენილ სკულპტორს, მიქელანჯელომ საჭრეთელათი ერთ ღამეში ამოტვიფრა თავისი გვარი. წმ. პეტრეს ტაძარი სულ მოზაიკითაა მოხატული. რომელიც წარმოუდგენელ შთაბეჭდილებას ახდენს, სულ ახლოდანაც კი ფუნჯით შესრულებული გეგონებათ.

ჩვენმა იმპრესარიომ ყველაფერი იღონა, რომ ჩვენთვის მოსაწვეევები ეშოვა წმ.პეტრეს ტაძარში საშობაო ღღესასწაულზე. ამას ხელი შეუწყო მიხეილ გორბაჩოვის ვიზიტმა იტალიაში, მისმა შეხვედრამ პაპთან. იოანე პაულე II-სთან. თურმე პაპმა როგორც კი გაიგო, რომ საბჭოთა დელეგაციას სურდა საშობაო ღღესასწაულზე დასწრება, მაშინვე თანხმობა მისცა. ჩვენ საპატიო ადგილებიც გამოგვიყვეს.

საზეიმოდ იყო მორთული წმ. პეტრეს ტაძარი და მოედანი ჯერ კიდევ დილიდან. მოედანზე ტევა არ იყო, 12 საათზე ტრადიციულად გამოვიდა პაპი თავისი რეზიდენციის, ფანჯრიდან და ღღესასწაული მიულოცა მოედანზე მყოფთ. ტაძრის წინ მოწყობილი იყო თეატრალური სანახაობა, რომელიც ქრისტეს დაბადებას გამოხატავდა. უცბად ვიღაცამ ქართულად (სომხური აქცენტით) დაიძახა: „ანზორჯან აქ საიდან?" მე მოვიხედე და ვიცანი ოზურგეთელი სომხები შურა და მისი ქმარი სერგო. ისინი ჩემთან მოვიდნენ და გადამეხვივნენ, თურმე ამერიკაში მიდიოდნენ საცხოვრებლად. შურა ადრე დედაჩემთან მუშაობდა, ამიტომ კარგად იცნობდა ჩვენს ოჯახს. მან სიყვარულით მოიკითხა დედაჩემი: „ეთერის უთხარი ყოველთვის მახსოვხარ და მიყვარხარ-თქო", მის თვალებზე ცრემლი შევნიშნე. შემდეგ დაგეშვიდობა და მითხრა, - ამერიკაში თუ ჩამოხვალ აუცილებლად მოდი ჩვენთანო.

წმ. პეტრეს ტაძრიდან წამოვედით იმ იმედით, რომ საღამოს საშობაო ღღესას-

წაულს უნდა დავსწრებოდით. მთელი დღე ქალაქში ვიარეთ, საღამოს რესტორანში ვიეახშმეთ, ჩვენ გარდა თითქმის არავინ იყო, რადგან შობას ყველა საკუთარ ოჯახში ხვდება. მოგვიანებით რესტორანში 15 კაციანი ჯგუფი შემოვიდა და ჩვენ ახლოს დაჯდა. ჩვენ ვიმღერეთ, მერე ვიცეკვეთ, მეზობელი ჯგუფი, რომელიც ესპანელები აღმოჩნდნენ, ძალიან დაინტერესდა ჩვენით. მათ შორის იყო ერთი რუსი ქალბატონი, — ლუდა ესპანელი მეუღლითურთ. რომ გაიგეს ქართველები ვიყავით, „რუსების სიძე“ ჩვენთან გადმოჯდა და გვკითხა: ქართველები მართლა გიჟდებით სტალინზე? მე საქართველოში არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მითხრეს, რომ მძღოლებს თურმე სტალინის სურათები აქვთ მანქანებზე მიკრულიო, სტალინმა მთელი რუსეთი დახვრიტა, ხოლო ქართველებს ხელს აფარებდა, ისინი თურმე გადასახადებსაც არ იხდიდნენ, ამიტომ იყო, რომ 1956 წელს ქართველებმა მისთვის თავი დადეს. ხრუშჩოვმა სტალინი გაანადგურა, მაგრამ პოლიტიკა იგივე დატოვა, თუმცა სტალინთან შედარებით ეს იყო პროგრესული პიროვნება, სტალინის დროს საბჭოთა კავშირში 36 ათასი ეკლესია იყო, რომელიც მან 12 ათასზე დაიყვანა. ხრუშჩოვსაც ჰქონდა შეცდომები, მაგრამ სტალინთან შედარებით ანგელოზი იყო“. ჩვენ მივხვდით, რომ “ესპანელ სიძეს” ინფორმაცია ცოლისგან ჰქონდა მიღებული, ამიტომ დიდი ენერგია დაგვჭირდა, რომ ესპანელი დაგვერწმუნებინა ცოლის სიბრიყვეში. საუბარში ბარმენიც ჩაერთო, ეს რა კანონები აქვთ საბჭოთა კავშირში. 25 წელია ვმუშაობ და ჯერ არ მახსოვს რუსებს ლუდი ეყიდოთ. 10 წელი შვეიცარიაში ვიმუშაე, რუსმა პოკერისტებმა პირველი ადგილი აიღეს, ჩეკოსლოვაკებმა ისინი ნომრებში შერეკეს და ლუდიც არ დაალევინეს, ამ დროს მე-3 ადგილზე გასულმა შვედებმა მთელი ღამე იქეიფეს“.

ჩვენ პოლემიკა აღარ გავაგრძელეთ და ავდექით, რადგან წმ. პეტრეს ტაძარში შესვლა იოლი არ იქნებოდა. მართლაც რამდენიმე რკალის გარღვევა მოგვიხდა, რომ მოსაწვეებით ტაძარში შევსულიყავით. დაცვა ამოწმებდა თითოეულ ჩვენგანს, ვინმეს იარაღი ხომ არ ჰქონდა თან. პაპზე თავდასხმის შემდეგ განსაკუთრებით გაფრთხილდნენ.

ოპერატორმა გენო რეხვიაშვილმა დიდი გაჭირვებით შემოიტანა ვიდეო აპარატი, რომ ყველაფერი გადაეღო. ჩვენ საღამოს 10სთ-ზე მივედით, რომ ადგილები დაგვეკავებინა. ჩვენი ანსამბლი მიქელანჯელოს თაღის ქვეშ მოთავსდა. ჩვენთან ერთად ისხდნენ აგრეთვე ინვალიდები და გონებაშეზღუდულები.

11 საათსა და 30 წუთზე შემოვიდნენ ბიჭუნების (დისკანტები და ალტები) და ვაჟთა (ტენორები და ბანები) გუნდები, დაახლოებით 200 კაცი. მათ ტანზე ემოსათ ჟოლოსფერი კაბები და თეთრი მოსასხამები. მათ ადგილები დაიკავეს საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ. მერე იტალიურ, ესპანურ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე წაიკითხეს სადღესასწაულო მისალმებები. 11 საათსა და 55 წუთზე მთელი დარბაზი ფეხზე ადგა, შემოვიდა პაპი იოანე-პავლე II თავისი ამალით. პაპს 12 კაცი ახლდა. მათ წინ ჯვარით მიუძღოდა მაღალი, ლამაზი აგებულების ღვთისმსახური. მის უკან კელაპტრებით და საცეცხლურებით მოდიოდა კიდევ 4 კაცი, რომლებიც საკმეველს ანთებდნენ. დამსწრეთა ტაშის გრიალში პაპი მარჯვნივ და მარცხნივ პირჯვარს სწერდა იქ მყოფთ. უკრავდა ორღანი, გუნდი სადიდებელს მღეროდა. პაპი მიუახლოვდა ჯერ ვაჟთა გუნდსა და დალოცა, მერე ბიჭუნათა გუნდთან მივიდა, პირჯვარი გადასახა და დალოცა. პაპს თეთრი გაქათქათებული სკამი მოართვეს ოქროთი მოვარაყებული. იგი სავარძელში ჩაჯდა, მას ოქროსფერი სამოსი ეცვა თეთრით გაწყობილი. გულზე თეთრი ყელსახვევი ეკეთა, თეთრ

ფონზე ოქროს ჯვარი ბრწყინავდა, მარჯვენა ხელზე დიდი ოქროს ბეჭედი პქონდა, თავზე მაღალი ოქროსფერი გვირგვინი ედგა. საკვირველის მარჯვნივ და მარცხნივ ორი ღვთისმსახური იდგა ჟოლოსფერი კაბებითა და თეთრი მოსასხამებით. პაპი საკურთხეველის წინ იჯდა, მის უკან ორივე მხარეს ორ-ორი კლაპტარი ენთო, მარჯვენა კლაპტრებს შორის დიდი ჯვარი იდგა. ჯერ ღვთისმსახური ქალი გამობრძანდა და ლათინურად ლოცვები წაიკითხა, კაცმა იგივე გაიმეორა ინგლისურად. ყოველივე ეს მიდიოდა ორღანისა და საგალობლების ფონზე.

მერე პაპს გვირგვინი მოხადეს და ხელში ჯვარი მისცეს. ახალგაზრდა მღვდელი ლოცვებს კითხულობდა. ხალხი ფეხზე იდგა, ლოცვები შესანიშნავად ისმოდა, რადგან ისეთი ხარისხის მიკროფონებით იყო გახმოვანებული, რომ ერთი სიტყვაც კი არ იკარგებოდა.

პაპი პატარა ტანის მოხუცი, უწვერ-ულვაშო, გამხდარი ქერა სახის, ოდნავ პირქუში გამომეტყველებით, ფართე შუბლით, ღრმა მეტყველი თვალებით, შეევრცხლილი თმებით, უდაოდ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მერე პაპს ისევ დაახურეს თავზე ოქროსფერი მაღალი გვირგვინი და მიართვეს ნაბეჭდი ქაღალდებით ლოცვები. მან მჯდომარემ დაიწყო მათი კითხვა. ხალხიც დაჯდა.

იქ მყოფთ წინდაწინ დაგვირიგეს ბრწყინვალედ გამოცემული ბუკლეტები, სადაც დაბეჭდილი იყო მთელი საზეიმო საღამოს პროგრამა ლოცვებითა და საგალობლების ნოტებით.

პაპი სუსტი ტენორის ხმით კითხულობდა ლოცვებს, კითხულობდა მშვიდად, უბრალოდ, ყოველგვარი პოზიორობის გარეშე. კითხულობდა უსათვალოდ, მიკროფონთან ახლოს მიეტანა სახე და არც ერთი მისი სიტყვა არ იკარგებოდა.

წმ. პეტრეს ტაძარი ღმერთის ხელით აშენებული და მოხატული საზეიმოდ გაჩირაღდნებული, ზღაპრულ ღვთაებრივ სამყაროს მოგაგონებდათ.

წესრიგის დამცველები – ვატიკანის ჯარისკაცები განსაკუთრებულ საზეიმო კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილი. ხელში ძველებური შუბები ეჭირათ, ტანზე ყვითელი და შავ ფართოზოლებიანი ხალათები ეცვათ, წელზე განიერი ქამრები ეკეთათ, თავზე შავი ჩაჩქანები ეხურათ, რომელსაც მამლის ბიბილოსაეით გასდევდა წითელი ჯინჯილების მსხვილი ზოლი შუბლიდან კეფამდე.

პაპი ფეხზე წამოდგა, მასთან ერთად ყველა იქ მყოფიც. მან ჯერ ლოცვები წაიკითხა ლათინურად, მერე გალობა დაიწყო. იგი ლამაზად მღეროდა, მისგან ტონს იღებდნენ გუნდები და აგრძელებდნენ საგალობელს, როგორც ჩანს, პაპს კარგი მუსიკალური სმენა აქვს.

ლოცვები მეორდებოდა იტალიურ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. მრევლი, რომელსაც ხელში ეჭირა ბუკლეტები ლოცვებითა და ნოტებით, გუნდთან და ორღანთან ერთად მღეროდა „კირიე ელეისონს", რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

საკურთხეველთან მიიყვნენ პატარა ბავშვები, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის იაპონელები, ევროპელები, შავკანიანები და სხვა, ბავშვებმა ყვაყილები და საჩუქრები მიართვეს პაპს, პაპი სათითაოდ ეხვეოდა და ლოცავდა მათ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბავშვთა კრებული, ეროვნულ ტანსაცმელებში გამოწყობილი, მართლაც იშვიათი სანახაობა იყო, მათ შორის არ იყვნენ ბავშვები მხოლოდ საბჭოთა კავშირიდან.

პაპი ისევ მივიდა საკურთხეველთან. მას გვირგვინი მოხადეს. პაპმა ორივე ხელი აღაპყრო ცისკენ და გალობით დაიწყო ლოცვა, შიგადაშიგ გუნდი და ორღანი ერთ-

ვებოდა. პაპი მუსიკალურად, სუფთა ინტონაციით გალობდა, იგი ზუსტად ინარჩუნებდა იმ ტონალობას, რომელსაც ორღანი იძლეოდა, პაუზების შემდეგაც პაპი ზუსტ სიმაღლეზე იწყებდა გალობას, რომელსაც გუნდი აგრძელებდა. ხალხი პაპთან ერთად იმეორებდა ლოცვებს. ყველაფერი ეს კარგად იყო დადგმული, ეტყობა, ამ რიტუალს დიდი ტრადიცია აქვს. პაპი ლოცვებს კითხულობდა, ჩვენ მისი მნიშვნელობა არ გვესმოდა, მაგრამ ვგრძნობდით, თითოეული მისი სიტყვა როგორ აღავსებდა მადლით იქ მყოფთ, სიკეთის სიყვარულის, მეგობრობის რწმენას უნერგავდა ხალხს. ჩვენთან ეს რწმენა წაშალეს და სიყალბეზე ააგეს იდეოლოგია.

„ხალხს ღმერთს ართმევ, საშობლოს, ენას, სარწმუნოებას, სამაგიეროდ რას სთავაზობ?“ ართმევ იმას, რაც 2000 წლის განმავლობაში ზრდიდა ქრისტიანებს.

პაპმა მიულოცა ყველას შობის ბრწყინვალე დღესასწაული, მერე ოქროს თასით სასმისი შესვა. შემდეგ, ყველა ჩვენგანს ჩამოურიგეს ტკბილეული. საინტერესოა, რომ ხალხი პირჯვარს არ იწერდა, პაპიც იშვიათად აკეთებდა ამას, უფრო მეტად ხალხს გადასწერდა პირჯვარს. ჩვენ ჩავიწერეთ პაპის ქადაგებები.

პაპის პირველი გამოსვლა ლათინურად: — „იმ უძველესი ტრადიციის მიხედვით, რომელიც სათავეს იღებს რომის პირველი ეკლესიის გაჩენასთან ქრისტიანები დიდი ზეიმით აღნიშნავენ მისტიური შობის დღესასწაულს, რომელიც დიდმა მბრძანებელმა უფალმა შუაღამისას უბოძა ქვეყანას და აუწყა მსოფლიოს ყველა კეთილმოსურნე ხალხს დიდი სიხარული. ეს ამბავი პირველად ღმერთებმა ანგელოზების საშუალებით აუწყეს მწყემსებს, რომლებმაც დიდი სიხარულით მიიღეს მაცხოვრის დაბადება. ჩვენც ამ წმინდა დღეს შევიკრიბეთ აქ, რათა ვიზეიმოთ ღვთის შვილის დაბადება. ეს რწმენა ყველა ქრისტიანს გვაკავშირებს მთელ მსოფლიოში, ევროპის აზიის, აფრიკის, ავსტრალიის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის ხალხებს. ყველა ამ ხალხს ამჟამად ჩვენკენ აქვს ყური მოჰყრობილი. ეს იქნება რადიოსა თუ ტელევიზიის სახით. სანამდე ჩვენ დავიწყებთ ლოცვას, ვალდებული ვართ, გავიხსენოთ ის მომენტები, რომელიც წმინდა მამებმა იწინასწარმეტყველეს ღმერთის მიერ დაპირებული მესია, როცა ანგელოზებმა იგალობეს ქრისტეს დაბადების მომენტში, მისი დაბადებით ქრისტეს სახით კაცობრიობას მოევლინა მაცხოვარი, უფალი და ქვეყნის გადამრჩენელი“.

მერე პაპმა ისაუბრა მარიამ ღმრთისმშობელზე, მოყვა ქრისტეს დაბადებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი მომენტი, ისაუბრა ქრისტიანობის მნიშვნელობაზე, მერე წაიკითხა „მამაო ჩვენო“, „მრწამსი“ და „ავე მარია“ (გიხაროდეს მიმადლებულო მარიამ).

ეს სიტყვები გაიმეორეს ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, ესპანურად და პოლონურად.

პაპის მეორე გამოსვლა: - მოიხსენია ძველი აღქმიდან როგორ იწინასწარმეტყველა მიქაელმა, მესიის ბეთლემში მისვლა. როცა ქრისტე დაიბადა, მთელ ქვეყანაზე ჩამოვარდა აბსოლუტური სიჩუმე, შეჩერდა ყველა სახის ხმაურის გამომცემი, შეწყდა ქარის ხმა, ხეების შრიალი, აღარ ისმოდა მდინარეების ჩხრიალი, ზღვის ტალღების ხმაური, არსაიდან ისმოდა ადამიანის ხმა და ძახილი. მთელი სამყარო მოიცვა აბსოლუტურმა სიჩუმემ, თითქოსდა დედამიწაც კი გაჩერდა, შეჩერდა თითქოს დროც (საათიც). ყველა მოელოდა ძველ საუკუნეთა ერის დასასრულს. როცა ყველაფერი გაჩერდა, ყოელისშემძლე მამა ღმერთმა დედამიწას უბოძა უფალი ჩვენი გადამრჩენელი იესოს სახით. ალილუია, ალილუია, ალილუია.

სანამ ქრისტე დაიბადებოდა, მანამდე ბევრმა დრომ განვლო, როცა ღმერთმა შექმნა ცა და დედამიწა და ყოველივე ხილული. მერე კაცობრიობამ ბევრი ცოდვა ჩაიდინა, ამიტომ ღმერთმა დასაჯა ადამიანები წარღვნით, მერე ცისარტყელა გამოჩნდა. ეს ნიშნავდა ღმერთსა და ადამიანს შორის შერიგებას. 20-მდე საუკუნემ განვლო, სანამ აბრაამის შემდეგ ქრისტე დაიბადებოდა, 13-მა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, როდესაც ეგვიპტიდან მოსემ ღვთის მიერ რჩეული ხალხი ტყვეობიდან გაათავისუფლა და წაიყვანა ეგვიპტიდან, ეს ყველაფერი იწინასწარმეტყველა მისანმა დანიელმა.

750 წლისთავზე რომის დაარსებიდან დაიბადა ქრისტე.

ჩვენი უფალი, ერთადერთი ძე ღვთისა, მოევლინა ქვეყანას, რათა ჩვენი, კაცობრიობის ცოდვა გამოესყიდა, იგი მოევლინა კაცობრიობას.

პაპის დალოცვა: ყოველი კაცი და ყოველი ქალი, რომელიც იტანჯება უსამართლობით ქვეყანაზე, ყოველ კაცსა და ქალს, რომელიც საშუალო ავადმყოფური სენით არიან შეპყრობილი, გადასახლებულები დარბეულები და გადახვეწილები, დაპატიმრებულები, რომლებიც ამჟამად საპყრობილეებში იტანჯებიან, და ყველანი ისინი, რომლებიც ჩვენთან ერთად ვერ ახერხებენ მიიღონ ზეიმში მონაწილეობა, რამდენი ადამიანი ამჟამად ჩვენზე უარეს მდგომარეობაშია. მე მინდა ღმერთს შევევედრო, რომ ყველა ამ დაჩაგრულს და გაუბედურებულ ადამიანს მისი მადლიანი დახმარების ხელი გაუწოდოს.

ორღანი უკრავდა, გუნდი მღეროდა ხალხთან ერთად, საინტერესოა, რომ გუნდი და ხალხი უნისონში მღეროდნენ, თუმცა ბიჭუნათა და მამაკაცთა გაერთიანებულმა გუნდმა, რომელსაც არაჩვეულებრივი ჟღერადობა ჰქონდა, ორღანთან ერთად იმღერეს სასულიერო ნაწარმოებები, არაჩვეულებრივი ეფექტი იყო.

პაპმა წირვა დაამთავრა და თავისი ამალით ისევე წავიდა, როგორც მოვიდა, მის უკან ორ რიგად გამწკრივდნენ ვატიკანის სალდათები. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა ორღანის აკომპანიმენტის ქვეშ. ეს იყო უკვე 25 დეკემბრის პირველი საათი და 50 წუთი.

ეს საღამო სამუდამოდ დაამახსოვრდება „რუსთაველის" წევრებს.

დავბრუნდეთ ახლანდელ გასტროლში: 13 აგვისტოს ტერნიდან ფლორენციაში გავემგზავრეთ. გზა არაჩვეულებრივად ლამაზია — ვენახები, ვენახები, სულ ვენახები. ზვრები უმეტესად სეტყვისგან დასაცავად ნეილონის ბადითაა გადაფარული, ეს ბადე ამინდის შესაბამისად შეიძლება გახსნან ან დახურონ. აუ, როგორ მოუხდებოდა ამნაირი ბადეები კახეთის ვენახს!

ღვინის წარმოების მხრივ იტალია ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში საფრანგეთთან ერთად, ამიტომ მიწას სხვა კულტურით არ ტვირთავენ, რაც ხარობს, მხოლოდ ის კულტურა მოჰყავთ, ვენახი მართლაც კარგად ხარობს. სამხრეთ იტალიაში სუბტროპიკულ კულტურებს შეხვდებით, აქვეა სხვადასხვა ჯიშის ხეხილიც.

გზაზე ჯიხურები დგას, რომელიც აუტომატურად აფიქსირებს მანქანის გადაჭარბებულ სიჩქარეს, მერე მძღოლებს სახლში მისდით დიდი ჯარიმის ქვითრები, ფული, ცხადია, სახელმწიფოს ბიუჯეტში შედის. ჩვენ მაგისთვის საგზაო ავტოინსპექტორები გვყავს, რომლებიც „რადარით" აფიქსირებენ მანქანის სიჩქარეს და იქვე გაჯარიმებენ, ფული სად მიდის, არ ვიცით.

ხეხილის გარდა გზებზე და ქალაქებში სულ ყვავილებია. საიდან ამდენი ვარდები, მე მარტო თბილისი მეგონა „მზის და ვარდების მხარე".

იტალიაში ყველგან ყვავილების კულტია.

24 საათის განმავლობაში შეგიძლიათ იყიდოთ ულამაზესი თაიგული, მაგრამ ჩვენსავით ტყავი არ გაგძვრებათ, ყვავილები ყველასათვის მისაღებ ფასად იყიდება.

აქ ყველაფერს პატრონის ხელი ეტყობა, ქუჩანასაც პატრონი პყავს და ხალხიც თავის თავს პატრონობს. ჩვენთან არც ქუჩანას და არც ჩვენ პატრონი არა გვყავს, ჩვენი თავის პატრონიც ეერა ვართ.

ფლორენციასთან ახლოს არის საკურორტო ქალაქი მონტე-კატინი, სადაც 3 დღე ვცხოვრობდით. რაც შეეხება ფლორენციას, ის უნდა ნახო, მისი აღწერა ძალიან ძნელია. მაინც შევეცდები გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებები.

ფლორენცია.

აქ დგას ამაღლებული თაღი ბრუნელესკის, აქ არის უფიცის გალერეა, აქ მიქელანჯელომ შექმნა მედიჩების კაპელაში თავისი უკვდავი ქმნილებები, აქ დგას დავითი, აქ არის მიქელანჯელოს გვიანდელი ტრაგიკული „პიეტა

აქ არის სანტა კროჩეს მოედანი, რომლის ცენტრში დგას განათქმული ტაძარი სანტა კროჩე. აქ არის დანტე ალიგიერის საფლავის სიმბოლური ძეგლი. მისი ნეშტი ჩუმად იქნა გადასვენებული ბერების მიერ მის სამშობლო ეერონაში, სადაც ახლა განისვენებს.

„სანტა კროჩე“ (წმინდა ჯვარი) ფლორენციის XIII-XIV საუკუნის იშვიათი ტაძარია, მას 100 წელი აშენებდნენ. აქ დასაფლავებულია მიქელანჯელო, მაკიაველი, როსინი, დონატელო, გალილეი, აქეა დანტეს სიმბოლური საფლავიც.

სანტა კროჩეს ეკლესია ფლორენციის უდიდესი შვილების პანთეონია. აქ არის ჯოტოს ფრესკები და დონატელოს სტატუა. „სანტა კროჩე“ ცნობებში აღნიშნულია, როგორც „გოთიკის თაეისებური ძეგლი“ ასეთი ძეგლების ავტორებმა ქრისტიანულ დიდებასთან ერთად, ადამიანის ტიტანური შესაძლებლობები აჩეენეს.



ანსაბგლი „რუსთაველი“. 1972 წ.

მთავარ მოედანს პქვია „პიაცა დეი სინიორიე" იშვიათია ფლორენციის დუომოს ტაძარი (დუომო თაღს ნიშნავს), მეტად საინტერესოა ხელოვნების აკადემია, სადაც დგას მიქელანჯელოს დავითი და სხვა მისი დაუმთავრებელი ფიგურები.

აქვე გეერდზეა მდინარე არნო, რომელზედაც გადადის ცნობილი ხიდი – "პონტო ვეკიო" უძველესი ხიდი, ამ ხიდზე აშენებულია სახლები პატარა რამდენიმე მწკრივიანი ფანჯრებით, რომლებიც კრამიტითაა გადახურული. გადმოცემით ეს ხიდი არნოზე ააგეს უძველეს დროში ჯერ კიდევ ეტრუსკების დროს. ახლა აქ ოქრომჭედლობაა გაჩაღებული და იყიდება მრავალ დახლზე დაწყობილი ათასნაირი სამკაული.

აქედან თუ გადახვალთ ვიწრო ქუჩით, მოხვდებით „სინიორის მოედანზე" ეს არის ფლორენციის გული და უდიდესი ხელოვნების პლაცდარმი. სტატუები (ძეგლები) განლაგებულია ზედ მოედანზე და ქმნის მარმარილოს მრავალსახოვნებას. ამ ძეგლების ცენტრში დგას მიქელანჯელოს გიგანტური შედევრი — დავითის ასლი (ორიგინალი მე-19 საუკუნის ბოლოს გადატანილი იქნა ფლორენციის ხელოვნების აკადემიაში). მოედანზე დგას ბაჩო ბანდინელის პერკულესი, გეერდით ნეპტუნის ფიგურაა, რომელიც შადრევანის ცენტრში დგას.

მიქელანჯელოს დავითში შერწყმულია ფიზიკური და სულიერი ძალა, ვაჟკაცობა და კეთილშობილება.

ამ მოედანზე გამოდიოდა და თავის აზრებს „აფრქვევდა" მაკიაველი, აქ ისმოდა ტრაგიკული გამოსვლები საეონაროლის, აქ უყრიდა საფუძველს ქალაქის ძლიერებას კოზიმო მედიჩი.

ფლორენციაში ისეთივე ვიწრო ქუჩებია, როგორც ვენეციაში. იმ განსხვავებით, რომ ვენეციაში ნავებით დადიან, ფლორენციაში — მანქანებით. თუმცა აქ მანქანას ვერსად დააყენებთ.

ერთი პატარა ვიწრო ქუჩიდან გაეედით და უცებ წავაწყდით ბრუნელესკის თაღს — ამ უზარმაზარ შენობას, რომლის მხოლოდ თაღი ჩანს შორიდან. იქმნება ისეთი წარმოდგენა, თითქოს თაღი ცაზე ჰკიდია. სწორედ ეს თაღი იძლევა გენიალური ქმნილების სახეს. თაღი ეკუთვნის ფილიპე ბრუნელესკის. ამ თაღს აგვირგვინებს პატარა თეთრი კოშკი მოოქრული სფეროთი და ჯვრით.

ტაძარში დგას მიქელანჯელოს „პიეტა" (იგი ამ თემას რამდენჯერმე დაუბრუნდა). წმ. პეტრეს „პიეტასაგან" განსხვავებით ეს პიეტა გამოხატავს „კუბოში ჩადებას" ქრისტე უკვე ჯვრიდანაა ჩამოხსნილი იგი ძირითადად უჭირავს მადონას. რომელსაც ეხმარებიან სხვებიც. აქ ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ქრისტეს სხეული ისეა დასუსტებული და მოდუნებული, რომ იგი ვარდება და ეს ვარდნა. უსიცოცხლო სხეულის სიმძიმე და ულონოდ დაკიდული სხეული გასაოცარი სიცხადითაა ქვაში გამოკვეთილი. საინტერესოა, რომ ეს შესანიშნავი ქმნილება ერთი მონოლითისაგანაა გამოთლილი და როგორც გვითხრეს, მიქელანჯელო ვარაუდობდა, რომ სადაც ამ სკულპტურას დადგამდა, იქ იქნებოდა მისი საფლაეიც.

ხანდახან გენიალურ ქმნილებებს ვერ ახსნი, იგი გაჯადოებს, მაგრამ ვერ იტყვი, რატომ მოგწონს, როგორც ვერ იტყვი, რატომ გიყვარს საყვარელი ქალი.

ფლორენტინის ტაძრის (ან ფლორენციული ტაძარი) ახლოს დგას მედიჩების კაპელა, ეს არის „სანლორენცოს" მინაშენი ეკლესიის. იგი შიგნით მორთულია სხვადასხვა ფერის მარმარილოთი – მალახიტით, ბრონზით. აქ არის ბრწყინვალე

სარკოფაგები, აგებული შესანიშნავი ოსტატების მიერ, მაგრამ აქ ყურადღებას იპყრობს მიქელანჯელოს სკულპტურები — ქანდაკებები. სწორედ ამან გაუთქვა სახელი მედიჩების სასახლეს მსოფლიოში. კედლებთან მედიჩების სტატუებია: მარჯვნივ — ჯულიანო, მარცხნივ — ლორენცო. (აქ საინტერესოა ალეგორიული ფიგურები. პირველი წყვილი გამოხატავს დღესა და ღამეს, მეორე წყვილი — დილას და საღამოს).

4 წყვილი ფიგურა, როგორც 4 ბედისწერა, რომელშიც ეტევა მთელი კაცობრიობის ბედი, გამოხატავს ღამეს. დღეს, დილასა და საღამოს. ასეთია ადამიანის ცხოვრების გზა.

ფლორენციაში პირველი კონცერტი გვქონდა 14 აგვისტოს, კონცერტი ჩატარდა საზაფხულო თეატრში. კონცერტის შემდეგ ბევრი ყვაველი გვაჩუქეს, სცენაზე ამოვიდა ერთი ესპანელი ბარონი და მითხრა: „თქვენ არაჩვეულებრივი ცეკვები გაქვთ, ესპანეთშიაც კარგად ცეკვავენ, მექსიკაში, ირლანდიაში, მაგრამ მსოფლიოში ასე არავინ მღერისო“

მე გამახსენდა ერთი ამბავი. 1985 წლის გაზაფხულზე რუსთაველის მომღერლები ერთი კვირა ვიყავით ფლორენციაში, სადაც მუსიკალური ფესტივალი ტარდებოდა. ჩვენ რამდენიმე კონცერტი გავმართეთ. ერთ-ერთი კონცერტის დროს, როცა ოვაციებს ბოლო არ უჩანდა, სცენაზე ამოვიდა მაღალი ტანის გამხდარი კაცი, იგი ასე 60 წლისა იქნებოდა. ხელმძღვანელს ეძებდა, მე წარმადგინეს. ისეთი მოღუშული სახე ჰქონდა, ვიფიქრე, ალბათ რამე დავაშავეთ, ან კონცერტი არ მოეწონა-მეთქი.

მე მუსიკისმცოდნე ვარ, – მითხრა მან, — გეკითხებით, ამ სიმღერებიდან რაც დღეს შესრულდა, ერთი მათგანიც რომ დაიკარგოს, ვინ არის პასუხისმგებელი?

მე ვერ გავიგე შეკითხვა და მხრები ავიჩეჩე, იგი მიხვდა და საკითხი სხვანაირად დასვა: - ეს სიმღერები თქვენი არ არის.

— როგორ! გავიკვირვე მე,

— იგი კაცობრიობის საკუთრებაა,

— განაგრძობდა უცნობი, — ისე როგორც ლეონარდო დავინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელის, შექსპირის, გოეთეს, ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის ნაწარმოებები, — ისე როგორც ვენეცია, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, წმ. პეტრეს ტაძარი და სხვა, ეს ქმნილებები ღმერთების დონემდე ამაღლდნენ, თქვენი სიმღერებიც ასეთია, მე იგი დღეს პირველად მოვისმინე და შეამაყება, რომ ვარ იმ ადამიანთა მოდგმის შვილი, რომელმაც ასეთი სიმღერები შექმნა.

მე, გაოგნებული შევყურებდი იტალიელ მუსიკოსს, ახლა უკვე გავიგე მისი შეკითხვა და ავუხსენი თუ რა კეთდება ჩვენთან იმისთვის, რომ ეს სიმღერები არ დაიკარგოს. მას მოღუშული სახე გაეხსნა და სწრაფი ნაბიჯით დატოვა სცენა.

ფლორენციამ კიდევ ერთი ამბავი გამახსენა, 1985 წელს, 5 მარტს, როგორც ფესტივალის საუკეთესო კოლექტივი, გამოგვიძახეს რომის ტელევიზიაში, რაფაელა კარას პოპულარულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. რაფაელა კარა, როგორც შესანიშნავი მოცეკვავე, მომღერალი და ტელეწამყვანი იტალიაში ძალიან პოპულარულია. იგი ძალიან თბილად შეგვხვდა, რაფაელა პატარა ტანის ქალია, არაჩვეულებრივად არტისტული და ძალიან სასიამოვნო გარეგნობის. გადაცემა პირდაპირ ეთერში მიდიოდა, იგი შეგვეკითხა ქართული სიმღერის შესახებ, გვამღერა რამდენიმე სიმღერა, რომელსაც კომენტარი თვითონ გაუკეთა, შეგვეკითხა ანსამბლის კურიოზების შესახებ და არაჩვეულებრივად ხალისიანად წარგვადგინა

ეთერში, შერე ჩვენს უნიჭიერეს მოცეკვავე და მომღერალ მაია დარჩიაშვილთან ერთად შეეცადა ქართულად ეშღერა (სხეათა შორის, ძალიან ნიჭიერად გამოუვიდა), შემდეგ კიდევ ერთხელ წარუდგინა ჩვენი თავი საზოგადოებას, უთხრა, რომ ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო მუსიკალურ ფოლკლორში გამორჩეული მოვლენაა, ხოლო ანსამბლი „რუსთავი" ფლორენციის ფესტივალის მშვენებაა, ბოლოს თბილად დაგვეშვიდობა და წარმატება გვისურვა. ამასობაში, დღის 1 საათი გახდა, ჩვენმა ორგანიზატორმა რაფაელა კარას სტუდიიდან პირველ სართულზე ტელეეთერის სახადილოში გაგვიყვანა — ჯობაა აქ ვისადილოთ, ფლორენციამდე საკმაოდ დიდი გზა გვაქვსო. ჩვენ კოსტიუმების გამოცვლა ვერ მოვასწარით და სახადილოში ჩოხებით ჩაველით. აქ უკვე გვიცნეს, რაფაელას გადაეცემა ქველას ენახა.

სახადილო საქმე იყო ტელეეთერის თანამშრომლებით. ვინაიდან შესვენების დრო იყო, ჩვენთვის 12 კაცზე ცალკე გაეშალათ სუფრა, იტალიური საჭმელებითა და ორი ბოთლი ღვინით. იმ დღეს ჩვენი კარგი მომღერლისა და უსაყვარლესი პიროვნების სალიევერ კადაჭკორიას დაბადების დღე იყო. ჩვენ გადაეწყეტილეთ ზეიმი რიმში დაგვეწყო და შერე ფლორენციაში გაგვეგრძელებინა. „რას გვეზამს ორი ბოთლი ღვინო, სალიევერის წინაპირება გურიას არ გასცილებიან, ჩვენ აგერ რიმში ვუხდით დაბადების დღეს, და ორი ბოთლი ღვინო გვეყოფა" — იხუმრა ჯუმბერ ჭოლაბაიამ. ნუ გეშინია — ვუთხარი მე, — ღვინო აგერ იყიდება და ფული ჯიბეში გვაქვს. სალიევერი ანსამბლის ტრადიციული თამადაა, მაგრამ ვინაიდან დღეს მისი დაბადების დღე იყო, თამადად მე დამნიშნეს.

იუბილარის სადღეგრძელოზე „შრავალჟამიერი" დაეგაგუნეთ. ახმაურებული სახადილო ერთ წამში დაწუნარდა, შერე ტაშმა იგრიალა და ბრაეოს ძახილი გაისმა. სადღეგრძელოები და სიმღერები გაგრძელდა და რიცა შესამე სიმღერა შეეასრულეთ, უცბად სუფრაზე 10 ბოთლი ღვინო დაგვიდგეს, ეს ბარმენმა გამოგზავნაო. ყოლბაიას სახე გაუნათდა და „კუჩხი ბედნიერი" წამოიწყო. იმავე ტაში და "ბრავოს" შეძახილები, ხალხი ნელ-ნელა ჩვენს ირგვლივ მოგროვდა, ჯერ ფეხზე იდგნენ, შერე ჩვენს მაგიდებს მაგიდები მოადგეს და ჩვენთან ერთად დაიწყეს ქეიფი, თან უამრავი ღვინო მოიტანეს. ხალხი თან-



სოლისტი
ბია ბულიაშვილი

დათან მატულობდა, იყო საერთო მხიარულება და სიმღერა, როცა ნუგზარ გელაშვილმა „ფუნიკული-ფუნიკულა“ იმღერა, მთელი დარბაზი აგვყვა. ბოლოს ისეთი ღრიანცელი ატყდა, გვეეგონა, ჭერი ჩამოიქცეოდა.

მერე „ფუნიკული“ რამდენჯერმე გვამღერეს, რედაქციებიდან თანამშრომლები ჩამორბოდნენ ამ არაჩვეულებრივი კონცერტის მოსასმენად. ბოლოს „საეკლესიო მრავალჟამიერით“ დავემშვიდობეთ ჩვენს გულღია მასპინძლებს და კარგად შეზარხოშებულები ავტობუსისკენ წავედით, თითქმის მთელმა დარბაზმა გაგვაცილა, — „არივედერჩი“ ხელს ვუქნევდით იტალიელ მეგობრებს, „არივედერჩი“ — იყო ხალისიანი პასუხი. ავტობუსი ფლორენციისკენ დაიძრა. მთელი გზა სიმღერაში გაელიეთ. ფლორენციაში ღამე ჩავედით, ჩემს ოთახში შევიკრიბეთ და ქეიფი გავაგრძელეთ. ღვინო არ გვეყოფოდა, ამიტომ ღვინოზე ირაკლი მათიკაშვილი, ამირან გოლიაძე და ჯუმბერ ყოლბაია გავეზავნეთ. ისინი ჩავიდნენ მახლობელ მაღაზიაში და 10 ბოთლი ღვინო მოითხოვეს. მაღაზიის გამყიდველმა იცნო ჩვენი ბიჭები რაფაელა კარას პროგრამიდან და არაფრით ღვინის ფული არ გამოართვა. მერე ბიჭებმა იგი დაპატიჟეს, ისიც სიამოვნებით დათანხმდა, მაღაზია დაკეტა და ჩვენთან მოვიდა, ჯუზეპე, ასე ერქვა მაღაზიის პატრონს, ძალიან კეთილი და მხიარული კაცი აღმოჩნდა, - ქეიფი დილამდე გაგრძელდა.

ამისთანა დაბადების დღე, მგონი, რომის პაპსაც არ ჰქონია, გვითხრა სალიერ ვადაჭკორიამ და მადლობა გადაგვიხადა.

ის დღე იშვიათ მოგონებად დაგვრჩა.

დღეს 14 აგვისტოა. დილიდან მილანისკენ გავემგზავრეთ. გზად კიდევ ერთხელ შევათვალიერეთ დუომოს ტაძარი, აკადემია, დავითის ქანდაკება, შევჩერდით ულამაზეს ძველ ხიდზე, რომელიც 1383 წელსაა აგებული, ეს ხიდი ერთადერთია, რომელიც გერმანელებმა არ დაანგრიეს. ფლორენციას ვტოვებდით საოცარი შთაბეჭდილებით. „არივედერჩი, ფლორენცია“, იმეორებდნენ ანსამბლის წევრები და ხელს უქნევდნენ ქუჩაში მდგარ ფლორენციელებს.

ფლორენცია სხვა ქალაქია, აქ ხელოვნება იმარჯვებს ადამიანზე, იმარჯვებს იმიტომ, რომ ღმერთების მიერაა შექმნილი (ერთი ხატოვანი გამოთქმისა არ იყოს ფლორენცია ნამდვილად ღმერთების სამშობიაროა).

15 აგვისტო

ფლორენციიდან ნოვარაში გავემგზავრეთ. იქ ბატონი რეზო თაბუკაშვილი და იური ბარამიძე ჯანსულ ჩარკვიანმა და მე მატარებელზე გავაცილეთ, ისინი გემით მიემგზავრებიან ოდესამდე.

ნოვარა საკმაოდ დიდი და ლამაზი ქალაქია. აქ გაიმართა ჩვენი კონცერტი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რომელსაც 5000 მაყურებელი დაესწრო. მათ შორის იყვნენ იტალიელი პარტიზანები, ფორე მოსულიშვილის თანამებრძოლები, რომლებიც არაერთხელ ყოფილან საქართველოში. მათ მეორე დილით დაგვპატიჟეს თავიანთ ქალაქში.

ერთ-ერთმა პარტიზანმა მილანისკენ მიმავალნი გზად გაგვატარა ფორე მოსულიშვილის საფლავზე. აქ მხოლოდ იტალიელი გმირები არიან დასაფლავებული. ეს პატარა პანთეონია, სადაც ფორეს დიდი პატივი ხვდა წილად და დაასაფლავეს საქვეყნოდ აღიარებულ იტალიის ეროვნულ გმირებთან ერთად. სასაფლაოსთან ბევრი პარტიზანი დაგეხვდა ოჯახებით. ჩვენ ქართული წესით თითო ჭიქა ღვინო

აეწიეთ ფორეს საფლავზე და ვიმღერეთ: „შენ ბიჭო ანაგურელო“ და „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“. იქედან იტალიელებმა წაგვიყვანეს სხვა სასაფლაოზე. სადაც 45 პატრიოტია დახვრეტილი, მათ შორის ერთი გადარჩა, რომელიც დღემდე ცოცხალია. ეს სასაფლაო იტალიაში წმინდა ადგილად ითვლება, აქ ყოველ წელს ჩამოდის იტალიის პრეზიდენტი.

სასაფლაოზე მისვლამდე ტბების პირას გავიარეთ 50-მდე კილომეტრი, საოცარი სილამაზეა, ტბები, მთები და პატარა კუნძულები, რომელთა ტერიტორია ხშირად ორი კვადრატული კილომეტრით განისაზღვრება. აქ უძვირესი აგარაკებია, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები ისვენებენ.

16 აგვისტოს ღამით ჩამოვედით მილანში. ამ ქალაქში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი, მაგრამ ისეთი ხიბლი აქვს, გგონია, რომ პირველად ჩამოდიხარ, ამიტომ ყველაფერი თავიდან გაინტერესებს. მეორე დილით დავათვალიერეთ ქალაქი. „დუომოს“ ტაძარი (დუომო ნიშნავს თაღს) ერთ-ერთი შედევრია გოთური სტილის ტაძრებში. ცაში ატყორცნილი, შემკული გარედან ბრწყინვალე ქანდაკებებით, ასობით გოთური კოშკით, ზეცით სულ ბოლო კოშკის თავზე მოოქროვი ღვთისმშობლის ქანდაკება დგას, რომელიც აგვირგვინებს ამ, მართლაც, იშვიათ სანახაობის ქანდაკებების ანსამბლს. ტაძრის წინ უზარმაზარი მოედანი (ისე როგორც ვენეციის “სან მარკოს” მოედანი) მუდამ სავსეა მტრედებით. გავიარეთ ქალაქში, აქ თითოეული სახლი მუზეუმია. დავათვალიერეთ „ლა სკალას“ მუზეუმი, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვერდის, ტოსკანინის, პუჩინის, როსინის ნიღბებმა, შოპენის ხელის მტევანმა (თაბაშირი).

მერე „ლა სკალას“ დარბაზში შეველით, მართლაც რა დიდი ტრადიციების მქონე იშვიათი საოპერო თეატრია. ჩვენ ვათვალიერებდით დარბაზს, რომ ამ დროს გამოჩენილი კინომსახიობი, მარჩელო მასტროიანი შემოვიდა, იგი ცოტა მოტეხილი მომეჩვენა, მე რამდენიმე მომღერალთან ერთად მასთან მივედი და თავი შევაცნევ, მასტროიანი შარშან იყო თბილისში, ჩვენ ბატონ რეზო თაბუკაშვილის ოჯახში შევხვდით და დილამდე ვიქეიფეთ. თამადა იყო ბატონი აკაკი ძიძიგური. მარჩელომ მაშინვე გაგვიხსენა, მოიკითხა ბატონი რეზო, თამადა – აკაკი და სიამოვნებით გაიხსენა თაბუკაშვილებთან გატარებული საღამო, მერე გულთბილად დაგვეშვიდობა და წავიდა.

ჩვენ ყველას გაგვახსენდა ის მართლაც დაუვიწყარი საღამო თაბუკაშვილებთან, სადაც ქეიფი გვიან ღამემდე გაგრძელდა. მარჩელო სიმღერით მივაცილეთ სასტუმრომდე. დილით კინოსტუდიაში იყო მიპატიჟებული, მარჩელოს აინტერესებდა კინორეჟისორ სერგო ფარაჯანოვის გაცნობა, რომლის შემოქმედებას უდიდეს პატივს სცემდა. კინოსტუდიის ეზოში უამრავი ხალხი შეკრებილიყო, როგორც კი მარჩელო მანქანიდან გადმოვიდა, ატყდა ტაშისცემა, „ვიეა მასტროიანი“ გაისმა სერგო ფარაჯანოვის ხმა, რომელიც მისკენ გამოქანდა, ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ ძველი ნაცნობებივით. მარჩელომ მოიკითხა სერგო, მათ კარგა ხანს ისაუბრეს, იქვე იყო კინოსტუდიის დირექტორი ბატონ რეზო ჩეიძე, რომელმაც საზოგადოება კინოდარბაზში მიიწვია, სადაც სერგო ფარაჯანოვის ფილმი “სურამის ციხე” აჩვენეს, მასტროიანი ძალიან კმაყოფილი დარჩა. საღამოს დიდი პურობა გაიმართა, რომელიც გვიან ღამემდე გაგრძელდა. სერგო ფარაჯანოვმა ღამით მასტროიანი თავის ოჯახში დაპატიჟა სოლოლაკში. ეს ამბავი უკვე სოფიკო ჭიაურელმა გვიამბო:

ფარაჯანოვის სახლი ნამდვილი მუზეუმია, სადაც მისი ნამუშევრები და სხვა უნიკალური ექსპონატებია წარმოდგენილი. სერგოს სახლში პირველ სართულზე

ცხოვრობდა ხანდაზმული ქალბატონი ზინა, რომელიც ახალგაზრდობიდან მარჩელო მასტროიანიზე იყო შეყვარებული. — თბილისში რომ ჩამოვა აუცილებლად გასტუმრებო, ეუბნებოდა ზინას სერგო, ასე ატყუებდა მას რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ახლა, შუაღამისას მარჩელო და სერგო ფეხით მიდიოდნენ სოლოლაკში, სერგომ ზინას ფანჯარაზე დააკაკუნა. რომელი ხარ, - გაისმა ქალის ნამძინარევი ხმა, - სერგო ვარ, მარჩელო მასტროიანი მოგიყვანე, - გაგისკდა ეგ თავი, სანამდე უნდა მატყუო, არა გრცხვენია? ხომ ხედავ მძინავს.

— ზინა, მე შენ გელაპარაკები, გააღე კარი ძვირფასი სტუმარი მოგიყვანე. ქალბატონმა ბუზღუნ-ბუზღუნით ფანჯარა გამოაღო, თან ხალათს იკრავდა, და როცა მის წინ მდგომი ნამდვილი მასტროიანი დაინახა, ჯერ გაშტერდა მერე გული შეუწუხდა.

„ლა სკალადან“ გამოვედით, მარჩელოს და სერგოს კურიოზულ ისტორიაზე ანსამბლის წევრებმა გულიანად იცინეს.

ჩვენ საღამომდე თავისუფალი დრო გვქონდა და მილანის ქუჩებში ვსეირნობდით. ხილის მაღაზიაში შევედით. გამყიდველი კავარადოსის არიას ღიღინებდა პუჩინის ოპერა „ტოსკადან“, როცა პაუზა გააკეთა, არია ნუგზარ გელაშვილმა გააგრძელა, გამყიდველს ისე გაუხარდა, რომ ჩვენგან ფული არ აიღო.

ჩვენი ბოლო კონცერტი ქალაქის ერთ-ერთ პარკში იყო დანიშნული, კონცერტს 3000 კაცი დაესწრო, მათი უმრავლესობა ტურისტები იყვნენ. კონცერტი კარგად მიდიოდა, რამდენჯერმე ბისზე გამოიძახეს მოცეკვავეები, ომარ კელაპტრიშვილი, მომღერლები. მერე პატარა კურიოზიც მოგვივიდა, ჩვენმა მოცეკვავემ ნოდარ აბულაძემ „ფარიკაობის“ დროს ხმლით დაჭრა თავში გელა ყაველაშვილი, ხალხმა დაინახა, როგორ იფეთქა თავიდან სისხლმა და გაორმაგებული ტაში დაუკრეს, დადგმული ეგონათ. ვანო ცაგარეიშვილმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა, რომ გაიგეს, რაში იყო საქმე, სასწრაფო არაფრით არ წამოვიდა, ეგონათ, ხუმრობდნენ. მათ ვერ წარმოიდგინეს, როგორ შეიძლება ცეკვის დროს კაცის ხმლით დაჭრა. ბოლოს საქმეში დირექცია ჩაერია და რის ვაი-ვაგლახით ექიმები მოიყვანეს.

საღამოს იმპრესარიომ გამოსამშვიდობებელი ვახშამი გამართა, თამადამ, ბატონმა ჯანსულ ჩარკვიანმა სუფრა სამაგალითოდ წაიყვანა, იყო ლექსები, სიმღერები, ცეკვები, მთელი რესტორანი ჩვენ გვიყურებდა და მქუხარე ტაშით გვაჯილდოებდა.

ჩვენთან ბარმენი მოვიდა, რომელიც თურმე ჩვენს კონცერტზე ყოფილა.

— ძალიან მომეწონა რუსული სიმღერები და ცეკვები.

— ჩვენ რუსები არა ვართ, ნაწყენი კილოთი უთხრა ვანო ცაგარეიშვილმა.

— სსრ კავშირიდან ხომ ხართ?

კი.

- აბა რა განსხვავებაა თქვენსა და რუსებს შორის? – იკითხა ბარმენმა.

- ის, რაც თქვენსა და რუსებს შორის, - უპასუხა ვანომ, — სხვათა შორის, ჩვენც თქვენსავით ძველი, უმდიდრესი კულტურა გაგვაჩნია, რომლის ნაწილიც თქვენ დღეს ნახეთ.

- თქვენი დამწერლობა რუსულს ჰგავს? – იკითხა ბარმენმა,

- თქვენი დამწერლობა უფრო ჰგავს რუსულს, ვიდრე ჩვენი, – უპასუხა ვანომ.

- ეს ჩვენი უვიცობის ბრალია, ჩვენ სწორი ინფორმაცია არ გვაქვს, — თქვა ბარმენმა, ბოდიში მოიხადა, გულთბილად დაგვემშვიდობა და წავიდა.

17-18 აგვისტო

ერთთვიანი მოგზაურობის შემდეგ გეზი მოსკოვისკენ ავიღეთ. აეროპორტში გაგვაცილეს იმპრესარიო აიაცმა, ჩვენმა შესანიშნავმა ავტობუსის მძღოლმა პეპემ, რომელთანაც ერთად 12000კმ გავიარეთ იტალიის გზებზე, საბარგო მანქანის მძღოლმა მარიომ, შესანიშნავმა თარჯიმანმა და ექსკურსიამძღოლმა ლუიზამ, ადმინისტრატორმა ანტონელამ. ისინი არაჩვეულებრივი ხალხია, ჩვენ ძალიან დავმეგობრდით ამ ერთი თვის განმავლობაში. მადლობა მათ, „არივედერჩი", ხელს უქნევდნენ აცრემლებულ გამცილებლებს ანსამბლ „რუსთაველის" წევრები, იმ იმედით, რომ კლავაც დაებრუნდებით იტალიაში.

აი, რას წერდა იტალიაში გასტროლების შესახებ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი, ბ-ნი ჯანსულ ჩარკვიანი:

ქართული ცეცხლი იტალიის ცის ქვეშ

არის კაცის ცხოვრებაში წუთი, როცა იგი ნათლდება სულით და ხორცით. როცა კაცი ხდება მხილველი სასიქადულო მშვენიერებისა. ღეთაებრივ ნერგზეა აღმოცენებული ის წუთი, რომელიც ადამიანს სიხარულს ანიჭებს.

ვენეციაში, წმინდა მარკოზის ტაძარში ერთი ასეთი კონდაკი გამახსენდა: „ყოველი ცრემლი აღხოცე მწარედ ენებულთასა პირთაგან, რამეთუ მშიერთა, გამოუჩნდი გამომშრდელად, ზღვართა შინა მყოფი — კეთილწარმმართველად, სნეულთა — მკურნალად და შემწედ ყოველთა მგალობელთა..." „... ასეა, პარმონიულობას სრულქმნილება ჰქმნის, ადამიანები გრძნობენ ამას, მაგრამ ხშირად ჭურში სხედან და რატომღაც იქ ჯდომას ამჯობინებენ", — მე ვიგონებ დიდი იტალიელი პოეტის ეუჯენიო მონტალეს ამ სიტყვებს და ვგრძნობ, რომ გარესამყაროს აღსაქმელად ისევ და ისევ სრულქმნილება გვიხმობს.

დღეს, დედამიწის დროის ნათელ მონაკვეთში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ყველა გზა, რომელიც რომისკენ მიდის!

***

მოსკოვის ერთ ლამაზ სასტუმროში ვართ, ცენტრში...

სასტუმროს ვეებერთელა ოთახში სულ რვა კაცი შეკრებილა.

აქედან ერთი მაესტრო გახლავთ, რომელიც ბიჭებს ხელის აწევით აჩერებს და საქმისაკენ მოუხმობს...

— მოდით, მოდით, აბა, პე.

სწრაფად, სწრაფად, დავიწყოთ...

„ოდოიათი" დავიწყოთ...

მიდი, ოდოია...

ხო, მასე, გული, გული მიეცი,

სამჯერ ფორტე, ყველამ ყველამ.

ევდოი — ოდო, ევდოი — ოდო, ევდოი — ოდო...



მწერალი და კინორეჟისორი ბ-ნი რეზო თაბუკაშვილი

ნელა, მძიმედ, ამირან, ბანები ისე გადავიდეთ, თითქოს ახალი გუნდი შემოდის, ცოტანი ვართ და მიტომ...

ეპეპეე, თითქოს გაღმიდან, სადაც ყანას მარგლიან, იქედან მოდის ხმა...

ტარიელი რომ დაამთაურებს, მერე მოუმატეთ ხმას... ისევ, ისევ ახლიდან...

დასაწყისისას დასჭყიველე — ეედღი, ოდო, ეედღი, ოდო...

დინჯად, დინჯად, ახლა მიდი, რამინ, შეაგულიანე, შეუძახე — „ჰაა, ჰაა, აბა ბოშებო, დავხაჭკათ, თქვან გოლუაფირო...“

— მერე იტალიურ სიმღერაზე გადაიდნენ.

— აქ ნერვი უნდა თრთოდეს, პიანო, პიანო, მანდ მოგლიჯე. ნუგზარ, მასე არა, ხო მასე...

— ახლა შენ, რამინ, მიდი...

— ფეხზე წამოვდგე?

— არა, თუ გინდა დაწექი, მაგრამ ჯიგარი ჩაატანე, ნერვი, ნერვი უნდა თრთოდეს, სხეული ზამბარასაცით უნდა იყოს დაჭიმული, ბონდო, პირველი, კარგია, აქ იტალიაა, შენ ქართველი ხარ...

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლი, რესპუბლიკის სახალხო არტისტ ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით ხვალ იტალიაში მიემგზავრება ზუსტად ოცდათერთმეტი დღით, იტალიას მოიცლის სამხრეთიდან — ჩრდილოეთით, აღმოსავლეთიდან — დასავლეთით.

ჯგუფს თან ახლავს მწერალი და კინორეჟისორი რეზაბ თაბუკაშვილი თავის განუყრელი კინოოპერატორით — იური ბარამიძით. მეც მხვდა წილად ბედნიერება ამ შესანიშნავი კოლექტივის წევრი ვყოფილიყავი.

ანზორ ერქომაიშვილის რეპუტაციას ეესწრებოდი და გაოცებული დავრჩი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამქვეყნად სულ ერთი დღით იყო მოსული, მეშინოდა, არ დაიწვას და არ დაიფერფლოს-მეთქი. შემდეგ და შემდეგ დავრწმუნდი, რომ თუ ასე არ დაიწვა და არ დაიფერფლა „რუსთაველი“ „რუსთაველი“ აღარ იქნება, ეტყობა არა მხოლოდ ნიჭითა ერთითა, არამედ დიდი და თავგამოდებული შრომით მოიპოვება ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი სამსახური.

***

მივფრინავთ მილანისაკენ, გადავუფრინეთ ალპებს, ალპები ციხე-სიმაგრეებიდან ამოწვდილ ნაცრისფერ ბაიარაღებს გვანან.

მილანის აეროპორტიდან რამდენიმე საათში ბიბიონესაკენ გავსწიეთ.

ბიბიონეში საბჭოთა კავშირ-იტალიის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი ბატონი ვინჩენცო კორგი დაგვხვდა. მოგვათავსა ერთ შესანიშნავ სასტუმროში ზედ ზღვის ნაპირთან. აქ სასტუმრო რაც უფრო ახლოა ზღვასთან, მით უფრო ძვირად ფასობს. მოკლედ, ბატონი ვინჩენცო გავლენიანი პირია და როგორც გადაწყვეტს, საქმეც ისე მიდის.

სასტუმროდან სანაპიროზე გაველით, ზღვის სანაპიროც კი ქალაქის არქიტექტურასთანაა შერწყმული. შემდეგ ამ პატარა და ულამაზესი ქალაქის დათვალიერებას შევუდექით, თანდათან ეიბოლმები, მომწონს და მიხარია, მაგრამ სევდა მეუფლება. რატომ ხდება ასე? რაშიც ღმერთის ხელი ურევია, ჩვენი სჯობს, რაშიც კაცის ხელი? მაშ რაა საჭირო? ალბათ, უფრო მეტი შრომა, მეტი სიყვარული, მეტი ერთგულება, მეტი ეურადღება და რაც მთავარია, მეტი პროფესიონალიზმი. აქ ლურსმანიც არაა მიჭედებული, რომ ოსტატს სიყვარული არ ჩაეტანებინოს. რამდენჯერ გაგვიგონია, „აფსუს, ბაკურიანი რომ ამერიკას ჰქონდეს, რას დახატავდა?“ რატომ, შე კაი კაცო, და შე კაი დედამიშვილო, შენია და შენ დახატე, შენია და შენ მოუარე, საკუთარს ხომ კარგად ვაშენებთ და ვუვლით? ერთმანეთის გაქილიკებაში ხომ სული ამოგვდის? ყველაზე კარგები ვართო, ხომ გავკივით და გულზე ხელს ვიბრაგუნებთ? „ჩვენი სჯობსო“ ხომ ვამბობთ?

სამშობლო მხოლოდ მთა და ბარი, ტყე და ველები ხომ არ არის, სამშობლო ხალხია. ჩვენ თუ ერთმანეთს ხელი არ შევუწყვეთ, თუ ჭეშმარიტებისა და სამართლის მთესველთა მხარში არ ამოვუდექით, თუ ბუნების ბოძებული არ ვახარეთ და არ მოვიხმარეთ, რა გამოვა? და რაც გამოვა, ხომ მშვენიერად ვიცით? დიახაც, საჭიროა გარდაქმნა, ბევრი კაცის გარდაქმნაა საჭირო...

დღეს თერამეტ ივლისს, ბიბიონეში „რუსთაველ“ პირველი გამოსვლა აქვს მუნიციპალიტეტის ვეებერთელა ღია ესტრადაზე, ბილეთები წინასწარაა გაყიდული. მსახიობები ჩაცმულები არიან, თხუთმეტი წუთით ადრე დაწყებამდე დაუშვა წვიმამ, წვიმდა ისე, რომ გადაღებას პირი არ უჩანდა. ამ ქალაქში თურმე წელიწადში ერთხელ წვიმს და ისიც „რუსთაველზე“ გადატყდა, არც ხალხს მოგვიცლია ფეხი და არც მსახიობებს. ისინი ელოდნენ ერთმანეთთან შეხვედრას, მაგრამ ბუნებამ ჩაშალა ეს საღამო. მშვენიერი სანახაობა იყო ფერად ქოლგებში შეყუჟული 5000 კაცი და ქალი. შემოღიოდნენ სარეპეტიციო ოთახში და გუთხოვდნენ, გველაპარაკა საქართველოზე, რომლის შესახებ თითქმის არაფერი იციან, კონცერტი ხვალისთვის გადაიდო.

***

19 ივლისს ვენეციაში მივემგზავრებით, ვენეციაში მერმა, მერეო ლარონიმ მიგვიღო, მუნიციპალიტეტის შენობაში მისივე თხოვნით „რუსთაველ“ ..მრავალჟამიერი“ იმღერა.

ღმერთმა იცის, მერამდენე საოცრებაა ხიმინჯებზე შემდგარი ეს მშვენიერება, იქნებ სულაც პირველი?

რაც ვენეციაში ხდება, ასე მხოლოდ ზღაპრებში თუ წაგვიკითხავს, ასე მხოლოდ სამოთხეს თუ დახატავენ. ვენეცია იდეალური ქალაქია, ცოდვაა კაცი, რომელიც ისე წავა ამ ქვეყნიდან, რომ ვენეციას ვერ ნახავს... ვენეციას როცა სტოვებ, სევდა გეუფლება, ვენეციაში როცა ხარ, მთელი ქვეყანა შენი გგონია. ვენეცია კაცობრიობის ულამაზესი ნაკრძალია. აქ თოფის სროლა სასტიკად აკრძალულია, ხოლო, ვინც თოფის სროლაზე ფიქრობს, ცოტა ხნით ვენეციაში უნდა აცხოვრო და აუცილებად გადაიფიქრებს, კაცი გახდება.

საღამოს ისევ ბიბიონეში ებრუნდებით.

19 ივლისს გადადებული კონცერტი უნდა გაიმართოს ბიბიონეს „გრანკონსერტში“ წუხანდელ ჩაშლილ კონცერტს დღეს კიდევ უფრო მეტი ხალხი მოუზიდავს.

ამ პატარა ქალაქში ქეყუანა ისვენებს, მშვენიერი ამინდია. „რუსთაველმა“ საღამო „განდაგანათი“ დაიწყო, განდაგანას „ოდოია“ მოჰყვა, რაც იქ ხდებოდა, ენა ვერ იტყვის, იმას კაცი აუცილებლად უნდა დაესწროს, თუ სურს ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს „რუსთაველის“ გამარჯვებაზე. შუა ცეკვისა და სიმღერის დროს ფეხზე დგებოდა 5000 კაცი, ტაშის გრიალით აღნიშნავდნენ განსაკუთრებით მოხიბლულ ილეთებსა თუ სიმღერაში მოწონებულ ადგილებს. „ბრავო ჯორჯიანო“ „ბრავო რუსთაველი“ ახმაურებდნენ სკამებს, ყვიროდნენ, უცებ სმენად გადაიქცეოდნენ ხოლმე, დროებით გამოერკვეოდნენ, ისევ გრიალს ასტეხდნენ, რაც იქ ხდებოდა, ეს მხოლოდ ბრაზილიის სტადიონზე შეიძლება მოხდეს, ნეტა იქ, ამ მაყურებელში მჯდარიყო მცირე ნაწილი მაინც ჩვენი ახალგაზარდობისა. ისე, ჩემი აზრით, როცა ასეთ სახელოვან კოლექტივს ვაგზავნით საზღვარგარეთ, არ იქნებოდა ურიგო, გაგვეყოლებინა ტურისტთა ჯგუფი, რომელიც თავისი თვალით ნახავდა ამ ბედნიერებას და შემდეგ სიამაყით მოჰყვებოდა ნანახსა და განცდილს. ასეთი ღილდო ყოველთვის პასუხისმგებლობით აანთებს ახალგაზრდა კაცს, რომელსაც გულით უყვარს თავისი ქეყუანა, თავისი ხალხის შემოქმედება, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. სიმღერებს ცეკვა ენაცვლებოდა, ცეკვას სიმღერა და ორი საათის მანძილზე ადრიატიკის ზღვასავით ღელავდა „გრანკონსერტის“ ვეებერთელა სივრცე.

ბიბიონეს მცხოვრებნი ამბობენ, ბოლო ხუთი წლის მანძილზე მსოფლიოში ცნო-



იტალია. კონცერტის შემდეგ.

ბილი უამრავი კოლექტივი გამოსულა ამ სცენაზე, მაგრამ მსგავსი არაფერი გვინახავს და არ მოგვისმენიაო. ანზორ ერქომაიშვილი კი იჯდა თავისთვის სადღაც, მაყურებელთა შორის და კაციშვილმა არ იცოდა, რომ ეს ყველაფერი ამ ნიჭიერი და დიდი ქართული სიმღერისათვის გაჩენილი კაცის დამსახურება იყო.

დამთავრდა საღამო, ბოლოს „რუსთავმა“ სუვენირად ნეაპოლიტანური სიმღერა მიუძღვნა ხალხს. ხალხი ცოტა ხნით გაოგნდა, ხოლო როცა გონს მოეგო, ფეხზე წამოდგა და ერთსულოვნებით აჰყვა ნუგზარ გელაშვილის მიერ იადონის ყელით ნათქვამ სიმღერას. საღამო დამთავრდა, მაგრამ ხალხი არ იძვრის ადგილიდან. სანამ მსახიობებმა არ ჩაიცვეს, მანამ ფეხი არ მოუცვლიათ, ბოლოს ხალხმა „ბრავოს“ ძახილით გააცილა „რუსთავი“, ხოლო ანზორ ერქომაიშვილმა ავტობუსში მომღერლებს და მოცეკვაეებს განუცხადა: „არ მოტყუვდეთ, ხალხის მოწონება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ თქვენ დღეს საუკეთესონი იყავით, ოპტიმალური ვარიანტი, რა თქმა უნდა, არ გიჩვენებიათ, მაგრამ გეპატიებათ, დაღლილები იყავით და თანაც პირველი კონცერტი იყო“.

ასეთი საუბარი, ცოტა არ იყოს, მკაცრად მომეჩვენა, მაგრამ თავისი გაჭედილი ხატის ამბავი, ალბათ, თვითონ იცის მაესტრომ. სულგრძელად დაველოდე იმ საოცრებას, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილის ოპტიმიზმი გვპირდებოდა.

***

ეესტუმრეთ ქალაქ ლიდოს, ხოლო შემდეგ ვერონას, დანტეს საფლავი ყვავილებით შეეამკეთ. ფლორენციიდან იძულებით წამოსული დანტე აქ მიეცა მშვიდსა და მარადიულ ძილს, აქ აღმოჩნდა ნამდვილი ჭირისუფალი. ფაშიზმის შემოსევის დროს დანტეს სხვაგან მიუჩინეს საფლავი, ხოლო მტრის თვალის ასახვევად დასტოვეს ძველი, რათა ვერაფერს მიმხვდარიყვნენ, მშვიდობის ჟამს კვლავ თავის ძველსა და სამუდამო განსასვენებელს დაუბრუნეს.

ჩვენ წავედით „სანმარინოში“. სანმარინო ცალკე სახელმწიფოა სახელმწიფოში. აქ ძალიან მდიდრულად ცხოვრობენ, გადასახადებსაც არ იხდიან, აქ ციხე-სიმაგრეები და ტაძრები შორიდან პატარა-პატარა მწვერვალებივით მოსჩანან. ისინი უამრავი არიან...

***

ვენეციიდან დარეკა რევაზ თაბუკაშვილმა (იგი თავისი მომავალი ფილმის გამო დარჩა ვენეციაში), რომ 22 ივლისს „სან-მარკოს“ მოედანზე სახელდახელოდ გაკეთებულ სცენაზე „რუსთავი“ გამოვა და გაბართავს საღამოს. ეტყობა, ვენეციის მერს მერეო ლარონის ძალიან მოეწონა ორი დღის წინათ ნათქვამი „მრავალჟამიერი“

ვენეციიდან რომ პირველად უკან ვბრუნდებოდი, ხურდა ფულები კი ჩავყარე გონდოლადან ზღვაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, აზრად არ მომსვლია, რომ ორი დღის შემდეგ კვლავ ამ წყალზე გაშენებულ სამოთხეში აღმოვჩნდებოდი.

ვენეციის გაზეთი „გაზეტინო“ („გაზეტინო“ მოფერებით ჰქვია ამ გაზეთს, ისე კი ოცგვერდიანია) იუწყებოდა, რომ დღეს, ვენეციაში, ზედ ოქროს ტაძართან, „სან-მარკოს“ მოედანზე, იქ, სადაც ლეგენდარული ჯილი მართავდა კონცერტებს, იმღერებენ და იცეკვებენ ქართველები. იქვე შეცდომით, რეჟისორად რევაზ თაბუკაშვილი მიეწერათ, თუმცა „რუსთავი“ რომ ვენეციაში აღმოჩნდა და „სან-მარკოს“

მოედანზე საღამოს მართავდა, ამის დამდგმელი რეჟისორი და სულისჩამდგმელი, რა თქმა უნდა, რევაზ თაბუკაშვილი იყო, რევაზ თაბუკაშვილმა სან-მარკოს ტაძარში ოპერატორ იური ბარამიძესთან ერთად შეაღწია და ფილმის საჭირო ნაწილი გადაიღო, დიახ, შეაღწია, ამის გამო ვენეციის მერმა მერეო ლარონიმ ინტერვიუში თქვა: „ჯერ უცხოელს სან-მარკოს ტაძარში აპარატი არ შეუტანია, მე ვთხოვე ამის უფლება პატრიარქს, რომელიც დიდი ყოყმანის შემდეგ დავითანხმე და დღეს, გულწრფელად მიხარია, რომ ჩემს ქართველ მეგობარს, ქართველ მწერალსა და რეჟისორს, შევუსრულე დიდი ხნის ნატვრა, დაე, ქართველები იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც საკუთარი ფილმი ექნებათ ამ ოქროს ტაძარზე“. ვენეციის მერი რაინდი კაცია, თორემ იმასაც იტყოდა, რომ სან-მარკოს მოედანზე, სადი წლის წინათ, იტალიის მთავრობის მიერ გამოცემული კანონის მიხედვით, არავის არა აქვს უფლება გამართოს კონცერტი. ყველაფერი რიგზე იყო, ახლა მთავარი გახლდათ ქართველებს ეჩვენებინათ სიმაღლე ჩვენი ხელოვნებისა.

ნიშნად პატივისცემისა, სტუმარმა ქართველებმა ეს კონცერტი ვენეციის მცხოვრებლებს უფასოდ მიუძღვნეს. ჩვენმა მთარგმნელმა ვანო ცაგარეიშვილმა (რომელსაც არც კი უჯერებდნენ, რომ ქართველი იყო) მოედანს აუწყა, რომ ვენეციას ეწვია მზიური საქართველოს მომღერალთა და მოცეკვაეთა ანსამბლი. თავიდან შეცდომით აფიშებზე გაჩნდა „რუსთავის“ მაგიერ „რუსთაველი“, ჩვენ ეს შეცდომა არ გაგვისწორებია, და ერთი თვის მანძილზე პოპულარიზაციას ვუწევდით დიდ რუსთაველს და მის „ვეფხისტყაოსანს“. ჩემი აზრით, კარგად გამოვიყენეთ სახელი დიდი რუსთაველისა, ყოველ შემთხვევაში საქართველოს სასარგებლოდ, მისი დიდი მწერლობის სასარგებლოდ.

ვენეციის „სან-მარკოს“ მოედანზე დღეს 10000 კაცია მოსული. აქ პატარა მსოფლიო სუნთქავს, ღმერთმა იცის, ვის რა მოსწონს, ღმერთმა იცის, რადგან ერთი უცხო ეროვნების კაცი შევიდა ჩვენს გოგონებთან და ნება ითხოვა სურათის გადასაღებად. როცა ნებართვა მიიღო, აპარატი დააყენა და სანამ თითს ღილაკს დააჭერდა, იკითხა: ეს ჯორჯიან ხომ შეერთებული შტატებისააო, არა ბატონო, ეს ჯორჯიან საქართველოა, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა, იყო პასუხი, უცხო კორესპონდენტი აიმრიზა და ისე ცივად გაშორდა იქაურობას, რომ სურათიც არ გადაუღია, უტაქტოდ, უბოდიშოდ, შეურაცხმყოფლურად, ისე, როგორც არ შეშვენის არც ერთი შტატის და არც ერთი ქვეყნის შვილს, ისე როგორც არ ეკადრება იმ მშვენიერებას, რომელსაც „სან-მარკოს“ მოედანი და „სან-მარკოს“ ტაძარი ჰქვია. ასეთი ხალხიც ერია იმ სისუფთაეში, იმ სიმშვიდეში და სიწმინდეში.

„ხანჯლურს“, „სულიკო“ მოჰყვა, „სვანურს“ — „კუჩხი ბედინერი“, და უნდა გენახათ, რა დღეში იყო მოედანი, ყვიროდნენ მოხუცები და ახალგაზრდები, ისეთი ერთსულოვნებით, რომ დღეს მსოფლიო ცხოვრობდეს, როგორი ერთსულოვნებაც სან-მარკოს მოედანზე შეკრებილ პატარა მსოფლიოს ჰქონდა, დედამიწის ბედს ძალი არ დაჰყეფდა, ხოლო ჩემს გვერდით, ერთი მშვენიერი ამერიკელი ახალგაზრდა ქალის გაზულუქებული და ნაპატიები ვეებერთელა დოგი გაოგნებული, დინჯად აქეთ-იქით იხედებოდა და ვერ მიმხვდარიყო, რა აყვირებდა პატარა მსოფლიოს. ყვიროდნენ იტალიელები, ამერიკელები, ფრანგები, ესპანელები. სიმღერას სიმღერა ცვლიდა, სცენიდან არ უშვებდნენ ომარ კელაპტრიშვილს და დღეს, როცა სალამური მეცხვარესაც გადაავიწყდა, უნდა გენახათ, რა დღით კენესოდა ამ ვირტუოზი მუსიკოსის ხელში.

როცა ვენეციის ღირსმა ხუთმა მშვენიერმა ფერიამ ქალთა ცეკვა ჩამოუარა, აქ უკვე დოლისა და გარმონის ხმა არ ისმოდა, წარმოიდგინეთ ათი ათასი კაცის პირიდან ამოვარდნილი გრიგალი, „გრაცე“ ყვიროდა ხალხი, ტაშს უკრაედნენ ქართველი ქალის კდემამოსილებასა და სინარნარეს. დამთავრდა „საოცრების საღამო“, ეს სიტყვები ვენეციის მერს ეკუთვნის, რომელიც გამოვიდა სცენაზე, მადლობა გადაუხადა ანზორ ერქომაიშვილს და იქვე აღუთქვა, რომ გაისად აუცილებლად მოიწვევს „ვენეციის სიმღერის ფესტივალზე“. აი, რა ქნა მუნიციპალიტეტის შენობაში ნათქვამმა ერთმა ქართულმა „მრავალჟამიერმა“, როგორ გაშალა ფრთები და როგორ აღაფრთოვანა სან-მარკოს მოედანზე ჩატეული პატარა მსოფლიო.

იმ საღამოს ჩვენი გონდოლები სერავდნენ ვენეციის არხებს, არხებზე გაჩახჩახებული სიზმრები დიადემად ადგა ქართულ სიმღერას.

მერმა მთელი ოჯახით საკუთარი კატერით გამოგვაცილა, ხოლო დიდი ქართული ხელოვნების სახელზე ვენეციის ცას ეფრქვეოდნენ ფეიერვერკები. მეორე დღეს გაზეთებში გაჩნდა პატარ-პატარა წერილები სათაურებით: „ვენეციის ტრადიციების დონის ხელოვნება“, „გაუმარჯოს საქართველოს“, „ცას შეფრქვეული ფეიერვერკი“, „ცეცხლი ვენეციის ცის ქვეშ“.

რა არ ხდება ქვეყანაზე... ამ შესანიშნავ კოლექტივთან ერთად რომ არ მემოგზაურა, ხომ ვერ დავიჯერებდი მომხდარ სასწაულს? დიახ, სასწაული საკუთარი თვალით თუ არ ნახე, ძნელი დასაჯერებელია. მე ვიცოდი ფასი ანზორ ერქომაიშვილის კოლექტივისა, მაგრამ თურმე ისიც სწორია, როცა ამბობენ, რომ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. ჩემს გვერდით იდგა მოძღვარი სან-მარკოს ტაძრისა, რომელმაც „ოდოიაზე“ პირჯვარი გადაიწერა, რაღაცა თავისთვის ჩაიდუდუნა და მერს ხელი ჩამოართვა. ეს პირმშვენიერი და სათნო კაცი არ იყო შინაური მღვდელი, სან-მარკოს ტაძრიდან იყო მობრძანებული.

წამოვედით ვენეციიდან თავბრუდახვეულები, გამარჯვებულები, თუმცა, ავტობუსში ანზორ ერქომაიშვილმა მაინც თავისი თქვა, მიკროფონს ხელი მოკიდა და ჩასძახა: აბა, ბიჭებო, თავს არ გაგიეიდეთ. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვიჩვენებია ჩვენი შესაძლებლობა, ჩვენი ძალა, ეს ყველაფერი ზღვაში წვეთი იყო, მთავარი ტალღა წინაა, აბა, თქვენ იცით. რაც შეეხება გოგონებს, ისინი არ დაიბნეულან, ისინი ყოველთვის მშვენიერები არიან, როცა არ ცეკვავენ მაშინაც.

ეტყობა ისევ მეტს მოელის ანზორ ერქომაიშვილი თავისი ხალხისაგან, ალბათ, წინ კიდევ ახალი საოცრებანია მოსალოდნელი. ხვალიდან იწყება სულმოუთქმელი მოგზაურობა...

***

ბიბიონე, ლიდო, დელ-საიო, ლუგო და რავენა, მონოპოლი, ბარი...

ბარში ორი დღე ვიყავით. ამ შესანიშნავ ქალაქში მრავლად არიან ჯიბგირები და ბაცაცები, ისინი მოტოციკლეტებით დაჰქრიან ქუჩებში და თუ ფხიზლად არ იქენი, ხელის ჩანთას ხომ გამოგგლეჯენ, შეიძლება შარვალიც მიგაჭრან ქამართან. აქ, ამ ქალაქში, სპეციალურად აფრთხილებენ სტუმრად ჩამოსულებს, რომ ფხიზლად იყვნენ, ასი თვალი იქონიონ და ასი ყური. ჩვენი ავტობუსის მძღოლმა ჯუზეპემ, რომელსაც მოფერებით პეპეს ეძახდნენ, სიტყვა ბანზე ააგდო და თქვა: „აჭარბებენ, არაფერი ჯიბგირობა აქ არ არისო. სასტუმროდან როცა ავტობუსში დავბრუნდით, პეპეს აღარ დახვდა მანქანის იაპონური მაგნიტოფონი, რომელიც 400000 ლირა ღირდა.

ლუგო და რევანაში, სადაც სულ ორმოცი ათასი კაცი ცხოვრობს, იმოდენა საკონცერტო დარბაზი აქვთ, რომ ლაშის მთელი ქალაქი დაიტიოს.

სცენა საგანგებოდ დააპატარავეს „რუსთაველისათვის“, მოარგეს ჩვენს შესაძლებლობებს და მსახიობთა რაოდენობას.

სამსაათიანი რეპეტიცია გაიარეს და გაემზადნენ მაყურებელთან შესახვედრად. საკონცერტო ცენტრში ამჟამად 4000 კაცია მოსული. ბილეთის ღირებულება ადის 35000 ლირამდე, ეს ფასი მცირე არ გახლავთ.

დღევანდელი დღე „რუსთაველის“ ცხოვრებაში განსაკუთრებულია, საღამო გახსნა და მსახიობებს მიესალმა გამოჩენილი იტალიელი მწერალი და კინოსცენარისტი ტონინო გუერა. იგი ჩვენთან საგანგებოდ ჩამოვიდა და სანმარინოდან თან ჩამოიყვანა ტელეკომპანია, თავისი დირექტორით, ამ საქმეშიც გადამწყვეტი ხმა რეზო თაბუკაშვილისა იყო.

გუერამ სიყვარულით ილაპარაკა საქართველოზე, მის წარსულზე, დღევანდელ დღეზე.

„საქართველოში მისალმებისას მშვიდობას უსურვებენ ერთმანეთს, როგორც ჩვენში, რომანიაში; საქართველოში ისე უყვართ სტუმარი, როგორც ჩვენში; საქართველოშიც ისე უყვართ პურმარილი, საქართველოშიც ისეთივე რაინდი ხალხი ცხოვრობს, როგორც აქ, ჩვენში. ჩადით საქართველოში და მიხვდებით, რომ სადაც ვაზი ხარობს, ხარობს პოეზია და სიმღერა. ბევრი გენიალური სიმღერა მოგისმენიათ იტალიაში, მაგრამ არაჩვეულებრივად გენიალური ფოლკლორული სიმღერა ჯერ არ მოგისმენიათ. მე ხმამაღლა ვაცხადებ, თქვენ ამაღამ მოისმენთ ასეთ სიმღერას. მაშ ასე, სცენაზეა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლი „რუსთაველი“, ეს სთქვა გუერამ და სცენაზე გაჩაღდა კოცონი, აქაც გაიმარჯვა დიდმა ხელოვნებამ, დიდმა პროფესიონალიზმმა, საღამოს დამთავრებისას ერთი ძველი იტალიელი მომღერალი გაგეცნო, ნუგზარ გელაშვილთან მივიდა, მადლობა გადაუხადა და უთხრა: თქვენ შესანიშნავი ტენორი გაქვთ, რატომ ოპერაში არ მღერითო, ხოლო როცა გაიგო, რომ გელაშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტიც იყო, დიდად ესიამოვნა და სთქვა: მე დავით ანდღულაძე მომისმენია თქვენთანო...

***

ბარში ვართ, უკიდურეს სამხრეთით, ბარი საპორტო ქალაქია, მილიონნახევარი მცხოვრებია აქ, საღამომ აქაც მაღალ დონეზე ჩაიარა.

სიმღერა სიმღერად და ცეკვა ცეკვად, მაგრამ სხვა მხარეზეც მინდა ვილაპარაკო, ანსამბლის წევრთა ურთიერთობებზე, მათ დახვეწილობაზე და სათნო სიყვარულზე. „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“, ესაა დევიზი ამ დიდებული კოლექტივისა: ისინი აქ, იტალიაში, ოცდათორმეტნი არიან, ისე კი ორჯერ მეტნი. ხმებივით შეწყობილნი მომღერლებიც და მოცეკვავენიც. უფრო ზნეკეთილ თავმოდრეკილ ხალხს იშვიათად შეეხვედრიევარ. ანსამბლი ნორმა და ნიმუშია იმისა, თუ როგორი კეთილშობილება და ურთიერთგაგება უნდა ჰქონდეს კოლექტივს, თითოეული მათგანის სინათლე და კულტურა სამშობლოს სიყვარულიდან მოსჩქეფს და მოედინება.

ბედნიერებაა ასეთი შვილების ყოლა, ისინი საოცრად უხდებიან დიდ ქართულ ხელოვნებას, ქართველი კაცის სინდისს და პატიოსნებას.

ბარი, ბარის დიდი თეატრი 2000 კაცს იტევს, „რუსთაველ" არავითარი განსაკუთრებული რეკლამა არ გაუწევია, თავისთვის საშემსრულებლო ხელოვნება აღგამს გვირგვინს და რეკლამას უკეთებს ანსაბმელს, საბალეთო სალაროსთან ტევა არ არის. ზღვა ხალხი ძოველნება თეატრის შენობაში, დაწყებამდე თხუთმეტი წუთით ადრე შეესებული იყო მთელი პარტერი და ოთხიოდე იარუსი. პირველივე „განდაგანათი" მივხვდით, რომ სალამოს კარგი პარი უწანდა. ცეკვას სიძღერა მოჰყვა და აბა, ახლა უნდა გენახათ, რა ხდებოდა პარტერში, რა ხდებოდა იარუსებზე. მხოლოდ ახლა მივხვდი ამ საოცრების არსს, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილი ეღოდა. ანზორმა თავი ვერ შეიკავა და ბოლოს და ბოლოს ადიარა, ეს სხვა საქმეა, ეს უკვე მაახლოებაა დიდ ხელოვნებასთან. აქ უკვე ღმერთის ხელს ურევიათ. მოხდა ის, რაც საერთოდ არ ხდება, ანდა ძალიან იშვიათად. ქართული ხელოვნება ზეიმობდა იტალიის ცის ქვეშ მეორე ნაწილში ბიჭებმა უძველესი ქართული საგალობელი იძღერეს. იძღერეს სულ სხვა განწყობით, სხვანაირი სვედითა და სხვანაირი სინახით. სწორედ აქ გაიხსნება ის განუმეორებელი „პიანო" რომელსაც ანზორ ერქომაიშვილი მოსკოვში, რეპეტიციის დროს მოითხოვდა. იქუხა ტაშმა და კვლავ გაიმეორეს მომღერლები სცენაზე. არც ერთმა კაცმა არ იცოდა დარბაზში, რომ ეს ღიღებულად ნაოქვამი უძველესი საგალობელი ეძღვნებოდა ჩვენგან უდროოდ წასულ დიდ მომღერალს, პაძლეტ გონაშვილს, რომელსაც იმ დღეს გარდაცვალების დღიდან ერთი წელი შეუსრულდა.

ერთი კურიოზი მინდა გაეიხსენო, ხალხი დაიძრა სცენისაკენ, ჩვენც იქით წავედით, ერთი ჭაბუკურად ჩაცმული, ხანში შესული იტალიელი ეცა რეზო თაბუკაშვილს და იტალიურად უთხრა: მს-



სოლისტი
ცაია დარბაისელი

გავსი არაფერი მინახავს და არაფერი მომისმენიაო. რეზომ გაიღიმა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ის კაცი გაღიზიანდა და უფრო ხმამაღლა შეუძახა, შენ მგონი არ მოგწონს, ან სმენა არ გაქვს, ყურთ გაკლიაო. იგი ეჩხუბებოდა, თავის ჭკუით, თანამოძმეს, იტალიელს, მაგრამ როცა რევაზმა უპასუხა, რომ მეც ქართველი ვარ და მეც იმათთან ვარო, იტალიელმა ხალხი შეგვიყარა, ხმამაღლა გაჰყვირეოდა: ჩქარა, აქეთ მოდით, ქართველები არიან, იმათთან ერთად ჩამოსული ქართველებიო. ყველანი ჩემთან წამოდითო, გვთხოვა, კარგ ღვინოს დაგალევინებთო. იქ არ წავსულვართ, მაგრამ იმ საღამოს გამარჯვების აღსანიშნავად ვახშამი გაგვიწყო საბჭოთა კავშირ-იტალიის ბარის მეგობრობის საზოგადოებამ, რომელსაც ჯაკომო უნგარელი ხელმძღვანელობს.

უნგარელიმ სთქვა: დიდი კულტურის ქვეყანას, ეჭვი არაა, რომ დიდი ხელოვნება ექნება, ჩვენ ვნახეთ რეალობა. ხელოვნება, როგორც მოგეხსენებათ, თუ იგი ჭეშმარიტია, ყველასია. განა მიქელანჯელო ყველასი არაა? ყველასია ქართული სიმღერა, ყველასია ქართული ცეკვა. მიუხედავად ჩვენი იდეოლოგიური სხვაობისა, ჩვენს მეგობრობას ვერავითარი ძალა ვერ შებღალავს. მთავარია კაცობრიობა ერთმანეთს იცნობდეს, თუ კაცი კაცს კარგად იცნობს, არ შეიძლება ერთმანეთს ესროლონ, განა შეიძლება კაცმა თქვენი „კუჩხი ბედინერი“ მოისმინოს, და მერე კაცს წაეჩხუბოს? არ შეიძლება. მე ცრემლის წინააღმდეგი ვარ, მით უმეტეს, რომ ტირილი თურმე სიმღერითაც შეიძლება. ეს თქვენ დღეს დაადასტურეთ. ჩვენც ვუთხარით საპასუხო სიტყვა.



მომღერალი ნუგზარ გელაშვილი

შუაღამემდე იტალიური და ქართული სიმღერები ეარსკვლავებით ბრწყინავდნენ იტალიის მშვიდობიან ლაჟვარდებში...

რა მოხდა ამ გახმაურებული საღამოს შემდეგ? როგორც გაზეთებში იუწყებოდნენ და ეს სიმართლე ჩვენ აქაურმა პრეზიდენტმა ჯაკომო უნგარელმაც დაგვიდასტურა, საზოგადოებაში გამოცხადდა ჯერ ბარის ერთ-ერთი სკოლის ხელმძღვანელი, ამავე სკოლის მასწავლებელთან ერთად, ხოლო შემდეგ სხვადასხვა პროფესიის რვა იტალიელი. მათ თხოვნით მიმართეს საზოგადოების ხელმძღვანელობას, რათა დაუყოვნებლივ მიეღოთ იტალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრად. დიახ, სიმღერას შეუძლია ადამიანები დაუმეგობროს ერთმანეთს.

კამპობასოში, ბარის მახლობლად მანქანა გაგვიფუჭდა, მძღოლმა ჯუზეპემ შეატყობინა საგზაო სასწრაფო დახმარებას, მათ სასწრაფოდ გამოგვიგზავნეს ახალი „ფიატის“ მარკის ავტობუსი, ნახევარ საათში ახალ ავტობუსში ვისხედით.

***

ერთ მოზრდილ ქალაქში რომ დავიდებდით ბინას, იქიდან სხვა მახლობელ კომუნებში გაედიოდით. ალბათ, სოფელი უფრო დაერქმევა ამ პატარა კომუნებს, ასე სოფელ-სოფელ ხეტიალში იყო მარილი ჩვენი მოგზაურობისა...

რიპალიმოსანში ვართ. ეს დასახლება, უფრო სწორად — შუასაუკუნეების თეთრი ქვით ნაგები ციხე-სიმაგრე, 2500 კაციათაა დასახლებული. წარმოიდგინეთ ყველაზე თანამედროვე და კეთილმოწყობილი შატილი, კლდეში ნაკვეთი სიდიადე, თავისი გენიალური ქუჩებითა და ჩახჩახა ლამპიონებით, უზომო სკვერებითა და ნაირ-ნაირი ყვავილნარებით. რაც შეეხება ყვავილების ხელოვნებას, მილანიდან რომ გამოვედით, მთავარი ტრასა, მთელი ასი კილომეტრის მანძილზე ყვავილთა ხეივანში მიემართებოდა, შემდეგ დავინტერესდი და კილომეტრებს ვთვლიდი: 200 კილომეტრი, 500 კილომეტრი... ხოლო როცა დავრწმუნდი, რომ 5000 კილომეტრიც ყვავილთა მშვენიერ ხეივნებში მიედინებოდა, შეეშვი, თურმე ასეა ბოლომდე, სანამდეც არ უნდა იარო, სანამ არ დადგები უკიდურეს საზღვარზე, იტალია ყვავილების ქვეყანაცაა...

რიპალიმოსანი შუასაუკუნეების ძეგლია. მყარი, ძლიერი და ვეებერთელა თეთრი ქვებით ნაგები. ხოლო ტაძარი „სანტა მარია“ ერთი ულამაზესი ტაძართაგანია მთელს იტალიაში. არ არსებობს სულ მცირე დასახლებაც კი იტალიისა, რომ თავისი გენიალური ტაძარი არა პქონდეს. ამ ტაძრის შემოგარენში აგებულ ულამაზეს ესტრადაზე გამოდის „რუსთავი“, რა სიახლე შემიძლია გითხრათ? რით განსხვავდებოდა ეს საღამო დანარჩენისაგან? თითქმის არაფრით. მთელი იტალია, თითქოს ხმაშეწყობილი, ერთსა და იმავე სიმღერას, ერთსა და იმავე ცეკვას უკრავდა ტაშს, თითქოს ყველგან ერთიდაიგივე განწყობა სუფევდა. სიმღერა სიმღერას ჰგავდა, ცეკვა — ცეკვას, საღამო — საღამოს, გუშინდელი — დღევანდელს, მაყურებელი — მაყურებელს, სიხარული — სიხარულს. კლდეში ნაკვეთ ამ ციხე-ქალაქს ტაძარი „სანტა მარია“ — უნათებდა ღამეს.

შენ გადმოხედე იტალიის ცისკენ აჭრილ ქართულ სიმღერას, შენ მოუმართე ხელი ცერზე შემდგარ ვეფხვის ბოკერებს, მიაპყარ თვალი ქართველი ყმაწვილი ქალების მშვენიერებას, რომელთაც შენი სიწმინდე და ერთგულება ნათლის სვეტად უდგათ სხეულში, ასე ეფიქრობდი, რომ დოლისა და გარმონის ხმამ გამომაფხიზლა, ღმერთო ჩემო, ამათ შეხედვას არაფერი სჯობს...

იმ დღეს, დიდი ფეხბურთი იყო, მარადონას ნაკრები დანარჩენ მსოფლიოს ეთამაშებოდა, საღამოს დაწყებამდე რამდენიმე კაცი ბარში შევედით ტელევიზორის საყურებლად. ბარის მეპატრონემ ბოდიში მოგვიხადა, კონცერტზე მიმეჩქარებაო და ჩვენს განკარგულებაში დატოვა ბარი თავის ლუდიან-არყიან-ვისკიან-ბილიარდიან-ტელევიზორიანად. ერთი საათის შემდეგ კი ქართული სიმღერის შნო და ლაზათი ციხე-სიმაგრეთა გოდოლებს ეჯახებოდა. დამთავრდა საღამო და ქუდზე გამოსულმა მცხოვრებლებმა ძვირფასად გაწყობილ სუფრასთან მიგვიწვიეს, აქვე მოვიდნენ ადგილობრივი მუსიკოსები, გაიმართა ზეიმი, ღირსი დიდი ზეიმისა, ნუგზარ გელაშვილმა იმღერა ერთი იტალიური რომანსი, ხოლო მეორეზე უკვე მხრებზე პყავდათ ატატებული და ისე ამღერებდნენ, მეტი ბედნიერება რა უნდა მოხდეს მომღერლის ცხოვრებაში?

რიპალიმოსანის მერმა სიტყვა სთქვა: უმეტესობას ქვეყნებისა იქვე თუ არ ნახე, ისე ვერ გაიცნობ, მე საქართველოზე ვოცნებობდი, ვიცოდი, რომ შორს, კავკასიაში, ზღვის პირზე არსებობს ასეთი მხარე, ვერ ჩავაღწიე იქამდე, მაგრამ თურმე იქ ჩას-

ელა სრულებითაც არაა სავალდებულო, აქეთ შეიძლება გვესტუმროს ოცდაათიოდე ქართველი და ბოლომდე გაგრძნობინოს ქართველი ერის სიძლიერე, მადლი მისი დიდი ხელოვნებისა. უღრმესი მადლობა, ძვირფასო მეგობრებო...

გვიან საღამომდე მღეროდა რიპალიმოსანის ქალი და კაცი, ბავშვი და მოხუცი, მონაწილე ვიყავით იმ დიდი ზეიმისა, რომელიც ასე ორგანულად შეერწყა „სანტა მარიას“ ანსამბლს და რიპალიმოსანის ციხე-სიმაგრეს.

რიპალიმოსანი, კამპობასო, კასაჯოვე, ყველა ეს პატარა დაბა თუ ქალაქი აპენინის მთებშია შეხიზნული და მოლიზეს ოლქს განეკუთვნებიან.

კასაჯოვედან ახლოა ნეაპოლი, ნეაპოლზე იტალიელები ამბობენ: „ჯერ ნეაპოლი ნახე და მერე გაქეს უფლება სიკვდილისაო“. მე ორჯერ მქონდა უფლება თავი მომეკლა, ამდენად ახლა ვამჯობინე ნეაპოლში კი არა, პომპეიში წავსულიყავი. ვეზუვის მიერ დამონებული და გაქვავებული ეს უძველესი ქალაქი ცუდ გუნებაზე გაყენებს, ღმერთმა იცის, სადაა ჩასაფრებული სიცოცხლემდე გაჩენილი დუმილი, რომელსაც სიკვდილი ჰქვია.

რიპალიმოსანის მერმა ჩვენთან საუბარში თქვა: ჩვენ, იტალიელები, ბუნებას კი არ ვართმევთ, არამედ ვუმატებთ, იქეთ ვაძლევთ, მარტო ბუნების ნაწყალობევს არ ვჯერდებითო. ერთი ახლადაშენებული ტაძარი შევნიშნე მთის წვერზე. ჩვენს იქაურ თარჯიმანს ვუთხარი, ეს ტაძარი სრულიად ახალი ჩანს-მეთქი, დიახო, დამემოწმა, მაგრამ დასძინა, ხუთასი წლის შემდეგ ძველი იქნებაო. რას იზამ, კაცია და გუნება, იმას ასე მოსწონს და მიდის ეს ცხოვრება ზოგის რომის ბედით, ზოგის კიდევ პომპეის...

ისევ რიპალიმოსანზე მინდა გითხრათ, გამახსენდა კონსტანტინე გამსახურდიას „წერილები მახეშის კოშკიდან“ გახსოვთ, იქ, სვანეთში რომ ყველას და ყველაფერს თამარის სახელი ჰქვია, ასეა აქ, რიპალიმოსანში, იქ სადაც „სანტა მარიას“ ტაძარი დგას, პოტელის გვერდით გორაკზე ერთი ლამაზი ორსართულიანი ვილა დგას და იმის აივნიდან ახალგაზრდა დედა თავის შვილს უხმობდა — მარია, მარია.

კელავ ავტობუსში ავდივართ მორიგი საღამოს შემდეგ, ავტობუსში სხდებიან და ანზორ ერქომაიშვილი სიას კითხულობს, გამარჯვებულთა სიას:

ნოდარ აბულაძე,
ტარიელ ამაშუკელი,
გია განუგრავა,
ალეკო გაბრიელაშვილი,
სერგო მუშკუდიანი,
გია დავითაშვილი,
ზაურ ბასილაშვილი,
გოჩა ჯოხაძე,
დევიკო ქუთათელაძე,
ვასო ხუტაშვილი,
გელა ყაველაშვილი,
ბესიკ ხუხუნაიშვილი,
თამაზ კობახიძე,
მალხაზ მანაგაძე,

— აბა, ახლა მზეთუნახავები...
მარინა გელაშვილი,
ირმა დუნდუა,
ნინო ლაზიშვილი,
ირინე მახარაძე,
მაია დარჩიაშვილი,
— ბედნიერებაა, ყველანი აქა ხართ.
მუსიკოსები:
გივი ქონიაშვილი,
ავთო მაზანაშვილი,
მომღერლები:
ნუგზარ გელაშვილი,
ბონდო გუგავა,
ამირან გოლიაძე,
სალიეერ ვადაჭკორია,
რამინ მიქაბერიძე,
ოჰარ კილაპტრიშვილი,
ტარიელ ონაშვილი,
მოკლედ, სუფრასთან აქა ხართ, დიდი მადლობა მინდა გითხრათ ყველას, ერთიანად...



მომღერალი ტარიელ ონაშვილი

— ახლა ჩვენში დარჩეს და ანზორ ერქომაიშვილმა კი გადათვალა. მაგრამ მეც ძალიან მინდოდა ყველა გამარჯვებული კაცის გვარი შეთქვა მკითხველისათვის. რადგან ყველა ღირსია ცალ-ცალკე ქებისა. ისინი ღირსეულად წარმოადგენდნენ საშობლოს, მის დიდ ხელოვნებას. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმღერაში, ცეკვაში, საქართველოს სიყვარულში, ძმობაში, კაცობაში, მე მეტი რა შემიძლია, მინდა ასე თითოეულს მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ დადიან ამხელა ქვეყანაზე და ღირსეულად ატარებენ ქართველი მომღერლისა და ქართველი მოცეკვაეის სახელს.

კახერტა, მთებს შეფენილი პატარა რიპა, სწორედ აქ მთავრდება ხელოვნების ერთთვიური, ამ ქალაქში. საღამოს დამთავრების შემდეგ „რუსთავი" ისევ ფეიერვერკით გააცილეს, ცა ირღვეოდა ფერადი ვარსკვლავებით, ვარსკვლავთა თაიგულები ეფრქვეოდა მიწას, „გუნდი და გუნდი ვარსკვლავი, მოკაშკაშ-მოელვარეო"

***

„რუსთავი" გზას აგრძელებს როსანოსაკენ მირტო-კროზია პატარა სოფელია, საღამოზე დასაწრებად მოდიან მეზობელი სოფლებიდან, მდიდარი კომუნებიდან, მოდიან „ფიატით", „ალფა-რომეოთი", „მერსედესით", აქ ნამდვილი სამხრეთია. ზეთისხილის ბაღებს ფორთოხლისა და ლიმონის ბაღები მიუყვება. ლელვისა და ვაშლის ხეები ჩამწკრიეებულან, ბზის ღობეები არტყია გარს ყველაფერს. მოკლედ სამოთხეა, ყველა ხე ხარობს, რომელიც კი სამოთხეში ყოფილა, ადამ და ევა აკლია ამ სამოთხეს, ეს გაეიფიქრე, რომ სანაპიროზე გამოჩნდნენ დედიშობილა გოგო-ბიჭები, რომლებიც ზღვაში შედიოდნენ, განსხვავება ის იყო, რომ ამათ იცოდნენ რომ შიშველები იყვნენ, ადამ და ევამ კი არა.

პოლისტანემდე სულ ზეთისხილის ტყეებია, ფორთოხლისა და ლიმონის ბაღები, ათას კილომეტრზე მაინცაა გადაჭიმული ეს მშვენიერება.

სმა-ჭამა უყვართ იტალიელებს, ქეიფი და დროსტარება. სამხრეთელებს ზოგიერთ ქართველზე მეტი თუ არა, ნაკლები ღიპები არა აქვთ. ერთი ღიპიანი კარაბინერი მოვიდა კონცერტზე როსანოში, კინაღამ მიეესალმე, ისე პგავდა ერთ ჩემს ნაცნობ მილიციელს. სოფლებში რომ იტალიელები ქეიფობენ, რობერტ სტურუას მიერ დადგმულ სპექტაკლ-ზეიმებს უფრო პგავს, ვიდრე ჩვეულებრივ ქეიფს. ჩვენი დელეგაციის წევრები მკაცრად იცავენ მშობელთა დანაბარებს; არ დათვრეთ, კარგად მოიქეცით, ოჯახი არ შეარცხვინოთ, მტერი არ გაახაროთ.

პოლისტენაში, ღია ესტრადაზე ვეებერთელა ოთხი მიკროფონი იდგა. „რუსთაველის“ მომღერლებს ჭირივით ეზარებათ მიკროფონები, მაგრამ რას იზამ, გარეთ, რაც არ უნდა დიდი ხმა გქონდეს, სივრცეში გაიფანტება, ხოლო მიკროფონები კი იმდენად აძლიერებენ ხმებს, რომ ესტრადის მახლობლად, აივანზე დედას მძინარე ჩვილი ეჭირა ხელში და რომ მეგონა „სულიკოს“ სიმღერისას ფერად სიზმრებს ნახაედა ძილში, საცოდავი ისე შეხტა, რომ დედა შეშინდა. ეს პატარა მიკელლა გახლავთ, დიდრონ ცისფერ თვალებს აბრიალებდა და ვერ მიმხვდარიყო, რატომ გააღვიძეს, რატომ დაუფრთხეს ძილი. მე უმალ გავბრუნდი სასტუმროში, სასტუმრო კი ორას მეტრში იყო, მიკელლას თვალხუჭუნა თოჯინა ამოვუტანე, ასე გავიცანით ერთმანეთი მე და წლინახევრის იტალიელმა მიკელლამ.

აქ ინტერვიუ ჩამოართვეს ანზორ ერქომაიშვილს, რომელმაც თქვა, „მადლობა, დიდი მადლობა ყველას, ვინც ასე ღირსეულად გვღებულობს და აფასებს ჩვენს ხელოვნებას. ჩვენ არა ვართ ყველაზე საუკეთესონი საქართველოში, უბრალოდ, ჩვენ გვხვდა წილად შორს გაგვეტანა ქართული ხალხური სიმღერა, თორემ ის ხალხი, რომელთაც სული შთაბერეს და ჩვენამდე მოიტანეს სამშობლოს არ გაშორებიან, ჩვენი დღევანდელი გამარჯვება სწორედ იმ ძვირფასი ადამიანების დამსახურება არისო“. ინტერვიუ ჩაიწერეს ტელევიზიით და მეორე დღეს გადასცეს საკონცერტო საღამოსთან ერთად.

***

იტალია მთელ მსოფლიოში განთქმულია თავისი გზებით, ხიდებითა და გვირაბებით. მსოფლიოს უმდიდრესი კაპიტალისტური ქვეყნები აქაურ სპეციალისტებს იწვევენ და ხელშეკრულებებს უდებენ. მართლაც საოცრებაა აქაური ტრასა, ყველა ტრასა ლარივითაა და გვირაბებით გადის მთებში და კლდეებში. აქაური ხიდები ადგილ-ადგილ 200-300 მეტრით მაინცაა აშორებული მთებში შეხიზნულ დაბებსა და სოფლებს და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს ავტობუსით კი არ მგზავრობ, არამედ თვითმფრინავით.

***

ვენეციის მერს ვკითხე, მთელი ორი საათის მანძილზე სან-მარკოს მოედანზე ხალხი ფეხზე მდგარი რომ უსმენს და უყურებს სიმღერას და ცეკვას, უხერხული ხომ არ არის-მეთქი. თქვენი მიკვირსო, მიპასუხა, თქვენ ხელში ჩვენს სკამებს ფუნქცია აქვთ დაკარგული, რამდენ დახურულ დარბაზშიც იმღერეთ და იცეკვეთ, იმდენჯერ, ფეხზე დააყენეთ ხალხი და რაღა მნიშვნელობა აქვს საღამოს გარეთ გავმართავთ თუ შენობაშიო.

პოლისტანაში, „რუსთავის“, მოცეკვავე ნოდარ აბულაძეს ვანიდან დაურეკეს და მიულოცეს ქალის გადარჩენა და გოგოს დაბადება, სახელი მამამ პირდაპირ იტალიიდან დაარქვა. ჩვენც სიამოვნებით შევსვით ქვეყანას შემატებული ნათიას სადღეგრძელო.

პოლისტენაში 20 000 კაცი ცხოვრობს, იმ ღამეს ნახევარმა მაინც გაიგო, რომ ქუთაისის სამშობიარო სახლში დაიბადა ნათია აბულაძე, რომელიც ოთხ კილოსა და ორას გრამს იწონის.

***

სიცილიაში ვართ, კატანიაში, კატანიაში ჩამოხვალ თუ არა, უპირველესად რასაც გახედავ, ეს მშვენიერი ეტნაა, მიძინებული დინოზაური. იგი მშვენიერია შორიდანაც, როცა ბოლავს და საკუთარი ცისფერი მანდილი მუდმივად თავსა აქვს მოხვეული, და ახლოდანაც, როცა მისი გულის ფეთქვას ისმენ. სურათებშიც ლამაზია იგი, განსაკუთრებით ფერად ალბომებში. როცა ვეშაპი ცეცხლს ყრის პირიდან, მისი სხეულიდან მოედინებიან ფერადი და მხურვალე ცეცხლის მდინარეები, ეს ყველაფერი კარგი სანახავია სურათებში, მაგრამ ვინც ეტნას პირცეცხლიანობას გემო გაუგო, ისინი კარგა ხანია აღარ ბრძანდებიან ამ ქვეყნად. აქ ყველაფერი ეტნაზეა აწყობილი, იგი კატანიის კი არა, მთელი სიცილიის ცხოვრების ბარომეტრია. ეტნას სძინავს, ამბობენ კატანიაში, ეტნამ არ გაიღვიძოს, ამბობენ აჩირეალეში, ეტნა მშვენიერი ურჩხულია, ასე ამბობენ პალერმოში. ყველას ეტნა აკერია პირზე, ეტნა უყვართ, ეტნასი ეშინიათ.

დღეს „რუსთავს“ კატანიის თეატრში აქვს კონცერტი. ამ თეატრში 2800 კაცი ეტევა, დარბაზი გაჭედილია ისე, რომ ნემსი არ ჩავარდება. გამოვიდნენ თუ არა, ატყდა, ტაში კოსტუმების მხატვარს ეკუთვნოდა, საღამო კარგად დაიწყო. აქ, ამ ცხელ სამხრეთში არ გამოპარვიათ არც ერთი განსაკუთრებული ნახაზი, არც ერთი განსაკუთრებული სიმღერა, რომელი ერთი ჩამოვთვალო? აჭარული და ცხენოსნური, ოდოია და სვანური, ნანა, შირაქის ველზე, სიმდი, სულიკო, სიმღერა საშობლოზე, ქალთა ცეკვა, მთიულური.

ყველა საღამოზე რაღაც იცვლებოდა, რაღაც სიახლე შეჰქონდათ პროგრამაში. ამ საღამოს ბოლო ცეკვა „მხედრული“ სამჯერ გაამეორებინეს. ბიჭებს სისხლი სდიოდათ ნახევრად წამძვრალი ფრჩხილებიდან, და მაინც იდგნენ ცერებზე, ყველა ილეთს ნამუსიანად ასრულებდნენ. ერთ მოცეკვავეს ხმლის ნაპერწკალი ჩაუვარდა თვალში, რამაც ჩვენი მოგზაურობა კინაღამ საბედისწერო გახადა. როცა „კუჭხი ბედინერი“ და „ოდოია“ იმღერეს, დარბაზი ფეხზე წამოდგა და ათი წუთი მაინც უკრავდა ტაშს, ასე იყო სხვა სიმღერებზეც, ასე რომ საათნახევრიანი კონცერტი ორსაათნახევარს გრძელდებოდა ხოლმე.

„ომარ კელაპტრიშვილის ღვთიური სალამური“, ამ სათაურით დაიბეჭდა გაზეთში წერილი. „ქართული ყვავილები...“ ამ სათაურით დაიბეჭდა კატანიის გაზეთში წერილი, სადაც ანზორ ერქომაიშვილის სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულ ანსამბლს „ბუნების მშვენიერებას“ უწოდებდნენ. ხოლო გოგონათა ლირიკული ცეკვით მოხიბლულმა „კატანიის“ კორესპონდენტმა თავისი წერილი ასე დაასათაურა — „ბოტიჩელის ხუთი ვენერა“.

ჩვენთან მოვიდა აღტაცებული ხანშიშესული კაცი, რომელიც გაგვეცნო და გვითხრა: ნება მომეცით, სიცილიის მუსიკოსთა და ჟურნალისტთა სახელით ულრმესი მადლობა მოგახსენოთ დიდი სიხარულის მონიჭებისათვის. სიცილიას ამ

ბოლო წლებში არ უნახავს ასეთი პროფესიონალური ანსამბლი. ეს კაცი გახლდათ დომენიგო დე მეო, ბენიამინ ბელინის სპეციალისტი, მუსიკათმცოდნე, პროფესორი და ჟურნალისტი, რომლის სიტყვასაც დიდი წონა აქვს მთელ სიცილიაში და საერთოდ იტალიაში.

ეს საღამო კვლავ დიდი გამარჯვება იყო ქართული ხელოვნებისა — გაზეთი „სიჩილია“ წერდა: „საქართველო თანამედროვეობის უდიდესი ხელოვანის ჯორჯ ბალანჩინის სამშობლოა, იგი აღიზარდა სწორად ამ ფოლკლორზე, ამ განუმეორებელ ცეკვებზე, ალბათ, ამიტომაც იყო იგი უდიდესი ხელოვანი“

***

რეზო თაბუკაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე გურამ გალოგრე, განყოფილების გამგე ვანო ცაგარეიშვილი და მე პალერმოში გავემგზავრეთ, რათა თავი მოგვეება თბილისსა და პალერმოს შორის დაძმობილებისა და ურთიერთობის ორმხრივი ხელშეკრულებისათვის, რომელიც აგერ უკვე ერთი წელია რაც ჭიანურდება, ხოლო პალერმოს მერი მორიდებითა და ეთიკური ნორმების დაცვით ჩვენს ქალაქის საბჭოს აბრალებს, რახანია ჩვენს ბარათზე პასუხს ველითო. ჩვენ მივაღწიეთ რაღაც შეთანხმებას და საქმეც სასიკეთოდ დაიძრა. გაისად ხუთკაციან დელეგაცია ელოდება პალერმოს მუნიციპალიტეტი. დაისვა საკითხი აგრეთვე ისტორიისა და არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტთა გაცვლა-გამოცვლისა, ერთი წლით მათი სტაჟირება.

პალერმოდან ნეაპოლში გემით გამოვემგზავრეთ, დილით ნეაპოლში ვიყავით.

ერთი საათით ცენტრალურ მოედანზე, შადრევნებიან სკვერში შევედით ჩვენი ჯგუფის მოლოდინში. აქ, პირდაპირ ჩვენს წინ, მოვიდა და დაჯდა შავებში ჩაცმული ძველი ბოქსის მიხედვით თმაშეჭრილი ორი შეღებილ-შეთხიპნილი „პანკი“ მე პირადად ვერ შევიცანი რომელი იყო ბიჭი და რომელი გოგო, ჩაატარეს ხვევნა-კოცნის ყოვლად უსირცხვილო საჩვენებელი სეანსი და როგორ არ უხდებოდა ეს უხამსობა იმ ქვეყანას, რომლის ცის ქვეშაც გაიშალა რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულის ყვავილი.

აი, იქ საცა რუკაზე იტალიის ეგრეთწოდებულ ჩექმის ქუსლს უახლოვდები, ერთი პატარა კომუნა შეფენილა, ვალეა. სოფლის განაპირა მხარეს ნაძვისა და ფიჭვის გაუვალ ტყეში დიდებული თეატრონია გაშენებული, ძველებურ სტილში. ჩვენ ამ თეატრონში რომ შევედით, უკვე შებინდებული იყო. ყურადღება მივაქციე ტერასებზე ჩამომჯდარ ორმოცდაათამდე ადამიანს, ისინი სიბნელეში მარმარილოს ბიუსტებს გავდნენ. უცებ სინათლეები აინთო და რას ხედავს ჩემი თვალები, მარმარილოს ორმოცი ქალის ბიუსტი ისე ჩამჯდარა სპეციალურად ნაშენებ ტერასებზე, რომ მართლა მაყურებელი გეგონებათ. პირველად უჩვეულო შთაბეჭდილება მოახდინა. სასაფლაოს უფრო ჰგავდა, ვიდრე თეატრონის ანსამბლურ დაგეირგვინებას. საქმე კი სულ სხვანაირად ყოფილა. ამ სამასი წლის წინათ ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი მდიდარი ფეოდალი ჯიოვანე, მუსიკოსი და პოეტი, იგი ხალხს გამოქცეული, ამ მშვენიერ ტყეს აფარებდა თავს. ეს საინტერესო შემოქმედი ცხოვრობდა თავისთვის, წერდა მუსიკას და ქმნიდა მშვენიერ ლექსებს თავისავე სიმღერებისათვის.

ერთი უბედურება სჭირდა, ეს მარტოსული ვერავის უმხელდა თავის ხვაშიადს. აღმოჩნდა, რომ სიმღერის შესრულებისას და ლექსის კითხვისას აუცილებელი იყო აუდიტორია. ხალხს გამოქცეული კი ხალხში ველარ დაბრუნდა... გამოსაკალი ნახა, ცნობილ მოქანდაკეებს შეუკვეთა ქალის ორძოცი ბიუსტი, თეატრონის ტერასებზე მიმოფანტა და ისე გაანაწილა, რომ მსმენელთა მოაბეჭდილება მოეხდინა, გამოდიოდა ხელოვნურად შექმნილი აუდიტორიის წინაშე და ასრულებდა თავის ახალ ნაწარმოებებს. შესასვლელთან დადგა ორი მშვენიერი ქალწულის, უფრო სწორედ მუსიკისა და პოეზიის ქალღმერთთა ქანდაკება. მოკლედ, თეატრონის შეხედვას არაფერი სჯობს. სულ აქ ხუთასამდე კაცი ეტევა. ხოლო ეგრეთწოდებული პარტერის შემდეგ (სადაც ორასი კაცი ზის) ტერასებზე თაეთაეიანთ საკმებზე მოკალათებულან მარმარილოს 300 წლის მშვენიერი ქალბატონები. ამ სოფელს ერთი კარგი წესი აქვს: ტყეში გამართულ თეატრში მოწვეა სასტიკად აკრძალულია და წესის დამრღვევი შეეძლება კომუნიდანაც გაირიცხოს.



მოცეკვავე მარინა გელაშვილი

იტალიაში, როგორც ჩანს, როგორც ქალაქსა და სოფელს შორის ცერ იპოეა სხვაობას, არც მაყურებლები განსხვაედებიან ერთმანეთისაგან. ერთი მთლად გაიეთრებული მოხუცი ქალბატონი იჯდა ჩემს ახლოს, მკაცრსა და კდემამოსილ მასწაელებელს ჰგავდა იგი. ჯერ იყო და „ბრაეოს" ძახილით აავსო მწვანე თეატრი, ხოლო როცა „სულიკო" იძერეს, მე დავინახე, როგორ ტიროდა მოხუცი. ტიროდა ჩუმად, მაგრამ საქეყნოდ...

დამთავრდა საღამო, ხოლო გზის გასაყართან, სოფელს გაემართა 100-კაციანი სუფრა...

თაეისუფალ დღეებში არნახული ექსკურსიები შემოგეთაეაზეს. არნახულს გადაჭარბებით არ ეამბობ, მაგრამ ჩეენ რომ იტალია მოგეცლეთ ერთი თეის მანძილზე, იმ მარშრუტებს, იმ დაბების, სოფლებისა და ციხე-ქალაქების ნახვას ათი ჩასვლა მაინც დასჭირდება იტალიაში. ისე, როგორც იტალიელს შეიძლება აჩეენო ცაგერი, მაგრამ არ მიიყეანო სურმეუმსა და თაბორში. შეიძლება ჩაიყეანო ზუგდიდში, მაგრამ არ აჩეენო მშვენიერი ლია და ჯეარი. აიყეანო მესტიაში და არ აჩეენო ხალდე...

***

ხალდესაეით ლამაზია ებოლი. დღეს ებოლიში განსაკუთრებით კარგად ცხოვრობენ, მდიდარი კომუნა აქვთ.

კონსტიერე ამალფიტანა — ამალფიტანას სანაპირო. აი, სადაა ნათელი თვალშეუდგამი, უხილავი და მოუჩრდილებელი. მღვიძარე გონებამ აქ უნდა იზეიმოს, აქ რომ კეთილი სიტყვა გასჭრის, ისე არსად. დღე აქ ზეიმობს კაცთმოყვარეობა, ხოლო ღამით სუფევს მშვიდობისა ძილი დაუშფოთველობა. დიდი იტალიელი პოეტი სალვადორე კვაზიმოდო ამბობს: „შეყვარებულთათვის ყველა დღე მოკლეაო“ მახსენდება გიორგი ლეონიძის შესანიშნავი სტრიქონი — „დღეო გადიდდი, გადიდდი, შვილი ეყრება დედასა“. ჩვენთვის ყველა დღე მოკლე იყო იტალიაში, დღე-ღამეში 3-4 საათი გეეძინა და მაინც მოკლე იყო დღეცა და ღამეც.

სორენტოში პენსიონერთა სახლი დაგვანახეს, ეზო გაჭედილი იყო „ფიატებითა“ და „მერსედესებით“, ეტყობა მაგარი პენსიონერები ისვენებდნენ ამ სახლში.

ამალფიტანას სანაპიროს რეგიონს კლდეებს წართმეულ ქარაფებზე ნაგები ქალაქები ამშვენებენ: სორენტო და პოზიტანო, რაველო და ამალფი. ზღაპარშიო იტყვიან, სიზმარშიო იტყვიან. კაცს კი ამდაგვარი არც ზღაპარი წაუკითხავს და არც სიზმარი უნახავს. ტერასებზე ლიმონისა და ფორთოხლის ბაღებია გაშენებული, გზა მთელი 150 კილომეტრის მანძილზე ზღვას მიუყვება, ოღონდ ზევით, კლდეებში, ასე რომ საშიშია ერთი კენჭიც რომ დაეცეს მანქანას. ამიტომ მთელი ამ 150 კილომეტრის მანძილზე კლდეები დაფარულია ალუმინის მყარად ნაქსოვი ბადით. კლდეთა ძირში ზღვას წართმეული „პლაჟებია“, იმხელა, რომ სულ 30 კაცი თუ მოთავსდება. რამდენიც იქვე მდგარ დასასვენებელ სახლში ეტევა.

აქ ძველი და ახალი არქიტექტურის ნიჭიერი შერწყმა დიდ შტაბეჭდილებას ახდენს. აქ ძილი შეუძლებელია, აქ მხოლოდ უნდა დაიმახსოვრო, უნდა დაიმახსოვრო, რომ ადამიანს შეუძლია იყოს ბედნიერი, რომ ყველაფერი შექმნილია ადამიანის საკეთილდღეოდ, რომ ადამიანებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთ.

კონსტიერე ამალფიტანადან უნდა წამოხვიდე იმის იმედით, რომ აუცილებლად დაბრუნდები სორენტოში, თან წამოიყვან შენს შვილებს, შვილიშვილებს და აჩვენებ იმას, რისი ნახვაც მსოფლიოში არსად არ შეიძლება...

მე ჩემს ემოციებზე დამყნობილ შთაბეჭდილებებს მოგახსენებთ, თორემ ისე ენციკლოპედიაში ყველაფერი წერია.

***

ბიბიონეს კონცერტის შემდეგ გაზეთი „ვენეცია“ სარეკლამო წერილში წერდა: „ვენეციელი მაყურებელი და სხვადასვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტები ხვალ „სან-მარკოს“ მოედანზე მოწვენი გახდებიან დიდი ხელოვნებისა. მოედანზე სამი წლის შემდეგ პირველად შესრულდება ქართული საუცხოო ცეკვები, იმღერებენ სიმღერას, რომლის ბადალი იშვიათია მსოფლიოს ფოლკორისტიკაში. უძველესი ქართული სიმღერები და ცეკვები ქართველებმა საზღაურის გარეშე მიუძღვნეს ვენეციელებს. უმაღლესი დონის კულტურითა და ტრადიციებით განებივრებულ საზოგადოებას ისინი უჩვენებენ ასევე უმაღლესი დონის ხელოვნებას“

***



მომღერალი რამინ მიქაბერიძე

მაჩერატაში გაიმართა დიდი კონცერტი, ხოლო „რუსთაჯის“ კუთვნილი თანხა ჩაერიცხა საზოგადოებას, რომელიც მფარველობს სისხლის გათქერებითა და სხვადასხვა სიმსივნეებით დაავადებულ ბაკშვებს. საღამოს დამთავრებისას ერთი ფეხმძიმე, მშვენიერი ახალგაზრდა ქალი მოვიდა ჩემთან და მთხოვა, ანსამბლის წევრთა სახელებიდან შემერჩია ორი სახელი, ბიჭისა და გოგოსი, მადლობის ნიშნად გადაწყვიტა, თავის მომავალ შვილს ქართული სახელი დაერქვას. მე გიორგი, მარიამი, ნინო და გელა შევურჩიე. ოთხი სახელი, რა იცი, ხალხნი ვართ, ხომ შეიძლება ტყუპი ბიჭი და ტყუპი გოგო შეეძინოს... ერთი კი ფაქტია, საში თვის შემდეგ მაჩერატაში ჩვენს სახელზე ვიღაც გაჩნდება, რომელსაც საქართველო დააინტერესებს.

გაზეთი „ლა სიჩილია“ წერილში „შიშველ ცერებზე შემდგარი საქართველო“ წერდა: „ცდებოდა აისიდორა დუნკანი, როცა ფიქრობდა, რომ ცერებზე ცეკვა მხოლოდ კლასიკური ბალეტის, მხოლოდ ქალთა სქესის წარმომადგენლებს შეუძლიათო „პუანტებით“ მართალაც, კლასიკური ბალეტის ლაღი, სათნო და განუმეორებელი პიონერი, უდიდესი მოამაგე და პროპაგანდისტი კლასიკური ცეკვებისა და დიდი ანტიკომფორმისტი, ყოველივე ახლის მოწინააღმდეგე ამ საქმეში, ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ქართული ხალხური ცეკვები, მისი უძველესი და დახვეწილი ილეთები, ბევრად უფრო ადრეულია თავისი უსაზღვრო მდიდარი ტრადიციებით და შესანიშნავი ტექნიკით, ვიდრე კლასიკური ბალეტი“

***

ისევ გაზეთი „ლა სიჩილია“ — „ვნახეთ საოცრება. ცეკვა ცერებით მოცეკვაეთა ერთადერთი დანიშნულება არ გახლავთ, ეს არის ერთი ელემენტი ცეკვისა სხვა მრავალ ურთულეს ილეთთა შორის, რომელიც ზებუნებრივი ძალისა და საოცარი გამძლეობის შედეგად გვიჩვენეს. ცეკვა თანდათან უფრო რთულდებოდა და მათ მიერ შემოთავაზებული რიტმი აჯადოებდა მაყურებელს. ისინი პაერში ფრენდნენ, შემდეგ დაეცემოდნენ ცერებზე, ისევ პაერში ტრიალებდნენ, მიწიდან კელავ ცისაკენ მსგაუსად ტყვიასავით მიწოდებული პასისა. ვიბრაციული და თაებრუდამხვევი რიტმი დოლსა და გარმონს აყოლილი, რომელსაც ძლიერი და მოქნილი მამაკაცები ქმნიდნენ, იყო აღუქმელი ვირტუოზობა...“

„ხმლითა და ხანჯლით მოპოვებული ოვაცია“, ასე წერდა გაზეთი შეომართა ცეკვაზე, ანუ ჩვენებურად „მხედრულზე“ „ამ ცეკვამ სუნთქვა შეუკრა და გააოგნა მაყურებელი, მათმა ვირტუოზულმა და რაინდულმა მიხვრა-მოხვრამ, გააფთრებულ ტემპში ოსტატურად არჭობდნენ ხანჯლებს. ასევე იყო „ფარიკაობა“, თითქოს და



მომღერალი ბონდო გუბაძე

დოლმაც და გარმონმაც ძალიან შეუწყო ხელი ცეკვის გაცეცხლებას, იგი ისე, როგორც ხმლებიდან ცეცხლის ფრქვევა საოცარ ეფექტს ახდენდა“

„ქალები საოცრად დამთმობნი და მონარნარენი, წყნარნი და კდემამოსილნი იყვნენ. მათ მიერ ამტყდარი ქარი და დანთებული სითბო ალამაზებდა სცენას და დარბაზს. თუ მამაკაცები საოცარ რაინდობას ამჟღავნებდნენ, ქალები პირიქით, აწყნარებდნენ და ამშვიდებდნენ მამაკაცთა ენებას, ერთად კი ეს ყველაფერი ქმნიდა საოცარ გამმას, მთლიანობას, შომხიბლელი იყო ცეკვა „სიმდი“

***

„საქართველოს საუკეთესო ხელოვნებაში არის აზიისა და ევროპის ყველაზე საუკეთესო ელემენტები“ — წერდა ერთი გაზეთი. სხვაგან სათაურით „შუასაუკუნეების რაინდები ღღეს“, ავტორი წერდა: „ღღეს სცენაზე კარგი განათება არ ყოფილა, მაგრამ მათი ვირტუოზული ცეკვა და სიმღერა ანათებს დარბაზს, რომლითაც დამოუკიდებელ ატმოსფეროს ქმნიდნენ. ქართველ ქალებს სცენის განათება არ სჭირდებათ, ისინი თვითონ ანათებენ“ „მეტროპოლის“ თეატრში გამოსვლაზე კატანიის გაზეთი წერდა: „მომღერლებს საოცრად თბილი და გამოკვეთილი ხმები აქვთ. შვიდი კაცის სიმღერა ოცი კაცისას ჰგავს. ხმაში და ტემპერამენტში ირხეოდა ძველი სიმღერები, ხოლო დარბაზი უხვად აჯილდოებდა მომღერლებს გამაყრუებელი ოვაციებით და შეძახილებით. მადლობა გვინდა ვუთხრათ ბოლო სიმღერისათვის, ნეაპოლიტანური სიმღერისათვის. სცენაზე იცეკვეს იტალიელებმაც, ეტნას შვილების გამოჩენამ კი იმოქმედა ხალხზე, მაგრამ მოდით, ნუ შევადარებთ ქართველებს, ჩავთვალოთ, რომ ეტნას შვილებმა უბრალოდ, გზა დაულოცეს და სცენა დაუთმეს მზიური საქართველოს შვილებს, რომლებსაც ბევრი ვერ გაეჯიბრება დიდი ხელოვნების ქვეყნებში“ იგივე გაზეთი აქვეყნებდა, რომ დანიშნულია ახალი სასამართლო ძველი მაფიის უკვე გახსნილი საქმეების გამო.

გაზეთი „ტერნი“ წერდა; „ევროპის მოედანზე ხმლებით მოცეკვავე ქართველებმა მოხიბლეს ტერნის მოსახლეობა, ქართველებმა თავიანთ დიდ ხელოვნებას სახელი გაუთქვეს მთელს მსოფლიოში ვირტუოზული პროფესიონალიზმით. მათ მაყურებელი დაატყვევეს. ხმლებით ცეკვის დროს, მათივე პროფესიონალიზმის გამო გამორიცხულია ყოველი უმნიშვნელო შეცდომაც კი, თორემ სხვაგვარად, რა თქმა უნდა, საშიში იქნებოდა“

ასე წერდა გაზეთი „ფოლინიო“: „რესპუბლიკის მოედანზე გამოსულმა ქართველებმა გადააჭარბეს ბრატისლავას კონცერტებს, ჩვენს მაყურებელს ღღეს უფრო დიდი ხედვითი ტკბობა ჰქონდა. ტერნის მოსახლეობას ასეთი საოცრება ჯერ არ უნახავს“

ფლორენცია, ლელო-ბურთი წყალში...

ხიდიდან მდინარეში ვიხედებით, ხიდისქვეშ თავი მოუყრია ასობით კალმახს, ისინი ერთად შეჯგუფულან... უცებ, ერთი სეირის მაყურებელი იტალიელი ტენისის ბურთისოდენა ორცხობილას ისვრის წყალში და იმართება ნამდვილი „ლელო-ბურთი". გურულების „ლელო-ბურთი" ფილმი მინახავს ამდაგვარი. ერთი მოქნილი და მთავარი კალმახი ღონივრად გაიგდებს ორცხობილას და მიაქანებს წინ, უკან მისდევს მთელი ქარავანი კალმახებისა, მერე იყოფიან ორად, აბა აქედან, აბა იქიდან და ახლა ბურთი მეორე კალმახს უვარდება ხელში, ახლა ის მიაქანებს. ახლა იმ კალმახს მისდევენ, ირევიან, არ ზოგავენ ერთმანეთს, სასწაული უფრო ისაა, რომ აქეთ-იქიდან ოდნავ მოშორებით, თავიანთი გულშემატკივარი მაყურებელი ჰყავთ. ისინი შედარებით მომცრონი არიან, ისინი აღტაცებისგან ხარდახან ერთბაშად შეირხევიან ხოლმე და წყლის ზედაპირს მოაყრცხლისფერებენ, გაბზინდებიან მზისგულზე და ისევ დაცხრებიან. ხოლო დიდები და მოქნილები, ნაღდი კალმახები კი ებრძვიან ერთმანეთს. ვის დარჩება წყლით გაჟღენთილი ტენისის ბურთისოდენა გემრიელი ორცხობილა. ერთი კალმახი, წითლადდაწინწკლული პერანგი რომ ეცვა, უცებ გამოეყო დანარჩენებს, შეაწინწკლებიანებს. „ბურთი". წინ გაიგდო, ძლიერად გაიგდო, შორს გაიტაცა. შემდეგ ჩაყვინთა და გაუჩინარდა ბურთიანად. გაოცებული თევზები ერთმანეთს ეცნენ, რომ ვერაფერი გააწყვეს, თითქოს დაიშალნენ კიდევაც, რომ გამოჩნდა ახალი კალმახი, რომელიც მარტო მოაპობდა ტალღებს, მოახლოვდა, რაღაც ანიშნა შავწინწკლებიანებს და ყველანი ერთად მდინარის სიღრმეში გაუჩინარდნენ. ერთ წამში ის წითელწინწკლებიანი კალმახი თაეის „ბურთიანად" წინ ჰყავდათ გაგდებული და ებრძოდნენ, რათა „ბურთი" წაერთმიათ. წითელპერანგიანმა შუა გაკეთა გუნდი კალამხებისა, ცრუმოძრაობით კუდი მოიქნია, წყლის ზედაპირზე ერთი წელამდე შეხტა, თითქოს დაღმართში დინებას უნდა გაპყოლოდა, მაგრამ უცებ პირი იბრუნა და მდინარეს აღმა შეუყვა, საპირისპიროდ, თავისი დიდებული ნადაელი ხელიდან არ გაუშვია, ერთხელ კიდევ ამოხტა, მზის სხივებზე ვერცხლისფრად გაიბზინა, ვერცხლში წითელშა ფერმა ოქრო გაურია, ლამაზი ტანი შეარხია, „ბურთი" თავზე შეიგდო, ჩაეშვა, და გაუჩინარდა... დანარჩენები პირშიჩალაგამოყლებულნი ისევ ხიდქვეშ მოგროვდნენ, ახალი „ლელო-ბურთის" დაწყების მოლოდინში.



მომღერალი ამირან გოლიაძე

***

ახალი პრესა მივიღეთ, იტალიის ცენტრალურ გაზეთში „შესაჯეროში" (შიკრიკს ნიშნავს ქართულად) დიდი ასობით წავიკითხეთ სათაური „ნინეტა მოპკლეს". ვინ არის ნინეტა, ან ვინ მოპკლა ნინეტა? ნინეტა დათვია, რომელსაც თათზე განგრენა

დამართნია, უმკურნალეს, მაგრამ მაინც აგონიამდე მივიდა, იძულებულნი იყვნენ ჩემსი გაეკეთებინათ ნინეტასთვის, რათა არ ეწვალა და მშვიდად გარდაცვლილიყო. ასე მოულეს ბოლო მშვენიერ ნინეტასო, იუწყებოდა გაზეთი „მესსაჯერო“. გაზეთში ადანაშაულებდნენ და სასტიკად კიცხავდნენ ზოოპარკის დირექტორს, რომელიც ინგლისში უნდა წასულიყო და კონსულტაცია მიეღო ლონდონის ზოოპარკის სამეცნიერო საბჭოდან, რომლებიც ამ საქმეში კარგად არიან ჩახედულნი.

***

ერთი მთის სოფლიდან — პიედე ლუკუდან ტერნში წავედით, ტერნის საზოგადოების მდივანი პროფესორი ჯორჯო ბერგამინია, სახლში მიგვიწვია, სადაც გვაჩვენა ვასილ ბიკოვის წიგნები და უამრავი წერილი, ისინი ახლო მეგობრები არიან ერთმანეთის, თავად ამტკიცებს, მეგობარი კი არა ბიკოვი ძმა არის ჩემიო.

ჯორჯო ბერგამინი 11 წლისა უკვე პარტიზანი იყო და იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. იგი, ბავშვი, სასტიკად უწამებიათ იმისთვის, რომ უფროსი ძმა არ გაუცია, ხოლო მისი უფროსი ძმა ცნობილი პარტიზანი იყო..

***

მინდა აღვნიშნო, ყველა კონცერტი კითხვა-პასუხით იწყებოდა. ჩვენ დაინტერესებულ იტალიელებს მოვუთხრობდით საქართველოს შესახებ. მის წარსულზე, მის დღევანდელობაზე, ხვალინდელ დღეზე...

12 აგვისტოს კონცერტი ფოლინოში ჰქონდა „რუსთავს“. ამ ქალაქში სპეციალურად ჩამოფრინდა რომიდან იტალია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების გენერალური მდივანი ვინჩენცო კორგი.

***

იტალიაში ყველა მღერის, უკლებლიე ყველა, მაგრამ თუ მხეცებიც მღეროდნენ, ეს აღარ ვიცოდი. ჩვენთან, როცა ავთანდილი მღეროდა „სმენად მხეცნი მოვიდიანო“ ამბობდა რუსთაველი. აქ, იტალიაში ძუ მგელიც მღერის, ჩვენ დღეს ქალაქ კანტალუპაში ვართ, კანტალუპა სიტყვა-სიტყვით ამას ნიშნავს — „ძუ მგელი მღერის“.

ასეთი ლეგენდა მიამბეს: ძუ მგელს ლეკვები დაჰკარგვია და დიდი ხნის შემდეგ აქ, ამ ქალაქის მიდამოებში უპოვნია. მგელს სიხარულისაგან გაბმით ყმუილი დაუწყია, მაგრამ ეს ყმუილი უფრო სიმღერას ჰგავდა თურმე, ვიდრე ყმუილს...

***

ქალაქი ნავარა ბოლო პლაცდარმია „რუსთავისათვის“. ნავარა ლომბარდიის საზღვარზეა, ჩვენი სასტუმრო დიდებულად მოწყობილი „ევროპა“ გახლავთ. „რუსთავი“ უკვე სახლში წასასვლელად უფროა გამზადებული, ვიდრე საღამოს ჩასატარებლად, ბუნებრივია, დაიღლებოდნენ. იტალიამდე ორი თვე რუსეთში ჰქონდათ გასტროლები, ახლა იტალიაში ერთი თვე, ამდენი სანაბაობა, ამდენი ქება და ამდენი ტაში, ამდენი ცაში ამყვანი რეცენზია, ან როგორ უძლებენ? ძნელია გაუძლო დიდ სიყვარულს, დამსახურებულს, მაგრამ მაინც უსაშველოდ დიდ სიყვარულს.

ნავარაში იტალიელი პარტიზანები მოვიდნენ, რეზო თაბუკაშვილს რომ იტალიაში მეგობარი პარტიზანები ჰყავს, იმდენი უკრაინაში კოპაკს არ ჰყოლია...

მეორე დღეს პარტიზანებმა არონაში წაგვიყვანეს ფორე მოსულიშვილის საფლავზე, იქვეა დაკრძალული თბილისელი სტეფან ბონდარენკო და, რაღა თქმა უნდა, დანარჩენი იტალიელი გმირები. სანიმუშოდ მოვლილი ყველას საფლავი ყვაოილებით შევამკეთ, მე დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოვთქვი...

ლაგო მაჯორეს ულამაზეს ტბას ამაყად გადმოჰყურებს სტრეზას მთა, სადაც თავი გასწირა და სული განუტევა სტრეზას მთასავით მშვენიერმა და ამაყმა ფორე მოსულიშვილმა.

ფორე მოსულიშვილის საფლავზე ბიჭებმა იმღერეს ძველი საგალობელი და „შენ ბიჭო ანაგურელო“. ჩვენს გვერდით იდგა ერთი იტალიელი ქალბატონი, ფორეს მეგობარი, მისი ცრემლი სიმღერასავით უხდებოდა გმირთა ძვალთშესალაგს.

დაებრუნდით სასტუმროში, მთელი ღამე მილანის ცის ქვეშ შრებოდა ქართველ ჩოხოსანთა სველი ახალუხები...

***

ჩვენ ვიცით და ვგრძნობთ სრულქმნილების მიერ შექმნილ ჰარმონიულობას.

ვემშვიდობებით იტალიას და სამშობლოში ვბრუნდებით, „სანტა-მარიას“, ტაძრის ზარებივით ჟღერენ სიტყვები: ბონჯორნო, ბონასერა, გრაცე...

გამარჯობა, საღამო მშვიდობისა, გმადლობთ...

იტალია,
17 ივლისი – 17 აგვისტო. 1986 წელი

„ლიტერატურული საქართველო“
5 სექტემბერი, 1986 წელი.

პალმირადან მკვდარ ზღვამდე

(სირია-იორდანია)

რუსთაველი უცხოეთში მიემგზავრება ძირითადად მოსკოვის, „გოსკონცერტის“ (საკავშირო კომერციული საკონცერტო ორგანიზაცია), ან „საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების“ ხაზით. ეს გახლავთ ნახევრად კომერციული ორგანიზაცია, რომლის მიზანია უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული გაცვლა: კონცერტების, სპექტაკლების, ლექციების, გამოფენების, კინოფილმების ჩვენება, ბაზრობების გამართვა, ქართული სამზარეულოს გაცნობა და სხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

ეს საზოგადოება შეიქმნა 1946 წელს.

ამჟამად საზოგადოების თავმჯდომარეა გამოცდილი სპეციალისტი, ბატონი გივი მელაძე, ფრიად განათლებული და კულტურული კაცი, წესიერი, დიდი პატრიოტი, ქართული ხელოვნების კარგი მცოდნე და დამფასებელი.

არსებობს რამდენიმე განყოფილება, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობებს განაგებს. ეს განყოფილებები დაკომპლექტებულია შესანიშნავი სპეციალისტებით, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ ამ ქვეყნებთან კეთილი ურთიერთობის დასამყარებლად და თუ დღეს საქართველოს ბევრი მეგობარი ქვეყანა ჰყავს, ამაში ამ საზოგადოების დიდი დამსახურებაცაა.

„რუსთაველი“ მჭიდროდ თანამშრომლობს „საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებასთან“, მრავალ ქვეყანაში გაიტანა ქართული ხელოვნება, რომლითაც ხელი შეუწყო ამ ქვეყნების დამეგობრებას.

ამჟამად სირია-იორდანიაში „რუსთაველთან“ ერთად გაიგზავნა დიდი დელეგაცია: ვახტანგ ბერიძე, კოტე წერეთელი, გურამ ჩიქოვანი, ირაკლი ოჩიაური, რეზო სარიშვილი და სხვა.

1979 წლის 5 ნოემბერს მოსკოვიდან დამასკოში ჩავფრინდით. მოსკოვში ძალიან ციოდა, ტემპერატურა –15 გრადუსს აღწევდა, დამასკოში მზიანი ამინდი დაგვხვდა (+19 გრადუსი). აეროპორტში მოვიდა ჩვენი წარმომადგენელი სირიაში ბატონი გოჩა ჯაფარიძე, რომელმაც წაგვიყვანა სასტუმრო „ორიენტ-პალასში“. „რუსთაველი“ დამასკოში პირველადაა. სასტუმრომდე გზის პირას მრავლადაა მიწური ქოხმახები, თვალში მოგხვდებათ სიღატაკე და ჭუჭყი, იგრძნობა მანქანათა სიმრავლე და მოუწესრიგებელი მოძრაობა, რომელსაც თან ერთვის გამაყრუებელი სიგნალები.

სასტუმროში მოვეწყვეთ, ვისადილეთ და წავედით საბჭოთა საელჩოს საკონცერტო დარბაზში, სადაც დღეს კონცერტია დანიშნული. გაეიარეთ რეპეტიცია, საღამოს გაიმართა კონცერტი. კონცერტს დაესწრო მთელი ჩვენი დიპლომატიური

კორპუსი, საელჩომ მოიწვია სირიის მოქალაქე მეტად ავტორიტეტული, მდიდარი და გაელენიანი პიროვნება ბატონი ლევან საღარაძე, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია იქ ცხოვრობს. – იგი მეტად საინტერესო პიროვნებაა, — გვითხრა ბატონმა გოჩა ჯაფარიძემ, მისი გაცნობა არ გაგიჭირდებათ დარბაზში რიხიანი შეძახილებით გამოარჩევთ.

კონცერტი წარმატებით ჩატარდა, პატარა საკონცერტო დარბაზში ტევა არ იყო, პირველივე ნომრის შემდეგ დარბაზში ერთსულოვანი ტაში მოწყდა. „გაუმარჯოს საქართველოს“, ოდნავ ხრინწიანი, ბოხი ხმით დაიძახა ვიღაცამ, მიეხვდი, ის ლევან საღარაძე იყო.

კონცერტის შემდეგ სცენაზე ამოვიდა, სასიამოვნო გარეგნობის საშუალო ტანის, გრუზა თმებით, მეტყველი თვალებით, შესანიშნავად ჩაცმული, მეტად სიმპათიური პიროვნება ლევან საღარაძე. „გაუმარჯოს საქართველოს“, – გვითხრა მან, — თქვენ გაგახაროთ ღმერთმა, როგორც დღეს მე გამახარეთ, - თქვა და ცრემლები მოიწმინდა. – ეს კაცი სადაურია, მტრედივით რომ ღუღუნებს და ქართული მიწის სურნელებას გაგრძნობინებს? – იკითხა ბატონმა ლევანმა ჰამლეტ გონაშვილზე. – დღეს თქვენ საბჭოთა საელჩოს სტუმრები ხართ, თქვენთვის სპეციალურად აწყობენ მიღებას, მეც დამპატიჟეს, ხვალ კონცერტის მერე ჩემი სტუმრები იქნებით, მთელ საელჩოს დაგიპატიჟებთ, სტუმრებსაც, ვინც კი გაგიხარდებათ ყველას მოვიწვევ თქვენთან, - გვითხრა ბატონმა ლევანმა. საელჩოში მიღება კარგად ჩატარდა, ელჩმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენს კონცერტს, იყო მისალმებები, დაილია ბევრი ქართული ღვინო, იქაც მოგვიხდა სიმღერებისა და ცეკვების დემონსტრირება, საღამო ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. ლევან საღარაძე სულ ჩვენ გვერდით იყო, ერთი წუთითაც არ გვცილდებოდა. მივხვდით, რომ ძალიან მოენატრა სამშობლო. „გაუმარჯოს საქართველოს“, დაიძახებდა ბატონი ლევანი და ჰამლეტ გონაშვილს სთხოვდა, - კიდევ ერთხელ გამაგონე შენი ხმაო. — მერე მოიწყენდა, მზერას სადღაც გადაიტანდა და ჩვენ მიეხვდით, რომ იმ დროს იგი ფიქრით თავის სამშობლოში იყო.

მეორე დღეს დაგვათვალიერებინეს ქალაქი. ძველი დამასკო ნამდვილი კულტურის ძეგლია, იშვიათი და ულამაზესი, იგი მჭიდროდაა დასახლებული. მაგრამ ძალიან ჭუჭყიან შთაბეჭდილებას ტოვებს. ენახეთ რომაელების მიერ აშენებული გალავანი და მისი ერთ-ერთი კარი, სადაც ამჟამად წმ.პავლეს სახელობის ეკლესია დგას. ახალმა დამასკომ შთაბეჭდილება მოახდინა გრანდიოზული მშენებლობებით, მაგრამ ასეთი სხვაგანაც გვინახავს, ძველი დამასკო მაინც სულ სხვაა. სირიის მოსახლეობა რვა მილიონამდეა, დამასკოში ცხოვრობს ორი მილიონი კაცი.

საღამოს კონცერტი, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო გაიმართა დამასკოს ერთ-ერთ კულტურის სასახლეში, ცეკვები უფრო მოსწონდათ, ვინაიდან სირიელების სასიმღერო კულტურა მონოდიურია, ამიტომ ჩვენი პოლიფონიური სიმღერების აღქმა უჭირთ, ჩვენ მათთვის სპეციალურად შევარჩიეთ სიმღერები. დიდი წარმატება ჰქონდა ჰამლეტ გონაშვილის „ურმულსა“ და „დაიგვიანეს“, ტარიელ ონაშვილის ფანდურზე დანამღერებსა და სხვა. ძალიან მოსწონდათ სალამურზე ომარ კელაპტრიშვილის მიერ შესრულებული მელოდიები. პრესამ ომარს „სალამურის ვირტუოზი“ შეარქვა. დიდი წარმატებით სარგებლობდა საცეკვაო სუიტები, სადაც ცეკვები სიმღერების ფონზე მიდიოდა, ცეკვასთან ერთად სიმღერას უკეთესად აღიქვამდნენ. ეს მარტო სირიაში არ იყო, აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც სასიმღერო ნომრებს მაყურებლისთვის სპეციალურად ვარჩევდით.

კონცერტის შემდეგ ბატონმა ლევან საღარაძემ დაგვახვედრა აეტობუსი და ქალაქგარეთ უძვირფასეს რესტორანში საქეიფოდ წაგვიყვანა. მაგიდები ბაღში იყო გაშლილი, სადაც მრავალნაირი პალმები იდგა, მათ შორის ბანანისაც, სხვადასხვა ხეხილი, თითოეული მცენარე საოცრად ლამაზად იყო განათებული, პალმების ქვეშ იშვიათი სილამაზის სუფრა იყო გაშლილი, ათასნაირი სასმელ-საჭმელებით. სუფრა ქართულად წარიმართა, ყოველ სადღეგრძელოს, სიმღერა, ცეკვა და ლევან საღარაძის ომახიანი შეძახილი მოსდევდა: — „გაუმარჯოს საქართველოს“ ბატონი ლევანი შესანიშნავი მასპინძელი იყო, იგი სუფრებთან მიდიოდა, ყველას ეფერებოდა და ეუბნებოდა, მოითხოვეთ, თუ რამე გნებავთო. რაღა უნდა მოგვეთხოვა, თუ რამ დელიკატესი გაგვიგია, ყველაფერი სუფრაზე იდო. ბატონ ლევანს ჩვენთვის სპეციალურად მოეწვია მუსიკოსები და მოცეკვავე გოგონები ფილიპინებიდან. ნახევრად შიშველი ულამაზესი გოგოები წელის მოხდენილი რხევით არაჩვეულებრივად ასრულებდნენ თავიანთ ნაციონალურ ცეკვებს. როცა ერთი გოგონა რეზო სარიშვილსა და რეზო ჭოხონელიძეს შორის სუფრაზე ახტა და წელისა და უკანაწილის რხევით არნახული მოძრაობები ჩაუტარა, რეზო სარიშვილმა იხუმრა: ეს ქალი რომ გურიაში ჩამაყვანინა და ქორწილებში მატარებინა, დარწმუნებული ვარ, ყველა სიძე თავის დედოფალს მიატოვებს და ამას გამოეკიდებაო.

სუფრაზე ხშირად იცვლებოდა საჭმელ-სასმელი, ხილი და, შესაბამისად განათებაც. მსგავსი რამ არ გვენახა. ქეიფმა დილამდე გასტანა. გამთენიას ბატონი ლევანი ჩვენს სუფრასთან მოვიდა და გული გადაგვიშალა: იგი სრულიად ახალგაზრდა ყოფილა, როცა თავის მეგობართან ერთად თურქეთში გადაიპარა, მერე იქედან სირიაში გადავიდა. ლევანმა მუშაობა დაიწყო ნავთობ კომპანიაში მუშად, მერე თანდათან საქმეს ალღო აუღო, მუყაითი შრომით დაწინაურდა და დიდ ფინანსურ წარმატებებს მიაღწია, იგი ძალიან გამდიდრდა.

მშობლებს ლევანი დაღუპული ეგონათ, რადგან სახლში ცნობას არ აგზავნიდა (ეშინოდა, მშობლები არ დაეხვრიტათ). მის შესახებ გაიგეს მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ. ბატონ ლევანს ჰყავს რუსი მეუღლე და ორი შვილი, ქალიშვილი გათხოვილია ბელგიაში, ბიჭს ჯერ ცოლი არ მოყავს, მინდა ქართველი ქალი შეერთოო როგორმე, — გვითხრა ბატონმა ლევანმა.

კარგა გათენებული იყო, როცა მან სასტუმრომდე მიგვაცილა. — „გაუმარჯოს საქართველოს“, ასე დაგვემშვიდობა გულუხვი მასპინძელი.

ის ღამე არასოდეს დაგვავიწყდება.

მთელი ღამის ნაქეიფრებმა მოგვიანებით გავიღვიძეთ, ის დღე თავისუფალი გვქონდა, ამიტომ მასპინძლებმა ექსკურსიები დაგვიგეგმეს: გვაჩვენეს ომაიადების სასახლე და მიზგიდი (მეჩეთი), რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით VII საუკუნეშია აშენებული. ეს არის უზარმაზარი ნაგებობა, ეზოში სულ მარმარილოა დაგებული, სადაც ტრადიციისამებრ ფეხშიშველი შევედით. ეს მიზგიდი ადრე ქრისტიანული ყოფილა (IVსაუკუნე), მაგრამ შემდეგ ომაიადებმა მიაშენეს ეს უზარმაზარი მეჩეთი და ახლა იგი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი სიგრძე 135 მეტრია, სიგანე 55 მეტრი. საინტერესოა, რომ აქ დასაფლავებულია იოანე ნათლისმცემლის თავი, სილამაზით გამოირჩევა IV საუკუნის მოზაიკა, რომლის შესრულების ტექნიკა დღემდე უცნობია.

დავათვალიერეთ ომაიადების სასახლე, თავისი უზარმაზარი ოჯახური სათავსოებით, მდიდრული მორთულობით, ჰარამხანების ოთახებით, აბანოებითა და სხვადასხვა გასართობებით. შემონახულია მაშინდელი ტანსაცმელი, იარაღი, ცხენის

მორთულობა და ბედუინების საყოფაცხოვრებო ნივთები (სხვათა შორის სირიაში ახლაც არსებობს მრავალცოლიანობა, ოფიციალურად ნებადართულია 4 ცოლი).

ჩვენი ოფიციალური დელეგაციის წევრები თავიანთი საქმეებით იყვნენ დაკავებული, ზოგი ლექციებს კითხულობდა, ზოგიც გამოფენებს აწყობდა, რეზო სარიშვილი ქართულ საშხარეულოს აცნობდა სირიელებს, იქეე ხდებოდა ქართული ღვინის დეგუსტაციაც. ამ ღონისძიებაში ხშირად „რუსთაველიც" იღებდა მონაწილეობას და ქართული სუფრის წესით უცხოელებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. თავისუფალ დროს ჩვენთან ერთად ექსკურსიებზე ხშირად დადიოდა ბატონი ვახტანგ ბერიძე, უდიდესი ავტორიტეტი, იშვიათი ხელოვნებათმცოდნე. ბატონ ვახტანგს ჯერ კიდევ კონსერვატორიიდან ვიცნობდი, იგი ხელოვნების ისტორიას გვიკითხავდა, ლექციები ჯერ აუდიტორიებში ტარდებოდა, შემდეგ იმდენი მსურველი მოაწყდა, რომ მისი ლექციები მცირე საკონცერტო დარბაზში გადაიტანეს, სადაც ტევა არ იყო. ბატონი ვახტანგი დიდებული მეცნიერია, იშვიათი განათლებით, უნიკალური ნაშრომებით, რამაც მას უზარმაზარი ავტორიტეტი მოუტანა მთელ მსოფლიოში, იგი ბევრი ქვეყნის აკადემიის საპატიო წევრი გახლავთ. თბილისში ხშირად ტარდება ხელოვნების სიმპოზიუმები, რომელსაც ბატონი ვახტანგი შესანიშნავად ხელმძღვანელობს. გარდა ამისა, იგი გამოირჩევა იშვიათი ადამიანური თვისებებით, არის უწესიერესი პიროვნება, თავმდაბალი, კეთილმოსურნე, კეთილშობილი, დაუზარელი, სიამოვნებით გადასცემს თავის ცოდნას ყველას, ეს თვისებები მას გენეტიკურად მოჰყვება, იგი დიდი მეცნიერის ვუკოლ ბერიძის ვაჟი გახლავთ. ბატონ ვახტანგს ბევრი რამ ახსოვს, ერთხელ წაგვიკითხა ლექცია ექვთიმე თაყაიშვილზე. მას ახსოვს ექვთიმეს ჩამოსვლა თბილისში, გვიყვებოდა ამ იშვიათი პიროვნების შესახებ, გვიყვებოდა, როგორ შეხვდა ქაშუეთის ეკლესიის წინ ვუკოლ ბერიძესთან ერთად ბატონ ექვთიმეს, რომელიც 20 წლის ემიგრაციის შემდეგ პირველად ჩამოვიდა თბილისში და თვალცრემლიანი მიჰყვებოდა რუსთაველის პროსპექტს. ბატონი ვახტანგი ისე ემოციურად აღწერდა ამ ფაქტს, რომ ბევრ ჩვენგანს თვალებზე



ვახტანგ ბერიძე და ანზორ ერქომაიშვილი. 1979 წ.



სირია (კალმირა). გვესაუბრება აქად. ვახტანგ ბერიძე

ცრემლი მოერია.

ვახტანგ ბერიძე გარეგნულადაც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი მაღალი ტანის და თხელი აგებულებისაა, ანტიკური სახითა და მეტყველი თვალებით, მნახველზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ბატონი ვახტანგი მუსიკის დიდი მოყვარულია, ესწრება კლასიკური მუსიკის ყველა კონცერტს, იცნობს და ახსოვს ყველა დიდი მუსოკოსი, რომელიც თბილისში ჩამოსულა, ახსოვს მათი რეპერტუარიც. ვახტანგ ბერიძე ქართული ხალხური სიმღერის დიდი თაყვანისმცემელია, აგროვებს ჩანაწერებს, ესწრება „რუსთავისა“ და „მართუეს“ კონცერტებს, დიდ პატივს სცემს ჰამლეტ გონაშვილს, რომლის ხმას ერის სულის ამოძახილს ადარებს. ერთხელ თბილისში მორიგი სიმპოზიუმი ტარდებოდა, სტუმრები მცხეთაში უნდა წაეყვანათ, ბატონმა ვახტანგმა მთხოვა, როგორც კი ჯვრის მონასტერში ავიდოდნენ მეცნიერები, იქ „მართვე“ დამეხვედრებინა. სტუმრებზე, რომელშიაც იტალიელები ჭარბობდნენ, „მართვემ“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მახსოვს რა გახარებული გვიყვებოდა ბატონი ვახტანგი, თუ როგორ იყვნენ გაოგნებული მისი სტუმრები ჯერ ჯვრის მონასტრის ხილვით, ხოლო შემდეგ პატარა ბიჭების სიმღერით.

ბატონი ვახტანგი დიდი პატრიოტია, უშიშარი, იგი ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობს. მოგეხსენებათ, მძიმე იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად ბატონი ვახტანგი პირადი პასუხისმგებლობით ახერხებს ისეთი ეროვნული საქმეების დაცვასა და მოგვარებას, რომელსაც ალბათ სხვა ვერ გაბედავდა. მახსოვს, ჩვენი შესანიშნავი კინორეჟისორი სოსო ჩხაიძე იღებდა თავის პირველ ფილმს „ძველი ქართული საგალობლები“ ამ ფილმში გადაღებული იყო უძველესი ქართული ტაძრები, ფრესკები და სხვა უნიკალური ძეგლები, საგალობლები „რუსთავმა“ ჩაწერა, ვიღაცამ ცენტრალურ კომიტეტში იჩივლა, ს. ჩხაიძე

და ა. ერქომაიშვილი ქრისტეს მობრუნებას აპირებენო. შეიქმნა ფილმის გაუქმების რეალური საფრთხე. მე მივედი კულტურის მინისტრთან ბატონ ოთარ თაქთაქიშვილთან და მდგომარეობა მოვახსენე. ბატონმა ოთარმა მაშინვე მოიწვია კომისია, სადაც შეეიდნენ ვახტანგ ბერიძე, ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი, მიხეილ გოგიჩაიშვილი — ცენტრალური კომიტეტის მდივანი, თვითონ ბატონი ოთარი და კიდევ რამდენიმე პატრიოტი მოღვაწე. ფილმმა მათზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ არ შეიძლებოდა იგი დაეტოვებინათ როგორც მხატვრული ფილმი, გადაწყდა, თითქოს ფილმი ბ-ნი ვახტანგ ბერიძის შეკვეთით გაკეთდა, როგორც დოკუმენტური ფილმი ძველი ძეგლების შესახებ, ხარჯებს კულტურის სამინისტრო აიღებდა თავის თავზე. ამ ფანდმა გასჭრა ფილმი გადარჩა, იგი ბატონმა ვახტანგმა შეიძინა ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისათვის, მაგრამ ეინაიდან მდგომარეობა ძლიერ იყო გამწვავებული, ფილმი რამდენიმე წლით თაროზე შემოდეს და არ გამოაჩინეს. დღეს ეს ფილმი ეკრანიდან არ ჩამოდის.

ვინ მოსთვლის, ბატონ ვახტანგ ბერიძეს რამდენი დიდი ეროვნული საქმე აქეს გაკეთებული და დღეს „რუსთავს" წილად ხვდა ბედნიერება. რომ მასთან ერთად იმყოფება სირიაში, დაგვეკება ექსკურსიებზე, გეიკეთხაეს ლექციებს და გეიხსნას ამა თუ იმ ძეგლის მნიშვნელობას, რომელიც ექსკურსიამძღოლებმაც კი არ იციან.

დღეეანდელმა ექსკურსიამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა „რუსთავის" წევრებზე, სადილზე ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ ნანახსა და განცდილს.

ნასადილევს დავათვალიერეთ დამასკოს ბაზარი. იგი გაშლილია უზარმაზარ



სირია (პალმირა). ნუგზარ ბელაშვილი, აკად. ვახტანგ ბერიძე, ანზორ ეძძოშაიშვილი და სირიელი გიდი

ტერიტორიაზე, აქ ვაჭრობენ ყველანაირი საქონლით. ჩვენი ბიჭები გაიფანტნენ ბაზრობაზე. ყველას უნდოდა თავისიანებისთვის რაიმე საჩუქარი ეყიდა. რეზო ჭოხონელიძემ და მე ცოტა ხანს ბაზრობა დავათვალიერეთ, მერე გარეთ გამოვედით და ბაზრის შესასვლელთან ცივი ლუდით ვიგრილებდით გულს. ამ დროს ვხედავთ. ომარ კელაპტრიშვილი და შოთა ბრეგაძე მოდიან დატვირთულები დიდი ტომრებით. როცა დაგვინახეს, თუ როგორ არხეინად მივირთმევთ ლუდს, ისინი კი ოფლში არიან გახვითქულები, ომარ კელაპტრიშვილმა, რომელიც ხშირად ეპაექრებოდა შაირით რეზო ჭოხონელიძეს, შესძახა:

„შემოგვატარეს ლონდონი,
პარიზი, ვენა, ტექსელი.
ანზორი ტარაპულკაა,
ჭოხონელიძე — შტეფსელი“.

(იმ პერიოდში ეს ორი კლოუნი ძალიან პოპულარული იყო საბჭოთა კავშირში).

რეზო ჭოხონელიძემ ლუდის კათხა მაგიდაზე ჩამოდგა და მსწრაფლ უპასუხა:

„კელაპტრიშვილო ომარაე,
ერქომაიშვილი რომ არა,
ვერ აავსებდი ტომარას“.

მერე ცივ ლუდზე დაპატიჟა ორივე. საღამო თავისუფალი გვქონდა, მე და ომარ კელაპტრიშვილი ოჯახში მიგვიწვია დათო ტოგონიძემ, რომელიც რამდენიმე წლით დამასკოში სამუშაოდაა მივლინებული. დათოს ყავს შესანიშნავი მეუღლე – ქეთინო და ულამაზესი პატარა შვილები: ნესტანი და გიორგი. მართლა იშვიათად ნახავთ ასე ყოველნაირად შემკულ ოჯახს. ქეთინოს არაჩვეულებრივი ქართული საჭმელები მოემზადებინა. ტოგონიძეები მონატრებული იყვნენ ყოველივე ქართულს, ამიტომ სიამოვნებით ვუყვებოდით ახალ ქართულ ამბებს, ბავშვებიც არ იძინებდნენ და თვალებდაჭყეტილი შემოგვცქეროდნენ. მერე ლექსებიც წაგვიკითხეს და ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინათ.

ტოგონიძეებთან გვიან ღამემდე დავრჩით, გავიხსენეთ ძველი ამბები, იყო საოცარი სითბო და სიხარული, ის საღამო არასოდეს დაგვავიწყდება.

დილით დავათვალიერეთ ნაციონალური მუზეუმი, რომელმაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ არის წარმოდგენილი მე-4 ათასწლეულის ექსპონატები. მათ შორის, ახლახან აღმოჩენილი 17 ათასი ცალი ფირფიტა, რომელზედაც აღწერილია მეფეთა ამბები და რელიგიური ცნობები, რომელმაც, შესაძლებელია, შეცვალოს მთელ ებრაელთა რელიგიური მრწამსი, ამიტომ მათ მოაწყვეს თავდასხმა ამ აღმოჩენაზე, მაგრამ საბედნიეროდ იგი კარგად დაცული აღმოჩნდა. ეს აღმოჩენა მეცნიერებს, ტროას შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, ძველი შუმერული წარწერები და ექსპონატები, რომელიც III ათასწლეულს მიეკუთვნება. საინტერესოა, აგრეთვე, პირველი ალფაბეტი მსოფლიოში, რომელიც აგრეთვე II-III ათასწლეულს მიეკუთვნება.

მუზეუმის შემდეგ დავათვალიერეთ მეჩეთები, მინის მანუფაქტურა, უნივერსიტეტი და სხვა.

საღამოს გავმართეთ კონცერტი იმავე კულტურის სასახლეში.

9 ნოემბერს დილით გავემგზავრეთ ქ.პალმირაში. მთელი გზა უდაბნოზე გადის, აქ შეხვდებით კარვებში მცხოვრებ ბედუინებს, ჭუჭყსა და ტალახში ამოსვრილი გამათხოვრებული ბავშვებით, მათ მშობლებს კი კარვის წინ ფორდის ძეირფასი ავტომანქანა უყენიათ.

დამასკოდან 340კმ-ზე უდაბნოში გამოჩნდა ოაზისი ფინიკის პალმებით (აქედან წარმოსდგება სახელი პალმირა).

ეს იყო უძველესი კულტურის ცენტრი, რომელიც მდებარეობდა სავაჭრო გზაზე, I-IV საუკუნეებში აქ სიცოცხლე დუღდა. I საუკუნის 35 წლიდან III საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვით, რომაელებს აუშენებიათ უზარმაზარი ქალაქი, რომელიც დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ქუჩები 5-6 მეტრიანი სიმაღლის სვეტებითაა დამშვენებული (ასეთი სვეტების რაოდენობა ათასობით განისაზღვრება), ტაძრები, თეატრები, ბაზრები, მოედნები, სამარხები და კიდევ რამდენი რამ, მოკლედ პალმირამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ასეთი გრანდიოზული ძველი ქალაქი ჯერ არ მენახა. საღამოს დავათვალიერეთ ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილი და სასტუმროში დავბრუნდით. შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ონიაური, ომარ კელაპტრიშვილი და მე სასტუმროდან ღამით მთვარის შუქზე რომაული ქალაქის სანახაობად წამოვედით.

ბატონი ვახტანგიც ჩვენსავით პირველად იყო პალმირაში, მაგრამ იმდენად კარგად იცოდა ქალაქის ისტორია, მისი დაგეგმარება, იშვიათი ძეგლების ადგილმდებარეობა და მათი მნიშვნელობა, რომ გეგონებოდათ, აქ რამდენიმე ათეული წელი უცხოვრია და ყველა ძეგლი ადგილზე აქვს შესწავლილიო. რა ბედნიერებაა, რომ ასეთი „ექსკურსიამძღოლი“ გვყავდა. ჩვენ დაეაბიჯებდით მკედარ ქალაქში, რომელიც მთვარის შუქზე საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებდა. გავიარეთ ქალაქის მთავარი ქუჩა, რომელიც დღემდეა მოკირწყლული და რამდენიმე ასეულ მარმარილოს სვეტებს შუაა გაჭიმული, უცებ წარმოვიდგინე, რომ 2000 წლის წინათ აქ სიცოცხლე როგორ დუღდა, ხალხი დადიოდა, სხვანაირ ტანსაცმელში გამოწყობილი, ვაჭრობდა, ზეიმობდა. მეც უცებ იმ საზოგადოების წევრად წარმოვიდგინე ჩემი თავი და საოცარი გრძნობა დამეუფლა.

– აქ იყო ამფითეატრი, სადაც წარმოდგენები იმართებოდა, — გვითხრა ბატონმა ვახტანგმა და ჩვენთან ერთად ჩამოჯდა მოხერხებულ ადგილას, ჩემი ფანტაზიით ჩემ თვალწინ წარმოდგენები აღსდგა. ვჩერდებოდით სხვადასხვა ძეგლთან, ბატონი ვახტანგი გვესაუბრებოდა მათ შესახებ, გვიხსნიდა უმნიშვნელო დეტალებსაც კი, ჩერდებოდა დანგრეულ შენობებთან და გვიყვებოდა ამ შენობების არქიტექტურაზე. ბატონმა ვახტანგმა იშვიათი ლექცია ჩაგვიტარა რომის იმპერიაზე. პალმირა განიხილა, როგორც ამ იმპერიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი. ჩვენ გაოგნებულები ვუსმენდით მის მონათხრობს არა სალექციო დარბაზში, არამედ უძველეს მკედარ ქალაქში, რომელიც მთვარის შუქზე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა.

დილის 4 საათზე მზის ამოსვლას პალმირაში შევხვდით. ანსამბლის წევრებიც მოსულიყვნენ და განცვიფრებული შევყურებდით ამ საოცარ სანახაობას, ავედით ერთ-ერთი ტაძრის გუმბათზე, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანდა ეს გასაოცარი ქალაქი თავისი 20კმ-იანი გალავნით. დავათვალიერეთ სამხრეთის სასახლე, რომელიც მარტო 200 მარმარილოს სვეტითაა გარშემორტყმული, გადავიღეთ ფოტოები მონოლითებთან, რომელთა სიმაღლე ხანდახან 6-7 მეტრს აღწევს.

დავათვალიერეთ ქალაქის მუზეუმი, სადაც შემონახულია ძველი ექსპონატები და მუმიები. ახალი ქალაქი აშენებულია 1926 წელს ძველისაგან ცოტა მოშორებით.

დილით გავემგზავრეთ ქ. ალეპოში, გზად გავიარეთ ქ.ხომსში, სადაც ვისადილეთ და საღამოს 5 სთ-ზე უკვე ალეპოში ვიყავით. ალეპო სრულიად განსხვავდება დამასკოსაგან. იგი შედარებით სუფთა ქალაქია. ალეპო სირიის სამრეწველო ცენ-



მომღერალი
ზურაბ ნინუა

ტრია. მეორე დილით საუზმის შემდეგ გავემგზავრეთ ალეპოდან 55კმ-ის დაშორებით, სადაც მდებარეობს V საუკუნის ქრისტიანული ძეგლი — სვიმეონ მესვეტის ტაძარი.

სვიმეონ მესვეტე და საერთოდ მესვეტეები ფანატიკური ღვთისმოშიშები იყვნენ, მათ სვეტებზე ფეხზე დამდგარმა გაატარეს თავიანთი ცხოერება, ამბობენ, ერთმა მესვეტემ 107 წელი იცოცხლა და აქედან 80წ. სვეტზე გაატარაო. სვიმეონ მესვეტე გადმოცემით ქართველი უნდა ყოფილიყო, თუმცა ამის დამამტკიცებელი ნიშნიერი საბუთი არ არსებობს.

სვიმეონ მესვეტის მონასტერი არის უდიდესი კომპლექსი, რომელიც განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი აგებულია მაღლობზე და გადასახედიდან თურქეთი მოსჩანს. არქიტექტურაში ბევრია მსგავსება ქართულთან. შუაში დგას სვეტი, რომელზედაც ცხოერებას ატარებდნენ მესვეტეები. ტაძარი აგებულია რომაელების მიერ, რომლებიც იქ ბევრნი იყვნენ. (ამბობენ, რომაელთა 500 დასახლებაც კი ყოფილა). მათ გაჰყავდათ გზები (ერთერთი მათგანი, ფილებით ჩაგებული, მშვენივრად არის შემონახული) და აგებდნენ ტაძრებს. ახლა რომაელთა ნასახიც კი აღარავინ დარჩა. სვიმეონ მესვეტის მონასტრის ეზოში ჰამლეტ გონაშვილმა მიაგნო განსხვაებული ჯიშის ლელვის ხეს, რომელსაც რამდენიმე ტოტი შეაჭრა.

– რად გინდა, ჰამლეტ, ეს ტოტები? – შეეკითხა ირაკლი მათიკაშვილი.

— რად და, ანაგაში ჩემს ეზოში დავაკალმებ და გავახარებ, – უპასუხა ჰამლეტმა. ბიჭებმა გაიცინეს.

– აი, როცა ნაყოფს მოისხამს და გაგასინჯებთ, მერე გაიცინეთ კარგად.

ბიჭებმა ეს ამბავი უბრალო ახირებად ჩათვალეს, რადგან ჰამლეტს ახასიათებდა უცნაურობები. მერე ბიჭები ხშირად ეკითხებოდნენ, ჰამლეტ შენმა ლელვმა მოისხა? ჰამლეტი არ პასუხობდა. გავიდა რამდენიმე წელი, ერთ დღეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტი გვქონდა (სამწუხაროდ ეს იყო ჰამლეტის უკანასკნელი კონცერტი ამ დარბაზში), ჰამლეტმა კულისებში გაგვიყვანა რამდენიმე მომღერალი. – აი, თქვენ რომ დამცინოდით, ეს ლელვები იმ ხიდან მოვკრიფე, აბა, იგემეთ, როგორია, გვითხრა მან და გაგვასინჯა უგემრიელესი ლელვის ნაყოფი.

სვიმეონ მესვეტის მონასტრიდან დავბრუნდით ალეპოში. კონცერტი გავმართეთ კინოთეატრში, აუტანელ პირობებში. რამდენიმე მეტრი სიგანის სცენაზე 1 საათიანი კონცერტი გავმართეთ. კონცერტს მაინც დიდი წარმატება ჰქონდა. დაგვესწრო მთელი საკონსულო და რვა ქართული ოჯახი, რომლებიც იქ მიელინებით იმყოფებიან.

საღამოს ვახშამზე მოვიდა ინგლისელი ქართველოლოგი დავით ლენგი და მოგვილოცა წარმატება, ხოლო შემდეგ მოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ არაბულად მთარგმნელი (გვარი არ მახსოვს) და გურამ ჩიქოვანთან დიდხანს იმუშავა ვეფხისტყაოსნის რედაქციაზე.



მომღერალი
ლადო თანდილაშვილი

12 ნოემბერს დილით დავათვალიერეთ ალეპოს ციტადელი (ციხედარბაზი) ეს არის უზარმაზარი ციხესიმაგრე, რომელსაც ირგვლივ დიდი არხი ერტყა და ფაქტიურად ძიუვალად ითვლებოდა. მასში გადმოცემით მარტო 5000 ცხენოსანი აფარებდა თავს. ერთადერთი შესასვლელი ქალაქთან დაკავშირებულია დაბალსაფეხურიანი კიბეებით, რომელსაც მოსახერხებელია როგორც ქვეითი, ისე ცხენოსანისათვის. შესასვლელში ორი უზარმაზარი რკინის კარია, ერთმანეთისაგან დაახლოებით 30 მეტრის დაშორებით. მათ შორის ჭერში ჩატანებულია დიდი ხვრელები, საიდანაც ცხელ კუპრს ასხამდნენ მტერს. მე-2 კარს იქით თურმე იჯდა ორი უზარმაზარი ლომი, რომელიც დარაჯობდა ციხეს. გალაკანს შიგნით არის სათაყვანოები, მეჩეთები, ციხეები პატიმრებისათვის და დარბაზები შეფეებისა და მამლუქთა მეთაურებისათვის. ეს ციტადელი ერთ-ერთი გრანდიოზულია და მე-13 საუკუნის ძეგლს წარმოადგენს. გადმოცემით აქ თავი მოკვეთეს გიორგი სააკაძეს და მის 40 მხლებელს.

ციტადელის დათვალიერების შემდეგ დავბრუნდით სასტუმროში, სადაც დაგხვდნენ ჩვენი თანამემამულე ქართველები, ჯერ მათთან ერთად გავისეირნეთ ქალაქში, ხოლო საღამოს ვახშმად მიგვიწიეს, სადაც შესანიშნავი დრო გავატარეთ.

13 ნოემბერს დილით ადრე გავემგზავრეთ ზღვისპირა ქალაქ ტარტუსში. რომელიც ალეპოდან დაშორებულია 275კმ-ით.

ტარტუსში გვიან ჩავედით და მოვთავსდით ძეირფას სასტუმროში. დილით დავათვალიერეთ ქალაქის მუზეუში. აქ წარმოდგენილია II-III საუკუნის ძეგლები. შემდეგ გავიარეთ ქალაქში და ვნახეთ რომაული კედლის ნანგრევები, როგორც ჩანს მათ აქ უზარმაზარი ციხე-სიმაგრე აუშენებიათ. დღეს ბატონმა ვახტანგმა ანსამბლისთვის წაიკითხა მორიგი ლექცია და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საღამოს გავემართეთ კონცერტი. სცენა აქაც პატარა იყო, კონცერტი. ცხადია, კარგი არ გამოვიდა, მაგრამ მაინც მოეწონათ, როგორც იქნა კონცერტზე მოვიდა ერთადერთი ულამაზესი ქალი, რომლისთვისაც ყველა სიამოვნებით მღეროდა და ცეკვავდა.

15 ნოემბერს – დილით უთენია გავუდექით გზას იორდანიისაკენ. 12სთ-ზე უკვე დამასკოში ვიყავით. აქ შევიდა ლევან საღარაძე, რომელმაც გაშალა პატარა სუფრა და „ძრავალჟამიერზე" ატირდა. გასაცილებლად მოვიდა აგრეთვე გოჩა ჯაფარიძე.

საღამოს 5სთ-ზე უკვე იორდანიის საზღვარზე ვიყავით სათანადო საბუთების გაფორმების შემდეგ გაუდექით გზას ამანისაკენ. გზად გაგიარეთ უძველეს ქალაქ ჯერარში, რომელიც რომაელებს აუშენებიათ I-II საუკუნეებში. ასობით უზარმაზარი სვეტი, სვეტებს შორის მოფენილქნეული გზები და ტაძრები დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს, ღამით გგონია, რომ შენც იმ საუკუნეში ცხოვრობ და შენ თვალწინ ცოცხლდება ისტორია. ბ-ნი ვახტანგი, ცხადია, ყველაფერს გვიხსნიდა. დავბინავდით სასტუმრო „როიალში", რომელიც ქ.ამანის გარეუბანში მდებარეობს.



მომღერალი
ბორის სოროდია

მეორე დილით დავათვალიერეთ ქალაქიდან 30კმ-ზე დაშორებული წმ.მოსეს მთა და მონასტერი, მთელი იატაკი მოხატულია მოზაიკით, რომელიც დიდად შთამბეჭდავია. მონასტრის შუაში დამარხულია წმინდა მოსე. მონასტრის გალავნიდან მოჩანს მდინარე იორდანი, მკვდარი ზღვა და უფრო შორს — იერუსალიმი.

ნასადილევს დავათვალიერეთ ქ. ამანი. იგი გაშენებულია 7 მაღალ მთაზე და როგორც გიდმა გვითხრა, პაპაც სან-ფრანცისკოს. ეს ქალაქი კაცილებით ევროპულია, სუფთა და მოწესრიგებული, ვიდრე სირიის ქალაქები. ვნახეთ ახალი ქეჩეთი ვინმე ჩერქეზი მუსას მიერ 1961 წელს აგებული სომხების უბანში. მეჩეთი უბარძახრია. იგი აგებულია თეთრი და შავი ქვებისაგან და სტოვებს ლამაზ შთაბეჭდილებას. შიგნით არ შეგვიშვეს, ვინაიდან ლოცვა მიმდინარეობდა. ეჩეთიდან მოჩანს შეფე პუსეინის სასახლე. შემდეგ დავათვალიერეთ რომაული თეატრი 6000 მაყურებელზე, ეს არის უზარმაზარი ნაგებობა, რომელიც კარგადაა შემონახული. ვნახეთ ამანის ციტადელი (11 მ), რომელიც დანგრეულია, მაგრამ თავისი გრანდიოზულობით მაინც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. აქ შემონახულია პერაკლეს უზარმაზარი ძეგლიდან ხელის დეტალი, აგრეთვე, სამარხები და გამოქვაბულები. საღამოს კულტურის სასახლეში მოაწყვეს მიღება ჩვენს საპატივცემულოდ.

მეორე დილით წავედით მკვდარ ზღვაზე, რომელიც ამანიდან 60კმ-ზე მდებარეობს. მკვდარი ზღვა იმიტომ პქვია, რომ იგი დიდი რაოდენობით შეიცავს მარილს და მასში ვერანაირი თევზი ვერ ცოცხლობს. საინტერესოა, რომ ზღვაში ვერ ვახერხებდით ჩაძირვას. წყალი მძიმეა და მასზე ტივტივებ როგორც ნაფოტი. უფრო მეტიც, თუ წონასწორობას დაიჭერ, შეგიძლია ვერტიკალურ მდგომარეობაში იარო ისე, რომ მიწაზე ფეხი არ დაადგა.

აქვე ვნახეთ ტურისტები კემეროვოდან, რომლებიც შეგვპირდნენ, რომ საღამოს კონცერტზე მოვიდოდნენ. ოპერატორმა ნოდარ ფალიაშვილმა გადაგვიღო სამახსოვრო სურათები და კინოკადრები. განსაკუთრებით სასაცილო იყო აქლემზე მჯდომი ჰამლეტ გონაშვილი. იქვე ტანზე წავისხეთ სამკურნალო შავი ტალახი და ზანგებს დაეემსგავსეთ. ჩვენი ‘‘ზანგები‘‘ და განსაკუთრებით კემეროვოელი რუსის ქალები შავად შეღებილნი ძალიან სასაცილონი იყვნენ.

საღამოთი გაიმართა კონცერტი კულტურის სასახლეში. როგორც იქნა ვეღირსეთ ნორმალურ სცენას. კონცერტს დაესწრო იორდანიის კულტურის მინისტრი და სსრ კავშირის ელჩი.

18 ნოემბერს – დილით ქალაქში გავისეირნეთ. საღამოთი იქვე გვქონდა კონცერტი, რომელსაც კიდევ უფრო მეტი წარმატება ხვდა წილად. დღეს ჩვენთან არ იყვნენ ბატონი ვახტანგი, ნოდარი და გურამ ჩიქოვანი, რომლებიც პეტრას სანახავად წავიდნენ. როგორც საღამოს გვითხრეს პეტრამ — I-II საუკუნეში რომაელების



ტალახით განაპირნებული ოთხეული (ანზორ ერქომაიშვილი, ალექსანდრე კიკნაძე, გელა ქაველაშვილი, ჯამლეტ ბონაშვილი) კლუს ძათძათა კაკუნა აოსოშვილი

მიერ კლდეში გამოკვეთილმა ქალაქმა — მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საღამოს ტელევიზიამ გადასცა ფრაგმენტები ჩვენი 18 ნოემბრის კონცერტიდან.

მეორე დღეს დაღლილები, მაგრამ შთაბეჭდილებებით აღსავსენი სამშობლოში გამოვემგზავრეთ.

1980 წლის პირველ იანვარს ბატონმა ვახტანგ ბერიძემ ასეთი მისალოცი წერილი გამოგვიგზავნა:

„ძვირფასო ანზორ, ამ დღეებში ბევრს ვფიქრობდი თქვენზე, თქვენს შეგობრებზე, ჩვენს მოგზაურობაზე, ერთად გატარებულ დღეებზე. გულით ყველას გილოცავთ ამ ახალ წელს...

გილოცავთ თქვენ და მთელ „რუსთავს" გისურვებთ ბედნიერებას, კლავ დიდ წარმატებასა და სიხარულს თქვენს შვენიერ შემოქმედებასა და საერთოდ მოღვაწეობაში.

მომენატრეთ ყველანი!"

თქვენი ვახტანგ ბერიძე.

1979 წელი

ბეირუთში რა გვინდოდა

(ლიბანი)

1985 წლის სექტემბრის ბოლოს მოსკოვში საკავშირო კულტურის სამინისტროში გამომიძახეს. განყოფილების გამგემ ძალიან თბილად მიმიღო, მოიკითხა ანსამბლი „რუსთაველი“ და მითხრა: „ჩვენ ვამაყობთ თქვენი ანსამბლით, იგი უცხოეთში მაღალ დონეზე წარმოაჩენს ქართულ საბჭოთა ხელოვნებას, „რუსთაველი“ ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო შემოქმედებით, არამედ დისციპლინითაც, ჩვენ შიში არა გვაქვს, რომ თქვენი რომელიმე წევრი უცხოეთში დარჩება. ამიტომაც გიჭერთ მხარს ყოველთვის უცხოეთში საგასტროლოდ და შემდეგშიაც დაგიჭერთ.

ახლა საქმეზე გადავიდეთ, ოქტომბერში სრულდება ლიბანის კომპარტიის 60 წლისთავი. ჩვენ გვინდა, რომ ეს თარიღი მაღალ დონეზე აღინიშნოს. მოგეხსენებათ, იქ რამდენიმე წელია სამოქალაქო ომი მძვინვარებს. იქაური კომუნისტები თავგამოდებით იბრძვიან, ჩვენ მათ მხარი უნდა დავუჭიროთ. იქ დაგეგმილია რამდენიმე ღონისძიება, მათ შორის კულტურული პროგრამაც, გადავწყვიტეთ, თუ თქვენი თანხმობა იქნება, ლიბანში „რუსთაველი“ მივავლინოთ ერთი კვირით. არაფრის შეგეშინდეთ, უკვე მიღებულია თქვენი უსაფრთხოების ზომები მაღალ დონეზე, თქვენ იქაური კომუნისტები დაგიცავენ. წუთიერი პაუზა ჩამოვარდა, მე გონებაში ვაანალიზებდი შექმნილ სიტუაციას და ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი. თუ თქვენ ვერ ახერხებთ ან არ გსურთ იქ წასვლა, თქვენი ნებაა, ჩვენ სხვა კოლექტივს გაგზავნით, ჩვენ გვინდოდა, თქვენ წასულიყავით ბეირუთში, როგორც გამოცდილი მაღალი დონის ანსამბლი და თქვენი ცეცხლოვანი ცეკვებით აგემაღლებინათ იქაური კომუნისტების საბრძოლო სული“.

მე უცბად გავაანალიზე ყველაფერი, არჩევანი არ მქონდა, უარი რომ მეთქვა; ანსამბლი ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

გადაწყდა. რუსთავი გაემგზავრებოდა ლიბანში. დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ქალბატონი რუსუდან ანდრონიკაშვილი.

24 ოქტომბერს ჩვენმა ლაინერმა „ტუ-154“ მოსკოვიდან გეზი ბეირუთისკენ აიღო, სადაც 3საათსა და 20 წუთში ჩავფრინდით. მზიანი დღეა, ტემპერატურა 25 გრადუსია. ბეირუთს ულამაზესი მდებარეობა აქვს, ქალაქი მთების კალთებზეა გაშენებული, რომელიც ზღვაში ეშვება. მაღალსართულიანი სახლები მთების კალთებზე ამოსულს ჰგავს. აეროპორტი ზედ ზღვის ნაპირზეა აშენებული, თვითმფრინავი პირდაპირ ზღვიდან შედის დასაჯდომ ბილიკზე, გეგონებათ იგი ზღვაში ჯდებაო.

ვიზები ბეირუთის აეროპორტში მოგვცეს.

ვინაიდან ლიბანში საბრძოლო მდგომარეობაა გამოცხადებული, აეროპორტში შეიარაღებული რაზმები დაგვხვდა. ესენი იყვნენ ლიბანელი კომუნისტები.

აეროპორტში დაგვხვდა აგრეთვე ლიბანში საბჭოთა საელჩოს მდივანი კულტურის დარგში სერგეი ბიხალი. იგი თურმე აქ მუშაობს რამდენიმე წელია. სხვათა

შორის, 1982 წელს, როცა ცხარე ბრძოლები გაიმართა იზრაელის არმიასთან, სერგეი და კინომექანიკოსი საბჭოთა საელჩოში „ბრესტის ციხესა“ და სხვა გმირულ საბჭოთა ფილმებს აჩვენებდნენ. ამ ორი კაცის გარდა საბჭოთა და ყველა სხვა საელჩოების თანამშრომლები ევაკუირებული იქნენ სამშობლოში.

სერგეისთან ერთად აეროპორტში დაგვხვდნენ ლიბანის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი მაჰმუდ აბუ შაქრა და კომპარტიის სხვა წევრები, რომლებმაც განათლება მოსკოვში მიიღეს და მშვენიერად ლაპარაკობენ რუსულად.

აეროპორტიდან სასტუმროში წაგვიყვანეს, რომელიც ქალაქის მუსლიმურ ნაწილში მდებარეობს. გზაში აუარებელი მანქანა ირევა, ისინი ევროპული, ან იაპონური მარკისაა, ქუჩაში ყურისწამღები ხმაურია, სიგნალები ნებადართულია და არ არის არავითარი ამკრძალავი ნიშანი, არ დგანან პოლიციელები, რომც იდგნენ. მაინც არავინ დაემორჩილება, ვისაც როგორ სურს, ისე დააქროლებს მანქანას.

აეროპორტიდან სასტუმრომდე ბევრი დანგრეული შენობა და ხიდი ენახეთ, ენახეთ ულამაზესი სტადიონი, რომელიც თვითმფრინავებს დაებომბათ.

ასეთი რამ მხოლოდ კინოებში გვენახა, ამჟამად ნახულმა და განცდილმა ჩვენზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. რას ერჩიან ადამიანები ერთმანეთს, რატომ დაანგრიეს ეს მშვენიერი ქვეყანა? - ვფიქრობდით და პასუხს ვერ ვპოულობდით.

სასტუმროსთან რომ მივედით, მაშინ მივხვდით, რომ ჩვენს დასაცავად დიდი რაზმი გამოეძახებინათ. სასტუმრო გარშემორტყმული იყო როგორც ჯარისკაცებით, ასევე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდებით, მათ დაუფარავად ჰქონდათ იარაღი ქამარში გაჩრილი. შენობის სახურავზე სნაიპერები ისხდნენ და ინტერესით ათვალიერებდნენ ჩვენს გოგონებს.

სასტუმროში მოგვათავსეს და გარეთ გასელა კატეგორიულად აგვიკრძალეს. იქ ერთი კურიოზი მოხდა, როცა ბარგი დავაბინავე, ფოიეში გამოვედი, რომ გამეგო, ვინ რომელ ოთახში ცხოვრობდა, გამოვედი და რას ვხედავ, ათამდე შეიარაღებული ახალგაზრდა დგას შეშფოთებული და ავტომატური იარაღი რაღაცისთვის მიუშვერიათ. მე თვალი გავაყოლე ავტომატის ლულებს და რას ვხედავ. რომელიღაც მოცეკვავეს ერთ-ერთი ჩვენი გოგონას კარის სახელურზე კარგა მოზრდილი კაბური ჩურჩხელა ჩამოუკიდია. მივხვდი, რომ ლიბანელებმა იგი ფეთქებად საგნად მიიჩნიეს და გამნაღმავი რაზმიც გამოიძახეს. მე ხელისაწევით მანიშნეს, ახლოს არ მიხვიდეო. ამ დროს გამოძახებული რაზმიც მოვიდა და საქმეს შეუდგა. მე ხუმრობის ხასიათზე დავდექი, უცებ მიეედი კართან, ჩურჩხელა ჩამოვწყვიტე და მადიანად ჩაკბიჩე. უკან რომ მოვიხედე, ყველა იატაკზე იყო გართხმული და როცა არაფერი აფეთქდა, შეშინებულებმა შემომხედეს, შემდეგ სულყველას ერთად სიცილი აუტყდა, მე ჩურჩხელა სხვებსაც გავასინჯე და ვუთხარი: ჩვენ ასეთი ბომბები გვაქვს მეთქი.

სასადილოდ იქვე სასტუმროს რესტორანში მიგვიყვანეს. იქაც დაცვა გვადგა თავზე.

რესტორნიდან წაველით თეატრის დასათვალიერებლად, სადაც ხვალ ჩვენი პირველი კონცერტი უნდა გაიმართოს. თეატრში კარგად შეგვხვდნენ, რეჟისორმა ბრძანა, ხვალისთვის ახალი იატაკი დაეგოთ სცენაზე, რადგან იგი არ მოგვეწონა.

ჩვენ კონცერტებზე ყველა ბილეთი ჯერ კიდევ 1 ოქტომბრიდან ყოფილა გაყიდული, ეს თვითმფრინავში გავიგეთ, სადაც ჩვენთან ერთად დაჭრილი ახალგაზრდა პარტიზანები მგზავრობდნენ, მათ მოსკოვში ჩაუტარდათ მკურნალობა. საშინელი სანახაო იყო უხელო, უფეხო, უთვალო და კიდევ სხვანაირად დასახიჩრებული ახალგაზრდები, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებოდნენ მკურნალობის შემდეგ.



ლიბანი. კონცერტის შემდეგ, შუაში მალიდ ჯუმბულათი 1985 წ.

თეატრიდან მთავარ ქუჩაზე გაგვატარეს, დაცვა, რასაკვირველია, თან მოგვყვებოდა. ამ ქუჩაზე სიცოცხლე დუღს, მაგრამ როგორც კი დაღამდება, (ღამდება 5 სთ-ზე, თბილისის დროით 7სთ.) ქუჩაში კაციშვილს ეეღარ ნახავთ. ჩვენ ერთ ბარში დაგეპატიჟეს. ლუდი მოითხოვეს, თან შემწვარი თხილი და სტაფილო ძოაყოლეს.

გაიძართა გულითადი საუბარი, ჩვენი ერთ-ერთი მცველი თურმე 10 წელი გენერალურ მდივანს იცავდა. მან გვითხრა, რომ თქვენი გულისთვის მთელი ქუჩებია შეკრული და, სადაც უნდა გაიაროთ სახლის სახურავებზეც კი მსროლელები დგანანო. უკვე დაღამდა, შორიდან ისმოდა ტყვიამფრქვევის კაკანი, ჩვენ სასტუმროში წამოგვიყვანეს და ანსამბლის წევრებს სასტიკად აუკრძალეს გარეთ გასვლა, ისინი სროლის გაგონებაზე ისედაც დამფრთხალნი იყვნენ.

ჩვენს მანქანას, რომელიც დიდი სიჩქარით მიდიოდა, წინ ორი ახალგაზრდა გადაუდგა, ჩვენს მცველს რაღაც ცუდად ენიშნა და თვალის დახამხამებაში, იარაღი იშიშვლა, ოდნავ საეჭვო მოძრაობა და ადგილებზევე გაათავებდა ორივეს.

25 ოქტომბერი

დილის 10 საათზე წაგვიყვანეს თეატრში რეპეტიციაზე. როგორც კი ქუჩაში გამოვიდა ანსამბლი და ავტობუსში სხდებოდნენ, ირგვლივ ატყდა ტაშისცემა და ყიჟინა. სალდათები გვესალმებოდნენ, რომლებსაც მთელი ღამის განმავლობაში შეკრული ჰქონდათ ჩვენს სასტუმროსთან ყველა მისასვლელი. გვესალმებოდნენ ახლოს მდგარი სახლების სახურავებიდანაც, სადაც თურმე სნაიპერები დაუსვამთ ყოველი შემთხვევისთვის.

მთელი გზა, რომელიც თეატრამდე გავიარეთ, შეიარაღებული ლიბანელებით იყო საცვ, ეტყობა კომპარტიის ლიდერებს ყველა ზომები მიუღიათ ჩვენი უსაფრთხოებისთვის.

რეპეტიცია დიდხანს გაგრძელდა. საღამოს, კონცერტზე მოვიდნენ ლიბანის კომპარტიის გენერალური მდივანი ჟორჟ პაუე მეულლით, პოლიტბიუროს წევრები და აგრეთვე სხვა პარტიების ლიდერები და წარმომადგენლები. კონცერტის წინ მოხდა ერთი უსიამოვნო ფაქტი. სინათლეების დაყენების დროს, სცენაზე დაუშვეს ყველა ლითონის ძელი, რომელზედაც ნათურები იყო დამაგრებული, შემდეგ იგი ველარ ასწიეს. აღმოჩნდა, რომ სცენის მეშანქანე, რომელმაც იცოდა ამწეს საიდუმლოება, ცხოურობდა აღმოსავლეთ ბეირუთში, ამიტომ მისი ღამით გადმოყვანა თეატრში წარმოუდგენელი იყო, რის გამოც თეატრის დირექცია იძულებული გახდა ჩაეხსნა განათების ყველა ძელი. კონცერტის დაწყება ამის გამო მთელი საათით დაგვიანდა. მაგრამ მაყურებელი მიჩვეულია მრავალსაინი ფათერაკებს და ყოველგვარ მხატერულ წარმოდგენებს მოწყურებული მოთმინებით ელოდებოდა კონცერტის დაწყებას. კონცერტი გაიმართა ფცერადი განათების გარეშე.

ყველა ნომერი ტაშის ქვეშ მიდიოდა, წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კონცერტის შემდეგ კომპარტიის გენერალურმა მდივანმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა აღნიშნეს, რომ ასეთი წარმოდგენა ბეირუთს აგერ 10 წელია არ უნახავსო და დიდი მადლობა გადაგვიხადეს. კონცერტი გადაიღო ბეირუთის ტელევიზიამ.

26 ოქტომბერი

დილით სროლის ხმამ გაგვაღვიძა. ჩვენს სასტუმროსთან სულ ახლოს. კაკანებდა ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ჯერი. უფრო მოშორებით გაისმა რამდენიმე ყუმბარის აფეთქების ხმა. ჩვენს მასპინძლებს ეს სროლა არაფრად ჩაუგდიათ, ეს ბეირუთში ჩვეულებრივი ამბავიაო გვითხრეს, იმ ღამით ვიღაცებს აუფეთქებიათ ყველაზე საუკეთესო ლუდხანა, რომელიც ვიღაც მდიდარ სომეხს ეკუთვნოდა.

საუზმეზე ჩვენთან მოვიდა კომპარტიის გენერალური მდივანი, მან კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაუხადა კოლექტივს გუშინდელი კონცერტისათვის და გვაჩვენა გაზეთები, სადაც ხოტბას ასხამდნენ ჩვენი ანსამბლის ხელოვნებას.

საუზმის შემდეგ სერგეი ბიხალმა შემოგვთავაზა ქალაქში გასეირნება. გავყევით მე და ფრიდონ სულაბერიძე. ჩვენ დავათვალიერეთ ბეირუთის ღირსშესანიშნაობანი, მიუხედავად თავისი არაჩვეულებრივად ლამაზი მდებარეობისა, ბეირუთში ყველგან იგრძნობა სამხედრო მდგომარეობა. ყველგან დგანან პატრულები, ტანკები, ქვემეხები, ქვიშით საესე ტომრები, ათასნაირი წინაღობები და მაგთულხლართები. გაჩერებენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე და გთხოვენ საბუთებს.

ჩვენ გავიარეთ სანაპიროზე და წავედით აღმოსავლეთ ბეირუთის მიმართულებით. ეს სანაპირო თურმე ერთ დროს ულამაზესი იყო. რამდენიმე საყარაულოს მშვიდობიანად გაელის შემდეგ აღმოვჩნდით ეგრეთწოდებულ მკვდარ კვარტალში, სადაც ამჟამად გადის ფრონტის ხაზი. ეს უბანი ერთ დროს წარმოადგენდა უმდიდრეს ცენტრს, აქ მოთავსებული იყო ბეირუთის ყველა დიდი სასტუმრო და ბანკი (ბეირუთის მთავარი შემოსაყალი არის ვაჭრობა და ბანკები). ეს იყო ქალაქის ულამაზესი უბანი, ამჟამად იქ მხოლოდ ნანგრევებია, მართალია შენობები ჯერ კიდევ დგას, მაგრამ იმდენად დასახიჩრებული, რომ მის აღდგენას სჯობია ახალი ააშენონ, ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობენ ლიბანელები. საშინელი სანახავია ყოველივე ეს, შემაძრწუნებელია, როცა რამდენიმე ათეული სართულიანი შენობები დგანან როგორც უსიცოცხლო ჩონჩხები და არსად ადამიანის ჭაჭანება არ არის, იმ საბედისწერო 1975-76 წლებამდე აქ სიცოცხლე დუღდა.



ლიბანი. სტუმრად ვალიდ ჯუმბულათის ოჯახში. ცენტრში ჯუმბულათის მეუღლე ჭანი სოფა

დავათვალიერეთ ამერიკის საელჩოს უზარმაზარი შენობა, რომელიც მუცელგამოფატრული დგას. აქ თურმე შარშან აპრილში, დიდი საბარგო მანქანით მოსული ორი უცნობი, რომლებმაც მაღალი სიჩქარით შეანგრიეს შლაგბაუმი, დაეჯახნენ საელჩოს შენობას და საშინელი ძალის ბომბებით ააფეთქეს საელჩო, აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ახლომახლო მდგარი მანქანებიც კი ხლეჩაში გადაყარა ტერაქტმა შეიწირა 400-მდე საელჩოს თანამშრომელი. ასეთივე აფეთქება განმეორდა ამ ერთი თვის წინათ. ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად აღმოსავლეთ ბეირუთში მდებარეობს, შეიჭრა ავტომანქანა და ააფეთქა შენობა, ამჯერად დაშავდა და დაიხოცა 100-მდე კაცი.

ქალაქში მძვინვარებს ყაჩაღობა, ოფიციალური მონაცემებით ბეირუთში ცხოვრობს 1 მილიონამდე კაცი, (ბოლო აღწერა მოხდა 1933 წელს), აქედან თითქმის ყველა შეიარაღებულია. ხშირად აჩერებენ ძვირფას მანქანებს და მძღოლებს ძულებენ მანქანიდან ჩამოიდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილზე კლავენ. ასე შეიწირეს ერთ-ერთი კონსულიც, რომელმაც არ დაუთმო მანქანა, იგი თავისი ახალი შეუროლეთი, მეუღლესთან ერთად სანაპიროზე სეირნობდა.

ყოველიეე ამის შემდეგ ჩვენ, რასაკვირველია, აგვიკრძალეს ქალაქში სიარული და მხოლოდ სასტუმროდან კონცერტებზე დაეეადით ავტობუსით, რომელსაც წინ და უკან რამდენიმე შეიარაღებული მანქანა მიაცილებდა.

დღევანდელმა კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. „ბისებს“ ბოლო აღარ უჩანდა. კონცერტს დაესწრნენ ჩვენი დიპლომატები, ანდრეი პოპოვი და საშა ბოკო შეუღლეებით, რომლებიც ჩვენი ტელეეიზიის წარმომადგენლები არიან. მათ გადაიღეს კონცერტი და მიიღეს საჭირო ინფორმაცია.

კონცერტის შემდეგ ანდრეიმ ოჯახში წამიყვანა, სადაც დაგვხვდნენ სხეა დიპლომატებიც. იქ გეიამბეს, თუ რა საშინელება გადახდათ 1982 წლის სამოქალაქო ომისა და ისრაელის თავდასხმის გამო, ისინი თურმე რამდენიმე დღის განმავლობაში სარდაფებში იმალებოდნენ, მომასმენინეს მაგნიტოფონრზე ჩაწერილი სროლის ხმები.

ასეთი რამ მარტო კინოში თუ მინახავს. გვიან ღამით ანდრეიმ და საშამ თავიანთი მანქანით სასტუმროში მიმაცილეს, დაცვამ გვიცნო და ღიმილით გაგვატარა.

27 ოქტომბერი

დღეს გაზეთში გუშინდელ კონცერტზე კარგი რეცენზიებია. დილით მომაკითხა ანდრეი პოპოვმა და ქალაქში წამიყვანა. მანქანით გავყევით სანაპიროს, გავიარეთ „ჩვენი" (დასავლეთ ბეირუთის) ტერიტორია. შემდეგ შევედით „მკვდარ ქალაქში".

საშინელებაა, ყველა სახლი დანგრეულია, აქ ყველგან სიჩუმეა და ამ სიჩუმეში სიკვდილი ბუდობს. ანდრეის დიპლომატის ყველანაირი საბუთები აქვს თან, მე — არა. იმ იმედით, რომ დიპლომატის მანქანას არ გააჩერებენ. ჩვენ გავედით ნეიტრალურ ზონაში, ეს გახლავთ ერთი ფართო ქუჩა. მოსახვევს იქით უკვე აღმოსავლეთ ბეირუთია. ქუჩის ერთ მხარეს დგანან შეიარაღებული მუსლიმი სალდათები, მეორე მხარეს კი — ქრისტიანები. ქუჩებში დგანან ტანკები, ტანკებზე ტყვიამფრქვევებია. ქუჩის ორიეე მხარეს მთელ სიგრძეზე ქვიშის ტომრებია. მათ უკან სამიზნეებია, სადაც სალდათები მზადყოფნაში არიან და მხოლოდ ბრძანებათ. ელოდებიან. დანგრეული სახლების ყველა სართულზე ტყვიამფრქვევები დაუდგამს ყველა სახლი და გასასვლელი დანაღმულია, სახლების სახურავები „სნაიპერებს" დაუკავებიათ. ასე გამოიყურება სამოქალაქო ომის ფრონტი, სადაც ერთმანეთს ერთი ქვეყნის ორი სარწმუნოების წარმომადგენლები ებრძვიან.

ჩვენ წუალებით გაგვატარეს დასავლეთ ბეირუთში. ათიოდე კილომეტრის იქით უკვე ომის ნიშანწყალი აღარ ეტყობა, ეს არის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი გაშლილი ზღვის ნაპირას და მთებზე. გავედით ქალაქის ბოლოში, თითოეული შენობა შერწყმულია ლანდშაფტთან. აქ არც ერთი სახლი ერთმანეთს არ ჰგავს. მთაზე აშენებულია უზარმაზარი ტაძარი, აქვე ახლოს არის „ნოტერდამი"

ქალაქის ბოლოში ულამაზესი ყურეა, რომელიც ბიჭვინთას მოგაგონებს. ყურის თავზე მთელს აღმოსავლეთ აზიაში განთქმული კაზინო დგას. მოკლედ, ქალაქმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

უკან დაბრუნების დრო „დასავლეთელებმა", რომელთაც რამდენიმე პოსტი აქვთ (თითოეული მათგანი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს ეკუთვნის). ჩვენი მანქანა შედარებით თავისუფლად გაატარეს. გავიარეთ „ნეიტრალური ზონა" და მანქანა შევაჩერეთ აღმოსავლეთის პირველივე პოსტთან. შემდეგ ფეხით უკან დაებრუნდით იმ მიზნით, რომ ფოტოსურათი გადაეღო ფრონტისა და დანგრეული სახლების ფონზე. როგორც კი ფოტოაპარატი მოვიმარჯვე, ჩვენკენ გამოიქცა პოსტიდან ორი სალდათი, რომლებმაც ყვირილითა და ავტომატის შუქრით გვაიძულეს ხელი აგვეღო ფოტოგადაღებაზე. ანდრეი წაიყვანეს შტაბში, ჩემთან დარჩა მეორე მეავტომატე, რომელმაც მიბრძანა, ხელები უკან წამეღო, იგი ჩემკენ ავტომატმომარჯვებული იდგა. ასე გავიდა დაახლოებით 10 წუთი. ამ დროს ფრონტზე დაიწყო სროლა, სალდათმა მიბრძანა, მიწაზე დავწოლილიყავი სახით ქვემოთ. იქვე გათხრილ სანგართან დავწექი. ზურგში ავტომატის ცივი ლულა ვიგრძენი, სალდათს მე ალბათ ჯაშუში ეეგონე. ამიტომ გამორიცხული არ იყო. ამ ორმხრივი სროლის ფონზე გამოეკრა სასხლეტისთვის ხელი და იქვე გათხრილ სანგარში ჩავეგდე, ვინ მოსთხოვდა პასუხს. ამასვე ფიქრობდა თურმე ანდრეი და ცდილობდა სასწრაფოდ დაკავშირებოდა ჩვენს საელჩოს, რომელიც ყველაფერს გაარკვევდა და გაგვათავისუფლებდნენ, დრო გადიოდა, ორმხრივი სროლა არ წყდებოდა, შემდეგ სროლა მიწყნარდა და ვხედავ, მორბის ანდრეი ორი სალდათის თანხლებით, ხელში ქაღალდი უჭირავს. ანდრეის ადამიანის ფერი არ ედო. როცა ცოცხალი დამინახა,

იქვე ჩაჯდა, სალდათები მოვიდნენ და ფეხზე წამომაყენეს, ჩემს „მცველს“ ქაღალდი აჩვენეს, მანაც გაგვიშვა, მაგრამ ფოტოაპარატი ჩამოგვართვა.

2 საათზე კონცერტი გავმართეთ საბჭოთა კულტურის სასახლეში ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის. საღამოს კონცერტი გაიმართა თეატრში, ხალხით გაჭედილ დარბაზში „ბრავოს“ ბოლო არ უჩანდა. ფინალი ოთხჯერ გავიმეორეთ.

28 ოქტომბერი

ღამით რამდენჯერმე გაგვაღვიძა ავტომატის კაკანმა. ბრძოლები ჩვენგან არცთუ ისე მოშორებით ყოფილა.

დილით წაგვიყვანეს მთაში, ერთ-ერთ რაიონ ბეთდინში, სადაც ჩვენი კონცერტი იყო დანიშნული. კონცერტი ღია ცის ქვეშ გაიმართა. ჩვენთვის სპეციალურად აეშენებინათ ესტრადა. კონცერტს 5000 კაცი დაესწრო, მათ შორის იყვნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. კონცერტზე მოვიდა ლიბანში ახლა დიდად პოპულარული პოლიტიკოსი, ყველაზე პატრიოტული სოციალისტური პარტიის ლიდერი ვალიდ ჯუმბულათი. კონცერტის შემდეგ იგი ამოვიდა სცენაზე და ხალხის ყურისწამღებ ოვაციაში ანსამბლთან ერთად სურათები გადაიღო. სასტუმროში ღამე დავბრუნდით. გზაში ჩვენს ავტობუსს უკან და წინ ორ-ორი შეიარაღებული მანქანა მოაცილებდა. ჩვენს ავტობუსშიც ავტომატიანი მცველები იდგნენ. მანქანის კარები ღია იყო და ავტომატი მიშვერილი ჰქონდათ გარეთ. ასე ვიარეთ მთელი გზა. ღამე ზარბაზნების სროლის ხმამ გაგვაღვიძა. რამდენჯერმე შეზანზარდა ჩვენი სასტუმრო. ჩვენ თავშესაფარში ჩაგვიყვანეს. სროლამ დილამდე გასტანა.

29 ოქტომბერი

დილით გაგვიყვანეს ბაზარში სუვენირების საყიდლად. აქაც შეიარაღებული მცველები გვახლდნენ. გამყიდველებს დახლზე ქვიშით სავსე ტომრები ეწყოთ, უკან — საქონელი. ყველა მათგანს ხელში იარაღი ეჭირა. 4 საათზე კონცერტი გაიმართა საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებისათვის საბჭოთა კულტურის ცენტრში. კონცერტს დაესწრო სსრ კავშირის ელჩი ლიბანში ალექსანდრე სოლდატოვი.

7 საათზე მეორე კონცერტი გაიმართა, ამჯერად სოციალისტური ქვეყნების საელჩოთა თანამშრომლებისა და ლიბანის კომპარტიის ლიდერთა ოჯახებისათვის. შესვენებაზე არსად გაგვიშვეს, ვინაიდან საკონცერტო დარბაზის ახლოს სროლა ატყდა. კონცერტის შემდეგ ის-ის იყო ანსამბლი ავტობუსში მოთავსდა, რომ ისევ ატყდა ორმხრივი სროლა, იმდენად ახლოს, რომ დაცვა სიბნელის გამო ვერაფერს ხედავდა და რამდენიმე მათგანი წინა რიგებში მჯდომ ანსამბლის წევრებს გადაეფარა, სროლა მალე შეწყდა. სასტუმროში მშვიდობიანად მიეყდით, მაგრამ მერე ხროლა ისევ განახლდა და თითქმის მთელი ღამე არ შეწყვეტილა. ისროდნენ როგორც ზარბაზნებიდან, ასევე ავტომატებიდანაც.

30 ოქტომბერი

დილით რუსუდან ანდრონიკაშვილი და მე წაგვიყვანა „ლიტერატურნაია გაზეტას“ კორესპონდენტმა კონსტანტინე კაპიტონოვმა, იმ მიზნით, რომ მოსკოვს დაგვაკავშირებდა ტელეფონით. მოსკოვთან დაკავშირება არ მოხერხდა.

1 სთ-ზე სასტუმროში დავბრუნდით და 1 საათსა და 30 წუთზე გავემგზავრეთ მთიან რაიონ ბტეხნაიში.



ლიბანი. კონცერტის შემდგომ (ცენტრში ვალიდ ჯუმბულათი) 1985 წ

ბტეხნაში წაგვიყვანეს მსუბუქი მანქანებით, წინ და უკან ავტოკოლონას შეიარაღებული დაცვა მიჰყვებოდა. გარდა ამისა, თითოეულ მანქანაში ერთი შეიარაღებული მცველი იჯდა. გზა ვიწრო და ძალიან მიხვეულ-მოხვეულია. 2სთ-ის მგზავრობის შემდეგ მივედით ბტეხნაში.

იქიდან აგვიყვანეს მთაზე (მანქანებს ასვლა გაუჭირდათ) რესტორანში და გაგვიმართეს მშვენიერი სადილი. ბტეხნაის რაიონი ძალიანაა დანგრეული. თითქმის სახლი არაა, რომელსაც ტყვია მაინც არ მოხვედროდეს.

კონცერტი დაიწყო 9სთ-ზე, ვინაიდან 8სთ-ზე კონცერტის წინ ვიღაცებმა სინათლე გაამორთეს. დაცვამ გააძლიერა ყურადღება და კონცერტის განმავლობაში მთელი დარბაზი ალყაშემორტყმული იყო.

კონცერტს 3000-მდე კაცი დაესწრო და დიდი წარმატებით ჩატარდა. კონცერტის შემდეგ უკან სხვა გზით დაგვაბრუნეს, რადგან იმ გზაზე, თურმე, საიდანაც ავედით ბტეხნაში დიდი სროლა ყოფილა. ეს დაგეიმოწმა საბარგო მანქანის მძღოლმა, რომელსაც ჩვენი კოსტიუმები მიჰქონდა. იგი, თურმე, ძლივს გადაურჩა ავტომატის ტყვიებს.

31 ოქტომბერი

დილით 10 საათზე მიგვიღო სსრ კავშირის ელჩმა ალექსანდრე სოლდატოვმა. მიღებაზე იყვნენ რუსულად ანდრონიკაშვილი, მე, საბჭოთა კულტურის ატაშე ლიბანში, საელჩოს I მდივანი სერგეი ბიხალი, ელჩის მეუღლე და რეფერენტი.

სოლდატოვმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენს გამოსვლებს ლიბანში, როგორც პოლიტიკური, ასევე მხატვრული თვალსაზრისით. შეაქო ანსამბლის მთელი შემადგენლობა და თქვა, რომ 10 წლის მანძილზე, რაც თვითონ მუშაობს ელჩად ლიბანში, პირველი საბჭოთა კოლექტივია „რუსთაველი", რომელიც გასტროლებით ჩამოვიდა, თანაც ასეთი პოლიტიკური დაძაბულობის ვითარებაში, ლიბანის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე.



ლიბანი. 1986 წ

სოლდატოვმა გამოთქვა სურვილი, რომ თუ ლიბანში სიმშვიდე დამკვიდრდება, დასვამს საკითხს, რომ კიდევ ერთხელ მიგვიწვიონ საკონცერტოდ.

შემდეგ ელჩი და მისი მეუღლე ქართული „წინანდალით“ გაგვიმასპინძლდნენ და გულთბილად დაგვემშვიდობნენ.

სადილზე ჩვენთან მოვიდა ლიბანის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი მაჰმუდ აბუ შაქრა.

მან ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და უდიდესი მადლობა გადაგვიხადა ასეთი თავდადებული გამოსვლებისათვის, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს ლიბანის კომპარტიას შემდგომ მუშაობაში და ლიბანელ ხალხთან ურთიერთობაში.

2 სთ-ზე გავემგზავრეთ აეროპორტში, სადაც ისევ გაგვაცილა ჩვენმა დაცვამ და საელჩოს მუშაკებმა. ლიბანელი მეგობრები ცრემლმორეული გვემშვიდობებოდნენ.

ჩვენი თვითმფრინავი გაფრინდა კუნძულ კვიპროსზე. იქ ქ. ლარნაკაში რამდენიმე საათი დავყავით და შემდეგ კურსი მოსკოვისაკენ ავიღეთ.

ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს კულტურის სამინისტრომ მოსკოვიდან ისეთი წერილი მიიღო, რომ „რუსთაველის“ წევრები ლამის ეროვნულ გმირებად შეგვაცხეს.

მეორედ ლიბანში ორი წლის შემდეგ მოვხვდით, ბეირუთიდან მოგვიწია ვალიდ ჯუმბულათმა.

1985 წელს იქ სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, და აეროპორტში შეიარაღებული მცველთა რაზმები დაგვხვდა, ამჟამად აქ სიმშვიდეა, ჩვეულებრივად გამოვედით აეროპორტიდან ყოველგვარი დაცვის გარეშე.

როგორც აგვიხსნეს, ბეირუთში სირიის ჯარები დგას (მხედველობაში მაქვს დასავლეთ ბეირუთი). მათ უკვე დაამყარეს წესრიგი, ისინი ოფიციალურად მოიწვია ლიბანის მთავრობამ. სირიელებმა პირველივე დღეს აკრძალეს ქუჩაში იარაღით გამოსვლა, ვინც არ დაემორჩილა რამდენიმე კაცი ადგილზევე დახვრიტეს. ამის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა, მართალია, საშიშროება მაინცაა, მაგრამ ხალხი ქუჩაში თავისუფლად დადის.

ქვეყნის ეკონომიკა განადგურებულია, ხუმრობა ხომ არაა, 1977 წლიდან სამოქალაქო ომი მძვინვარებს. ეს ულამაზესი ქალაქი სტალინგრადს დაემსგავსა.

ფასებმა საოცრად აიწია. ფულის სრული ინფლაციაა. ამიტომ თურმე ხშირია გამოსვლები და გაფიცვები.

ბეირუთში არც შეგვიყვანეს, ისე გაგვგზავნეს მთაში, შუფის რაიონში. გზა სულ აღმართში მიიკლაკნება, ირგვლივ ყველაფერი ლამაზია. გზაზე გვხვდება პალმები, ბანანები, ციტრუსები, ბუშმალა, ლეღვი, ყურძენი, მსხალი, ეაშლი, საზამთრო, ნესვი, კაკალი, ყურძენი (უზარმაზარი მტევნებია), აქაური ხილი ძალიან გემრიელია. ქალაქ ბეირუთიდან შუფი მოცილებულია 40 კმ-ით. აქაურობას განაგებს სპორტის განათლებისა და ტურიზმის მინისტრი ეალიდ ჯუმბულათი. იგი მთელ ლიბანში ძალიან ავტორიტეტული და პოპულარული კაცია. მას ერთხელ უკვე შევხვდით ამ ქალაქში 1985 წელს გამართულ კონცერტზე. მაშინ მან ჩვენთან ერთად სურათი გადაიღო და ამჯერადაც მოგვიწვია.

მიგვიღეს არაჩვეულებრივად თბილად. მოგვათავსეს შაპის სასახლეში, რომელიც 1803 წელს აუშენებიათ. ეს არის მთაზე მდგარი უზარმაზარი სასახლე. მის შესასვლელთან ათიოდე საბჭოთა ტანკი დგას, ამჯერად ბრეზენტგადაფარებული. მაშინ რომ ვიყავით, ეს ტანკები საომარ მზადყოფნაში იყვნენ.

სასახლე რამდენიმე წლის წინათ გაუძარცვავთ, ადრე აქ პრეზიდენტები ისვენებდნენ. ახლა იგი აღარ ფუნქციონირებს და მთელი სასახლე ჩვენ დაგვითმეს. მე და ომარ კელაპტრიშვილი ვცხოვრობთ უზარმაზარ დარბაზში, რომელსაც მართლაც შაპის მოსასვენებელი შეიძლება დავარქვათ. შიგნით სასახლეში ბევრი დარბაზია, შადრევნებითა და ტახტებით. მაია სიგუა მარტო მოთავსდა შაპის საძინებელში, როგორც კი მოვეწყვეთ, ჩვენთან მოვიდა ჯუმბულათის მეუღლე ქ-ნი ნორა, ულამაზესი ფრანგი ქალი. იგი რიგით მესამე ცოლი ყოფილა, რომელიც ჯუმბულათმა ორი თვის წინ შეირთო.

ნორა ძალიან თბილად შეგვხვდა. მოგვიკითხა და გვითხრა, ჩვენთან არანაირი პრობლემა არ გექნებათო.

მერე ვისადილეთ და დავათვალიერეთ ბაღშეთა გამოფენა, რომელიც ძალიან მოგვეწონა. საღამოს ჩვენი სასახლის წინ გამართულ სცენაზე (რომელიც ჩვენი გულისთვის ააშენეს 1985 წელს და დღემდე ფუნქციონირებს), გაიმართა ბაღშეთა კონცერტი. იმ ღამეს ჩვენთან მოვიდნენ საელჩოს წარმომადგენლები ჟენია (ევგენი) და კოლია.

20 აგვისტო

მთელი დღე ვისვენებდით. გაგვიყვანეს ქალაქიდან. დავათვალიერეთ პატარა მღვიმე. შემდეგ ერთი ციხე, რომელიც ვინმე შარტოხელა არაბმა (სახელი არ ვიცი) მარტოდმარტომ ააშენა, აშენებდა 30 წელი. ახლა ეს არაბი ცოცხალია და იქვე, თავისივე მუზეუმში ცხოვრობს. ამ მუზეუმში დაცულია თოჯინები, რომლებიც მოძრაობენ და გამოხატავენ აქაურ ყოფას. თოჯინები ამერიკელ დისნეილენდის გმირებს მოგვაგონებენ.

21 აგვისტო

ვიყავი ქ. ბაკლანში, რომელიც აქედან 5 კმ-ის საკალზეა. საღამოს ჩავატარეთ რეპეტიცია. იქვე შეგვასწავლეს იქაური არაბული ცეკვა. თარჯიმნად რამდენიმე არაბი გვემსახურება. ისინი მოსკოვისა და ლენინგრადის სტუდენტები არიან. მათ

შორის ხასანი, საბი, ნიზარ აბუ შაქრა და სხვები. უნდა აღინიშნოს ჩვენ მიმართ არაჩვეულებრივი დამოკიდებულება. ასე თბილად ალბათ ჯერ არავინ მოგეპყრობია. ვართ დიდი ყურადღების ცენტრში.

საღამოს ისევ ბავშვთა კონცერტი გაიმართა. საინტერესოა, რომ 7-10 წლის ბავშვები დგამდნენ საქორწილო სცენებს. ისინი საოცრად მოქნილები არიან და ტანისა და წელის მოძრაობით ურთულეს ილეთებს აკეთებენ.

22 აგვისტო

დღეს პირველი კონცერტი გვაქვს. ღია საკონცერტო დარბაზში. იგი ჩვენი სასახლის შენობაშია, ზუსტად ჩვენი ფანჯრების წინ, ეტევა 3000 კაცი. სცენა მოხერხებული და ლამაზია. დარბაზის შუაში შადრევანია. სცენა მოწყობილია და აღჭურვილი თანამედროვე ახალი ტექნიკით.

კონცერტი დავიწყეთ ზუსტად 9 სთ-ზე. დარბაზი ხალხითაა გადაჭედილი. სტუმრად მოვიდნენ ირანის პრემიერ-მინისტრი მეულლით, ელჩი ალექსანდრე სოლდატოვი მეუღლით, მთელი ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები და ვალიდ ჯუმბულათი მეულლითურთ. კონცერტი მიჰყავდა გაზი სააბს, პროგრესული ახალგაზრდობის ორგანიზაციის თავმჯდომარეს. კონცერტის დროს ასეთი ინციდენტი მოხდა, ვალიდ ჯუმბულათი მეუღლით იჯდა პირველ რიგში, ცხადია, მის გვერდით იყო გაძლიერებული დაცვა. ცეკვა ხანჯლურის დროს ჩვენმა სოლისტმა ნოდარ აბულაძემ იმპროვიზებულად გადაწყვიტა სცენიდან გადამხტარიყო და ჯუმბულათის პატივსაცემად ხანჯალი მის ფეხებთან დაერჭო. ნოდარმა ის იყო პაერში კამარა შეკრა და სცენიდან გადაფრინდა, რომ ჯუმბულათის დაცვამ რეაგირება იშიშვლა და თვითონ ჯუმლათის სწრაფი რეაქცია რომ არა (იგი მაშინვე წამოხტა და დაცვას ხელებით გაღაეფარა), ნოდარ აბულაძეს მწყერივით ჩამოაგდებდნენ ძირს. ნოდარმა მაინც დაასრულა თავისი ილეთი, ხანჯალი ჯუმბულათის ფეხებთან ჩაარ-



ჭო და მდაბლად დაუკრა თავი. ვალიდი მას გადაეხვია და ტაში დაუკრა. კონცერტის შემდეგ სცენაზე ამოვიდნენ ვალიდ ჯუმბულათი და ალექსანდრე სოლდატოვი. მათ გულითადი მადლობა გადაგვიხადეს, ჯუმბულათმა მათი ნაციონალური მედლებით დაგვაჯილდოვა. გამომშვიდობებისას გვითხრა, რომ ხვალ დღის 1 სთ-ზე თავის სახლში გვეპატიჟება სადილად.

23 აგვისტო

დღის 12 სთ-ზე გაეემგზავრეთ ჯუმბულათის სოფელ მუხთარაში, ეზოს ჭიშკართან დაგვხვდა დაცვა ავტომატებით შეიარაღებული. ეზოში ერთი ჯავშნოსანი იდგა, რამდენიმე მცირეყალიბიანი ზარბაზანი და რამდენიმე მერსედესის ფირმის ავტომანქანა. ჯუმბულათების სახლი აგებულია 200-ზე მეტი წლის წინათ. ეს გვარი თავიდანვე მდიდარი ყოფილა. ჰქონდათ ბევრი მიწები და ციხედარბაზები.

ვალიდის მამა, ლენინური პრემიის ლაურეატი კამილ ჯუმბულათი, ცხადია, მდიდარი მემამულე ყოფილა, მაგრამ მას შემდეგ რაც იგი დემოკრატიული პარტიის ბელადი გახდა, მთელი თავისი მიწები ხალხს დაურიგა. იგი იყო მთელ ლიბანში მეტად ავტორიტეტული პიროვნება, მოკლეს 1977 წელს. იმ ადგილას ობელისკია აღმართული. ჩვენ იგი გუშინ ვნახეთ. აქ კი, მის ეზოში მავზოლეუმი დგას, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრება მისი ხსოვნის აღნიშვნის დღეებში.

სახლის კარებთან შეგვხვდა დიასახლისი, მშვენიერი ნორა, რომელიც გულთბილად მოგვესალმა და შემდეგ ჩვენს გოგოებს „წაეჭორავა“ ჩვენგან ფრანგულად საუბრობს მაია სიგუა. თურმე ნორა ცხოვრობდა იორდანიაში. ჰყავს ორი ვაჟიშვილი, უფროსი 8 წლისაა. დედა პოლონელია, მამა — ფრანგი. ვალიდს შეხვდა სირიაში. ახლა აგერ ორი თვეა ერთად ცხოვრობენ.

ნორამ მიგვიწვია მთელი ანსამბლი სასმელებზე. ამ დროს შემოვიდა ვალიდიც. იგი 39 წლისაა, უბრალოდაა ჩაცმული. ზოლებიანი პერანგი და ჯინსის შარვალი აცვია. ასეთივე უბრალო და თავმდაბალია. ხალისიანი მოსაუბრეა. აინტერესებს ყველაფერი ჩვენი ანსამბლისა და ჩვენი ქვეყნის შესახებ. საქართველოში ყოფილა და ძალიან მოსწონებია, განსაკუთრებით თბილისის ძველი ნაწილი და ისტორიული ძეგლები. აღფრთოვანებულია მცხეთით. შემდეგ გორშიც ყოფილა. სტალინის მუზეუმს რაიმე თუ დაუმატესო, მკითხა. მე ვუთხარი, მისი ვაგონი დგას მეთქი ეზოში. — სტალინის ძეგლი თუ დგას გორის გარდა კიდევ სადმე. გარდა იმისა, რომელიც მავზოლეუმის ეზოში ვნახეო. სტალინგრადს თუ დაუბრუნებენ ისევ თავის სახელსო და სხვა.

დაინტერესდა, სამამულო ომის დროს რამდენი მეომარი გაიწვიეს საქართველოდან და რამდენი დაბრუნდა. როცა საეალალო ციფრი დავუსახელე, ძალიან შეწუხდა. დაინტერესდა, როგორაა შობადობა საქართველოში და როდის მივიღეთ ქართველებმა ქრისტიანობა და ვართ თუ არა კათოლიკები. შემდეგ როგორ მოდიოდა ქრისტიანობის განვითარება და ამჟამად რა მდგომარეობაშია ქრისტიანული ძეგლები. დაინტერესა საქართველოს ისტორიამ და მისმა ომებმა. დაინტერესდა საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებით და მისი მოსაზღვრე ქვეყნებით, მოიკითხა ჩერქეზები. მისი პირველი მეუღლე და დედა ჩერქეზები ყოფილან.

დაინტერესდა ქართული ფოლკლორით და გვითხრა, რომ ახლა არეინ ისე წმინდად არ ინახავს ფოლკლორს, როგორც თქვენი ხალხიო. რომ ეს თქვენი წმინდა მოვალეობაა და თქვენი შესანიშნავი კონცერტიც ამაზე მეტყველებსო.

ფოლკლორი ერის სულის გამომხატველია, მისი წარსულისა და აწმყოსი. ფოლკ-

ლორი ერის ყოფითი ისტორიააო, გვითხრა. მერე მიგვიწვია მაგიდასთან, გადაიღო ჩვენთან სამახსოვრო სურათები. სადილზე ბეირუთიდან გვეწვია ჩვენი კულტურის ატაშე ალექსანდრე ნოვიკოვი. სადილმა კარგად ჩაიარა, მასპინძელი თავს გვეელებოდა.

სადილის შემდეგ ვალიდ ჯუმბულათმა წარმოსთქვა ჩვენს საქებრად ლამაზი სიტყვა, და კიდევ ერთხელ მოგვიწვია ლიბანში. საპასუხო სიტყვით მე გამოვედი. შემდეგ ეზოში ჩამოვედით და სამახსოვრო სურათები გადავიღეთ ერთად. ბოლოს დავემშვიდობეთ გულთბილ მასპინძლებს, და სასახლეში დავბრუნდით.

საღამოს მეორე კონცერტი გავმართეთ, რომელმაც აგრეთვე წარმატებით ჩაიარა. კონცერტს დაესწრო 3500 კაცი. გასასვლელებში ტევა არ იყო. ხალხი სახურავებზეც იჯდა.

24 აგვისტო

დილის 10 სთ-ზე წაგვიყვანეს ბეირუთში. იქ ისევ საგანგებო მდგომარეობაა, ქუჩებში ქვიშის ტომრებისაგან აშენებული პოსტებია, სადაც სირიელი სალდათები დგანან.

ქალაქის შესასვლელთან ჩვენი საელჩოს კულტურის ატაშე — ალექსანდრე ნოვიკოვი შეგვხვდა და წაგვიყვანა საბჭოთა კულტურის ცენტრში.

იქიდან ორგანიზებულად გაგვიყვანეს ერთ მაღაზიაში სუვენირების საყიდლად. თან გვახლდა დაცვა.

კონცერტი დავიწყეთ 5სთ-ზე. დარბაზში 500 კაცი ეტევა, მაგრამ იჯდა ალბათ 700. ყველა გასასვლელი ხალხით იყო გაჭედილი, ვინც დარბაზში ვერ მოხვდა, ღია კარებიდან უყურებდა კონცერტს. კონცერტზე მოვიდნენ ჩვენი ძველი ნაცნობები: სამიხი, ალი, ხასანი და სხვა, რომლებიც ძალიან თბილად შეგვხვდნენ.

კონცერტმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა.

25 აგვისტო

დღეს კონცერტი გვაქვს აღმოსავლეთ ბეირუთში. დილიდან ველოდეთ ავტობუსს. როგორც იქნა მოვიდა 2სთ-ზე. გაემგზავრეთ მთების გავლით. ეგრეთ წოდებული მონტე-ვერდის გზით. გზა ძალიან დაკლაკნილი და ვიწროა. ხშირად ორი ავტობუსი ვერ აუვლის ერთმანეთს. უფსკრულებს ძირი არ უჩანს.

ამიტომ ფრთხილად მივდივართ. გზაზე გვხვდება არაჩვეულებრივი ეზოები და მდიდრული სახლები. ხარობს მსხალი, ვაშლი, ატამი, კარალიოკი, ბუშმალა. ყურძენი დიდი მტევნებით ყველას სახლშია — აივანზე ან სახლის სახურაზე. ბახჩაში მოჰყავთ ჩვენებური ლობიო, კიტრი, პომიდორი, კვახი და სხვა.

3 საათის მგზავრობის შემდეგ მიეედით საზღვარზე, იქ დაგვხვდნენ ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენლები და მიგვიყვანეს კაზინო „დე ლიბანში“. ეს არის სახელგანთქმული კაზინო, მეორე მონტე-კარლოს შემდეგ. აქვს 6 რესტორანი, 4 საკონცერტო დარბაზი. ჩვენ გამოვდიოდით ყველაზე დიდ დარბაზში, სადაც 1500 კაცი ეტევა.

კონცერტს არნახული წარმატება ჰქონდა. დაესწრო შიიტების პარტიის ლიდერი, ჩვენი მხრიდან ნოვიკოვი და სხვები. კონცერტი გადაიღო ტელევიზიამ.

კონცერტის შემდეგ პარტიის ლიდერებმა გაგვიმართეს ბანკეტი, შემდეგ დავათვალიერეთ ღამის აღმოსავლეთ ბეირუთი. ეს არის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი, რომელიც ოდესმე მინახავს. იმ ღამეს იქ დავრჩით, მოგვათავსეს საუკეთესო სასტუმროში.

26 აგვისტო

დილით 6სთ-ზე სასტუმროდან გამოვედით და 10სთ-ზე უკვე ჩვენს სასახლეში ვიყავით. 2სთ-ზე გავემგზავრეთ დასავლეთ ბეირუთში და 5სთ-ზე კულტურის სასახლეში გავმართეთ კონცერტი. დაგვესწრო 600 კაცი. ტევა არ იყო. კონცერტის შემდეგ სასახლეში არაჩვეულებრივი შეხვედრა-გაცილება მოგვიწყვეს. გაგვაცილეს ცრემლებით.

27 აგვისტო

დილის 5სთ-ზე გავემგზავრეთ აეროპორტში, საიდანაც გაფრინდით დამასკოში. ძლივს მოვახერხეთ ბარგის გაგზავნა. „ბოინგ 707"-ით. ბეირუთიდან დამასკომდე ვიფრინეთ 50 წუთი. მთელი გზა ფანჯარაში ვიყურებოდი. ეს არის უდაბნო, სადაც არც ერთი ძირი ხე არ მოსჩანს. იგი მოგვაგონებს მთვარის ზედაპირს, ფილმებში რომ გვინახავს, ისეთს.

დამასკოს აეროპორტში დაგვხვდნენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს განყოფილების უფროსი ზაურ რუსტამ-ზადე, და კულტურის ატაშე სირიაში სლავა რიბაკი. ბარგის მიღების დროს აღმოჩნდა, რომ ანსამბლის კოსტიუმების 12 ყუთიდან, 5 დარჩენილია ლიბანში. ამან ძალიან შეგვაშფოთა, ვინაიდან ხვალ დამასკოში ჩვენი კონცერტია დანიშნული, ხოლო თვითმფრინავის მორიგი რეისი იქნება მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ. სლავა რიბაკი მაშინვე შეუდგა ამ საკითხის მოგვარებას.

დამასკოში მოგვათავსეს შესანიშნავ სასტუმროში, მისაღები ფოიე ისეა გამწუანებული, თავი ჯუნგლებში გეგონებათ. ცოტა დავისვენეთ და ზაურ რუსტამ-ზადესთან ერთად წავედით კულტურის სასახლეში, დავათვალიერეთ სცენა, სადაც ხვალ უნდა გამოვიდეთ, ერთადერთი პრობლემაა, რომ კოსტიუმებმა ჩამოგვისწროს, კონცერტის პროგრამა უკვე შედგენილი გვაქვს, რადგან "რუსთავი" მეორედ არის სირიაში და ამიტომ ვიცი ამ ხალხის გემოვნება. საღამოს ზაურმა წაგვიყვანა ფინურ აბანოში, მერე ანსამბლის ხელმძღვანელობა ვახშამზე დაგვპატიჟა და გვიან ღამემდე გაგვიგრძელდა ქეიფი.

ზაურ რუსტამ-ზადე შესანიშნავი პიროვნება და კარგი მუსიკოსია, თბილისში გამართულ ამიერკავკასიის მუსიკალურ კონკურსზე მან ოქროს მედალი დაიმსახურა (ვიოლინო). შემდეგ ზაური მოსკოვში გადაიყვანეს სამუშაოდ კულტურის სამინისტროში, სადაც ჩვენ ერთმანეთი გავიცანით. ზაური დიდი სიმპათიით განიმსჭვალა „რუსთავის" მიმართ, მისი რეკომენდაციით ანსამბლი არაერთხელ გაიგზავნა უცხოეთში.

რამდენიმე წლის წინ ზაურის დედამ, ქალბატონმა ტაირამ (ტაირა ხანუმ) თბილისში ყურის ოპერაცია გაიკეთა ბატონ სიმონ ხეჩინაშვილთან. ოპერაცია კარგად ჩატარდა, ქალბატონი ტაირას სანახავად ჩამოდიოდნენ ბაქოდან მისი ნათესავები და მეგობრები. მათ „რუსთავი" მასპინძლობდა და იყო დაუვიწყარი ქეიფები, მაშინ გავიცანით ზაურ რუსტამ-ზადეს ოჯახის წევრები, ნათესავები, ყველა შესანიშნავი პიროვნებაა, ბაქოში ცნობილი ხალხი. ამის შემდეგ ხან ბაქოში გვპატიჟებდნენ, ხანაც მოსკოვში ვხვდებოდით ერთმანეთს და მართლა ძალიან დავშეგობრდით. აი ეს ზაური იყო დღეს სირიაში ჩვენი მასპინძელი.

28 აგვისტო

დილით 10 საათზე რეპეტიციაზე წავედით, საკონცერტო დარბაზი გამოფენის ტერიტორიაზეა აქ საბჭოთა ტექნიკის ბაზრობაა მოწყობილი, აქვე მუშაობს ჩვენი თანამემამულე, ცნობილი ლევან საღარაძე, რომელიც სირიის მოქალაქეა, ბატონ ლევანს ვიცნობთ 1979 წლიდან, როცა პირველად ვიყავით საგასტროლოდ სირიაში. „გაუმარჯოს საქართველოს“ ბოხი ხმით მოგვესალმა შორიდან ლევან საღარაძე, (ეს მისი საყვარელი მისალმებაა), მერე ლევანმა სათითაოდ გულში ჩაიკრა ანსამბლის ყველა წევრი, მოიკითხა ვინც არ იყო და დიდი სინანული გამოთქვა ჰამლეტ გონაშვილის დაკარგვის გამო. „საღამოს ჩემი სტუმრები ხართ, საელჩოსაც ვპატიჟებ, თქვენს მეგობრებსაც“ გვითხრა ბატონმა ლევანმა. მე ვიცი, რას ნიშნავს ეს დაპატიჟება, იქნება საოცარი ქეიფი, ასე იცის ლევან საღარაძემ.

მთელი დღე ვიმეცადინეთ, ვინაიდან ჩვენი კოსტიუმები არ გამოჩნდა, იძულებული ვართ კონცერტი სარეპეტიციო კოსტიუმებში ჩავატაროთ. საელჩო ზრუნავს ჩვენს კოსტიუმებზე. საღამოს დარეკეს, ბეირუთში უპოვიათ ჩვენი საელჩოს ბიჭებს, მერე მანქანით სირიის საზღვრამდე მოუტანიათ და იქ გველოდებიან. სლავა რიბაკი და ანსამბლის დირექტორი ალეკო ლორთქიფანიძე სასწრაფოდ გაემგზავრნენ კოსტიუმების მოსატანად. კონცერტმა მხოლოდ ნახევარი საათით დაიგვიანა, კოსტიუმებმა მოგვისწრო და კონცერტიც დიდი წარმატებით ჩატარდა. დაგვესწრო 1500 კაცი. კონცერტზე ბეირუთიდან სპეციალურად ჩამოვიდა კულტურის ატაშე ალექსანდრე ნოვიკოვი. კონცერტის შემდეგ საღარაძესთან ვიქეიფეთ ქალაქგარეთ საუკეთესო რესტორანში.

29 აგვისტო

ჩვენ კონცერტები გაგვიგრძელეს 3 სექტემბრამდე, ვინაიდან დამასკოში საბჭოთა ბაზრობასთან დაკავშირებით დიდი ფესტივალი გაიმართება, სადაც ჩვენთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის საუკეთესო ანსამბლები: კრასნოიარსკის ანსამბლი „სიბირი“, ლიტვის ბალეტი და სომხეთის კომიტასის სახელობის სახელმწიფო კვარტეტი.

დღეს კონცერტი საღამოს 10 საათზე გაიმართა. დღე ქალაქს ვათვალიერებდით, დამასკო აზიის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და კოლორიტული ქალაქია. ვნახეთ ცნობილი დამასკოს ბაზარი. 1979 წლის შემდეგ აქ ფასები ოცჯერ მაინც გაიზარდა.

საღამოს კონცერტი კარგად ჩატარდა, მას ზღვა ხალხი დაესწრო. ლევან საღარაძე უკვე მესამე დღეა უზარმაზარ თაიგულებს გვიგზავნის. კონცერტის შემდეგ ზაურისთან ერთად ვიქეიფეთ.

31 აგვისტო.

დღეს დამასკოში ჩამოვიდა კრასნოიარსკის ცნობილი ანსამბლი „სიბირი“ გამოჩენილი ქორეოგრაფის მიხეილ გაღენკოს ხელმძღვანელობით. ჩამოვიდა, აგრეთვე, ლიტვის ბალეტი და კომიტასის სახელობის კვარტეტი ერევნიდან. დღეს საღამოს გაიმართა ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლის კონცერტი. ჩვენ დავესწარით ამ კონცერტს, რომელიც ძალიან მოსაწყენი იყო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რაოდენ მაღლა დგას ქართული ფოლკლორი სხვა ქვეყნების ფოლკლორთან შედარებით.

1 სექტემბერი

მთელი დღე ვისვენებდით აუზზე. საღამოს საბჭოთა კავშირის ელჩმა სირიაში ალექსანდრე ზასოხოვმა მოგვიწყო მიღება ანსამბლის ხელმძღვანელებს. ელჩი ეროვნებით ოსია, მისი ბებია (დედის დედა) ქუთაისელი ჯაფარიძის ქალი ყოფილა. ბატონი ალექსანდრე ამით ამაყობდა. მიღების შემდეგ ელჩმა აგვიყვანა „დამასკოს ფუნიკულიორზე“, საიდანაც გადმოვხედეთ ქალაქს. იშვიათი სანახაობაა, ცოტათი ღამის თბილისს მოგვაგონებს, ოღონდ თბილისზე უფრო დიდია.

2 სექტემბერი

დილით წაველით რეპეტიციაზე. დღეს ფესტივალი იხსნება და დანიშნულია გაერთიანებული კონცერტი საბჭოთა ყველა ანსამბლის მონაწილეობით. რეპეტიციას ატარებდა „სიბირის“ სამხატერო ხელმძღვანელი ბ-ნი მიხეილ გადენკო. რეპეტიციამ შუადღემდე გასტანა.

კონცერტი დაიწყო ხალხით გადაჭედილ დარბაზში, იგი ერევნის კომიტასის სახელობის, სიმებიანმა კვარტეტმა გახსნა, შემდეგ ლიტვის ბალეტი გამოვიდა, ლიტველების შემდეგ „რუსთაველმა“ აჩვენა თავისი ხელოვნება, ხოლო ბოლოს „სიბირმა“ დააგვირგვინა საბჭოთა მსახიობთა კონცერტი. აპლოდისმენტებით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე დიდი წარმატება “რუსთაველს“ ჰქონდა.

კონცერტის შემდეგ სირიის კულტურის მინისტრმა, ქალბატონმა ოთარმა მოაწყო მიღება ჩვენს სასტუმროში. მიღებაზე მოიწვიეს კონცერტში მონაწილე ანსამბლის ხელმძღვანელები. მიღებაზე იყო, აგრეთვე, სსრ კავშირის ელჩი ბ-ნი ზასოხოვი. ქალბატონმა მინისტრმა დიდი მადლობა გადაუხადა ანსამბლებს საუკეთესო გამოსვლისათვის.

3 სექტემბერი

მთელი დღე ვისვენებდით და ქალაქის ღირსშესანიშნაობებს ვათვალიერებდით. საღამოს გაგრძელდა ფესტივალის პროგრამა, პირველი განყოფილება გამართა „სიბირმა“, მეორე – “რუსთაველმა“.

4 სექტემბერი

დილის 9 საათზე ჩვენი ანსამბლი წაიყვანეს საელჩოში. ელჩი ჩაით გაგვიმასპინძლდა და ერთი საათი გველაპარაკა. იგი ძალიან სიმპათიური კაცია, მოკითხვები დაგვაბარა თავის თბილისელ მეგობრებთან, ოთარ ჩერქეზიასთან, ვიქტორია სირაძესთან, ზურაბ ჩხეიძესთან და სხვა. შემდეგ გულთბილად დაგვემშვიდობა და მადლობა გადაგვიხადა შესანიშნავი გამოსვლებისთვის. ამის შემდეგ გავემგზავრეთ აეროპორტში. გაგვაცილეს საელჩოს თანამშრომლებმა, ლევან საღარაძემ და ზაურ რუსტამ-ზადემ. 12 საათზე გავფრინდით ჯერ კვიპროსზე, მერე — მოსკოვში.

1987 წელი

კონცერტი ნებისმიერ დროს შეიძლება დაიწყოს

(ლიბია, მაროკო)

დილით 3 საათზე და 30წთ-ზე თვითმფრინავით ტუ-154 ანსამბლი „რუსთაველი“ 38 კაცის შემადგენლობით გაფრინდა ტრიპოლში კიევის გავლით.

კიევში დავჯექით დილის 5 საათზე, საკმაოდ ციოდა 1 სთ-ის შემდეგ გეზი ავიღეთ ტრიპოლისკენ. 5 საათის ფრენის შემდეგ ჩავფრინდით ლიბიის დელაქალაქ ტრიპოლში. ტრიპოლი მილიონიანი ქალაქია ხმელთაშუა ზღვის სანაპირობე. ფეშენებელური სასტუმროების გვერდით ნახავთ პატარა ქოხმახებს. აქაური დრო მოსკოვისას ჩამორჩება 2 საათით. ეს არის არაბებით დასახლებული წმინდა აფრიკული ქვეყანა. ქალაქი საკმაოდ ჭუჭყიანია. აქაური წელთაღრიცხვით ახლა 1397 წელია. აქ გამეფებულია ე.წ. ჯუმახერია, რაც ნიშნავს ხალხის ძალაუფლებას, თითქოს ყველაფერს ხალხი წყვეტს. სინამდვილეში ნამდვილი ანარქიაა გამეფებული. არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს. არც არავის არაფერი არ ეკითხება. მსგავსი რამ ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. აეროპორტში დაგვხვდნენ სსრკ საელჩოს წარმომადგენლები: ვლადიმერ მოლოდცოვი, ბაშირ მარსამოვი და სხვები. მათ ჩვენი გეგმა არ იცოდნენ და გვითხრეს, ვერც გაიგებთო. რადგან ამ ქვეყანაში ძაღლი პატრონს ვერა სცნობს, ყველაფერი უსისტემოდ კეთდებაო.

აქ ტარდებოდა დიდი საერთაშორისო ფესტივალი, მიძღვნილი ლიბიის გათავისუფლების მე-18 წლისთავისადმი. მოწვეული იყო ბევრი კოლექტივი, მეტწილად აფრიკიდან, იყვნენ ჩეხები, პოლონელები, კუბელები, იუგოსლაველები და სხვა. ბევრი მათგანი ისე გამგზავრა უკან, რომ კონცერტზე არ გამოსულა, რადგან გეგმა სწორად არ იყო შედგენილი. გვაჭმევდნენ იქვე სასტუმროში. წყალი იქაური არ ვარგა, მარილიანია, ამიტომ გაჭირვებით მოჰქონდათ გაზიანი წყალი ბოთლებით. აქ ჟანგბადის დიდი ნაკლებობაა და რადიაცია ძალიან აწეულია, ამიტომ აქაური კვება, წყალი და მზე ჩვენზე ძალიან ცუდად მოქმედებდა და ბევრი ჩვენგანი დაავადდა კიდეც.

ჩვენი პირველი კონცერტი შედგა 26 სექტემბერს ტრიპოლში, კონცერტს 5000 კაცი დაესწრო. ისევე, როგორც ალჟირში, აქაც ხალხი მოდის, რომ თვითონ გაერთოს კონცერტის დროს. როგორც კი საცეკვაო მუსიკა დაუკრავს, ხალხი იწყებს ტაშის დაკვრას და ცეკვას. ყურს არც კი უგდებენ ცეკვა-სიმღერას.

მეორე კონცერტი გავმართეთ საელჩოში 28 სექტემბერს, სსრ კავშირის ელჩის პაველე (პოღოს) აკოპოვის თხოვნით, რომელიც წარმოშობით ახალციხელი სომეხია. იგი თბილისში გაიზარდა და რუსთაველის აშენებდა 1944 წლიდან. პ.აკოპოვმა მიგვიღო მე და ბატონი ვახტანგ გეელესიანი (დელეგაციის ხელმძღვანელი) და ბევრი გვესაუბრა საქართველოზე.

მესამე კონცერტი მაყურებელთა თხოვნით გაიმართა 29 სექტემბერს, ამჯერად ჩეხებთან ერთად გამოვედით. ჩეხ გოგონებს მოკლე კაბები ეცვათ, უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა დარბაზში მათ გამოჩენაზე. დარბაზს ვამბობ, თორემ ეს არის დიდებული ამფითეატრი რომაელების მიერ აშენებული ჯერ კიდევ I საუკუნეში. აქ მთელი რომაული ქალაქია, რომელიც ყველაზე უკეთესადაა შენახული, მათ შორის, რაც კი აქამდე გვინახავს.

გვაჩვენეს აქაური ხოხობარკი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ აფრიკაში.

აქაური არაბები უცნაური ხალხია. რაც რამეს სთხოვ, ისინი გთანხმდებიან, მაგრამ არაფერს აკეთებენ. ასე, მაგალითად, ვერაფრით ვერ გაიგეთ, როდის გვქონდა შემდეგი კონცერტი, ან როდის მივფრინაველით მაროკოში. გეგმით 2 ოქტომბერს უნდა გაეფრენილიყავით, მაგრამ მოვიდა 2 ოქტომბერი და გვითხრეს, რომ ბილეთები არ არის და 9-ში გადამგზავრებთო, მოკლედ, მთელი ამბავი დაგვეჭირდა, რომ როგორმე 5-ში გაეფრენილიყავით მაროკოში. არადა, ძალიან მოგვწყინდა. სულ სასტუმროში ვისხედით ან ხღეპზე ვიხრუკებოდით. ქალაქში ვერ გახვიდოდი, ჯერ ერთი შორს იყო, შერე სიარულს გვიშლიდნენ. ფული რაც მოგვცეს, იმითი ვერაფერს იყიდდი. რადგან მაღაზიებში არაფერი არ არის საერთოდ. საოცარია, ეს ხალხი როგორ არიან გამოკვიმული საუკუნეთა ევროპულ მანქანებში. ჩვენს ე.ი. სსრ კავშირის მიმართ კარგად არიან განწყობილნი. ვერ იტანენ ამერიკელებს, რომლებმაც დაბომბეს მათი ქალაქები, მათ შორის რომაული ქალაქიც და ტრიპოლიც. ერთ-ერთი ასეთი დაბომბვის დროს დაიღუპა პრეზიდენტ კადაფის შეუღლე და 2 შვილი.



ვიმეორებ, აქ არავის არაფერი არ ეხება, არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს. გვეტყოდნენ, დღეს 5სთ-ზე გაგიდივართ, 8-ზე კონცერტიაო. 5სთ-ზე ვესტიბიულში წარმომადგენლებს ველოდებოდით, მაგრამ არავინ არ მოვიდოდა, ან მოვიდოდნენ 8სთ-ზე და გვეტყოდნენ, დღეს კონცერტი არ შედგებაო. იყო პირიქითაც. გაგვაფრთხილებდნენ, ხვალ თავისუფალი დღე გაქვთო, მერე უცბად 7სთ-ზე ჰლაუზე გვეძახდნენ, ჩქარა, ნახევარ საათში კონცერტი იწყებაო.

მოკლედ, მსგავსი რამ ჩემს ღღეში არ მინახავს. შემდეგი 2 კონცერტი, რომელიც წარმატებით ჩატარდა გაიმართა ცირკში. როგორც ფესტივალის ხელმძღვანელობამ გვითხრა, თურმე ჩვენ ყველა ანსამბლზე უფრო კარგი შთაბეჭდილება მოვახდინეთ, ამას აღნიშნავდა პრესაც.

მაროკო, კასაბლანკა 1987 წ.

რაც ფული მოგვცეს, იმით ერთ სუვენირსაც ვერ ვიყიდდით. კიდევ კარგი ელჩმა აკოფოვმა იქაური ფული ჩვენებზე გადაგვიხურდავა.

ტრიპოლი ნაკლებად ლამაზი ქალაქია, არა უშავს მხოლოდ პორტის წინ მდებარე მოედანს, სადაც ბევრი ყვავილია.

არ შემიძლია არ აღვნიშნო საელჩოს ექიმი გიორგი მელნიკოვი, რომელმაც ბევრი კარგი გააკეთა ჩვენი ჯანმრთელობისთვის. 5 ოქტომბერს დადგა ნანატრი დღე, დილით უნდა გაეფრენილიყავით მაროკოში. თვითმფრინავმა 6 საათით დაიგვიანა და გაეფრინდით დღის 4 საათზე. ლიბიის ავიაკომპანიის თვითმფრინავით "ბოინგ-727" იგი მშვენიერი მანქანაა, გადავიფრინეთ მთელი ალჟირი და ჰსთ-ის ფრენის შემდეგ ჩავფრინდით მაროკოს ქალაქ კასაბლანკაში. იქ თურმე მთელი დღე გველოდებოდნენ. მიგვიღეს პრეზიდენტის მოსაცდელში კასაბლანკას ლამაზ, თანამედროვე აეროპორტში. შეგვხვდნენ: ჩვენი მასპინძელი, მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე აბდურახმან ფენიში და მისი ძმა აბულფეტახ ფენიში. ელჩის მრჩეველი, ნიკოლოზ გლუშკოვი, კულტურის ატაშე სერგო მოროზოვი და სხვა ოფიციალური პირები. ძმებ ფენიშებს განათლება მიღებული აქვთ მოსკოვში.

აბდურახმანი ექიმია, თან საკომპოზიციო ფაკულტეტიც დაამთავრა ტიხონ ხრენნიკოვთან. არის ფოლკლორისტი, ქორეოგრაფი, მხატვარი, მოკლედ იგი ყოველმხრივი ნიჭით დაჯილდოებული 44 წლის კაცია. გარეგნულადაც შეტად სასიამოვნო, ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი. მისი ძმა აბდელფეტახი პროფესიით იურისტია, ჰყავს რუსი მეუღლე და ორი შესანიშნავი გოგონა: მაშა და ლუდა. ეს ძმები იყვნენ ჩვენი მასპინძლები. მთელი ჩვენი გასტროლი დააფინანსა აბდურახმან ფენიშმა, რომელიც ძალიან მდიდარი კაცია. კასაბლანკადან ავტობუსით გავემგზავრეთ მაროკოს დედაქალაქ – რაბათში.

5 ოქტომბერს ღამე ჩაველით რაბათში, მოვეწყვეთ კარგ სასტუმროში. რაბათმა თავიდანვე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როგორც გვითხრეს, ეს ქალაქი ძალიან ძველია. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში იგი დიდი სავაჭრო ცენტრი იყო. ამჟამად რაბათში 1მლ-მდე კაცი ცხოვრობს. იგი თეთრი შენობებითაა აგებული და ძალიან სუფთა ქალაქია. აქ ბევრი სიმწვანეა, ხოლო მთავარი ქუჩა, რომელიც დიდი მეჩეთიდან ზღვისპირამდე ეშვება, სადაც ცნობილი რაბათის ბაზარია, ერთ-ერთი საუკეთესო ქუჩაა, რაც კი ოღესმე მინახავს. ქუჩის შუაში უზარმაზარი პალმებია, რომლებიც ღამე არაჩვეულებრივადაა განათებული. რაბათი ძალიან მშვიდი და წყნარი ქალაქია, ქუჩები სავსეა ხალხითა და ყვავილებით. ქუჩებში წესრიგია. არ მოგვეწონა რაბათელი ქალები, ისინი სილამაზით არ გამოირჩევიან, თან ძალიან უგემოვნოდ აცვიათ. არაბი კაცების უმეტესობას აცვია არაბული გრძელი კაბა და თავმოსასხამი, ასეთივე ფორმაში მართავენ ისინი მსოფლიოში სახელგანთქმული მარკის ავტომანქანებს. ზღვისპირას უზარმაზარი ბაზარია, რომელიც ყოველთვის სავსეა ხალხით და ყველანაირი ნივთით, დაწყებული ძველმანიდან დამთავრებული ხილითა და თანამედროვე აპარატურით. აქ ბევრს ნახავთ მდიდარსაც და მათხოვარსაც.

6 ოქტომბერს დილით დაგვათვალიერებინეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები. გვაჩვენეს მუპამედ V (მეფე) მავზოლეუმი, დიდი მეჩეთი, ძველი ციტადელი, ახალი ქალაქი და ახლანდელი მეფის სასახლე. მოკლედ, ქალაქმა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

7 ოქტომბერს თავისუფალი დღე გვაქვს, პირველი კონცერტი დანიშნულია 8 ოქტომბერს ქალაქის თეატრში. ამიტომ დილით რეპეტიცია გავიარეთ. რეპეტიციას



კონცერტისკენ პირი –

დაესწრო აბდურახმან ფუნიში და დღის შეორე ნახევარში გვთხოვა, კიდევ ერთხელ შეკრებილიყავით. მან მთელი დღე იმუშაკა ჩვენთან და დადგა მაროკოული ცეკვა.

შეორე დილით საელჩოში წაგვიყვანეს მე და ვახტანგ გელესიანი. ელჩი შელიქ კუნაკჯი ხნიერი კაცია. იგი ყაზახია, დიდად გამოცდილი დიპლომატი. მან ბევრი გვესაუბრა და გვითხრა, რომ 9 ოქტომბერს ჩვენს პატივსაცემად მიღებას მოაწყობს.

საღამოს გაიმართა კონცერტი. დაესწრო 2500კაცი. იგი აბდურახმანს მიჰყავდა. კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა. მიგვიღეთ ბევრი ყვავილი.

9 ოქტომბერი

დღეს დილით ქალაქში ვისეირნეთ. შერე აბდურახმანმა მეორე რეპეტიცია ჩაგვიტარა და მეორე მაროკოული ცეკვა შეგვასწავლა. ცეკვა სახუმაროა. იგი სიუჟეტურია, სცენა წარმოადგენს შაპის პარამხანას. გოგონები შაპის ირგვლივ ცეკვავენ. შაპი არჩევს საუკეთესოს, გოგოები ატყუებენ შაჰს, მერე საერთოდ გააგდებენ პარამხანიდან. შაპის როლში ამირან გოლიაძე გამოვიყვანეთ. იგი ძალიან სასაცილოა შაპის ტანსაცმელში. ამირანი შშვენიერი კოლორიტული მსახიობი გამოდგა. ცეკვისთვის გამოვიყენეთ ქართული სიმღერა "ცოლი გამიდიდგულდა" მაყურებელმა ტაშის გრიალით გამოხატა თავისი აღტაცება.

საღამოს საელჩოში გავემგზავრეთ. ჩვენი საელჩო ქალაქის განაპირას მდებარეობს მდიდრების უბანში, არაჩვეულებრივად ლამაზ ადგილზე. თეითონ შენობა ახალი აგებულია, უაღრესად მაღალი გემოვნებით. ეზო საესე ნარინჯებით, პალმებითა და ლამაზი დეკორატიული ყვავილებით. ასევე გამოიყურება რაბათში სხვა ეზოებიც. იქ მცენარეებისა და ყვავილების კულტია.

ელჩი დაგვხვდა საპარადო ფორმაში გამოწყობილი, სათითაოდ მიესალმა ჩვენი ანსამბლის წევრებს და მაროკოელ საპატიო სტუმრებს, რომლებიც საელჩომ სპე-



დასაჩუქრება კონცერტის შემდეგ 1985 წ

ციალურად მოიწვია. არაჩვეულებრივად გულთბილად მიგვიღეს. ელჩის მეუღლემ ყველა სუფრასთან მიგვიწვია.

სიტყვით გამოვიდა ელჩი, რომელმაც ბევრი ილაპარაკა ჩვენი ქვეყნების მეგობრულ კავშირზე და ამ კავშირში ანსამბლის როლზე. შემდეგ სიტყვით გამოვიდა აბდურახმან ფენიში, რომელმაც ასევე გაუსვა ხაზი ჩვენი ანსამბლის როლს ურთიერთმეგობრობის საკითხში და ჩვენს დიდ წარმატებას, რომელსაც გაზეთები აღნიშნავენ. საპასუხო სიტყვით გამოვედი მე და მადლობა გადავუხადე მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის. საღამომ ჩინებულად ჩაიარა.

10 ოქტომბერი

მთელი დღე ვსეირნობდით. მერე რეპეტიცია ჩავატარეთ. საღამოს კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის — მაროკოს მთავრობაც. კონცერტის შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელობა სცენაზე ამოვიდა და ანსამბლს წარმატება მიულოცა. მეორე დღეს დილით 10სთ-ზე კონცერტი გაიმართა ბავშვებისთვის. თეატრი საკმაოდ იყო. მათ დიდი ყურადღებით ნახეს კონცერტი და თავისი აღტაცება ტაშისცემით გამოხატეს.

12 ოქტომბერი

დღეს ვისვენებთ. დოქტორმა ფენიშმა მე და ქეთი სახუაძე თავისთან წაგვიყვანა სახლში. მას ქალაქის განაპირას აქვს დიდი ვილა. არაჩვეულებრივი ეზოთი. ეზო სავსეა სხვადასხვანაირი ციტრუსოვანი ხეხილით. შუაში ამფითეატრი გაუკეთებია, სადაც მსახიობებს შეუძლიათ გამოსვლა. ეზო აქვს მოწყობილი აუზებითა და სხვადასხვანაირი გასართობი საშუალებებით, ისე, რომ თავი დისნეილენდში გე-

გონებათ. მოკლედ, ყველაფერს არაჩვეულებრივი გემოვნება ეტყობა. ცოტა ხანს დავრჩით მათთან და შემდეგ სასტუმროში დავბრუნდით.

საღამოს აბდულფესტაჰმა მე და თენგიზ გოგავა თავის სახლში მიგვიყვანა. აქვს იშვიათი ოჯახი, მეუღლე რუსია, ამიტომ ბავშვებმა რუსული კარგად იციან. ორი საათი დავრჩით იქ, მშვენიერი პურმარილი გაგავიშალეს და კარგი დროც გავატარეთ.

13 ოქტომბერი

დილით კასაბლანკაში გავემგზავრეთ. რაბათიდან კასაბლანკამდე 90კმ-ია. გზაზე ტიპური აფრიკული პეიზაჟია. გზები კარგია, ამიტომ მანქანა ამ მანძილს 1 სთ-ში ფარავს.

კასაბლანკა ნიშნავს თეთრ ქალაქს. მართლაც მთელი ქალაქი თეთრია. სახლები მწვანეში და ყვავილებშია ჩაფლული. აქეთ არაჩვეულებრივი ეზოები. მოკლედ აქ ეზოების და ყვავილების კულტია. ირგვლივ ყველაფერს მზრუნველი ხელი ატყვია. არაჩვეულებრივი პლაჟები, ფეშენებელური სასტუმროები, ულამაზესი პარკები და ბაღები; იშვიათი თანამედროვე შენობები. მოკლედ კასაბლანკამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

სადილზე მოვიდნენ ჩვენი საკონსულოს წარმომადგენლები და გვითხრეს, რომ უნდა გავემგზავროთ ერთ-ერთ პატარა ქალაქში, სადაც ჩამოსულია ტაშკენტის დელეგაცია ქალაქის მერის ხელმძღვანელობით. პაყათ მხოლოდ ერთი მოღვერალი და კონცერტის გამართვა არ შეუძლიათ, არადა ოფიციალურად იხსნება მათი კულტურის დღეები.

ჩვენ 15 კაცის შემადგენლობით გავემგზავრეთ უზბეკების დასახმარებლად. გაეიარეთ 250 მ იქით და ამდენივე უკან. გავმართეთ კონცერტი და დავბრუნდით დილის 5 საათზე. ტაშკენტის მერმა უდიდესი მადლობა გადაგვიხადა და ტაშკენტში მიგვიწვია კონცერტებით.

14 ოქტომბერი

დღეს დილიდან მოვუნდით უკან წასასვლელი ბილეთების გაფორმებას და კინოთეატრის საკონცერტოდ მოწყობას. როგორც იქნა, ყველაფერი მოვაგვარეთ და საღამოს კონცერტი გავმართეთ. თეატრი სავსე იყო ხალხით (1500 კაცი). კონცერტს დიდი წარმატება ხვდა, გვითხრეს, ასეთი რამ კასაბლანკას არ უნახავსო. მერე ინტერვიუ მიეცით აქაური ჟურნალისათვის. გვაჩუქეს უამრავი ყვავილი.

ამით კონცერტებს მოვრჩით. მეორე საღამოს სსრ კავშირისა და მაროკოს მეგობრობის საზოგადოებამ მოაწყო მიღება, რომელმაც ძალიან თბილად ჩაიარა.

16 ოქტომბერი

დილადანვე საშხადისში ვართ. დღეს სახლში ვბრუნდებით. აეროპორტში გაგვაცილეს ძმებმა ფენიშებმა და საელჩოს თანამშრომლებმა. მათ გულწრფელი მადლობა გვითხრეს და გამოთქვეს სურვილი ისევ მიგვიწვიონ მაროკოში. ჩვენ კმაყოფილებმა დავტოვეთ ეს შესანიშნავი ქვეყანა.

1987 წ.

დომო არიგატო

(იაპონია)

საბჭოთა ლაინერი „ილ–62“ ტოკიოდან აფრინდა და გეზი მოსკოვისკენ აიღო. ანსამბლი „რუსთაველი“ მორიგი გასტროლებიდან ბრუნდებოდა სამშობლოში. მოსკოვამდე 10 საათი უნდა გვეფრინა, ამიტომ გადავწყვიტე, სანამ რამე დამავიწყდებოდა ან შთაბეჭდილებები გამინელდებოდა, დამეწერა იმის შესახებ, რაც იაპონიაში ვნახე და განვიცადე, მომეთხრო ჩემი ხალხისათვის, თუ როგორ აღვიქვი „ამომავალი მზის ქვეყანა“

იაპონიაში გახლდით იაპონია – სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიწვევით. ანსამბლის გასტროლები დაგეგმა ცნობილმა ფირმამ „როონმა“, რომელსაც ბატონი ტაკადა ხელმძღვანელობდა.

მოვიარეთ თითქმის მთელი იაპონია, მისი ძირითადი კუნძულები: ხონსიუ, ხოკაიდო, კიუსიუ და სიკოკუ. ერთი თვის განმავლობაში გავმართეთ 25 კონცერტი, რომელსაც 50 000–მდე კაცი დაესწრო.

გასტროლები კარგად იყო ორგანიზებული, პირობები კარგი გვქონდა: ვცხოვრობდით მაღალი კლასის სასტუმროებში, ვმგზავრობდით საუკეთესო ტრანსპორტით, გვქონდა საინტერესო შეხვედრები, შეეძინეთ ბევრი მეგობარი, დაეათვალიერეთ ქვეყნის ღირსშესანიშნაობები და შთაბეჭდილებებით აღსავსე ვბრუნდებოდით საქართველოში.

ტოკიოში 12 ივნისს ჩავფრინდით. ანსამბლი „რუსთაველი“ პირველად იყო საგასტროლოდ იაპონიაში. მე პირადად მესამედ გახლდით (ადრე კონოგადამღებ ჯგუფთან ერთად ვიყავი).

ტოკიოს უზარმაზარ საერთაშორისო აეროპორტში დაგვხვდნენ: ფირმა „როონის“ ხელმძღვანელობა, საქართველო–იაპონიის მეგობრობის განყოფილების ხელმძღვანელი ქალბატონი ხიროკო კაკო (კაკო სანი, როგორც მას იაპონელები ეძახიან) და ანსამბლ „იამასიროგუმის“ წევრები. ეს ის ანსამბლია, რომელიც ქართულ სიმღერებს მღერის. შეგეხვედნენ არაჩვეულებრივი სითბოთი, მოგვართვეს ბევრი თაიგული.

მასპინძლებმა მოიკითხეს თბილისელი მეგობრები. სინანულით გაიხსენეს თბილისის 9 აპრილის ტრაგედია (სხვათა შორის მათ დეპეშებით მოგვისამძიმრეს საქართველოში მომხდარი უბედურების გამო). კაკო სანმა ცრემლები ვერ შეიკავა და მკითხა: დაღუპულთაგან ვინმე მისი ნაცნობი ხომ არ იყო.

დაგვაბინავეს სასტუმრო „კეიო პლაცაში“ იგი ქალაქის ცენტრში მდებარეობს და პრესტიჟული სასტუმროა, ამიტომ იაპონიის საპატიო სტუმრები უმეტესად იქ ცხოვრობენ. ჩვენი იქ ყოფნის დროს ამ სასტუმროში ცხოვრობდა მსოფლიო ჩემპიონი კრივში მაიკლ ტაისონი.

საღამო თავისუფალი გვქონდა და ტოკიოს ქუჩებში გავისეირნეთ.

ვისაც ღამის ტოკიო არ უნახავს, ძნელია წარმოდგენა იქონიოს მსოფლიოს

თანამედროვე ცივილიზაციაზე: თვალისმომჭრელი რეკლამები ათასნაირ ფერებად ციმციმებენ და მნახველზე გამაბრუებლად მოქმედებენ, თავი ზღაპრულ ფერთა სამყაროში გეგონებათ. ორ შენობას ერთნაირს ვერ ნახავთ. ცაში ატყორცნილა თანამედროვე არქიტექტურის საუკეთესო ქმნილებები, რომლებზედაც მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმების რეკლამებია გამოხატული: „სანიო", „პიტაჩი", „სონი", „მიცუბიში", „ტოიოტა", „ნისანი", „შარფი", „მაზდა", „ჰონდა" და სხვ.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ბარებსა და რესტორნებს. ათასნაირი სათამაშოთი გაწყობილი გასართობი კლუბები და კაზინოები მაცდურად იზიდავენ აზარტული თამაშების მოყვარულთ.

ესტაკადები, მაღალ შენობებზე გადებული ხიდები ქუჩებსაც მრავალსართულიანს ხდის.

ღამის ტოკიოში სიცოცხლე დუღს. დღის შრომით დაღლილი ხალხი ღამით სრულ განცხრომას ეძლევა.

პირველი კონცერტი ტოკიოში 13 ივნისს შედგა. კონცერტამდე რამდენიმე საათით ადრე გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც ბევრი გაზეთისა და ჟურნალის წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ ყველაფერი აინტერესებდათ ანსამბლის, ქართული კულტურისა და საერთოდ საქართველოს შესახებ.



ანზორ ერქომაიშვილი და შოიდონ სულაბერიძე

გასტროლისსაერთო წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული პირველ კონცერტზე. ეს კარგად იცოდა ფირმა „როინმა" რომლის წარმომადგენლები ჩვენთან ერთად ღელავდნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ხალხით გაჭედილ დარბაზს. მათ შორის იყვნენ: საბჭოთა კავშირის ელჩი იაპონიაში და საელჩოს სხვა წარმომადგენლები, ტოკიოს მერის მოადგილე, უამრავი საპატიო სტუმარი.

კონცერტი ტრადიციულად კახური „მრავალჟამიერით" გავხსენით. რიცა სიმღერა დასრულდა, დარბაზის რეაქციის მიხედვით უმალ ვიგრძენი, რომ კონცერტს წარმატება ექნებოდა. სიმღერას ცეკვა მოჰყვა. ტაში არ წყდებოდა, კონცერტის ბოლოს შეძახილებსა და ყვავილებს ბოლო არ უჩანდა. ციმღერეთ „სულიკოც" მთელი დარბაზი აგუგუნა, ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მაყურებელთა შორის იყვნენ — „იამასიროგუშის" წევრებიც. ხოლო როცა ბოლოს საგანგებოდ სპეციალურად შესწავლილი იაპონური სიმღერა „აკა ტომბა" (ჭრიჭინა) ციმღერეთ, მთელი დარბა-

ზი ფეხზე ადგა და ჩვენთან ერთად მღეროდა. საინტერესოა, რომ მაყურებელი ისეთი სუფთა ინტონაციით მღეროდა, დიდი ხნის ნამეცადინევი გუნდი გეგონებოდათ.

როცა ყველაფერი დამთავრდა, სცენაზე ამოვიდა სსრ კავშირის ელჩი იაპონიაში და დიდი მადლობა გადაგვიხადა. „ასეთი ტაში ტოკიოში იშვიათი მოვლენაა“ – ო.

ქუჩაში „იამასიროგუმის“ წევრები გველოდებოდნენ, ჩვენ რამდენიმე სიმღერა ერთად შეგვასრულეთ. ხალხი შეგროვდა. ისინი დიდი ინტერესით, გაოცებულნი შემოგვცქეროდნენ ქართველ და იაპონელ მეგობრებს. სიმღერა არ შეწყვეტილა მანამ, სანამ ჩვენი ავტობუსი არ დაიძრა.

კონცერტის შემდეგ ფირმა „როიონმა“ ერთ–ერთ ძველებურ იაპონურ რესტორანში დაგვპატიჟა.

ფრიად საინტერესოა იაპონური სამზარეულო – სუფრაზე ძირითადად თევზეულობა და ზღვის ნაბათი იყო: ათასნაირი ზღვის მცენარე, ლოკოკინები, კიბორჩხალები, მოლუსკები, თევზის სხვადასხვა სახეობა, ზოგიერთი მათგანი უშიშ სახით, ტრადიციული იაპონური საწებელი „სოია“ და, რასაკვირველია, ბრინჯი. იაპონელები პურს თითქმის არ ჭამენ.

ჩვენმა ბიჭებმა ლოკოკინებს, გველთევზებსა და მოლუსკებს ჯერ ხელი არ ახლეს, მერე ზოგმა გაბედა გასინჯვა და აღმოჩნდა, რომ ძალიან გემრიელი საჭმელიაო.

მოგვეწონა იაპონური ბრინჯის არაყი „საკე“ იგი ცხელ–ცხელი მოჰქონდათ და ჩვენებურ რახს მოგვაგონებდა.

ვიმღერეთ ტრადიციული სუფრული სიმღერები. რესტორანში ბევრი ხალხი შეგროვდა. ტაშს ბოლო არ უჩანდა. რესტორნის დირექტორი სიხარულს ვერ ფარავდა, მან გვთხოვა, კედელზე ავტოგრაფები წაგვეწერა და კიდევ ერთხელ ვწეეროდით. როგორც შემდეგ გაირკვა, იმ ღამეს მის რესტორანს დიდი შემოსავალი ჰქონია.



იაპონია 1990 წ. იაპონელ მეგობრებთან ერთად

ტოკიოში 10 დღე დავრჩით, გავმართეთ 7 კონცერტი. ხალხით გაჭედილი დარბაზები ოვაციებს უმართაულნენ ჩვენს მომღერალ–მოცეკვავეებს.

ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ ტოკიოში. პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, ეს იყო სისუფთავე. ნამდვილად საოცარია, როგორ ახერხებენ იაპონელები, ასე სუფთად შეინახონ ერთ–ერთი უდიდესი ქალაქი. მტვერი პრაქტიკულად არ არის. ამიტომ ფეხსაცმელები და პერანგებიც კი არ ჭუჭყიანდება. ქუჩაში სიგარეტის ნამწვს ან ქაღალდის ნაგლეჯს ვერ ნახავთ. ასეთივე სანიმუშო სისუფთავეა სადგურებში, აეროპორტებში, სტადიონებზე და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

აღსანიშნავია, რომ იაპონიაში სისუფთავე და წესრიგი ტუალეტებით იწყება. სამწუხაროდ, ჩვენთან ამ მხრივ რა მღვიმარეობაა, კარგად მოგეხსენებათ...

იაპონელები ნაგავს, შავი ცელოფანის პარკში ჩაყრილს, თავისი სახლის სადარბაზოსთან ტოვებენ. ნაგვის მანქანები, რომლებიც განსაკუთრებული სილამაზითა და სისუფთავით გამოირჩევა, კრეფენ ამ პარკებს და ნაგვის ქარხანაში მიაქვთ. ეს ქარხანა



იაპონია 1989

ტოკიოს ერთ-ერთ გარეუბანში მდებარეობს. მე მქონდა საშუალება, ტოკიოში პირველად ყოფნის დროს, იგი დამეთვალიერებინა. ქარხანა ყველაფერშია ჩაფლული. მას 86 კაცი ემსახურება. მოსამსახურეები თეთრ ხალათებში არიან გამოწყობილნი და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს მაღალი რანგის საავადმყოფოში იმყოფებით. ქარხნის ორმაგი შუშები გამორიცხავს უსიამოვნო სუნს. უფრო მეტიც, მთელ ქარხანაში სუნამოს იშვიათი სუნი დგას. ნაგვის გადამუშავება თვალნათლივ ხდება. ქარხანა მთლიანად ავტომატიზებულია. მანქანები ნაგავს ყრიან პირველ ბუნკერში, შემდეგ მიიღებენ სპეციალურ „შხაპს“ და გასუფთავებულ-გასტერილებული ბრუნდებიან ქალაქში. პირველი ბუნკერიდან ამწე ავტომატს ნაგავი გადააქვს მეორე ბუნკერში, სადაც უმატებენ სპეციალურ სითხეს და შემდეგ წვავენ. შესამე ბუნკერში მოწყობილია თბოელექტროსადგური, რომელიც წვის ხარჯზე დენს გამოყოფს, ხოლო მეოთხე ბუნკერში გადადის ნამწვავი ფიდა, რომელიც სპეცმანქანებს გადააქვთ ზღვაში და მისგან კუნძულებს აკეთებენ. ასეთი ხელოვნური კუნძულები ტოკიოში უკვე სამია და მასზე ცათამბჯენებია აშენებული. ეს ქარხანა წლიურად 59 მლნ დოლარ მოგებას იძლევა.

ტოკიოში, პორტთან, არსებობს თევზის ცნობილი ბაზარი. ვაჭრობა დილის 4 საათიდან იწყება და 8 საათზე თითქმის ყველაფერი დამთავრებულია. რას არ ნახავს კაცის თვალი, ზღვისა და ოკეანის ყველა ბინადარი თევზია აქ წარმოდგენილი. გამყიდველები დაფუსფუსებენ, გაყვირიან, აქვთ განსაკუთრებული ინტონაცია. აქვე არიან ყველა ფირმის, რესტორნისა და სასაუზმის წარმომადგენლებიც კი, რომლებიც ახალი თევზით ამარაგებენ თავიანთ დაწესებულებებს. რამდენიმეტონიანი უზარმაზარი თევზების გვერდით ნახავთ ათასნაირ წვრილ თევზსა და ზღვის ნობათს. ეს უზარმაზარი ბაზარი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს და გგონიათ, რომ ყველანაირი თევზი ნახეთ, რომელიც კი მსოფლიოში არსებობს.

როცა ვაჭრობა თავდება, ყველაფერს ისე სწრაფად ალაგებენ და ასუფთავებენ, თითქოს აქ არაფერი ყოფილა. თევზის ბაზრის გარდა, ქალაქში უამრავი ბაზარია, სადაც ყველაფერი იყიდება. აქ ხილის იმდენი სახეობაა წარმოდგენილი, რომ გგონია, დედამიწაზე სხვა აღარ არსებობს. საინტერესოა, რომ ერთდროულად იყიდება წელიწადის ოთხივე დროის მოსავალი. ხილი და პროდუქტი ძარტო ბაზრებში არ იყიდება. მას ქალაქში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით. საერთოდ პროდუქტის სიუხვეზე ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, რომ გიკვირთ კიდეც, როგორ შეიძლება ამდენი პროდუქტი გასაღდეს. მაგრამ იაპონელს ყველაფერი ზუსტად აქვს გათვლილი. პროდუქტების სიუხვე კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვეულებრივი ამბავია.

შარშან აშშ-ში ვახლდი ანსამბლ „ელესას“, რომელთა წევრები ოზურგეთის სხვადასხვა სოფლებიდან არიან. მახსოვს, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე

პროდუქტების ერთ-ერთმა დიდმა უნივერმაღმა ვაშინგტონში. ისინი რამდენიმე საათს მოუნდნენ უნივერმაღის დათვალიერებას. უხმოდ ათვალიერებდნენ სექციებს, სადაც უხვად იყო წარმოდგენილი წელიწადის ოთხივე დროის მსოფლიოს ყველა კუთხის ხილი და ბოსტნეული. სხვა განყოფილებებში თვალს ჭრიდა ყველანაირი ფრინველისა და ცხოველის დახარისხებული ხორცი. ათასნაირი ცოცხალი თევზი, ასევე უამრავი გაშხადებული საჭმელ-სასმელი. მსოფლიოს ყველა კუთხის ღვინო, არაყი, კონიაკი, ვისკი, ლუდი, ტკბილეულობა და ცხოველებისათვის გაშხადებული და ულამაზესად შეფუთული საჭმელები. აქ ყველაფერი იყო წარმოდგენილი, რასაც კი განსვენება ადამიანის გონება. უნიერმაღი მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობდა. იყო არაჩვეულებრივი მომსახურება, წესრიგი და სისუფთავე. „ალესას“ წევრებს ხმა არ ამოულიათ, ყველაფერი ისე მიიღეს, თითქოს ეს აღრეც ენახათ, მაგრამ როცა სასტუმროში დაბრუნდით, ისინი ჩაფიქრებული ჩანდნენ. მერე ერთ-ერთმა მოხუცმა სიჩუმე დაარღვია და თქვა: „ბიძია, ამერიკა რომ არ შენახა და ისე ჩაესულიყავი საფლავში, ალბათ მიწა არ მიმიღებდა, მარა რომ ვაკვირდები, ნეტა არ წამოგეყვანეთ აქანე. რა ვთქვა ახლა, მე რომ ჩავალ სახლში, რაფერ მოვყვე იგი, რაც ვნახე ღღეს, ვინ დამიჯერებს. ან ხომ გადამერია მეზობლები, აგერ საბოცდაათს გადავაცილე, ფრონტი მე არ დამკლებია და ყოლიფერი უბედურება. ნახე, ჩემი ხელები რას გავს, დღე და ღამე გაწყვეტილი ვარ მუშაობით. წამოსვლის ხანს ცოლ შვილს რამდენიმე ტალონი დავუტოვე პროდუქტებისათვის, ჩემს ჩამოსვლამდე იყოფინეთ-მეთქი. სულ მომავლის იმედით ვცხოვრობდით, სულ გვეუბნებოდნენ, რომ ბედნიერი ცხოერება გვაქვს შექმნილი, გეგმებს სულ ვასრულებთ გადაჭარბებით, სოციალისტურ შეჯიბრებაში სულ გამარჯვებული გამოვდიოართ, გარდამავალი დროშა არ გვაკლია და ორდენი, მაინც არაფერი გვაქვს. მეგონა, რაცხა ვიყავით ქვეყანაზე და არაფერი არ ვეყოფილვართ, ბიძია, ნეტა იგი არ შენახა, რაც ღღეს ვნახე და შშვიდად ჩავიდოდი საფლავში“

ეს ამბავი რატომღაც მაშინ გამახსენდა იაპონიაში, როცა გამოფენაზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიღწევებს ვათვალიერებდი და გავიფიქრე, „ალესას“ წევრებს ნეტავ ეს ტექნიკაც ენახათ-მეთქი, ტექნიკა, რომელიც გლეხკაცს ყველაზე მეტად აინტერესებს. აქ მე აღარ გავაგრძელებ ტექნიკაზე ლაპარაკს, თორემ შეიძლება მართლაც დაუჯერებელი რამ მოვყვე. სხვათა შორის იაპონელებმა გამოფენაზე გვაჩვენეს პამიდორის ჯიში, რომელიც ახლახან გამოიყვანეს. ერთმა ძირმა პამიდორმა, რომელიც ვენახს წააგავდა და, რომლის ტოტებით პატარა ხეივანი იყო გაკეთებული, უკვე 13 ათასი ცალი ნაყოფი დაისხა.



ტოკიო. პაატა გურჯულაძე და ანზორ ერქომაიშვილი იაპონელ მეგობრებთან ერთად 1995 წ.



იაპონია. გუნდი „იამაშიროდ გუმო“ სწაელობს ძართულ ხალხურ სიმღერას. 1986 წ.

18 ივნისს ტოკიოს ერთ ერთ გარეუბანში ჩვენ კონცერტი გავმართეთ ბავშვებისათვის. მე განსაცვიფრა ბავშვების მოსმენის კულტურამ. ისინი ყურდაცქვეტილნი უსმენდნენ ურთულეს ქართულ ხალხურ სიმღერებს და საოცრად გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას ყოველი ნომრის შემდეგ. ახური „ნანა“ რომელიც ბავშვებისათვის სპეციალურად შეესრულეთ, იღეალურ სიჩუმეში ნიავივით დაფრინავდა და ბავშვებს ესალბუნებოდა. მე დარბაზში ვიყავი და ვკვირდებოდი მათ სახეებს. ისედაც წვრილი თვალები კიდევ უფრო მოეჭუტათ და სულგანაბული უსმენდნენ „ნანას“ საოცარ მელოდიას. როცა სიმღერა გათავდა და მისი ექო სადღაც საკონცერტო დარბაზის მაღმა მიწყდა. ბავშვები ცოტა ხანს კიდევ ჩუმად იყვნენ. შერე უცბად ისეთი ოვაცია გაუმართეს სიმღერის შემსრულებლებს და მის სოლისტს ლადო თანდილაშვილს, რომ კონცერტი კარგა ხანს არ გაგრძელებულა. სიმღერის დროს ხომ ისე ჩუმად იყვნენ, რომ დაინახეს ჩვენი ცეცხლოვანი ცეკვები. ისე ჩაერთვნენ ცეკვის რიტმში, რომ ჩვენს მოცეკვავეებს აღფრთოვანებული ბავშვების ტაშის აკომპანემენტის ქვეშ მოუხდათ ცეკვის შესრულება.

იაპონიაში ბავშვების კულტია, მათთვის ყველაფერი კეთდება. ჯერ რამდენნაირი სათამაშო და გასართობი აქვთ!.. ჰატარა ბავშვს არაფერს უშლიან. მას შეუძლია ყველაფერი გააკეთოს, რაც არ უნდა დააშავოს, არც გაარტყამენ და არც დასჯიან. ამას იმით ხსნიან, რომ ბავშვი შიშის ქვეშ არ უნდა გაიზარდოს, თორემ იგი დაკომპლექსდება და მონად გაიზრდება, ბავშვი თავისუფალი უნდა იყოსო. რაც შეეხება დანაშაულს, იგი თვითონ მიხვდება, რომ ჭურჭლის ან სხვა ნივთის დამტვრევა და გაფუჭება ცუდია და შემდეგში ამას აღარ გააკეთებს.

ამ ფაქტზე ანსამბლის მოძღვარმა გენო მუჯირმა იხუმრა. აქ იმიტომ აძლევენ ყველაფრის დამტვრევის უფლებას, რომ მეორე დღეს შეუძლიათ ისევ იყიდონ. მე

რომ მაგის უფლება მიეცე ჩემს ბაღნებს, ოჯახი ჭიქა–თეფშების გარეშე დამრჩებაო.

ბავშვები ყველგან დაჰყავთ: მუზეუმებში, ზოოპარკსა და პარკებში, კინო–თეატრებსა და საღამოს კონცერტებზეც კი უფროსებთან ერთად. გაკვეთილები უმეტესად პროფილის მიხედვით საჭიროების ადგილას უტარდებათ. რამდენჯერ მინახავს, რომ ისტორიის გაკვეთილს მუზეუმში ატარებდნენ, ბიოლოგიისას – ბოტანიკურ ბაღში, ზოოლოგიისას – ზოოპარკში და ა.შ.

უნდა ნახოთ, როგორი გულისყურით უსმენდნენ ხოლმე მასწავლებელს, მერე ჩაცუცქდებოდნენ, ჩანთებს მოიხსნიდნენ, იქიდან საჭმელს ამოიღებდნენ, ისაუზმებდნენ და ისე აალაგებდნენ იქაურობას, რომ სამცეცია კი არ დარჩებოდა ძირს.

ბავშვებს თაყიდანვე აჩვევენ ადამიანების, ცხოველებისა და ბუნების სიყვარულს. ათასნაირი მეთოდით უხსნიან, რომ ბოროტება არ უნდა ჩაიდინონ, შურისა და ეგოიზმის გრძნობა არ უნდა ჰქონდეთ. პატარაობიდანვე აჩვევენ პატიოსან ცხოვრებას და უნერგავენ შრომისადმი სიყვარულს.

მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მომიკლია და ჩვენ გარდა არსად მინახავს, რომ ბავშვი შურდულით ჩიტებს დასდევდეს მოსაკლავად. ბავშვებს კაკანათის გაკეთებასაც არ ასწავლიან.

ერთ დღეს ტოკიოში ასეთი ტელეგადაცემა ვნახე: შველს წინა ფეხი მუხლის ქვემოთ მოგლეჯილი აქონდა; უმკურნალეს, მოარჩინეს, შემდეგ პროთეზი გაუკეთეს, ფეხზე მოარგეს და შველი ისევ დახტოდა, მერე იგი ბავშვებს გადასცეს სკოლაში და უნდა გენახათ, რა სიყვარულით უვლიდნენ.

ამ ფაქტმა ერთი უსიამოვნო ამბაჟი გამახსენა: შარშან ქართულ გაზეთში წავიკითხე, რომ რომელიღაც სოფელში, დიდთოვლობაზე, შველი ტყიდან ჩამოვიდა და მიადგა ოჯახს, – ადამიანი მიშველისო. იგი დაკლეს და მეზობლები შველის მწუადებზე სამ დღეს ქეიფობდნენ.



იაპონია 2004 წ.

ზემოაღნიშნულ ტელეგადაცემაში ასეთი ფაქტიც აჩვენეს: ძაღლი მანქანის ქვეშ ჩავარდა, საჭირო გახდა წინა ფეხის ამპუტაცია. მასაც გაუკეთეს ფეხის პროთეზი და ეს ძაღლი აგერ უკვე 11 წელია თავის პატრონთან ცხოვრობს. ასეთი და მსგავსი ტელეგადაცემები ბაშვებისათვის ხშირადაა.

19 იუნისს კონცერტი არ იყო დაგეგმილი. თავისუფალი დღე გვქონდა და ფირმა „როონის" ხელმძღვანელობამ დისნეის პარკში წაგვიყვანა. იაპონელებმა უკვე რამდენიმე წელია ააშენეს ამერიკული დისნეილენდის მსგავსი პარკი, ოღონდ უფრო უკეთესი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვეს. რას არ ნახავთ აქ! პარკში დადიან და ბაუშვებს ესალმებიან: გნომები, მიკიმაუსები და მულტფილმებისა და ზღაპრების სხვა გმირები. შეგიძლით ხომალდით გაისეირნოთ კოსმოსში, ჯუნგლებში, ნახოთ ხმელთაშუა ზღვის მეკობრეების ბრძოლა, იმოგზაუროთ შიშის სამყაროში, წყალქვეშ ნახოთ ძველებური ციხე–კოშკები, ნავებით იმოგზაუროთ თოჯინების სამყაროში, მოუსმინოთ ფრინველეთა და ცხოველთა სიმფონიურ ორკესტრს, ნახოთ ათასნაირი ატრაქციონი და, ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამ. ყოველივე ეს ისეთ დონეზეა გაკეთებული, რომ საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს.

პარკიდან გაოგნებული გამოვედით და ჩვენი ბავშვები შეგვეცოდა. მსგავსი გასართობი კი არა, ჩვენს ბავშვთა სამყაროში ნორმალურ სათამაშოსაც ვერ იშოვით. მგონი, ზოგიერთი მათგანი II მსოფლიო ომამდელი მოდელისაა.

ტოკიოში ბოლო კონცერტი 20 იუნისს გაიმართა. მაყურებელთა უმეტესობა ინვალიდი იყო, ისინი დარბაზის წინა რიგებში ისხდნენ ინვალიდის საგორავებზე. საკონცერტო დარბაზებში ისინი მოჰყავთ სპეციალური მანქანებით. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მათთვის სპეციალური ტუალეტებია გაკეთებული. ინვალიდები ყველგან დიდი ყურადღებით და პატივისცემით სარგებლობენ, სახელმწიფო უდიდეს სახსრებს ხარჯავს მათთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ უსინათლოებს. მთელს იაპონიაში ტროტუარების შუა სავალ ნაწილზე ამობურცული, დაკბილული ფილებისაგან გაკეთებულია ბილიკები. მასზე ფეხის შეხებით უსინათლოს შეუძლია შეუცდომლად იაროს ქუჩებში. გადასასელელებზე შუქნიშნებში ჩამონტაჟებულია სპეციალური აპარატი, რომელიც გამოსცემს გუგულის ხმას. ეს ხმა უსინათლოს მიანიშნებს, რომ მწვანე შუქი აინთო და მას შეუძლია თავისუფლად გადავიდეს გადასასელელზე.

ასეთივე ბილიკებია დაგებული მატარებლის სადგურის ბაქნებზე, მეტროსა და ავტობუსის გაჩერებებზე. მაიზე ფეხის შეხებით უსინათლოები გრძნობენ, რომ იმის იქით გადასვლა აღარ შეიძლება. ასეთი ბილიკების მეშვეობით მთელს იაპონიაში ბრმები თავისუფლად დადიან სხვებისაგან დაუხმარებლად.

კონცერტის შემდეგ ჩვენმა მეგობარმა კაკო სანმა თავის ოჯახში მიგვიწვია. მას ყველაფერი ქართულად ჰქონდა მოწყობილი, სუფრაც ქართული გაგვიშალა. იგი მშვენიერად დაუფლებია საქართველოში კერძების დაშხადების ხელოვნებას. სუფრას არ აკლდა ლობიო, ბადრიჯნისა და სხვა ბოსტნეულისაგან დაშხადებული კერძები, ჩახოხბილი, საცივი, როცა კაკო სანმა ხინკალი შემოიტანა, ჩვენი ბიჭები ტაშით შეეგებნენ არაჩვეულებრივ დიასახლისს.

ჩვენთან ერთად იყვნენ ქართველი მხატვარი ეთერ ჭკადუა და მისი მეუღლე კევინ დუიტი – ენათმეცნიერების დოქტორი, ეროვნებით ამერიკელი. იგი მუშაობს ტოკიოს უნივერსიტეტში, სადაც სპეციალურად მოიწვიეს ამერიკიდან და კითხულობს



იაკონია სუმოისტი ლევან ცაბურია და ანსამბლი „რუსთავი“, 2004 წ

ლექციებს ქართულ გრამატიკაში, ქართული ენის ისტორიული წარმოშობისა და ქართული დიალექტების შესახებ. ამჟამად სვანურ ფილოლოგიურზე მეშვიდის, ათასი-ნელ სტუდენტებს ასწავლის ქართულ ენას.

კეკონმა თბილისში გაიარა სტაჟირება, იგი კარგი ენათმეცნიერია და საქართველოსა და ქართული კულტურის დაუცხრომელი პროპაგანდისტი.

ტოკიოში ჩვენი ყოფნის დროს ეთერი და კეკონი თითქმის სულ ჩვენთან იყვნენ. ჩვენს ყველა კონცერტს დაესწრნენ, გარდა ერთისა. 20 იანვრის ტოკიოს ერთ ერთ ცნობილ საკონცერტო დარბაზში კონცერტი გამართა მსოფლიოში სახელგანთქმულმა მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ. „ასეთი წარმატება ტოკიოში ალბათ არც ერთ მომღერალს არ ღირსებია. მაყურებელმა ფეხზე ადგომით ოვაცია გაუმართა მარტო-ლაც იშვიათი ხმით დაჯილდოებულ ჯადოქარ მომღერალს“ – გვითხრეს ეთერმა და კეკონმა.

კონცერტის შემდეგ პაატას დაეურეკე, იგი მაშინვე მოვიდა შვილთან – შუქრისთან ერთად. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. პაატა, საქართველოს დიდი ხნის დანატრებული, გვეკითხებოდა ყველაფერზე, რაც მისი წამოსვლის შემდეგ მოხდა. მან ამჯერად თავს უფლება მისცა და ქართული ღვინით, რომელიც აგრეთვე ძალიან მონატრებოდა, კარგა ხანს გავაგრძელეთ ქეიფი.

დილით ერთშანეთს დავცილდით. პაატა ავსტრიაში გაემგზავრა, ხოლო ჩვენ კუნძულ კიუსიუზე.

გაფრინდით ამერიკული ფირმის თვითმფრინავით „ბოინგ 747“-ით. ეს არის უზარმაზარი მანქანა 630-ზე მეტი ადგილით, ორსართულიანი, რამდენიმე სალონით, კინოეკრანებით, ბარით, მოკლედ თანამედროვეობის საუკეთესო ტექნიკით აღჭურვილი. თვითმფრინავის აფრენა-დაფრენას კინოეკრანებზე აჩვენებენ ისე, რო-გორც ამას ხედავენ პილოტები კინოეკრანზე; სხვა, მრავალნაირი გასართობი პრო-გრამაცაა. საკარძლებს შორის დიდი ადგილია. მგზავრებს შეუძლიათ თავისუფლად

მოისვენონ. აქვეა ჩამონტაჟებული რადიოყურსასმენები, რომელთა მეშვეობით ყველა ჟანრის მუსიკა შეგიძლიათ მოისმინოთ. მომსახურება „ბოინგ 747“–ში (ისე, როგორც ყველგან) არანაკლებრიცხვია. შერჩეული ლამაზი ბორტგამცილებლები ღიმილით გესალმებიან და მადლობას გიხდიან იმისათვის, რომ მათი თვითმფრინავით მგზავრობთ, შემდეგ ჩამოარიგებენ ცხელ–ცხელ სტერილურ ხელსაწმენდებს და შოკოლადისებრ საჭმელ–სასმელი.

თვითმფრინავში არის სამედიცინო სამსახურიც. ერთი სიტყვით, ისეთი იშვიათი კომფორტია, რომ მგზავრებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი. საინტერესოა, რომ მთელს იაპონიაში, პატარა ტრასებზეც კი, დიდი თვითმფრინავები დაფრინავენ. იაპონელებს გათვლილი აქვთ, რომ ხარჯი ასე გაცილებით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ არასოდეს არის ბილეთის პრობლემა, რა დროსაც გნებავთ. შეგიძლიათ აეროპორტშივე აიღოთ ბილეთი ნებისმიერი მიმართულებით. ამასთან, იქ არასდროს არის აეროპორტის შენობები ხალხით გაჭედილი, როგორც ჩვენთან, რამდენიმე დღე–დამე რომ ელოდებიან სანუკვარ ბილეთებს განუსაზღვრელი ფასის საზღაურად. ვერსად ნახავთ აეროპორტის იატაკებზე მწოლიარე მძინარე ქალებსა და ბავშვებს, რომელთა მამები საათობით დგანან რიგში თბილი სასმელი წყლისა და ძველი ბუტერბროდებისათვის. იაპონიაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ხალხმა ადამიანურად იმგზავროს.

კიუსიუზე ერთი კონცერტი გავმართეთ და მეორე დილით პოკაიდოზე გადავფრინდით. იქ, ქ. ობიხიროში, დაგვხვდნენ სსრ კავშირ–იაპონიის მეგობრობის წარმომადგენლები ტრანსპარანტებითა და ყვავილებით. ტრანსპარანტს ქართულად ეწერა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, რუსთაველებო“ შემდეგ მასპინძლებმა „სულიკო“ შეასრულეს ქართულად და სასტუმრომდე მიგვაცილეს.

კონცერტი საღამოს 7 საათზე იყო დანიშნული. იგი დიდხანს გაგრძელდა. „ბისებს“ ბოლო არ უჩანდა. მერე იაპონური სიმღერა ციმღერეთ ყეხზე დამდგარ მაყურებელთან ერთად. ბოლოს „სულიკო“ და როგორც იქნა, კონცერტი დამთავრდა.

დარბაზი დიდხანს არ იშლებოდა. მერე გაიმართა შეხვედრა მაყურებელთან. ფოიეში ბევრმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ყველას უნდოდა ჩვენთან ახლოს მოსულიყო, ხელით შეგვხებოდა, მოგვფერებოდა. იაპონელები ღიმილით, სიყვარულით შემოგვცქეროდნენ და შეკითხვებს შეკითხვებზე გვაძლევდნენ. შემდეგ თავიანთი აზრიც გამოთქვეს. პირველად სიტყვა აიღო ხანდაზმულმა მანდილოსანმა და თქვა, რომ იგი აღტაცებულია სიმღერებით. განსაკუთრებით მოეწონათ სოლისტი, რომელიც იდგა მარჯვნიდან მეორე (ანდრო გუგავა). შემდეგ გამომსყელებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართულ ცეკვებს. დიდი მოწონება დაიმსახურეს სოლისტებმა: ნინო ლაზიშვილმა და თამაზ კობახიძემ. ბევრი ქება ითქვა ომარ კელაპტრიშვილზე, რომელსაც „ვირტუოზი მაესტრო“ უწოდეს. მერე გვთხოვეს, კიდევ ერთხელ გვემღერა. სიმღერას სიმღერა მოპყვა. ბოლოს




იაპონია. ხიროკი კაკო და ანზორ ერქომაიშვილი, 2003 წ.

თაეიანთი ფოლკლორი მოგვასმენინეს. შემსრულებლებმა იაპონურ ნაციონალურ ინსტრუმენტზე (დიდ დოლზე, რომელიც ღვინის კასრს მოგვაგონებდა სიდიდითა და ფორმით) იაპონური რიტმები შეასრულეს. ამ ინსტრუმენტს გამაყრუებელი ხმა ჰქონდა, მაგრამ რიტმულად მეტად საინტერესო იყო, მასზე ერთდროულად უკრაცდა ორი შემსრულებელი. შეხვედრამ, მგონი, კონცერტზე მეტხანს გასტანა. სტუმართმოყვარე იაპონელები ღიმილით გვიკრავდნენ თაეს და მანამ იძახდნენ „დიმო არიგატოს“ (დიდი მადლობა), სანამ ავტობუსი თვალს არ მოეფარა.

მეორე დილით მატარებლით, ექსპრეს „ხიკარით“, გაეემგზავრეთ ქ. მორიში. „ხიკარი“ გველისფორმისაა და მაღალ სიჩქარეს ავითარებს. ბოლო მონაცემებით, ექსპრესის სიჩქარემ საათში 400 კმ–ს მიაღწია. ასეთი მატარებლისათვის იაპონიაში გაიყვანეს სპეციალური მაგისტრალები. პირველად ასეთი მაგისტრალი გაიხსნა 1964 წელს ტოკიოსა და ოსაკას შორის (553 კმ). ამ მაგისტრალზე აშენდა ხიდები, რომელთა საერთო სიგრძე 56 კმ–ია. გაიყვანეს გვირაბები, 68 კმ საერთო სიგრძით. გვირაბები და ხიდები გაყვანილია მოსახვევებისა და აღმართ–დაღმართების თაეიდან აცილების მიზნით. ახლა მთელი იაპონია დასერილია ასეთი მაგისტრალებით. იმის გამო, რომ ექსპრესებს დიდი სიჩქარე აქვთ და ახლო მანძილებზე არ ჩერდებიან, მაგისტრალი გაყვანილია სპეციალურ ხიდებზე, რომლებიც ქალაქების თავზე გადადის.

ექსპრესების ვაგონები მეტად კომფორტულია, სკამები აეტომატურად ბრუნდება მოძრაობის თანმხვედრი მიმართულებით. ასეთ მატარებელში არ არსებობს საძინებელი ვაგონები. ან რა საჭიროა, როცა 600 კმ–ის ტრასას 2–3 საათში ფარავს. ვაგონები თითქმის არ ინძრევა, რბილად დასრიალებს ლიანდაგზე. ასეთი ტრასები და ექსპრესები იაპონელებს დიდძალი თანხა დაუჯდათ, სამაგიეროდ მოიგეს დრო. წარმოეიდგინე, რომ ასეთი მატარებელი მანძილს თბილისიდან ბათუმამდე ერთ საათში დაფარავდა.



იაპონია. კიოტო 1990 წ.

იაპონიაში გამგზავრების წინ ოზურგეთს გავემგზავრე დეიდის სანახავად. ოზურგეთამდე მთელი ღამე ვიმგზავრეთ აუტანელ ბრახუნში, ჯუჯყიან საწოლებზე, სველ თეთრეულში გვეძინა (თუ ამას ძილი ჰქვია). მატარებელმა 3 საათით დაიგვიანა, შემდეგ მთელი დღე იდგა ოზურგეთის სადგურში. (იაპონიაში ერთ წუთს ვინ გააჩერებს მატარებელს უსაქმოდ). საღამოს იმავე მატარებელს გამოვყევი თბილისამდე. 5 საათით დავიგვიანეთ. კიდევ კარგი, ერთი დღე სარეზერვოდ ავიღე, თორემ იაპონიაში ვეღარ წავიდოდი.

იაპონიაში ყველაზე ძვირად ფასობს დრო, ამიტომ ტრანსპორტის განრიგს დიდი ყურადღება ექცევა და ტრანსპორტი არაჩვეულებრივი სიზუსტით მუშაობს. როგორც გვითხრეს, შარშან იაპონიაში მთელი წლის განმავლობაში მატარებლის დაგვიანება მხოლოდ რამდენიმე წუთს შეადგენდა. ვაგონების გასაჩერებელი ადგილი ბაქნებზე ნომრებითაა მინიშნებული და ყოველი ვაგონი ზუსტად თავის ნომერთან ჩერდება. (ამის გაკეთება ხომ ჩვენთანაც შეიძლება)! დიახ, ასეთი მატარებლით ვიმგზავრეთ ქ. მორამდე. ვაგონში ხალხი ცოტა იყო. შესასვლელიდან მარჯვნივ შავ პიჯაკებსა და ჰალსტუხებში სუფთად გამოწყობილი მამაკაცები ისხდნენ. ჩვენ მათ ახლოს მოვთავსდით. გასასვლელი კარის თავზე ელექტრონული ტაბლო იყო, სადაც აღნიშნებოდა ზუსტი დრო და ახლომდებარე ქალაქი, რომელთან მიახლოებასაც მუსიკალური სიგნალი გაცნობებდათ.

მატარებელი დაიძრა, სიჩქარე მალე აიღო და ისეთი სისწრაფით გაქანდა, თვითმფრინავი რომ აიღებს ხოლმე, სანამ მიწას მოწყდება. ფანჯრიდან ბრინჯის ყანები მოჩანდა. ყანები წყლით იყო დაფარული და უკაცრიელი ჩანდა. კვლები ნახაზებით ზუსტად იყო გაყვანილი, მატარებლის ბორბლების ხმაური ძლივს აღწევდა ჩვენამდე. ვაგონში სიჩუმე სუფევდა.

„ჩემო კარგო ქვეყანავ" – უცბად წამოიწყო ღიღინით ლადო თანდილაშვილმა. „რაზედ მოგიწყენია" – აჰყვა ტარიელ ონაშვილი და სიმღერამ მოიცვა მთელი ვაგონი. როცა სიმღერა გათავდა, ანაზდეულად გადავხედე ჩვენ უკან მჯდომთ. ბევრი მათგანის თვალებზე ცრემლი შევნიშნე. მატარებელი მიპქროდა, ბრინჯის ყანები თოვლიანმა მთებმა შეცვალა. ალბათ ამ მთებმა თუ გაახსენეს სვანეთი ბონდო გუგავას, რომელმაც ძველი სვანური მგზავრული „ლაჟღვაშ" წამოიწყო. „შაიდილი ვოო, ისგვამი ვო", – გუგუნებდა ვაგონი. ბიჭები გატაცებით მღეროდნენ. სიმღერა დამთავრდა. ჩვენი მეზობელი მგზავრები ანთებული თვალებით გვიცქეროდნენ და ადგილიდან არ იძროდნენ. რამდენიმემ ტაშის დაკვრა სცადა, ტაშთან ერთად ლითონის ჩხრიალი გაისმა. „პატიმრები!"– უცბად წამოიძახა ფრიდონ სულაბერიძემ და მხოლოდ ახლა შევნიშნეთ, რომ ჩვენს მეზობელ შავკოსტუმიანებს ხელებზე რკინის ბორკილები ედოთ. ბევრ მათგანს სახეზე ნაიარევი ემჩნეოდა. ხოლო რამდენიმეს ახლახან შეხორცებოდა ჭრილობა.

იაპონიაში ფასდამახინჯებისა და წონაში მოტყუებისათვის არაყის იჯურენ (ასეთი რამ არ არსებობს), ჩვენი თანამგზავრები, როგორც შემდეგ მათმა გაცილებელმა გვითხრა, ბანდიტური მაფიის წევრები აღმოჩნდნენ. როცა „ნანა" ვიმღერეთ, ისევ აკიაფდა ცრემლები ნაიარევ სახეებზე. ვინ იცის, დედა თუ გაახსენდათ. მათ, ალბათ, გუმანით იგრძნეს ამ სიმღერის ხასიათი და შინაარსი. მერე „სულიკო" ვიმღერეთ. მატარებელი გზას მიიკლეჭდა ბრინჯის ტბორიან ყანებში, მღეროდა „რუსთაველი" ღაპაღუპით სდიოდათ ცრემლი პატიმრებს, რომელთაც, ვინ იცის, წინ რა ელოდათ...

ელექტროსაკრავმა გამოგვაფხიზლა. ტაბლოზე აკიაფდა ქალაქი შორი, სადაც

უნდა ჩაესულიყავით. მატარებელი მხოლოდ ერთ წუთს ჩერდებოდა. ჩვენ სასწრაფოდ წამოვიშალეთ. „ბაი–ბაი“,– ინგლისურად დაგვემშვიდობნენ ტუსაღები, რომლებმაც ჩვენი არც ვინაობა იცოდნენ და არც ეროვნება. „დომო არიგატო“ ისინი ფანჯრებიდან გულწრფელად უხდიდნენ მადლობას ბაქანზე მიმავალ მომღერლებს, რომლებმაც მათთვის უჩვეულო კონცერტი გამართეს.

მატარებელმა უცბად აიღო სიჩქარე და ფანჯრებთან ერთად მათი ნაირაირები სახეებიც გაქრა.

სადგურზე ისევ ქართული ტრანსპარანტებით დაგვხვდნენ იქაური მეგობრობის საზოგადოების აქტივისტები. მერე წრე შეკრეს და „სულიკო“ იმღერეს, როცა სიმღერას მორჩნენ, მდაბლად დაგვიკრეს თაყვანი, „დომო არიგატო“ გვითხრეს და სასტუმრომდე მიგვაცილეს.

კონცერტი დანიშნული იყო ქ. მორიდან 100 კმ–ის დაშორებით, პატარა დაბაში, რომელიც თავისი ადგილმდებარეობით ქეიშხეთს გვაგონებდა. საკონცერტო დარბაზი ამ პატარა დაბაში ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით იყო აშენებული. კონცერტამდე საკმაო დრო გექონდა. მე და ფრიდონ სულაბერიძე ქუჩაში გავედით. აქ ყველაფერი ისევე იყო, როგორც ტოკიოსა და სხვა დიდ ქალაქებში: რეკლამები, რეკლამები... მაღაზიები გადაჭედილია პროდუქტებით და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით. ისეთი საოჯახო ტექნიკა იყიდება, დიასახლისს თითქმის ხელის განძრევაც არ დასჭირდება. იმდენნაირი ტექნიკური საშუალება არსებობს, რომ ჩვენ ვერც მოვიფიქრებდით, რომ ასეთი რამ შესაძლებელია. იყიდება მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმების ავტომანქანები, ავტობუსები, ტრაქტორები და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ყველანაირი ტექნიკა. აქაც სისუფთავე, სისუფთავე...

ესეც შენი დაბა, – თქვა ფრიდონმა. – მე ადრეც ვყოფილვარ იაპონურ და სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სოფლებში, იქ განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის არ არის. სოფელში ყველაფერია, რაც უდიდეს ქალაქებში არსებობს. ამას ემატება უფრო მაღალი ხელფასი, ლამაზი ბუნება და სუფთა ჰაერი, რაც ასე აკლია დიდ ქალაქებს.

ჩვენ თან პრესის საშუალებით ვლანძღავთ და მასხრად ვიგდებთ მათ, ვინც მშობლიური კერა მიატოვა და ქალაქში ჩამოვიდა ადვილი ცხოვრების საძებნელად. მაგრამ რა ქნან, მობეზრდა ხალხს ტალახსა და სიცივეში ცხოვრება. 70 წლის განმავლობაში შეცდომებს შეცდომებზე ვუშვებდით. სოფელმა თავისი სახე დაკარგა და ახლა ყველაფრით ქალაქზეა დამოკიდებული. შევუქმნათ სოფელში ხალხს ისეთი საცხოვრებელი პირობები, როგორიცაა იაპონიაში და გარანტიას გაძლევთ, რომ თბილისში ხალხის ჩამოყვანა სახვეწარი გაგვიხდება.

მორიგი კონცერტი ქალაქ მორში გავმართეთ. სანამ მსახიობები კოსტიუმებს იცვლიდნენ, მე საკონცერტო დარბაზიდან გამოვედი, იქვე უმაღლეს დონეზე აშენებული საცურაო აუზი იყო. მოხუცი იაპონელი მინიატურული ტრაქტორით ბალახს კრეჭდა.

– „ზდრავსტვუი, ტავარიშჩ“ – მითხრა მან, როცა ახლოს ჩამოვუარე და ტრაქტორი გამორთო. „მე ვიყავი თქვენს კონცერტზე და ძალიან მომეწონა. არ მეგონა, თუ რუსებს ასეთი კარგი სიმღერები და ცეკვები ჰქონდათ“ მერე იქვე სავარძელზე ჩამოჯდა, სიგარეტი ამოიღო და შემომთავაზა. იგი საკმაოდ გასაგები რუსულით ლაპარაკობდა.

მე ვუთხარი, რომ ჩვენ რუსები არა ვართ და, რაც შემეძლო, საკმაოდ კარგად ავუხსენი განსხვავება ჩვენსა და რუსებს შორის.



იაპონია 2003 წ

...ახლა არ გამიკვირდა" წელი ისას შეძლეგ სახალინზე გავატარე. ისეთ კიეავე და ეკ მსგაეხი რამ არ გამიგონია. ბევრი ხალხი დაიხოცა მაშინ. ძძაძელ ამითიხრა მოხუცმა. აუტანელ პირობებში გვიხლებოდა მუშაობა ყველაზე მძიმე მაინც საბჭოთა პოლიტიკური პატიმრები ცხოვრობდნენ. ეკ ბევრი დიდად განათლებული ხალხი იყო. ძე მათ ვიცნობდი. ჩვენ ცალ ცალკე ვცხოვრობდით, მაგრამ სამუშაოზე ხშირად ეხვლებოდით ერთმანეთს. შერე ერთნი მიჰყავდათ და სხვები მოჰყავდათ. ბევრა, ბევრი ხალხი გაიყლიტა. დამათ სროლის ხმა გვესმოდა. თუმცა გვიმალავდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვიგებდით, რომ ხალხი უმიწყალოდ იყლიტებოდა. მძიმე დრო იყო. შერე ტყვეობიდან გაგვანთავისუფლეს, მაგრამ წაგვართვეს სახალინის ნახევარი და კურილეთს კუნძულების ნაწილი. ეს მიწები ისტორიულად ჩვენ გვეკუთვნოდა და უნდა დაგვებრუნოთ. ახლა დიდი გამოსვლებია იაპონიაში, წართმეული მიწების დაბრუნებას მოითხოვენ"

მოხუცმა მცირე პაუზა გააკეთა, დაელოდა, რას ვეტეოდი. როცა მიხედა, რომ არ ეაჰარებდი მათეის წართმეული მიწების დაბრუნებას, გააგრძელა: „გორბაჩოვი ჭკვიანი კაცია. ყველასთან გამოსახა საერთო ენა. ცდილობს ძველი რეჟიმი დაანგრიოს და ხალხს თავისუფლება მისცეს. მარტო ის რად ღირს, რომ ამერიკა შეძოიწვია. ამერიკასთან ხიუბი არაეის არგებს. ჩვენც არ ვიყავით მართალი მათთან, გაუფრთხილებლად რომ დაეეხით თავს და ერთ ღამეში მთელი ფლოტი ჩაძირეთ. 4 წლის შემდეგ ატომური ბომბები ჩამოგვაგდეს, თუმცა არ უთქვამთ, რომ ამით სა-

მაგიერო გადაგვიხადეს. სტალინმა კი თავი ვერაფრით შეიკავა: „ჩვენ ამ დღეს 42 წელი ველოდებოდით“. თქვა მან 1945 წლის სექტემბერში. ჩვენ ბედნიერება გვხვდა წილად, რომ ამერიკელებმა მოახდინეს ჩვენი ოკუპაცია და არა რუსებმა. მათ ბევრი რამ გვასწაელეს, დანგრეული ქვეყანა აგვიშენეს, სახელმწიფო წყობილება გაგვაჯანსაღეს, მერე ყველაფრის უფლება მოგვცეს, ამას დაემატა იაპონური შრომისმოყვარეობა და მიაღწეთ ასეთი ქვეყანა. ვინც ამერიკას არ დაუჯერა და წაეჩხუბა, ყველამ წააგო. აგერ მაგალითი: ავიღოთ ჩრდილო და სამხრეთ კორეა. ჩრდილო კორეა დემოკრატიული სახელმწიფოა და შიმშილით კვდება, სამხრეთ კორეაში ცხოვრების ისეთი დონეა, რომ იაპონიასაც შეშურდება. ან კიდევ კიეტნამი! არ ჯობდა შეხოვნებულიყვნენ ამერიკელები? სამაგიეროდ კარგი ცხოვრება ექნებოდათ, დღეს რომ შიმშილით იხოცებიან.

კარგი ცხოვრება უშრომლად არ მოდის. იაპონიაში ვინც როგორ მუშაობს, ისე ცხოვრობს.

უშრომლად ქვეყანა არ აშენდება. აქ ყველამ იცის, რომ ვინც არ იშრომებს, შიმშილით მოკვდება. ამიტომ შრომა სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. ჩვენ ძალიან ბევრს ვშრომობთ, მაგრამ სამაგიეროდ ანაზღაურებაც კარგი გვაქვს. მთავარი ესაა“

ანსამბლის წევრები უკვე გამოსულიყვნენ და ავტობუსში სხდებოდნენ. მე დავემშვიდობე ესწყლიან მოხუცს. „დომო არიგატო“, მიპასუხა და კეთილად დამიქნია ხელი. გორბაჩოვს წარმატებას ვუსურვებ „პერესტროიკაში“ მიმაძახა მიმავალს.

მეორე დილით ავტობუსით გავემგზავრეთ ქ. ხიოგო კობეში. „დომო არიგატო“! ავტობუსის კარებთან დაგვხვდა მომღიმარი იაპონელი გოგონა, რომელიც ანსამბლის წევრებს სათითაოდ, მდაბლად უკრავდა თავს. „ჩემი სახელი მიხაკოა, მძღოლი ბატონი ტაკაჰაა“ გვითხრა ქალიშვილმა. მძღოლმა თეთრი ხელთათმანები გაისწორა, ფეხზე ადგა და მდაბლად დაგვიკრა თავი.

აქ წესად არის მიღებული, ავტობუსებზე გამცილებლებად მუშაობენ სპეციტანსაცმელში გამოწყობილი ლამაზი ქალიშვილები, რომელთა მოვალეობა მგზავრების გართობაა.



იაპონია. 2003 წ.

გარეთ ცხელოდა, ავტობუსში კი სიგრილე იყო. მძღოლის თავს ზემოთ და ავტობუსის შუაში ორი ტელევიზორი კიდია. წინ სამი საათის გზა გვქონდა.

მიხაკომ ვიდეოფილმები შემოგვთავაზა. ფილმების შემდეგ გამცილებელმა გაგვაცნო იმ მხარის ისტორია, კულტურა და ტრადიციები, სადაც ჩვენ მივემგზავრებოდით. ბოლოს გვითხრა, რომ თუ ნებას დავრთავდით, რამდენიმე იაპონურ სიმღერასაც გვიმღერებდა.

ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდით. მიხაკომ მიკროფონი აიღო. გაისმა ლამაზი სოპრანისტრი

შესავალი, მერე ქალიშვილმა თვალები მილულა და ძალიან ნაზი ლირიკული სიმღერა შეასრულა. ჩვენ ძალიან მოგვეწონა და ოვაცია გავუმართეთ. ჩვენი თხოვნით მიხაკომ კიდევ რამდენიმე სიმღერა შეასრულა. რითაც ჩვენი გულითადი მადლობა დაიმსახურა. საინტერესოა, რომ ავტობუსის გამცილებლებს მაგნიტოფონზე ჩაწერილი აქვთ სიმღერების მხოლოდ აკომპანემენტი ორკესტრის შესრულებით, რომელსაც შემდეგ მიკროფონით თავის ხმას აყოლებენ და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ორკესტრი იქვე ზის და მომღერალთან ერთად ასრულებს სიმღერას. ავტობუსში შესანიშნავი ფონოაპარატურა დგას.

ავტობუსი თანაბარი სიჩქარით მოძრაობდა და თითქმის არ ირხეოდა.

როცა ავტოსტრადაზე გავდიოდით, მძღოლმა სპეციალურ ჯიხურში ფული გადაიხადა. ავტოსტრადა ფასიანია. გადასახადი არც ისე დიდია, მაგრამ იმდენი მანქანა მოძრაობს, რომ დიდძალი თანხა გროვდება. ეს თანხა გზის მშენებლობას ხმარდება, ამიტომ გზები არაჩვეულებრივია. მოძრაობა ცალმხრივია, შეგიძლიათ დიდი სიჩქარე განავითაროთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ გზაზე ორმო კი არა, პატარა კენჭიც არ შეგხვდებათ. ასეთი გზა უსაფრთხოა, არც მგზაური იღლება, მანქანაც დიდხანს ძლებს და, რაც მთავარია, დროს იგებთ, რაც ყველაზე ძვირად ფასობს იაპონიაში. მართლაც სასწაული უნდა მოხდეს, ასეთ გზაზე ავარია რომ მოგიხდეთ.

იაპონიის გზებზე თვალს გტაცებთ მგზავრების დასასვენებელი სპეციალური სადგომები სასაუზმოდ, გასაგრილებლად. ყოველ 10 კმ-ზე წარწერაა – „ტუალეტი“

—„დომო არიგატო“, ღიმილით დაგვეშვიდობნენ მძღოლი და გამცილებელი ქალიშვილი, მათ მადლობა გადაგვიხადეს, რომ ჩვენ მათი ავტობუსით ვიმგზავრეთ.

კონცერტის შემდეგ ისევ შევხვდით მაყურებლებს. მათ ყველაფერი აინტერესებდათ. დიდი ჯაფა დაადგა ჩვენს ქორეოგრაფს ფრიდონ სულაბერიძეს. მას მოუხდა თითოეული ილეთის ჩვენება. მოცეკვავე სოლისტს გია განუგრავას ცერებს უსინჯავდნენ და ეკითხებოდნენ, როგორ შეუძლია ამდენ ხანს ცერებზე დგომა. გოგონებს ნინო ლაზიშვილი გაეყვანათ და სთხოვდნენ ეჩვენებინა ახლოდან ზოგიერთი რამ, რასაც სცენაზე აკეთებდა.

აღფრთოვანებული ადგილობრივი გუნდის წევრები ქართული სიმღერის ფირფიტებსა და ნოტებს თხოულობდნენ. მერე ყველამ ერთად ვიმღერეთ „სულიკო“ და „აკა-ტომბა“. „სულიკო“ პირდაპირ ჰიმნად გადაიქცა.

ომარ კელაპტრიშვილს ფეხის გადადგმის საშუალებას არ აძლევდნენ. სთხოვდნენ კიდევ ერთხელ ეჩვენებინა თავისი ვირტუოზული ტექნიკა.

მოკლედ, ჩვენს შემსრულებლებს ამდენი ჯაფა მგონი სცენაზეც არ დასდგომიათ.

გვიან ღამემდე გაგრძელდა შეხვედრა. მერე, როცა ავტობუსისაკენ გავეშართეთ, იაპონელებმა ცოცხალი ღერეფანი გააკეთეს და მდაბლად გვიხრიდნენ თაყვანს – „დომო არიგატო“, „საიანარა“ (ნახვამდის), გვეშვიდობებოდნენ ღიმილით.

ფუკუოკა ერთ-ერთი ლამაზი და მნიშვნელოვანი ქალაქია იაპონიაში. იქ კონცერტი იყო დაგეგმილი საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც გაიხსნა მარტის თვეში და გაგრძელდება ნოემბრამდე. გამოფენას დიდი ტერიტორია აქვს დათმობილი. აშენებულია რამდენიმე პავილიონი, სადაც ბევრი ქვეყნის ექსპონატებია წარმოდგენილი. გამოფენაში მონაწილეობდნენ: საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი,

სსრ კავშირი, ჩინეთი, კორეა, პონ–კონგი, მექსიკა, არგენტინა, იაპონია, ინდოეთი, არაბული ქვეყნები და სხვ.

გამოფენის მომსახურე ქალიშვილების შესარჩევად კონკურსი ჩატარდა. 1500-დან შეარჩიეს 500 ქალიშვილი, რომლებიც მომხიბვლელი ღიმილითა და საოცარი გულისხმიერებით ემსახურებოდნენ სტუმრებს. გამოფენის დირექცია ყოველ დილით იწვევდა მომსახურე პერსონალს და უტარებდა ინსტრუქტაჟს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ გამოფენის დამთვალიერებლებს. ღიმილი, მხოლოდ ღიმილი და კეთილგანწყობილება ჩანდა მომხიბლავი ქალიშვილების სახეზე. გაკვირვება, ადამიანები ცხოველებისაგან იმითაც განსხვავდებიან, რომ გაღიმება შეუძლიათ. ეს შეიგნეს იაპონელებმა და სულ იღიმებიან. არც ჩვენი დედაქალაქის მომსახურე პერსონალს „აწყენდა“ ასეთი ღიმილი...

აღნიშნულ საერთაშორისო გამოფენაზე სსრ კავშირი წარმოდგენილი იყო ალმოსაველეთ ციმბირით. პავილიონის შესასვლელთან იდგა უზარმაზარი მურა დათვის ფიტული, ცოტა მოშორებით მამონტის ჩონჩხი, შემდეგ ციმბირში მობინადრე კიდევ რამდენიმე ცხოველის და ფრინველის ფიტული. დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ციმბირულ ბეწვეულს, რაც მართლა კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. ამ განყოფილებას მუდამ ბევრი მაყურებელი ჰყავდა. ცოტა მოშორებით გამოფენილი იყო საბჭოთა ტექნიკა, კერძოდ: რადიო, ტელევიზორები და ვიდეოაპარატები, რაც, ცოტა არ იყოს, მაყურებელთა ღიმილს იწვევდა. ისე როგორც სხვა პავილიონებში, სსრ კავშირის პავილიონშიც იყო საუკეთესო განყოფილება, სადაც იყიდებოდა სუვენირები. რუსულ სუვენირებთან ერთად იყიდებოდა ქართული ღვინოები: „წინანდალი“, „გურჯაანი“ და „მუკუზანი“ იაპონელებს უყვართ მშრალი ღვინოები მოსწონთ. მათ სურვილი აქვთ დიდი რაოდენობით შეიძინონ ქართული ღვინოები.

ჩვენი პირველი კონცერტი გაიმართა დღის პირველ საათზე ერთ–ერთ პავილიონის ღია ესტრადაზე. ქ. ფუკუოკაში ტოკიოდან სპეციალურად ჩამოვიდა ჩვენი დიდი მეგობარი – ქალბატონი კაკო სანი.

გამოფენაზე ყოველდღე რამდენჯერმე გამოდიოდა გაზეთი, რომელიც ახალ ამბებს გვაძლევდა. მოხდა საინტერესო რამ: კონცერტი კახური „მრავალჟამიერით“ დავიწყეთ. მერე ცეკვა „განდაგან“ შევასრულეთ და სანამ მორიგ ნომრად ძველ ქართულ საგალობელს ვმღეროდით, კულისებში მომიტანეს გაზეთი. სადაც უკვე დაებეჭდათ ჩვენი მოღვაწეობის ფოტოები, რომელსაც თან ახლდა მოკლე ინფორმაცია „რუსთავის“ შესახებ. ჩვენთვის დაუჯერებელი იყო რამდენიმე წუთში გაზეთის გამოშვება, მაგრამ ფაქტი სახეზე იყო!



იაპონია. ტოკიო 2003 წ.

სიმღერის ხმა რომ გაიგონეს, გამოფენის დამთვალიერებლები ჩვენკენ წამოვიდნენ. ცოტა ხანში პავილიონთან ტეკა აღარ იყო. კონცერტი რადიოფიცირებული იყო და მთელი გამოფენის ტერიტორიაზე ისმოდა.

მეორე კონცერტი საღამოს 7 საათზე იწყებოდა. დიდ საკონცერტო დარბაზში, რომლის კონსტრუქცია აღტაცებას იწვევდა მნახველებში. აქ მთელი დღის განმავლობაში გამოდიოდნენ ანსამბლები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ჩვენ რამდენიმე მათგანი ვნახეთ, იაპონიის და მექსიკის ანსამბლებმა მოწონება დაიმსახურეს. პირველმა კონცერტმა ერთგვარი რეკლამა გაგვიკეთა და მაყურებელი უდიდესი ინტერესით ელოდებოდა ჩვენს მორიგ გამოსვლას. კონცერტის წინ ჩვენთან მოვიდნენ ქ. ფუკუოკას ტელევიზიის წარმომადგენლები და ინტერვიუ აიღეს ანსამბლის წევრებისაგან. საღამოს კონცერტს ტელევიზია იღებდა. პირველი კონცერტის შემდეგ გამოფენაზე იყიდებოდა თეთრი პერანგები, რომელსაც წინა მხარეს ინგლისურად ეწერა „რუსთაველი", ხოლო ზურგზე ქართულად „საქართველო" და ქართულ ორნამენტებში ხანჯალი იყო ჩარჭობილი. ეს პერანგები „როონმა" სპეციალურად გამოუშვა ჩვენი გასტროლების დროს. მათზე დიდი მოთხოვნილება იყო, განსაკუთრებით მათგან, ვინც ჩვენს კონცერტს დაესწრო.

საღამოს კონცერტმა დასაწყისშივე მაყურებელთა ოვაცია გამოიწვია. საინტერესოა, რომ სცენის უკან დიდი ეკრანი იყო, სადაც კონცერტის მსვლელობის დროს ტელევიზია აჩვენებდა მომღერალი და მოცეკვავე სოლისტების სახეებს მსხვილ პლანში. აჩვენებდნენ იმ დეტალებსაც, რომელიც მათთვის საინტერესო იყო. მაგალითად, კოსტიუმების ცალკეულ ნაწილებს. ნინო ლაზიშვილი სცენაზე თავდავიწყებით ცეკვავდა და ვერც კი ამჩნევდა, რომ მისი ღიმილიანი სახე ეკრანიდან არ ჩამოსულა მთელი ცეკვის განმავლობაში.

ცეკვა „სიმდის" დროს აჩვენებდნენ გია განუგრავას ცერებს, ხოლო ფარიკაობის შემდეგ, სანამ აღტაცებული მაყურებელი ტაშს უკრავდა, ეკრანზე შენელებულად აჩვენებდნენ ხმლებით ჭიდილს და ამ ჭიდილის დროს დაფრქვეულ ნაპერწკლებს.

ომარ კელაპტრიშვილის გამოსვლამ პირდაპირ ტრიუმფი გამოიწვია. მას დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან, ხოლო ეკრანიდან – მის მომღიმარ სახეს. მომღერლების სახე რიგრიგობით ჩანდა ეკრანზე, ხოლო სოლისტების სახეებს იმეორებდნენ. „ხასანბეგურას" დროს კრიმანჭულმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამიტომ მთელი სიმღერის განმავლობაში ეკრანზე რამინ მიქაბერიძეს აჩვენებდნენ. მათ აინტერესებდათ ახლოდან დაენახათ მისი არტიკულაცია და სასიმღერო მანერა.

საინტერესოა, რომ კონცერტს უცხოელი ტურისტებიც ესწრებოდნენ. ერთ–ერთმა ამერიკელმა ტურისტმა იცნო რამინ მიქაბერიძე, რომლის გამოსვლა თურმე ქ. ატლანტაში ენახა. კონცერტის შემდეგ იგი მეუღლითურთ მოვიდა რამინთან და მადლობა გადაუხადა.

კონცერტი გვიან დამთავრდა. ვინ იცის, რამდენჯერ განმეორდა ნომრები. „სულიკოსა" და „აკა–ტომბას" „რუსთაველი" ისევ მაყურებელთან ერთად მღეროდა.

დიდ ეკრანზე რიგ–რიგობით ჩანდა მოცეკვავეთა დაღლილი სახეები, რომლებსაც ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ.

კონცერტის შემდეგ ქ. ფუკუოკას სატელევიზიო ფირმის წარმომადგენლებმა ერთ–ერთ საუკეთესო იაპონურ რესტორანში დაგვპატიჟეს.

იაპონურმა სამზარეულომ, კიდევ ერთხელ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ლუდი „ასახი", რომელსაც ომარ კელაპტრიშვილმა ექსპრომტი მიუძღვნა:

„ბრინჯის ლუდი „ასახი“
წარმოგვიდგა სხვა სახით,
ქვეყნად არსად არ გაიშვას
ჩვენი ლუდის ნასახი“.

მეორე დღეს „რუსთავის“ ხელმძღვანელობა მიიღო ქ. ფუკუოკას მერმა. შეხვედრას დაესწრნენ იქაური ტელეეზიის ხელმძღვანელობა, მერის მოადგილეები და ქალბატონი კაკო სანი.

ქალაქის მერმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენს ხელოვნებას და მადლობა გადაგვიხადა. კაკო სანმა გამოთქვა აზრი, რომ საქართველოსთან ურთიერთობა დიდ სარგებლობას მოუტანდა ორივე მხარეს. ქალაქის მერი დაინტერესდა, რა დონეზეა ჩვენთან ჭიდაობის სახე ძიუ–დო. მე მოვახსენე, რომ ჩვენ გვყავს მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები, რომ თბილისში იმართება საერთაშორისო ტურნირები ძიუ–დოში, სადაც ყოველთვის მონაწილეობენ იაპონელი მოჭიდავეები.

– კარგი იქნებოდა, თუ თბილისი და ფუკუოკა დაძმობილდებოდნენ. ჩვენ ბევრ რამეზე შეგვიძლია მოვილაპარაკოთ. ვინაიდან თქვენთან ძიუ–დო ასეთი პოპულარული ყოფილა, შეგვიძლია მოვაწყოთ ტურნირები თბილისსა და ფუკუოკაში, – თქვა მერმა. მერე წერილიც შეადგინა და მთხოვა გადამეცა თბილისის მერის – ბატონი ირაკლი ანდრიაძისათვის, რომელსაც სტუმრად იწვევდა ფუკუოკაში. თუ თბილისელები მხარს დაგვიჭერენ, მზად ვართ თბილისთან დაძმობილდეთო, გვითხრა ქალაქის მერმა და დაგვემშვიდობა.

ქ. იამაგუტი, 120 000 მცხოვრებით, მთებში ლამაზადაა გაშლილი, ქალაქში დღის 12 საათზე ჩავედით. სასტუმროში მოვეწყეთ თუ არა, გვითხრეს, რომ ქალაქის მერი ელოდებოდა „რუსთავის“ ხელმძღვანელობას. მერმა მეტად გულთბილად მიგვიღო. მოგვიკითხა და იმედი გამოთქვა, რომ ქ. იამაგუტის საზოგადოებას ჩვენი ხელოვნება მოეწონებოდა. შემდეგ გვიამბო თავისი ქალაქის ისტორია, გვესაუბრა მისი ახლანდელი მიღწევებისა და კულტურის შესახებ და დაინტერესდა საქართველოს ახლანდელი მდგომარეობით. ქალაქის მერმა გადმოგვცა კონვერტი, რომელშიც 10 000 იენი იყო და გვთხოვა, რომ ეს თანხა გადაგვეცა სომხეთში მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდისათვის. ჩვენ დავემშვიდობეთ გულთბილ მასპინძლებს და საღამოთი კონცერტზე მოვიწვიეთ. ჩვენს შეხვედრას ადგილობრივი ტელეეზია იღებდა და, როცა სასტუმროში მოვბრუნდი, უკვე გადასცემდნენ ჩემს გამოსვლას. საკონცერტო დარბაზში ქალაქის ახალგაზრდობის წარმომადგენლები „სულიკოთი“ და ყვავილებით შეგვეგებნენ, კონცერტის შემდეგ შეხვედრა მოგვიწყვეს, სადაც ჩვენი ნაცნობები – „იამასიროგუმის“ გუნდის წევრებიც იყვნენ. აღმოჩნდა, რომ ამ გუნდის ათამდე წევრი ქ. იამაგუტში ცხოვრობს და იქიდან დადის რეპეტიციებზე ტოკიოში. ისინი გამონაკლისები არ არიან, – „იამასიროგუმის“ წევრები იაპონიის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ და, თანამედროვე სამგზავრო საშუალებების წყალობით, ტოკიოში მათი რეპეტიციებზე ჩამოსვლა 300 კმ–მდე და ზოგჯერ მეტი მანძილიდან, არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

იაპონელებმა სანაქებო შეხვედრა მოგვიწყეს. „იამასიროგუმის“ წევრებმა ქართული სუფრის წესი იციან, ამიტომ თამადა მოითხოვეს. ჩვენ ომარ კელაპტრიშვილი დავასახელეთ. თამადად მის არჩევას არანაკლები ტაშით შეხვდნენ, ვიდრე სცენაზე გამოსვლას.

სუფრა ქართულად წარიმართა. სუფრის წევრთა შორის იყო 2 წლის პატარა გოგონა, რომელიც დედას მკერდზე ჰყავდა მიხუტებული... ეს გოგონა „იამასიროგუ-



ტრაკიდ. ანსამბლი მოცეკვავე ქალები იაპონურ კიმონოებში. მარჯანიდან მესამე იამაშიროდ სოფლ 2003 წ

მის" ერთ ერთია წყვრის შეილი აღმოჩნდა. ოსარმა აღღეგრძელა სუფრის ყველაზე პატარა წყვრი, რომელსაც ამ დროს ღვდის მკერდზე ეძინა. ლადო თანდილაშვილმა „ნანა" წამოიწყო. „რუსთაველ" ღიღინებდა, გოგონას ეძინა. ოპონელები გატრუნული უსმენდნენ ამ საოცარ მელოდიას. სიმღერა დამთავრდა. თვალცრემლიანმა დედამ პირველმა დაარღვია სიჩუმე და თქვა, რომ მისი გოგონა ალბათ ახლა საოცარ სიზმრებს ხედავს. იგი მთელს ოპონაში ყველაზე ბედნიერია. რადგან მის ძილს შესანიშნავი სიმღერით ამკობენ სახელგანთქმული მოძღვრლები შორეული საქართველოდან, იმ ქვეყნიდან, სადაც ყველაზე მეტად იციან შვილიდობის ფასი. შერე შვილიდობის სადღეგრძელო დაილია. ამ სადეგრძელოს მოჰყვა ხორციმასა და ნაგასაკში დალუპულთა და 9 მარტსა და 9 აპრილს დაღუპულთა სადღეგრძელოები. ახლა ჩვენ ვიყავით თვალცრემლიანები და მათი სულის მოსახსენებლად ვგალობდით „სულთათანას" საგალობელი რომ დავამთავრეთ, უცებ ვიღაცამ დაიწყო „ქაარალალოო, ქართველო, ხელი ხმალს იკარ" ეს იყო „იამასიროგუმის" სოლისტი იაკიმა, რომელსაც ჯერ მისი გუნდის და შერე ანსამბლ „რუსთაველის" წევრები აჰყვნენ.

ჩვენი ბოლო კონცერტი ქ. ხიშეკში გაიმართა. ხიშეკი კუნძულ ჰონსიუზე მდებარეობს. ჩვენ იქ კუნძულ სიკოკუდან გადავედით. ამ მგზაურობის დროს საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ხიდმა, რომელიც სიკოკუს ჰონსიუსთან აერთებს. ხიდის სიგრძე 18 კმ-ია. იგი რამდენიმე ადგილას ეყრდნობა პატარა-პატარა კუნძულებს, რომლებიც სიკოკუსა და ჰონსიუს შორის მდებარეობს. ხიდის დანარჩენი ნაწილი დაკიდებულია. იგი ორსართულიანია. ზედა სართულზე მანქანები მოძრაობენ, ქვე-

ვით მატარებლები. ხიდიდან საოცარი პანორამა იშლება. თავისი კონსტრუქციით, სიგრძითა და სიმაღლით ეს ხიდი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს. როგორც გვითხრეს, იგი მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხიდია. მას 11 წელიწადს აშენებდნენ.

ქ. ხიმეჯში ჩვენს კონცერტს დაესწრო ცნობილი იაპონელი პოეტი და მთარგმნელი, ტენრის უნივერსიტეტის პროფესორი ოტანი ფუკასი. მან 200 კმ გამოიარა, რომ ჩვენი კონცერტი ენახა. ბატონი ფუკასი საქართველოს ხშირი სტუმარია, მას აქ ბევრი მეგობარი ჰყავს. იგი ახლა მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ იაპონურ თარგმანზე.

– იაპონელი მკითხველი „ვეფხისტყაოსანს“ მიიღებს მომავალ წელს, იაპონელებმა უნდა იცოდნენ ამ გენიალური ქმნილების შესახებ, – გვითხრა ბ–მა ფუკასიმ. მან მოკითხვა დაგვაბარა მწერლებთან გიორგი ციციშვილთან, ჯანსულ ჩარკვიანთან, მუხრან მაჭავარიანთან, გურამ ფანჯიკიძესთან, ირაკლი აბაშიძესთან და სხვებთან.

კონცერტის შემდეგ შეხვედრა მოეწყო ქ. ხიმეჯის მომლერალთა გუნდთან. მისი ერთ–ერთი წევრი ახალი დაბრუნებული იყო საქართველოდან, სადაც ტურისტული საგზურით იმყოფებოდა. იგი აღფრთოვანებული იყო საქართველოთი და ქართველი ხალხით. მას ჩვენთან ბევრი მეგობარი შეუძენია, მათი ფოტოებიც გადმოძცა და მთხოვა, ადრესატებისთვის გადამეცა. ერთ–ერთი მათგანი იყო ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი ბატონი რევაზ თაბუკაშვილი, რომლის შესახებ იაპონელი ტურისტი ლეგენდებს ყვებოდა.

ქ. ხიმეჯის გუნდმა მოგვასმენინა იაპონური სიმღერები. საინტერესოა, რომ მიუხედავად გვიანი ღამისა, გუნდის წევრ ქალებს ძუძუთა ბავშვები ჩანთით კისერზე ჰყავდათ ჩამოკიდებული. ბავშვებს ტკბილად ეძინათ, დედები კი მღეროდნენ. ასეთი რამ ჯერ არსად მინახავს.



იაპონია. 1990 წ.

ზიმეჯიდან ტოკიოში მატარებლით გავემგზავრეთ. გზაზე, სადაც ადრე კონცერტები გავმართეთ, ჩვენი მეგობრობის საზოგადოების წევრები სადგურებზე „სულიკოთი“ და ყვავილებით გვხვდებოდნენ. ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრები. რამდენი სითბო და სიყვარული გამოამჟღავნეს ჩვენ მიმართ — „დომო არიგატო“! – ხელს გვიქნევდნენ, სანამ მატარებელი თვალს არ მიეფარებოდა.

ტოკიოს სადგურში დაგვხვდნენ „იამასიროგუმის“ წევრები და მიგვიწვიეს თავიანთ სარეპეტიციო დარბაზში, სადაც დიდი სუფრა პქონდათ გაშლილი. „იამასიროგუმის“ წევრები ქართულ ჩოხებში იყვნენ გამოწყობილი და ისმოდა ორპირული ქართული სიმღერები იაპონელი და ქართველი მომღერლების შესრულებით.

ჩვენს რაიონებში, ქორწილებში ან სხვა საზეიმო შემთხვევასთან დაკავშირებულ სუფრებზე იშვიათად თუ გაიგონებთ ხალხურ სიმღერებს. ყურთასმენა აღარ არის დოლისა და კლარნეტის ჭყივტინისაგან... პირდაპირ საოცარია, იაპონელები, ამერიკელები, შვედები, გერმანელები და სხვა ცივილიზებული ერები დიდი სიყვარულით სწავლობენ და მღერიან ქართულ ხალხურ სიმღერებს, ჩვენ კი რაღაც მდარე მუსიკას ვამჯობინებთ. ბატონმა იამასიროთ უდიდესი შეფასება მისცა ქართულ სიმღერას და თქვა, რომ მისთვის ყველაზე დიდ შთაბეჭდილებად და საუკეთესო მოგონებად რჩება საქართველოში გატარებული დღეები და ქართველ მომღერლებთან შეხვედრა. იამასიროთ დიდი პატივით მოიხსენია ბატონი ვალერი ასათიანი, საქართველოს კულტურის მინისტრი, რომელმაც ბევრი კარგი საქმე გააკეთა საქართველო–იაპონიის შეგობრობისათვის და რამდენჯერმე მოიწვია „იამასიროგუმი“ ისინი მოუთმენლად ელოდებიან იმ დროს, როცა კელავ ესტუმრებიან საქართველოს.

ტოკიოში ბოლო ორი დღე თავისუფალი გვქონდა: ამიტომ ყველაფერი ვნახეთ და დავათვალიერეთ, რისი ნახვაც შეიძლებოდა.

10 ივლისს ფირმა „როონმა“ გამოსათხოვარი საღამო გაგვიმართა. შეხვედრაზე ჩვენთან ერთად დაპატიჟეს ბევრი სტუმარი, საქართველოს მეგობარი. მათ შორის იყო გამოჩენილი ფოლკლორისტი მინორუ მორიტა. რომელიც არაერთხელ ყოფილა საქართველოში, კარგად იცნობს ხალხურ ხელოვნებას, თანამშრომლობს კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრასთან. მან არაერთი საინტერესო სტატია მიუძღვნა ქართულ ხალხურ მუსიკას. ამ შეხვედრაზე ჩემ გვერდით იჯდა ფირმა „როონის“ დირექტორი ბატონი ტაკადა, რომელიც ჩვენი გასტროლების დროს მოსკოვში იმყოფებოდა ერთი კვირით. ბ–ნი ტაკადა რუსულად საკმაოდ კარგად ლაპარაკობს, ამიტომ ჩვენ თარჯიმნის გარეშე ვსაუბრობდით.

– „ძალიან მეცოდებით, – მითხრა ბ–ნმა ტაკადამ, – ერთი კვირა მოსკოვში ვცხოვრობდი სასტუმრო „როსიაში“ მეტი ვეღარ გაეძელი და დავბრუნდი იაპონიაში. ეს რა ვნახე! –გწყურია – წყალი არ არის, გშია და, ნორმალურად საჭმელს ვერ შეჭამ, ტაქსს ვერ იშოვი, აუტანელი სიცხეა, კონდიციონერები არ მუშაობენ. საზიზღარი მომსახურებაა. ისე მექცეოდნენ, თითქოს ვინმესი ვალი მემართა. ციცი ლუდი მიყვარს, ვერ ვიშოვე. მაღაზიებში ყველაფერზე რიგია. საპონი არ არის. წარმოიდგენია, თქვენ რა დღეში ხართ. ნამდვილად მეცოდებით. როგორ ვერ მოაწყვეთ ცხოვრება ისე, რომ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები მაინც გქონდეთ. მოსკოვში შიმშილისა და წყურვილის შიში დამეუფლა, როცა ჩვენს თვითმფრინავში ჩავჯექი, სასწრაფოდ ვიყიდე რამდენიმე ბოთლი ლუდი და წინ დავიდგი, რითაც ბორტგამცილებლები გავაკვირვე“

მე დაფიქრებული ვუსმენდი ბატონ ტაკადას, სამწუხაროდ, იგი ყველაფერში

მართალი იყო, ჩვენთან ყველგან ასეთ პრობლემებს ვაწყდებით. უცხოელი სტუმარი გეწვევა და, გეშინია, ქუჩაში ტუალეტი არ მოიკითხოს, ლუდი არ მოგთხოვოს. რესტორანში დაპატიჟებ და, ორი კაცი გჭირდება ბუზების გასარეკად.

გასულ წელს ლენინგრადში ამერიკელი იმპრესარიო დონ ჰიუზია ჩამოვიდა ანსამბლ „რუსთაველთან“ საგასტროლო ხელშეკრულების დასადებად. იგი ლენინგრადში პირველად იყო, ამიტომ ყველანაირად შეეცადეთ კარგი შთაბეჭდილებით წასულიყო. მას ძალიან მოეწონა ქალაქი, მისი მუზეუმები. ვცხოვრობდით ინტურისტის სასტუმრო „ლენინგრადში“, სადაც კონდიციონერები არ მუშაობდა და ჩვენი იმპრესარიო მთელ თაეისუფალ დროს ცივი შხაპის ქვეშ იდგა. ერთ დღეს, როცა პეტერგოფიდან დავბრუნდით სასტუმროში, ბ–ნმა პიუზმა მთხოვა, ცივი ლუდი დავლიოთო. სასტუმროს არც ერთ კაფეს და რესტორანს ლუდი არ აღმოაჩნდა. იმპრესარიომ შემატყო გაჭირვება და მითხრა, ავიდეთ საავალუტო ბარში, მე დაგპატიჟებთ ლუდზეო. ბარი დაკეტილი აღმოჩნდა. მე მოვნახე ბარმენი და ვთხოვე, სტუმარი მყავს, დიდი რანგის, რაც გინდა, გადამახდევინე საბჭოთა ფულზე და ორი კათხა ლუდი დაგვალევინე–მეთქი. კატეგორიული უარი მითხრა, – ახლა არა მცალია და ბარს ვერ გაგიღებო. მერე მოვრიგდით. ბარის გაღებაში 25 მანეთი გამომართვა, ხოლო ლუდი ჩემს სტუმარს ვალუტაზე მიპყიდა. გაეშრი, – ჩემს ქვეყანაში ჩემს სასტუმროში უცხოელი სტუმარი ვერ დამიპატიჟებია ლუდზე! ჩვენი ფული არც უცხოეთში ვარგა, არც – ჩვენთან. ჩვენთან ყველა ქვეყნიდან ჩამოსულს შეუძლია ყველაფერი იყიდოს, რასაც მოისურვებს, ჩვენ კი უცხოეთშიც სხვისი ხელის შემყურე ვართ და აქაც. იქ მთელ ჩვენს შემოსავალს „გოსკონცერტი“ გვართმევს და თბილისში კიდევ „ივერიაშიც“ უცხოელმა უნდა დაგპატიჟოს, რომ უცხოური ცივი ლუდი დალიო. ჩვენი ლუდი ხომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

მახსოვს, ერთხელ ლუდის ქარხნის დირექტორს ვკითხე: რატომ ვერ აკეთებთ კარგ ლუდს–მეთქი. „ჩვენი წყალი არ ვარგაო“, მიპასუხა, დალოცვილო, აფრიკიდან საუკეთესო ლუდი შემოგვაქვს და დავიჯერო, აფრიკაზე უკეთესი წყალი არა გვაქვს–მეთქი?

ბატონმა ტაკადამ გამომაფხიზლა: მითხრა, რომ იგი მზადაა საქართველოსთან დადოს ყველანაირი ხელშეკრულება, რომელიც სარგებლობას მოგვიტანს.

ფირმა „როონი“ გულთბილად დაგვემშვიდობა და გვთხოვა მათთან გვეთანამშრომლა, კერძოდ, მათ სურდათ ანსამბლი „რუსთაველი“ კვლავ მიეწვიათ იაპონიაში საგასტროლოდ. ხმის ჩამწერი ცნობილი ფირმა „ჯივისი“ დაინტერესებული იყო „რუსთაველის“ გრამფირფიტების გამოშვებით. ამ ფირმამ გასულ წელს ბიჭუნების ანსამბლ „მართვეს“ კომპაქტური დისკები გამოუშვა, რომელიც სულ მალე გაიყიდა და ფირმამ სასწრაფოდ შეუკვეთა ფირფიტების უფრო დიდი პარტია. „მართვე“ იაპონიის მუსიკალურ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ წლის ოქტომბერში იგი მიწვეულია იაპონიაში საგასტროლოდ. იქ უკვე შედგენილია „მართვეს“ საკონცერტო გეგმა. გამოუშვეს ლამაზი ბუკლეტები და აფიშები.

ის იყო, სასტუმროში დავბრუნდით, რომ ჩემთან მოვიდნენ მაყვალა ქასრაშვილი და ლერი ჯაფარიძე მეუღლესთან – ეთერ შენგელიასთან ერთად და საქართველოს დიდი მეგობარი, კინომცოდნე ბ–ნი ხარადა. ამ დროს ტოკიოში დიდი თეატრი სპექტაკლებს მართავდა. ჩვენმა სახელოვანმა მომღერლებმა გაიგეს ჩვენი იქ ყოფნა და მოგვინახულეს. ჩვენ თანაკურსელები ვართ კონსერვატორიიდან, ამიტომ ბევრი გვქონდა მოსაგონარი.

იაპონიაში ერთ თვეზე მეტ ხანს დავყავით. ბევრი რამ ვნახეთ, ბევრი გავიგეთ, ბევრიც ვისწავლეთ. საშუალება გვქონდა, ბევრი რამ ჩვენი ქვეყნისათვის შეგვედარებინა და ამ შედარებით, სამწუხაროდ, რამდენჯერ დავრჩით გულდაწყვეტილნი.

იაპონიაში მსოფლიოს ახალ ამბებს უმალ იგებენ. 12 სატელევიზიო არხი მუშაობს, ამას ემატება ვიდეოპროგრამაც.

გადაცემები მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობს. ტელედიქტორები გასაოცარ ეფექტს ახდენენ. გადაცემა ერთდროულად რამდენიმე წამყვანს მიჰყავს. ისინი ღიმილითა და ხალისით იმდენად ბუნებრივად უძღვებიან გადაცემებს, რომ იაპონური ენის არამცოდნეც კი მხიარულ გუნება–განწყობილებაზე დგება. გადაცემების უმრავლესობაში მონაწილეობს მაყურებელი, მათთან იმართება მხიარული დიალოგები, არის საერთო სიცილ–კისკისი. ყოველი გადაცემის შემდეგ გაოცებული რჩები: საიდან ამდენი ღიმილი?

ტელეგადაცემებში დიდი ადგილი უჭირავს საბაშვო გასართობ პროგრამებს, რომელსაც მოზრდილებიც სიამოვნებით ვუყურებდით. ახლა რეკლამა! რა სახის რეკლამას არ ნახავთ აქ! იაპონური ფირმები დიდძალ ფულს ხარჯავენ, რომ ყველა სიახლე გააცნონ ხალხს. ტელეეკრანზე აჩვენებენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ამბებსა და სენსაციებს. დილის ექვსის ნახევრიდან ერთი არხი დათმობილი აქვს მსოფლიოს ცხელ–ცხელ ამბებს. ამ არხით გადმოიცემა აშშ–ის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, გფრ–ის, არგენტინის, სსრ კავშირისა და სხვა დიდი ქვეყნების საინფორმაციო პროგრამები. პროგრამა „ვრემიას" იაპონური ვარიანტის ნახვა შეგიძლიათ ყოველ დღე. ამიტომ იაპონელები მსოფლიოს ახალ ამბებს კარგად იცნობენ.

ერთ დილით ტელეეკრანზე უცბად ჯერ სტალინის პორტრეტი აჩვენეს, მერე — მაო ძე–დუნის. ამას მოპყვა ჩინეთის ინციდენტები და ნაწყვეტი ჩვენი 9 აპრილის ტრაგედიიდან. ამის შემდეგ უცბად გამოჩნდა არეულობა, ჩხუბი, აყალმაყალი. ხალხი სადღაც გარბოდა, წესრიგის დამცველები მათ შეკავებას ცდილობდნენ. ამ კადრებს იაპონურ ენაზე უკეთებდნენ კომენტარს. ამ კომენტარიდან გავიგეთ მხოლოდ ერთი სიტყვა „მარნეული"

ერთი ასეთი გადაცემაც ვნახეთ: ტელეეკრანზე გამოჩნდა ანდრეი გრომიკოს დიდი პორტრეტი. მერე დოკუმენტური კადრები აჩვენეს: გრომიკო სტალინთან, გრომიკო მოლოტოვთან ერთად, ამერიკაში, გრომიკო ხრუშჩოვთან, როცა ამ უკანასკნელმა ფეხსაცმელი გაიხადა და კათედრაზე დააბრახუნა, გრომიკო ბრეჟნევთან თავდახრილი, გრომიკო ანდროპოვთან, ჩერნენკოსთან და, ბოლოს, გორბაჩოვთან ერთად. ამ კადრებს კომენტარი აღარ სჭირდებოდა.

ტელეგადაცემებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი კერძების რეკლამას. თითქმის ყოველ 5 წუთში ყველა არხზე აჩვენებენ ათასნაირ კერძს. მისი დაშზადების პროცესს და ტექნოლოგიას, ნამცხვრებს, სასმელებს და სხვ. ასე რომ, ჩვენთვის და ჩვენნაირი ხალხისათვის, რომლებიც უცხოეთში საკმაოდ ხელმოკლედ ეცხოვრობთ, არცთუ მაინცდამაინც სასიამოვნოა ამნაირი მადის აღმძერელი გადაცემების ნახვა. „გადამირევს ბაღანას აგი შეჩვენებული", გამახსენდა ერთ–ერთი ასეთი რეკლამის დროს ბებიას სიტყვები ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან", როცა ილიკომ ავადმყოფ ზურიკელას მადისმომგვრელი „მენიუ" გააცნო

ხორცის, კარაქის, ყველის, კვერცხის, შაქრისა და სხვა პროდუქტებისაგან დაშზადებულ იმდენნაირ შეჯამანდს აშზადებენ და ისე გემრიელად მიირთმევდნენ, რომ სულ მიკვირდა, ეს ხალხი როგორ ცოცხლობს ამდენ ხანს–მეთქი. ჩვენთან ხომ

პრესა და ტელევიზია გამუდმებით ქადაგებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრდუქტები ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად მავნებელია და გვირჩევენ, ისინი არ მიიღოთ. აღსანიშნავია, რომ იაპონელების სიცოცხლის ხანგრძლივობა, 1982 წლის მონაცემებით 80–81 წელია.

ტექნიკის განვითარების დონით იაპონია მსოფლიოში უმაღლეს საფეხურზე დგას. იქ მიმდინარეობს უდიდესი მშენებლობები, რომელიც პირდაპირ განცვიფრებას იწვევს.

იაპონურმა ფირმებმა გამოუშვეს საუკეთესო სტერეო ტელევიზორები, 1 მეტრიანი ეკრანით. ამ ტელევიზორს შეუძლია ეკრანზე ერთდროულად აჩვენოს თორმეტი პროგრამა. ეკრანი იყოფა 12 ნაწილად. აქედან შეგიძლიათ გამოყოთ რომელიმე არხი, გაადიდოთ რამდენჯერაც გნებავთ, „გააჩეროთ“ ესა თუ ის სურათი („სტოპ კადრი“) და, ვინ იცის, კიდევ რამდენი მანიპულაცია შეუძლია შეასრულოს ამ უცნაურმა ტელევიზორმა.

არსებობს ათასნაირი კომპიუტერი. ერთ–ერთი მათგანი ფორტეპიანოს წარმოადგენს. მას შეუძლია სანოტო ფურცელზე იქვე დაბეჭდოს მუსიკა, რომელსაც ამ ფორტეპიანოზე შეასრულებთ.

სხვა კომპიუტერებს შეგიძლიათ მიაწოდოთ ერთი ხმა, მელოდია და მიიღებთ არანჟირებულ ან გაორკესტრებულ მუსიკას (საჭიროების მიხედვით).



ანსაბლი „რუსთავი“ 2004 წ.

ნოტების გრაფირება საქართველოში ხელით ხდება. ამის გამო კრებულების გამოცემა ფერხდება. იაპონური აპარატურა კი ყოველივე ამას რამდენიმე წუთში ასრულებს.

ყველაზე მაღალი სახლი ტოკიოში – „სანშაინ-ბილდინგი" 226 მეტრია. მიწისძვრის ეშინიათ, თორემ ცათამბჯენების აგება იაპონელებისათვის პრობლემას არ წარმოადგენს. მსოფლიოში ყველაზე დიდი (53,8 კმ) წყალქვეშა გვირაბი – „სეიკანი" იაპონიაშია. აქვეა მსოფლიოში ყველაზე გრძელი (22,2 კმ) სარკინიგზო გვირაბი – „ოსიმიძუ" ყველაზე გრძელი (18 კმ) ხიდის შესახებ უკვე მოგახსენეთ.

ქართველი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება სხვა მრავალისმეტყველი ციფრობრივი მონაცემებიც:

იაპონიაში წელიწადში ყოველ 1000 კაცზე სიკვდილიანობა შეადგენს 6,0 კაცს.

ახალდაბადებული – 12, 8 კაცს.

ბავშვთა სიკვდილიანობა – 6,.6 კაცს.

უმუშევართა — შრომისუნარიანი მოსახლეობის 2,6%

როგორც გვითხრეს, მშრომელთა საშუალო ხელფასი ყოველთვიურად 400 000–მდე იენს შეადგენს.

განსხვაებული ხელფასი – 750 000 იენი აქეთ ექიმებს (საავადმყოფოს დირექტორებს – 1 მილიონამდე. დიახ, იაპონელთა აზრით, ჯანმრთელობისა და სამართლის დამცველებს განსხვაებული ხელფასი უნდა ჰქონდეთ, რომ მათ სხვა პრობლემები არ შეექმნათ. თუ ამ თანხას დოლარებზე გადავიყვანთ, გამოდის, რომ იაპონელი მშრომელის საშუალო ხელფასი დოლარებში შეადგენს დაახლოებით 2600 დოლარს.

ალბათ დაგაინტერესებთ, ამ ფულით რის ყიდვას შეძლებს იაპონელი. საშუალოდ ორი–სამი თვის ხელფასით ახალი ავტომანქანის ყიდვა შეუძლია, ხოლო ერთი თვის ხელფასით – ნახმარის.

იაპონიაში ყოველ წელს ავტომანქანის 40 -მდე ახალი მოდელი გამოდის, ამიტომ ხშირად 1–2 წლის მანქანაც კი მოდიდანაა გამოსული და შედარებით იაფი ღირს.

1 თვის ხელფასით იაპონელს შეუძლია 4 ტელევიზორი და 40 ვიდეო შეიძინოს ან 20 ცალი ორკასეტიანი საუცხოო მაგნიტოფონი და ა.შ.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იაპონიაში პრობლემები არა აქვთ. არა, იაპონელს ხარჯიც დიდი აქვს, მაგრამ მისი შემოსავალი ყოველთვის დიდად სჭარბობს გასავალს. საკმარისია მამაკაცი მუშაობდეს, რომ ერთი კაცის ხელფასი ოჯახს სრულიად აკმაყოფილებს. ქალები უმეტესად ოჯახს უვლიან და ბავშვებს ზრდიან.

იაპონიაში უმაღლეს დონეზე დგას სერვისი. სასტუმროში, გემზე, მატარებელში, ავტობუსში, თეითმფრინავში, მაღაზიებში უნაკლოდ გემსახურებიან და თან ღიმილით მადლობას გიხდიან – „დომო არიგატო"!

იაპონელებს ყველაფერი აინტერესებთ. მარტო ის რად ღირს, რომ მსოფლიოში ურთულეს ქართულ სიმღერებს: „ჩაკრულოს", „მრავალჟამიერს", „ლილეს", „ოდოიას" და „ხასანბეგურას" სწავლობენ, ეს მაშინ, როცა ჩვენს ზოგიერთ მომღერ ხალხთან აგერ 200–ზე მეტი წელია ვმეგობრობთ და „სულიკოს" გარდა სიმღერა თუ გვაქვს, მგონი, არც იციან.

იაპონელები მეტად პრაქტიკული ხალხია. ჩვენი საელჩოს თანამშრომელმა ლექცია წაგვიკითხა და გვითხრა, რომ უკეთ ტრანსპორტირების მიზნით, გამოიყვანეს ოთხკუთხა საზამთროს ჯიში, რომელიც ყუთებში ადვილად ლაგდება. გამოყავთ

ოთახის პატარა ხეების ჯიში (ვაშლის, მსხლის და სხვ.), რომელთა სიმაღლე 50–60 სმ-ს აღწევს. ამის შესაბამისად ნაყოფიც წვრილია. მე გამოფენაზე ვნახე ასეთი „ჯუჯა“ ხეების პატარა ბაღი, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ყვავილებზე ხომ დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. იაპონიაში ყვავილების კულტია. იშვიათი სილამაზის ყვავილებისაგან ასეთივე იშვიათ თაიგულს კრავენ, ღიმილით გთავაზობენ და გეუბნებიან: „დომო არიგატო“.

იაპონელები დიდ ყურადღებას აქცევენ ეკოლოგიას. ბუნებას მეტად სათუთად ექცევიან. ცდილობენ, ყველაფერს შეუნარჩუნონ ბუნებრიული სილამაზე. მე საშუალება მქონდა მენახა გოგირდოვანი თბილი წყლების აბანო. იგი ტყეში მდებარეობს. იქვე სხვადასხვა ფორმის პატარა აუზებია. ტყეში დაფრინავენ თუთიყუშები, დარბიან მაიმუნები, ისმის ჩიტების ჭიკჭიკი. ეს ტერიტორია მთლიანად შემოღობილია და ზევიდანაც შუშით გადახურული. აუზებს შორის ლამაზი ბილიკებია. მომსახურება აქაც უმაღლეს დონეზეა. აბანოდან გამოსვლის შემდეგ, იქვე, ტყეში აშენებულ საუცხოო დარბაზში ჭილობზე მოგასვენებენ და ათასნაირ საჭმელ–სასმელს მოგართმევენ.

იაპონელები მიწის სიმცირეს განიცდიან. მისი დიდი ნაწილი საცხოვრებლად და დასამუშავებლად უვარგისია. იაპონიის მთელი ტერიტორიის მხოლოდ 15% გამოიყენება დასამუშავებლად. იაპონია იბრძვის თითოეული მეტრი მიწისათვის. მიწის დამუშავების დროს იყენებს პროგრესულ მეთოდებს, რითაც აღწევს მაღალმოსავლიანობას.

სოფლის მეურნეობა მოსახლეობას უზრუნველყოფს 71% პროდუქტით, დანარჩენით 29% შემოაქვეთ, პირველ რიგში მარცვლეული და შაქარი.

იაპონელები ცდილობენ, როგორმე გამოგლიჯონ მიწა ზღვას, აკეთებენ ხელოვნურ კუნძულებს, სადაც შეაქვეთ ნოყიერი მიწა და შემდეგ ბოსტნეულს თესავენ ან კიდევ ახალ ნაგებობებს აშენებენ. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იაპონიაში ყველაზე ძვირად მიწა ფასობს. როგორც გეითხრეს, ტოკიოში 1 კვ. მეტრი მიწა ერთ მილიონ იენამდე ღირს.

იაპონელი თავის მიწას არავის დაუთმობს. აგერ რამდენი წელი გავიდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ვერაფრით ვერ მოინელეს სახალინი და კურილიის კუნძულები. იაპონელმა იცის მიწის ფასი, რასაც ჩვენზე ვერ ვიტყვით. მაშინ როცა ჩვენ თვითონ არ გვყოფნის მიწა, თურმე იგი ვერაგულად იყიდება სხვა ტომის ხალხზე. ამის დაჯერება იაპონელს გაუჭირდება, რადგან ეს ფაქტი სამშობლოს ღალატის ტოლია. ვინც მშობელ მიწას გაყიდის, იგი მშობელ დედასაც არ დაინდობს.

იაპონელს ფანატიკურად უყვარს თავისი სამშობლო. იგი სხვა ქვეყანაში ვერ ძლებს. ამაში ჩვენ ერთმანეთს ვგავართ. იაპონიაში მოსახლეობის 93% იაპონელია, დანარჩენი 7% ომამდეა ჩამოსახლებული. თუ უცხოელთაგან ვინმემ პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა, მას იაპონიაში არ დატოვებენ, საელჩოებთან შეთანხმებით სხვა ქვეყნებში აგზავნიან. იაპონიაში კანონითაა აკრძალული სხვა ეროვნების მოქალაქეთა ჩაწერა. ამ საქმეში ისინი ნამდვილად არ გვანან ქართველებს. ისე როგორც სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობას, იაპონელებსაც არა აქვთ პასპორტი, პასპორტს იღებენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც უცხოეთში მიემგზავრებიან.

პასპორტს არსად არ გთხოვენ. სასტუმროშიაც უპასპორტოდ ცხოვრობენ.

მე რამდენჯერმე მომიხდა იაპონურ ოჯახში ყოფნა. იაპონელები საკმაოდ

უბრალოდ ცხოვრობენ. მიწის სიმცირის გამო პატარა საცხოვრებელი ბინები აქვთ. ბინები უბრალოდაა მოწყობილი. ჩვენნაირი საწოლი ლოგინები არა აქვთ, საცხოვრებელი ფართი რომ არ დაიკავონ, ლოგინებს იატაკზე – ჭილობზე შლიან. დილით ყველაფერს ალაგებენ და კარადაში ინახავენ.

იაპონურ ოჯახებში რომ შედიან, ფეხზე იხდიან და ფლოსტებს იცვამენ, რათა ოჯახში ქუჩიდან მტვერი და ინფექცია არ შეიტანონ. ამავე მიზეზით, იაპონელები ერთმანეთს რომ ხვდებიან, არ კოცნიან, ხელსაც არართმევენ, მხოლოდ დაბლა უკრავენ თავს. ასეა ტრადიციულად.

იაპონელებმა მიცვალებულის პატივისცემა იციან; თავისუფალ დროს აუცილებლად მივლენ თავისიანის საფლავზე და ყვავილებს მიიტანენ. საფლავები უბრალოა, მაგრამ სუფთად მოვლილი. მდიდრულ სასაფლაოებს არ აგებენ. იმქვეყნიურ სიმდიდრეს ამქვეყნიური ცხოვრება ურჩევნიათ.

მოსახლეობის უმრავლესობამ ცოტა რამ იცის საქართველოს შესახებ. კითხულობენ, სად მდებარეობს საქართველო, როგორია ჩვენი კულტურა, დამწერლობა რუსულია თუ არა. რუსებისაგან ჩვენ თითქმის ვერ გვარჩევენ, ამიტომ საქართველოს შესახებ მცირე ინფორმაციასაც კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ქ. ოსაკაში არსებობს მსოფლიოში სახელგანთქმული ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც თითქმის ყველა ქვეყნის ექსპონატებია წარმოდგენილი. მუზეუმს აქვს უმდიდრესი ფილმოტეკა, სადაც კომპიუტერის მეშვეობით შეგიძლიათ ნახოთ ვიდეოფირი თქვენთვის სასურველი ქვეყნის შესახებ.

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორ არის წარმოდგენილი საქართველო ამ იშვიათ მუზეუმში.

საქართველო წარმოდგენილია ე.წ. „ქართული ქორწილით“, რომელიც იაპონიისა და საქართველოს ტელევიზიის ერთობლივი ნამუშევარია. საინტერესოა, ვინ იყო ამ ფილმის კონსულტანტი, ყოვლად სამარცხვინო საქორწილო ინსცენირება რომ გადაუღიათ. ასეთი უნიჭო დადგმა იშვიათად თუ მინახავს.

საინტერესოა, რომ ფილმი მუნჯია და მუსიკალურ ფონად რუსული „იაბლოჩკას“ მელოდია მიჰყვება. როგორც ხედავთ, აქ კომენტარი ზედმეტია. მუზეუმს ყოველდღე უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ადვილი წარმოსადგენია, ამ ფილმის ნახვის შემდეგ როგორი წარმოდგენა შეექმნებათ საქართველოზე.

აი, რას ნიშნავს საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ასეთი სახით უცხოეთში საქართველოს წარდგენაც ისეთივე ღალატია, როგორც მშობლიური მიწის გაყიდვა.

იაპონელებმა 9 აპრილის შესახებაც არასწორი ინფორმაცია მიიღეს. უკეირდათ კიდეც, რუსებმა ერთმანეთი რატომ დახოცესო. ჩვენ ყველაფრის ახსნა–განმარტება გვჭირდებოდა.

ასეა სხვა ქვეყნებშიც. ისინი თანაგვიგრძნობენ და ამით მთავრდება ყველაფერი. ჩვენი გულისათვის საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებას არაერთ გაიფუჭებს. ხომ გახსოვთ ძველი ქართული ანდაზა – „სხვას სხვისი მკვდარი დაძინებული ეგონაო“.

უცხოეთის უმრავლესობას საბჭოთა კავშირი მარტო რუსეთი ჰგონია. ამიტომაა, რომ უცხოელებმა ჩვენ შესახებ ცოტა რამ იციან და რაც იციან, იმაზეც არასწორი ინფორმაცია გააჩნიათ. ამიტომ ჩვენ თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ, სხვის იმედად

ყოფნა არას გვარგებს.

იაპონელებთან შეხვედრები არასოდეს დაგვავიწყდება. ამდენი გულთბილი მიღება, კეთილდამოკიდებულება, ღიმილიანი სახეები...

ჩვენც ვცდილობდით, როგორც შეგვეძლო, მადლობა გადაგვეხადა კეთილი მასპინძლობისათვის. სუვენირებიც ბლომად გვქონდა წაღებული, მაგრამ ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით. ხისაგან დამზადებული ჩვენი სუვენირები ნაწილებად იშლებოდა, ყანწებს ხან ჯაჭვი სძვრებოდა, ხან – „კუდი“. უხარისხო ნამუშევრის გამო, რამდენჯერ სირცხვილის ოფლმა დაგვასხა; იაპონელს ყანწი რომ მიეაწოდე და შიგ ქართული ღვინო ჩაეასხი, ყანწს ბოლო მოსძვრა და ღვინო ძირს დაიღვარა.

უნდა შევქმნათ ისეთი სუვენირი, რომელიც საქართველოს სიმბოლო იქნება და არ შეგვრცხვება, უცხოელს რომ ვაჩუქოთ, თანაც იმედი გექნება, რომ სახლში მიტანამდე არ დაიშლება.

ეჰ, რამდენი პრობლემა გვაქვს!

„დომო არიგატო“, „საიანარა“, – ღიმილიანი სახეებით გვემშვიდობებოდნენ მასპინძლები და ლამის მიწამდე გვიხრიდნენ თავებს. დამშვიდობებისას, იაპონელებთან ერთად ვიმღერეთ „წასვლა სჯობს წამავალისა“ და საბჭოთა ლაინერს მივაშურეთ.

თვითმფრინავში ცხელოდა, ვიწრო გასასვლელში მგზავრები გაჩხერილიყვნენ. სავარძლების ქვეშ ძლივსძლივობით ალაგებდნენ ბარგს. ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ. კეების ფულიდან დანაზოგით ნაყიდი ტექნიკა ჩვილი ბავშვივით სათუთად ეჭირათ ხელში. ბარგთან ერთად მისი ჩაბარება არ შეიძლებოდა, რადგან გადმოტვირთვის დროს ჩვენთან პირდაპირ ძირს ისვრიან ბარგს და შეიძლება სულ დაემტვრიათ სიმწრით ნაყიდი ტექნიკა, არადა, სივიწროვისგან თვითმფრინავში ერთი გნიასი იყო.

– Мужчина, проходите!

– Женщина, уберите сумку!

ისმოდა წამდაუწუმ ბორტგამცილებლის შენიშვნები. აბეზარი ბუზებიც არ გვასვენებდნენ. სხვათაშორის, ერთი თვის განმავლობაში იაპონიაში თითქმის ყველაფერი ვნახეთ. არ გვინახავს პოლიციელი, რიგი და ბუზები. როგორც იქნა, ჩავსხედით თვითმფრინავში. ჩამოატარეს ჩვენებური „მუკუზანი“. „რა საამოვნებით დაელევდი ახლა ამას ერთ ჭიქას“, გაიფიქრე და ბორტგამცილებელს მივმართე:

– თუ შეიძლება ერთი ბოთლი ღვინო მოგვეცით.

– ღვინო ვალუტაზე იყიდება, – იყო პასუხი.

– არ შეიძლება, ჩვენი ქვეყნის ღვინო, ჩვენს თვითმფრინავში, ჩვენს ფულზე მოგვყიდოთ?

– Не положено, – მომიჭრა ბორტგამცილებელმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ის ღვინო მისი დაწურული იყო და წართმევას ეუპირებდი.

ანაზდად ფანჯარაში გავიხედე, თვითმფრინავი ნელა შორდებოდა აეროპორტის შენობას, სადაც ღიმილიანი სახეებით იდგნენ ჩვენი მასპინძელი იაპონელები. ისინი ჩვენ ვეღარ გვხედავდნენ, მაგრამ ხელს მაინც გვიქნევდნენ.

საიდან ამდენი ღიმილი...

თვითმფრინავი ნელა მიბობღავდა ასაფრენი ბილიკისაკენ. ჩვენგან მარჯვნივ მწვერვალი – ვულკანი ფუძიამა გამოჩნდა. ამ მწვერვალთან ბევრი ლეგენდა და

სინამდვილეა დაკავშირებული. ეს მწვერვალი იაპონელთა მუზის, სილამაზისა და მშვენიერების სიმბოლოს წარმოადგენს. ეიღაცამ მხარი გამკრა.

ჩემს გვერდით ქვაბის ძირიეით შავი ზანგი იჯდა. მას ოფლისა და კიდევ რაღაცის სპეციფიკური სუნი ასდიოდა. მან დაუძახა ბორტგამცილებელს, ჯიბიდან ის დაწყეველილი „ვალუტა“ ამოიღო და „მუკუზანი“ იყიდა.

ზანგი ნელ–ნელა წრუპავდა ყინულისგან დაცვარულ ჩვენებურ ღვინოს და სიამოვნებისაგან სახე ებადრებოდა.

ღმერთო, რა შეგცოდეთ ასეთი!

მე კალამი მოვიმარჯვე და წერა დავიწყე...

ძლიერმა ბრახუნმა გამომაფხიზლა, თვითმფრინავმა შასი გამოუშვა.

– სულ მალე ჩვენი თვითმფრინავი დაეშვება ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში – გმირ ქალაქ მოსკოვში! – პათეტიკურად გამოაცხადა ბორტგამცილებელმა და მუსიკა ჩართო.

“Широка страна моя родная,
Много в ней лесов, полей и рек,
Я другой такой страны не знаю,
Где так вольно дышет человек”. _

საზეიმოდ ჟღერდა დუნაევსკის მუსიკა.

საბჭოთა ლაინერი „ილ–62“ მოსკოვში, შერემეტიევოს საერთაშორისო აეროპორტში ეშვებოდა.

1989 წელი

ეხ, ამერიკა, ამერიკა

(კანადა–აშშ)

კონცერტი დამთავრდა. დარბაზში სინათლე აინთო. მაყურებელი ფეხზე დგას და ოვაციას უმართავს მსახიობებს. ბევრი მათგანი ცდილობს მიუახლოვდეს ავანსცენას, რომ ახლოდან ნახონ იმ მომღიმარი გოგო–ბიჭების სახეები, რომლებმაც დღეს დიდი სიამოვნება მიანიჭეს. ყვავილებით გაივსო სცენა: ისმის შეძახილი: „ბრავო“, თენქ–იუ, ჯორჯიენს“ (გმადლობთ ქართველებო), „ბაი–ბაი“ (ნახვამდის), ხელს იქნევენ დარბაზიდან მადლიერი მაყურებლები და ფეხებს აბრაგუნებენ. ფარდა ნელ–ნელა ეშვება. ანსამბლის გახარებული წევრები ერთმანეთს ეხვევიან, ულოცავენ. დღეს რაღაც განსაკუთრებული საზეიმო განწყობილება სუფევს. გასახდელისკენ არავინ ჩქარობს, კოსტიუმს არავინ იხდის. სცენაზე ამოდის იმპრესარიო და სათითაოდ ჰკოცნის ანსამბლის ყველა წევრს, ხელმძღვანელებს, შემდეგ მისი თხოვნით, სცენის საფარზე (რომელიც გაკეთდა თხელი ფიცრებისაგან და ყოველი კონცერტის დროს სცენაზე აგებდნენ) ანსამბლის წევრები დიდი ასოებით, ზეთის საღებავებით აწერენ ავტოგრაფებს. მერე სცენას კოცნიან და იატაკზე ჯდებიან დაღლილები და კმაყოფილები. ხუმრობა ხომ არაა, გასტროლები, რომელმაც თითქმის ოთხი თვე მიმდინარეობდა, დამთავრდა. ანსამბლის წევრები ცრემლებს ვეღარ იკავებენ. რა ქნან, მოენატრათ ოჯახები, ნათესავები, მეგობრები, სამშობლო მოენატრათ.

ქართველებმა სულ სხვანაირი მონატრება ვიცით.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ – „რუსთაველის“ საგასტროლო ტურნემ კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით ჩაიარა და, რაც მთავარია, პირველად ჩვენი ანსამბლის ისტორიაში, მთელი საგასტროლო შემოსავალი ვალუტით საქართველოში წამოვიღეთ.

ეს გასტროლები სამი წლის წინათ დაიგეგმა. მაშინ „რუსთაველი“ იტალიაში გამოდიოდა. ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა ერთ–ერთ კონცერტზე დაპატიჟა თავისი მეგობარი, ვენეციის მერი, რომელმაც გვთხოვა, რომ ერთი კონცერტი ვენეციაშიც გაგვემართა.

იელისის ბოლო იყო. ამ დროს იტალია სავსეა ტურისტებით.

ამბობენ, თუ ვენეცია არ გინახავთ, იტალია არ გინახავთო. ამიტომ მთელი მსოფლიოს ტურისტები უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ვენეციისაკენ და, ბუნებრივია, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ „სან–მარკოს“ მოედანზე ყოველთვის ხალხმრავლობაა, ის ვენეციის გულია. ამ მოედანზე ყოველგვარი კონცერტი და სხვა სახალხო წარმოდგენები კანონითაა აკრძალული. იმისათვის, რომ მრავალრიცხოვანი მაყურებლის თხოვნა დაეკმაყოფილებინათ, ვენეციის მუნიციპალიტეტმა სპეციალური დადგენილება გამოიტანა, რომ როგორც გამონაკლისი, ანსამბლ „რუსთაველის“ კონცერტი „სან–მარკოს“ მოედანზე გამართულიყო, ააგეს სპეციალ-

ური საკონცერტო ესტრადა. კონცერტზე 15 ათასამდე კაცმა მოიყარა თავი. კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა, მაგრამ ამაზე მე აღარ შევჩერდები, რადგან იგი შესანიშნავად აღწერა ბატონმა ჯანსულ ჩარკვიანმა, რომელიც მაშინ თან ახლდა ანსამბლ „რუსთავს“, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი.

კონცერტის შემდეგ ჩემთან მოვიდა საშუალო ხნის კაცი კანადელი იმპრესარიო ჯორჯ ცუკერმანი. იგი თურმე ტურისტად იმყოფებოდა იტალიაში და შემთხვევით დაესწრო ჩვენს კონცერტს. მან შემომთავაზა ანსამბლ „რუსთავის“ საგასტროლოდ მიწვევა კანადაში. მე, რასაკვირველია, თანხმობა განვუცხადე, მაგრამ ვთხოვე, რომ მოწვევის წერილი გაეგზავნა მოსკოვში საკავშირო ორგანიზაცია „გოსკონცერტში“ (იმ პერიოდში ე.წ. „გოსკონცერტის“ გარეშე ფეხს ვერსად გაადგამდით. ეს იყო ორგანიზაცია, რომელიც უმოწყალოდ ჰყლეფდა მსახიობებს და ანსამბლებს).

როდესაც მოსკოვში დავბრუნდით, წერილი უკვე „გოსკონცერტში“ იდო. ჯორჯ ცუკერმანი დაკავშირებოდა თავის კოლეგას – დონ პიუზს აშშ–დან და ერთობლივად გვიწვევდნენ რამდენიმე თვით გასტროლებზე კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუ როგორ წარიმართა ამ მიწვევის ბედი „გოსკონცერტში“ ამაზე შეიძლება სათავგადასავლო რომანიც დაიწეროს, მაგრამ მე მოკლედ მოგახსენებთ: „გოსკონცერტმა“ ყოველი ღონე იხმარა, რომ ეს გასტროლები არ შემდგარიყო. ჯერ იყო და, იმპრესარიოს ძალიან დიდი თანხა მოსთხოვეს, მერე მოიმიზეზეს, რომ ანსამბლი „რუსთავი“ დაკავებულიაო და სანაცვლოდ რუსული ანსამბლები შესთავაზეს, მაგრამ იმპრესარიოები დაჟინებით მოითხოვდნენ ანსამბლ „რუსთავს“. ამ „გულთბილ“ მიწერ–მოწერაში თითქმის ორმა წელმა განვლო, ბოლოს „გოსკონცერტმა“ მისცა წერილობითი თანხმობა იმპრესარიოებს, დაიდო კონტრაქტი და ისინიც შეუდგნენ გასტროლების დაგეგმვას.

გასტროლები იმპრესარიოებისგან დიდ ხარჯებს მოითხოვს: ანსამბლის რეკლამა, ტრანსპორტირება, საკონცერტო დარბაზებისა და სასტუმროების დაქირავება და სხვა. ყოველივე ეს ძალიან ძვირი ჯდება, როცა იმპრესარიოებმა ყველაფერი მოამზადეს და გასტროლების დაწყებამდე ორი კვირა რჩებოდა, „გოსკონცერტმა“ ისევ რაღაც მოიმიზეზა და იმპრესარიოებს უარი უთხრა. მე ამ მოლაპარაკებას დავესწარი და არასოდეს დამავიწყდება დონ პიუზისა და ჯორჯ ცუკერმანის სასოწარკვეთილი სახეები. ამ გასტროლებისათვის ჩვენც საგულდაგულოდ ვემზადებოდით და, მართალი გითხრათ, ძალიან დაგვწყდა გული. „გოსკონცერტის“ დირექტორს ამ მოლაპარაკებაზე თავი ისე ეჭირა, როგორც „ტიპურ რუს ბიუროკრატს“. (ლენინის თქმისა არ იყოს). მას ეუთხარი, რომ სწორედ ასეთი საქციელისათვის ეჯავრება რუსები მთელ მსოფლიოს; მერე ორიოდე „თბილი“ სიტყვაც მივაყოლე და სამუდამოდ გავწყვიტე კავშირი ამ ორგანიზაციასთან, თუმცა ჩვენი გულისთვის არც მათ ჩაუცვამთ შავები. ეს იყო 1989 წლის დეკემბერი.

„გოსკონცერტიდან“ გამოსული სასწრაფოდ დავუკავშირდი ჩვენს კულტურის მინისტრს, ბატონ ვალერი ასათიანს, ავუხსენი საქმის ვითარება და დახმარება ვთხოვე. მან ყველაფერი გააკეთა, რომ გასტროლი არ ჩაშლილიყო და მთელი ფინანსური ხელშეკრულებები იმპრესარიოებთან საქართველოს კულტურის სამინისტროზე გადავიფორმეთ. განსაკუთრებით დიდი მისია იტვირთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც შეუძლებელი შეძლო და დარჩენილ ორ კვირაში მოახერხა ანსამბლის წევრთა საბუთების გაფორმება მოსკოვის გარეშე. ამ საქმეში დიდი ქებისა და მადლიერების ღირსია მთელი საგარეო საქმეთა სამინისტრო, მაგრამ მაინც გამოვყოფდი ალექსანდრე ბაქრაძეს. იგი თვითონ კურირებდა

ამ საქმეს და გაუკეთებელი გააკეთა.

„გოსკონცერტი“ საქმის ასე შემობრუნებას აშკარად არ ელოდა (ასეთ მოკლე დროში პრაქტიკულად ასეთი საქმე არა კეთდება), გასტროლები მათ ჩაშლილად მიაჩნდათ. როდესაც დირექტორმა გაიგო საქმის ვითარება, სპეციალურად გამოშიგზავნა თავისი წარმომადგენელი სასტუმრო „მოსკოვში“ და მთხოვა, ოღონდ „გოსკონცერტის“ ხაზით წავსულიყავით და მთელ შემოსავალს საქართველოში გამოგვატანდნენ. „ეს საკნკი თქვენს ქათმებს დაუყარეთ–მეთქი“, შევუთვალე და თან რამდენიმე „მოსაფერებელი“ სიტყვაც მივაყოლე. ზუსტად ისეთი, როგორც თეითონ „გვეფერებიან“ ხოლმე.

მოკლედ, „რუსთაველის“ გასტროლები კანადასა და აშშ–ში შედგა და 1990 წლის 14 იანვრს ანსამბლი მონრეალში ჩაფრინდა. მონრეალის ახალ საერთაშორისო აეროპორტში დაგვხვდა ჩვენი კანადელი იმპრესარიო ჯორჯ ცუკერმანი და წაგვიყვანა კანადის დედაქალაქ ოტავაში, სადაც ჩვენი პირველი კონცერტი იყო დაგეგმილი. გზაზე დიდი თოვლი იდო; ყინვაც 30 გრადუსამდე აღწევდა. ოტავაში საუკეთესო სასტუმროში მოგვათავსეს. მეორე დილით სპეციალურად ჩამოფრინდა ამერიკელი ჩვენი იმპრესარიო დონ პიუზი, რომელიც ჩვენს პირველ კონცერტს დაესწრო. კონცერტი გაიმართა ოტავის ერთ–ერთ ულამაზეს საკონცერტო დარბაზში, რომელსაც 2200 კაცი დაესწრო. კონცერტს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ჩვენმა წარმატებამ დიდად გაახარა ჩვენი იმპრესარიოებიც.

მეორე დღესვე დაიბეჭდა რეცენზიები ჩვენი კონცერტის შესახებ. ოტავის ცენტრალური გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ანსამბლის ხელოვნებას. მოვიყვან რამდენიმე ფრაგმენტს ამ რეცენზიებიდან: „... საქართველო ულამაზესი მთიანი მხარეა; ნუთუ ასეთი მდიდარი ფოლკლორი, ასეთი მაღალი ხელოვნება მარტო სუფთა ჰაერისა და მთიანი ბუნების შედეგია... – არა, ეს პიპნოზური სიმღერები და ცეცხლოვანი ცეკვები ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში გენებში აქვთ, – დიახ, ეს ასეა. ეს დაადასტურა ანსამბლმა „რუსთაველმა“, რომელმაც თავისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ხელოვნება, ურთულესი და ულამაზესი პროგრამის სახით, ერთი ამოსუნთქვით წარმოგვიდგინა, – რითაც მაყურებელს სახსოვრად დაუტოვა უდიდესი შთაბეჭდილება“

„... ულვაშებიანი, ლამაზი მამაკაცები, ტყავის ჩექმებში, მკერდგამოწეულნი, მამლაყინწებივით, ამაყად შემოდიან სცენაზე, ისინი ბევრ სხვა მამაკაცურ ღირსებასთან ერთად ავლენენ მთავარს: ეს არის მათი დამოკიდებულება და ყურადღება იმ ათი პაეროვანი ქალის მიმართ, რომლებიც ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე დასრიალებენ სცენაზე, როგორც ცისფერი ფერიები. ქართველი ქალები ბორბლებზე შემდგარი თოჯინების გრაციოზულ ჯგუფს მოგვაგონებენ...“

ჩვენმა იმპრესარიოებმა დიდი მუშაობა გასწიეს, რომ გასტროლები მაღალ დონეზე ჩატარებულიყო, გამოიცა სპეციალური ბუკლეტი, სადაც დაიბეჭდა საკონცერტო პროგრამა და მასალები ანსამბლის შესახებ. ბუკლეტში მოთავსებულია აგრეთვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის – ილია II-ის დიდი პორტრეტი. გარდა ამისა, ბუკლეტში მოცემულია მოკლე ინფორმაცია კულტურის ძეგლების, ქართული ტრადიციების, კერძოდ, ქართული ღვინოების, საშხარეულოს და სხვათა შესახებ; ილუსტრირებულია ფერადი ფოტოებით, ბუკლეტი მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. ერთ–ერთმა ფირმამ გამოუშვა სპორტული მაისურები წარწერით „რუსთაველი“, გამოსცეს ფირფიტები, კასეტები და კომპაქტური დისკები ანსამბლ „რუსთაველის“; სიმღერებით. ამ ფირფიტებს

აწერია: „გაიყიდოს ყველგან, გარდა საბჭოთა კავშირისა“ როგორც ჩანს, ჩვენი ფული იმათ ჩალადაც არ უღირთ. ჩვენს ჩანაწერებზე იქ დიდი მოთხოვნილება იყო. ისინი კონცერტის დროსვე საკმაოდ ძვირად იყიდებოდა (კასეტები 15, ხოლო ფირფიტები და კომპაქტური დისკები 25 დოლარი ღირდა, სხვათა შორის, მაისურებიც წარწერით „რუსთავი“ 25 დოლარად იყიდებოდა.

ჩვენი მეორე კონცერტი ქ. კვებეკში გაიმართა. იგი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია კანადაში. ქუჩები დახატული გეგონებათ. შენობების ფერთა გამა გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს. გვიან ღამემდე მუშაობენ ათასნაირად გაფორმებული რესტორნები, პატარა ბარები, კაფეები. ცივი ზამთრისა და დიდთოვლობის მიუხედავად, ცხოვრება გვიან ღამემდე არ წყდება.

კვებეკში კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. კონცერტის შემდეგ თეატრის ფოიეში ქალაქის მერმა და თეატრის დირექტორმა მიღება მოგვიწყეს, რომელსაც, ანსამბლის წევრების გარდა, დაესწრო კვებეკის საუკეთესო საზოგადოება. ისინი გულთბილად მოგვესალმნენ და დიდი მადლობა გადაგვიხადეს კონცერტზე მიღებული სიამოვნებისათვის, „ასი წელია, ჩვენს ქალაქს მსგავსი რამ არ უნახავს. გმადლობთ, საქართველოვ“ თქვა თავის გამოსვლაში ქალაქის მერმა.



ალეკო ლორთქიფანიძე, ანზორ ერქომაიშვილი და შრიდონ სულაბერიძე

ჩვენი მომდევნო გამოსვლები ქალაქ ტორონტოში გაიმართა. ტორონტო კანადის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია, 2,9 მილიონი მცხოვრებით. აქ ერთხელ უკვე გახლდით 1967 წელს, „ექსპო-67“-ზე. ანსამბლ „გორდელას“ შემადგენლობაში. მას შემდეგ ქალაქი თითქმის არ შეცვლილა. საერთოდ, უცხოეთში ძალიან დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ქალაქის ძველებური იერის შეცვლას. ჩემი იქ ყოფნის შემდეგ აუგიათ 553მ სიმაღლის ტელეანძა. ამ ანძის გადმოსახედიდან საოცარი პანორამა იშლება და ტორონტო ხელისგულივით მოჩანს. ვცხოვრობდით შესანიშნავ სასტუმროში, სადაც მთელი ღამე მუშაობდა ტელევიზიის რამდენიმე არხი. სწორედ იმ დღეებში ტელევიზია გადმოსცემდა აზერბაიჯანის ამბებს, საბჭოთა ჯარის ნაწილებმა როგორ დახოცეს რამდენიმე ასეული მოშიტინგე, რამაც მთელი მსოფლიო შეაძრწუნა. ჩვენ ვნახეთ ისეთი კადრები, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, სსრ კავშირში არ უჩვენებდნენ. მიუხედავად ამისა, კანადისა და ამერიკის მთავრობა თავს იკავებდა ფაქტების კომენტირებისაგან.

ტორონტოში კონცერტებზე მოვიდნენ ქართველი ებრაელები. ისინი ჩვენული სითბოთი მოგვესიყვარულნენ, მოგვეფერნენ, საკადრისი სუფრაც გაგვიმართეს და

გვითხრეს, რომ ქართულ ტრადიციას არ პკარგავენ, შვილებსაც ქართველებად ზრდიან. კონცერტებზე მოვიდნენ აგრეთვე ქართველი სტუდენტები, რომლებიც იქ სტაჟირებას გადიოდნენ. მათ უკვე ისე მონატრებოდათ სამშობლო, რომ უცრემლოდ ველარ უყურებდნენ კონცერტის თითოეულ ნომერს.

ტორონტოს საკონცერტო დარბაზი თანამედროვე სტილის ულამაზეს ნაგებობას წარმოადგენს. ფოიეში იდგა უკანასკნელი მოდის თეთრი ამერიკული აუტომანქანა „კრაისლერი“, რომელიც რეკლამას უწევდა თაეის ფირმას. მსურველს შეეძლო იქვე შეეძინა ეს მანქანა, თუნდაც განვადებით. კონცერტის შემდეგ ჩვენი ბიჭები დიდხანს უტრიალებდნენ ამ ულამაზეს მანქანას, რომლის მსგავსი ჩვენ არსად გვინახავს.

ტორონტოსთან ახლოს მდებარეობს ნიაგარას ჩანჩქერი. ჩვენ ვთხოვეთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათ სიამოვნებით დაგვათვალიერებინეს ეს საოცარი სანახაობა. ჯერ კიდევ ნიაგარასთან ახლოს მისელამდე, რამდენიმე კილომეტრი (დაახლოებით 10 კმ) დაშორებითაც ისმის წყლის უცნაური გუგუნი. მეორედ გახლდით ნიაგარაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. უზარმაზარი წყლის მასა ეერტიკალურად ეშვება და ქმნის მსოფლიოში ერთ–ერთ უდიდეს ჩანჩქერს (48 მ). ჩანჩქერის ახლოს გამაყრუებელი გუგუნია, ხოლო შხეფებისაგან გაჩენილი უზარმაზარი ღრუბლის მსგავსი სვეტი ცამდეა აღმართული. ნიაგარაზე რამდენიმე გადასახედია, მათ შორის ერთ-ერთი ჩანჩქერის ქვეშ, სადაც სპეციალურად გაყვანილია გვირაბი, რომლის ფანჯრიდანაც შენს წინ ვარდება წყლის უზარმაზარი მასა. მას მართლაც უდიდესი დამაბრეველი ძალა აქვს. დაგვირიგეს ცელოფანისაგან დამზადებული სპეციალური ლაბადები (შხეფებისაგან რომ არ დავსველებულიყავით) და დაგვათვალიერებინეს ნიაგარას



ჩანჩქერის ყველა გადასახედი, ამ სანახაობამ ჩვენზე მართლა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

სულ სხვაა აქაურობა ზაფხულში. ზამთარში ყველგან ყინულის უზარმაზარი ლოლუები პკიდია და შხეფების „ღრუბლისაგან" მთელი გარემო დაფარულია. ზაფხულში ირგვლივ თვალწარმტაცი სანახაობაა, რომლის მსგავსს ალბათ სხვაგან ვერ ნახავთ. თურმე ნიაგარას ჩანჩქერმა თავისი არსებობის ისტორიაში 10–11 მეტრით უკან დაიხია. ჩანჩქერი ორ ნაკადად იყოფა, ერთი, უფრო ვიწრო, აშშ–ის ტერიტორიაზეა, მისი სიმაღლე 51 მეტრია. ორივე ჩანჩქერი გვერდიგვერდ მდებარეობს, ცოტა ქვევით, მდინარე ნიაგარაზე ხიდია, რომელიც ყოფს კანადისა და აშშ–ის საზღვარს.

ჩვენი საგასტროლო მარშრუტი ისე იყო დაგეგმილი, რომ თითქმის მთელი კანადა უნდა შემოგვევლო. რაც უფრო შევედიოდით ქვეყნის სიღრმეში, თოვლი და სიცივე უფრო მატულობდა. ანსამბლს გამოუყვეს ტექნიკური პერსონალის პატარა ჯგუფი. ამ ჯგუფის ერთი ნაწილი დანიშნულების ადგილზე ჩვენზე გაცილებით ადრე მიემგზავრებოდა სატვირთო მანქანით; მათ გადაჰქონდათ და წესრიგში მოჰყავდათ კოსტიუმები და რეკვიზიტი; საკონცერტოდ აშზადებდნენ სცენას (განათებას, მიკროფონებს, კულისებს, ფარდებს და სხვ.); გასაყიდად გამოჰქონდათ ანსამბლის ფირფიტები, ბუკლეტები, აფიშები, მაისურები წარწერით „რუსთაველი" და სხვ. ამ ჯგუფში შედიოდნენ: სცენის რეჟისორი (კენი – 56 წლის მამაკაცი) და მტვირთავები. ხოლო ჩვენთან ერთად მოგზაურობდა კომერციული დირექტორი ბიბსი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ანსამბლის ტრანსპორტირებაზე, სასტუმროში მოწყობაზე და სხვ. ბიბსი მშვენივრად ლაპარაკობს რუსულად, საბჭოთა კავშირშიცაა ნამყოფი, პროფესიით მუსიკოსია, კარგად უკრავს მანდოლინაზე, გამოშვებული აქვს საკუთარი ფირფიტა, რომელსაც კონცერტის დროს ყიდის ჩვენს ფირფიტებთან ერთად.

ავტობუსის მძღოლი რობერტი ფერადკანიანია. იგი დაუზარელი და გულკეთილი ადამიანია. მას ყოველდღე უხდებოდა ანსამბლის წევრთა (56 კაცი) პირადი ბარგის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა, ხან უთენია, ხანაც გვიან ღამით, რაც, დამერწმუნებით, ერთი კაცისთვის ადვილი საქმე არაა. რობერტი მაღალი კლასის პროფესიონალი მძღოლია. იგი ისე გრძნობს ამ უზარმაზარ ავტობუსს, როგორც საკუთარ სხეულს. მანქანა ყოველთვის მოვლილი პყავს. მთელ თავისუფალ დროს ავტობუსის დასუფთავებას ანდომებს. იგი არ ფიქრობს სადმე „ხალტურაზე" გავარდნას, რომ როგორმე ცოლ–შვილი გამოკეებოს, რადგან მისი ხელფასი ორ ოჯახსაც შეინახავს.

რობერტის ავტობუსი ორსართულიანია, ზედა სართულით ანსამბლის წევრთა უმრავლესობა მგზავრობს. პირველი სართული ორ ნაწილად იყოფა: წინა ნაწილი საბარგოა, ხოლო უკან ათიოდე ადგილია, რომელსაც ძირითადად მოცეკვაეები იკავებენ. ამ ადგილს ბიჭები ხუმრობით „პოლიტბიუროს" ეძახიან. ზედა და ქვედა „პალატებს" შორის კიბეა, რომლითაც ზედა „პალატის" წევრები „პოლიტბიუროს" უკავშირდებიან.

ანსამბლს გასტროლებზე თან ახლდა თბილისელი ახალგაზრდა ფიზიკოსი გიორგი თოფურია, რომელიც თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა. გიორგი ნიჭიერი, განათლებული და ენერგიული ახალგაზრდაა. იგი ახალისებდა ანსამბლს ამ ფრიად ძნელი მოგზაურობის დროს. „გუდ მორნინგ" – მოგვესალმებოდა გიორგი ყოველ დილით ავტობუსის მიკროფონით, მერე გვაწვდიდა უკანასკნელ ცნობებს, რომელსაც იქაური პრესა, რადიო და ტელევიზია აშუქებდა. ამიტომ ანსამბლი დიდი

ინტერესით ელოდებოდა გიორგის გამოჩენას. ანსამბლს თან ახლდა ცნობილი ოპერატორი იური ბარამიძე. მან ფირზე აღბეჭდა ჩვენი გასტროლები თაყვისი კონცერტებით თუ ყოველდღიური ცხოვრებით.

აი, ასეთ სიტუაციაში გვიხდებოდა მგზავრობა. თავდაპირველად ქალაქებს შორის მანძილი დიდი არ იყო და ავტობუსი ამ გზას 4–5 საათში ფარაჯდა; რაც უფრო შევდიოდით კანადის სიღრმეში, ქალაქებს შორის მანძილმა იმატა და მგზავრობაც უფრო გაძნელდა.

მორიგი კონცერტი კინგსტონში გავმართეთ. კინგსტონი საუნივერსიტეტო ქალაქია, სულ 60 000 მცხოვრებით. მიუხედავად ამისა, აქეს დიდი საკონცერტო დარბაზი, რომელიც კონცერტზე სავსე იყო სტუდენტებით. თითქმის ყოველი ნომრის შემდეგ ისინი კიოდნენ (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) და გვიმართავდნენ ოვაციებს.

იმ ღამეს დიდი თოვლი მოვიდა. დილით ქალაქი დაეთვალიერეთ. ქუჩებს თოვლისგან წმენდნენ ხელის პატარა ტრაქტორებით, რომელიც დაახლოებით სკამისოდენი თუ იქნებოდა. ეს ტრაქტორები ისე უხადოდ ასუფთავებდნენ ქუჩებს, რომ ჩვენ გაკვირვებული მივჩერებოდით. ამან გამახსენა რუსეთში, დაბამბულ ტანსაცმელში გამოწყობილი, თავპირახვეული ქალები დიდი ხელთათმანებით, ბარებით რომ წმენდნენ თოვლისგან ჭუჭყიან ქუჩებს. რა მძიმე შრომაა, პირდაპირ აუტანელი! ქალებს კი არა, კაცებსაც უჭირთ ასეთი სამუშაოს შესრულება. საერთოდ უცხოეთში ქალებისათვის შედარებით მსუბუქი სამუშაოა გამოძებნილი. გარდა საბჭოთა კავშირისა, არსად შეუხვედრივარ „ტრაქტორისტკებს“, „ბეტონშიცებს“ და „კრანოვშიცებს“

კინგსტონიდან ქალაქ სადბერში გავემგზავრეთ. დიდი გზა გვქონდა გასაელეწი. ამიტომ ანსამბლის წევრები დასის გამგემ ტარიელ ამაშუკელმა დილით 5 საათზე გააღვიძა. უძინარები, წინა ღამის კონცერტით დაღლილი „რუსთაველები“, სიცივისაგან მობუზულები უხალისოდ ადიოდნენ ავტობუსში.

ყინვა 40 გრადუსამდე აღწევს. ყველა ფანჯარა ყინულითაა დაფარული, ირგვლივ არაფერი ჩანს, მარტო მძღოლის ფანჯარა იწმინდება. მთელი დღე მიცდიცართ ტაიგაში, არც ერთი დასახლებული პუნქტი არ ჩანს გზაზე. სადმე რომ დანაყრდე, იმისი საშუალებაც კი არ არის. მადლობა ღმერთს, რომ ზოგიერთს გუშინდელი ვახშმის სარეზერვო ფონდიდან წამოუღია საგზალი. გზა თუმცა კარგია, მაგრამ მოლიპული. ხშირად გვიხდება მანქანის გაჩერება და შუშებიდან ლოლუების ჩამოფხეკა. წინააღმდეგ შემთხვევაში გზას მძღოლიც ვერ დაინახავს. ნეტავ სადმე შეიძლებოდეს გაჩერება, რომ ფეხები მაინც გავმართოთ, მაგრამ გარეთ 40 გრადუსი ყინვაა.

მთელი დღე თოვლის მეტი რომ ვერაფერი დავინახეთ, მომღერალმა ამირან გოლიაძემ იხუმრა: „ბატონო, ნამდვილად გაგვაციმბირეს და გვიმალავენ“

საღამოს ანსამბლ „რუსთაველს“ წევრები ღიმილით უკრავენ თავს აღტაცებულ მაყურებელს, რომელმაც არ იცის, რომ ამ ღიმილიანმა გოგო–ბიჭებმა დღეს 700 კმ გამოიარეს და ავტობუსში 12 საათი დაჰყვეს.

ასეთი შემთხვევა გამონაკლისი არ იყო. მთელი დღე ავტობუსით ვმგზავრობდით, მერე სასტუმროში მოწყობას ვერ ვასწრებდით და ისევ სცენა, რეპეტიცია და მაყურებელთან შეხვედრა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ხანდახან ყინვა 30–40 გრადუსამდე აღწევდა. ასეთ ამინდში მთელი დღე ავტობუსში ყოფნა და მერე მაღალ დონეზე კონცერტის გამართვა, დამერწმუნებით, მეტად ძნელია, ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ საზღვარგარეთ მოგზაურობა სულის მოსალხენი გასეირნება იყოს.

ეს წარმატებაც თავდაუზოგავი შრომის, უდიდესი დატვირთვისა და ენერგიის ხარჯვის შედეგია. ჩვენი გოგო-ბიჭების სახახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი თავს არ ზოგავდნენ, ეინაიდან სტუმრულ გუაძლეედა ორი რამ: საქართველოსა და მისი ხელოვნების რეკლამირება უცხოეთში და პირველად ანსამბლის არსებობის ისტორიაში მთელი საკონცერტო შემოსავალის (ეალუტით) საქართველოში წამოღება.

ახლა ისევ პრესას მივმართოთ:

„გუშინდელ კონცერტზე მომღერლებისა და მოცეკვავეების მიერ წარმოდგენილი ურთულესი მასაური სცენები უდიდესი შრომის შედეგია და ალბათ შექმნილია იმისათვის, რომ მაყურებელი სასაათოენო შოკში ააგდონ, რასაც ანსამბლის წევრები დიდებულად ახერხებენ"


იყო საკორწილო სიმღერები და ცეკვები. სცენა სანოლებით იყო განათებული. სიმღერა – არასტუდენტებრივად სახეიმო, ხოლო ცეკვა – გრაციოზული და ნაზი. ყოველივე ამან წარმოდგენა შეგეიქმნა ქართველი ხალხის უძველეს და ულამაზეს ტრადიციებზე.

ეს პრესა ბიბისს ძალიან ხოლძე და აეტობუსში გაღრმა გვიკითხავს, რომ ხალხი გააძხაარულოს. ბიბისი მხიარული და კეთილი კაცია. მას თან დააქვს თავისი მან-



დოლინა და ხშირად იმპროვიზებულ კონცერტს გვიმართავს, ანსამბლი ტაშისცემით ეგებება მის ყოველ ნომერს.

მანდოლინა ბიბსს საბჭოთა კავშირში შეუძენია. ამასთან დაკავშირებით მან უსიამოვნო ამბები გაიხსენა: „საბჭოთა კავშირში სულ ერთხელ ვიყავი და მეტს აღარ ჩავალ, – თქვა ბიბსმა, – ერთხელ გორკის ქუჩაზე ვიღაცას სცემდნენ: ხუთი ურტყამდა ერთს. მე გამოვესარჩლე და ვაშველებდი. ამ დროს მოვიდნენ მილიციონერები და „დუბინკებით“ დაგვიწყეს ცემა მე და დაზარალებულს, დანარჩენები გაიქცნენ; ქალები კიოდნენ, ყვიროდნენ, როცა მცემდნენ, ხალხი თანამიგრძნობდა, მაგრამ ახლოს არავინ მოდიოდა. იძულებული ვიყავი ინგლისურად დამეყვირა, რომ „ბი–ბი–სის“ კორესპონდენტი ვარ–მეთქი. მილიციამ თავი დამანება, მაგრამ გამაკვირვა ხალხმა, რომელთაც საშინელი სახეები გაუხდათ. მათ ჩემში მტერი დაინახეს და საყვედურსაც გამოთქვამდნენ, რომ კიდევ არ დამიმატეს. ასეთი რამ ჯერ არ მინახავს. მხოლოდ ერთი მოხუცი მოვიდა ჩემთან, წამომაყენა. ძომასულიერა და მითხრა: „არა უშავს, შეილო, ჩვენთან უარესიც ხდებაო“ მერე ბალალაიკის ოსტატთან წავედი და მოვუყევი, რაც შემემთხვა. მან მე გამამტყუნა და მითხრა, რომ რაც შენი საქმე არ არის, იქ ცხვირი არ უნდა ჩაჰყო. იგი თავგამოდებით იცავდა საბჭოთა მილიციას და საბჭოთა ხელისუფლებას. როგორც გამოირკვა, 18 წელი გადაახლებული ყოფილა. მასთან სახლში დამხვდა სარატოვის ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლის დირიჟორი. ჩვენ ერთად წამოვედით. იგი „ნაციონალის“ ბარში დაპატიჟე. დავლიეთ ერთი ბოთლი ვისკი, ვლაპარაკობდით რუსულ ენაზე. დირიჟორის გვერდით ვიღაც იჯდა, ძალიან პგავდა ჩემს მეგობარს. ისიც დავპატიჟე, როცა ცოტა დავლიეთ, დირიჟორმა მთხოვა, ერთი ქილა ხიხილალა მიეყიდეო. მე ვუყიდე, მან ჩანთაში შეინახა, ამ დროს ტუალეტში გაველი და, როცა დავბრუნდი, ჩემი მეგობრები იქ აღარ დამხვდნენ. სანამ გავერკვეოდი სიტუაციაში, ვიღაცის მძლავრმა ხელმა გვერდით ოთახში შემიყვანა. ჯერ ვინაობა მკითხეს, მერე მათ შესახებ შემეკითხნენ, თუ საიდან ვიცნობდი და ძალიან გაუკვირდათ, როცა გაიგეს, რომ იმ დღეს გაცნობილები ერთად ვსვამდით. მერე მათ წაართვეს ხიხილალაც და სხვადასხვა რაღაცებიც, მათ შორის ნოტებიც. მე გამომიშვეს, როგორც უცხოელი, ხოლო ისინი დაიტოვეს. სასტუმროში წავედი, მაგრამ ვინაიდან ჯიბეზე პასპორტი არ აღმომაჩნდა, არ შემიშვეს. ამ დროს ორი გოგონა მოვიდა, ისინი უპასპორტოდ



ანსამბლი „რუსთაველი“. 1988 წ.

შეუშვეს. ერთი მათგანი მომიახლოვდა, თავისი თავი შემომთავაზა 50 დოლარად და სასტუმროში შეყვანას შემპირდა.

მეორე დღეს ქუჩაში ისევ დამიჭირეს, ვინაიდან ამერიკელ ტურისტებს გავესაუბრე და, სანამ არ გაარკვიეს ვინ ვიყავი, არ გამიშვეს.

მესამე დღეს „ბერიოზკაში" შევედი. ვიფიქრე, რუსულ სუვენირებს ვიყიდიმეთქი. გამყიდველს რუსულად დავუწყე ლაპარაკი და როცა სუვენირების ფული გადავიხადე, დოლარებით, უცნობი პირები გვერდში ამომიდგნენ და следуйте за нами -ო მითხრეს; მერე დამიწყეს დაკითხვა, თუ საიდან მაქვს ამდენი დოლარი და სანამ არ გაარკვიეს ვინ ვიყავი, არ გამომიშვეს

ბიბსის ნაამბობმა ერთი აბაკი გაახსენა, რომელიც ბატონმა ლევან საღარაძემ მიამბო. იგი სირიაში ცხოვრობდა და დიდ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. როცა საზღვრები გაიხსნა, ბატონი ლევანი საქართველოში ჩამოვიდა. უკან დაბრუნებისას ნათესავებმა მოსკოვამდე გააცილეს. ლევანმა ისინი „ბერიოზკაში" შეიყვანა და საჩუქრები უყიდა. როდესაც დოლარებით საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა, იგი გვერდით ოთახში შეიყვანეს და დაუწყეს დაკითხვა, თუ ქართველს საიდან აქვს ამდენი ვალუტა. არც კი პკითხეს, რომელი ქვეყნის მოქალაქე იყო. ისე ლანძღავდნენ უშვერი სიტყვებით, მერე წონასწორობა დაკარგეს და მილიციაც კი გამოიძახეს თურმე; მანქანას კიდევ რამდენიმე „გადაცმულიც" მოჰყვა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელზე ბორკილების დადება დაუპირეს, მაშინ ბატონმა ლევანმა ამოიღო თავისი სირიული პასპორტი, და რომელიც უფროსად შეიცნო, იმას მიარტყა ცხვირში, ისე, „დურაჩკაში" წაგებულებს რომ უკეთებენ კარტით, თანაც სასწრაფოდ მოითხოვა სირიის საელჩოსთან დაკავშირება. მაშინ კი დაფრთხნენ და პატიება ითხოვეს. ბატონი ლევანი ჯერ კატეგორიულ უარზე იდგა, მაგრამ მერე უთხრა: „რუსი ამას გაპატიებდათ? ბედი თქვენი, რომ ქართველი ვარ, ქრისტიანი და მიმტევებელიო"

მძღოლმა, რობერტმა, გამოგვიცხადა, რომ ვუახლოვდებით სასაუზმე „მაკდონალდსს", და იქ შევისვენებთ 45 წუთს. „მაკდონალდსი" მთელს მსოფლიოში ყველაზე იაფფასიანი სასაუზმეა, ამიტომ საბჭოელები, როგორც წესი, იქ ვსაუზმობდით ხოლმე.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია მოდებული „მაკდონალდსის" სასაუზმეები. რამდენიმე დღის წინათ იგი მოსკოვშიც გახსნეს. კანადის ტელევიზიამ აჩვენა მოსკოვში „მაკდონალდსის" გახსნის ცერემონიალი, აჩვენა უწყვეტი რიგები. ასეთი რიგები ლენინის მავზოლეუმში მინახავს მხოლოდ. შემდეგ კომენტარი გაუკეთეს მოსკოურ „მაკდონალდსს" და აღნიშნეს ამ ფაქტის მნიშვნელობა: ათი წელი მოვუნდით მოსკოვში „მაკდონალდსის" გახსნას, – თქვა ტელევიზიით ფირმის კომერციულმა დირექტორმა. – რუსებს ვასწავლეთ კარტოფილის სპეციალური ჯიშის მოყვანა, სპეციალური ჯიშების საქონლის გამოყვანა და კიდევ ბევრი რამ. მაგრამ ვერაფრით ვერ ვასწავლეთ გაღიმება, რაც ასე აუცილებელია მოსამსახურე პერსონალისთვის"

გზაზე ძალიან დიდი თოვლია, ამიტომ ტრასებზე ყოველ წუთს მოძრაობენ დიდი სატვირთო მანქანები, რომლებიც ასეულ ტონობით მარილს ჰყრიან, რომ მოძრაობა არ შეფერხდეს. გარდა ამისა, მოძრაობენ ავტომანქანები, რომლებიც გზას ძალიან სწრაფად და კარგად ასუფთავებენ თოვლისაგან. მიუხედავად ამისა, დიდი ყინვებისაგან მოძრაობა მაინც ძნელდება.

გავიარეთ რამდენიმე ქალაქი. ყველა მათგანის შესასვლელში დიდი აბრაა გამოკ-

რული. აბრას დიდი ასოებით აწერია ქალაქის დასახელება და მოსახლეობის რაოდენობა. ქალაქების სახელები რომ ვათარგმნინეთ, იგი დაახლოებით ასეთი იყო: „წითელი ირემი“, „ვარდი“, „მიხაკი“, „ბულბულის ბაღი“, „ატმის რტო“ და სხვ. „საბჭოეთის ქალაქების დასახელება სხვანაირია, – თქვა ბიბსმა, – „ელადიოსტოკ“, „ელადიკავკაზ“, „ვლადიმირ“ და სხვ. ჩვენს დროშაზე ჭადრის ფოთოლი ახატია, საბჭოთაზე კი — ნამგალი და ურო“. ბიბსმა ეს მოელენა ასე ახსნა: „ჩვენ, კანადელები, უფრო პოეტურები ვართო“.

საღამოს ქ. სანდერბეის ბრწყინვალე დარბაზში (ტევადობა 2200 კაცი) გამოეცდით ისე, რომ სასტუმროში მოწყობა ვერც მოვასწარით. ის კი არა, რეპეტიციის დროც არ იყო. ფრიდონ სულაბერიძემ სახელდახელოდ აითვისა სცენა და მალე კონცერტიც დაიწყო. ფინალის გამეორება რამდენჯერმე მოგვიხდა. წარმოიდგინეთ 10 საათიანი მგზავრობის შემდეგ ჩვენი მოცეკვავეები როგორ დატვირთვას უძლებდნენ. შესვენების დროს გასახდელში ცოტა წათვლიმეს, რომ ენერგია აღედგინათ.

კონცერტს დაესწრო უკრაინელ ემიგრანტთა დიდი ჯგუფი. ამ ქალაქში უკრაინელების დიდი დიასპორაა. კონცერტის შემდეგ წაგვიყვანეს თავიანთ კლუბში და მშვენიერი შეხვედრა მოგვიწყეს. „ჩვენ ამ შეხვედრისათვის დიდი ხანია ვემზადებოდით“, – გვითხრა დიასპორის მეთაურმა, ჭარმაგმა უკრაინელმა, რომელიც ნაციონალურ კოსტიუმში იყო გამოწყობილი და ძალიან მაგონებდა ტარას ბულბას. მან გაიხსენა ტრადიციულად თბილი დამოკიდებულება ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის, არც დავით გურამიშვილი გამორჩენია. „ატამანმა“ მოიგონა 9 აპრილი, მოგვისამძიმრა და დიდი შეფასება მისცა საქართველოს ეროვნულ მოძრაობას. აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი მალე მიაღწევს დამოუკიდებლობასო.

შემდეგ მიგვიწვიეს მშვენიერ სუფრასთან; გვემსახურებოდნენ ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი უკრაინელი ქალები.

მათ გვითხრეს, რომ უკრაინელ ემიგრანტთა დიასპორა კანადაში მრავალრიცხოვანია (475 ათასი). ისინი არ ივიწყებენ თავიანთ ენას, ზნე–ჩვეულებებსა და ტრადიციებს.

ასეთი კარგი მიღების შემდეგ დაღლილობამ გადაგვიარა. გაიმართა ცეკვა–თამაში, გაისმოდა უკრაინული და ქართული სიმღერები, საღამომ მეტად გულთბილად ჩაიარა. თითქმის თენდებოდა, როცა დავიშალენით, ამიტომ სასტუმროში შესვლას აზრი აღარ ჰქონდა და ჩვენც ბოშების ბანაკივით ავიყარენით და გეზი სხვა ქალაქისაკენ ავიღეთ.

ჩვენი გასტროლები ისე იყო დაგეგმილი, რომ ზოგჯერ კონცერტებს ვმართავდით კანადის სამხრეთ–დასავლეთით, ამერიკის საზღვრებთან ახლოს. კანადის გასტროლების დროს ორჯერ მოგვიწია ამერიკის ქალაქებში გამოსვლა. დღეს, შუადღისას, პირველად გადავლახეთ აშშ–ის საზღვარი. საბჭოეთისაგან განსხვავებით, აქ თითქმის არაფითარი საზღვარი არ ჩანს. იგი გურია–სამეგრელოს საზღვარს მოგვაგონებს. მარტო ერთი წარწერა – „კანადა“ მიგვანიშნებს, რომ იმის იქით იწყება აშშ–ს ტერიტორია, სადაც დგას პატარა ერთსართულიანი შენობა. აქ არავინ ჩერდება, გარდა საბჭოელებისა. ჩვენ იძულებული ვართ გაეჩერდეთ, რათა პოლიციას პასპორტებში ბეჭდები ჩავარტყმევინოთ, დავაფიქსიროთ თარიღი და აშშ–ის საზღვრის გადაკვეთა, თორემ ჩვენებური კანონის მიხედვით, ანსამბლის წევრებს დღიურ ანაზღაურებას ვერ გადავუხდით. პოლიციელებს ეზარებათ გარეთ გამოსვლა. ჩვენ ვეხვეწებით, რომ გამოვიდნენ და პასპორტებში ბეჭედი ჩაგვირტყან; ახლა ამათ ხომ ვერ ავუხსნით ყველაფერს. მოკლედ, ამათ არაფრად მიაჩნიათ ჩვენი

პასპორტები. ვისაც უნდა, თავისუფლად გადადის და გადმოდის საზღვარზე. პოლიციელები ზედაც არ უყურებენ.

ამ ფაქტმა გამახსენა ერთი ამბავი, რომელიც ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა მიამბო: მას ამერიკელი სტუმრები ჰყავდა. ბატონმა რეზომ გადაწყვიტა მათთვის ვარძია ეჩვენებინა, მაგრამ ახალციხის სასაზღვრო ჯარების უფროსმა ნება არ მისცა, აქ თურქეთის საზღვარი ახლოსაა და უცხოელების შეყვანა არ შეიძლებაო. ბატონმა რეზომ უთხრა: როგორ გგონიათ, ამერიკელებს რომ თურქეთში გადასელა უნდოდეთ, აქ ჩამოვიდოდნენ? აიღებდნენ ბილეთს და პირდაპირ თურქეთში ჩაფრინდებოდნენო. – უფროსი დაფიქრდა და უპასუხა თურმე: „მაგაზე არ გვიფიქრიაო“.

ერთი ამბავიც გამახსენდა: 70—იან წლებში გერმანიაში, ქ. საარბრიუკენში ჩატარდა საქართველოს კულტურის დღეები. როცა საარბრიუკენიდან მოსკოვში ჩამოფრინდით, თვითმფრინავის ტრაპთან ავტომატმომარჯვებული მესაზღვრეები დაგეხვდნენ. მაშინ ასე ხვდებოდნენ თვითმფრინავს. ჩვენ შეიარაღებულთა „კორიდორი“ გავიარეთ და „ტრაპთან“ ახლოს მდგომ ავტობუსს მივაშურეთ. თვითმფრინავი დიდია, ავტობუსი – პატარა. ამიტომ ავტობუსში ყველა ვერ ჩაეტიეთ. კარები დაიხურა, მე და ჩვენი სახელოვანი სიმებიანი კვარტეტის წევრი კონსტანტინე ვარდელი გარეთ დავრჩით. „რატომ არ გაჰყევით ავტობუსს?“ – დაგვიყვირა მესაზღვრე კაპიტანმა, „ვერ ჩავეტიეთ“ – მშვიდად უპასუხა კონსტანტინემ. „Что, обожролись, да?“ – იყო „ზრდილობიანი“ პასუხი.

აშშ–ის პირველი ქალაქი, სადაც კონცერტი გავმართეთ, იყო ქ. ფარგო. კონცერტი გაიმართა სპორტის სასახლეში, რომელსაც 4000–მდე მაყურებელი დაესწრო. წარმატება მართლაც დიდი იყო, ფეხზე დამდგარმა მაყურებელმა ოვაცია გაგვიმართა. რამდენჯერმე მოგვიხდა ფინალის გამეორება და როცა მაყურებელს ეგონა, რომ ანსამბლმა ამოწურა თავისი შესაძლებლობა, სწორედ მაშინ შევასრულეთ პოპულარული ამერიკული სიმღერა „ამერიკა, ამერიკა“, ეს იყო მათთვის ძვირფასი სუვენირი. სიმღერას მთელი დარბაზი აჰყვა.

კონცერტის შემდეგ ბევრი ამოვიდა სცენაზე (სხვათა შორის, ეს ხშირი შემთხვევა იყო). ისინი თხოულობდნენ ავტოგრაფებს, გვეკითხებოდნენ საქართველოს შესახებ. მაყურებლის უმრავლესობამ ცოტა ან საერთოდ არაფერი იცოდა საქართველოს შესახებ. უმეტესობას საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები სუყველა რუსები ჰგონიათ, ამიტომ დიდი ჯაფა დაგვადგა, რომ სწორი ინფორმაცია მიგვეწოდებინა, მაგრამ მარტო შიშველი სიტყვებით ხალხს ვერ დაარწმუნებ, აუცილებელია მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოიცეს ალბომი, რომელშიც მოკლედ აისახება საქართველოს ნამდვილი ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და კულტურა, დასურათებული ჩვენი იშვიათი კულტურის ძეგლებით.

ახლა ეს ისეა საჭირო, როგორც არასდროს. ასეთი ალბომები ყველა ანსამბლმა და ყველა ტურისტმა უნდა წაიღოს საზღვარგარეთ.

მეორე დღეს ისევ კანადაში დავბრუნდით. დილით ბიბსმა ავტობუსში ამოიტანა პრესა, გიორგიმ გვითარგმნა.

„...უმაღლეს დონეზე გაწაფული ვირტუოზის – ომარ კელაპტრიშვილის მიერ მგზნებარე ქართულ ფლეიტა–სალამურზე ნაზი ტემბრითა და ულამაზესი ბგერებით შესრულებული მელოდიები ბერძნული ღმერთების ინსტრუმენტების ჟღერადობას მოგვაგონებს. იგი უკრავს ორ უძველეს სიმებიან საკრაულთან – ჩონგურთან და ფანდურთან ერთად, რომელთა ტემბრი ანდების ქვეყნების ინსტრუმენტულ ჟღერადობას ჩამოგვაგს...“

„...ქართველებმა გვიჩვენეს ურთულესი და ულამაზესი ცეკვები, რომლებშიაც აისახა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. ქართველი ქალები ფერიებივით დასრიალებენ სცენაზე და არაჩვეულებრივი სინქრონულობით ასრულებენ ლირიკულ ცეკვებს. განსაკუთრებული ქების ღირსია მასიური ცეკვები. როგორც საქორწილო, ისე მთიულურ ცეკვებში ყველა დეტალი გათვლილია. აქ ერთი ზედმეტი ელემენტიც კი არ არის ისეთი, რომელიც დისონანსს შეიტანდა ამ შესანიშნავ წარმოდგენაში. აშკარად იგრძნობა ქორეოგრაფის (ფ.სულაბერიძე) დახვეწილი, მაღალი გემოვნება.

განსაცვიფრებელია ცეკვა ხმლებითა და ხანჯლებით. მოცეკვავეები თავბრუდამხვევ ტემპში ისეთი სიზუსტით აკეთებენ მოძრაობებს, რომ მაყურებელი სუნთქვაშეკრული უცქეროდა ამ საოცარ სანახაობას.

გუშინდელმა კონცერტმა საუკეთესო შთაბეჭდილება შეგვიქმნა ქართულ ხელოვნებასა და საქართველოზე...“

„...არაჩვეულებრივია ვოკალურად სრულყოფილი მამაკაცთა გუნდი, რომელიც გვთავაზობს გულიდან ამოხეთქილ პატრიოტულ სიმღერებს, სიცოცხლით სავსე სამგზაერო და საბრძოლო სიმღერებს, რომელიც სავსე იყო განსაცვიფრებელი იოდლებით (რომელსაც საქართველოში „კრიმანჭულს“ ეძახიან). შესანიშნავია ნაზი ლირიკული სიმღერები და უმდიდრესი საეკლესიო საგალობლები...“.

„მამაკაცთა გუნდი, აკომპანემენტის გარეშე (აკაპელა), წარმოუდგენელი მგრძნობელობით მღეროდა ურთულეს მრავალხმიან სიმღერებს. მათი ხმები დიდი დიაპაზონის ყველა რეგისტრში შეუდარებელი სილამაზით ჟღერდა.“

ჩვენი რეცენზიების გვერდით, ერთ–ერთ გაზეთში მოთავსებული იყო ასეთი რეკლამა: „იყიდება ყველა მარკის ავტომანქანა. თუ თქვენ ჩააბარებთ თქვენს მანქანას, რანაირიც არ უნდა იყოს იგი, დაგიკლებენ შესაბამისად 2000 და მეტ დოლარს. თუ გაატარებთ ჩვენს მანქანას და მოგეწონებათ, კიდევ დაგიკლებენ 500 დოლარს.

დღეს პირველი თებერვალია. დავბრუნდით ისევ „მშობლიურ“ კანადაში და კონცერტი გავმართეთ ქ. ედმონტონში. ედმონტონი შედარებით პატარა ქალაქია, მაგრამ აქვს შესანიშნავი საკონცერტო დარბაზი 2700 კაცზე. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ედმონტონელ მენეჯერთა ერთი ჯგუფი, რომელიც ცოტა ხნის წინათ საქართველოში ყოფილა. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ ჩვენი სტუმართმოყვარეობით, საერთოდ საქართველოთი, კონცერტის შემდეგ მათ მოგვიწყეს მშვენიერი შეხვედრა, სადაც დაპატიჟეს ედმონტონის საუკეთესო საზოგადოება, გვაჩვენეს ვიდეოფილმი „ქრისტე“, რომელიც ქართულად იყო გახმოვანებული კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. (გახმოვანების რეჟისორი სოსო ჩხაიძე). გვიან ღამით ჩვენ გულთბილად დაველმშვიდობეთ კეთილ მასპინძლებს, შეხვედრის ინიციატორს ჯერი კლემკეს.

მეორე დღეს გაზეთი „ედმონტონ ჟურნალი“ წერდა: „... ხმლების ნაპერწკლები ზეცას აღწევდა. მამაკაცები თაეგანწირვით იბრძვიან და გვაჩვენებენ ტრადიციულ გაწვრთნილობას. როგორც ჩანს, თავისი ისტორიული წარსულის გამო ქართველები იარაღს კარგად ფლობენ. ხანჯლები გასაოცარი სისწრაფით ერჭობოდნენ იატაკში. ფეხის წვერებზე მამაკაცების ცეკვა და მათი გრძელი, მაღალი ნახტომები ირმის ნახტომს მოგვაგონებდა.

იშვიათი სიმღერებისა და ცეკვების კორიანტელი ტრიალებდა თეატრის სცენაზე, როცა „რუსთაველის“ მომღერლები და მოცეკვავეები ურთულესი და ულამაზესი ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების უძველეს ტრადიციებს აცნობდნენ ედმონტონელებს და თანაც როგორ ტრადიციებს!

ეს საღამო დიდხანს არ დაგვავიწყდება".

იანვრის ბოლოს, თავისი პრეზიდენტობის ერთი წლის თავზე, აშშ–ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კონგრესის წინაშე. ეს გამოსვლა ტელევიზიით გადაიცა მთელ ცივილიზებულ სამყაროში.

ბუშის გამოსვლა ძალიან ეფექტური იყო. მას ხშირად ტაშით აწყვეტინებდნენ, რამდენჯერმე ფეხზეც კი ადგნენ. მან თითქმის ყველა სფერო მიმოიხილა.

„...ამერიკა, – თქვა მან, – არის იდეა თავისუფლებისა, რომლისკენაც ილტვის ყველა ცივილიზებული ხალხი.

ამერიკას აქვს სამი ძირითადი პრინციპი, რაც ადამიანს უნდა ჰქონდეს: 1. ადამიანის სიცოცხლის უფლება; 2. თავისუფლების უფლება, და 3. ბედნიერებისკენ ლტოლვის უფლება.

ამ იდეების გარშემო შემოიკრიბა მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალები, ამერიკა გახდა მამოძრავებელი ძალა დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ. ამისკენ მიილტვის მსოფლიოს პროგრესული ნაწილი. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ის მოვლენები, რომლებიც ხდება აღმოსავლეთ ევროპაში. მოვლენები აქ ელვის სისწრაფით განვითარდა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ერიკ პონეკერი ამბობდა, რომ „ბერლინის კედელი" სულ ცოტა 100 წელი მაინც იდგებაო. დღეს „ბერლინის კედელი" უკვე ისტორიაა. ან კიდევ ჩეხოსლოვაკიელი დრამატურგი ვაცლავ პაველი, რომელიც პოლიტიკური პატიმარი იყო, უცბად, ერთი წლის შემდეგ, პრეზიდენტი გახდა. ან კიდევ რუმინეთი, რომელმაც ჩაუშესკუს დიქტატურა დაამხო, პოლონეთი, უნგრეთი... ძალიან საინტერესო პროცესები მიმდინარეობს საბჭოთა კავშირშიაც, მაგრამ ჯერ კიდევ არა ვართ ბოლომდე დარწმუნებული საბჭოთა კავშირის მომავალში, რომელიც მართალია დიდი შემცირებით, მაგრამ მაინც ახდენს თავისი სტრატეგიული შეიარაღების მოდერნიზაციას. ამიტომ ჩვენც იძულებული ვართ არ შევწყვიტოთ და გავაგრძელოთ ჩვენი სტრატეგიული შეიარაღების მოდერნიზაცია და კერძოდ, „სოი" უნდა გავატაროთ ცხოვრებაში (ამ სიტყვებზე ფეხზე ამდგართ დაუკრეს ტაში).

ამავე დროს ჩვენ მზად ვართ, შეიარაღება ევროპაში მინიმუმამდე დავიყვანოთ. დღეს დილით მე ველაპარაკე პრეზიდენტ გორბაჩოვს და შევთავაზე, ევროპაში ჯარის რაოდენობა ორივე მხრიდან თითოეულმა დავიყვანოთ 195 ათასამდე (ტაში). დარჩენილი ჯარების ძირითადი მასა განლაგებული იქნება გერმანიის ორივე მხარეს. გარდა ამისა, ჩვენ გვეყოლება მცირეოდენი ჯარი ინგლისში, იტალიაში, საბერძნეთსა და თურქეთში. ეს წინადადებები ემყარება ჩვენი სამხედრო ექსპერტების რჩევას..."

ედმონტონში ერთი დღე თავისუფალი გვქონდა და წაგვიყვანეს ექსკურსიაზე. ჯერ გვაჩვენეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები, რომელმაც ჩვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. მერე, როცა გვითხრეს უნივერმაღი უნდა გაჩვენოთო, ჩვენ შევყოყმანდით, მასპინძლებს გაეცინათ და გვითხრეს: ეს ჩვეულებრივი უნივერმაღი არ გეგონოთ, იქ ღირს ექსკურსიაზე წასვლაო.

როცა ლაპარაკია უცხოურ უნივერსალურ მაღაზიაზე, ალბათ უმეტესობას თვალწინ წარმოუდგება სხვადასხვა საქონლით გადატენილი დახლები. ეს თავისთავად, მაგრამ ის, რაც ვნახეთ ედმონტონის უნივერმაღში, იმას ალბათ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ წარმოიდგენდა. როგორც გვითხრეს, მაღაზიას უჭირავს დაახლოებით მთელი ქალაქის 1/10 ფართობი. იგი რამდენიმესართულიანია. სხვადასხვა სექციაში სხვადასხვა სანახაობაა წარმოდგენილი. ერთ სექციაში გაყვანილია უშველებელი

არხი, რომლის ერთ ბოლოში დგას საკმაოდ დიდი, ძველებური (XVIII ს.) იალქნიანი ულამაზესი გემი, გაწყობილი ძველებური ნივთებით. ამ გემთან ახლოს, არხის ფსკერზე დევს ასევე ძველებური ჩაძირული გემი, რომელიც კარგადაა განათებული, რომელიც დაფარულია ჟანგითა და წყალმცენარეებით. აქ დაცურავენ ოკეანისა და ზღვის ბინადარნი. არხში დაცურავს წყალქვეშა ნავი, რომელიც პერიოდულად ზედაპირზეც ამოდის. მსურველებს შეუძლიათ ამ არხში ექსკურსია მოაწყონ. ყოველივე ეს საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს. თქვენ შეგიძლიათ ივაჭროთ, თანაც ზემოდან უყუროთ ამ იშვიათ სანახაობას.

სხვა სექციებში მოწყობილია მანქანების გამოფენა, სადაც იყიდება მსოფლიოს თითქმის ყველა ფირმისა და მარკის ავტომანქანა.

სხვაგან კიდევ ისეთი გასართობი ატრაქციონები და სათამაშოებია ბავშვებისა და დიდებისათვისაც, რომლის მსგავსი მხოლოდ დისნეილენდში თუ მინახავს. საოცარი სისწრაფით დადიან პატარა ვაგონებიანი მატარებლები, კოსმოსური ხომალდები, თვითმფრინავები, სათამაშო მანქანები, მოტოციკლები და სხვ. თვალს მოგჭრით ათასნაირი ელექტროსათამაშო კომპიუტერებით თუ მულტფილმები. საშინელებათა ფილმები და მრავალი სხვა. ყოველივე ამის გვერდზე იყიდება ყველანაირი საქონელი და პროდუქტი. ალბათ რაც კი მსოფლიო ცივილიზაციას შეუქმნია. სხვა სექციებში გარეული ცხოველები და ფრინველებია. ბავშვები სიამოვნებით ეთამაშებიან ხოხბებს, ფარშავანგებს, სირაქლემებს, შვლებს, პატარა ცხენებს – „პონებს“ და სხვა.

უნივერმაღის ერთ განაპირა მხარეს გაკეთებულია ხელოვნური ზღვა. აქ ნაძდეილი ზაფხულის კლიმატია შექმნილი, საოცრად ლამაზი პლაჟებით, ხელოვნური პალმებით და სხვა მცენარეებით. ეს პლაჟები მუდამ სავსეა ბანაობის მოყვარულებით. მოკლედ, ამ უნივერმაღში მოდიან ახლომახლო ქალაქებიდანაც არა მარტო სავაჭროდ, არამედ დასათვალიერებლად და დასასვენებლადაც.

უნივერმაღიდან გაბრუებულები გამოვედით, რასაკვირველია, ყველას თვალწინ გვედგა ჩვენი უნივერმაღები იაფფასიანი საქონლითა და კილომეტრიანი რიგებით.

შემდეგი ქალაქი, სადაც კონცერტი გავმართეთ, იყო კალგარი. გზას დიდი დრო მოვანდომეთ, ამიტომ ბიბსმა ჩვენი ავტობუსი პირდაპირ საკონცერტო დარბაზთან მიიყვანა. აქაური საკონცერტო დარბაზი, ისევე როგორც სხვები, სადაც კი კონცერტები გაგვმართეთ, არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს; ვერ იტყვით, რომ გარედან დიზაინი რაღაც განსაკუთრებულია და თავისი არქიტექტურით თვალს გჭრით, პირიქით, გარედან საკონცერტო დარბაზების უმრავლესობა ერთი შეხედვით საკმაოდ უფერულადაც გამოიყურება, მაგრამ შეხვალთ თუ არა შიგნით, იმ წუთში შეგეცვლებათ შთაბეჭდილება და აღტაცებული რჩებით. დარბაზების უმეტესობა 2900–ზე მეტ მაყურებელს იტევს. პარტერი საოცარი გემოვნებითაა გაფორმებული. იშვიათი რბილი სკამები, ფართე გასასვლელები, უხმაურო კონდენციონერები, კარგი განათება. ყველა ადგილიდან საოცარი ხილვადობა. სცენა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, საუკეთესოა მიკროფონები და გახმოვანება, ტევადი გასახდელები, იშვიათი მომსახურება, ბრწყინვალე ფოიეები ბარებითა და ესკალატორებით, მოკლედ, ასეთია კანადისა და აშშ–ის საკონცერტო დარბაზების უმრავლესობა, ასეთია ქ. კალგარის საკონცერტო დარბაზიც, სადაც ჩვენი კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა.

მეორე დღე თავისუფალი გვქონდა და ნაშუადღევს ქალაქი დავათვალიერეთ. კალგარი ერთ–ერთი თანამედროვე ქალაქია კანადაში, ულამაზესი ცათამბჯენებითა

და სხვა იშვიათი თანამედროვე არქიტექტურით. ორ ერთნაირ შენობას ვერ ნახავთ, ყველა მათგანი ხელოვნების ნიმუშია. ამ ქალაქში, ისევე როგორც სხვაგან, შესაშური სიწყნარეა და სიმშვიდეა. თუმცა საკმაოდ დიდი თოვლი იდო და ძალიანაც ციოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით დავდიოდით ქალაქის ქუჩებში, რომელიც სავსეა რესტორნებით, ბარებითა და მაღაზია-გასტრონომებით, სადაც ათასნაირი საჭმელ-სასმელი იყიდება. მაღაზიებში ხალხი კანტიკუნტად დადის და მე სულ ერთი აზრი მაწუხებდა. ვინ ყიდულობს და რიდის საღდება ამდენი პროდუქტი. სამწუხაროდ, როცა უცხოეთში კარგ რამეს ვნახავ, მაშინვე ჩვენსას ვადარებ და სინანულისაგან იმდენს ვაქვეყ თავს, რომ ამ ბოლო დროს მგონი თავის ქიცინი დამჩემდა.

თუმცა ყინვა 30 გრადუსამდე აღწევდა და ბარები საცვე იყო ხალხით, მაგრამ ჩვენ იქ მთვრალი არავინ გვინახავს. ხალხი ბარებსა და რესტორნებში დროს გასატარებლად შედის, სმა ჭამაც ზომიერი იცით და ქუჩაში აყალმაყალსაც ვერსად ნახავთ. რუსეთში მიმტკიცებდნენ: – აქ იმიტომ სვამენ, რომ სიცივეა. დალოცვილო, კანადაშიც არაა ნაკლები სიცივე, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ იქ ქუჩაში მთვრალი კაცი არ გვინახავს. ერთხელ მოსკოვში მილიციის პოლკოვნიკმა მითხრა, რომ ზამთარში ყოველდღე, მარტო მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქში 100-მდე მთვრალი კაცი იყინებაო ქუჩაში. დადიან მთელი ღამე მილიციის მანქანები და აგროვებენ მთვრალებს. მე თვითონ რამდენჯერ მინახავს ქუჩაში. მთვრალი კაცი წვება, იყინება, ხალხი კი ზედაც არ უყურებს. ყველა თავის საქმეზე მიეშურება.

ღმერთო, შენ დაგვიფარე!

ჩემთან ერთად კალგარის ქუჩებში ომარ კილაპტრიშვილი და ფრიდონ სულაბერიძე სეირნობდნენ. ერთ გასტრონომიულ მაღაზიას ჩავუარეთ, რომელიც სავსე იყო ათასნაირი სასმელით. გასტრონომიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, ხელში რამდენიმე მოზრდილი ღვინის ბოთლი ეჭირა. უცებ ახალგაზრდას ფეხი დაუცურდა, ბოთლები ხელიდან გაუცურდა და დაიმსხვრა. ახალგაზრდა მშვიდად დაიხარა, ნამსხვრევები ფრთხილად აკრიფა და ნაგვის ურნაში ჩაყარა.



აშშ. 1990 წ. ძართველ ემიგრანტებთან ერთად

ამ ფაქტმა ერთი ამბავი გამახსენა: მოსკოვში, დიდ თეატრში დაიდგა ბატონ ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცება“ პრემიერის დღეს ბატონმა ოთარმა გადაწყვიტა თეატრის დასისათვის ვახშამი გაემართა. თბილისიდან გამოუგზავნეს ღვინო და პურმარილი. ბატონმა ოთარმა გვთხოვა მე და თენგიზ ჯანგავაძეს, რომ დავხვედროდით მატარებელს და ბარგი სასტუმრო „მოსკოვში“ მიგვეტანა.

ღვინით სავსე ბოცები და რამდენიმე ყუთი ურიკაზე დავაწყეთ და მუშებს ვთხოვეთ, ტაქსის გაჩერებამდე მიეტანათ.

თებერვლის თვე იყო, ცივდა, მოსკოვში თოვლი იდო, მოგეხსენებათ, ასეთ დროს მოსკოვში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ქუჩები რა ჭუჭყიანია. სადგურის შენობიდან გამოვედით და როცა ერთ მუშას ურიკა ტროტუარის ბორდიურიდან ქუჩაზე გადმოჰყავდა, ერთი 20 ლიტრიანი ბოცა ურიკიდან გადმოვარდა, გატყდა და კახური ღვინო ნაკადულივით ჩუხჩუხით წამოვიდა ტალახიანი ბორდიურის კუთხეში. მუშამ მიატოვა ურიკა, მიწაზე გაწვა, ბამბიანი „ტელეგრეიკის“ სახელოთი ღვინოს გზა გადაუღობა, შეაგუბა და ხერეპა დაუწყო. ამის დამნახავმა სხვა მუშებმაც მიატოვეს თავიანთი ურიკები, გვერდით მიუწვნენ თავიანთ მეგობარს და კოლექტიურად დაუწყეს ღვინოს ხვრეპა. მერე ჩხუბი მოუვიდათ და ზუსტად ისე ურტყამდნენ თავებს ერთმანეთს, ძაღლებმა რომ იციან, როცა ერთ ჭურჭელში ჩაუსხამენ სალაფავს.

არა, ამის აღწერა არ შეიძლება, ეს უნდა გენახათ.

– აი, ხომ ხედავ, აბა კანადაში ერთი მთვრალი თუ გინახავს, – მითხრა ომარმა. ამის პასუხად ერთი ამბავი მოვუყევი, რომელიც 1967 წელს შეგვემთხვა. მაშინ „გორდელა“ გამოფენა „ექსპო–67“–ზე გამოდიოდა მონრეალში. კონცერტის შემდეგ გვიან ღამით სასტუმროში ვბრუნდებოდით. ქუჩაში სიჩუმე სუფევდა. უცებ ქუჩის განაპირას, ბუჩქებში, ვიღაც მთვრალმა ღრიალი მორთო.

–აკი მთვრალ კაცს ვერ ნახავთ კანადაშიო? –თქვა ბადრი თოიძემ.

– მაგი თუ რუსი არ იქნება, ეს ყურები მომაჭერით, – უთხრა გომარ სიხარულიძემ და ბუჩქებში გაგორებულ მთვრალს რუსულად „მიესიყვარულა“.

მთვრალი წამოიწია და ისეთი ცხრასართულიანი დაუხურდავა რუსულად გომარს, რომ, ცხონებული მიხეილ ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, „რუსის სალდათიც კი სირცხვილისაგან გაწითლდებოდა“.

7 თებერვალს გადავიარეთ „როკი მაუნთინს“–ი (კლდოვანი მთები), ეს მთები „ბრითიშ კოლუმბიას“ პროვინციაში მდებარეობს. დილით გზა ძალიან მძიმე და სახიფათო იყო. მთელ გზაზე თოვდა. ბურუსისაგან ხანდახან წინ არაფერი ჩანდა, ამიტომ მძღოლს, რობერტს, რამდენჯერმე მოუხდა ავტობუსის გაჩერება. დღის მეორე ნახევარში თოვა შეწყდა. განათდა. გამოჩნდა მთები და მდინარეები, გზაზე ბევრი გარეული ცხოველი დავინახეთ. განსაკუთრებით ბევრია ლოსები, ირმები, ტურები, მელიები. დავინახეთ გზის პირას ჩაცუცქული მგლებიც. ერთ მათგანს სულ ახლოს ჩავუარეთ. იგი არც განძრეულა. გზაზე რამდენიმე ადგილას ვნახეთ ირმები, რომლებიც მანქანას გაეტანა, ზოგს ტურები ეხვეოდნენ, ზოგსაც — ყვავები...

კანადაში ნადირობა სეზონურია. იყიდება ლიცენზიები. იგი იმდენად ძვირია, რომ ნადირობა შეზღუდულია. ამიტომ მგლები იმდენად მომრავლდნენ, რომ დიდ ზიანს აყენებდნენ გარეულ ცხოველებს. მთავრობა იძულებული იყო გამოეცა სპეციალური კანონი და მგლებს ვერტმფრენებიდან ხოცავდნენ.

ყოველივე ეს რობერტმა გვითხრა, მანეე გვიამბო ერთი საინტერესო ამბავიც:

ტერი ფოქსი – 23 წლის ახალგაზრდა. დაავადდა ავთვისებიანი სიმსივნით, რის გამოც მას ცალი ფეხი მოჰკვეთეს. ცალფეხა ტერიმ გადაწყვიტა პროტეზით შემოეელო მთელი კანადა, შეეგროვებინა თანხა და ჩაერიცხა იგი კიბოს სამკურნალო ინსტიტუტისათვის. ფოქსმა განვლო 3000 კმ, რასაც წელიწადზე ნაკლები დრო მოანდომა. იგი მიეიდა ტანდერბეიმდე და შეწყვიტა სვლა, ვინაიდან მეტასტაზები ფილტვებშიც გავრცელდა. ფოქსი მალე გარდაიცვალა. მისი დაწყებული საქმე გააგრძელა მეორე ახალგაზრდამ, ისეთივე ავადმყოფმა – სტივენ ფონიომ, რომელმაც წელიწად-ნახევარში 5800 კმ გაიარა და დაამთავრა თავისი წინამორბედის დაწყებული საქმე. ყველა დაბაში, სადაც კი შედიოდნენ ტერი და სტივენი, ამ

კეთილშობილური საქმისათვის ფულს უგროვებდნენ ხალხიც და მთავრობაც. სულ 25 მილიონი დოლარი შეაგროვეს და ჩარიცხეს კიბოს საწინააღმდეგო ცენტრში. ტერი ფოქსის პატივსაცემად ერთ–ერთ მთას დაარქვეს მისი სახელი, ასევე ფოქსის სახელი ეწოდა 10 კილომეტრიან ტრასას ნიაგარონიდან ტანდერბეიმდე, ხოლო კანადის დასავლეთით ერთ–ერთ სანაპიროს სტივენ ფონიოს სახელი ეწოდა.

8 თებერვალს ქ. პენტიკტონამდე 12 საათი ვიარეთ ავტობუსით და ღამის 9 საათზე ჩამოვედით. ქალაქი გაშენებულია მთებში, იგი სავსეა წიწვოვანი ტყითა და ტბებით. სამწუხაროა, რომ აქ კონცერტი არ იყო დაგეგმილი, მარტო ღამე გავათიეთ, რომ მეორე დილით გზას გავდგომოდით აშშ–კენ. იმ ღამეს ტელევიზიის ფრანგულმა პროგრამამ აჩვენა ლანა ღოღობერიძის ფილმი 9 აპრილზე; სიტყვით გამოვიდა მერაბ კოსტავა; აჩვენეს ის საშინელი კადრები, რომელსაც ამ ბოლო დროს გონებიდან ვერ ვიცილებთ. შემდეგ ვნახეთ აშშ–ის სატელევიზიო გადაცემა – „ნეშენელ ჯიოგრაფიკ“ ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალის შესახებ, რომელიც 100 წელზე მეტია გამოდის. წაიკითხეს ერთი სტატია ამ ჟურნალიდან და აჩვენეს დოკუმენტური კადრები:

ორი საუკუნის წინათ, ალასკის ნაპირებთან ეძებდნენ გზებს, თუ როგორ შეიძლებოდა ჩრდილოეთ ამერიკის შემოვლით ატლანტიკის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში გადასვლა. ერთ–ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ინგლისური გემი ყინულებში გაიჭედა. მეზღვაურები რამდენიმე ხნის შემდეგ დაიღუპნენ. შარშან იპოვეს ეს გემი, გახსნეს საფლავები და იპოვეს 200 წლის წინათ დაღუპული მეზღვაურები, რომლებიც ყინულის საფარში იდეალურად იყვნენ შენახული. მერე გაათბეს გვამები და ჩაატარეს ექსპერტიზა, აღმოჩნდა, რომ მეზღვაურების ნაწილი დაიღუპა ვიტამინების ნაკლებობით, ხოლო ნაწილიც მოიწამლა, რადგან კონსერვები, რომლითაც მეზღვაურები იკვებებოდნენ, ტყვიით იყო მოხუფული. 6 თვის განმავლობაში ტყვია ამ გაჟონა საჭმელში და მოწამლა მეზღვაურები. დაადგინეს დაღუპულ მეზღვაურთა ვინაობაც.

ასეთი საინტერესო გადაცემები ხშირადაა. ტელევიზიით გადმოსცემენ სხვა საინტერესო შემთხვევებსაც, მაგალითად, ერთმა მუსიკის მოყვარულმა ჩაატარა ასეთი ცდა: ქათმებს რადიოყურთსაცავამები გაუკეთა და დღე და ღამე მუსიკა ასმენინა. ქათმები თურმე სიამოვნებით უსმენდნენ მუსიკას და დღეში ორ-ორ კვერცხს დებდნენ. ამით დაინტერესდნენ ფირმები და დაიწყეს ამ მეთოდის მასიური დანერგვა. როგორც კომენტატორმა აღნიშნა, შედეგი მეტად მაღალია.

ერთ–ერთ გადაცემაში აჩვენეს სხვადასხვა ბეწვეულის ქურქში გამოწყობილი ქალები, ნაირ–ნაირ მოდაზე შეკერილი ქურქებიდან თქრიალით გამოდიოდა სისხლი. ეს იყო შეშხარაი სანახაობა. ამით რეკლამას უკეთებდნენ კამპანიას, რომელიც კრძალავს ნადირის მოკვლას და ბეწვეულის დამზადებას. „აიკრძალოს ცხოველების დახოცვა!“ – ასეთი იყო გადაცემის ლოზუნგი.

ერთ-ერთ გადაცემაში აჩვენეს ლუდის ფირმა, რომელიც განთქმულია იმით, რომ ლუდის ბუნებრივად გასაცივებლად ვერტმფრენებით შორეული მთებიდან ჩამოაქვთ თოვლი. ამ გადაცემამ ერთი ამბავი გამახსენა:

გასტროლებზე წამოსვლის წინ, იანვარში, მოსკოვის რესტორანში ოფიციანტს ცივი ლუდი ვთხოვეთ.

– მაცივარი გაგვიფუჭდა და ყინული არა გვაქვსო – გვითხრა.

– დალოცვილო, მთელი რუსეთი შაქარყინულს პგავს, გაყავი ფანჯარაში ხელი და იმდენ ყინულს იშოვი, მთელ შენს საგვარეულოს ეყოფა მიცვალებულების

შესანახად–მეთქი, ვუთხარი. ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი, ამ ქვეყანაში ყოველნაირად ცდილობენ პრობლემები მოსპონ, ჩვენთან კიდევ, სადაც არ გვეჭირს, იქაც ხელოვნურად ვქმნით პრობლემებს.

9 თებერვალს აშშ–ის ქ. იაკიმაში გადავედით. კონცერტი გავმართეთ ძველებურ საოპერო თეატრში, მეორე დღეს გაეემგზავრეთ ქ. სიეტლში, სადაც ორი კონცერტი გავმართეთ. გზა იაკიმადან სიეტლამდე ძალიან ლამაზია. იგი კარგა ხანს მიჰყვება მდინარე კოლუმბიას. გზის პირას ვხვდებით ჩანჩქერებს, ტბებს, რომელიც საოსეა გარეული ფრინველებით.

ქ.სიეტლი ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადებოდა. მან ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი აშშ–ის უკიდურეს ჩრდილო–დასავლეთით მდებარეობს. სიეტლი თანამედროვე ქალაქია ცათამბჯენებითა და თვალისმომჭრელი რეკლამებით. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს იგი ღამით. აეტობუსი აღმართზე ადის, საიდანაც უცბად იშლება მთელი ქალაქის ხედი. აბრდღვიალებული ცათამბჯენებით საოცარ სანახაობას ქმნის. სიეტლში ჩვენს კონცერტებს დაესწრო რუსი ემიგრანტების დიდი ჯგუფი. მათ კონცერტის შემდეგ ოჯახებში მიგვიწვიეს და გულითადი შეხვედრები მოგვიწყეს.

ქ. სიეტლიდან ისევ გაეემგზავრეთ კანადაში, სადაც ბოლო რამდენიმე კონცერტი უნდა გაგვემართა და შემდეგ გასტროლებს ისევ აშშ–ში გავაგრძელებდით.

ქ. კასლგარამდე 15 საათი მოვანდომეთ. მგზავრობა მეტად ძნელი იყო. ეს ქალაქი მთაში მდებარეობს, როგორც ჩვენი ბაკურიანი, ამიტომ დიდთოვლობის დროს ავტობუსებს ძალიან უჭირდათ მოძრაობა. მთელი გზა თოვდა, გაეიარეთ ზავასაშიში ზონები, მადლობა ღმერთს, რომ ყოველ წუთს გვხვდებოდნენ სპეციალური მანქანები, რომლებიც მარილს ყრიდნენ და თან გზას არაჩვეულებრივი სისწრაფით წმენდნენ, თორემ ნამდვილად ვერ მივაღწეედით ქ. კასლგარს.

ასეთი ხანგრძლივი და მძიმე გადასვლების დროს ანსამბლის წევრები სხვადასხვანაირად ერთობოდნენ. ყოველ დილით, როცა ავტობუსში ვჯდებოდით, გიორგი თოფურია გვაცნობდა უკანასკნელ ცნობებს, მერე ბიბსი გვიკითხავდა გაზეთებიდან საინტერესო მასალებს, შემდეგ ბიჭები მორიგეობით ყვებოდნენ საინტერესო ეპიზოდებს მათი ცხოვრებიდან; ამ მხრივ გამოირჩეოდა ფრიდონ სულაბერიძე, რომელსაც საოცარი იუმორის გრძნობა აქვს, და იყო ერთი სიცილ–ხარხარი. მერე იწყებოდა „ლექცია“ ქართულ სამზარეულოზე. როცა ქართულ საჭმელებზე დაიწყებდნენ ლაპარაკს, ცხადი იყო, ბიჭებს უკვე შიოდათ. ნასადილევს ზოგი ძილს ამჯობინებდა, ზოგი კარტს თამაშობდა, ზოგიც წიგნს კითხულობდა. რამინ მიქაბერიძე, ბორის სორდიასა და ამირან გოლიაძესთან ერთად, სევდიან სიმღერებს აღიღინებდა ჩონგურზე; ანსამბლში ყველაზე უმცროსს, – ნესტან ტოგონიძეს ხანდახან ცრემლები ადგებოდა თვალებზე: – დედა მომენატრაო. ნესტანი, რომელსაც სიყვარულით ნეცოს ვეძახით, მთელი გზა ქარგავდა და უკვე საკმაოდ კარგი კოლექციაც შეაგროვა, ამაზე ამირან გოლიაძემ ექსპრომტიც მიუძღვნა:

„ვერსად ნახავთ ამგვარს,
სხვა გოგოებს არ ჰგავს, —
ნეცო ზის და ქარგავს,
უქმად დროს არ კარგავს“.

ლექსების წერა ყველაზე მეტად ომარ კელაპტრიშვილს და მაია დარჩიაშვილს ეხერხებათ. ისინი ხშირად მიმართავენ ერთმანეთს შაირით. მაიას კარიკატურების ხატვაც ემარჯვება. იგი სათითაოდ ხატავს ანსამბლის წევრთა მეგობრულ შარ-

ჟებს, რომელთაც სამახსოვრო ლექსსაც მიაწერს ხოლმე. განსაკუთრებით ამწარებს ამირან გოლიაძეს. მაია მრავალმხრივ ნიჭიერი გოგონაა. იგი მშვენიერად მღერის კიდეც. ცეკვა „ხანჯლურში" მომღერლებთან მისი გაშაირება ყოველთვის მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

შაირობა, დამღლელი მგზაურობის დროს, „რუსთაველის" წევრებისათვის გართობისა და მხიარულების ერთ–ერთი უებარი საშუალებაა.

„კახურ შაირში" ბადალი არ ჰყავს მალხაზ ყარყარაშვილს, რომელთანაც „სამკედრო–სასიცოცხლო ომი" აქვთ ტარიელ ამაშუკელს, ბონდო გუგაევასა და ამირან გოლიაძეს. „პოლიტბიუროს" თავისი ფალავანი ჰყავს – ავთო მაზანაშვილი, რომელიც პოლიტბიუროს სახელით რამდენიმე „ტკბილ" ლექსს მიუძღვნის მალხაზ ყარყარაშვილს და მერე იწყება კოლექტიური ლექსებით მიმოწერა ზედა და ქვედა „პალატებს" შორის.

ლექსებში მაინც ომარ კელაპტრიშვილი ჯობნის ყველას. მას ანსამბლში არაყინ დარჩენია გაუკილავი, მათ შორის ჩვენი სულმნათი ჰამლეტ გონაშვილიც კი. ცნობილი ფაქტია, ჰამლეტს დაგვიანება უყვარდა. ერთხელ, რუსეთში გასტროლების დროს, ერთი ქალაქიდან მეორეში ვერტმფრენებით გადაეყავედით. ჰამლეტმა დაიგვიანა და გამოჰნდა იმ დროს, როცა ვერტმფრენი აფრინდა. ბიჭებმა სთხოვეს პილოტს. ვერტმფრენი პაერში გაეჩერებინა და ჰამლეტი ამოეყვანათ. პილოტმა დაახლოებით 5 მეტრის სიმაღლეზე გააჩერა ვერტმფრენი. ბიჭებმა თოკის კიბე ჩამოუშვეს და ჰამლეტი ბორტზე აიყვანეს. იყო ერთი სიცილი და საერთო მხიარულება.

ამის შემდეგ საფრანგეთში გახლდით გასტროლებზე. ერთ–ერთ ქალაქში გამგზავრების წინ ჰამლეტმა ავტობუსზე დაიგვიანა, რაც ომარ კელაპტრიშვილის მუზის საბაბი გახდა:

„თვით კარუზოს და ტიტო გობის შეშურდებოდა
შენი ხმის ტემბრი და სილამაზე.
კაცო კაცურო, ტკბილმოუბარო,
„სიტყვაძვირო" და გასაოცარო.
„ნეტაი ერთი დამაწია და"...
ამბობს ჰამლეტი „არაგვიანი",
ვით ჭიანჭველამ თავის ძმობილსა,
ისე ჩაუგდეს თოკი ტიალი,
და ამის შემდეგ, ამის ჩამდენი
ჰამლეტი მოსვლას კვლავ აგვიანებს,
ახლა კი მივხედი, თუ ასე ტკბილად
ის რატომ მღერის „დაიგვიანეს".

როგორც იქნა, 15 საათის მგზაურობის შემდეგ, ძლივს მივაღწიეთ ქ. კასლგარს. ქალაქი ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ბუნებრივი პირობებით ბაკურიანს ვერ სჯობია, მაგრამ არაჩვეულებრივად კეთილმოწყობილია. რა იქნებოდა, ბაკურიანი რომ ასე მოეწყოთ...

მეორე საღამოს კონცერტი გაიმართა სპორტის სასახლეში. აბა სასახლე სწორედ ამას პქვია – 4 უზარმაზარი დარბაზი ორ სართულად: კალათბურთის, ჰოკეის, მძლეოსნობისათვის და ერთიც საცურაო დარბაზი. მოკლედ, ეს მთელი სპორტული კომპლექსია.

ჩვენს კონცერტს დაესწრნენ „დუხობორები". ოდესღაც ჩვენგან გადასახლებულები. აქ მათ დიდი კოლონია აქვთ. კონცერტის შემდეგ მიგვიწვიეს თავიანთ

კულტურის სასახლეში და მოგვიწყეს საოცრად გულთბილი შეხვედრა. „დუხობორები“ კანადაში 1898 წელს გადმოუსახლებიათ საქართველოდან. მათი წინაპრები, როგორც თვითონ გვითხრეს, თბილისიდან და ბოგდანოვკიდან ყოფილან. ისინი გეშით გამოუსახლებიათ ბათუმიდან. მათი კულტურის სახლში მთელი ერთი კედელი უჭირავს პანოს, რომელზედაც სწორედ მათი გადმოსახლების მომენტია დახატული. შეხვედრამ მეტად გულთბილად ჩაიარა. „დუხობორები“ ღვინოს არ სვამენ, ხორცს არ ჭამენ და სიგარეტს არ ეწევიან, ამიტომ ჩვენც ვეგეტარიანული ვახშამი მოგვიშზადეს. ჩვენს პატივსაცემად გალობდა გუნდი, მისი წევრები ნაციონალურ კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილნი და რუსულ სიმღერა–საგალობლებს ასრულებდნენ.

„დუხობორების“ დევიზი ასეთია: „მშვიდობა, მეგობრობა, სიყვარული და თავისუფლება“. უკეთესს კაცი ვერც ინატრებ, ასე უნდა იყოს ყველა ცივილიზებულ ერში.

გვიან ღამემდე გაგრძელდა შეხვედრა. ჩვენმა ბიჭებმაც იმღერეს, იცეკვეს და ძალიან კმაყოფილები დავშორდით ერთმანეთს. მათ სასტუმრომდე მიგვაცილეს და ბოდიში მოგვიხადეს, რომ ხორციანი კერძებით ვერ გაგვიმასპინძლდნენ. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ჭამენ ასე მასიურად ხორცს, გვიპასუხეს: ცხოველების დაკვლას რომ უყურონ, ბავშვები სადისტები გაიზრდებიანო.

მე გამახსენდა ერთი ფაქტი:

ჩემი ბიძაშვილის – ირაკლის ვაჟი, პატარა ანზორ ერქომაიშვილი ხორციანი კერძის სუნზეც კი ცუდად ხდებოდა. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ჭამს ხორცს, სამი წლის ანზორმა მიპასუხა:

– ხოლცი ლომ შეეჭამო, ხომ უნდა დაკლან? მელე ცოდო ალ ალის?

კანადაში ჩვენი ბოლო კონცერტი ქ. ვანკუვერში იყო დანიშნული. ქ. კასლგარიდან ვანკუვერამდე ძალიან დიდი მანძილია, ამიტომ იმპრესარიომ გადაწყვიტა ჩვენი თვითმფრინავით გამგზავრება, მთიანი ლანდშაფტის გამო პატარა თვითმფრინავები დაფრინავენ, ამიტომ ვანკუვერში ორ რეისად გავფრინდით. ერთი ჯგუფი უთენია გაფრინდა, მეორე თვითმფრინავმა კი უამინდობის გამო დაიგვიანა. ავიაკომპანიამ ბოდიში მოგვიხადა, მერე გვასადილეს და ამ დროს თვითმფრინავიც მოფრინდა.

ვანკუვერამდე გზას თითქმის ორი საათი მოუნდით. ცუდი ხილვადობის გამო თვითმფრინავი კიდევ ნახევარ საათს ვერ დაჯდა. ამიტომ თვითმფრინავში დაგვალევინეს კონიაკი, ლუდი, დაგვირიგეს ტკბილეული და, როგორც იქნა, კონცერტამდე ორი საათით ადრე ჩამოფრინდა ჩვენი ჯგუფი.

კონცერტი გაიმართა ვანკუვერის უდიდეს საკონცერტო დარბაზში, სადაც 2800 კაცი ეტევა. ამ კონცერტის წინ დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი. კონცერტს დაესწრო ვანკუვერის საუკეთესო საზოგადოება.

როცა ფარდა დაიხურა, სცენაზე გამოვიდნენ ბიბსი, კენი და რობერტი. ისინი თვალცრემლიანი დაგვეშვიდობნენ, ვინაიდან ხვალიდან ამერიკის იმპრესარიოს საკონცერტო მომსახურების ახალი ჯგუფი მოჰყავდა ჩვენთვის.

მართლაც, ძალიან დაგვწყდა გული ამ შესანიშნავ ადამიანებთან განშორებით. ხუმრობა ხომ არაა, მთელი თვე ჩვენ ერთად ვიმუშავეთ. ისინი თანაბრად იზიარებდნენ ჩვენს გაჭირვებასა და წარმატების სიხარულსაც.

გამოსათხოვარი სიტყვა კენმა ქართულად წარმოთქვა. თურმე ამ ტექსტს რამდენიმე დღე სწავლობდა. მან თქვა, რომ ჩვენთან გატარებული დრო მათთვის

დაუვიწყარია და ისინი კვლავ დიდი სიამოვნებით იმუშავებენ ჩვენთან. გმადლობთ, ქართველებო! – ასე დაამთავრა კენმა თავისი სიტყვა და თვალცრემლიანმა გადაკოცნა მთელი ანსამბლი. ბიბსმა ჩვენს პატივსაცემად მანდოლინაზე შეასრულა „სულიკო“.

ამის შემდეგ იმპრესარიო – ცუკერმანმა ვახშამზე მიგვიწვია, რომელიც იქვე თეატრში გაგვიმართა. მან მოგვილოცა გასტროლების წარმატებით დამთავრება კანადაში და გვისურვა ასეთივე წარმატებები აშშ–შიც. თავისი გამოსვლის ბოლოს ცუკერმანმა იხუმრა: საქართველოში თოვლი არ არის, ხომ ხედავთ, მე რა თოვლიანი ქვეყანა გაჩვენეთო. ამაზე ჩვენ ეუთხარით, – დალოცვილო, თოვლი რომ გვდომებოდა, რუსეთში წაგიდოდით გასტროლებზეო. გამოსათხოვარ ვახშამზე იმპრესარიომ მოიწვია ვანკუვერის გამოჩენილი ადამიანები, რომლებმაც ბევრი თბილი და საქებარი სიტყვა გვითხრეს. თითქმის ყველა გამომსვლელმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „გმადლობთ, საქართველოვ!“.

მეორე დღეს ისეთი თოვლი დადო, რომ ვანკუვერი ვეღარ დავათვალიერეთ. ამიტომ ჩავალაგეთ ჩვენი ბარგი და გეზი აშშ–კენ ავიღეთ.

ვანკუვერიდან გავემგზავრეთ ამერიკის შეერთებული შტატების ქ. იუჯინში (ორეგონის შტატი). მთელი დღე გზაში გავატარეთ, შეუწყვეტლად თოვდა. კანადის საზღვარზე ერთხელ კიდევ „დააყრიჯეთ“ პოლიციელებს, რომ პასპორტებში ბეჭდები ჩაერტყათ და გადაეყედით აშშ–ში.

ღამის 10 საათზე, როგორც იქნა, ჩავაღწიეთ ქ. იუჯინში. მეორე დღეს ჩვენს კონცერტს 2500 კაცი დაესწრო. იუჯინში ახალი დამხმარე ჯგუფი შემოგვეერთდა. ესენი იყვნენ: გრეტჩენი (გერმანელი ქალი, სცენის რეჟისორი), ტერი (ხანდაზმული ქალბატონი, კომერციული დირექტორი) და შელი (ახალგაზრდა, მომხიბლავი ამერიკელი გოგონა, მეგარდერობე).

ავტობუსებს ამჯერად ყოველ ქალაქში გვიცვლიდნენ. იუჯინიდან გაველგზაერეთ ქ. პორტლენდში, სადაც ჩვენს კონცერტს 3400 კაცი დაესწრო. აღსანიშნავია, რომ კონცერტის ბოლოს მაყურებელი ფეხზე ადგა და ჩვენთან ერთად იმღერა „ამერიკა, ამერიკა“. ასე იყო ქ. იუჯინშიც.

18 თებერვალს გეზი კალიფორნიისაკენ ავიღეთ. თოვლი აქა–იქ თუ გეხვედებოდა, საკმაოდ დათბა. ავტობუსიდან ხარბად ვათვალიერებდით მიდამოს. გაგვაკვირვა საძოვრების სიმრავლემ. იქ საძოვრებს საუკეთესო მიწები უჭირავს, საავტომობილო ტრასას მთელ სიგრძეზე გასდევს მავთულის ღობე, რომ გზაზე ცხოველები არ გადმოვიდნენ. დასახლებულ ადგილებში უკვე შესდგომოდნენ საგაზაფხულო სამუშაოებს. ყველა ოჯახის ეზოში იდგა სხვადასხვა ზომის რამდენიმე ტრაქტორი, აგრეთვე საბარგო და მსუბუქი ავტომანქანები: ამ შტატში, როგორც შევნიშნეთ, ძირითადად მეცხოველეობა იყო განვითარებული. შემოღობილ საძოვრებზე საუკეთესო ჯიშის საქონელი ძოვდა. ხეხილიდან ძირითადად ვაშლის ხეები იყო მოშენებული. ვაშლებს უკვე სხლავდნენ, მათ კენწეროებს აჭრიდნენ, რის გამოც ვაშლი იტოტება დაბალზე. სიმაღლეში აღარ იზრდება, მეტ ძალს იღებს, მოსაყალიც მეტი მოდის და ხარისხიც უკეთესიაო, გვითხრეს. აქაური ვაშლები, თურმე, ერთ–ერთი საუკეთესოა ამერიკაში. საინტერესოა, რომ ამერიკის რეგიონებში მოპყავთ მხოლოდ ის კულტურა, რომელიც კარგად ხარობს. ამიტომ მოსავალი კარგი და ხარისხიანია.

გზაზე ჩვენი ავტობუსი გაჩერდა სასაუზმესთან, სადაც ყველა წეურზე სუფრა უკვე გაშლილი დაგვხვდა. საინტერესოა, რომ სასაუზმემდე ნახევარი საათის სავალზე,

გზაზე დგას სპეციალური ჯიხურები, მძღოლს შეუძლია შეუკვეთოს საუზმე (როგორი მენიუც სურს), ან საგზალი; როცა სასაუზმესთან მიხვალ, სუფრა უკვე გაშლილი გხვდებათ, ხოლო საგზალი – გაშზადებული, ამიტომ დრო ცოტა იკარგება. დრო ამერიკაში ყველაზე ძვირად ფასობს.

ქალაქის შესასვლელებში მანქანების გასარეცხად გაკეთებულია ლითონის კონსტრუქციის ფარდულები. ავტომატში ჩააგდებთ ფულს და შეგიძლიათ მანქანა თქვენვე გარეცხოთ. გრძელტარიანი ჯაგრისებიდან გამოდის სპეციალური შამპუნი, რომელსაც მანქანას გადაუსვამთ, შემდეგ იმავე ჯაგრისიდან სუფთა წყალს გადააევლებთ და მანქანაც 5 წუთში გარეცხილია. აქვეა დიდი მტვერსასრუტიც, რომელიც მტვერს იღებს კაბინიდან.

ყოველივე ეს ძალზე მოსახერხებელია და ქალაქშიც სუფთა მანქანები შედიან.

ქ. ეშლენდი პატარა საკურორტო ქალაქია. იგი მთებში მდებარეობს. კალიფორნიის საზღვართან. „ეშლენდი“ ნიშნავს ფერფლიან მიწას. ეს სახელი დაკავშირებულია ჩამქრალ ვულკანთან – „შახტასთან“, რომელიც ამ ქალაქთან ახლოს მდებარეობს. ეშლენდში ღამე გავათენეთ და დილით გავემგზავრეთ კალიფორნიის ქ. სან–ხოსეში. გზა მთებში მიდიოდა. გზაც სწორედ ამას ჰქვია – ფართო, ცალმხრივი, რამდენიმე მწკრივი ტრანსპორტისათვის განსაზღვრული. ძალიან ლამაზია მთა „შახტა“, რომელიც აქაური ინდიელებისათვის „წმინდა მთას“ წარმოადგენს.

კალიფორნიის საზღვართან გაგვაჩერეს. ავტობუსში ამოვიდა პოლიციელი ქალი და გაგვაფრთხილა, ვისაც ხილი გვქონდა, სასწრაფოდ უნდა გადაგვეყარა იქვე მდგომ ნაგვის ყუთში. კალიფორნიაში სხვა შტატებიდან ხილის შეტანა სასტიკად აკრძალულია.

ჩვენ სამხრეთისაკენ მივიწევდით. თანდათან დათბა. მერე გამოჩნდა ეკალიპტები, მაგნოლიები და პალმები, იგრძნობოდა ზღვის სიახლოვე. ნაშუადღევს გზაში შეგვისვენეთ. ბიჭებმა პირველად გაიხადეს თბილი ტანსაცმელი და პიჯაკის ამარა გამოვიდნენ ავტობუსიდან. რამდენიმე საათში ზამთრიდან ზაფხულში მოვხვდით. გამოჩნდა მსხმოიარე მანდარინისა და ლიმონის ხეები.

მივუახლოვდით ქ. სან–ხოსეს. იგი ლამაზი ქალაქია, მარადმწვანე ხეებით, ქუჩებში და ეზოებშიც მსხმოიარე ციტრუსების ხეები დგას, გაცილებით დიდები, ვიდრე ჩვენთანაა.

მეორე დღეს შევხვდით კომპოზიტორ რეი ჩარლზს, რომელმაც დაწერა სიმღერა „თავისუფლება“ ეს სიმღერა 11 მარტს უნდა შესრულდეს საზეიმო საღამოზე საქვეყნოდ განთქმულ „პოლივუდის“ საკონცერტო დარბაზში. სიმღერის ნოტები მოგვიტანეს ორი კვირით ადრე და იგი ავტობუსში შევისწავლეთ.

კომპოზიტორ რეი ჩარლზს შევხვდით დილით, ჩვენი სასტუმროს გვერდით, რესტორანში, რადგან როიალი მხოლოდ იქ იდგა. იგი ასე, 60 წლის სიმპათიური მამაკაცია; მან მიგვიწვია ესტრადაზე. როიალს თვითონ მიუჯდა და, როცა სიმღერა დავამთავრეთ, თქვა: ეს რა კარგი სიმღერა დამიწერიაო, – თანაც დაუმატა: – მე ჩამოვედი იმისთვის, რომ თქვენთან შემეშავა, თქვენ კი უკვე ყველაფერი გისწავლიათო.

კომპოზიტორი ქართული სიმღერით დაინტერესდა. ჩვენ რამდენიმე სიმღერა შევასრულეთ. მან მაღალი შეფასება მისცა ხალხურ სიმღერებს და თქვა: ამის მსგავსი არაფერი მომისმენიაო.

როცა რეპეტიცია დავამთავრეთ, ჩვენთან მოვიდა რესტორნის დირექტორი და გვითხრა: „მე ბერძენი ვარ, გამიგონია რომ თქვენც ჩვენსავით უძველესი კულტურა

გაქვთ, ამიტომ საქართველოს დიდ პატივს ვცემ. დღეს საღამოს თქვენს კონცერტს დიდძალი მაყურებელი დაესწრება. კონცერტის შემდეგ, აი ის ორი ჯენტლმენი (ხელი გაიშვირა მათკენ), ანსამბლის მთელ შემადგენლობას გეპატიჟებათ ჩვენს რესტორანში"

კონცერტის შემდეგ მაყურებელი დიდხანს არ იშლებოდა. ჩვენმა მასპინძელმა ძვირფასი სუფრა გაგვიშალა. მათ მასაჟისტიც კი მოგვიყვანეს სპეციალურად, კონცერტიდან დაღლილები მოვლენ და ენერგია უნდა აღვუდგინოთო.



აშშ პრეზიდენტი ჯონ შნაიდერთან ერთად 1990 წ.

ქეიფი ღამის სამ საათამდე გაგრძელდა. მასპინძლებს ჩვენთან განშორება ეძნელებოდათ, ცეკვა-თამაშს ბოლო არ უჩანდა. ამერიკელები სიამაყენებით ცეკვავდნენ ქართულად, როგორც შეეძლოთ.

ჩვენს მასპინძლებს (რომელთაც, ვინ იცის, რამდენი დაუჯდათ ჩვენი მიპატიჟება) ისე დავშორდით, სახელებიც კი არ გვითხრეს: რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის ჩვენს სახელებს, რიგითი ამერიკელები ვართ, რომელთაც ძალიან მოგვეწონა თქვენი ხელოვნება და იმიტომ დაგპატიჟეთო.

მეორე დღეს სან-ფრანცისკოში გაველმგზავრეთ. ქალაქში გზა მაღლობიდან შედის. ამ მაღლობზე აშენებულია სპეციალური გადასახედი, საიდანაც მთელი სან-ფრანცისკო ხელის გულივით მოჩანს. როგორც სახლები, ისე მათი სახურავები, სხვადასხვაფერადაა შეღებილი, ფერთა იშვიათ გამას ქმნის და განსაკუთრებულ კოლორიტს ანიჭებს ამ ქალაქს. ქალაქში ბევრი ულამაზესი პარკია. იშვიათი ხეებითა და ყვავილთა სიმრავლით ისინი უფრო ბოტანიკურ ბაღებს მოგვაგონებენ. ეს პარკები საუსტა ქალაქის მცხოვრებლებითა და უცხოელი ტურისტებით.

ქალაქის ცენტრი წარმოადგენს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ცათამბჯენების ჯარს, რომელშიც ფინანსური ცენტრებია მოთავსებული. ქალაქში ერთ ვაკე ადგილს ვერ ნახავთ, ქუჩები სულ აღმართ-დაღმართებზეა გაშენებული, შენობებიც რელიეფის შესაფერისი დგას. ბევრი მათგანი არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია. ქალაქის ასეთი რელიეფი ამერიკაში სხვაგან არ შეგხვედრია. საინტერესოა, რომ სან-ფრანცისკოს ქუჩებში შუქნიშნებს იშვიათად შეხვდებით, მიუხედავად ამისა, ავტომობილების მოძრაობა ფრიად მოწესრიგებულია.

სან-ფრანცისკოში დიდი ადგილი უჭირავს ჩინურ კვარტალს, სადაც მხოლოდ ჩინელები ცხოვრობენ. აქ არის ჩინური მაღაზიები, რესტორნები და საეკლესიო უბნები ჩინური და ინგლისური წარწერებით.

ქალაქის მშვენებაა სან-ფრანცისკოს ყურე. იგი მართლაც ულამაზესი სანახავია. სანაპიროზე ცხოვრება დუღს ათასნაირი გასართობით.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს სან-ფრანცისკოს ხიდები. მათ შორის ერთი ცნობილი ხიდია, რომელიც შარშან მიწისძერის დროს დაინგრა, თუმცა იგი მალე

აღადგინეს. ხიდი ორსართულიანია, ავტომობილების მოძრაობა ცალმხრივია. ქალაქში შედიხართ ზედა სართულით, საიდანაც საოცარი სანახაობა იშლება. ხიდი დაკიდული კონსტრუქციითაა ნაგები. მისი სიგრძე 7,2 კილომეტრია. ამაზე გრძელი ხიდი მარტო იაპონიაში მინახავს.

შარშან, მიწისძვრის დროს, სან–ფრანცისკოში ბევრი შენობა დაზიანდა. დაზიანდა თეატრის ულამაზესი შენობაც. ამიტომ სან–ფრანცისკოს ნაცვლად, ჩვენი კონცერტები ქ. ოკლენდში გაიმართა, რომელიც მისგან ოცდაოდე კილომეტრითაა დაშორებული. აქ ადრე, 1906 წელს ყოფილა საშინელი მიწისძვრა, რომელმაც თითქმის მთელი ქალაქი დაანგრია.

ოკლენდში სამი კონცერტი გაუმართეთ. იქ ჩამოვიდნენ ქართველები ქ. სანტა–როსადან: ბ–ნი შოთა დუმბაძე მეუღლით, ძმები მირიან და ნოშრევან გალაშვილები, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბოლო შეფიცული ბ–ნი ალექსანდრე სულხანიშვილი. მათთან გვქონდა საინტერესო შეხვედრები, გვიამბეს ბევრი საინტერესო ამბავი, გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოსურათები.

„ვიცი, ქაქუცას საქართველოში გადაასვენებთ, მეც მინდა ბოლომდე მისი ერთგული დაერჩე, ამიტომ გთხოვთ, ჩემი ბებერი ძვლებიც ქართულ მიწაში ჩაფლათო“ გვითხრა ბ–ნმა ალექსანდრემ.

მადლობა ღმერთს, ალექსანდრე სულხანიშვილს თხოვნა აუსრულდა. როგორც იცით, იგი საქართველოში გარდაიცვალა და თავის მშობლიურ სოფელში დაკრძალეს.

ოკლენდში ჩვენს კონცერტებს დაესწრო ამერიკელ მომღერალთა გუნდი გრიგორი სალომონის ხელმძღვანელობით. ისინი ქართულ სიმღერებს მშვენივრად ასრულებდნენ. ჩვენ მათ გადაეცით საჭირო ფონოჩანაწერები, ვაჩუქეთ ფირფიტების კრებული „100 ქართული ხალხური სიმღერა“ და სათანადო კონსულტაციაც გავუწიეთ.

ზაფხულში ეს გუნდი ჩამოსული იყო თბილისში და ბევრმა თქვენგანმა ალბათ მოისმინა ქართული სიმღერები მათი შესრულებით. ჩვენს კონცერტს დაესწრო მოცეკვავეთა ჯგუფიც, რომელიც ქართულ ხალხურ ცეკვებს სწავლობს. მათ მიიწვიეს ჩვენი ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე, რომელსაც სთხოვეს ცეკვის გაკვეთილის ჩატარება. ფრიდონმა თან წამოიყვანა მუსიკოსებიც და გაკვეთილი ქართული ხალხური მუსიკის თანხლებით ჩაატარა.

მე ფრიდონის ბევრი რეპეტიცია მინახავს, მაგრამ ასე ანთებული იგი არასოდეს ყოფილა, მან ბრწყინვალედ ჩაატარა გაკვეთილი, რითაც აღტაცებაში მოიყვანა ამერიკელი მოცეკვავეები. მათ მადლობა გადაგვიხადეს და საქართველოში ჩამოსვლის დიდი სურვილი გამოთქვეს.

25 თებერვალს, დილით, სან–დიეგოში გავემგზავრეთ. ბიჭებმა შერცხალი დაინახეს პირველად, რამაც ძალიან გაგვამხიარულა. გზა მართლაც საუცხოოა, ცალმხრივი ოთხრიგა მოძრაობით. რიგები ერთმანეთისაგან გამოყოფილია თეთრი ზაზებით, მათში ჩაბეტონებულია ლითონის ნახევარსფეროები, რომლებიც ღამე ანათებენ. ავტომობილი როცა ერთი რიგიდან მეორეში გადადის, მისი ბორბლები ეხება რიგების გამყოფ ლითონის ზაზებს, ბორბლები ახმაურდება და მძღოლი, ჩაძინებულიც რომ იყოს, გამოფხიზლდება. ბეტონის გზას ამობურცული წვრილი ზაზები გასდევს მთელ სიგრძეზე, რაც ცუდ ამინდში გაძორიცხავს ავტომობილების მოცურებას. მოკლედ, გზაზე ყველა პირობაა შექმნილი, რომ ავტოავარია არ მოხდეს.

იქაურ გზებზე ყველანაირი ტრანსპორტი მოძრაობს: უზარმაზარი გაწკრიალებული სატვირთო მანქანები, რომლებსაც პროდუქტი და სხვა ტვირთი გადააქვთ. ავტობუსები, მსუბუქი მანქანები... რომელი ქვეყნის, ფირმისა და მოდელის მსუბუქ ავტომანქანებს არ ნახავთ. თვალს გტაცებენ დიდი სისწრაფით მიმავალი სხვადასხვა ფერის უახლესი მოდელის ავტომანქანები. პირდაპირ გაბოფენა გეგონებათ. ვერ იტყვით, რომელი რომელს სჯობს და არის ამაზე ანსამბლის წევრებს შორის დავა. ზოგიერთი მანქანა ჩვენს ავტობუსს ისეთი სისწრაფით ჩაუქროლებს, რომ მისი სილამაზის აღქმასაც ვერ ვასწრებთ.

ერთ-ერთ მანქანას, რომელსაც ლამაზი გოგონა მართავდა, უკანა შუშაზე დიდი ასოებით ეწერა: „ამ ქვეყანაზე ყველა მამაკაცს რატომ აქვს ასე ცოტა დრო" რამდენ მანქანას იტევს ეს გზები! 1970 წლის აღწერით, აშშ-ის ავტოპარკებში 117 მილიონი ავტომანქანა იყო. აქედან მსუბუქი – 96 მილიონი, სატვირთო და ავტობუსი 21 მილიონი.

პიტლერს უთქვამს: „გზა ქვეყნის სასიცოცხლო არტერიაა", რადგან პიტლერმა თქვა, ალბათ იმიტომ არ აგებენ საბჭოთა კავშირში კარგ გზებს. მაგრამ ერთი ხალხური სიბრძნეც უნდა გავიხსენოთ: „ჭკვიანური რჩევა მტრისგანაც უნდა მიიღო"

სან-დიეგოში საღამოს ჩავედით. იგი წყნარი ოკეანის პირას, ამერიკის სამხრეთ დასავლეთით მდებარეობს. ქალაქი ზღვის სანაპირო ფერდობზეა შეფენილი. ჩვენი სასტუმროდან ხელისგულივით ჩანდა მთელი სანაპირო, სადაც უამრავი პატარა კატარღა და მოზრდილი გემი იდგა.

გასული წლის ოქტომბერში ამ ქალაქში ჩატარდა საქართველოს კულტურის დღეები, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. შესანიშნავად გამოვიდნენ ჩვენი კულტურის წარმომადგენლები, კერძოდ, ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ბ-ნ ჯემალ ჭკუასელის ხელმძღვანელობით.

27 თებერვალს სან-დიეგოში ჩვენს სანახავად ვაშინგტონიდან ჩამოვიდა ბ-ნი ლადო ბაბიშვილი. მე იგი ორი წლის წინათ გავიცანი ვაშინგტონში, როცა იხურგეთის ანსამბლ „ელესას" ვახლდი ფოლკლორის ფესტივალზე. მას შემდეგ ბ-ნ ლადოსთან მაქვს მიწერ-მოწერა. ბატონ ლადოსთან ერთად ჩვენთან მოვიდა მისი მეგობარი ახმედი, ძველი ემიგრანტი ხარკოვიდან, რომელიც ომში ტყვედ ჩავარდა და მერე იძულებული იყო საშინაბლო დავტოვებინა. ახმედი სან-დიეგოში ცხოვრობს, ხალისიანი კაცია და მშვენიერი მოსაუბრე. ჩვენ ქალაქგარეთ გავისეირნეთ. ვნახეთ ძალიან ლამაზი, არაჩვეულებრივად მოწყობილი კურორტები. აქაურ კურორტებზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან



აშშ. ანზორ ერქომაიშვილი, რადიო „ამერიკის ხმის" დიქტორი ლადო გაბუშვილი და თენგიზ სუხიშვილი (1989)

ჩამოდიან დასასვენებლად. ახმედმა გვაჩვენა სასტუმრო, სადაც ერთი თვის წინ პონიის პრეზიდენტი ისვენებდა. შემდეგ მიგვიყვანა ერთ-ერთ ულამაზეს სახლთან, რომელიც მწვანეში იყო ჩაფლული, და გვითხრა: ეს სახლი ქუთუნოდა ამ მხარეში სიმდიდრით განთქმულ ერთ ხოშეხ ემიგრანტს, რომელიც ახლახან გარდაიცვალა და მთელი თავისი ქონება ახალგაზრდა საყვარელს დაუტოვაო.

ამ სახლის გვერდით ყვავილნარში იყო ჩაფლული ასევე თვალწარმტაცი ვილა, რომელშიაც თურმე ერთი მილიონერი ქალი ცხოვრობდა. მას 10 კატა ჰყავდა. სიკვდილის წინ მთელი თავისი ქონება ანდერძით კატებს დაუტოვა... კატებს დაუნიშნეს მომვლელები, რომლებიც მათ მაღალ დონეზე ემსახურებოდნენ. ახლახან ბოლო კატა გარდაიცვალა და მთელი ქონება მთავრობას დარჩა.

ჩვენ რესტორანში აგვდიან, იქიდან მთელი სანაპირის ხედი იშლებოდა ჩვენ თვალწინ.

...პირველად ქართველებს მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში შევხვდი, მას შემდეგ ამ ხალხს უდიდეს პატივს ვცემ. თქვა ახმედმა და ერთი ამბავი მოგვითხრო. მაუტჰაუზენში საშინელ დღეში ვიყავით, გერმანელები საჭმელს იძლეოდნენ, რომ შიმშილით არ მოვმკვდარიყავით ჩვენთან იყვნენ ქართველები, შესანიშნავი ვაჟკაცები გიორგი და შოთა, საშუხაროდ, ძალიან გვარები არ მახსოვს. რაც ძალიან გვიჭირდა, ქართულ სიმღერას წამოიწყებდნენ და ყველას გვამხნევებდნენ, რამდენჯერ თავიანთი ისედაც მცირე ულუფა გაჭირვებულისთვის გაუნაწილებიათ. ჩვენ სულ ერთად ვიყავით.

ერთ ღამეს ერთი ჩვენი ნაცნობი ებრაელი ატირდა: – ამ რუხმა იცის, რომ ჩვენ ებრაელი ვარ და ყოველდღე შემუქრება, თუ ჩემს მილულეფას არ მივცემ, გერმანელებთან დამაბეზღებს და იმწამსვე დამხვრეტენ. უკვე ორი კვირაა ლუკმა არ მიჭამია და ხვალაც უნდა წამართვას საჭმელიო. ებრაელი ცხარედ ტიროდა, შიშილისაგან ფეხები უკვე დახიებოდა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ დიდი ხნის



აღარ დარჩენოდა. ჩვენ ავენთეთ. შოთამ და გიორგიმ უთხრეს: არ მისცე საჭმელი, მაგას ჩვენ მოვუვლითო. მერე შოთა მიეიდა იმ რუსთან და რაღაც ელაპარაკა.

მეორე დღეს ებრაელი დავაპურეთ და, რაც შეგვეძლო, მოვუარეთ. ნაშუადღევს გერმანელებმა ჩვენი ებრაელი წაიყვანეს და დახვრიტეს.

იმ ღამეს, როცა ყველამ დაიძინა, გიორგიმ და შოთამ ის ახმახი რუსი გაგუდეს. დილით, როცა გერმანელებმა სამუშაოზე გაგვრეკეს და მიცვალებული ნახეს, არც უკითხავთ რისგან გარდაიცვალა, ისე აკიდეს პატიმრებს და კრემატორიუმში წაათრიეს"

საღამოს სან–დიეგოში ჩვენი პირველი კონცერტი გაიმართა. დარბაზში 2300 კაცი იჯდა. კონცერტზე მოვიდა ქალაქის საუკეთესო საზოგადოება, რომელმაც გულწრფელი ტაშით დაგვაჯილდოვა. მეორე დღეს პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ქართულ ხელოვნებას.

სან–დიეგო ჩვენი იმპრესარიოს – დონ პიუზის მშობლიური ქალაქია, დონი დიდად გახარებული იყო ჩვენი წარმატებით, რადგან მისმა აუტორიტეტმა ძალიან აიწია ქალაქის თვალში.

კონცერტის შემდეგ დონი მეუღლითურთ მოვიდა ჩვენთან და ანსამბლის ხელმძღვანელობა რესტორანში მიგვიპატიჟა.

რესტორანი პქვია, თორემ ეს არის ზღვის პირას გაშენებული პატარა სოფელი, არაჩვეულებრივად ლამაზი ძველებური ხის სახლებით, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტილშია აშენებული. „სოფლის" შესასვლელში დიდი რუკაა გამოკრული, რომელზედაც აღბეჭდილია ყველა სახლი წარწერით, თუ რომელი ქვეყნისაა იგი და როგორი მენიუ აქვს. მენიუში მხოლოდ თევზეულობაა. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ სახლი, რომელშიაც თქვენთვის სასურველი თევზეულობით გაგიმასპინძლდებიან. ჩვენ ამოვარჩიეთ სახლი პაპაის კუნძულებიდან. ეს სახლი იყო ხის, ლერწმით გადახურული. შიგნით არაჩვეულებრივი სისუფთავე და სიმშვიდე სუფევდა. კედლები მოხატული იყო იქაური პეიზაჟებით, რომელიც განსხვავებულად იყო განათებული და ბუნებრივ ეფექტს ქმნიდა. სადღაც შორიდან პაპაის კუნძულების მუსიკა ისმოდა. მაგიდები, სკამები და საერთოდ ყველა ნივთი, რაც კი რესტორანში იდგა, იმ ქვეყნის ეთნოგრაფიულ ნიმუშს წარმოადგენდა. გვემსახურებოდნენ პაპაის კუნძულებისათვის დამახასიათებელ ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი ოფიციანტები. რესტორნის მენიუ ძალიან მდიდარი იყო. იქ ყოველდღიურად შემოჰქონდათ თევზი მსოფლიოს შრაკალი ქვეყნიდან და შენიუც ყოველდღიურად იცვლებოდა. მოგვართვეს საუცხოო ღვინოები და პაპაის კუნძულებისთვის დამახასიათებელი თევზეულობა. მერე სხვა ქვეყნის თევზიც მოგვიტანეს: ეს თევზი ფილიპინებიდანაა, იგი უცნაური ჯიშისაა და მხოლოდ იქაა გავრცელებული. მეორე ბრაზილიიდანაა, მესამე იაპონურია, ეს კიბორჩხალები კი კორეისაა, – გვითხრა მომტანმა.

გაესინჯეთ ზვიგენის ხორციც, იგი მომჟავო გემოსია და უსიამოვნო მეჩვენა.

მოკლედ, რესტორანს მთელი მსოფლიოდან ამარაგებენ თევზეულით. მერე რა მომსახურება და რა სისუფთავეა! თანაც, რესტორანი დილამდე იღებს სტუმრებს.

სან–დიეგოში 10 დღე ვცხოვრობდით და საშუალება გვქონდა კარგად გაგვცნობოდით იქაურობას.

იქაური ზოოპარკი, როგორც გვითხრეს, ერთ–ერთი საუკეთესოა ამერიკაში. რომელი ქვეყნის ცხოველს, ფრინველსა და თევზს არა ნახავთ იქ! საინტერესოა, რომ ცხოველთა და ფრინველთა დიდი უმრავლესობა –(გარდა მტაცებლებისა) თა-

ვისუფლად დანავარდობენ „თავიანთ მოედანზე“ დამთვალიერებლებთან ერთად.

დავათვალიერეთ სან-დიეგოს ცნობილი პარკი, რომელიც ქალაქის მშვენებას წარმოადგენს. ამ პარკში თითქმის მთელი დღე დავყავით, ეს პარკი კი არა, ნამდვილი ბოტანიკური ბაღია. პარკში შეგიძლიათ ნახოთ რამდენიმე ატრაქციონი. ჩვენ ვნახეთ გაწვრთნილი ზვიგენების ჯგუფი. 6 ზვიგენი სინქრონულად აკეთებდა ათასნაირ ტრიუკს. მწვრთნელებთან ერთად ცეკვავდნენ, ხტუნაობდნენ, ბრუნავდნენ, ზურგზე შეისვამდნენ მწვრთნელს და დიდი სიჩქარით დააქროლებდნენ. ასეთი სინქრონი გოგონების ვარჯიშის დროს წყალქვეშა სინქრონულ ვარჯიშებშიაც არ მინახავს.

უფრო დიდი შთაბეჭდილება მეორე ატრაქციონმა მოახდინა. აქ უზარმაზარი აუზია გაკეთებული იარუსებით, სადაც 5 ათასამდე კაცი ეტევა.

3 გაწვრთნილი მტაცებელი ვეშაპი, „კასატკები“, რომელთა სიგრძე 10 მეტრამდე აღწევს, აკეთებს საოცრებებს; აბა, რა უნდა უწოდო, როცა მწვრთნელი ვეშაპს ყურში ჩასჩურჩულებს რაღაცას და იგი სიმღერას იწყებს, დიახ, სიმღერას. ნახევრად ამოდის წყლიდან, მწვთრნელს ხელში მიკროფონი უჭირავს და ვეშაპი „მღერის“.

მერე მწვრთნელი ახალ დავალებას აძლევს; ვეშაპი თითქმის მთლიანად ამოდის წყლიდან, კუდზე დგება და იწყებს ცეკვას მუსიკისა და დასარტყმელი ინსტრუმენტების აკომპანემენტის თანხლებით.

მერე „კასატკები“ სინქრონულად ბრუნავენ, ამოხტებიან წყლიდან დიდ სიმაღლეზე, ბურთებს ათამაშებენ, შემდეგ აკეთებენ საოცარ ტრიუკებს, ახლოს მოდიან ნაპირთან და ეხუმრებიან მაყურებელს, თითქოს მათთან ლაპარაკი სურთ. როცა მაყურებელი ფეხზე წამოდგება და ყურს მიუგდებს, ფარფლებით წყალს ამოასხამენ და მაყურებელს გაწუწავენ, თვითონ კი მხიარულად „ხარხარებენ“. ყველაფერ ამას აკეთებენ მწვრთნელის დავალებით, რომელიც ყოველი ჩატარებული ნომრის შემდეგ ვეშაპებს კოცნის და თევზს უდებს პირში.

ერთი ასეთი ნომერიც შეასრულეს: მწვრთნელი წყალქვეშ ჩავიდა, ვეშაპმა მას დინგი ფეხის გულებზე მიაბჯინა, მერე დიდი სიჩქარით გააქანა და იმ სიმაღლეზე ამოხტა წყლიდან (მწვრთნელი ისევ დინგზე პყავდა), რომ მაყურებელს განცვიფრებისგან ოხვრა აღმოხდა. „კასატკები“ თითოეულ ნომერს საოცარი „არტისტიზმით“ ასრულებდნენ; ტაშის ხმაზე წყლიდან ამოდიოდნენ, ფარფლებს ხელებივით გულზე დაიდებდნენ და მაყურებელს თავს მდაბლად უკრაედნენ. მერე გულაღმა გაგორდებოდნენ წყალზე და სიამოვნებისაგან ფარფლებს გულზე იტყაპუნებდნენ.

არა, ასეთი რამ არ მინახავს. ის კი არა, რომ ეთქვათ, ნამდვილად არ დაიჯერებდი. მე არ ვიცი, რამდენი დროა საჭირო, რომ ასე ცხოველი გაწვრთნა, თანაც, „მარტო წვრთნა რას უზამს“, როგორც ჩანს, ბუნებაში კიდევ ბევრი საიდუმლოებაა და მარტო ადამიანი არაა ნიჭიერი. რაც ვნახეთ, ნამდვილი საოცრება იყო, ამის აღწერა არ შეიძლება, იგი უნდა ნახოთ.

სან-დიეგოდან გავემგზავრეთ ქ. პალმსპრიმგში. ეს ქალაქი უდაბნოშია აშენებული. იქ პირველი სახლი 1893 წელს აიგო. ეს სახლი ახლა სამუზეუმო ექსპონატს წარმოადგენს. იმ უდაბნოში აღმოუჩენიათ სამკურნალო ცხელი წყლები. ქალაქიც იმიტომ აუშენებიათ.

ქალაქს ერთი მხრიდან მოტიტვლებული მთები აკრავს. შენობები ერთ ან ორსართულიანია. სახლები საოცარი გემოვნებითაა აშენებული. ქუჩების გასწვრივ უზარმაზარი პალმები დაურგავთ. ეზოებში დაუფენიათ ბალახიანი მიწა და სახლები

ყვავილნარებშია ჩაფლული. რა არ შეუძლია კაცის ხელს, უდაბნოში ასეთი ქალაქი? საოცარია პირდაპირ.

პალმსპრინგი საკურორტო ქალაქია, სადაც მხოლოდ მდიდრები ისვენებენ და მკურნალობენ. ახლა აქ შუა ზამთარია, პაერის ტემპერატურა კი პლუს 30 გრადუსამდე აღწევს.

ქალაქის ქუჩებში დადიან თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ძველებური ავტობუსები. ამ ავტობუსს, რატომღაც, ტრამვაის ეძახიან, რომელიც ჩვენებურ „კონკას" მოგვაგონებს. ავტობუსში უკრავს ძველებური მუსიკა. მძღოლები გიდის ფუნქციასაც ასრულებენ. ისინი სიამოვნებით გვიყვებიან ქალაქის შესახებ.

ამ ქალაქში მხოლოდ პრესტიჟული მარკის ავტომანქანები მოძრაობენ: „როლს – როისები", „იაგუარები", „მერსედესები", „ლინკოლნები" და სხვ. ერთხელ ასეთი სურათი ვნახე: ახალგაზრდა წყვილმა „როლსროისი" გააჩერა და ჩვენთან ერთად „ტრამვაით" გასეირნება არჩია. ამაშიაც არის რაღაც ეგზოტიკური.

„ტრამვაის" მძღოლმა მიგვიყვანა ქალაქის ყველაზე მაღალ შენობასთან. იგი 4 სართულიანი, უმაღლესი კლასის სასტუმროა. ამ სასტუმროში, – გვითხრა მძღოლმა, – ღამე გაათია და პრეზიდენტ ბუშს შეხვდა იაპონიის პრემიერ–მინისტრი. ბუში კერძო სახლში ცხოვრობდა. პალმსპრინგში ყველა პირობაა შექმნილი, რომ ადამიანმა კარგად დაისვენოს. აქ ყველაფერი ადამიანისთვის კეთდება. ამან ერთი ანეგდოტი გამახსენა: დეპუტატი ჩუქჩა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კონსტანტინ ჩერნენკომ სახლში მიიწვია. როცა ჩუქჩა თაეიხიანებთან დაბრუნდა, კრებაზე სიტყვით გამოვიდა: "Я убедился, что у нас в СССР всё делается для человека, я видел этого человека",

ჩვენი კონცერტი გაიმართა პალმსპრინგიდან ნახევარი საათის სავალზე. იქ კი ნამდვილი ოაზისია. ამ ხელოვნურ ოაზისში დგას ერთ–ერთი ულამაზესი თეატრი, რაც კი ოდესმე მინახავს. ხასხასა მწვანე ბალახით, ყვავილებითა და პალმებითაა მორთული თეატრის მთელი შემოგარენი. თეატრის წინ დიდი, ფერადი შადრევანია, რომელიც აგრილებს და ალამაზებს იქაურობას. ყოველივე ეს თეატრთან ერთად ქმნის საოცარ ანსამბლს. ბალახებში დახტიან შაშვები, გერიტები, ისინი ადამიანს არ უფრთხიან. აქვე, პალმებზე გალობენ ბულბულები, ერთი სიტყვით, ჩიტების საოცარ კონცერტს შევესწარი. მზე ჩადიოდა და მისი სხივები ლამაზ ფერებში ანათებდა აქაურობას, რომელიც ამ თვალუწვდენელ უდაბნოში სამოთხის პატარა კუნძულივით ჩანდა.

თეატრის გარშემო ხომ ოაზისია, თეატრის უზარმაზარი ფოიე ნამდვილი სამოთხის ბაღი გეგონებათ: ფერადი შადრევნებით, ულამაზესი მცენარეებითა და ყვავილებით შემკული.

ეს თეატრი საქველმოქმედო მიზნით აუშენებია ერთ–ერთ ცნობილ ამერიკელ კომიკოსსა და კინოვარსკვლავს, ბობ ჰოუპს.

თეატრი ხალხით გაიჭედა. მოვიდა უმდიდრესი მაყურებელი. ისინი მოდიოდნენ ძვირფასი მანქანებით, რომელთაც თეატრის შესასვლელთან ხედებოდნენ სპეციალური მოსამსახურეები. ისინი მანქანის პატრონებს გასაღებს ართმევდნენ და მანქანა ავტოსადგომზე მიჰყავდათ, პატრონს კი ტალონს უტოვებდნენ. კონცერტის შემდეგ იმავე ტალონით უკან უბრუნებდნენ მანქანებს. რა მომსახურებაა!

მეორე დილით ლოს–ანჟელესში გავემგზავრეთ. გზად გაგვატარეს „კოვბოის" მუზეუმში, რომელიც ცნობილმა „კოვბოის" როლების შემსრულებელმა, მომღერალმა და კომპოზიტორმა ჯინ ოტრიმ დააარსა. მუზეუმს უზარმაზარი შენობა

აქვს დათმობილი. აქ წარმოდგენილია კოვბოური საბრძოლო იარაღების ნიმუშები: ძველი ინდიელების აბჯარკაზმულობა, შუბები, დანები, მშვილდ–ისრები, თოფები, მუშკეტები და სხვ. წარმოდგენილია აგრეთვე სამეურნეო იარაღიც: სახნისი, ბარი, თოხი, ურემი, უღელი და სხვ. უღლის შესახებ ექსკურსიამძოღლი შეგვეკითხა: თუ იცით, რა არის ეს? – ჩვენ თუ არ ვიცით, აბა ვინ იცის. აგერ ორასი წელია კისერზე გვადგას, – გაიცინა ამირან გოლიაძემ.

მუზეუმში ბევრია „კოვბოური“ ყოფის ამსახველი ფოტოსურათები და ტილოები, ბევრია ვიდეოფილმებიც. საინტერესოა ინდიელების კოსტიუმები. იგი გაწყობილია სპილოს ძვლებითა და ათასნაირი ზიზილ–პიპილოებით, ქუდები კი – არწივის ფრთებით. არწივს თურმე შემდეგნაირად იჭერდნენ: ინდიელი მთაზე ამოთხრიდა ორმოს და შიგ ჩაჯდებოდა. თავზე გადაიფარებდა ტოტებს და ზედ კრაეს ან შინაურ ფრინველს დააბამდა. არწივი შეამჩნევდა თუ არა მსხვერპლს, შურდულივით დაეძგერებოდა მას. ამ დროს ინდიელი ფეხებში სტაცებდა ხელს, ორმოში ჩაითრევდა და მოგუდავდა, შემდეგ მის ფრთებს სამკაულებისა და საომარი იარაღისათვის იყენებდა.

უკვე მერამდენედ ვხვდებით, რომ კერძო პირები, გამოჩენილი პიროვნებები თავიანთ ფულს საქველმოქმედო საქმისათვის იყენებენ, აშენებენ თეატრებს, მუზეუმებს და სხვ. უზრუნველყოფილი სიბერეც განაღდებული აქვთ; პენსიაზე გასვლის შემდეგ იწყებენ ტურისტულ მოგზაურობას და ახალგაზრდობაში დაგროვილი ფულით დროს ატარებენ.

„კოვბოის“ მუზეუმიდან ლოს–ანჟელესამდე მისვლას ორი საათი მოუნდით. გზაზე ხშირად ეხვდებოდით სხვადასხვა სიდიდისა და მარკის სასოფლო–სამეურნეო ტექნიკას: ამწეებს, ტრაქტორებს, სასხლავებს, სარწყავებსა და სხვა ტექნიკურ საშუალებებს, კერძოდ, სატვირთო მანქანებს, მსუბუქ მანქანებს, შეგიძლიათ ისინი დაიქირავოთ მძღოლის გარეშე და წაიყვანოთ ნებისმიერ ქალაქში, გამოიყენოთ და იქვე დაუტოვოთ სპეციალურ ფირმას. მძღოლის გარეშე მანქანის დაქირავება გაცილებით იაფი ჯდება.

ლოს–ანჟელესში დღის 3 საათზე ჩავედით. იგი სიდიდით აშშ–ის მესამე ქალაქია (ნიუ–იორკისა და ჩიკაგოს შემდეგ), მისი მოსახლეობა გარეუბნებიანად რვა მილიონს შეადგენს.

ლოს–ანჟელესში ათასი ჯურის ხალხი ცხოვრობს. აქ ნახავთ ჩინურ კვარტალს, კორეულს, მექსიკურს, არაბულს, იტალიურს, სომხურს (600 000 კაცი) და სხვ. როგორც ამერიკის სხვა დიდ ქალაქებში, აქაც, ცენტრის გარდა, ყველგან დაბალსართულიანი სახლებია. ცენტრში თავმოყრილია ცათამბჯენები, სადაც ქალაქის ფინანსური ცენტრებია განლაგებული. ერთ–ერთი ასეთი ცათამბჯენის (50–ზე მეტი სართულით) პირველ სართულზე საკონცერტო დარბაზია (დიდ ქალაქებში ესეც ჩვეულებრივი ამბავია). იგი აუშენებიათ 1931 წელს.

ჩვენმა კონცერტებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. საკონცერტო დარბაზის შესასვლელში მოთავსებული ლამაზი რეკლამა მოსახლეობას ამცნობდა, რომ ანსამბლი „რუსთავი“ კონცერტებს გამართავს 18 მარტამდეო.

ჩვენი სასტუმრო საკონცერტო დარბაზიდან სულ ორასიოდე მეტრის დაშორებით მდებარეობდა, ამიტომ კონცერტებზე ფეხით დავდიოდით. ჩვენს პირველ კონცერტს დაესწრნენ სან–ფრანცისკოს პრესისა და ტელევიზიის, ქალაქის მუნიციპალიტეტის და სხვა ოფიციალური ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქალაქის რჩეული საზოგადოება.

კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა. ფინალი, როგორც სხვაგან, აქაც რამდენჯერმე განმეორდა ფეხზე ამდგარი მაყურებლის ტაშის გრიალში.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის ცენტრალური გაზეთი წერდა: თეატრის სცენაზე ძარჯვნიდან შემოდის ანსამბლ „რუსთავის" 20 მოცეკვავე ერთ მწკრივად, სახეები პროფილშია, ხელები ერთმანეთის მხრებზე, ხოლო ფეხები სწრაფად მოძრაობენ წინ და უკან.



აშშ ძართველ ემიგრანტებთან ერთად 1990 წ

როდესაც ისინი ლაგდებიან ხუთკაციან მწკრივებში და შემდეგ ქმნიან წრიულ ფორმაციებს, მოცეკვავეები ისეთნაირად მოძრაობენ, რომ არ არღვევენ ცეკვის ფორმას, მის სიმკაცრეს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ერთი გონი მართავს ერთ სხეულს.

სცენიდან გასვლისას კი თითოეული მოცეკვავის თავი და ტანი აბსოლუტურად უძრავია, ეს ძაშინ, როდესაც ისინი ერთდროულად აკეთებენ ნახტომებს, რომლის დროსაც ჰაერს მიაჩხობენ.

იდუმალ გურულ აჭარულ ცეკვას, რომელსაც „ხორუმი" ჰქვია, შესაძლებელია არა აქვს იმდენი კორტუოზული ბრუნვები და შუხლზე დაცემები, როგორსაც „რუსთავი" აკეთებს „მთიულურის" ფინალის დროს, არც ისეთ ნაპერწკლებს აფრქვევს, როგორც ეს ხშირებით შეკრებებისას ხდება „ფარიკაობაში", მაგრამ „ხორუმი" აძკვიდრებს უბადლო ერთიანობას, ამაში მას თითო-ოროლა ანსამბლი თუ გაუტოლდება.

„ხორუმის" თავდაჭერილობასა და საკუთარი ღირსების შეცნობაში ყველაზე მეტად მეღავნდება „რუსთავის" პატიოსნება მშობლიური ფესვებისადმი, კულტურული ტრადიციებისადმი. ასეთი დამოკიდებულება აღსაფრთოვანებელია განსაკუთრებით დღეს, როცა, ხშირად, ყალბ შარადებს ხალხურ შემოქმედებად ასაღებენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის ცნობილი ხოგაერთი ანსამბლი ახდენს ეროვნული ქორეოგრაფიის ბალეტიზებას და ხალხურ ქორეოგრაფიას აცვებს მაქსიმალური რაოდენობის ტრიუკებით. „რუსთავი" კი ნაღდია, ესაა ჭეშმარიტად ფოლკლორული ანსამბლი.

„რუსთავი" გრძნობს, რომ ამერიკელ მაყურებელს მოსწონს ნამდვილი ხალხური სიმღერა და ცეკვა და, რომ მას იზიდავს ჯეშმარიტი ხელოვნება და არა ფსევდოხალხურ სტილში დადგმული საბალეტო დივერტისმენტებისა და ტანჯარუიშის ჩვეულებრივი საღამო"

„ჩვენ ვიღებთ იმას, რაც გვჭირდება ცესწრებით ქართული ეროკალური ხელოვნების „სემინარს" რომელსაც ატარებს ანსამბლ „რუსთავის" მამაკაცთა გუნდი. ისინი მღერიან, აკომპანემენტის გარეშე, ძღერიან შრომის სიმღერებს, პა-

ტრიოტულ პიმნებს. ლირიკულ ბალადებს, იუმორისტულ სიმღერებს. თითოეული მათგანი მოითხოვს განსაკუთრებულ ტექნიკას...

„რუსთავი“ პასუხობს ახალ მსოფლიო ინტერესს ანტიკური ქორალური მუსიკისადმი. იგი გვაცნობს რეგიონალურ სპეციფიკასაც. მაყურებელიც გამოხატავს თავის კმაყოფილებას ამერიკული ვოკალური ტრადიციის შესაბამისი შეძახილებით.

შესვენების შემდეგ ბევრ მაყურებელს უკვე ხელთა აქვს „რუსთავის“ კომპაქტდისკები და კასეტები. ისინი ცნობისმოყვარეობით უსმენენ უცხო ენის ყოველ სიტყვას, თუმცა თვითონ ვერასოდეს შეძლებენ ამ ენაზე ლაპარაკს.

ინსტრუმენტული შელოდიები გვაცნობენ ხალხურ საკრაველს: სალამურს, დოლს, სიმებიან ინსტრუმენტებს. ცეკვის აკომპანემენტი კი უფრო ხშირად გარმოწზე სრულდება, თვით ყველაზე თავბრუდამხვევი ცეკვებიც კი ბგერათა მსუბუქი ნაკადის თანხლებით სრულდება. ქალები ისე დასრიალებენ სცენაზე, როგორც პაერის ბალიშებზე, ხოლო კაცები დაქრიან ფეხის წვერებზე. თითქოს ეს–ეს არის უნდა გაფრინდნენო.

ინფორმაციის ნაკადმა, რომელიც წინ უსწრებს „რუსთავის“ გამოსვლებს, არ უნდა შთანთქოს ამ ღირსშესანიშნავი ანსამბლის მიღწევები: ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე გვაჩვენებს ილეთებს, რომლებიც აღგვაფრთოვანებს კუნთოვანებით, ასიმეტრიულობით და ქართველთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ჟესტიკულაციით. მამაკაცთა ქორეოგრაფიული ლექსიკონი უაღრესად მდიდარია და მრავალფეროვანი. მას არ სჭირდება ახსნა–განმარტებები...

ზოგჯერ ბალეტიც გვაგონდება: მაგალითად, „მთიულურ სიუიტაში“ ქალთა კოსტიუმები გვახსენებენ ნიჟინსკის მიერ დადგმულ „კურთხეულ გაზაფხულს“

მთავარია, რომ „რუსთავმა“ მიაგნო ჭეშმარიტებას და ისე გამოიტანა სცენაზე, რომ მისი არსი არ დაამახინჯა... ასეთი შედეგი აღსაფრთოვანებელია.

„ლოს–ანჟელეს ტაიმსი“

ლუის სეგალი – კრიტიკოსი.

10 მარტს დასვენების დღე გვქონდა. საღამოს 5 საათზე ანსამბლის წევრები თავიანთ ოჯახში მიგვიწვიეს ჩვენმა მეგობრებმა – ჩარლიმ და ინგრიტმა. ისინი ცხოვ-



ცეკვა „სიმდიდრე“

რობენ ლოს–ანჯელესის გარეუბანში, ქალაქიდან 50 კმ -ის დაშორებით, სან–ღიგოს მიმართულებით. ეს არის პატარა დაბა თუ სოფელი. ლამაზი ეზოებითა და სახლებით. ყველა ეზო ყვავილებშია ჩაფლული, ჭიშკართან დგას ძვირფასი მანქანები.

ჩარლის სახლი ლამაზი არქიტექტურით გამოირჩევა. იგი ორსართულიანია, გაწყობილია მაღალი გემოვნებით. იატაკზე ფაფუკი, თეთრი ხალიჩებია დაფენილი, იმდენად თეთრი, რომ ზედ ფეხის დადგმა დაგენანებათ. ჩარლის მთელ სახლში გამოფენილია საქართველოდან წამოღებული სუვენირები. მისაღებში გაშლილი პქონდათ სუფრა მრავალნაირი სასმელითა და მსუბუქი საჭმელით. იქ დაყავით თითქმის ერთი საათი, დავათვალიერეთ ჩარლის ეზო–კარი. მისი ფირფიტებისა და ფოტოების მდიდარი კოლექცია. ამის შემდეგ წაგვიყვანეს მახლობლად მდებარე სახლში, რომელსაც თურმე საბანკეტოდ იყენებენ. ჩარლის დაქირავებინა მზარეულები და ქართული საჭმელები დაემზადებინათ დედაჩემისაგან წაღებული რეცეპტების მიხედვით.

ჩარლიმ სუფრასთან მიგვიწვია და გამოაცხადა: თქვენთან რომ მიგვიღეთ, ისე მე ვერ მოვახერხებ, მაგრამ მაინც შევეცდები საკადრისად გაგიმასპინძლდეთო. თქვენი წესის თანახმად, თამადა მე ვიქნები, ხოლო ჩემს მოადგილედ ანზორს ვნიშნავო. მან პირველად საქართველოს და მისი ტრადიციების სადღეგრძელო შესვა. ამ სადღეგრძელოს ჩვენი „მრავალჟამიერი" მოჰყვა.

მერე დაილია ჩვენი ოჯახების, მანდილოსნების, მშობლების, ბავშვების, დაღუპულებისა და კიდევ რა ვიცი რამდენი სადღეგრძელო. ჩარლი გაბოტდა, რომ მას თურმე ჩემს ოჯახში ჩაუწერია და შეუსწავლია ქართული სადღეგრძელოები (მაშინ თამადად ბ–ნი რეზო თაბუკაშვილი გახლდათ).

„საერთოდ, თქვა მან, – თამადობა და ქართული სუფრა მთელი მსოფლიოსათვის იშვიათი მონაპოვარია და იგი ცალკე შესწავლის საგანია. ამაზე დისერტაციები უნდა დაიწეროს"

ჩარლიმ განსაკუთრებით შესვა ანსამბლის დირექტორ–განმკარგულებლის ალეკო ლორთქიფანიძის სადღეგრძელო. ეს ის კაცია, თქვა მან, რომლის მოძღვარი სახე პირველად დაეინახეთ მოსკოვში ამდენი მოღუშული რუსების შემდეგ (ალეკო ამერიკელებს მოსკოვში დაუახვედრეთ).

ცეკვა–სიმღერა დიდხანს გაგრძელდა.

ბოლოს ჩარლი გამოეწყო თოვლის ბაბუას ტანსაცმელში, დაჯდა სუფრის ბოლოში, ანსამბლის თითოეული წევრი მუხლზე დაისვა და მათთან სამახსოვრო სურათები გადაიღო.

მერე „თოვლის ბაბუამ" სუყველას სამახსოვრო საჩუქრები დაგვირიგა. მათ შორის თბილისში გადაღებული საუცხოო ხარისხის ფოტოსურათები.

სუფრა გვიან ღამით დამთავრდა. ჩარლი, ინგრიტი და მათი ქალიშვილი ქრისტინა სათითაოდ გვკოცნიდნენ და გვემშვიდობებოდნენ. ეს იყო საოცრად კეთილშობილი ოჯახი, რომელმაც დაუვიწყარი საღამო გაგვითბარა.

სასტუმროში აღფრთოვანებული დავბრუნდით.

მსოფლიოში სახელგანთქმული კინოსტუდია „ჰოლივუდის" (ლოს–ანჯელესის გარეუბანში მდებარეობს) უდიდესი საკონცერტო დარბაზიდან, ამერიკის ცნობილი ტელეკომპანია „სი–ბი–ეს"–ი ყოველწლიურად აწყობს გადაცემას სახელწოდებით „ჯილდო ხალხისმიერ არჩეულ საუკეთესო არტისტებს". გადაცემის მიზანია, პრიზები გადასცენ გასული წლის საუკეთესო არტისტებს, რომლებსაც ხალხი დაასახ-

ელებს. ამ გადაცემის დიდი ნაწილი ეძღვნება საზოგადოებრივ აზრს გასულ წელს მსოფლიოში მომხდარი მოვლენების შესახებ.

ამ გადაცემას ყოველწლიურად აწყობს „გელოპის ინსტიტუტი“ გელოპმა დააარსა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტი. იგი ყოველ წელს ახდენს საზოგადოების გამოკითხვას: პოლიტიკურ, სოციალურ, მუსიკალურ, კინოს და სხვა ნებისმიერ თემაზე. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ დაიქირაოთ ეს ინსტიტუტი და იგი ნებისმიერ თემაზე ჩაგიტარებთ გამოკითხვას ამერიკის სხვადასხვა რეგიონის 50 000 მცხოვრებისაგან.

ეს გადაცემა მეტად პოპულარულია და მას ისმენს მსოფლიოს დიდი ნაწილი: ორი წლის წინათ „გელოპის ინსტიტუტმა“ ჩაატარა ასეთი გამოკითხვა: „საყვარელი სიმღერა“ გამოკითხულთა უმრავლესობამ დაასახელა სიმღერა ფილმიდან „დოქტორი ჟივაგო“

ამჯერად ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აჯილდოებდნენ საუკეთესო ტელე და კინომსახიობებს. გამოკითხვის შედეგად გასული წლის საუკეთესო მსახიობი ქალი აღმოჩნდა კინომსახიობი მერილ სტრიპი, ხოლო რაც შეეხება აზრს მსოფლიოში მომხდარი მოვლენების შესახებ, ამჯერად ყველაზე აქტუალური საკითხი, რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, იყო თავისუფლება.

სწორედ ამ თემას მიუძღვნა ცნობილმა ამერიკელმა კომპოზიტორმა რეი ჩარლზმა ახალი სიმღერა „თავისუფლება“

მას შემდეგ, რაც ჩვენდა საქებრად კანადასა და აშშ–ში ბეკრი წერილი დაიწერა, ტელეკომპანია „სი–ბი–ეს“–მა გამოგვიგზავნა ნოტები და გვთხოვა ამ სიმღერაში მონაწილეობის მიღება უნგრეთის, ბულგარეთისა და ამერიკის გუნდებთან ერთად. ჩვენ, როგორც უკვე მოგეხსენებათ, ეს სიმღერა ადრევე შევისწავლეთ. სიმღერის ტექსტი ასეთია:

„თავისუფლება არ არის შტატი, როგორც მეინი ან ვირჯინია, თავისუფლება არ მდებარეობს რომელიმე ტერიტორიული საზღვრის მიღმა. თავისუფლება ცეცხლია, რომელიც შენში იწვის, თავისუფლება სულისა და გონების მდგომარეობაა. თავისუფლება არ არის გემი, რომელიც უშენოდ მიდის, თავისუფლება არ არის ადგილი, რომლის პოვნასაც ცდილობ. თავისუფლება ის არის, თუ როგორ ფიქრობ საკუთარ თავზე. თავისუფლებას ვერ მიაღწევ მატარებლით მგზავრობით, ერთადერთი გზა თავისუფლებისაკენ უნდა იპოვო საკუთარი გონების საშუალებით. თავისუფლება ცნებაა, რომელიც აერთიანებს ყველა ერს, თავისუფლება ყველა ადამიანის უფლებაა. ჩემი ქვეყანა, თავისუფლების ტკბილი მიწა – შენიცაა, ამ მიწას ვუმღერ, პილიგრიმების სიამაყის მიწას, სადაც ჩვენი მამა–პაპები მოკვდნენ. დაე, ყოველი მთიდან ჩამოკრას თავისუფლების ზარმა“.

11 მარტს დილიდანვე წაგვიყვანეს „პოლიეუდში“ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად.

„ჰოლიუდი“ არის პატარა ქალაქი, რომელიც თავისი ცხოვრებით – კინოთი ცხოვრობს. მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა მიეყეთ ფაქტებს.

კონცერტი შედგა უდიდეს საკონცერტო დარბაზში, რომელსაც გადაღების დროს პავილიონად იყენებენ (დარბაზის ფართობი დაახლოებით 80 X 80 კვ. მ–ია).

კონცერტის რეპეტიცია დაიწყო დილის 11 საათზე.

დარბაზის შესასვლელთან რამდენიმე კარიკატურა და განცხადება იყო გამოკრული, აი ერთ–ერთი მათგანი:

„ვეძებ კარგ ქალს, რომელმაც იცის: საჭმლის მოშზადება, გარეცხვა, დაკერება, ჭიაყელების მოძებნა და თევზის დაშზადება. ჰყავს მანქანა და იახტა.

გთხოვთ გამომიგზავნოთ მანქანისა და იახტის ფოტოსურათი (ქალის საჭირო არ არის)“

სპეციალურად აგებულ ესტრადაზე იდგა საუცხოო დეკორაცია თეთრად შეფერილი ორი საყრდენი სვეტით. ამ სვეტში ჩამონტაჟებული იყო 15 უდიდესი მონიტორი. სვეტების გვერდით ეკიდა ორი დიდი ეკრანი. ამ მონიტორებსა და ეკრანებზე შოუს დროს აჩვენებდნენ ნაწყვეტებს სხვადასხვა ფილმებიდან, რომლებშიც დღევანდელი პრიზის მფლობელები მონაწილეობდნენ. დარბაზში სამი მოძრავი ვიდეოკამერა მუშაობდა (უძრაკი, ვინ იცის, რამდენი იყო)... ისინი დამაგრებული იყო უზარმაზარ ამწეებზე, რომელთა მოძრაობის ამპლიტუდა მთელ ამ უზარმაზარ დარბაზს წვდებოდა. საკონცერტო ესტრადა საოცრად იყო განათებული, იმდენნაირი ფერი თამაშობდა, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ განათებას ამდენი შესაძლებლობა პქონდა.

ხმის სააპარატო მანქანაზე იყო დამონტაჟებული, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ პაეილიონთან დააყენებდნენ. სააპარატო სამ ნაწილად იყო გაყოფილი: ხმის სააპარატო, ვიდეოფირების განყოფილება და რეჟისორის სამონტაჟო. სადაც 50 სხვადასხვა ზომის მონიტორი დავთვალეთ. სამონტაჟო კომპიუტერებზეა მოწყობილი და ათასნაირ მანიპულაციას აკეთებს.

„პოლიეუდი“ აღჭურვილია უახლესი ტექნიკით.

მთელი სამუშაო დღე ზუსტად იყო დაგეგმილი, მოსამსახურე პერსონალი ჩუმად და თავაუღებლად მუშაობდა.

ჩვენ რამდენიმე რეპეტიცია გაეიარეთ. პირველად შევხვდით სოლისტს, ტელე და კინოვარსკვლავს, ახალგაზრდა მომღერალს ჯონ შნაიდერს, რომელსაც მიჰყავდა პროგრამის ნაწილი და ჩვენს სიმღერაში სოლო პარტიას ასრულებდა.

ეს ახოვანი, ულამაზესი „ვარსკვლავი“ ძალიან თავმდაბალი და უბრალო ადამიანი აღმოჩნდა. ჩვენ პირველსავე რეპეტიციაზე დავიმსახურეთ პროგრამის რეჟისორებისა და სხვა მონაწილეთა სიმპათია. როგორც კი ჩვენმა ბიჭებმა ქართულად დასჭექეს სიტყვა „თავისულება“, დარბაზს ტაში მოსწყდა. მერე სხვა გუნდები ამღერეს, მერე ჩვენ – მათთან ერთად. შემდეგ მიზანსცენები მიგვანიშნეს, გვასადილეს. საინტერესოა, რომ რეპეტიციაზე არც ერთი „ვარსკვლავი“ არ მოსულა. მათ მაგივრად რეპეტიციას „დუბლიორები“ გადიოდნენ.

ნასადილევს (კონცერტამდე რამდენიმე საათი რჩებოდა) ჩაგვსხეს ძველებურ ტრამვაის მსგავს ავტობუსში, რომელიც რამდენიმე ეაგონისაგან შედგებოდა. და დაგვათვალიერებინეს „პოლიეუდი“

ენახეთ ქუჩები ულამაზესი ხელოვნური მცენარეებითა და ხეებით, დეკორატიული ავტობუსის გაჩერებები, ძველებური მანქანებით, ტელეფონების კაბინებით, ბარებით, სკვერებით და სხვ. ქუჩებში აშენებული სახლების მარტო წინა ფასადები, რომელთა ფანჯრებში ჩამონტაჟებულია განათება, ყველა სახლის სახურავზე გაყვანილია წყლის ონკანები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში წვიმის ეფექტს იძლევა. ყოველივე ეს ისეა გაკეთებული, რომ ნებისმიერ სახლს შეიძლება შეუცვალოთ იერი და ერთი და იგივე ქუჩა გადააკეთოთ საჭიროების მიხედვით.

ახლა ხელოვნური ტყეები, ხიდები, ტბები, უზარმაზარი პაეილიონები, სადაც ერთდროულად მიდის ათეულობით კინოფილმის გადაღება!..

ჩვენი „ტრამეაი“ შედგა დაახლოებით 10 მ სიმაღლის ხის „ძველებურ ხიდზე“.

ჯერ ხიდის შუა ნაწილი ჩაწია, მერე ხიდს საყრდენი ბოძები გამოსძვრა. ხიდმა დაშლა დაიწყო, ხის მორები წყალში ცვიოდა. ატყდა ყვირილი. „ტრამვაი“ ის–ის იყო უნდა გადაბრუნებულიყო. რომ წინა ვაგონი სამშვიდობოს გავიდა და დანარჩენებიც გაჭირვებით „გაათრია“ გაველით თუ არა. შვებით ამოვისუნთქეთ. შიშისაგან ციება ოფლმა დაგვასხა. კიდევ კარგი, ექსკურსიის წინ გაგვაფრთხილეს, რომ ვისაც სუსტი გული ჰქონდა, მას ექსკურსია ეკრძალებოდა.

ჩვენ „ტრამვაიდან“ ჩამოვედით და დანგრეულ ხიდს შევხედეთ, რომელმაც ჩვენ თვალწინ იწყო აღდგენა და ერთ წუთში პირვანდელი სახე მიიღო.

საოცარი ეფექტია. ეს ხიდი სპეციალურად ააგეს ფილმის გადასაღებად. მისი აგება 6 მილიონი დოლარი დაჯდა. საბრალო ჩვენი კინოსტუდია! რეჟისორმა პატარა უმნიშვნელო დეკორაცია რომ გააკეთოს, ფული მინისტრთა საბჭოს უნდა სთხოვონ, რომელიც ან გამოყოფს, ან არა. მიუხედავად ამისა, რამდენად ნიჭიერი უნდა იყოს ჩვენი ხალხი, რომ ჩვენს პირობებში გადაღებული ფილმები ხშირად პოლივუდის ფილმებსაც სჯობნის კინოფესტივალებზე და პრიზებსაც იღებს.

„ჰოლივუდის“ ყველა ქუჩასა და ყველა უბანს თავისი ისტორია აქვს. ეს ის უბნებია, სადაც მსოფლიოში აღიარებულმა რეჟისორებმა და კინომსახიობებმა გადაიღეს ყველა დროის საუკეთესო ფილმები. ჩვენ ამ ფილმებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი თუ გვინახავს, ვინაიდან მათი უმეტესობა საბჭოთა იდეოლოგიას არ შეეფერებოდა.

ჩვენ ჩაუარეთ „ჯუნგლებს“, სადაც ოდესღაც გადაიღეს „ტარზანი“ ვნახეთ უზარმაზარი ხელოვნური ხეები ლიანებით, სადაც ყვირილით ხიდან ხეზე გადიოდა კინომსახიობი ვაისმიულერი – ტარზანი.

ჩვენი „ტრამვაი“ ერთ–ერთ უზარმაზარ პავილიონში შევიდა, რომელიც სპეციალურად აუშენებიათ „შიშის“ ფილმის გადასაღებად. პავილიონში საშინელი ხმაური იყო. ფანჯრებიდან იყურებოდა „ხალხი“ რაღაც საშინელების მოლოდინში. ჩვენს თავზე ზუზუნებდა ვერტმფრენი, რომელსაც ცეცხლი გასჩენოდა. უცებ ვერტმფრენი გადატრიალდა და, ალმოდებული, ჩვენგან ხუთიოდე მეტრის მოშორებით ჩამოვარდა. ავარდა ალი. ცეცხლი გაუჩნდა საცხოვრებელ სახლს, ქალების კივილმა შეაძრა იქაურობა, „ტრამვაი“ კი მიდის. ისმის რაღაც საშინელი ღრიალი. მოსახვევში, ხიდთან, ჩვენგან სულ ახლოს, მულტფილმის პერსონაჟი, მსოფლიოში ყველაზე დიდი „კინგ–კონგი“ გამოჩნდა (მისი სიმაღლე 19 მეტრია, წონა – 8 ტონა). პირდაღებული „კინგ–კონგი“ თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, იგი ნამდვილად ცოცხალის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ლამობდა ხიდზე ამოსვლას და ჩვენი „ტრამვაის“ ჩაყლაპვას ჩვენიანად, მაგრამ მას ხელს უშლიდა ვერტმფრენი, საიდანაც ამ უზარმაზარ დევ–მაიმუნს ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნეს. ტკივილისაგან გამწარებული „კინგ–კონგი“ საზარელი ხმით ღრიალებდა, მძიმედ ქშინავდა და საშინელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეს იმდენად დამაჯერებლადაა გაკეთებული, რომ ჩვენი ექსკურსანტები „ტრამვაის“ მარცხენა მხარეს შიაწყდნენ, რომ „კინგ–კონგს“ ხელში არ ჩავარდნოდნენ.

ჩვენი „ტრამვაი“ შევიდა მორიგ უზარმაზარ პავილიონში, სადაც ახლახან გადაუღიათ ფილმი ძველ ჩიკაგოზე. ამ პავილიონში მიწისძვრის იმიტაციაა გაკეთებული. „ტრამვაი“ გაჩერდა „მეტროს სადგურთან“ აქ ყველაფერი თავის ადგილზეა, „ხალხი“ ელოდება მეტროს მატარებელს, სადგურში სისუფთაეა, ელექტროტაბლოზე ანთია დრო, რომელიც მატარებლის მოსვლას აჩვენებს, რადიოთით ცხადდება, რომ მატარებელი მალე შემოვა. ის–ის იყო, ჩვენი „ტრამვაი“ და-

იძრა, რომ დაიწყო საშინელი მიწისძვრა. ჯერ საშინელმა გუგუნმა შეძრა იქაურობა, მერე ჩვენი ვაგონები შეზანზარდა. სირენებმა ყვირილი ატეხეს. ელექტრობოძები წაიქცა. მოხდა მოკლე ჩართვა, გაჩნდა ხანძარი, ჩვენგან მარცხნივ ჯერ მეტროს სადგურის ჭერი გასკდა, მერე ჭერი ნელ–ნელა ჩამოინგრა, ჭერს ჩამოჰყვა სახანძრო მანქანა, რომელიც ჩვენი ვაგონის გვერდით დავარდა, ამას მოჰყვა დიდი სახლის ნამსხვრევები, რომელიც ჭერიდან ლოდებად ცვიოდა. ჩვენ წინ სწრაფად მომავალი მეტროს მატარებელი ლიანდაგებიდან ამოვარდა, წინა ვაგონი გადატრიალდა და ჩვენს ვაგონს მიეხეთქა, გვეგონა, დაგვამტვრევდა ყველას, ატყდა პანიკა, საშინელი კივილი. ამ დროს მარჯვენა მხარეს მეტროს სადგურის კედელი ჩამოინგრა და გვირაბებში უზარმაზარი მდინარე შემოვარდა, რომელიც სადაცაა ყველას წაგვლეკავდა. მიწა გუგუნებდა, მიწისძვრამ მოიმატა ისე, რომ თავს გვარტყმევინებდა „ტრამვაის“ კედლებზე. მერე უცბად წყალმა დაიკლო, მიწისძვრაც ნელ–ნელა შეწყდა. ჩვენი „ტრამვაი“ დაიძრა, დავტოვეთ ასე დანგრეული მეტრო და სინათლეზე გამოვედით. არა, ამის აღწერა არ შეიძლება, შიშისაგან კაცს შეიძლება მართლა გული გაუსკდეს. ტრამვაი გაჩერდა, ჩვენ შეშინებულმა შევიხედეთ მეტროს გვირაბში, რომელიც უკვე აღდგენილიყო და პირვანდელი სახე მიეღო. ამისათვის თურმე სულ 25 წამია საჭირო (რას არ გააკეთებს კაცის ხელი). ამ პაექრიონის აშენება, როგორც გვითხრეს, 18 მილიონი დოლარი დაჯდა. საინტერესოა, იმ ფილმმა რამდენი შემოსავალი უნდა შემოიტანოს, რომ ასეთი ხარჯები აანაზღაუროს.

ჩვენმა „ტრამვაიმ“ ჩაუარა პატარა ტბას, ნავზე მეთევზე იჯდა და თევზაობდა. ამ დროს წყლიდან ამოვარდა „კასატკა“ (მტაცებელი ვეშაპის ნაირსახეობა) და ნავი მეთევზესთან ერთად შეახრამუნა. წყალი სულ სისხლით შეიღება. ეს სპეციალურად „შიშის ფილმებისათვის“ გაუკეთებიათ. შემდეგ, როცა პატარა ხიდზე გაედიოდით, „კასატკა“ ჩვენს გვერდით ამოხტა და კინაღამ ჩვენც მიგვაყოლა მეთევზეს.

შემდეგი უბანი იყო საოცრად მდიდრულად მოწყობილი ტეხასელი მილიონერების უბანი. აქ ფილმს იღებდნენ ტეხასელებზე.

მექსიკური უბანში „მოვიდა“ ხელოვნური წვიმა: მზიანი დარი იდგა, მერე უცაბედად ჩამობნელდა, ატყდა ჭექა–ქუხილი და წამოვიდა ნამდვილი თქეში, რომელსაც მოჰყვა ნიაღვრები. მართლა საოცარი შთაბეჭდილებაა და ყოველივე ეს ისეთი ოსტატობითაა გაკეთებული, რომ მის სიმართლეში ეჭვი არ შეგეპარებათ.

შემდეგ აგვიყვანეს მაღლობზე, სადაც „თოვლიანი მთებია“ აშენებული. „ტრამვაი“ შეეიდა ერთ დიდ გვირაბში. ისევ მიწისძვრა. „ტრამვაი“ შეინძრა, გვირაბი გასკდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ „ტრამვაი“ უნდა გადაბრუნებულიყო, მერე დაიწყო მთების ნგრევა...

ნამდვილი წარღვნა იყო.

ვიყავით უცხოპლანეტელის პავილიონშიც. ვნახეთ სხვადასხვა ტიპის „პუმანოიდები“

ვერ გეტყვით, როგორ აღწევენ ამნაირ ეფექტებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, „პოლიეუდი“ საოცრებაა მსახიობების გარეშეც.

ექსკურსია დამთავრდა. „ტრამვაიმ“ გაოგნებულები საკონცერტო დარბაზთან მიგვიყვანა, სადაც ერთ საათში კონცერტი უნდა დაწყებულიყო. მთელ იმ პატარა „ქუჩაზე“, რომელიც დარბაზისკენ მიდიოდა, გაწყობილი იყო სუფრები ათასნაირი საჭმელ–სასმელით (სუფრა უფასო იყო). აქ თავი მოეყარათ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ კინოვარსკვლავებსა და ხელოვნების სხვა რჩეულთ. მამაკაცები

გამოწყობილნი იყვნენ შავ სმოკინგებში, ქალებს რა ეცვათ, ამის აღწერა ნამდვილად შეუძლებელია.

ჩვენი ჩოხიანი ბიჭების გამოჩენამ ამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გაიწვია. მსოფლიოს „ვარსკვლავები“ ტაშის გრიალით შეეგებნენ ქართველ ჩოხოსნებს, რომლებმაც განსაკუთრებული კოლორიტი შეიტანეს მსოფლიო უმაღლეს ცივილიზაციაში.

კინაღამ წაგველეკა ფოტორეპორტიორებისა და ჟურნალისტების ტალღამ, რომლებმაც გამოჩენილ კინოვარსკვლავებთან ერთად ჩვენი გადაღებაც დაიწყეს. მერე ამ რეპორტიორებმა მოინდომეს კონცერტზე შესვლა, მაგრამ პოლიციამ არ გაუშვა და იყო ერთი ამბავი.

კონცერტის დაწყებამდე ვნახეთ დარბაზი, რომელიც უკვე საკონცერტოდ გაეშზადებინათ. მაყურებელი გაწყობილ სუფრასთან იჯდა და ისე უყურებდა შოუს. მაგიდაზე გადაეფარებინათ სხვადასხვა ფერის სუფრები, რომლებზეც სხვადასხვა ფერის ყვავილები ელაგა. ყვავილებში ვარდები სჭარბობდა. სუფრაზე ეწყო იშვიათი ჭურჭელი და ზედ ათასნაირი ტკბილეული და სასმელი ელაგა. ყოველივე ეს ისეთ ფერებში იყო გადაწყვეტილი და ისე მდიდრულად გამოიყურებოდა, რომ მაყურებელს თვალს მოსჭრიდა.

ამ ფაქტმა გამახსენა ერთი ამბავი საქართველოში, ერთ–ერთი ფილმის გადაღების დროს, როცა ქეიფის სცენას იღებდნენ, ფილმის დირექტორმა გოჭსა და ქათმებს ნავთი გადაასხა, მოშიებულ მსახიობებს რომ არ შეეჭამათ, ვინაიდან გადაღება მეორე დღესაც უნდა გაგრძელებულიყო.

დარბაზი ნელ–ნელა გაივსო ხალხით, დადგა შანელის სუნი, ბრილიანტებში აბრჭყვიალდა მთელი დარბაზი. კონცერტი სახელწოდებით: „ჯილდოები ხალხის რჩეულებს“, რომლის პირდაპირი ტრანსლაცია მიმდინარეობდა ამერიკასა და მთელ ევროპაში (გარდა სსრ კავშირისა), დაიწყო.

მსახიობებს ჯილდოებს გადასცემდა 1990 წლის ამერიკის სილამაზის პრიზის მფლობელი „მისს ამერიკა“ ქერელ გისტი. ეს ულამაზესი „მისი“ შულატია, მაღალი, ტანკენარი, ნამდვილი შავი ბრილიანტი, მისი სილამაზის აღწერას მე ვერ შევძლებ, რადგან ამისთვის არც ნიჭი მეყოფა და არც ნერვები. ვიტყვი მხოლოდ, რომ უცბად ვერდის ოპერა „აიდა“ გამახსენდა. მისი მთავარი გმირი აიდა სწორედ ისეთი წარმომედგინა, როგორიცაა ქერელ გისტი.

სათითაოდ გამოდიოდნენ მსახიობები და, სანამ ჯილდოს მიიღებდნენ, უზარმაზარ ეკრანებსა და მონიტორებზე აჩვენებდნენ ფრაგმენტებს მათი კინოფილმებიდან. მერე ისინი ყვებოდნენ კურიოზულ ამბებს თავიანთი ცხოვრებიდან და იყო ერთი სიცილ–ხარხარი.

მსოფლიოში სახელგანთქმული „ვარსკვლავების“ გრძელი სიიდან აქ იყვნენ: მერილ სტრიპი, ლუთერ ვანდროსი, ვალერი ბერტინელი, არსენიო პოლდი, არმი აჩერდი, ფრედ სევიჯი, სალლი კელერმანი, ბრონსონ პინჩოტი, ჯემი ლიი კურტისი, ანტონი ფალსო, როზან ბარი, ალან რაჩენსი, კენი როჯერსი, ბობი ბრაუნი, პაულა აბდული, კომიკი – ბილ ქოსბი, 14 წლის ნეილ პეტრიკ ჰარისი (შამაკაცის საუკეთესო როლისათვის პრიზის მფლობელი), 13 წლის ტელევარსკვლავი, მსახიობი და წამყვანი ფრედ სევიჯი, რომელსაც სხვებთან ერთად დღევანდელი საღამოც მიჰყავდა გასაოცარი ოსტატობით. კინო–ტელე–„ვარსკვლავთა“ სიას რომ გაეცნო, ფრიდონ სულაბერიძემ მითხრა: ეს რა „ვარსკვლავებია“, ნახევარის გვარი პირველად მესმისო. რა ვქნათ, ჩემო ფრიდონ, ჩვენთან ამათ ფილმებს არ აჩვენე-

ბენ–შეთქი“ ეუპასუხე და გაამხნევდა, ფრაგმენტი ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“

ბალზაკი, რომენ როლანი, პროსპერ მერიმე, პიუგო, ჯავახიშვილი, დიკენსი, ეიზარ ხაიამი, გალაკტიონ ტაბიძე...

ეგნატე ნინოშვილი რა უყვარს, შე უპატრონო.

ეგნატეს არაფრით არ ჩამოუვარდებიან მაგენი, ვამშვიდებ ილარიონს.

– რომელი ერთი დოუდგება გვერდში... ნახეყარის გვარი პირველად მესმის“

სცენაზე გამოვიდა რუსი ემიგრანტი სმირნოვი, რომელმაც ახსნა, თუ როგორ ესმის მას თავისუფლება და დასძინა: „სამშობლო მიეატოვე იმიტომ, რომ ყველაფერს თავისუფლება ჯარჩიეო“

ჩვენი ბიჭები გამოვიდნენ თუ არა სცენაზე და, გაისმა ქართულად „თავისუფლება“, დარბაზს ერთსულოვანი ტაში მოსწყდა.

სიმღერას დიდი მოწონება ხვდა წილად. მეორე დღეს პრესა აღნიშნავდა, რომ ეს ნომერი მთელს შოუში საუკეთესო იყოო.



ირმა დუნდუა – ანსამბლის მაუნტელებელი ტკივილი (ტორაბიკულად დაიღუპა 1992 წ.)

მოკლედ, კონცერტმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მეორე დღეს პირადად ჩვენ მთელი ლოს–ანჯელესი გვიცნობდა.

ჩვენს კონცერტზე დაესწრნენ პრეზიდენტის ერთ ერთი წამყვანი და ჩვენი სიმღერა „თავისუფლების“ სოლისტი ჯონ შნაიდერი. კონცერტის შემდეგ იგი აღფრთოვანებული ამხეიდა სცენაზე და თქვა, რომ აუცილებლად ჩამოვა საქართველოში და გაიცნობს იმ ხალხს, რომელმაც ეს შესანიშნავი კულტურა შექმნა.

მეორე დღისთვის შნაიდერმა მთელი ანსამბლი დაპატიჟა სადილად. ჩვენმა ბიჭებმა და გოგოებმა მასთან სამახსოვრო ფოტოსურათები გადაიღეს და ერთხელ კიდევ შეასრულეს სიმღერა „თავისუფლების“ ფინალი.

ჯონი არაჩვეულებრივად ძოძხიბელელი პიროვნებაა. უბრალო, პატარა ბავშვივით მიამიტი. ქუჩაში მას ყველა ცნობს, მეტად პოპულარული კაცია. სცენაზე თურმე პირველად 8 წლისა გამოსულა, მონაწილეობა მიუღია სპექტაკლში „შეკიოლინე სახურავზე“

12 წლის წინათ მიიპატიჟეს შოუში, რომელიც 7 წელი გადიოდა დიდი

წარმატებით. ეს შოუ ლოს–ანჟელესსაც ეწვია და კარგა ხანს დარჩა იქ. შოუსთან ერთად დარჩა ჯონიც. მერე ტელეფილმები, კინო და ტელეპროგრამები, „ჰოლიუუდი“, კონცერტები, წარმატებები... ცოლად შეირთო მაშინდელი „მისს ამერიკა“, ამჟერად მარტო ცხოერობს „ჰოლიუუდიდან“ 65 კმ–ის დაშორებით, მთებში; პყავს ცხენი, ძაღლი, სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები, ძვირფასი მოტოციკლი. სწორედ ამ მოტოციკლით მოვიდა ჯონი ჩვენთან, კოვბოურად ჩაცმული, გაცვეთილი ჯინსებითა და ყელიანი ფეხსაცმლით. ისინი ჩაცმულობით არავის აკვირვებენ. ჩვენ დავხვდით კოსტიუმებში გამოპრანჭულები. ჯონი უბრალო მოსაუბრეა; დემოკრატია კარგიაო, გვითხრა მან, მაგრამ ცუდია, როცა კაცის მკვლელსა და ჩვეულებრივ მოქალაქეს ერთნაირი უფლებები აქვთო.

ჯონმა სადილი გაგვიმართა რესტორანში, რომელიც მდებარეობს იმ სასტუმროს წინ, სადაც მოკლეს სენატორი რობერტ კენედი.

რესტორანში ჯონი, რასაკვირველია, იცნეს. გვიცნეს ჩვენც, რადგან ბევრს უკვე ენახა ჩვენი კონცერტი. ვნახეთ ჩვენი გამოსვლაც ტელევიზორით, ასე რომ, ჯონ შნაიდერი და ჩვენ ავტოგრაფების გაცემას ვერ ავუდიოდით.

მერე ბიჭებმა იმღერეს, რესტორანი მჭუხარე ტაშით გამოგვეხმაურა. სადილის შემდეგ ჯონი თბილად დაგვემშვიდობა, ჩვენი მისამართები ჩაიწერა და შეგვპირდა, აუცილებლად გეწვევითო საქართველოში.

რესტორნიდან სასტუმრომდე ფეხით გავიარეთ. ქუჩაში ვაშლის ხეებს სხლავდნენ. სასხლავი რამდენიმემეტრიანი იყო, წვერზე მობმული კაუჭა მაკრატლით. მოჭრილ ტოტებს იქვე მდგომი მანქანის ძარაში ყრიდნენ, რომელიც ერთი წამის განმავლობაში მოჭრილ ტოტებს ფქვაედა და მტვრად აქცეედა. ქუჩაში ერთი ფოთოლიც კი არ რჩებოდა.

როცა ამ სანახაობას ვუყურებდით, საყვირებით გაიარეს სახანძრო მანქანებმა.

მანქანები სხვადასხვა ზომისანი იყვნენ, ძალიან დიდებს გრძელი მისაბმელი ებათ. მისაბმელებს ბოლოში საჭეები პქონდათ (ადვილად მანევრირებისათვის), რომლებთანაც ცალკე მძღოლები ისხდნენ. სახანძრო მანქანებს უმაღლეს დონეზე აღჭურვილი სასწრაფო დახმარების მანქანები მიჰყვებოდა.

მეორე დილით, 10 საათზე ერთ–ერთ კოლეჯში კონცერტი გავმართეთ ბავშვებისათვის. კოლეჯის საკონცერტო დარბაზი, რომელიც სიდიდით ჩვენი ფილარმონიის დარბაზს არ ჩამოუვარდება, სავსე იყო ბავშვებით. წინა რიგებში ინვალიდი ბავშვები ისხდნენ, რომლებიც სპეციალური ბორბლებიანი სკამებით თვითონ ბავშვებმა მოიყვანეს.

ორი საათის განმავლობაში ბავშვები გასუსულნი უსმენდნენ კონცერტს. ბოლოს ჩვენთან ერთად იმღერეს „ამერიკა, ამერიკა“.

კონცერტის შემდეგ ბევრი მათგანი სცენაზე ამოვიდა და საინტერესო შეკითხვები დაგვისვეს. მათ აინტერესებდათ ჩვენი ბავშვების შესახებ, მღერიან და ცეკვავენ თუ არა ისინიც; როგორები არიან – თეთრები, თუ შავკანიანები, სკოლაში თუ დადიან და სხვ. მერე ავტოგრაფები გეთხოვეს. აქაურ ბავშვებს აცვიათ ის, რაც უნდათ (ჩაცმას არავინ უშლის), საჭმელ–სასმელი აქვთ ყველანაირი, რასაც კი ინატრებენ, სათამაშოები და გასართობები აქვთ ისეთი, რომ ჩვენი ბავშვები ვერც მოიფიქრებენ. ღმერთმა დაიფაროს და, თუ ვინმე ავად გახდება, აფთიაქებში ყველანაირი წამალი იყიდება, რაც კი დედამიწაზე არსებობს.

ბავშვებს ამერიკაში განსაკუთრებულ პირობებში ზრდიან. შრომის სიყვარულს

უნერგავენ. როცა წამოიზრდება, დამოუკიდებელ შრომას აჩვევენ, ფულით არ ანებივრებენ. მახსოვს, ერთმა მილიონერმა მითხრა: ჩემი ბიჭი 18 წლისაა და გემზე მუშაობს მტვირთავ მუშადო, როცა გაკვირვება შემატყო, დაუმატა: არა უშავს, შრომის ფასს გაიგებსო.

როცა განათლებას მიიღებს, ახალგაზრდა დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს და მშობლებს „კისერზე არ ახის“.

საღამოს, კონცერტის დროს, ჩვენი სოლისტი ნუგზარ გელაშვილი ცუდად გახდა, – წნევამ აუწია. მოვიდა სასწრაფო დახმარების მანქანა, ექიმებმა მისი საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვეს. მე და გიორგიც თან გაეყევით. ჯერ მიმღებში მიგვიღეს, სადაც სისუფთავისაგან იქაურობა „ანათებდა“. ერთ წუთში ნუგზარს შეუერთეს აპარატები და „ჩართეს კომპიუტერში“, რომელიც წამებში იძლეოდა ანალიზების პასუხებს. მერე იქვე რენტგენიც გადაუღეს და რამდენიმე წუთში ყველა ანალიზი მზად იყო, გამოიკვლიეს ყველაფერი.

ამის შემდეგ ნუგზარი პალატაში გადაიყვანეს და მკურნალობა დაუნიშნეს. წამლები ყველაფერი იქვე აქვთ. ხოლო თუ როგორი პალატები და მომსახურებაა, რომ მოგიყვეთ, ვიცი, გული გეტკინებათ.

მეორე დღეს ნუგზარი გამოგვატანეს საღ–სალამათი და შემდეგში, მთელი გასტროლების განმავლობაში, ფრჩხილიც კი არ წამოსტკენია.

ამბობენ, მკურნალობა „იქ“ ძვირი ჯდებაო; კი ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ სამაგიეროდ მაღალ დონეზე გიმკურნალებენ. ყოველთვიურად სამედიცინო დაზღვევისათვის ხელფასიდან ექვითება პიროვნებას გარკვეული პროცენტი. მერე, თუ ავად გახდა, იმ თანხიდან დაექვითება მკურნალობის ფასი.

სამედიცინო–სანიტარული მდგომარეობა ამერიკაში მაღალ დონეზე დგას, როგორც გვითხრეს, შობადობა ყოველ 1000 მცხოვრებზე შეადგენს 18 ერთეულს, ხოლო საერთო სიკვდილიანობა – 9–ს. სახელმწიფო ყოველ წელს დიდ ხარჯებს იღებს ჯანმრთელობისათვის, რაც ეტყობა კიდეც იმათ საავადმყოფოებსა და აფთიაქებს.

ერთ დღეს, ერთ–ერთ კოლეჯში, რომლის მენეჯერია ინგრიტი, შეხვედრა მოგვეწყო, რომელსაც დაესწრნენ კოლეჯის პედაგოგები და „მფარველები“. შეხვედრაზე ჩვენმა ბიჭებმა იმღერეს, მათ ისე მოეწონათ ჩვენი სიმღერა, რომ ზოგიერთი პედაგოგის თვალზე ცრემლიც კი შევნიშნე. ცრემლებს ინგრიტიც ვერ მალავდა.

მერე გაგვიმართეს სადილი. გაიმართა საუბარი იქაური სწავლის პროცესისა და კოლეჯების შესახებ. ბავშვები სკოლაში სწავლას იწყებენ 5 წლის ასაკიდან, სწავლობენ 18 წლამდე. სახელმწიფო სკოლები ყველგან უფასოა. არსებობს კერძო სკოლებიც, სადაც სწავლის ფასი 1000 დოლარამდე აღწევს. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ კერძო სკოლაში პატარა ჯგუფებია, ამიტომ პედაგოგს ინდივიდუალური მეცადინეობისათვის მეტი დრო რჩება. გარდა ამისა, კერძო სკოლებში ასწავლიან ღვთისმეტყველებას, რაც ზოგად სკოლაში არ ისწავლება. სამაგიეროდ ყველა კათოლიკურ ეკლესიას აქვს სკოლა, რომელიც მხოლოდ კვირაობით მუშაობს, აქ უფასოდ ასწავლიან პატარებს ღვთისმეტყველებას. სკოლის დამთავრების შემდეგ, ბავშვები მისაღებ გამოცდებს აბარებენ კოლეჯში, სადაც სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია, წლიური გადასახადი – 20 000 დოლარი. აქ სწავლებას გადიან სპეციალობის მიხედვით. მისაღები გამოცდები ძალიან მკაცრად ტარდება, გამოსაშვები – კიდევ უფრო მკაცრად, თანაც, ყოველწლიურად ფული უნდა გადაიხადოთ და შეიძლება დიპლომიც ვერ მიიღოთ. ამიტომ ყველა მონდომებულია, რომ კარგად ისწავლოს. იქ სიტყვა „პროტექცია“ მგონი არც კი გაუგიათ.

თუ სტუდენტს სურს სხვა სპეციალობასაც დაეუფლოს, შეუძლია სხვა ლექციებსაც დაესწროს, ამისათვის დამატებითი გადასახადი საჭირო არაა, ოღონდ თუ მეორე დიპლომიც უნდა, მაშინ გამოცდებიც უნდა ჩააბაროს, საკურსოც და გამოსაშვებიც, რაც დიდ შრომას მოითხოვს.

თუ სპეციალობის გამოცვლა გსურთ, შეგიძლიათ, ოღონდ შემდეგ აუცილებლად 4 წელი უნდა ისწავლოთ.

შეკითხვაზე, თუ რომელს ანიჭებენ უპირატესობას – კოლეჯსა თუ უნივერსიტეტს, – მიპასუხეს: უნივერსიტეტს, რადგან იქ უფრო დიდი არჩევანია სპეციალობების მიხედვით.

სპეციალური კომისია ყოველ წელს ამოწმებს სასწავლო პროგრამებს და ამის გათვალისწინებით თითქმის ყოველ წელს გამოდის ახალ–ახალი სასწავლო ლიტერატურა.

ისწავლება დამატებითი საგნებიც, რომელიც შეგიძლიათ მოისმინოთ, შეგიძლიათ – არა.

სპეციალური საგნები ისწავლება ძალიან მკაცრად.

ჩვენთან რამდენი საგანი იყო და არის ისეთი, რომელსაც უამრავი დრო მიაქვს სპეციალობის ხარჯზე. რამდენი ნიჭიერი სტუდენტი გარიცხულა „მეცნიერული კომუნიზმის“, „პოლიტეკონომიის“, „ისტმატის“, „დიამატის“ და სხვა ასეთი საგნების გამო. სპეციალური საგანი კი ზარალდება. შესაძლოა ამიტომაც გეყავს ბევრი ცუდი სპეციალისტი. იქ თავისი სპეციალობა ყველამ კარგად იცის, ჩვენთან უმეტესად ზოგად განათლებას იღებენ, სპეციალობა კი შედარებით ცუდად იციან.

ჩვენ დავემშვიდობეთ გულკეთილ მასპინძლებს. ინგრიტმა და ჩარლიმ მე და გიორგი თოფურია ქალაქგარეთ გაგვასეირნეს.

ახლა აქ ზამთარია, მაგრამ ფორთოხლებითა და ლიმონებით დახუნძლულია ხეები. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აქ წელიწადში ორჯერ იღებენ მოსავალს.

აქაური ციტრუსის ხეები ჩვენებურზე უფრო დიდი და მოსავლიანია, თუმცა ჩვენებური ციტრუსი გემოთი არაფრით ჩამოუვარდება კალიფორნიულს.

ქალაქგარეთ სულ ციტრუსისა და ხეხილის თვალუწვდენელი ბაღებია. როგორც ჩარლიმ გვითხრა, თურმე აქაურ ხეხილს გაუჭნდა რაღაც მწერი, რომელიც ანადგურებს მას ყვავილობის პერიოდიდანვე: ეს მწერები ძალიან მომრაელდნენ და დიდი ზიანი მიაყენეს ხეხილს. გამოიყენეს ათასნაირი მწერსაწინააღმდეგო მომწამლავი პრეპარატი, მაგრამ ვერც ერთმა შედეგი ვერ გამოიღო. გარდა ამისა, შხამქიმიკატებს ვერტმფრენით ასხურებდნენ ყოველღამე, რითაც მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვიეს (ხმაურის გამო).

ბოლოს მიაგნეს, თუ როგორი გემოს ნიეთიერება უყვართ მწერებს და გამოიგონეს ასეთი გემოს „წამალი“, რომელიც მამლებს გამრავლების უნარს უკარგავს. ამის შემდეგ მწერების გამრავლებამ იკლო და, როგორც ტელეგადაცემებში ამბობენ, მალე ისინი სრულიად ამოწყდებიან.

აი თურმე რატომ იკრძალება კალიფორნიაში ყოველგვარი ხილის შემოტანა.

კალიფორნია თვითონ ერთ–ერთი უმდიდრესი მხარეა. იგი ხილითა და ციტრუსით ამარაგებს არა მარტო ამერიკას, არამედ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანასაც.

ლოს–ანჟელესში, ერთ დღეს, კონცერტის წინ კბილი ამტკივდა. გამაქანეს კლინიკაში, თან გამყვნენ ტერი და გიორგი. ამიყვანეს მე–4 სართულზე, სადაც სიწუნარე სუფევდა, არ იყო რიგი, რამდენიმე პაციენტი განაწილებული იყო ექიმებთან. მეც შემიყვანეს ექიმის მისაღებ ოთახში. ანკეტა შევავსე, შეკითხვები ასეთი

იყო: როგორი გაქეთ გული, წნევა, ალერგია ხომ არა გაქეთ, კბილის ექიმის ხომ არ გეშინიათ. ამ უკანასკნელ კითხვაზე ვუპასუხე: ყველა საბჭოელს ეშინია კბილის ექიმის–მეთქი.

ჩემი ექიმის კაბინეტი პატარა, თეთრად გაქათქათებულ, ყვავილებით მორთულ ოთახს წარმოადგენდა, სადაც იდგა ექიმის პატარა მაგიდა და კბილის სამკურნალო სავარძელი. სამკურნალო ინსტრუმენტები არსად ჩანდა. ექიმმა – ახალგაზრდა, შავგრემანმა სიმპათიურმა ქალმა – ჯერ თხელი რეზინის ხელთათმანები გაიკეთა, მერე ვარდისფერი ნიღაბი აიფარა, ავადმყოფ კბილს შეხედა და მითხრა: რენტგენი უნდა გადაგიღოთ. მე უარი ვუთხარი, რადგან ვიფიქრე: ახლა სხვა შენობაში გადადი, იქ რენტგენს გადაგიღებენ, მერე როდის იქნება პასუხი, ვინ იცის, ორ საათში კიდევ კონცერტი იწყება.

მე ადგომა დავაპირე. ექიმმა არ გამიშვა, მერე გამოაღო თეთრ კედელში ჩატანებული პატარა სარკმელი, იქიდან გამოიღო ვიწრო რეზინის მილის მსგავსი ხელსაწყო, რომელსაც წვერზე პატარა ნათურა ჰქონდა მიმაგრებული. მტკივან კბილთან პატარა შავი ქაღალდი ჩამიდო, მერე ღილაკს ხელი დააჭირა, ქაღალდს ზედა ფენა ააცალა, სინათლეზე გახედა და, კბილი ამოსაღებიაო, მითხრა.

მერე სავრაძელი, რომელზედაც ვიჯექი, პორიზონტალურად გაშალა და მე დაწოლილ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ექიმი ისე მუშაობდა, როგორც ქირურგები საოპერაციოში. ჯერ ხსნარში დასველებული ბამბიანი ჩხირი იმ ადგილას დამადო, სადაც ნემსის გაკეთებას აპირებდა. მერე ნემსის ჩხვლეტა არც გამიგია. ერთ წუთში კიდევ მეორედ გამიკეთა ნემსი. ამას ყველაფერს მხოლოდ ვგრძნობდი.

სხვათა შორის, ექიმს ასისტენტი ისე აწვდიდა საჭირო ინსტრუმენტს, რომ ავადმყოფს იგი არ დაენახა (ფსიქოლოგიური ამბავია).

ცოტა ხანში კბილის ტკივილი დამიცხრა და მოღრეცილი სახე გამისწორდა. მაშინ ექიმმა ნელ–ნელა დაიწყო კბილის ამოწევა ზევით, ვერტიკალურად. იგი ისე სათუთად აკეთებდა ყველაფერს, რომ მეგონა მეფერებოდა. ამ დროს ასისტენტი, სპეციალური პატარა აპარატით, ციე პაერს მიბერავდა პირის ღრუში.. ცოტა ხანში ექიმმა ბამბა ჩამიდო კბილებშუა და წამომაყენა. მაშინ მიეხედი, რომ კბილი უკვე ამოელო. პირში არაფერი არ უნდა გამოვიელო? ამ დროს ჩვენთან მანგანუმის ხსნარს გვაელებენ–მეთქი, ეუთხარი ექიმს. ინფექციის კერა რაც იყო, უკვე ამოეიღე და დანარჩენი ორგანიზმმა თვითონ იცისო, მითხრა. მერე დამარიგა: სახლში რომ მიხვალთ, ვინიცობაა სისხლი არ შეგიჩერდეთ, ჩაის პატარა პარკი ღრმულში ჩაიდეთ და სისხლის დენაც შეგიწყდებათო.

მე ვიღიმებოდი. ასე უმტკივნეულოდ თუ შეიძლებოდა კბილის ამოღება, ნამდვილად არ მეგონა. გამახსენდა: 10–12 წლის წინ ჩვენთან კბილი ამომიღეს. ექიმი ქალბატონი გახლდათ. ჯერ ნემსი გამიკეთა, ვიგრძენი, რომ წამალი პირის ღრუში ჩამელვარა და ღრძილი არ გამიყუჩდა, როცა ამის შესახებ მოვახსენე, ეგ ჩემი საქმეაო, მითხრა. მერე მისმა სტუმარმა ქალბატონმა და მან დიდხანს ისაუბრეს თავიანთ რძლებზე, „რძალ–დედამთილიანის“ პრობლემებზე. როცა „გავახსენდი“ და კბილის ამოსაღებად მარწუხი მომდო, მივხედი, რომ გაყუჩებული არ ქონდა და საშინელი ტკივილი ვიგრძენი. „მე ხომ ვიცი, რომ არ გტკივა, ნუ გეშინია“, მითხრა ექიმმა და ქრისტესაით მაწამა. ამის შემდეგ კბილის ექიმთან აღარ მივსულვარ.

18 მარტს ლოს–ანჯელესში ჩვენი ბოლო კონცერტი ჩატარდა. დილით მოვიდნენ ჩვენი მეგობრები – ინგრიტი და ჩარლი ქალიშვილთან – ქრისტინასთან ერთად... და ფრიდონი, გიორგი და მე წაგვიყვანეს ქალაქში სასეირნოდ.

ჩარლიმ მიგვიპატიჟა ერთ ფეშენებელურ სასტუმროში, სადაც რეიგანი ცხოვრობდა იმ დროს, როცა იგი პრეზიდენტად აირჩიეს. პირველი საპრეზიდენტო ბანკეტიც იქ გადაიხადა. მართლაც, საუცხოო სილამაზის სასტუმროა პალმებით, ყვავილებით, აუზებით, ათასნაირი სავარჯიშოთი, გასართობებით, ბარებით, რესტორნებით და კიდევ რა ვიცი...

ჩვენ რესტორანში შევედით. ერთი მომხიბლავი მომღერალი ქალი, როიალთან იჯდადა შესანიშნაად მღეროდა. მარტო იმ მომღერლის მოსასმენად ღირდა იქ შესვლა. რესტორანში შეედური სუფრა იყო გაშლილი, ნამდვილი საპრეზიდენტო სუფრა.

რესტორნიდან ჩარლიმ გაგვატარა ლოს–ანჟელესის ყველაზე მდიდარ უბანში, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობს (მდიდრები ქალაქის ცენტრში იშვიათად ცხოვრობენ). იმ უბანში ცხოვრობენ, გამოჩენილი მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები, თვითონ რეიგანიც იქ ცხოვრობს, ეს გახლავთ მწვანეში ჩაფლული უბანი, რომელსაც „სუფთა ჰაერი“ ჰქვია.

სახლები ორსართულიანზე მაღალი არ არის, მაგრამ თითოეული მათგანი არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენს. აქ მართლაც სუფთა ჰაერია. ერთი სახლი, თავისი ეზოთი, თურმე რამდენიმე მილიონი დოლარი ღირს.

რეიგანი ახლა პენსიაზეა. მას დაუტოვეს პრეზიდენტის ხელფასი, დაცვა და საპრეზიდენტო მომსახურება. ამით პატივი სცეს, როგორც ერთ–ერთ საუკეთესო პრეზიდენტს.

ჩარლი და ინგრიდი რეიგანს მიიჩნევენ საუკეთესო პრეზიდენტად, რადგან იგი ბრწყინვალედ ფლობდა ხალხის მართვისა და მასთან ურთიერთობის ხელოვნებას. ამაში მას „ჰოლივუდიც“ დაეხმარა (იგი ხომ ცნობილი კინომსახიობი იყო). გარდა ამისა, რეიგანმა თითქმის მოსპო უმუშევრობა. გადაწყვიტა ქვეყნის ეკონომიური საკითხი. იგი ხელისუფლების სათავეში მოვიდა იმ დროს, როცა ქვეყნის ეკონომიკა დაღმართზე იდგა; რეიგანის დროს დაიწყო სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაცია („სოი“) და, რაც მთავარია, რეიგანმა პირველმა დააჩოქა რუსეთი თავისი სწორი პოლიტიკური მიმართულებით. ახლა რეიგანი მრჩევლის როლში გამოდის, მასთან ხშირი ვიზიტი აქვს ბუშს, გარდა ამისა, რეიგანი მრავალ ქვეყანაში ლექციებს კითხულობს და ამით დიდ ბიზნესს აკეთებს. ამას წინათ იაპონიაში წაიკითხა ლექცია და ორი მილიონი დოლარი ჰონორარი მიიღო. ამერიკელების აზრით, ეს ფაქტი რეიგანის ავტორიტეტს დაბლა სცემს.

ჩვენი ბოლო კონცერტი ლოს–ანჟელესში დიდი წარმატებით ჩატარდა. კონცერტის შემდეგ გულთბილად დაგვემშვიდობნენ ინგრიდი და ჩარლი. ეს უზარმაზარი დეეკაცი პატარა ბაშვივით იცრემლებოდა და რა ვიცოდით, რომ თურმე იგი სამუდამოდ გვეთხოვებოდა.

ჩვენი გასტროლების შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა გულის ინფარქტით.

მეორე დილით გავფრინდით ქ. ბოიზიში. აეროპორტში გაგვაცილეს შოთა დუმბაძემ და მისმა ოჯახმა. ბ–ნი შოთა ლოს–ანჟელესში სულ ჩვენთან იყო მთელი ოჯახით. მას ჰყავს ხუთი შვილი (2 ვაჟი და 3 ქალიშვილი) და არაჩვეულებრივად მომხიბლავი მეუღლე. ბ–ნი შოთა ქართულ ტრადიციებს არ კარგავს, მისმა ვაჟიშვილმა ქრისტეფორემ ცოლად შეირთო ჩვენი ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე ქეთინო ბარამიძე, რომელიც ერთი წუთითაც არ მოსცილებია ჩვენს გოგონებს.

ლოს–ანჟელესში ავად გაგვიხდა წამყვანი მოცეკვავე მალხაზ მანაგაძე (დიაგ-

ნოზი: ხერხემლის მალიდან დისკოს ამოვარდნა). ასეთი ავადმყოფი საოპერაციოა. ოპერაციის შემდეგაც არაეინ უწყის, ცეკვას შეძლებს თუ არა. მალხაზი საქართველოში უნდა გამოგვესტუმრებინა. ეს კი დიდი დანაკლისი იქნებოდა ჩვენი ანსამბლისთვის. აქ მხსნელად მოგვეევლინა შოთა დუმბაძის ვაჟიშვილი, ახალგაზრდა ექიმი ქრისტეფორე. მან და მისმა მეუღლემ – ქეთინომ მალხაზი თაეიანთთან წაიყვანეს, ერთ–ერთ კლინიკაში უმკურნალეს უოპერაციოდ, ახალი მეთოდებით, მთელი ხარჯებიც თვითონ გაიღეს და ორ კეირაში მალხაზი „დაგვეწია“ სრულიად გამოჯანმრთელებული.

ქ. ბოიზი იდანოს შტატის დედაქალაქია, მდებარეობს მთებში. აქეთ შესანიშნავი საკონცერტო დარბაზი 3 200 მაყურებლისათეის. აქ სულ 6 კონცერტი გაემართეთ, აქედან 4 – ბავშვებისათეის.

ამ ქალაქში მდებარეობს ძეელი ლამაზი შენობა „ბასკების ცენტრი“, სადაც ერთ საღამოს შეხვედრა მოგვიწყეს. გამოვიდნენ ადგილობრივი ინდიელები ნაციონალურ კოსტიუმებში და ცეკვები შეასრულეს.

ბოლოს გამოვიდნენ ბასკები, ისინიც ნაციონალური კოსტიუმებით, შეასრულეს ბასკური სიმერები და ცეკვები.

მეორე დღეს ბასკურ მუზეუმში წაგვიყვანეს, რომელიც „ბასკების ცენტრის“ გვერდით მდებარეობს. მუზეუმი აშენებულია 1964 წელს. აქ გამოფენილია ბასკური წიგნები, კოსტიუმები, თოჯინები, ფოტოსურათები, ბასკური ყოფის ამსახველი ტილოები, ნაციონალური დროშა და სხვ. ბასკები სულ 10 000-მდე თუ იქნებიან. ამ რაიონში ჩამოსახლებულან XIX საუკუნის 80–იან წლებში. ეწეოდნენ მეცხვარეობას. დასახლდნენ მოსაელიან ადგილებში. ამჟამად გამდიდრდნენ და საკუთარი ბანკები აქეთ გახსნილი. მათ შეინარჩუნეს საკუთარი ენა, დამწერლობა, ცეკვა, სიმღერა, ძეელებური ბასკური ადათ–წესები, ეროვნული დროშა, კოსტიუმები და სხვ. ისინი ყოეელ წელს იკრიბებიან ქ. ბოიზიში და „პიკნიკს“ მართაეენ. იღებენ სამახსოერო ფოტოსურათებს, არიან ქრისტიანი კათოლიკები. დღესასწაულებზე ბავშვებსაც ბასკური ტანსაცმელი აცეიათ, საქართველოზე და მასთან ნათესაურ კავშირზე არაფერი იციან.

მუზეუმიდან სასტუმრომდე შუახნის ბასკმა წაგვიყვანა მანქანით. იგი დაინტერესებული იყო ჩვენით და ბეერი გეესაუბრა. ხრუშჩოვი ქართეელი იყო თუ არაო, მკითხა. მე ვუთხარი, ჩვენ მარტო სტალინიც გეეყოფა, ახლა ხრუშჩოვი და ბრეჟნეეიც რომ არ მოგვაკეროთ–მეთქი.

– სტალინი სასტიკი პიროვნება იყო, – თქვა მან, – ბეერი ხალხი დახოცა და ციხისებური იმპერია შექმნა.

– თუ ამისთანა ცუდი იყო, რატომ გახდით მეორე მსოფლიო ომში მისი მოკავშირე–მეთქი, – ვკითხე.

– მოკავშირეთა კოალიცია შეიქმნა იმისათეის, რომ რუსეთს დახმარებოდნენ ფაშიზმის მოსპობაში, რაც მსოფლიოს სიმახინჯედ მიგვაჩნდაო, – გეიპასუხა და ცოტაოდენი პაუზის შემდეგ დაუმატა: – არ მიყვარს რუსეთი, ჩვენ უნდა ეილოცოთ, რომ ამერიკელები ეართ, ჩვენ კიდეე ეერ ეაფასებთ თაეისუფლებას. ეერ წარმომიდგენია, რომ ეინმემ ამიკრძალოს, სადაც მინდა, იქ წასელა და, რაც მინდა, იმის კეთება, ხომ შეიძლება გაგიჟდე კაცი.

ეერ წარმომიდგენია, როგორ უძლებთ თქვენ ყოეელიეე ამას. მე ერთხანს ლოთობას დაეეჩეიე, ეერაეინ მომარჩინა. მერე ერთმა კაცმა ქრისტეს მოძღერებას მაზიარა. მე ვირწმუნე ქრისტე და გადაეეჩეიე სმას. ახლა შესანიშნაეი ცოლ–შეილი მყაეს.

თქვენ ირწმუნეთ ლენინი. გადაგაჩვიათ მან სმას? მაშ რატომ არის რუსეთში ამდენი ლოთი, როგორც თქვენი გაზეთები წერენ, ა?

ჯობია თავი დაანებოთ მარქსიზმს, კომუნიზმს, ლენინს და იწამოთ ქრისტე, იგი თქვენ ჭეშმარიტებისაკენ წაგიყვანთ, — თქვა მძღოლმა, მერე სავიზიტო ბარათები ამოიღო და სათითაოდ დაგვირიგა. ბარათს მისი სახელის, გვარისა და მისამართის შემდეგ ეწერა:

„გაიღიმეთ, თქვენ ქრისტეს უყვარხართ“.

ქ. ბოიზიდან „დელტას“ ფირმის თვითმფრინავით დილაუთენია გაეფრინდით ტეხასის შტატში – ქ. ამარილოში. აშშ–ში მოკლე ტრასებზე ეს თვითმფრინავები დაფრინავენ. ისინი დიდები არ არიან (100 კაციანია), მაგრამ ძალიან მოქნილებია და ავტობუსივით ყველა ქალაქში ჩერდებიან. ქ. ამარილომდე ჩვენი თვითმფრინავი რამდენჯერმე დაჯდა, ყველა ქალაქში აგებულია შესანიშნავი თანამედროვე აეროპორტი, მიუხედავად იმისა, იგი საერთაშორისოა თუ არა. ისინი სწორი ან ოვალური ფორმის გრძელი შენობებია, რათა მეტი თვითმფრინავი მიადგეს შენობას. აეროპორტში მისვლისთანავე გარეთ აბარებთ თქვენს ბარგს, რომელიც თვითმფრინავში შეაქვთ და გამოაქვთ ესკალატორიანი მანქანებით. ამიტომ გამორიცხულია, რომ იგი დაზიანდეს და, რაც მთავარია, თვითმფრინავიდან აეროპორტში რომ გამოდიხართ, ბარგი უკვე იქ გხვდებათ. აეროპორტის გრძელი შენობიდან გამოდის რამდენიმე ათეული ავტომატური გასასვლელი, რომლის მეშვეობით მგზავრები პირდაპირ თვითმფრინავში შედიან და გამოდიან უბარგოდ, ხელცარიელნი. მგზავრს არ უხდება თვითმფრინავისკენ ფეხით გაევლა აეროპორტის ტერიტორიაზე. ასეთი გასასვლელები ჩვენში მხოლოდ შერემეტევოს საერთაშორისო აეროპორტშია.

ახლა თვითმფრინავში მომსახურებას არ იკითხავთ! მომხიბლავი ბორტგამცილებლები ღიმილით გთავაზობენ სხვადასხვაგვარ საჭმელსა და სასმელს. იმის მიხედვით, თუ დღის რა დროა. ამერიკის აეროპორტები საკმაოდ ბარებით, სასაუზმეებითა და რესტორნებით. იყიდება ათასნაირი სუვენირი. ის კი არა, საუკეთესო მარკის ავტომანქანაც იყიდება. აქეთ მანქანების გასაქირავებელი პუნქტი, წარადგენთ მართვის მოწმობას, გადაიხდით ფულს და შეგიძლიათ უცხო ქალაქში აეროპორტიდან ბრწყინვალე მანქანით შეხვიდეთ.

ქ. ამარილოში სიურპრიზი გველოდებოდა. გაზეთებმა დაბეჭდეს ჩვენი ანსამბლის დიდი რეკლამები ასეთი წარწერით: „რუსები მოდიან“. საოცარია პირდაპირ, ყოველი კონცერტის წინ ვაცხადებთ, თუ საიდან ვართ, ბუკლეტებში სწერია, რადიოში, ტელევიზიაში ყველგან ხაზს ვუსვამთ ჩვენს ვინაობას, მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულებს მაინც ყველას რუსებს ეძახიან. და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვიხდება იმის მტკიცება, რომ ჩვენ რუსები არა ვართ.

ჩვენ კატეგორიული პროტესტი განვაცხადეთ და კონცერტზე უარი ვთქვით, თუ ტელევიზიით ბოდიშს არ მოიხდიდნენ და ზუსტად არ გამოაცხადებდნენ ჩვენს ვინაობასა და სადაურობას.

ტელევიზიით გამოველით მე და გიორგი თოფურია და ჩვენთან ინტერვიუს საბაბით გამოვაცხადეთ, თუ ვინ და საიდან ვართ. „მაინც რა განსხვავებაა თქვენსა და რუსებს შორის“? – შემეკითხა დიქტორი.

– იგივე, რაც თქვენსა და რუსებს შორის–მეთქი, – ვუპასუხე.

საბოლოოდ ტელევიზიამ და გაზეთებმა ბოდიში მოიხადეს და საღამოს მთელი ქალაქი დაპატიჟეს ქართველების კონცერტზე.

ტელევიზიაში მიგვიყვანა ასე 40–45 წლის ამერიკელმა, სახელად ჯონმა. მან

რუსული იცოდა და, ტელეინტერვიუს შემდეგ, მე და გიორგის ქალაქში გასეირნება შემოგვთავაზა.

ამარილო დაარსებულა 100 წლის წინათ. შემონახულია ის სახლი, რომელიც პირველად აშენდა. აქ შეიქმნა სარკინიგზო კვანძი, რამაც გამოიწვია ქალაქის დაარსების აუცილებლობა.

ამარილოში 1917 წ. აღმოაჩინეს ქვანახშირი და გაზი. მაშინ გაზის წარმოებით ამარილო მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო და ამერიკის ბევრ შტატს ამარაგებდა. ამჟამად ამარილოში 150000 მცხოვრებია.

ამარილო ტიპური ამერიკული ქალაქია. ქალაქიდან 30 წუთის სავალზე დაშლილი მაღალი „კანიონებია" (დაშლილი წითელმიწა მთები). ჯონმა წაგვიყვანა ამ „კანიონების" დასათვალიერებლად. თუ გინახავთ კოვბოურ ფილმებში შიშველი წითელმიწა კლდეები და მთები, სწორედ ის ვნახეთ. როგორც ჯონმა გვითხრა, იქ ხშირად იღებენ კოვბოურ ფილმებს. ეს მთები და უდაბნო ჩვენ დავით გარეჯის უდაბნოს მოგვაგონებს.

ექსკურსიის შემდეგ ჯონმა თავის ოჯახში დაგვპატიჟა სადილად. იგი ქალაქგარეთ ცხოვრობს, ქალაქიდან 15–20 წუთის სავალზე. იქ უფრო სიმყუდროვე და სიმარტოვეა. გავიცანით ჯონის მეუღლე ჯენეთი, ორმოციოდე წლის სიმპათიური ქალი; შვილები: ჯეიმსი (12 წლის), ჟაკლინი (7 წლის) და ჯეფრი (4 წლის). ბავშვები ძალიან ლამაზები და სტუმართმოყვარენი აღმოჩნდნენ.

დიასახლისი შეგვეკითხა, რას მივირთმევდით, როგორი მენიუ მოგვწონს, რა უფრო გვესიამოვნება. როცა ჩვენი გემოვნება გაიგო, ჯონი გავიდა იქვე მაღაზიაში, რომელიც სრულებით არ პგავდა ჩვენს „სოფმაღს" და, სანამ სახლს ვათვალიერებდით, დაბრუნდა ნავაჭრით, რომელსაც გაცხელების მეტი არაფერი უნდოდა.

ჩვენ სახლი დავათვალიერეთ. იგი ერთსართულიანია, მიწაზე დგას და ყაერითაა გადახურული, ოღონდ ყავარი ჩვენებურზე ბევრად პატარაა. სახლის წინა ფასადი ქუჩაში გადის, უკანა – ეზოში. ეზო ხასხასა ბალახითაა დაფარული და მაღალი ხის მესერით შემოღობილი. ეზოში მანქანის გარაჟია, რომელიც სახლის კიდეს ემიჯნება, გარაჟის გვერდით ბავშვების საავარჯიშოებია, რკინის საქანელა, ხორცის შესაწვაი სპეციალური ქურა და ძაღლის – ჯეკის საძინებელი პატარა სახლი. ამ სახლში გაყვანილია ელექტრონათურა და ჯეკი გაჩახჩახებულ პატარა საწოლში წევს. დიდი სახლის მთავარი შესასვლელიდან ხელმარცხნივ დიდი საძინებელია, სადაც მშობლები იძინებენ. საწოლი ხისაა, ორსაწოლიანი, მისი მარჯვენა მხრიდან უჯრასაით გამოდის პატარა საწოლი, რომელიც ჩვილი ბავშვისთვისაა გათვალისწინებული.

მშობლების საძინებელი დიდ მისაღებში გადის, სადაც დგას: დიდი ტელევიზორი სტერეოდინამიკებითა და პოლიეკრანით, ვიდეო და რადიოაპარატურა ელექტროსაკრავითა და კომპაქტური დისკებით, ფოტოაპარატურა, პატარა პიანინო და სტუმრისთვის სხვა საჭირო გასართობები. მისაღებში არც ერთი ანტიკვარი არ მინახავს. ოჯახში დგას მხოლოდ ის, რაც ყოველდღიურად ესაჭიროებათ.

მისაღები ოთახის მარჯვენა მხარეს კარები გადის პატარა კორიდორში, რომელიც შეერთებულია ბავშვების საძინებელთან. ყველა ბავშვს თავისი ოთახი აქვს, თავისივე კარადა–გარდერობით, რომელიც კედელშია ჩატანებული.

უფროსი ბიჭის საძინებელ ოთახში ხის საწოლი დგას. საწოლის თავთან, პატარა მაგიდაზე „ბიბლია" და მუსიკის მოსასმენი ყურსაცავამები დევს. საწოლის ბოლოს, კედელზე ხატი პკიდია; საწოლიდან ხელმარცხნივ რკინის ტრუნაჟორი – სავარჯი-

შოები დგას. ხელმარჯვნივ, კედელზე რამდენიმე მომღიმარი ბავშვის სურათია ასეთი წარწერით: თუ არ გაიღიმე, ჩათვალე, რომ ის დღე შენთვის დაკარგულია.

გვერდით 4 წლის ჯეფრის საძინებელია, საწოლს ხისრიკულებიანი ჯებირი აქვს. აქ ალაგია ათასნაირი სათამაშო. კედელზე გაკრულია ნაჭრისაგან შეკერილი მულტფილმების გმირები: – დიდი თოჯინები.

ეს ოთახი ბავშვთა ზღაპრულ სამყაროს მოგაგონებთ.

შემდეგ გოგონას ლამაზი საძინებელია, სულ ხელოვნური ყვავილებითა და ათასნაირი თოჯინით გაწყობილი.

მისაღები ოთახის გვერდით მოზრდილი სამზარეულო და სასაუზმეა, რომელშიაც დიდი მაცივარი და სამზარეულოსათვის აუცილებელი იმდენი რამ უნახეთ, ჩვენი დიასახლისები სიზმარში თუ წარმოიდგენენ მხოლოდ. სასაუზმე 12 კაცისთვისაა გაანგარიშებული.

15–20 წუთში სადილი მზად იყო. ჩვენ სუფრას მივუჯექით. ბავშვები არ ჩანდნენ. ისინი ლოცულობენო, გვითხრა ჯონმა. მერე ბავშვებიც გამოჩნდნენ. 12 წლის ჯეიმსი ჩვენთან დასვეს, ხოლო ჟაკლინს და ჯეფრის ჩვენ გვერდით პატარა დაბალი მაგიდა გაუშალეს. ისინი დამოუკიდებლად, დანა–ჩანგლით მიირთმეენდნენ სადილს. თუ რამე უნდოდათ, დედას ეკითხებოდნენ. იქ არ ყოფილა: „ჭამე, თორემ რას იტყვიან სტუმრები“ ან: „თუ არ შეჭამ, ტურა წაგიყვანს“ და სხვ.

ბავშვებმა სადილი დაამთავრეს, თეფშები აალაგეს და ჩუმად გავიდნენ მისაღებში.

ჯონიმ გვიამბო, როგორ დასახლდნენ იქ.

ჯონის და ჯენეთის ერთმანეთი გაუცვნიათ ვაშინგტონში, როცა ჯონი ჯარში მსახურობდა. ერთი წლის შემდეგ შეუღლებულან. მაშინ ჯონის თვიური ხელფასი 300 დოლარი ყოფილა. ჯონის 18 თვე უმსახურნია ჯარში. მერე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაუმთავრებია. ამჟერად ადვოკატია. მისი შემოსავალი წელიწადში, როგორც თვითონ თქვა, დიდი არ არის – 70 000 დოლარია. თუ ამას გადასახადებს გამოვაკლებთ, თვეში 5 000 დოლარი რჩება. ეზო და ბინა თავისი აქვთ 115 ათასი დოლარი დაჯდა. აქედან სახელმწიფომ სესხად მისცა 100 000 დოლარი, რომელიც 30 წლის განმავლობაში უნდა დაფაროს.

მეუღლე არ მუშაობს. სპეციალობა რომ ვკითხეთ, – ბავშვების აღზრდაო, – გვიპასუხა. – თქვენ არ იცით, ეს რა რთული პროფესიაა. სიგიჟე, როგორც ექიმები ამტკიცებენ, შთამომავლობითი არ არის, იგი ბავშვებისაგან გემართებათ. სამი ბავშვი, ამას ძაღლი ჯეკიც დაუმატეთ, რომელმაც არ იცის, რომ ძაღლია და თავი ბავშვი ჰგონია, და წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნები.

ჩვენ გულიანად ვიცინეთ. ამ ბავშვებს სიცელქის არაფერი ეტყობოდათ, გუგულებივით ისხდნენ.

სუფრაზე მრავალსაირი სასმელი იდგა. აქ არავინ გეტყვის: თუ არ დალევ, კისერში ჩაგასხამო.

ჩვენ დიასახლისი ვაღელვრძელეთ, მადლობა გადავუხადეთ კეთილ მასპინძლებს და მისაღებში გამოვედით. ბავშვებს ყურთასმენები გაეკეთებინათ და ერთ ტელევიზორში ერთდროულად 3 პროგრამას უყურებდნენ. (ეკრანი სამად იყო გაყოფილი). ამ ტელევიზორს შეუძლია ერთდროულად 16 პროგრამა აჩვენოს.

ბავშვებს ვკითხეთ, თუ ვინ უნდა გამოსულიყვნენ: უფროსმა – პოლიციელიო, ვინაიდან პოლიციელები ბოროტებას ებრძვიან, ისინი ყველაზე ღონიერი და პატიოსნები არიანო.

გოგონამ, მასწავლებელი უნდა გამოვიდეო, ხოლო პატარა ჯეფრიმ – მაუგლიო.

ჩვენ ხვალინდელ კონცერტზე დავპატიჟეთ მთელი ოჯახი და წასასვლელად მოვემზადეთ.

ბავშვებმა გადაგვკოცნეს და კარებამდე გამოგვაცილეს. მათ არ ჩამორჩა ძაღლი ჯეკიც, რომელსაც შალის ძვირფასი ქურთუკი ეცვა.

მეორე დღეს, კონცერტის შემდეგ, ბავშვებმა აზრი შეიცვალეს და თქვეს, რომ გავიზრდებით, ქართველი მოცეკვავეები უნდა გამოვიდეთო.

ქ. ამარილოს შემდეგ კონცერტები გაეშართეთ ქ. სან–ანტონიოში, ქ. კოლეჯსტა-ში (კოლეჯების ქალაქი) და 28 მარტს ჩავფრინდით დალასში (ტეხასის შტატი).

როგორც გვითხრეს, დალასი სიდიდით აშშ–ში მეხუთეა, 5 მილიონი მცხოვრე-ბით, იგი მეტად თავისებური და ლამაზი ქალაქია, მაგრამ მან დიდი „პოპულარობა" მოიპოვა მას შემდეგ, რაც დალასში მოკლეს პრეზიდენტი ჯონ კენედი.

დალასში პირველი დღე თავისუფალი გვქონდა, ამიტომ სალამოს ებრაელებმა მოგვიწვიეს შეხვედრა. აქ ებრაელთა დიდი კოლონიაა, მაგრამ ქართველი ებრაელები მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი თუა.

საღამო ებრაელთა კულტურის ცენტრში გაიმართა მიგვიღეს ძალიან თბილად. ჩვენ სახალდახალო კონცერტი გავუმართეთ, რომელიც ძალიან მოეწონათ. აქაური ებრაელების უმრავლესობამ რუსული იცოდა, ხოლო მათ შორის იყო ერთ ჯგუფი, რომელიც სულ ერთი თვის წინ ჩამოსულა რუსეთიდან, ისინი ძალიან გამომწვევად იქცეოდნენ.

– რაიმე გასაყიდად ხომ არა გაქვთ ჩამოტანილი? შეეკითხა ერთ–ერთი მათ-განი ჩვენს მოცეკვავეს მარინა გელაშვილს.

– ჩვენ თქვენზე ადრე ჩამოვედით, გასაყიდი თქვენებს ექნებათ და იმათ მიაკითხ-ეთო, უპასუხა მარინამ. მერე ჩემთან მოვიდნენ და მკითხეს, როგორია თქვენთან, საბჭოეთში, ცხოვრების დონეო.

კარგი რომ ყოფილიყო, თქვენ აქ არ წამოხვიდოდით–მეთქი. ვუპასუხე.

რას იზამ, სანამ „აკლიმატიზაციას" გაივლიან და რუსეთის მერე აშერიკის ცხოვრებას შეეჩვევიან, ალბათ ბევრჯერ აღმოჩნდებიან უხერხულ მდგომარეობაში. საღამომ კარგად ჩაიარა. ჩვენ გულთბილად დავეშვიდობეთ კეთილ მასპინძლებს.

შეორე დილით მე და გიორგი თოფურია წაგვიყვანეს რადიოს მუსიკალურ რე-



ამერიკელი ინარესარიო დონ პიუზი მეუღლესთან ერთად და ანზორ ერქომაშვილი

დაქციაში და გეთხოვეს ინტერვიუ. ბევრი საინტერესო შეკითხვა დაგეისვეს საქართველოზე, მის ისტორიულ წარსულზე, ხელოვნებაზე, გვითხრეს, რომ აქ ცოტა რამ იციან საქართველოს შესახებ. ძალიან აინტერესებდათ ჩვენი ფოლკლორი. მერე თანამედროვე ხელოვნებაზე გადავედით და ბოლოს პოლიტიკური შეკითხვებიც დამისვეს. ისინი ძალიან დაინტერესა საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ. აქ ახლა დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ლიტვის შესახებ. ყოველდღე გადმოსცემენ საოცარ ფაქტებს. ლიტვა ყოველდღე თხოულობს დახმარებას, იმართება დემონსტრაციები ლიტვის დასაცავად. მიუხედავად ამისა, ბუში და სხვა ქვეყნების ლიდერები თავს იკავებენ ამ ფაქტის პოლიტიკური შეფასებისაგან. ერთადერთი, ვინც სწორი დიაგნოზი დასვა, ხაზი გაუსვა გორბაჩოვის ძალადობას, რუსეთის დამპყრობლურ, შოვინისტურ იმპერიალისტურ პოლიტიკას და სწორად შეაფასა ახლანდელი მდგომარეობა, იყო ნორვეგიის პრესა.

დღის მეორე ნახევარში წაგვიყვანეს ჯონ კენედის მუზეუმში, იგი ქალაქის ცენტრში მდებარეობს, სწორედ იმ სახლში, საიდანაც სასიკვდილო ტყვია ესროლეს პრეზიდენტს. მუზეუმში უხვადაა წარმოდგენილი კენედების ოჯახის ამსახველი ფოტოები: დედ–მამის, ცხრა და–ძმის, სამამულო ომისდროინდელი, მერე პრეზიდენტის საარჩევნო პერიოდი, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, მათ შორის ხრუშჩოვთანაც; თეთრ სახლში ჯონ კენედის პირველი შესელა პატარა ბავშვებით, ჟაკლინ კენედი – პრეზიდენტის ულამაზესი მეუღლე და სხვა. უხვადაა წარმოდგენილი კინო და ვიდეომასალა, მისი პრეზიდენტობის დროის ამსახველი კადრები. დალასისწინა კონფერენცია, სადაც ურჩიეს, რომ დალასში არ წასულიყო, მერე ის საბედისწერო მარშრუტი, რომელიც კენედიმ გაიარა 1963 წლის 22 ნოემბერს. გზა, სადაც უამრავი ხალხი გამოფენილა, რომლებიც ყვავილებითა და ტაშით ხვდებიან პრეზიდენტს; გასროლამდე რჩება 20, 10, 5 წუთი. პრეზიდენტი ღიმილით ესალმება ხალხს, ხელს უქნევს და საბედისწერო გასროლა...

მერე ლი ჰარვი ოსვალდი გამოჰყავთ დასაკითხად, მას ფოტოკორესპონდენტები და ჟურნალისტები აყრიან შეკითხვებს. იგი ყვირის, რომ პრეზიდენტის მკელელობის შესახებ არაფერი იცის. ამ დროს მას მიეარდება ჯონ ვუდი და პისტოლეტის რამდენიმე გასროლით კლავს. ოსვალდმა ინსტიქტურად ხელი აიფარა და მარტო ერთი შეყვირება მოასწრო.

ერთ ოთახში აჩვენებენ პრეზიდენტის დაკრძალვას, ჟაკლინს, რობერტ და ედვარდ კენედებს, პრეზიდენტის პატარა შვილებს. კუბოს ამერიკის დროშა აქვს გადაფარებული. პროცესიას უმხედროდ მიჰყვება პრეზიდენტის შეკაზმული ცხენი.

კუბოდან ამერიკის დროშა აიღეს, დაკეცეს, იქუხა ზალპმა, ამ დროს პრეზიდენტის თვითმფრინავმა გადაიარა საფლავის თავზე. გამოსათხოვარი სიტყვები. ოჯახის წევრები ემშვიდობებიან პრეზიდენტს.

მერე კუბოს თავი არ აუხდიათ, ისე ჩაუშვეს საფლავში. მუზეუმის ერთი კუთხე უჭირავს იმ ადგილს, საიდანაც ოსვალდმა ტყვია ესროლა პრეზიდენტს. იქ ყველაფერი ისეევა შემონახული, როგორც იმ მომენტში: წიგნის ყუთები, შაშხანა, ღია ფანჯარა. მოკლედ, ყოველივე ეს მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს.

როგორც მუზეუმში გვითხრეს, კენედის საქმეს იძიებდა სპეციალური კომისია. იუსტიციის მინისტრმა რობერტ კენედიმ განაცხადა: „მე თუ პრეზიდენტი გავხდი, ყველაფერს გავაშუქებ, იმდენი მასალა აღმოჩნდაო“.

ამბობენ, რობერტ კენედის სიცოცხლე სწორედ ამ სიტყვებმა შეიწირაო. იგი

საარჩევნო კომპანიის დროს ლოს–ანჯელესში მოკლეს.

მუხეუმიდან გულდათუთქული გამოვედით.

თუმცა ამ ამბის შესახებ ბევრი წაგვიკითხავს და მოგვისმენია, მაგრამ ნანახმა მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საღამოს ხალხით გადაჭედილ დარბაზში გაიმართა ჩვენი კონცერტი. დალასელი მაყურებლის ტემპერამენტი დაუოკებელი აღმოჩნდა. ჩვენი ბიჭები გამეორებებისაგან ქანცგაწყვეტილები იდგნენ სცენაზე და იღიმებოდნენ. გოგონები პირდაპირ ყვავილებით „შემოსეს“.

როგორც იქნა, ფარდა დაიხურა.

მეორე დღეს მიგვიწვიეს ქალაქის მუნიციპალიტეტში. მთელი მოსამსახურე პერსონალი გამოეიდა შენობის წინ მოედანზე და ყვავილებით შეეგება ანსამბლ „რუსთავს“. ჩვენი გოგო–ბიჭები, საზეიმოდ გამოწყობილნი, მართლაც მეტად მომხიბლავად გამოიყურებოდნენ. ეს მხედველობიდან არ გამოპარვიათ იქაურებს, განსაკუთრებით ქალებს, რომლებმაც აღნიშნეს ქართველების ჩაცმულობის მაღალი კულტურა და გემოვნება როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში.

ჩვენი გოგოები პირდაპირ ყვავილებში „შეფუთეს“ მუნიციპალიტეტელებმა.

შეხვედრა დღის 12 საათზე დაიწყო. მუნიციპალიტეტის დარბაზში დამხვდურები ფეხზე ამდგარი, ტაშით შეგვეგებნენ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა დალასის მერის მოადგილე. მან აღნიშნა ჩვენი ანსამბლის მაღალი პროფესიული დონე, რამაც განსაზღვრა ის წარმატება, რომელიც წილად ხვდა „რუსთაველ“ აშშ–ში და რომლის მოწმეც იყო დალასის მომთხოვნი მაყურებელი. მან აღნიშნა, რომ ჩვენ არა მარტო დალასელების, არამედ მთელი ამერიკის სტუმრები ვართ. თქვა, რომ ამერიკის მიწა მისიც არის და ჩვენიც. რომ ამერიკა მსოფლიოში ყველას მეგობარია, განსაკუთრებით ჩვენი, ქართველების.

საპასუხო სიტყვაში მე მადლობა გადავუხადე დალასელებს გულთბილი მიღებისათვის, მადლობა გადავუხადე იმ მიწისათვის, რომელსაც „გეჩუქნიდნენ“ და ვუთხარი, რომ საქართველოში რაც რამ გვებადა, ყველაფერი წაგვართვეს და გააჩუქეს, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია კავკასიონს იქით, ჩრდილო ყინულოვან ოკეანემდე მთელი ტერიტორია გაჩუქოთ–მეთქი.

ატყდა ტაშისცემა, ბევრი იცინეს.

მერე წაგვიკითხეს ოფიციალური წერილი, რომელიც დალასის მერმა გადმოგვცა ქალაქის სახელით.

„ტეხასის შტატი. ქ. დალასის მერის ოფისი. ვინაიდან ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ სხვა ერებთან კულტურულ გაცვლებს ხელოვნების დარგში. ვინაიდან ანსამბლ „რუსთაველის“ მომღერლებმა, მოცეკვავეებმა და მუსიკოსებმა საქართველოს რესპუბლიკიდან აირჩიეს დალასი ჩრდილოეთ ამერიკაში გასტროლების ნაწილად, ვინაიდან „რუსთავმა“ ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით აღმოაჩინა, აღადგინა და დაიცვა უძველესი ქართული ფოლკლორი და ამით წარმოგვიდგინა ტრადიციები, რომელიც ათასწლეულებს ითვლის, ვინაიდან მათი ხელოვნება წარმოადგენს სულისშემძვრელი შემოქმედებისა და უზადო ტექნიკის მაგალითს, რომელიც შეიცავს თვითმყოფად ეროვნულ მუსიკას, ვინაიდან ჩვენ გვინდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა და მეგობრის ხელი გავუწოდოთ ამ უაღრესად ნიჭიერ შემსრულებლებს, ამიტომაც მე, ანეტ შტრაუსი, ქალაქ დალასის მერი, დალასის მუნიციპალიტეტის სახელით ვაცხადებ 1990 წლის 29 მარტს ანსამბლ „რუსთაველის“

დღედ ქ. დალასში და მოეუწოდებ დალასის ყველა მოქალაქეს, შემოგვიერთდნენ ამ ხელოვანთა პატივსაცემად ჩვენს ქალაქში.

დალასის მერი ანეტ შტრაუსი.“

ეს სიგელი ტაშის გრიალში გადმოგვეცეს. ჩვენ საპასუხოდ ქართული სუვენირები და ანსამბლ „რუსთავის“ 100 ქართული ხალხური სიმღერის“ ფირფიტების კრებული ვაჩუქეთ. მომღერლებმა „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს.

არის დღე, რომელიც არ გვავიწყდება მთელი ცხოვრების მანძილზე. ერთ–ერთი ასეთი დღე ანსამბლ „რუსთავის“ ცხოვრებაში გახლდათ 29 მარტი.

საღამოს, კონცერტის წინ, იმპრესარიომ ფული მოგვიტანა. ეს იყო ნაწილი იმ დიდი თანხისა, რომელიც საქართველოში უნდა წამოგვეღო პირველად ჩვენი არსებობის ისტორიაში. თვალებს არ ვუჯერებდით, რადგან ადრე, იმპრესარიო ფულის მოტანას ვერ ასწრებდა, რომ საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი სულთამხუთავივით გვადგა თავზე. ამან გამახსენა ერთი ექსპრომტი, რომელიც ჩემს მეგობარს, გურამ თენიეშვილს მოეწერე ამერიკიდან 2 წლის წინათ:

„მთელი ქალაქი ფეხზე დგას,
კონცერტებს ვმართავთ დალასში.
ფული სულ რუსმა წაიღო,
ერთი დოლარი „დალ“ ასში“

მეორე დღეს დავათვალიერეთ გამოჩენილი ინგლისელი მწერლის – ემურ რიესის კოლექციის გამოფენა. რიესის გარდაცვალების შემდეგ კოლექციის დიდი ნაწილი მისმა მეუღლემ, რომელიც დალასიდან გახლდათ, თავის ქალაქს უსახსოვრა.

აქ არის შესანიშნავი ტილოები, სხვადასხვა მხატვრების ორიგინალები, იაპონური ლითონისა და ხის ნაკეთობანი, საძინებელი ოთახის გარნიტური, ბრწყინვალე ვაზები, სასადილო და სხვა.



ნინო ლაზიშვილი
სოლისტი

რიესის კოლექციაში დიდი ადგილი უჭირავს უინსტონ ჩერჩილის პირად ნივთებს, ალბათ ბევრმა ჩვენგანმა არც იცის, რომ ჩერჩილი გატაცებული ყოფილა მხატვრობით. იგი მშვენიერად ხატავდა. გამოფენაზე წარმოდგენილია მისი ოთხი ტილო, ნატურმორტები და პეიზაჟები. იქვეა ჩერჩილის სიგარები, ტროსტი, საფულე, ფუნჯები, საღებავები, მისი პატარა ბიუსტი – მარმარილოს ქანდაკება, ფოტოსურათები. თოჯინა–კურდღელი თეფშებით, რომელიც თურმე ჩერჩილის შემოსვლაზე თეფშებს დაჰკრავდა ხოლმე.

ყოველივე ეს ჩერჩილს რიესისთვის უჩუქნია. მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ჩერჩილი მაღალ შეფასებას აძლევდა რიესის ნაწარმოებს „მშვიდობის ანატომია“ ამ ნაწარმოებში აღ-

წერილია, როგორ უნდა შეეინარჩუნოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს, 1940 წელს, რიესი საფრანგეთში ცხოვრობდა. მას ჩერჩილი დაეხმარა, რომ ინგლისში გადასულიყო საცხოვრებლად და ინგლისის მოქალაქეობა მიეღო.

1953 წელს რიესი დაბრუნდა თავის ვილაში იტალია საფრანგეთის საზღვარზე, „ლა–პაუზაში", სადაც ჩერჩილი რამდენჯერმე ჩამოვიდა სტუმრად. სწორედ ის კურდღელი იდგა „ლა–პაუზას" მისალებში, ჩერჩილის გამოჩენაზე თეფშებს რომ დაჰკრაკუნა ხოლმე.

წიგნებით, ახლობლების ფოტოსურათებით, რომელთა შორის აინშტაინიც არის, დიდ ინტერესს იწვევს რიესის სამუშაო კაბინეტიც. აქ ნახავთ ალბერტ აინშტაინის წერილსაც.

„მე წავიკითხე „მშვიდობის ანატომია" და მომაჩნია, რომ ეს არის მეგზური. როგორ ავიცილოთ ომი, წიგნი ამის პასუხს გვაძლევს"

ალბერტ აინშტაინი.



ამ საღამოს, კონცერტის შემდეგ, დამის დასასო დაეთვალიერეთ. მშვენიერია დალასის ცენტრი ღამით. ცათამბჯენები ხუჟადახჩა ზომისა და ფორმის: ცილინდრული, კონუსური, კვადრატული, მოკლედ, არ ერთნაირ შენობას ვერ ნახავთ, რაც მთაყარია, ყველა შთაგანი ხუჟადახჩვა ფერშია განათებული ლუმინისცირებული განათებით. რამდენი რეკლამა შინახაულ ღამით, მაგრამ ვერსად ნახავთ, რომ თუნდაც ერთი ნათურა ადმე იყოს გადამწყარი.

ტეხასის გარეუბნებში ეზოები ყვავილებშია ჩაფლული. სახლები ერთ ან ორსართულიანებია, უმეტესად აგურისგან ნაშენი. სახლები ყაყრითაა გადახურული, სახურავი ძალიან დაქანებულია, სახლები აქაც ბოძების გარეშე, პირდაპირ მიწაზე დგას. ასეა ამერიკის ყველა ქალაქში.

ამერიკელებს გიგანტომანია არ სჭირთ. ყველაფერში იცავენ ზომა.

სოლისტი
თამაზ კობახიძე

მოსახლეობის მიხედვით ჭრელი ქვეყანაა. აქ თითქმის მთელი მსოფლიოს წარმომადგენლები (ზოგჯერ მრავალმილიონიანი კოლონიებიც) ცხოვრობენ. ამერიკის მოსახლეობის ფორმირებაში დიდი როლი შეასრულა მიგრაციამ, რაც მე–17 საუკუნეში დაიწყო. თავდაპირველად ინგლისელები, ირლანდიელები, ფრანგები და ჰოლანდიელები გადასახლდნენ. მე–19 საუკუნის მეორე ნახევარში ძირითადი მასა მოედინებოდა ირლანდიიდან, გერმანიიდან, სკანდინავიის ქვეყნებიდან; 80–იან წლებში – იტალიიდან, ავსტრია–უნგრეთიდან, რუსეთიდან და სხვა.

აშშ–ში 23 მილიონზე მეტი ზანგი და მულატია. ზანგები მე–17, მე–19 საუკუნეებში აფრიკიდან შემოყვანილი მონების შთამომავალნი არიან. მიუხედავად ძლიერი ასიმილაციისა, მათ მეტ–ნაკლებად შეინარჩუნეს თავიანთი ტრადიციები და ყოფითი თავისებურებები.

აშშ–ში 6 მილიონზე მეტი ებრაელია. აქედან მარტო ნიუ–იორკში 4 მილიონი ცხოვრობს. ასიათასობით ცხოვრობენ: ჩინელები, იაპონელები, კორეელები, სომხები, პოლონელები, ლიტველები, ჩეხები, უკრაინელები და კიდევ ვინ მოთელის... მიუხედავად ასეთი მრავალეროვანი მოსახლეობისა, აზრად არავის მოუვა, რომ განაცხადოს – ეს მიწა ჩემია და ის ჩინეთს ან კორეას ეკუთვნისო. იქ ასეთი გამოთქმაა: ამერიკელი ჩინელი, ამერიკელი კორეელი, ამერიკელი პოლონელი, ამერიკელი სომეხი და სხვ. რადგან მათ იმ ქვეყანაში მოისურვეს ცხოვრება, ყველანი ამერიკელები არიან. საწყალი საქართველო! ჩვენთან ვინც შევიფარეთ, მერე ყველამ მიწა მოგვთხოვა.

რაც შეეხება ამერიკის ძირითად მოსახლეობას – ინდიელებს, ისინი კოლონიზაციამდე ერთ მილიონზე მეტ კაცს შეადგენდნენ. კოლონიზაციის პერიოდში ნახევარზე მეტი განადგურდა, ამჟამად აშშ–ში 0,8 მილიონი ინდიელი ცხოვრობს. იქაურ აბორიგენებს – ინდიელებს დიდი შეღავათი აქვთ კანონით: ისინი გადასახადს თითქმის არ იხდიან; როგორც გვითხრეს, მათთვის ტაქსიც უფასოა. ინდიელები რეზერვაციაში ცხოვრობენ.

ამერიკაში ვისაც მუშაობა არ ეზარება, ყველა კარგად ცხოვრობს. ბანკი სესხს იძლევა. ამ სესხით სახლს ააშენებ, მანქანას იყიდი, მოკლედ, ცოტა ხელს თუ გაანძრევ, ღმერთიც გიშველის. მიუხედავად ამისა, მათხოვრები ამერიკაშიც არიან და იქ რომ კაცი იმათხოვრებს, იგი მართლაც მათხოვარია.

ამერიკელებს ფული ბანკში აქვთ. ხელზე კი პატარა ბარათს ატარებენ, რომელზედაც მათი ფულის ანგარიშია. დახარჯული ფულის ანგარიშგებაც ამ ბარათის მიხედვით ხდება ბანკში. ამიტომ საჭიროების შემთხვევაში ამერიკელი ფულის მაგივრად ამ ბარათს წარადგენს ხოლმე (ასევეა სხვა ქვეყნებშიც).

1 აპრილს დალასიდან გავემგზავრეთ ქ. ტულუზაში. გზაში რვა საათი დავყავით, მაგრამ არ დავღლილვართ, იმდენი საინტერესო სანახაობაა, რომ მოსაწყენად ვერც მოიცლით. გზა აქაც საუცხოოა. გზის პირას ჯიშიანი საქონელი ძოვს.

მაცივრებს იმათი საძოვრები, რისთვისაც საუკეთესო მიწები აქვთ გამოყენებული. სამაგიეროდ, ძროხებს სხვა საკვები არ სჭირდებათ. ჩვენთან საძოვრები აღარ არის და ძროხებს პურს აჭმევენ.

ქ. ტულუზაში, კონცერტის წინ, ჩვენთან ერთი კანადური ოჯახი მოვიდა. კაცი საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა რუსულად, მე წარმოშობით ბელორუსი ვარო, გვითხრა. მერე მკითხა, საქართველო სად არისო. მან გაიხსენა, რომ ვანკუვერში რამდენიმე წლის წინათ წითელი არმიის ანსამბლი გამოვიდა ალექსანდროვის ხელმძღვანელობით. ძალიან მოგვეწონაო, – თქვა მან, – თქვენს „რუსთაველსაც“ წითელარმიელები

ხომ არ არიან? – პირიქით, თეთრგვარდიელები–მეთქი, – ვუპასუხე.

დარბაზში ტევა არ იყო. წესისამებრ, კონცერტის წინ მაყურებელს ორიოდე სიტყვით ვუამბეთ საქართველოს შესახებ.

კონცერტი ბრწყინვალედ ჩატარდა.

კონცერტის შემდეგ ერთი კაცი მოვიდა ჩვენთან და აღფრთოვანებულმა მითხრა: როგორ მომწონს რუსის ქალებიო. –რუსის ქალები მეც მომწონს, მაგრამ ესენი რუსები არ არიან–მეთქი, – ვუპასუხე. — რა განსხვავებაა თქვენსა და რუსებს შორის? – ისევ შემეკითხა მაყურებელი. მე ამის ასახსნელად დიდი დრო დამჭირდა...

მეორე დღეს ქ. მილიაპოლისში გავემგზავრეთ. ეს არის თეატრალური ქალაქი, სადაც თეატრალური ფესტივალები ტარდება.

კონცერტი გაიმართა უზარმაზარ დარბაზში, სადაც 4 800 კაცი ეტევა, მართლაც, საუცხოო დარბაზია.

კონცერტზე მოვიდნენ ქართველები, მამა–შვილი – დათო და ალიკო ასათიანები. ისინი ნოემბერში ჩამოვიდნენ თბილისიდან. ალიკოს თირკმლებმა უმტყუნეს. შეიქმნა კრიზისული მდგომარეობა, მილიაპოლისის ორგანოთა გადანერგვის კლინიკაში მამის თირკმელი შვილს გადაუნერგეს. ამ კლინიკის უფროსია 60 წლის ჯონ ნაჯარიანი, წარმოშობით სომეხი. ამ კაცმა უდიდესი ყურადღება გამოიჩინა ქართველების მიმართ. ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. ოპერაციის პირველ დღესვე ავადმყოფები ფეხზე დააყენეს. ხოლო მეორე დღიდან ყველაფრის ჭამისა და დალევის უფლება მისცეს (გარდა სპირტიანი სასმელებისა). მამა–შვილი თავს კარგად გრძნობდნენ, თუმცა ამის შესახებ საქართველოში უკვე დაიწერა.

4 აპრილს ჩავედით ნიუ–იორკში. დავბინავდით ცნობილ „ბროდვეიზე“, სასტუმრო „ბიკონში“, იქვე ახლოს მდებარეობდა თეატრი „ბიკონი“ (3000 მაყურებელს იტევს), სადაც ჩვენი კონცერტები უნდა გამართულიყო.

ჩასვლისთანავე დაგვხვდა სასიამოვნო ამბავი: ნიუ–იორკში უდიდესი წარმატებით გამოდიოდა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრი. მეორე დღეს ჩვენი პირველი კონცერტი უნდა გამართულიყო. ამერიკაში ერთი ასეთი წესი არსებობს: თუ ნიუ–იორკში წარმატება ვერ მოიპოვეთ და პრესამ მაღალი შეფასება არ მოგცათ, ჩათვალეთ, რომ დამარცხდით. ნიუ–იორკის პრესა საზომია არა მარტო ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც.

სწორედ ამიტომ ვნერვიულობდით კონცერტის წინ. იმ დღეს განსაკუთრებული დღე იყო. „რუსთაველი“, რომელსაც მსოფლიოს 40–ზე მეტი ქვეყანა მოუვლია წარმატებით, პირველად გამოდიოდა ნიუ–იორკში, მსოფლიოში სახელგანთქმულ „ბროდვეიზე“, რომელსაც კონცერტისა და წარმოდგენის უდიდესი ტრადიციები აქვს, ჰყავს მეტად განებივრებული მაყურებელი.

დილიდანვე შევუდექით რეპეტიციას. მთელი ანსამბლი გრძნობდა უდიდეს პასუხისმგებლობას და თავდაუზოგავად მეცადინეობდა. ხუმრობა ხომ არ იყო, უკვე სამთვიანი მოგზაურობის გამო ანსამბლი დაიღალა. ამას დაემატა ისიც, რომ ტრავმების გამო დროებით გამოგვაკლდა რამდენიმე წამყვანი მოცეკვავე.

ფრიდონ სულაბერიძემ გაითვალისწინა ყველა დეტალი, რაც კი შესაძლებელია კონცერტის დროს მომხდარიყო, და ყველაფერი გააკეთა, რომ ანსამბლი „რუსთაველი“ ნიუ–იორკში გამართულ პირველ კონცერტზე წარმატებით გამოსულიყო.

თავის მხრივ, ანსამბლის თითოეულ წევრს – მოცეკვავეს, მომღერალსა თუ მუსიკოსს თავი არ დაუზოგავს, რომ წარმატება მოეპოვებინათ.

კონცერტის პირველი წუთებიდანვე ვიგრძენით, რომ მაყურებლის სიმპათია და-

ვიმსახურეთ. ნიუ–იორკის განებივრებული მაყურებელი, რომელსაც მსოფლიოს საუკეთესო ანსამბლები და წარმოდგენები უნახავს, მთელი კონცერტის განმავლობაში აღფრთოვანებული ტაშით გვაჯილდოებდა. კონცერტის ბოლოს მაყურებელი ფეხზე ადგა და ოვაცია გაგვიმართა. აი, რას წერდა ნიუ–იორკის ცენტრალური გაზეთი „ნიუ–იორკ თაიმსი“ ამ კონცერტის შესახებ.

„ფეიერვერკი საქართველოდან

ანსამბლ „რუსთავის“ მოფარიკაველები ერკინებიან ერთმანეთს... ისმის ომახიანი შეძახილები. ხანჯლები ზედიზედ ერჭობა სცენის ზედაპირს და ნაპერწკლები ცვივა პაერში, მაგრამ ეს ახალი, სენსაციური ანსამბლი საქართველოდან წარმოგვიდგენს გაცილებით უფრო მრავალფეროვან პროგრამას, ვიდრე უბრალო პიროტექნიკას.

ამერიკელებმა ამ ოცდაათი წლის წინ გაიცნეს ქართული ცეკვა, რომელსაც ასახიერებდნენ მოსრიალე ქალთა ნაკადები და ფეხის წვერებზე შემდგარი ამაყი მეომრები.

ნიუ–იორკის დებიუტის დროს, რომელიც შედგა ხუთშაბათს ბროდვეიზე, აშკარა გახდა, რომ „რუსთავს“ თავისი თეითმყოფადი სახე აქვს. იგი სიმღერას ისეთივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც ცეკვას. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი მამაკაცები მამაცნი და ძლიერნი არიან, ქალები კი ლამაზნი, ნაზნი და ლირიკულნი.

საგრძნობი განსხვავებაა ანსამბლ „რუსთავსა“ და საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს შორის. ეს უკანასკნელი 1960 წელს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იგი პირველი ფოლკლორული ანსამბლი იყო საქართველოდან. მაშინ მას ხელმძღვანელობდნენ ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი. ბოლოს იგი 1988 წელს იყო ამერიკაში. იგი ითვლება საქართველოს ნომერ პირველ პროფესიულ ფოლკლორულ ანსამბლად.

ანსამბლი „რუსთავი“ დაარსდა 1968 წელს ცნობილი მუსიკოსის ანზორ ერქომაიშვილის მიერ.

ამ ანსამბლების განმასხვავებელია ის, რომ „რუსთავს“ ჰყავს მამაკაცთა შესანიშნავი გუნდი, რომელსაც ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკონცერტო პროგრამაში. ზოგჯერ სიმღერა და ცეკვა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

თუ თქვენ არასოდეს მოგისმენიათ ქართული სიმღერის გამაოგნებელი პოლიფონიური ჟღერადობა, „რუსთავის“ ათწევრიანი გუნდი დიდ მრავალფეროვნებას გთავაზობთ.

ანტიფონური სიმღერების ინდივიდუალიზებული კითხვა–პასუხები, ისევე როგორც ჩახლართული კონტრაპუნქტები, სრულდება სუფთად. ამ ნიჭიერი მომღერლების გალობა გვაგონებს მთის კრიალა პაერს.

ქართველები მთის ხალხია. მათ ცეკვებში ჩანს საზოგადოდ კავკასიელებისათვის დამახასიათებელი თვისებები: მამაკაცური სიმამაცე და ქალური კდემამოსილება, მაგრამ „რუსთავი“ თავს აღწევს სტერეოტიპს. ხაზს უსვამს ეროვნულ საწყისებს, აელენს ქართული ხასიათის თვისებებს...

„რუსთავის“ პროგრამა ბრწყინვალე და მრავალფეროვანია. მასში შესულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები და ცეკვები. იმერეთი – ჯორჯ ბალანჩინის სამშობლო – წარმოდგენილია შრომის სიმღერით, რითაც იწყება მეორე განყოფილება. კონცერტის პირველი ნომერი კი აჭარული „განდაგანაა“, რომელიც

გეთაკვეთის უნიკალურ ილეთებს. მისგან განსხვავებით, „დაცლური" სადარბაზო ცეკვაა.

„ფარაკაობა" ბრწყინვალედ აგვირგვინებს კონცერტის ფინალს...

აღსანიშნავია ტალანტი და ოსტატობა, რომელსაც ამჟღავნებენ ანსამბლ „რუსთაველის" მომღერლები, მოცეკვავეები, ინსტრუმენტალისტები..."

„ნიუ იორკ ტაიმსი" 7 აპრილი.

ანა კასელაშვილი

ნიუ იორკში ყოფნის დროს ჩვენთან მოვიდნენ ამერიკელი ქართველები: ბიძინა ქუქელია, ვალიკო ძაძა, ნიკო თოფურია, თურქეთიდან ჩამოსული ქართველი მაკვლიძე, თემურაზ ბაგრატიონი, 97 წლის პრინცესა გიორგი ნაკაშიძე და სხვები. კონცერტს დაესწრო ა-ნი რიღლან ჯიქია (ჩვენი წარმოსადგენელი საკონსულოში).

გაშინგტონიდან სპეციალურად ჩამოვიდა ლადო ბაბამუელი, რომელიც კონცერტზე მოვიდა ძიქანდაკე ლადო გუჯაბიძესთან ერთად

ლადო ბაბამუელს ამერიკაში ჩასვლისთანავე კიბილე დამჩნეველდა საქართველოს შესახებ უნიკალური მასალების შეგროვებაში. მან მნიშვნელოვანი შრომა გასწია. დაუკავშირდა ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს და დიდძალი მასალა ჩამოიტანა ნიუ იორკში. ერთი კვირის განმავლობაში ჩვენთან ერთად იყო ბატონი ბიძინა ქუქელია, ვინც 80 წელს გადაცილებულმა ჭარბობა კაცმა შეძლო ნიუ იორკში არსებული დიდძალი მასალა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდიდან (1918 1921) დღემდე წიგნების, ფოტოსახალების, ფოთოსანაწერების, ქურნალ გაზეთების, წერილების, პარადი არქიტექტორა და სხვათა სახით.

ამ საქმეში დიდად დაგვეხმარა ბატონი ნიკო თოფურია, რომელმაც ვინი ოჯახური არქივიდან დიდძალი მასალა მოგვაწოდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბ-ნ ვახტანგ გობაძის ღვაწლი. მან უნიკალური მასალა გამოიკვლია უცხოეთში არსებული ქართული ძეგლების შესახებ.

თხსაათიანი ინტერვიუ ვიდეო ბატონ გიორგი ნაკაშიძისაგან, რომელიც, სამწუხაროდ, უკანასკნელი აღმოჩნდა.



– იგი რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა. კარგი მასალები მოგვაწოდეს ბ–ნმა გივი კობახიძემ ვაშინგტონიდან, ძმებმა – მირიან და ნოშრევან გალაშვილებმა სანტა–როზადან, ბ–ნმა შოთა დუმბაძემ და სხვებმა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჩვენი თანამემამულე თურქეთიდან – პაკან (ჰენრი) შაველიძე (თურქული გვარი შაპინი). იგი სამსუნიდან გახლავთ. ნიუ–იორკში ცხოვრობს უკვე 10 წელია. საქართველოში არასოდეს ყოფილა, მაგრამ ქართული მშვენივრად იცის. ლაპარაკობს ზემოაჭარულ კილოზე. იგი საოცრად მომხიბლავი და გულკეთილი ადამიანია. პაკანი ტაქსის მძღოლი გახლავთ. მთელი ჩვენი იქ ყოფნის დროს პაკანმა მიატოვა სამსახური და თავისი მანქანით, ბ–ნ ბონდო კეკელიასთან ერთად, გვეხმარებოდა იმ უნიკალური მასალების შეგროვებაში, რომელიც ბოლო დღეს ნიუ–იორკის აეროპორტში მოგვიტანეს ყუთებში ლამაზად შეფუთული. აღსანიშნავია, რომ რვა ყუთი, რომელშიაც ეს მასალები იდო, რამდენიმე ასეულ კილოგრამს იწონიდა. ბარგის ფული (საკმაოდ დიდი თანხა) ჩვენს პატივსაცემად გადაიხადა იმპრესარიო დონ პიუზმა.

ეს მასალები ახლა საქართველოს კინო–ფოტო–ფონო ცენტრალურ არქივში ინახება.

8 აპრილს გაიმართა რუსთაველის თეატრთან გამოსათხოვარი შეხვედრა. მოვიდნენ ცნობილი მსახიობები, თეატრმცოდნეები, საზოგადო მოღვაწეები, ამერიკელი ქართველები. იმ შეხვედრაზე მეც გახლდით.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა დელეგაციის ხელმძღვანელმა ბ–ნმა ნოდარ გურაბანიძემ. სიტყვით გამოვიდნენ ცნობილი რეჟისორები და თეატრმცოდნეები. შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა 97 წლის გიორგი ნაკაშიძემ. იქაურმა ქართველებმა გამართეს მშვენიერი ვახშამი, რომელიც ქართული სიმღერით დაამშვენეს ჩვენი სახელოვანი თეატრის მსახიობებმა: გურამ საღარაძემ, ჯემალ ღაღანიძემ, სოსო ლაღიძემ, ჟანრი ლოლაშვილმა და სხვებმა.

რუსთაველის თეატრმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა ნიუ–იორკში.

9 აპრილს, დილით, იქაური ქართველების დახმარებით უკრაინულ ეკლესიაში გაიმართა წირვა თბილისში 9 აპრილს დაღუპულთა პატივსაცემად. წირვას დაესწრო მღვდელი ალექსი თანდილაშვილი, რომელიც საქართველოდან სასწავლებლად მიაველინეს ნიუ–იორკში.

წირვაზე ბევრი საგალობელი შესრულდა გარდაცვლილთა პატივსაცემად. ბ–ნმა ბონდო კეკელიამ წაიკითხა დაღუპულთა სია.

წირვის შემდეგ გამოვედით ეკლესიიდან და დავჭექეთ „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „დიდება“ და სხვა. ქუჩაში ხალხი შეგროვდა. გაჩერდა მოძრაობაც. ჩვენი ვინაობით დაინტერესდნენ, ნიუ–იორკელმა ქართველებმა ყველას გააცნეს 9 აპრილის ტრაგედიის ამბავი. ხალხი სინანულით თანაგრძნობას გვიცხადებდა და შეწუხებული სახეებით მისჩერებოდა აცრემლებულ მომღერლებს, რომლებმაც ღირსეული პატივი მიაგეს სამშობლოსათვის წამებულ მამულიშვილებს.

საღამოს, კონცერტის წინ, მაყურებელს ვაუწყეთ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის შესახებ. მაყურებელი ფეხზე ადგა და წუთიერი დუმილით პატივი სცა დაღუპულთა ხსოვნას.

(ასევე მოიქცა რუსთაველის თეატრიც წინა საღამოს).

იმ საღამოს კონცერტს დაესწრნენ ცნობილი ფოლკლორისტები: მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ალან ლომაქსი და ტედ ლევინი. ამ უკანასკნელმა ჩვენი ფირფიტები გამოსცა ამერიკაში.

კონცერტის შემდეგ მათ დიდი შეფასება მისცეს ქართულ ხალხურ ხელოვნებას. ალან ლომაქსმა გაიმეორა ადრე ნათქვამი ფრაზა: „საქართველო მსოფლიო ხალხური მუსიკის დედაქალაქიაო“.

ახლა ისევ „ნიუ–იორკის“ პრესას მივმართოთ.

„ძალზე შთამბეჭდავი წარმოდგენა!

ბიკონის თეატრი ჯერ კიდევ დგას თავის ადგილზე, თუმცა სცენის იატაკი, „რუსთაველის“ ანსამბლის წყალობით, რომელმაც თავისი გასტროლები წინა ოთხშაბათს დაიწყო, შესაძლოა გამოსაცლელი გახდეს.

მოცეკვავე მამაკაცები, სატანური ტრიალის დროს, იატაკში ხანჯლებს ისეთი ძალით არჭობდნენ, რომ სცენის ზედაპირზე არ დარჩებოდა არც ერთი გაუჭრელი ადგილი.

ღმერთო ჩემო! რა საოცარი ენერგია მიანიჭეს ქართველებმა თავიანთ წარმოდგენას! ეს ეხება ქალებსაც, რომლებიც, როგორც წესი, გედებივით დაცურავენ ხოლმე უკანა პლანზე, მაგრამ დროდადრო მათაც ეძლევათ თავის გამოჩენის საშუალება. ერთ–ერთ ნომერში მათ კინაღამ დაჩრდილეს კიდეც მამაკაცები. მაყურებლებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა მომღერალ მამაკაცთა გუნდმა. ცეკვებს შორის შთაგონებით ჟღერდა ათი ძლიერი ხმა, დარბაზს აესებდა ამ მართლაც საოცარი გუნდის სიმღერა.

„რუსთაველის“ კონცერტი არაჩვეულებრივია თავისი ენერგიით, სისხარტით, უზარმაზარი სულიერი და ფიზიკური ძალებით. განსაკუთრებით აღსაფრთოვანებელია ქართველ მოცეკვავეთა ფეხების მოძრაობა. ერთ–ერთ ცეკვაში თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი მიეგება თავის მიჯნურს და სულ ბოლომდე ფეხის წვერებზე იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ქალები და მამაკაცები ცეკვის დროს არ ეხებიან ერთმანეთს, მათი ურთიერთობიდან მაინც გამოსჭვივის მგრძნობელობა. იგი თითქმის ხელშესახებიცაა, იმდენად მსჭვალავს მთელ წარმოდგენას.

დასანანია, რომ „რუსთაველის“ კონცერტები მარტო გუშინდლამდე გაგრძელდა. ეს ანსამბლი გაცილებით უფრო ხანგრძლივ გასტროლებს იმსახურებს.

„დეილი ნიუსი“, 10 აპრილი

ბილა ანდრე“.

კონცერტის შემდეგ თავის სახელოსნოში მიგვიწვია მოქანდაკე ლადო გუჯაბიძემ. მან თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა (თოფურიძის კლასი). 15 წელია ცხოვრობს ამერიკაში, აქვს ბრწყინვალე სახელოსნო ნიუ–იორკში. იღებს შეკვეთებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან; შექმნილი აქვს ბევრი საინტერესო ნამუშევარი.

ლადო გუჯაბიძის სახით ქართულ ხელოვნებას ჰყავს თავისი წარმომადგენელი ნიუ–იორკში, რომელიც თავდაუზოგავი შრომით თანდათან სახელს იხვეჭს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

10 აპრილს მე და გიორგი თოფურია ალან ლომაქსმა მიგვიწვია თავის ლაბორატორიაში, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ლაბორატორია აღჭურვილია საუცხოო ტექნიკით, ბრწყინვალე აპარატებით. ყველაფერი კომპიუტერებზეა შეერთებული. ალან ლომაქსი სწავლობს მსოფლიო ხალხთა ფოლკლორს, იკვლევს მას და ეძებს მათ შორის ნათესაურ კავშირებს. მას შეგროვებული აქვს

მსოფლიო ხალხთა სიმღერების უნიკალური კოლექცია. კომპიუტერის მეშვეობით შეგიძლიათ მოისმინოთ და ნახოთ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ხალხური სიმღერები და ცეკვები.

სამწუხაროდ, ქართველმა ფოლკლორისტებმა თითქმის არაფერი კარგათ მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორის შესახებ, „რკინის ფარდა“ და უსახსრობა ამის საშუალებას არ გვაძლევდა.

ჩემთვის, მაგალითად, სრულიად მოულოდნელი იყო, რომ აფრიკაში მცხოვრებ ჯუჯა პიგმეების ტომს, თურმე, მეტად საინტერესო ფოლკლორი, კერძოდ, ძრავალხმიანი სიმღერები აქვთ. უფრო მეტიც, მათი შრომის სიმღერები, „კრიმანჭულის“ მსგავსი უცნაური ხმებით, გურულ სიმღერებს მოგვაგონებს, ოღონდ მეტად მარტივ ფორმებში.

ალბათ, დადგა დრო, რომ ქართველმა ფოლკლორისტებმა შეისწავლონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხური მუსიკა და ქართული ხალხური სიმღერების ფენომენი მათ ფონზე განიხილონ.



ცეკვა „ხორუმი“

ეს აუცილებელია განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსები (სტრავინსკი, ალან ლომაქსი და სხვები) უმაღლეს შეფასებას აძლევენ ქართულ ხალხურ სიმღერას.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან პრესიდან. აი, რას წერდა მუსიკის მიმომხილველი 4 თებერვლის „ნიუ–იორკ ტაიმსში“ როცა კომპანიის „რუსთაველს“ მიერ ამერიკაში გამოშვებულ ფირფიტებს.

„საქართველოს ტრადიციული სიმღერები კავკასიის მთებიდან წარმოადგენს ევროპისა და აზიის ტრადიციული სიმღერების საძირკველს.

„რუსთაველს“ მაძაცთა ანსამბლი ჟღერს, როგორც საეკლესიო გუნდი, რომელიც ზოგიერთ სიმღერაში ანგელოზების ხმების ექოს მოგვაგონებს.

ზოგიერთ შემთხვევაში გაბმული ბანი ფონს აძლევს სოლო ხმებს. ზოგიერთ სიმღერაში ხმები სწრაფად ცითარდება, ემატება სიძლიერე და თავდება მხიარული შეძახილებით.

ამ სიმღერებს შორის ყველაზე გამორჩეული და დიდებულია სიმღერები, სადაც პარმონიები ფეთქდება გადახლართული ხმების გამო. ამას თან ერთვის ცალკეული ხმა–იოდლი, რომელიც საოცრად სწრაფად მოძრაობს ზევით და ქვევით, იგი კიდევ უფრო ალამაზებს ამ დიდებულებას.

„რუსთაველის" გუნდი დახვეწილია, მიუხედავად ამისა, მის სიმღერებს არ დაუკარგავს თავისი ორიგინალური ღირსება, სურნელი, კოლორიტი.

ცუდია, რომ სიმღერების ტექსტები არაა თარგმნილი."

საღამოს, ნიუ–იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში", შტრაუსის „ღამურას" დაესწარით.

შესანიშნავი დირიჟორი, გასაოცარი ორკესტრი, ლამაზი ხმები, სოლისტების ბრწყინვალე ანსამბლი, მაღალი დონის გუნდი, იშვიათი ინტონაციური სისუფთავე. მსახიობთა ვირტუოზული თამაში, რეჟისორის მაღალი გემოვნება, ძვირფასი კოსტიუმები, მდიდრული დეკორაციები, საერთოდ, დიდი პროფესიონალიზმი და შესრულების აკადემიური დონე.

ხომ ხედავთ, ერთი ჩვეულებრივი სიტყვაც კი ვერ ვიხმარე, იმდენად არაჩვეულებრივი სპექტაკლი ვნახეთ.

„მეტროპოლიტენ ოპერა" მსოფლიოში ყველაზე მდიდარი თეატრია. მას აქვს უდიდესი დოტაცია სახელმწიფოსაგან, გარდა ამისა, პყავს მდიდარი სპონსორები, ამიტომ თეატრს შეუძლია მოიწვიოს მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერლები და მუსიკოსები, დახარჯოს სპექტაკლის დასადგმელად განუსაზღვრელი თანხა. ჩვენი თანაქემამულეებიდან „მეტროპოლიტენ ოპერაში" დიდი წარმატებით გამოდიან მაყვალა ქასრაშვილი და პაატა ბურჭულაძე.

ნიუ–იორკიდან ჩიკაგოში გავემგზავრეთ. მოთავსდით მშვენიერ სასტუმრო „ბისმარკში". ჩვენი კონცერტები დაგეგმილი იყო საოპერო თეატრში, რომელიც ჩვენს სასტუმროსთან ახლოს მდებარეობდა. იგი მოთავსებულია ცათამბჯენის პირველ სართულზე. „ჩვენი" ცათამბჯენი მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენის გვერდით მდებარეობს. თეატრში 3 500 მაყურებელი ეტევა. მის გვერდით, იმავე შენობაში, თეატრალური დარბაზია, სადაც ჩვენს პარალელურად გასტროლებს მართავდა მოსკოვის ეახტანგოვის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრი, რომელიც თამაშობდა ერთადერთ სპექტაკლს, შატროვის პიესას – „პრესტ–ლიტოვსკის ზაფი". ამ სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის მსოფლიოში სახელგანთქმულ რეჟისორს – რობერტ სტურუას, რომელიც თან ახლდა ეახტანგოველებს.

თეატრთან ორი რეკლამა იყო, ერთი „რუსთაველის", დიდი ლუმინისცირებული ასოებით და მეორე ეახტანგოვის თეატრისა. – ლენინ–სტალინის პორტრეტებით.

პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა როგორც მათ, ისე ჩვენს გამოსვლებს.

„არაწმინდა (უწმინდური) ლენინი მოსკოვიდან" – ასეთი სათაურით დაიბეჭდა ეახტანგოველების სპექტაკლისადმი მიძღვნილი რეცენზია.

„ფეთქებადი ბრესტის ზაფით იწყება საბჭოთა ისტორია; ლენინი არც ისეთი წმინდანი ყოფილა, როგორც ზოგიერთებს ეგონათ.." – წერდნენ გაზეთები „ბრესტ–ლიტოვსკის ზაფის" შესახებ.

პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა მსახიობების: მიხეილ ულიანოვის, ვასილ ლანავოის და სხვათა თამაშს; განსაკუთრებით ბეური დაიწერა რეჟისორ რობერტ

სტურას შესახებ, რომელიც ამერიკელებს მსოფლიოში ერთ–ერთ საუკეთესო რეჟისორად მიაჩნიათ.

ჩვენი კონცერტები და ვახტანგოველთა სპექტაკლები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთდროულად მიმდინარეობდა. რამდენჯერ ვნახე ეს სპექტაკლი და ფრიად კმაყოფილი დავრჩი. სპექტაკლს მართლაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

„ბრესტ–ლიტოვსკის ზავი“ ადრე მთავრდებოდა, ამიტომ მსახიობებს საშუალება ჰქონდათ ჩვენი კონცერტების ნაწილი ენახათ. კულისებში ხშირად ნახავდით ულიანოვს, ლანაეოის და სხვებს, რომლებიც უკვე მერამდენედ უყურებდნენ ჩვენს გამოსვლებს.

ჩიკაგოს პრესა ასე გამოეხმაურა ანსამბლ „რუსთაველის“ კონცერტებს:

„ქართველი მსახიობების ტრიუმფი!

ანსამბლი „რუსთაველი“ საქართველოდან ერთგვარად აბოლოებს ხალხური ანსამბლების ნაკადს, რომელმაც ლამის წალეკა მიმდინარე სეზონის საკონცერტო პროგრამები, მაგრამ „რუსთაველი“, უდავოდ, ერთ–ერთი ყველაზე საუკეთესო ანსამბლია. მან წარმოგვიდგინა ამაღელვებელი შემოქმედებითი მთლიანობა, რომელსაც მაღალი კულტურის ბეჭედი აზის.

ანსამბლი შედგება როგორც მოცეკვავეების, ისე მომღერლების და ინსტრუმენტალისტებისაგან. მათი პროგრამის თითქმის ნახევარს (22 ნომერს) სიმღერები შეადგენს, რომლებსაც შამაკაცთა ათწევრიანი გაჩენილი გუნდი ასრულებს. მათი საგუნდო მუსიკა ძველი საუკუნეების არამიწიერი, შომაჯადოებელი სულიერი ცხოვრების ექოა. სამი ნომერი სრულდება ინსტრუმენტული ტრიოს მიერ. დამკვრელები გვაცვიფრებენ თავიანთი ოსტატობით. ისინი უკრავენ ორ სიმებიან ინსტრუმენტზე და ათასწლიანი ისტორიის მქონე სალამურზე (ო. კელაპტრიშვილი) – ფლეიტის მსგავს ჩასაბერ ინსტრუმენტზე, რომელსაც ძალუძს ჩიტების გალობის მსგავსი ბგერების გამოცემა, ანსამბლს ჰყავს აგრეთვე უაღრესად გაწაფული მეჯოლე (მ. ყარყარაშვილი).

მრავალი წინამორბედი ანსამბლისგან განსხვავებით, რომლებიც ცეკვებს ასრულებენ გაყინული ღიმილითა და ალპიური კაზმულობით, ეს დახვეწილი ანსამბლი გეთაყვანებათ უაღრესად მრავალფეროვან პროგრამას, რომელსაც მაღალი ოსტატობით და დიდი ღირსებით ასრულებს. მათი კოსტიუმები დიდი გემოვნებით არის შესრულებული. იქ, სადაც სხვა ანსამბლები მყვირალა და უგემოვნონი არიან, „რუსთავი“ მკაცრი და დახვეწილია. შეიძლებოდა, რომ მოცეკვავეები ჩაკეტილიყვნენ მარტივ სტრუქტურებში, – ეს ხომ ძალიან ბევრი ფოლკლორული ანსამბლის სენია, მაგრამ „რუსთავი“ ახერხებს ტრიუმფის მოხდენას თავისი ტექნიკური ვირტუოზულობისა და ქორეოგრაფ ფრიდონ სულაბერიძის წყალობით, რომელსაც ქართული ტრადიციებისა და თანამედროვე გემოვნების ფაქიზი შეგრძნება ახასიათებს. იგი უფლებას აძლევს მოცეკვავეებს გვიჩვენონ თავიანთი შეუდარებელი ოსტატობა, უსწრაფესი ტრიალი და ფეხთა სრიალი, რომლის მსგავსი არ გვინახავს წლების მანძილზე.

ყველაზე შთამბეჭდავ მომენტთა შორის პირველი განყოფილების სუნთქვისშემკვრელი ფინალია „მთიულური სიუიტა“, რომელშიც მამაკაცები წრეზე მოძრაობენ და ხანჯლებს არჭობენ სცენის იატაკში წარმოუდგენელი სისწრაფით ტრიალის დროს.

ასეთიეე შთაბეჭდავია „ფარიკაობა“, რომელშიც ორ მწკრივად გაყოფილი შუასაუკუნოვანი იარაღით აღჭურვილი მოცეკვავე მამაკაცები ნაპერწკლებს აფრქვევენ ორთაბრძოლების დროს. სინამდვილეში კი ეს მინი–ბალეტია, რომელშიც ქალი მშვიდობის დამამყარებლის როლს ასრულებს.

ამ ანსამბლს ისიც გამოარჩევს, რომ მისი წარმოდგენა მხოლოდ სანახაობათა პარადი არ არის. „დაელური“, რითაც იწყება მეორე განყოფილება, ფაქიზი ზღაპარია კეთილშობილებისა და რომანტიულობის შესახებ.

ეს ცეკვები სრულდება დიდი ოსტატობით, ღირსეული ელეგანტურობით“

„ჩიკაგო ტრიბუნი“, 18 აპრილი.

სიდ სმიტი – საშემსრულებლო ხელოვნების მიმომხილველი“

ერთ საღამოს, ჩიკაგოში ჩემთან სტუმრად იმყოფებოდნენ რობერტ სტურუა, ეასილ ლანაეოი და კიდევ რამდენიმე მსახიობი, როცა ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ 85 წლის ასაკში გარდაიცვალა „პოლივუდის“ კინოვარსკვლავი, მსოფლიოში ყველა დროის ერთ–ერთი უნიჭიერესი და პოპულარული მსახიობი გრეტა გარბო.


სამწუხაროდ, ჩვენ ალბათ რამდენიძე ფილში გვინახავს გრეტა გარბოს მონაწილეობით. ტელევიზიამ მაშინვე გადასცა ფრაგმენტები მისი საუკეთესო ფილმებიდან.

ეასილ ლანაეოიმ ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ამბავი გვიამბო:

თურმე ერთ დღეს, როცა გრეტა გარბო თაეის შემოქმედებით ზენიტში იყო და ყველაზე პოპულარულ კინომსახიობად ითვლებოდა, მორიგი კინოგადაღების შემდეგ, როცა ფილმი დამთავრდა, გრეტა გარბომ მოიშორა გრიმი, დაეშვიდობა ყველას და წავიდა. წავიდა და სადღაც უკვალოდ გაქრა. იმ დღიდან იგი აღარაეის უნახავს.

ეს იყო სენსაცია. გრეტა გარბოს შესახებ წერდნენ გაზეთები, აცხადებდა რადიო, ეძებდნენ პოლიციელები, გამოცხადდა ძებნა მსოფლიო მასშტაბით. მაგრამ მის კვალს ვეღარაეინ მიაგნო. რას არ ფიქრობდნენ, რანაირ ჭორებს არ აერცელებდნენ გაზეთები. პოლიციამ დაიწყო გამოძიება, დაკითხეს ყველა მისი ახლობელი, ეგონათ, რომ იგი მოკლეს, მაგრამ არა და არა, გრეტა გარბო უკვალოდ გაქრა.

მერე ნელ–ნელა ყველას დააეიწყდა მისი ამბავი, პოლიციამ საქმე დახურა, გაზეთები იშვიათად იხსენიებდნენ, ხალხს მხოლოდ მისი ფილმები თუ აგონებდა ამ ერთ დროს ყველაზე პოპულარული და საყვარელი მსახიობის სახეს.



ცეკვა „ფარიკაობაზე“. ნოდარ აბულაძე და ბია გოგოლიშვილი



სოლისტი ომარ კილასონიძე

ერთ დღეს, გრეტა გარბოს დაკარგვიდან დაახლოებით 35 წლის შემდეგ, შეიცარიაში, პარკში, ფოტოგრაფმა ყურადღება მიაქცია ერთ ქალბატონს, რომელსაც დიდი შავი ხათვალე ეკეთა. ფოტოგრაფს იგი უცნაურად მოეწყვინა და შორიდან დაუწყო მას გადაღება. მეორე სალამოსაც მოვიდა ის ქალბატონი პარკში სასეირნოდ. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს. ფოტოგრაფი სურათს კი ულებდა, მაგრამ ქალბატონს შავი სათვალე ხახეს უფარავდა. ერთ დღეს მან პროვოკაცია მოუწყო უცნაურ ქალბატონს. მისი მეგობარი იმ ქალს „შემთხვევით“ დაეჯახა, ქალს ხათვალე ჩამოუვარდა, ფოტოგრაფმა მოასწრო უხათვალოდ რამდენიმე კადრის გადაღება და, თურმე ნუ იტყვით, ის ქალბატონი გრეტა გარბო აღმოჩნდა.

მთელ მსოფლიოს მოედო სენსაციური ამბავი. მართალია, გრეტა გარბო ველარ დაიყოლიეს, რომ რომელიმე ფილმში ეთამაშა, მაგრამ ამის შემდეგ სიკვდილამდე „დამალვა“ ველარ მოახერხა.

ის ფოტოგრაფი კი მილიონერი გახდა.

ჩიკაგოში ჩვენთან ცოლ–შვილით ჩამოვიდა და კონცერტს დაესწრო ექიმი დათა ჩხატარაშვილი. იგი დიდად განათლებული და ფრიად საინტერესო პიროვნება გახლავთ. შესანიშნავი მუუღლე, შვილები და შვილიშვილები ჰყავს.

ბატონი დათა ომის დროს ტყვედ ჩავარდნილა. უმუშაენია ექიმად, ბევრი ტყვე ქართველის სიცოცხლე უხსნია განსაცდელისაგან. როცა ომი დამთავრდა, იგი სახლში დაბრუნებას აპირებდა თურმე, მაგრამ „საბჭოთა ზონასთან“ მისულმა თავისი თვალით დაინახა, როგორ აწამებდნენ, აშიშხილებდნენ, სცემდნენ ტყვედ ნამყოფ წითელარმიელებს.

თუ ვინმეს შეგიძლიათ თაყვანი უშველოთ, ახლავე გაეცალეთ აქაურობას, თავი არ დაიღუპოთ, შემოთვალეს უბედურებმა. ცრემლმორეული ბატონი დათა გაბრუნდა და წაიდა იმ უკიდეგანო დუნიაზე ბედის საძებნელად. დაიკარგა კიღეც ერთი შესანიშნავი ქართველი.

ახლა ბატონი დათა სახელგანთქმული ექიმია, ხშირად ჩამოდის საქართველოში ძმებთან, მეგობრებთან. ბატონი დათა ორი დღე დარჩა ჩვენთან. მოგვიტანა ძვირადღირებული უნიკალური წამლები, გულუხვად გაგვიმასპინძლდა და ბევრი საინტერესო ამბაიც გვიამბო, მათ შორის იქაური ქართველების შესახებ.

აშშ–ში ცხოვრობენ ძმები შალიკაშვილები. ოთარ შალიკაშვილი პოლკოვნიკის ჩინით პენსიაში გაიდა; არის კონსულტანტი ატომური ელექტროსადგურების

უშიშროების დარგში. მისი ძმა – ჯონ–მალხაზ შალიკაშვილი ამჟამად უცხოეთში ერთადერთი მოქმედი ქართველი გენერალია (50–52 წლისა, გენერალ–ლეიტენანტი). მათი მამა იყო პოლკოვნიკი დიმიტრი შალიკაშვილი.

დამოუკიდებლობის პერიოდში, როცა საქართველოს მთავრობა თურქეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, დიმიტრი შალიკაშვილი გახლდათ სამხედრო კონსულტანტი. მან დაწერა მოგონებები, რომელიც უცხოეთში არ გამოსცეს, იგი ამჟამად ინახება მის მეუღლესთან. ბატონი დათა შემპირდა, რომ შეეცდება დიმიტრი შალიკაშვილის ხელნაწერი მოგონებების კრებული საქართველოში გამომიგზავნოს.

დიმიტრის ძმა – დავით შალიკაშვილი მსახურობდა საფრანგეთის ლეგიონში, ამილახვართან ერთად. იყო მეტად პოპულარული პიროვნება.

ვესაუბრები ბატონ დათას, ამ იშვიათ ინტელიგენტს, და ვფიქრობ, ვინ იცის, რამდენ ასეთ ღირსეულ მამულიშვილს დაუკარგეს სამშობლო, რამდენ სასარგებლო საქმეს გააკეთებდნენ ისინი საქართველოსათვის, თუმცა მათ ერთი დღეც არ უცხოვრიათ საქართველოს გარეშე, მთელი მათი შეგნებული ცხოვრება საქართველოს კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული. მე გამახსენდა 97 წლის პროფესორის, ბ–ნი გიორგი ნაკაშიძის სიტყვები, რომელიც მან ინტერვიუს დროს მითხრა:

„საშშობლოდან გამომაძევეს იმისთვის, რომ ვქადაგებდი: ლენინი და სტალინი დალუპავენ–მეთქი ქვეყანას. რუსეთს 72 წელი დასჭირდა, რომ დარწმუნებულიყო ჩემი ნათქვამის სიმართლეში, მაგრამ მე ვინ დამიბრუნებს იმ დაკარგულ 72 წელიწადს, რომელიც საქართველოს გარეშე გაეატარე"

აღდგომას ჩიკაგოში შეეხვდით. ის დღეს თაეისუფალი გექონდა და შეძლებისდაგვარად აღენიშნეთ ეს ღირსშესანიშნავი დღესასწაული.

ჩვენს გოგოებს სააღდგომო სუფრა გაეშზადებინათ, კვერცხები წითლად შეეღებათ, სუფრა ლამაზად მოერთოთ, სანთლები დაენთოთ. ნინო ლაზიშვილი სცენაზე ხომ მაღალი რანგის პროფესიონალია, როგორც დიასახლისმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ჩვენს სუფრას არ აკლდა არც „საცივი" და ღომი, არც ჩახოხბილი, მწვადი, ნიგეზიანი ბადრიჯანი, ლობიო, აჯიკა, მწვანილი, ტყემალი და, რა ეიცი კიდეე რამდენი რამ. თამაზ კობახიძემ სუფრასთან მიგეიწეია და დაიძახა: „ქრისტე აღსდგა!" „ჭეშმარიტად!" სამჯერ გაეიმეორეთ და „მამაო ჩვენო" წაეიკითხეთ. მერე ეიგალობეთ „ქრისტე აღსდგა მკედრეთით" და მხოლოდ ამის შემდგ მიეუსხედით სუფრას.

თამადამ, ამირან გოლიაძემ, სუფრა ძველებური ტრადიციის მიხედვით წარმართა. ეიგალობეთ სააღდგომო საგალობლები, ეიმღერეთ შესაფერისი სიმღერები. ჩვენმა ოპერატორმა იური ბარამიძემ ფირზე აღბეჭდა ყოველივე.

მერე „მეზობელი" ამერიკელებიც მოეიპატიჟეთ სუფრასთან, ისინი აღფრთოვანებული დარჩნენ ჩვენებური „სუფრის წესითა" და საერთოდ ქართული ტრადიციებით.

საღამოს თაეის ოჯახში წაგეიყვანა ქრისტეფორე მაზეიკამ, წარმოშობით შეედა, რომელსაც ბებია ქართველი პყაედა – იმნაძის ქალი: ქრისტეფორე ბებიას გაზრდილი ყოფილა, ამიტომ ქართულიც იცის და ქართული ტრადიციებიც. ცხოვრობს ჩიკაგოს გარეუბანში, პყავს მეუღლე ლანა (საოპერო ხმოღერალი) და ორი ვაჟი – ტარიელი და ნიკო. აქვს ნამდვილი ქართული ოჯახი. სახლიც ისე აქვს მოწყობილი, იმდენი ქართული სუვენირი აქვს გამოფენილი, რომ თაეი საქართველოში გეგონებათ. მის ოჯახში ბებიის კულტია. სასტუმრო ოთახში, კედელზე, ბებიის სურათი პკიდია. ბებია ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთიდან ყოფილა. მოჯირითე,

რომელიც 1911 წელს, სხვა ცხენოსნებთან ერთად, დასა და სიძეს სრულიად ახალგაზრდა წამოუყვანიათ საქართველოდან. მერე ცხენოსანთა დიდი ნაწილი დარჩენილა, შეუქმნიათ ქართული ოჯახები და მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ამერიკაში, ბევრი მათგანი იმ საღამოს ჩვენთან ერთად იყო. ისინი ამაყობენ თავიანთი ქართველობით, გვარებიც ქართული აქვთ, მაგრამ ქართული თითქმის აღარ იციან. ოჯახში მრავლადაა ძველ ქართველ ცხენოსანთა ფოტოები, რომლებსაც ამერიკაში. დიდი მოწონება დაუმსახურებიათ. ქართველ ცხენოსანთა გამოსვლებს პრესა „სასწაულს“ უწოდებდა.

სუფრა ქართულად გაგვიშალეს. ითქვა ბევრი სადღეგრძელო და სიმღერა. მერე მასპინძლის ბავშვებმა იცეკვეს ქართულად, განსაკუთრებით მოგვეწონა პატარა ნიკო (8 წლის), რომელიც ჩიკაგოში ჩვენი ყოფნის დროს ყოველდღე მეცადინეობდა ჩვენს ბიჭებთან ქართულ ცეკვაში. ქართული სუფრა დილამდე გაგრძელდა. გვაჩუქეს ქართველ ცხენოსანთა რამდენიმე ფოტოსურათი.

ჩიკაგომ თავისი სისუფთავით, წესრიგით და სილამაზით, ამერიკის დიდ ქალაქებს შორის, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ვიყავით მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენის „მწვერვალზე“, საიდანაც არა მარტო მთელი ჩიკაგო, მგონი, მთელი ამერიკაც მოჩანს. ღმერთო, რას არ გააკეთებს კაცის ხელი!

ჩიკაგოს შემდეგ ჩვენ უკანასკნელი კონცერტები გავმართეთ ქ. შარლოტში. ამ კონცერტის ფინალს ჩვენი წერილის დასაწყისში შევეხეთ. კონცერტის შემდეგ, ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმა, რომლებიც მთელი გასტროლის განმავლობაში თან გვახლდნენ, საზეიმო ვახშამი გაგვიმართეს.

ჩვენი მასპინძლები იყვნენ გრეტჩენი, ტერი და შელი. ისინი სადღეგრძელოებს ქართულად ამბობდნენ და ცრემლებს ვეღარ იკავებდნენ. გიორგი თოფურიას თარგმნა აღარც კი სჭირდებოდა. ზეიმი დილამდე გაგრძელდა. დილით ავტობუსებში ჩავალაგეთ ბარგი და ნიუ–იორკისაკენ გავემგზავრეთ, საიდანაც სამშობლოში უნდა გამოვფრენილიყავით. ტერიმ ავტობუსში ქ. შარლოტის გაზეთები მოიტანა, სადაც უკანასკნელი რეცენზია იყო დაბეჭდილი. აი, ის რეცენზიაც:

„ქართველებმა გვაჩვენეს შეუდარებელი,
აღმაფრთოვანებელი წარმოდგენა!

ნუ შეიწუხებთ თავს ამ წერილის წაკითხვით. სიტყვებს არ ძალუძთ ამ შთამბეჭდავი წარმოდგენის აღწერა. ანსამბლ „რუსთაველის“ მომღერლებმა და მოცეკვავეებმა „აიწყვიტეს“ ოთხშაბათს, „ოკენი აულტორიუმის“ სცენაზე. ეს მოხდა ენთუზიაზმით სავსე 1000 კაციანი აუდიტორიის წინაშე.

გადადეთ თქვენი საქმეები, აიღეთ ტელეფონის ყურმილი და შეუკვეთეთ ბილეთები, რათა დღეს საღამოს ოკენში, კაროლინის ოპერის სცენაზე ნახოთ ეს საოცარი ფენომენი!

დღეს შეერთებულ შტატებში მათი ბოლო კონცერტია.

გულადი მოცეკვავე მამაკაცები, ძველებურად სადა და მომხიბვლელი მოცეკვავე ქალები, იდუმალებით მოცული მომღერალ ვაჟთა გუნდი – ყველა ერთად ქმნის განუმეორებელ წარმოდგენას, რომლის მსგავსი არ უნახავს ჩვენს ქალაქს.

რა გნებავთ? ათლეტიზმი? მამაკაცები აკეთებენ ორმაგ პირუეტებს და მუხლებზე ეცემიან. არ გყოფნით? მაშინ ნახეთ პირუეტი, რომელიც ჩამუხლით იწყება და მთავრდება ფეხის ცერზე დადგომით!

რა გაინტერესებთ? ცეკვები? ბალეტის მოცეკვავეებს შერცხვებათ, როცა ნახავენ მამაკაცთა ცეკვას ფეხის წვერებზე.

საინტერესოა, რას იტყვით იმ 25 ყმაწვილზე, ხმლებით რომ იბრძვიან? არანაირი თეატრალური სიყალბე! ეს მეომრები დერეფნებივით ბზრიალებენ და თავიანთ ხმლებს ისეთი ძალით აჯახებენ ერთმანეთს, რომ წითელი ნაპერწკლები ცვივა 20 ფუტის სიმაღლეზე. თუ წინა რიგებში ზიხართ, უმჯობესია აზბესტის ტანსაცმელი ჩაიცვათ.

რა გნებავთ? სიმღერები? გუნდის ხმები ისეთნაირადაა ჰარმონიზებული, მზად ხარ დაიჯერო, რომ იმყოფები მთიანი ხეობის შუაგულში და შენს თავზე კოსმოსური ხომალდი მიფრინავს. ო, კიდევ კითხულობთ ამ წერილს? გადააგდეთ გაზეთი და გაეშურეთ ოკენის დარბაზისაკენ.

„შარლოტ ობზერვერი“ (ხუთშაბათი, 26 აპრილი)“.

ამერიკა გაოცებთ თავისი მასშტაბებით, რესურსებით, სიმდიდრით. კაპიტალისტურ სამყაროში იგი ყველაზე დიდი და ეკონომიურად განვითარებული ქვეყანაა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ იგი პირველ ადგილზე დგას მსოფლიოში.

აშშ–ის მთელი ტერიტორიის 50% სათიბ–საძოვარს უჭირავს, 20% – სახნავ მიწას, 16% – ტყეს. ოცი წლის წინანდელი მონაცემებით, ამერიკას ჰყავდა მსხვილფეხა რქიანი საქონელი 117,9 მილიონი, ღორი – 63 მილიონი, ცხვარი – 18, 5 მილიონი, ფრინველი – 435 მილიონი ფრთა. ახლა ალბათ მეტი ეყოლებათ. თუ გადავიანგარიშებთ ყოველივე ამას ერთ სულ მოსახლეზე (200 მილიონი მცხოვრები), მიხვდებით, რატომაა ამერიკაში ასე უხვად პროდუქტი.

ამერიკის უდიდეს მრავალმილიონიან ქალაქებში: ნიუ–იორკში, ჩიკაგოში, ლოს–ანჟელესში, ფილადელფიაში, დეტროიტში, სან–ფრანცისკოში და სხვ. იმდენი პროდუქტი და საბრეწველო საქონელი იყიდება, რამდენიც საჭიროა. განსხვავება დიდსა და პატარა ქალაქებს ან სოფლებს შორის არ არის, – ის, რაც იყიდება დიდ ქალაქებში, არის თუნდაც უკიდურეს, უკაცრიელ სოფელშიც კი.

აშშ მარტო მრეწველობით, სოფლის მეურნეობითა და ტექნიკის მიღწევებით არ გამოირჩევა. იქ თვალს გტაცებთ არქიტექტურის საუცხოო ნიმუშები, თეატრები, მუზეუმები, ძეგლები. მარტო ნიუ-იორკის „თავისუფლების ქანდაკება“ რად ღირს (მოქანდაკე ვ. ბარტოლდი, არქიტექტორი პანტი, 1886 წ.). იგი მთელი მსოფლიოს თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

აშშ–ში მუშაობს რამდენიმე ათეული (მგონი 60–მდე) ტელეარხი, რომელიც მთელი დღე–ღამის განმავლობაში გადმოსცემს ათასნაირ ჭრელ ამბავსა და გასართობ პროგრამას.

დღესასწაულები აშშ–ში ჩვენგან სრულიად განსხვავებულად ტარდება. მთავარი დღესასწაულია ამერიკის დამოუკიდებლობის დღე, რომელიც ყოველ წელს 4 ივლისს იმართება. მე ორი წლის წინ საშუალება მქონდა დავსწრებოდი ამ დღესასწაულს, როცა ოზურგეთის ანსამბლ „ელესას“ ვახლდი ფოლკლორის ფესტივალზე ვაშინგტონში.

აშშ–ის დედაქალაქი თავისი არქიტექტურითა და ბუნებრივი პირობებით დიდად განსხვავდება ამერიკის სხვა დიდი ქალაქებისაგან.

ვაშინგტონის ტერიტორიის 2/3 პარკებს უჭირავს. მართალი გითხრათ, ასეთი მწვანე დედაქალაქი მსოფლიოში ალბათ არ არსებობს (ყოველ შემთხვევაში, მე

არსად მინახავს). ქალაქში ვერ ნახაუთ ცათამბჯენებს. ვაშინგტონში, ტრადიციულად, კაპიტოლიუშზე მაღალ შენობას არ აგებენ. ქალაქში საოცარი სისუფთავე და წესრიგია. ბეურია მუზეუმი და ისტორიული ძეგლი. იქ ყველაფერი ადამიანურია, ყოველგვარ პომპეზურობას მოკლებული. უბრალოა პრეზიდენტ კენედის საფლავიც ასეთი წარწერით: „აშშ–ის პრეზიდენტი ჯონ კენედი“ სწორედ ასეთ უბრალოებაშია სილამაზე.

მთავრობის რეზიდენციაში – „თეთრ სახლში“ ნებისმიერ მსურველს შეუძლია შევიდეს და დაათვალიეროს. „თეთრი სახლის“ შესასვლელში დგას პრეზიდენტის ფიტული, რომელთანაც შეგიძლიათ გადაიღოთ ფოტოსურათი ორ დოლარად.

დღესასწაულის დღეს, 4 ივლისს, ვაშინგტონის მცხოვრებნი და ქალაქის სტუმრები, დილიდანვე შეიკრიბნენ უზარმაზარ მინდორზე, რომელიც პარკებს შორის მდებარეობს და გადაჭიმულია ვაშინგტონის ძეგლიდან კაპიტოლიუშის შენობამდე. ამერიკელები მოვიდნენ ოჯახებით, საჭმელ-სასმელით, მოიტანეს უამრავი რადიოაპარატურა და ისმოდა ათასნაირი მუსიკა. ალბათ რამდენიმე ასეული ათასი კაცი, უმეტესად მსუბუქ საზაფხულო ან საცურაო კოსტიუმებში „გამოწყობილები“, ათასნაირი გასართობით ატარებდნენ დროს მთელი დღის განმავლობაში.

საღამოს, კაპიტოლიუმის შენობის წინ, გაიმართა სიმფონიური მუსიკის კონცერტი, რომელსაც პრეზიდენტი დაესწრო. კონცერტზე უკრაედა ვაშინგტონის დიდი სიმფონიური ორკესტრი მსტისლავ როსტროპოვიჩის დირიჟორობით.

კონცერტის შემდეგ ქუჩებში გაიმართა სახალხო სეირნობა. ქალაქის თავზე დაფრინავდნენ პატარა თვითმფრინავები, რომლებიც აშშ–ის უზარმაზარ დროშებს აფრიალებდნენ. სხვებს კიდევ ასეთი წარწერები ჰქონდათ: „მშვიდობა, თავისუფლება, სიყვარული“ განათება ისე იყო მოწყობილი, რომ თვითმფრინავის კორპუსი არ ჩანდა, განათებული იყო მხოლოდ დროშა და წარწერა, რაც შაკი ცის ფონზე მეტისმეტად ლამაზად გამოიყურებოდა. მერე გაიმართა ფეიერვერკი. ისროდნენ ათასნაირ მაშხალებს, რომლებიც ულამაზესი ყვავილივით ეფინებოდნენ ქალაქს ზემოდან.

ზეიმმა გვიან ღამემდე გასტანა. არ ყოფილა პარადები, არავითარი საზეიმო სხდომები, მისასალმებელი სიტყვები და დროშების გადაცემა. ხალხი ზეიმობდა და დროს ატარებდა ისე, ვისაც როგორ სურდა. ამ ბრწყინვალე ზეიმზე, რომელშიაც ხალხის უზარმაზარი მასა იღებდა მონაწილეობას, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ვინმეს თუნდაც „ფრჩხილი“ გაეკაწროს“

მეორე დილით „ელესას“ ხელმძღვანელი – ბ–ნი ამირან თოიძე და მე მივაბიჯებდით იმ მინდორზე, სადაც გუშინ ეს ზეიმი ჩატარდა. ჩვენდა გასაოცრად, იმ ადგილს გუშინდელი დროსტარების არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ქალალდის ერთი ნაგლეჯიც კი არსად ეგდო, რადგან ყველგან დგას ნაგვის ყუთები და ხალხი თვითონვე ალაგებს და ასუფთავებს იქაურობას. ყოველ ფეხის ნაბიჯზე დგას „საველე ტუალეტები“

ამერიკელები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ინვალიდებს. ყველა თაეშესაკრებ დაწესებულებაში ინვალიდებისათვის ცალკე ადგილებია გამოყოფილი. მათ სპეციალური მანქანები და მომსელელები ემსახურებიან. სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ თანხას გამოყოფს ინვალიდების დასახმარებლად.

რაც შეეხება ბავშვებს... ამერიკაში მათი კულტია. ჯერ ერთი, იშვიათად ნახაუთ ოჯახს, რომელსაც 3–4–ზე ნაკლები შვილი ჰყავდეს (მეტი, რამდენიც გნებაუთ). ბავშვებისთვის შზადდება ყველაფერი საუკეთესო. ეს ეხება ტანსაცმელს, სათამაშოებს,



ჭრიდონ სულაბერიძე. კონცერტის წინ

წიგნებს, საჭმელ–სასმელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია ახლა მულტფილმები, გასართობი ატრაქციონები... მარტო დისნეილენდი რად ღირს. ლოს–ანჯელესში ყოფნის დროს ერთ კვირა ღღეს მთელი ანსამბლი წაგეიყვანეს დისნეილენდში. დისნეის „ბაქშვთა სამყარო" ალბათ ერთ–ერთი საოცრებაა, რაც კი ოდესმე გვინახავს. რანაირ გასართობს, სათამაშოსა და ატრაქციონს არ ნახავთ იქ! შეგიძლიათ იმოგზაუროთ კოსმოსში, ჯუნგლებში, აფრიკის ცხოველთა სამყაროში, ზღვაში, ზღვისქვეშა სამყაროში, თოლიან მიუებში, უდაბნოში, მონაწილეობა მიიღოთ შუა საუკუნეების შეკობრეთა თავდასხმებში, იმოგზაუროთ შიშის სამყაროში, თოჯინების სამყაროში, მოუსმინოთ ჩიტების ორკესტრს, იმეგობროთ მულტფილმების გმირებთან და, რა ეიცი, კიდეე რამდენი რამ, რომელსაც ჩვენი ფანტაზია ვერ გასწვდება. დისნეის ქალაქიდან გაოგნებული გამოდიხართ და პირველი, რასაც გაიფიქრებთ, ეს არის: საბრალო ჩვენი ბავშვები!

ახლა დისნეილენდი სხვა ქვეყნებმაც გადაიღეს. იაპონიამ გააუმჯობესა კიდეც ზოგიერთი ატრაქციონი და უფრო თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა (ორჯერ კიყავი იაპონურ დისნეილენდში), მაგრამ ამერიკელები განაგრძობენ შემოქმედებითი ფანტაზიის განვითარებას, და ამ ბოლო დროს ახალ–ახალი ატრაქციონებითა და სანახაობებით გაუმდიდრებიათ დისნეის ბაქიათი პარკი.

ამერიკის დისნეილენდი იმითაც არის საინტერესო, რომ ათასნაირი ჯურის ბავშვს ნახავთ იქ: შავკანიანსა და ფერადკანიანს, წვრილთვალებასა და თეთრკანიანს, მაგრამ ყველა ისინი ერთნაირ პირობებში არიან და ყველა მათგანს დისნეის საოცარი ზღაპრული სამყარო თავის საკუთრებად მიაჩნია.

ამერიკასა და კანადაში ერთ ფაქტსაც მივაქციეთ ყურადღება. არსებობს ბავშვთა სპეციალური ავტობუსები. ისინი ყვითელი ფერისაა და ფორმით სხვა ავტობუსებისაგან განსხვავდება. როგორც დიდ ქალაქებში, ასევე შორეულ სოფლებშიც, მათ უფასოდ დაჰყავთ ბავშვები სკოლაში, ექსკურსიაზე, კონცერტზე. ავტობუსებს პყავს თავისი ზედამხედველი, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის მგზავრობაზე. მშობლები მცირეწლოვანებსაც კი არ ატარებენ სკოლაში, რადგან იციან, რომ ჩამოიელის „ყვითელი ავტობუსი“, რომელიც მშვიდობიანად წაიყვანს და მოიყვანს ბავშვს. ამ ავტობუსებს ყველა ტრანსპორტი ერიდება და გზას უთმობს. როგორც გვითხრეს, კანადაშიც და ამერიკაშიც მათ ერთი ფირმა აფინანსებს საშეურნეო გადასახადების ხარჯზე.

კანადასა და ამერიკაში მატარებლები ძალიან შემცირდა. ხალხი უმეტესად ავტომობილებითა და თვითმფრინავებით მგზავრობს. პროდუქტი და სხვა აუცილებელი მოთხოვნილების საგნებიც უზარმაზარი, დახურულძარიანი, ლამაზად გაფორმებული სატვირთო მანქანებით გადაჰქვთ, რომელთაც საკმაშურები ძარას ზევით აქვთ აშვერილი.

მომსახურება ყველგან (რესტორნებში, თავშეყრის ადგილებზე, სასტუმროებში...) უმაღლესი დონისაა. სასტუმროში ოშკიათი სისუფთავე და სიწმინდე სუფევს.



მართალია, იგი ჩვენთან შედარებით ძვირი ღირს, მაგრამ სამაგიეროდ ყველა პირობაა შექმნილი, რომ „სტუმარი“ უკმაყოფილო არ წაიდეს. ამერიკაში არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ პატარა დაბებსა და სოფლებშიც უმაღლესი კლასის სასტუმროებია, თანაც იმდენი, რომ ნებისმიერ ქალაქში, ნებისმიერ დროს იშოვით ნომერს, ამას არც წინასწარი „ჩაწყობა“ სჭირდება და არც „ზედმეტის გადახდა“

ყველა სასტუმროში სასთუმალთან დევს „სახარება“ ასეთი წარწერით: გთხოვთ ყოველდღე 10 წუთი წაიკითხოთ, მაშინ მთელ „სახარებას“ ერთ წელიწადში მორჩებით.

ამერიკაში ვინც მუშაობს (თუნდაც ოჯახიდან ერთი წევრი) მისი ოჯახი ეკონომიურად უზრუნველყოფილია). ამერიკაშიც და კანადაშიაც სამუალო ხელფასის დონე მეტად მაღალია. ამიტომ ეშინია ყველას სამუშაოს დაკარგვის. ვინც კეთილსინდისიერად არ იმუშავებს, დირექტორი მაშინვე დაითხოვს და მერე სამუშაოს პოვნა ძალზე ძნელია.

ამიტომაცაა ყველგან ასეთი კარგი მომსახურება და წესრიგი. სწორედ იქ შეიძლება ითქვას: „ვინც მუშაობს, ის ჭამს“ ალბათ მსოფლიოში ვერც ერთ ქვეყანას ვერ ნახავთ, სსრ კავშირის გარდა, სადაც უქნარა და უმუშევარი მშრომელ ადამიანზე უკეთესად ცხოვრობდეს... თუმცა ამასაც თავისი გამართლება აქვს: მახსოვს, კონცერტის შემდეგ ჩვენთან ერთი ხანდაზმული რუსი ემიგრანტი მოვიდა, იგი გამომეთხოვა, საუბარი ჩვენს ეკონომიკურ პრობლემებსაც შეეხო. მან თქვა: „ადრე კაცს სიკვდილის არ ეშინოდა. ეგონა, თუ ამქვეყნად პატიოსნად იცხოვრებდი. იმქვეყნად სამოთხე გარანტირებული ექნებოდა. ბოლშევიკებმა ხალხს სიკვდილის შიში ჩაუნერგეს. უთხრეს, საიქიო არ არსებობს და ამქვეყნიური ცხოვრებით იცხოვრეთო. ვინც გადარჩა, ცხოვრობს ისე, როგორც ახერხებს, ვინაიდან იმქვეყნად არაფერს ელოდებიან. ამიტომ ამქვეყნად ხალხი ყველაფერს კადრულობს, ოღონდ კარგად იცხოვროს. მერე გაიკვირს, რატომაა ქვეყანაზე ამდენი უსამართლობა. რატომ ცხოვრობს ამდენი ურწმუნო და უსინდისო“

ამერიკაში ყველაფერს პატრონი ჰყავს. მიწას ადამიანი პატრონობს, ადამიანს – მთავრობა, მთავრობას – ღმერთი. ჩვენ მარტო ღმერთის იმედით ვართ. მთავრობა იცავს პირველ რიგში კანონს, იცავს ადამიანის უფლებებს, იცავს ადამიანებს ერთმანეთისაგან. სწორედ ეს არის მთავრობის უპირველესი მოვალეობა. თორემ თუ მთავრობამ ადამიანები ერთმანეთს მიუსია, ისინი კვერნასაით ყელს გამოსჭამენ ერთმანეთს

სსრ კავშირში კი, ვინც კანონს ქმნის და კანონს უნდა იცავდეს, სწორედ ის არღვევს მას პირველ რიგში, აი ეს არის ჩვენი უბედურების სათავე.

ვერ ვიტყვი, რომ ამერიკაში არაფითარი პრობლემა არ არსებობს. პრობლემები იქაც არის, მაგრამ იქაური პრობლემები რომ სხვა ქვეყნების პრობლემებზე ნაკლებია, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მსოფლიოში ვისაც გაუჭირდება, ყველა იქ გარბის, ყველა ამერიკას აფარებს თავს. ამის გამო იქ იმდენი ხალხი გროვდება, რომ მიკვირს, ამერიკის კონტინენტი როგორ არ იძირება ამდენ ხანს.

ჩვენი გასტროლები კანადასა და აშშ–ში დამთავრდა. საქართველოში ჩამოვიტანეთ მეტად მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც ამჟამად თბილისში კინო–ფოტო–ფონო ცენტრალურ არქივში ინახება, ჩამოვიტანეთ დიდძალი ვალუტა, რომელსაც კულტურის სამინისტრო ბევრ საჭირო საქმეს მოახმარს. გარდა ამისა,

ვიდეოგადამღები აპარატურა შევუძინეთ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრასა და საქართველოს ფოლკლორის ცენტრს; ჩამოვიტანეთ დიდძალი პრესა, რომელიც მოგვითხრობს ანსამბლ „რუსთავის“ წარმატებებსა და ქართული ფოლკლორის უნიკალურობაზე.

დაებრუნდით თბილისში შთაბეჭდილებებით აღსავსე, დაღლილები, მაგრამ კმაყოფილები. ანსამბლის წევრებმა არაფერი დაიშურეს იმისათვის, რომ თავისი ხალხის, თავისი ერის კულტურა, ხელოვნება და ტრადიციები უცხოეთში მაღალ დონეზე გაეტანათ.

უცრემლოდ ვერ ვიგონებ იმ გაჭირვებას, ფიზიკურ დატვირთვას, რომელიც ანსამბლს გადახდა ამ უძნელესი გასტროლების დროს. მიუხედავად ამისა, მის თითოეულ წევრს ღირსეულად ეჭირა თავი, ისე როგორც ეკადრება უდიდესი კულტურისა და ტრადიციების მქონე საქართველოს შვილებს.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, მე მინდა, თქვენთან ერთად მადლობა ვუთხრა ანსამბლ „რუსთავის“ მთელ შემადგენლობას: ბატონ ფრიდონ სულაბერიძეს, ჩვენს სახელოვან ქორეოგრაფს, წარსულში ლეგენდარულ მოცეკვავეს, რომელმაც მთელი თავისი ენერგია, ნიჭი და პროფესიონალიზმი „რუსთავის“ მოცეკვავეების მაღალ დონეზე მომზადებას მოახმარა.

მადლობა ანსამბლის დირექტორ–განმკარგულებელს, ბატონ ალეკო ლორთქიფანიძეს, რომელმაც თავისი თავდადებული შრომით დიდი წვლილი შეიტანა ანსამბლის წარმატებაში.

პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ჩვენს გოგოებს, რომლებსაც თავიანთი პროფესიონალიზმით, ქცევითა და სილამაზით აღტაცებაში მოჰყავდათ უცხოეთის საზოგადოება. მადლობა მინდა გადავუხადო: ნინო ლაზიშვილს, მაია დარჩიაშვილს, ირინე მახარაძეს, ნინო აბურჯანიას, მარინე გელაშვილს, ხათუნა სამხარაულს, ნესტან ტოგონიძეს, ნანა მჭედლიშვილს, ტატა ფიცხელაურსა და მაკა ქორიძეს.

დიდი წარმატება ხვდა წილად სალამურის უზადო შემსრულებელს, „ვირტუოზ ფლეიტისტს“, როგორც ისინი უწოდებენ – ომარ კელაპტრიშვილს.

ჩვენმა მომღერლებმა შორს გაუთქვეს სახელი ქართულ ხალხურ სიმღერას. მუსიკოსებმა აღიარეს, რომ ქართული სიმღერა ისეთი ფენომენია, რომლის ბადალი მსოფლიოს მუსიკალურ ფოლკლორში არ მოიპოვება. მადლობა ანსამბლის მომღერალ სოლისტებს: ბონდო გუგავას, რამინ მიქაბერიძეს, ბორის სორდიას, ნუგზარ გელაშვილს, ტარიელ ონაშვილს, ვლადიმერ თანდილაშვილს, სალივერ ვადაჭკორიას, ამირან გოლიაძეს, ზურაბ ნინუას, ქორმეისტერ ბადრი თოიძეს.

დიდი წარმატება ხვდათ წილად ჩვენს მოცეკვავე ვაჟებს, რომელთა ხელოვნებას კანადელი და ამერიკელი მაყურებლები ოვაციებს უმართავდნენ, ხოლო პრესა მათ გამოსვლებს ფანტასტიკურს უწოდებდა. მაღალი პროფესიონალიზმის, საუკეთესო ქცევისა და ვაჟკაცური თვისებების გამო მადლობას იმსახურებენ: თამაზ კობახიძე, მალხაზ მანაგაძე, შალვა პაპიაშვილი, გელა წოწორია, სერგო მუშკუდიანი, გელა ყაველაშვილი, ტარიელ ამაშუკელი, ზაურ ბასილაშვილი, მამუკა ქართველიშვილი, ნოდარ აბულაძე, გურამ აფციაური, ლერი გრძელიშვილი, ზურაბ გეანცელაძე, ზურაბ გურასაშვილი, გია განუგრავა, შოთა ყარალაშვილი, გოჩა ჯოხაძე, ვასო ხუტაშვილი, ზაზა სეხნიაშვილი, ირაკლი კიკილაშვილი, გელა ძებოშვილი, გოჩა ძოწენიძე, ბესიკ ხუხუნაიშვილი, შალვა რაზმაძე, ალეკო გაბრიელაშვილი.

ანსამბლის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს მუსიკოს–აკომპანიატორებ-

მა: თენგიზ გოგავამ, აუთანდილ მაზანაშვილმა, ზურაბ საღირაშვილმა, მალხაზ ყარყარაშვილმა და გივი ქონიაშვილმა.

მადლობა მინდა გადაეუხადო გიორგი თოფურიას, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია გასტროლების დროს. მადლობა იური ბარამიძეს, რომელმაც მთელი გასტროლის ღირსშესანიშნავი მომენტები ფირზე აღბეჭდა.

ამერიკიდან დაბრუნების მეორე დღეს, გადაეწყვიტეთ, დაღლილი ანსამბლი ათი დღე დაგვესვენებინა. დასვენების წინ, „საზეიმო“ შეკრებაზე, პროფკავშირის თავმჯდომარემ, ტარიელ ამაშუკელმა ანსამბლის წევრებს შაქრის, კარაქის, ყველისა და ზეთის ტალონები დაურიგა.

„ეხ! ამერიკა, ამერიკა...“ ამოიოხრებდნენ ბიჭები და ხელს აწერდნენ ტალონების სიას.

რამდენიმე დღეში მეც გავემგზავრები ოზურგეთში, ჩემს მშობლიურ სოფელ მაკვანეთში, მოვინახულებ ჩემს ნათესავებს, მეგობრებსა და მეზობლებს, რომლებიც აუცილებლად დამიწყებენ საუბარს პოლიტიკაზე, მომაყოლებენ ამერიკის ამბებს. მერე ჩემი მეზობელი შოთა ცელაძე აუცილებლად მკითხავს:

– მაი ყოლიფერი კაი, მარა თუ იცი, დეევწეეით ამერიკას?

ამ შეკითხვის პასუხად, შოთას ალბათ ერთ ამბავს მოვუყვები, ჩემმა მეგობარმა, მომღერალმა ირაკლი კვირკველიამ რომ მიამბო. ირაკლი მეგობრებთან ერთად ქორწილში წასულა გურიაში. მათ სხვადასხვა ვაგონით იმგზავრეს და დილით ჯგუფის ერთი ნაწილი ასცდა მეორეს.

თემშარაზე 4–5 წლის ტიტლიკანა ბიჭი წკეპლით ბატებს მორეკავდა.

– ბიძიკო! ასეთ და ასეთ ხალხს ამ გზაზე ხომ არ გამოუვლია? – შეეკითხა ირაკლი ბიჭუნას.

– კი, ბიძია, – უპასუხა ბიჭმა ისე, რომ მათკენ არც მიუხედავს.

– დეევწეეით თუ იცი?

– კი, თუ დაჯდებიან, – ჩაილაპარაკა ბიჭუნამ სერიოზული სახით და ბატს წკეპლა გადაჰკრა.

1991 წელი

ბოსფორს ნათქვამი „მარავალჟამიერი“

(თურქეთი)

1990 წლის 24 ივლისს „რუსთავი“ თურქეთში პირველად გაემგზავრა. ბათუმიდან საღამოს 7 საათზე გავედით ავტობუსებით. დიდი წვალებით გადაველახეთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი, გაეიარეთ სარფის საბაჟო და თურქეთის ტერიტორიაზე შევედით, აქაური ტერიტორია აჭარის გაგრძელებაა. რომ არ იცოდე, ვერც კი წარმოიდგენ, რომ სხვა სახელმწიფოში იმყოფები. ალბათ ბედის უკუღმართობა იყო, რომ სსრ კავშირსა და თურქეთს შორის სახელმწიფო საზღვარი აჭარაში გაატარეს და უახლოესი ნათესავები სხვადასხვა ქვეყნებში აღმოჩნდნენ. დიდი ხნის განმავლობაში მათ ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდათ, მხოლოდ ქალების კიევილი ამცნობდათ რომელიმე ნათესავის გარდაცვალებას. იშვიათ შემთხვევაში სოფელ სარფიდან თუ ვინმე თურქეთში გაემგზავრებოდა, იგი ჯერ მოსკოვში უნდა ჩასულიყო, და იქიდან თურქეთში გაფრენილიყო. მოკლედ სარფის თურქულ ნაწილში რომ ნათესავი გენახათ, 5000-ზე მეტი კილომეტრი უნდა გაგევლოთ. მხოლოდ 90-იან წლებში მოიფიქრეს, რომ თურმე სარფიდანაც შეიძლება თურქეთში გადასვლა. როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა საქართველოსა და თურქეთს შორის საეზო რეჟიმი გაუქმდა და დღეს ყველას თავისუფლად შეუძლია თურქეთში გამგზავრება.

შუაღამისას გავიარეთ ქალაქი ორდუ, იქ დაგვხვდნენ იქაური ქართველები და ჯემალ ინაიშვილის თაოსნობით მშვენიერად გაგვიმასპინძლდნენ.

გამთენიისას ჩავედით ქ. სამსუნში, იქიდან ანკარაში გაველგზავრეთ, ღამე იქ გავათენეთ და 26 ივლისს გეზი ანტალიისკენ ავიღეთ.

ანტალია ძალიან მოგვეწონა. ეს არის ულამაზესი საკურორტო ქალაქი. 27 ივლისს პირველი წარმატებული კონცერტი გავმართეთ ძველ რომაულ თეატრონში, რომელმაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მეორე დღეს გავემგზავრეთ ქ. ბოდრუმში. ეს ქალაქი ეგეოსის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. მოგვაწყვეს ხუთვარსკვლავიან სასტუმროში. ორი დღე თავისუფალი გვქონდა, ამიტომ ანსამბლის წევრებმა ზღვას მიაშურეს და რიგიანად დაისვენეს.

მესამე დღეს გაიმართა ჩვენი კონცერტი. პირველ განყოფილებაში გამოდიოდნენ იქაური ტელევიზიის სოლისტი ქალი გუნერ კარაბაჯახი და თურქეთში მეტად პოპულარული კომპოზიტორი, პოეტი და მომღერალი თემურ სელჩუკი, მათ ძალიან დიდი წარმატება ჰქონდათ. როგორც გვითხრეს, სელჩუკი მთავრობას არ მოსწონს თავისი სოციალისტური შეხედულებების გამო.

მეორე განყოფილება ჩვენ გავმართეთ. იგი ერთ საათს გაგრძელდა. „ბისებს“ ბოლო არ უჩანდა, ფინალი სამჯერ გავიმეორეთ. მაყურებელს განსაკუთრებით მოეწონა ჩვენი ცეკვები.

1 აგვისტოს გავემგზავრეთ ქ. ეფესში, იგი რომის იმპერიის დროინდელი ქალაქია. თეატრონი, სადაც კონცერტი გავმართეთ, ტიპური რომაული ნაგებობაა და როგორც გვითხრეს, იგი 30 ათას მაყურებელს იტევს.

ეფესის ძველი არქიტექტურა ძალიან წააგავს ქ. პალმირას სირიაში, აქაც რომაული ნანგრევებია შემორჩენილი; იშვიათი მარმარილოს სვეტებიანი ხეივანი, საყდრები, ძეგლები, ვიწრო ქუჩები, თეატრები, ძეგლები, ძველებური ქალაქის შემოსასვლელი ჭიშკარი და სხვ. ეფესის მიდამოები ბოლომდე არ არის გათხრილი, ვინ იცის, ჯერ კიდევ რამდენი იშვიათი ძეგლია მიწაწაყრილი, მიუხედავად ამისა, იგი მაინც საუცხოო სანახაობაა.



ანსამბლ „ჯუსთინეს“ მთავარი ძოერეგრაფი შრიდონ სულაბერიძე

ეფესში კონცერტი ისევე თურქ მომღერლებთან ერთად გაეძართვეთ. წარმატება არანაკლებია იყო.

1 აგვისტოს იზმირში შეხვედრია გვქონდა იქაურ რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტებთან. ამ შეხვედრას ანსამბლთან ერთად ესწრებოდნენ ჩვენი მასპინძელი ბატონი გურამ ქოქოლაძე და თარჯიმანი ვიქტორ ჭიკაძე. გავმართეთ პრესკონფერენცია. გადაიღეს ბევრი ფოტოსურათი, ჩაწერეს ინტერვიუები რადიოსა და ტელევიზიისათვის. პრესამ მაღალი შეფასება მოგვცა.

3 აგვისტოს დილით გავემგზავრეთ ბურსაში. გაეიარეთ დაახლოებით 500 კმ. ბურსა თურქეთის ძველი დედაქალაქია. იგი თავისი ბუნებრივი მდებარეობით ძალიან ჰგავს დასავლეთ საქართველოს. იქნებ ამისთვისაც ჩამოსახლდა ამ ტერიტორიაზე ქართველთა დიდი ჯგუფი. როგორც გვითხრეს იქ 650 ათასამდე ქართველი ცხოვრობს. ჩვენ ქალაქი კარგად დავათვალიერეთ, ვიყავით „თოფანზე“ რომელიც ბურსაში ყველაზე მაღალი ადგილია, იქიდან ხელისგულივით მოსჩანს მთელი ქალაქი. ბურსას აშვიათი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, იგი მთებითაა გარშემორტყმული და ქალაქის დიდი ნაწილი მთების კალთებზეა შეფენილი. არქიტექტურის თვალსაზრისით იგი ცოტა ერთფეროვანია. ამიტომ ნაკლებად საინტერესოდ მოგვეჩვენა. იქაურმა ქართველებმა შეინარჩუნეს ენა და ტრადიციები. ისინი ძირითადად ქართველებზე ქორწინდებიან და ქმნიან ქართულ ოჯახებს.

საღამოს შეხვედრა მოგვეწყო ქართულმა დიასპორამ. შეიკრიბა დიდძალი ხალხი, მოვიდა იქაური ქართული ანსამბლი, რომელსაც იბერია შელაშქილი ხელმძღვანელობს. იგი ცნობილი პიროვნების ახმედ შელაშქილის ქალი გახლავთ, ახმედი ქართულ სათეატრომის ხელმძღვანელობდა, იყო დიდი პატრიოტი, თავის სოფელში ააშენა ქართული კულტურის სახლი, დიდი კონტაქტები ჰქონდა უცხოეთში მცხოვრებ ქართულ სათეატრომოებთან. ხშირად იწვევდა მათ თურქეთში, იყო ყველას მასპინძელი. თავის სოფელში ჩაჰქონდა ქართული წიგნები, პოპულარიზაციას



ანსამბლის დირექტორი ბადრი თოიძე

უწევდა ქართულ ენას, ქართულ კულტურას. ახმედ მელაშვილი 1980 წელს „დაუდგენელმა პირებმა“ ავტომანქანაში ჩაცხრილეს. მას თან ახლდა მისი ვაჟი იბერია, რომელიც სასწაულებრივად გადარჩა.

იმ დროს „რუსთაველი“ საგასტროლოდ საფრანგეთში იმყოფებოდა. მახსოვს, როგორ განიცადეს იქაურმა ქართველებმა ახმედ მელაშვილის დაღუპვა. პარიზში პარაკლისი გადაუხადეს და ცხარე ცრემლებით დაიტირეს ვიქტორ ხოშტარიამ, ილია ჯაბადარმა, ბაგრატ წულაძემ, ვალიკო წილოსანმა და სხვებმა, რომლებსაც ხშირი კონტაქტი ჰქონდათ ახმედ მელაშვილთან და დიდად აფასებდნენ მის პატრიოტულ მოღვაწეობას.

ბურსაში შეხვედრის დროს იბერია მელაშვილის ანსამბლმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. შესრულეს ქართული სიმღერები, უმეტესად ინსტრუმენტების აკომპანიმენტით, მშვენივრად უკრავენ სალამურზე, ჩონგურზე, ფანდურზე და სხვ. ცეკვავენ ქართულ ცეკვებს. საღამო დიდხანს გაგრძელდა, ჩვენებურებს ქართული სუვენირები გადავეცით და სიყვარულით დავემშვიდობებით.

მეორე საღამოს ბურსას დიდ სახაფხულო საკონცერტო დარბაზში ჩვენი კონცერტი გაიმართა. დაგვესწრო 3000 კაცი, უმეტესად ქართველობა. წარმატება დიდი იყო, კონცერტის შემდეგ დიდხანს არ გვიშვებდნენ. სხვათა შორის კონცერტზე დასასწრებად ბევრი ქართველი ჩამოვიდა ქ.ინეგოლიდან, სადაც აგრეთვე დიდი ქართული სათვისტომოა.

5 აგვისტოს ბურსადან ბორანით გადავედით სტამბულში. ეს ქალაქი ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს ბოსფორის სრუტესთან. სტამბული ნამდვილი მარგალიტია და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან უამრავ ტურისტს იზიდავს.

სტამბულში პირველად გახლდით 1968 წელს. მაშინ ანსამბლ „გორდელას“ წევრი ვიყავი, რომელიც საესტრადო ანსამბლ „ორერასთან“ და მოცეკვაეე ანსამბლ „დოლურთან“ ერთად თურქეთში საგასტროლოდ მიიწვია იქაურმა ქართველმა პეიღარ ზენგინმა (კორტანიძე). ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი გახლდათ შესანიშნავი პიროვნება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი ბატონი აპოლონ (გუგული) ყიფიანი.

ჩვენ მოსკოვიდან ოდესაში ჩავფრინდით, ხოლო იქიდან გემით სტამბულში გავემგზავრეთ. ორი დღის მგზავრობის შემდეგ ჩვენი გემი სტამბულს მიუახლოვდა. ადრიანი დილა იყო, შუას პორიზონტი ვარდისფრად შეეღება და მის ფონზე კარგად მოსჩანდა ბოსფორის ულამაზეს სრუტეზე გაშლილი ზღაპრული ქალაქი, ცაში აჭრილი მეჩეთებით. გემბანზე მარტო ვიდექი და გაოგნებული მივჩერებოდი ამ იშვიათ სანახაობას. უცებ, გამახსენდა ბავშვობაში ბებიაჩემის წყეულა და სიცილი ამიტყდა: „შენ წაი სტამბულში და არ მოუსველელმიო“ – მეტყოდა. მოგეხსენებათ, ძველად შორეული სტამბულის ბაზარზე საქართველოდან გატაცებული ბავშვები იყიდებოდა, ამიტომ ეს ქალაქი ქართველთა მეხსიერებაში, დაკარგული ახალგაზრდების ტრაგიკულ სინონიმად დარჩა.

ბატონ პეიღარს ჩვენი ერთთვიანი ტურნე თურქეთის ქალაქებში კარგად ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. სტამბულში სულ ორი

კონცერტი გაემართათ. პირველ კონცერტს დაესწრო დიდძალი ქართველობა, მათ შორის იყვნენ პეიდარ კორტანიძის მშობლები და ძმები ხასანი, ზაქარია, მეულღი, იუსუფი თავიანთი ოჯახებით, რომლებიც თვალცრემლიანები ისმენდნენ ქართულ სიმღერებს. განსაკუთრებით მოეწონათ ნანი ბრეგვაძე, ბუბა კაკაბაძე და თემურ ქეცხაშვილი. მახსოვს, პეიდარის მამამ გვთხოვა გვემღერა „სიმონა დოლიძე“ ეტყობა, ეს სიმღერა ახალგაზრდობიდან ახსოვდა. გომარ სიხარულიძემ, ბაღრი თოიძემ და მე თხოვნა შეეუსრულეთ.

კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ კორტანიძეები, აბაშიძეები, ცეცხლაძეები, ცოვაძეები, ხალვაშები და სხვ. მათ ახლა თურქული გვარები აქვთ, მაგრამ ქართველობა და ქართული ტრადიციები არ დაუკარგავთ. პეიდარ კორტანიძის მამას საქართველო გახაბჭოების შემდეგ დაუტოვებია, მას კარგად ახსოვდა აჭარა, სადაც დღემდე ბევრი მისი ნათესავი ცხოვრობს.

ერთ დღეს „ორერას“ ხელმძღვანელი რობერტ ბარძიმაშვილი და მე საბჭოთა საელჩოში დაგვიბარეს. ელჩთან შეხვედრა ვერ მოვასწარით, რომ ქუჩაში საშინელი ხმაური ატყდა, ხალხი საელჩოს კარებს მიაწყდა. ისინი ყვიროდნენ, ქცებს ისროდნენ, ფანჯრებს ამტვრევდნენ. ხელში სახელდახელოდ დაწერილი პლაკატები ეჭირათ. ხალხის რაოდენობა თანდათან მატულობდა და საელჩოს ტერიტორიაზე შეიჭრას ცდილობდა, საელჩოს ყველა შესასვლელი ჩაკეტეს, დაცვა ყველაზე უმკლავდებოდა აზვირთებულ მასას, ამიტომ პოლიციელები გამოიძახეს, რომლებმაც წყლის ჭავლითა და ხელკეტებით ძლივს დაშალეს აბობოქრებული ხალხი. მე და რობერტი ფანჯრიდან გაოგნებული ვუყურებდით ამ სურათს, ვერ გაგვეგო, რა მოხდა.

ჩვენი ჯარები ჩეხოსლოვაკიაში შეიყვანეს. ჩუმად გეითხრა კულტურის ატაშემ. საელჩოს ტერიტორიიდან გასული ყველას აგვკრძალეს და გვეთქვა ღამემდე აქ ვიხსენით. მერე პოლიციის თანხლებით სასტუმროში მიგვიყვანეს.

მეორე დღეს სასტუმროში ენახეთ თურქული პრესა, სადაც დაბეჭდილი იყო ჩეხოსლოვაკიაში დატრიალებული ტრაგედიის ამსახველი ფოტოები: დახოცილი ბავშვები, ქალები, ცეცხლმოკიდებული და დანგრეული შენობები, ტანკებით გადათელილი დასახიჩრებული ადამიანები



სოლისტი ია მაჭავარია

და სხვა. რამდენიმე დღის შემდეგ საელჩოდან მოგვიტანეს გაზეთები „პრავდა“ და „იზვესტია“, სადაც ჩვენი მოსახლეობა ყვაელებით ხვდებოდა „განმათავისუფლებელ“ საბჭოთა ტანკებს.

ჩვენი კონცერტები შეწყდა.

სასტუმროდან გასვლა აგვიკრძალეს და ასე ვისხედით ერთი თვე „შინაპატიმრობაში“. ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ ჰეიდარ ზენგინი და მისი ხუთი ძმა, რომლებიც თავს გვეველებოდნენ, მოქონდათ საჭმელ-სასმელი, გვიყვებოდნენ ახალ ამბებს (ჩვენ ინფორმაციის სრულ ეკაკუუმში ვიყავით) და ჩვენთან გვიანობამდე რჩებოდნენ. მოდიოდნენ სხვა ქართველებიც, ისინი გვეკითხებოდნენ საქართველოს შესახებ, მათ ყველაფერი აინტერესებდათ.

ორი კვირის შემდეგ, როცა ნელ-ნელა ყველაფერი მიწყნარდა, ფრთხილად გამოვედით ქალაქში, რადგან იერით რუსებს არ ვგავდი და ვერავინ გაიგებდა, რომ ჩვენ საბჭოელები ვიყავით. ჩვენი სასტუმრო ზღვასთან ახლოს იყო, ბუბა კიკაბიძემ ანკესები იყიდა, ჩვენ მასთან ერთად ყოველდღე ვთევზაობდით და რამდენიმე კილოგრამ თევზს ვიჭერდით, მერე სასტუმროში ვწვავდით და ვექეიფობდით (სასმელი თბილისიდან გვქონდა წაღებული). თამადად გუგული ყიფიანს ვირჩევდით, იგი დიდად გამოცდილი კეთილშობილი, კოლორიტული პიროვნება გახლდათ, რომელიც სიამოვნებით გვიყვებოდა ძველ საინტერესო ამბებს.

„ესკიჩიიი!“ ყოველ დილით ადრე გვაღვიძებდა წერილად მოვაჭრე ახალგაზრდების ძახილი, რომლებიც ურიკებით დაატარებდნენ მწვანილსა და სხვა პროდუქტებს. სტამბული საკმაოდ ჭუჭყიანი ქალაქი იყო, ხშირად ნახავდით ქუჩებში დაყრილ ნაგავს. სამწუხაროდ, მაშინ არ მოგვეცა ამ ქალაქის დათვალიერების საშუალება, ჩვენი ძირითადი მარშრუტი იყო ბაზარი და სასტუმრო. მხოლოდ ერთხელ გავიპარეთ „აიას სოფიაში“.

ერთ დღეს ჩვენთან ბურსადან ჩამოვიდნენ და გვთხოვეს გავყოლოდით ქართულ ქორწილში, მაგრამ საელჩომ ამის უფლება არ მოგვცა.

ასე გავატარეთ სტამბულში ერთი თვე. ბოლოს საბჭოთა თბომავალზე დაგვსვეს და სამშობლოში გამოგვისტუმრეს.

ბატონი ჰეიდარ ზენგინის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად დიდი ზარალისა, რომელიც ჩვენ გამო ნახა, მოსკოვის „გოსკონცერტს“ შეპირებული თანხა მაინც გადაუხადა. ამ ფაქტმა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროც კი განაცვიფრა.

აი ასეთი მოგონებები გვაკავშირებდა სტამბულთან.

ამჟამად კონცერტი გავმართეთ სტამბულის საზაფხულო თეატრში. კონცერტს 7000 კაცი დაესწრო. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ჰეიდარ ზენგინი, რომელმაც მადლობა გადაგვიხადა კარგი კონცერტისთვის და დიდი სიყვარულით მოიკითხა „ორერასა“ და „გორდელას“ წევრები: ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე, რობერტ ბარძიმაშვილი, ზურაბ იაშვილი, გენო ნადირაშვილი, თემურ ქეჟხიშვილი, გომარ სიხარულიძე, მიშა მცურავიშვილი, თამაზ ანდღულაძე, გენო ონაშვილი, გოგი აღაპიშვილი და სხვები.

კონცერტს დაესწრო აგრეთვე ჩვენი ნაცნობი ადლი ეიტი, იგი 1970 წელს ჩვენთან ერთად საფრანგეთში იმყოფებოდა საერთაშორისო ფესტივალზე. ადლი წარმოშობით ლეკია და თურქეთში ცხოვრობს. იგი აღფრთოვანებული იყო ჩვენი კონცერტით, მრავალი საქებარი სიტყვა გვითხრა და თავის ოჯახში მიგვიწვია.

მეორე დღეს ვიყავით ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში, რომელიც 1892 წელს აუშენებიათ. ენახეთ მისი მფარველი სიმონ ზახაძე, რომელმაც გვითხრა, რომ აქა-

ურ წიგნსაცავში უამრავი მნიშვნელოვანი და საინტერესო წიგნი ინახება. იქ მუშაობდა ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე, რომელმაც შემდეგ რამდენიმე საინტერესო წიგნი გამოსცა.

საღამოს ადლი ეიტს ვეწვიეთ ოჯახში. იგი დიდი სიყვარულით შეგვეგება, გაგვიშალა შესანიშნავი სუფრა. შემდეგ გვაჩვენა უნიკალური ვიდეოფირები, რომელზეც სხვადასხვა ქვეყნის ცეკვებია აღბეჭდილი. მათ შორის იყო სუხიშვილების ლეგენდარული ანსამბლის გამოსვლა გერმანიაში 1972 წელს.

- ახლა მე გაჩვენებთ ერთ შესანიშნავ ქართულ ცეკვას – გვითხრა ადლიმ.

ტელეეკრანზე გამოჩნდა "ცეკვა ქართული", ლატარა ფოჩიანისა და ფრიდონ სულაბერიძის შესრულებით. – დააკვირდით ვაჟის მოძრაობას, - განაგრძობდა ადლი, — ნახეთ როგორი პლასტიკური და არტისტულია, მისი თითოეული მოძრაობა ნამდვილი შედევრია, ნეტავ თუა ცოცხალი და რას აკეთებს? – იკითხა ადლიმ. მე ფრიდონი წარვუდგინე, რომელიც იქვე იჯდა და შურით შესცქეროდა თავის ახალგაზრდა სხეულს. ადლიმ არაფრით დაიჯერა, რომ ის ტანწერწეტა ყმაწვილი შეიძლება ფრიდონი ყოფილიყო. მან რამდენჯერმე დაატრიალა ფირი და რომ დარწმუნდა ვინ იდგა მის წინ, მუხლი მოიყარა და თაყვანი სცა ამ მართლაც უდიდეს მოცეკვავეს.

ჩვენ დავემშვიდობეთ არაჩვეულებრივ მასპინძელს და გვიან ღამით დაებრუნდით სასტუმროში.

მეორე დილით გეზი ბათუმისკენ ავიღეთ.

სარფში საზარელი ამბავი შევიტყვეთ: გარდაიცვალა რეზო თაბუკაშვილი.

* * *

1992 წლის 31 აგვისტოს „რუსთაველის“ მოცეკვავეთა ჯგუფი 37 კაცის შემადგენლობით 10 დღით ინეგოლის საერთაშორისო ფესტივალზე გაემგზავრა.

ინეგოლში ბევრი ქართველი ცხოვრობს, მათ დიდი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენი ანსამბლის მიმართ, ყველა კონცერტზე მქუხარე ტაშით გვაჯილდოებდნენ. შემდეგ სულ ჩვენთან იყვნენ. იქ ბევრი ქართველი გავიცანით. ერთ-ერთი მათგანია მამია დუმბაძე, შესანიშნავი პიროვნება, რომელიც თვითონაა ინეგოლის ფესტივალის ორგანიზატორი. ბატონი მამია მოთავეა ბევრი კარგი ღონისძიებისა, რომელიც თურქეთ-საქართველოს მეგობრობას უკავშირდება.

ინეგოლის ფესტივალი ტრადიციული გახდა, ამ ფესტივალზე ყოველ წელს იღებენ მონაწილეობას ქართული ანსამბლები, რომლებიც ყოველთვის დიდი წარმატებით გამოდიან. ბატონი მამია დუმბაძე დღემდე მეგობრობს „რუსთაველთან“.

მოკლედ ინეგოლის ფესტივალზე „რუსთაველმა“ თავი გამოიჩინა. პრესამ და სპეციალისტებმა იგი ფესტივალის საუკეთესო ანსამბლად აღიარეს.

* * *

1995 წლის 28 ივნისს სპეციალისტების ჯგუფი თბილისიდან თურქეთს გაემგზავრა ძველ ქართულ მიწებზე მცხოვრები მოსახლეობის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესასწავლად. ექსპედიციას ამჯერად დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან ჩვენი შეზღუდული ფინანსები არ გვაძლევდა დიდხანს მუშაობის საშუალებას.

ექსპედიციის წევრები გახლდათ: დიმიტრი დუნდუა (ხელმძღვანელი). გიორგი ჯალაბაძე – ეთნოგრაფი, ჯონდო ბარდაველიძე – ფოლკლორისტი, ანზორ ერქომაიშვილი – მუსიკოსი, გივი დათიაშვილი თარჯიმანი და მიხეილ მიმინოშვილი – ტელეოპერატორი.

თურქეთის საზღვარი საღამოს გადავლახეთ, ღამე ხოფაში გავათიეთ.

დილით ადრიანად გავემგზავრეთ ტრაპიზონისკენ, სადაც ვინახულეთ საქართველოს კონსული ზაურ მჭედლიშვილი. ბატონ ზაურს ავუხსენით ჩვენი ჩამოსვლის მიზანი და ვთხოვეთ დახმარება. მან წერილები გაგვატანა რიზეს და ართვინის მერებთან, თანაც სათანადო დარიგებები მოგვცა.

დავუკავშირდით აგრეთვე საქართველოს ელჩს ანკარაში, ბატონ ნოდარ კომახიძეს. მან გვირჩია, რომ ართვინში აუცილებლად მოვინახულოთ სოფ. მურღული, რომელიც ლაზებითაა დასახლებული. თურმე გვარი მურღულიაც აქედან წარმოსდგება. გვირჩია აგრეთვე, რომ ორდუში შევისწავლოთ ფაცასა და უნიეს ფოლკლორი, შემდეგ კი ბურსა და ინეგოლი მოვინახულოთ, სადაც ძირითადი მოსახლეობა ქართულია.

ტრაპიზონიდან რიზეში გავემგზავრეთ, სადაც მიგვიღო ქალაქის მერმა და გუბერნატორმა. მეორე დილით მოგვაკითხეს მერის წარმომადგენლებმა და მეგზურობა შემოგვთავაზეს. მათთან ერთად წინ წაგვიძღვა პოლიციის მანქანა, ასე რომ 10 კაცი მაინც გამოგვყვა.

ჯერ წაგვიყვანეს საოჯახო რეწვის სასწავლებელში, რომელიც რიზეს განაპირას მდებარეობს. იქ გოგოები სწავლობენ ქარგვას, ქსოვას, კერვას, ხატვას და სხვ. ვაჟები კი ძველებურ საოჯახო ნივთებს აკეთებენ, მაგალითად, გიდელს, რომელიც იქვეა გამოფენილი. ჩვენს შეკითხვაზე თუ რისთვის იყენებენ გიდელს, მათ გვიპასუხეს: „ჩვენს სოფლებში ხეებზე ვაზია მოშენებული და შავი ფერის ყურძენი (იზაბელა) ხარობს. გიდელი ამ ყურძნის საკრეფად იხმარება; მას ხეზე აიტანენ, გააესებენ ყურძნის მტევნებით და თოკით ძირს ჩამოუშვებენ. შემდეგ ყურძენს საწნახელებში ჩაყრიან (საწნახელს სხვა სახელი ჰქვია), შიგ შიშველი ფეხებით ჩადგებიან და ჭყლეტენ. (ასეა გურია – აჭარაშიც), შემდეგ ყურძნის წვენს ხარშავენ და მიიღებენ თაფლიეით შესქელებულ ტკბილ წვენს, რომელსაც „პეტმეზი“ ეწოდება. (გურიაშიც ასე უწოდებენ). „პეტმეზი“ ძალიან გემრიელი და მარგებელია, მას მთელი ზამთრის განმავლობაში მიირთმევენ“ გიდელთან ახლოს იდგა თხილის წნელისაგან დაწნული „ორფეხა“ გოდორი, ზუსტად ისეთი, როგორიც აჭარაშია.

მუზეუმში წარმოდგენილია აგრეთვე სამზადის მოწყობილობაც: ჩვენებური სპილენძის ჯაჭვი, რომელიც კერიაზეა ჩამოკიდებული, სადაც შეაცეცხლი ანთია, კერიაზე დგას ქვის კეცი, რომელზედაც მჭადს ან პურს აცხობენ. ხანდახან მჭადის ცომს ცხელ კერიაზე დააკრაევენ და ზედ ნაღვერდალს დააყრიან, სადაც ცხვება იშვიათად გემრიელი მჭადი, რომელსაც გურიაში „კვერს“ ეძახიან.

სასწავლებლის მუზეუმში შემონახულია კარაქის სადღვები ზუსტად ისეთი, როგორსაც მთიან აჭარაში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში იყენებენ. აქვე დგას ჩვენებური აკვანიც.

ამჟამად სასწავლებელში არდადეგებია, მუშაობს მხოლოდ მხატვართა კურსები. 13-14 წლის გოგონებს კალკის ქაღალდზე დახატული ფერადი ყვავილები თეთრ ნაჭერზე გადაეტვ ფერადი საღებავებით. მათ თავზე ადგათ მასწავლებელი, რომელიც შენიშვნებს აძლევს და შეცდომებს უსწორებს.

საინტერესოა, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებელს ერთნაირი ტანსაცმელი აცვიათ. მიუხედავად ცხელი ამინდისა ისინი გრძელ ლაბადებში არიან გამოწყობილები, თაზე თავსაბურავი ახურავთ და მხოლოდ სახე უჩანთ.


სასწავლებელში სახელდახელო კონცერტი გაგვიმართეს.

ჩვენს გამცილებელს, ოსმანს, რომელიც თურქული ფოლკლორის საუკეთესო მცოდნედ ითვლება, თან წამოუყვანია 12 წლის ორი გოგონა, რომლებმაც ჩვენთვის

მშვენიერად შეასრულეს თურქული სიმღერები ქამანჩისა და ზურნის თანხლებით.

იქაური ქამანჩა პატარა ხემიანი ინსტრუმენტია, აქვს სამი სიმი, რომელიც იწყობა კვარტებით, პირობითად: „სოლ“, „დო“, „ფა“ სიმღერის დროს ქამანჩა ორ სიმზე უკრავს მელოდიას, ხოლო მესამე სიმი კვარტულ შებანებას აკეთებს.

საზი ქამანჩასთან შედარებით უფრო დიდი ინსტრუმენტია გრძელი ტარით. ბანის ორი სიმი ოქტავაში ჟღერს. შუა ხმის ორი სიმი უნისონში იწყობა და ბანთან ერთად კვინტას გამოსცემს. პირველი ხმა სამი სიმისაგან შესდგება, აქედან ორი უნისონში ჟღერს, ხოლო მესამე — ოქტავაში. საზის ხმები ერთმანეთისაგან კვინტებით იწყობა, პირობითად „ფა“ „დო“ „სოლ“



სოლისტი
ლეშო ციმაკურიძე

ჩვენ დავეწაფეთ ბატონ ვალერიან ჭუმბურიძის ხელმძღვანელობას და პოლიციის ესკორტის თანხლებით მდინარე „ანდრონის“ შესართავისაკენ გავეშურეთ

ამ მდინარეს სამი სახელი აქვია. ზღვას შესართავთან მას „ანდრონის“ ეძახიან, შუა წელისკენ „ახკორიხას“ ხოლო სათავისაკენ — „ქუხუკ-ჩაის“, რაც „პატარა მდინარეს“ ნიშნავს.

მდინარე „ანდრონის“ ხეობა ძალიან ლამაზია, იგი „აჭარის წყლის“ ხეობას ჰგავს. მდინარე „ანდრონი“ მთებს შორის მიკლაკნება, ორივე მხარეს მთის ფერდობებზე სოფლებია გაშენებული. სახლები აჭარული ოლების მსგავსად ორ-სამ სართულიანია. ძველი ოდა-სახლები ხისაა და კრამიტითაა გადახურული. ახალი სახლები ქვით-კირისაა, ისინიც კრამიტითაა გადახურული. ტყეებში ძირითადად ხარობს: წაბლი, ცაცხვი, წიფელი, რცხილა, თხმელა, ნაძვი და სხვ. ხეხალიდან: ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, შანდარინი, ფორთოხალი, ზღმარტლი, ხურმა, ყურძენი (იზაბელა) მაღალ ხეებზეა გაშენებული. მოკლედ, ხეხილიც ისეთივეა, როგორიც გურიასა და აჭარაში.

ამ სოფლებში ძირითადი საარსებო კულტურა არის ჩაი, რომელიც ხანდახან ისეთ ცივაბო ფერდობებზე აქვთ გაშენებული, რომ საკვირველია, როგორ ამუშავებენ. ყველა ეზოშია ბაღჩები, სადაც ჩვენებური მწვანილი მოპყავთ. გარდა მწვანილისა უთესიათ: სიმინდი, ფხალი, ლობიო

(რომელსაც იქაც ლობიოს ეძახიან). სიმინდისაგან აკეთებენ მჭადს და „ღერღილის ღომს“, რომელსაც იქაც ღომი ეწოდება ან „ღერღილის ხოშკი“. ეზოებში ხშირად შეხვდებთ ჩვენებურ სიმინდის ნალიას, რომელსაც იქაც ნალიას ან „სურამს“ უწოდებენ.

ყველა სოფელშია სალოცავი მეჩეთები, რომლებიც უმეტესად ახალი აშენებულია.

მდინარე „ანდრონის“ ხეობაში ხალხი იმდენად ციცაბო მთის კალთებზე ცხოვრობს, რომ ოჯახებში საცალფეხო ბილიკებით ადიან. ვინაიდან სახლებში ტვირთის ატანა ჭირს, ხშირად შეხვდებით გზიდან სახლამდე გაჭიმულ ლითონის ბაგირებს, რომლებზედაც გორგოლაჭებიანი ურიკებია დაკიდული. ამ ურიკებით საბაგირო გზის მსგავსად სახლებში ეზიდებიან სხვადასხვა ტვირთს.

მთაში რიზედან 25კმ-ის დაშორებით, სადაც გზა წყდება, იმ ადგილას აუშენებიათ დასასვენებელი კომპლექსი. ეს არის ულამაზესი ადგილი, ძველებური ტიპის სასტუმროებით, ფანჩატურებით, სადაც ბარიდან ამოდიან და მთელ დღეს იქ ატარებენ. საუცხოო სანახავია სამსართულიანი ხის ოდა – სასტუმრო კრამიტით გადახურული. იქვეა პატარა აუზი, სადაც კალმახი მოუშენებიათ, რომელსაც, თუ ინებებთ, იქვე შეგიწვავენ. აუზის ახლოს სამწვადეა, სადაც უგემრიელესი მწვადი იწვება. იყიდება ათასნაირი სასმელები, მათ შორის „კოკა-კოლა“, „ორანჟე“, „პეპსი-კოლა“ და სხვ. მოკლედ იქ ევროპული ცივილიზაცია შევიდა და ცხოვრება დუღს.

ჩვენმა გამყოლმა ოსმანმა ადგილობრივ მომღერლებთან შაირი გამართა, რაც ძალიან საინტერესო მოსასმენი იყო. მომღერლები იქვე ექსპრომტად თხზაედნენ ლექსებს და სიმღერას ოსტატურად ასრულებდნენ საზის აკომპონიმენტზე. შაირში შეგადაშიგ ბაშვებიც ჩაერთვებოდნენ ხოლმე.

იქიდან მეტად ნასიამოვნები წამოვედით რიზესაკენ.

გზად ოსმანის სოფელში გავიარეთ, სადაც მას საკუთარი საჩაიე აქვს. ოსმანის თხოვნით საჩაიეში შეეედით, იქ სოფლის უხუცესები ისხდნენ, წვერიანები, ბრძენები. თაუზე სულყველას თეთრი ნაჭრისაგან შეკერილი ქუდები ეხურათ.

მოხუცები დაინტერესდნენ ჩვენი ვინაობით და როცა გაიგეს, საიდან ვიყავით, ზრდილობიანად მოგვესალმნენ. ჩაის პატარა, წელში გამოყვანილი ჭიქებით სვამდნენ. მოხუცები ალკოპოლიან სასმელებს არ ეკარებიან, უფრო ახალგაზრდები არღვევენ ტრადიციას. როგორც თურქებმა გვითხრეს, იქაური ქართველები თურქებზე უფრო მკაცრად იცავენ მუსლიმურ წესებს და სასმელს არ ეტანებიან.

მოხუცები დაინტერესდნენ საქართველოს ახლანდელი მდგომარეობით, ერთერთი მათგანი ალბათ ას წელს მიტანებული მოხუცი ჩვენს მაგიდასთან გადმოჯდა. – გურჯები ჩვენი მეგობრები არიან, - გვითხრა მან, - ჩვენი მოსისხლე მტრები არიან რუსები, სომხები, ბერძნები, იტალიელები, ფრანგები და ინგლისელები. რუსებმა ჩვენი ტერიტორია მიიტაცეს, ქობულეთამდე სულ ჩვენი იყო ყველაფერი, მაგრამ არა უშავს, რუსეთი მალე დაიშლება და, ჩვენ იმ ტერიტორიას დავიბრუნებთ. ჩვენ მრავალეროვანი სახელმწიფო ვართ, ჩვენთან ყველა ერები თავისუფლად ცხოვრობენ და ისეთივე უფლებებით სარგებლობენ როგორც თურქები. ქურთებიც ასეთივე უფლებებით სარგებლობენ, მაგრამ ისინი ექსტრემისტები არიან, ამის მეტი კიდევ რაღა უნდათ, არ ვიცით.

ჩვენ თურქები მშვიდობისმყვარე ერი ვართ, — განაგრძობდა მოხუცი, – ტერიტორიას არავის ვედავებით, პირიქით, ისტორიიდან ცნობილია, რომ სულ ჩვენ გვართმევდნენ მიწებს, ამიტომ ჩვენი ტერიტორიის შესანარჩუნებლად სულ გამუდმებული ომები გვქონდა.

ამაზე ჩვენ გაგვეღიმა, გვინდოდა მოხუცისთვის ისტორიის რამდენიმე ფურცელი შეგვეხსენებინა, მაგრამ თავი შევიკავეთ.

მოხუცები აღგნენ, ბოდიში მოიხადეს, თურმე ლოცვა ეწყებოდათ. მათ ორიევე ხელის მტევანი ყურთან მიიტანეს, ისე რომ ყურებს მხოლოდ ცერა თითით ეხებოდნენ, მერე თავი მდაბლად დაგეიკრეს და წავიდნენ.

ჩვენც მადლობა გადავუხადეთ მასპინძლებს და რიზესკენ გავემგზავრეთ.

1 იელისს რიზედან ბათუმის მიმართულებით დაახლოებით 50 კმ გავიარეთ, ავუხვიეთ მარჯვნივ და ავყევით მდინარე „ფირთინა დერესის“ (ქარიშხლის ხევი) ხეობას.

როგორც გუშინ, დღესაც ულამაზესი ხეობა ვნახეთ.

„ფირთინა დერესი“ „ანდონზე“ უფრო დიდია. იგი, ისე როგორც ყველა მთის მდინარე, სწრაფია და წყალუხვი, თურმე იცის საოცარი ადიდება, ამიტომ დაერქვა „ქარიშხლიანის„ სახელი. ამის გამო, მთელ ხეობაში მდინარის პირას არც ერთი სახლი არ დგას, ყველა სახლი მაღლობზეა წამოჭიმული, ხანდახან ისეთ ციცაბოზე, რომ გიკვირთ, ფეხით როგორ ადიან მოსახლეები იმ სიმაღლეზე.

ბუნება აქაც ისეთივეა, როგორც გურია-აჭარაში. რიზეს გადასახვევიდან დაახლოებით 10კმ-ზე ხელმარცხნივ გაშენებულია სოფელი დიქაია, რომელშიაც კრამიტით გადახურული ძველებური ხის ოდა-სახლები დგას. ეს სოფელი საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული და თავისი ფლორა-ფაუნით ძალიან ლამაზი სანახავია.

ჩვენ გზაზე გავჩერდით და სოფელი დიქაია გადავიღეთ, ოსმანს თან ახლდა პატარა მომღერალ-მოცეკვავეთა ჯგუფი, რომლებმაც ასფალტზე ცეკვა-თამაში გამართეს.

ეს რომ დაინახეს გზაზე მანქანები გაჩერდნენ, მგზავრები გადმოვიდნენ. მოცეკვაეებს შეუერთდნენ, ერთმანეთს ხელი ჩაკიდეს და როკვა გააჩაღეს. ამ ცეკვას თურმე „ხორონი“ ეწოდება.

გზა განვაგრძეთ და შევჩერდით ერთ პატარა დაბაში, რომელსაც „ჯამლი ხემშინის ილჩე“ პქვია. ეს დაბა პატარა მდინარის პირასაა გაშენებული და გურიის სოფელ „ნაბეღლავს“ მოგვაგონებს. მდინარეს გადაჰყურებს რესტორანი „ხოშ დერე“ (კარგი ხევი). ამ რესტორანში დგას მასიური თხილის ხისგან გაკეთებული მაგიდა, რომლის დიამეტრი 1 მეტრია. ეს მაგიდა 130 წლისაა. საკვირველია, ასეთი ზომის თხილის ხე სად შეიძლებოდა ყოფილიყო.

რესტორანში ოფიციანტებად ახალგაზრდა ბიჭები მუშაობდნენ, ისინი ლაზები აღმოჩნდნენ. მათ გვითხრეს, რომ ამ დაბაში დაახლოებით 600 ლაზური ოჯახი ცხოვრობს.

რესტორნის უფროსიც ლაზია, გვარად იბრაჰიმ სარი. ჩვენ ვთხოვეთ, იქნებ მომღერლები მოეყვანათ. მათ მოიყვანეს ლაზები: მუსალ იბრაჰიმ ოღლი, ნაზიფე იბრაჰიმ ოღლი (მისი მეუღლე), ირემ (სამოთხეს ნიშნავს) იბრაჰიმ ოღლი, აიშე ალტაი, მაქსუთ უზუნგი, ბაშარ ქარაქოზ (შავთვალა) და აბდულაჰ ქაბაოღლუ.

მუსა იბრაჰიმ ოღლი უკრავს ჭიბონზე, რომელიც ჩვენებურს პგავს, ოღონდ ირგვლივ ხავერდის ნაჭერი აქვს შემოკრული. ჭიბონის დასაკრავი ნაწილი კეთდება ბზისაგან და ეწოდება "ნავი", რომელსაც აქვს ხუთი წყვილი ნახვრეტი.

ამ ინსტრუმენტს თურქულად ეწოდება „ტულუმი“, იგი გავრცელებულია რიზეს რაიონში და ართვინში, როგორც გვითხრეს „ტულუმზე“ 35 ცეკვა სრულდება, მათ შეასრულეს ზოგიერთი მათგანი:

1. „ჩინჩივა“ – ცეკვავენ საზეიმო რიტუალის დროს, სრულდება ჯგუფურად, მონაწილეობენ ქალებიც. ცეკვავენ წრეზე.

ამ ცეკვისაგან ლაზური „ხორონი“ განსხვავდება ნახაზით, რიტმითა და საცეკვაო მელოდიით.

2. „ფიფილათ“ – ლაზური ცეკვა. „ფიფილათ“ და „ჩინჩავა“ სოფლის სახელებია. ეს ცეკვა სრულდება დღესასწაულზე. წრეზე 100-მდე მოცეკვავე ცეკვავს, შუაში დგას „ტულუმზე“ დამკვრელი, რიტმი გურულ-აჭარული ცეკვის – ხორუმისაა – 5/8.

3. „ქარადერე“ – (სოფლის სახელია) იცეკვება მხოლოდ რიზეს რაიონში, ცეკვა თურქულია.

4. „სარაი“ – ცეკვაენ ლაზებიც და თურქებიც. ნიშნავს სასახლის ცეკვას (სადარბაზო), სრულდება ქამანჩის თანხლებით.

5. „ათლამა“ – (ნიშნავს ნახტომს, ახტომას) იგი რიზეს რაიონის ცეკვაა.

ამ ცეკვებმა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, იგი გადაიღო ოპერატორმა მიხეილ მიმინოშვილმა.

ჩვენთან მოვიდა ახალგაზრდა კაცი, ალი გუმიშ (ვერცხლი) იმიშაშვილი, დედა პყავს გვარად ჩიკიძე, იგი ცხოვრობს დაბა „ჩამლი ემში“, მუშაობს ბანკში. ალი გუმიში ამ დაბაში ერთადერთი ქართველია.

გზა განვაგრძეთ მთაში. დასახლებას ქვია „აიდერ“, იგი ძალიან ჰგავს ბახმაროს. ტყეში ჭარბობს წიწვოვანი ხეები. მაღალი წიფლის ხეებზე მასიური ხისგან გათლილ ვარცლში, რომელსაც გურიაში „ბუკს“ ეძახიან, შევნიშნეთ ფუტკრის საბუდარი (სკა).

„აიდერისკენ“ გზა ძალიან ლამაზია, გზაზე გვხვდება ულამაზესი ჩანჩქერები, ერთი მათგანი მაღალი მთიდან ხმაურით ეშვება ძირს და საოცარ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ჩვენთან ერთად წამოვიდა ალი იმიშაშვილიც. იგი კარგად ლაპარაკობს ქართულად. მან გვითხრა, რომ „აიდერში“ ალბათ „სამა“ (ცეკვა) იქნებაო. საინტერესოა, რომ თურქეთის ქართველობა, ისე როგორც მთიანი აჭარის მოსახლეობა, სიტყვას „ცეკვა“ არ ამბობენ, მის მაგივრად ამბობენ „სამას“, „სამობენ“ ე.ი. ცეკვაენო იტყვიან ხოლმე.

„აიდერში“ დიდ მინდორზე, რომელსაც ირგვლივ ფიჭვისა და ნაძვის ტყე აკრავს, ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს ერთმანეთისთვის ხელი ჩაეკიდათ და „სამობდნენ“, თან მღეროდნენ უნისონში. ისინი წრეზე ცეკვაედნენ „ხორონს“ წრის შუაგულში იდგა „ტულუმზე“ დამკვრელი, წრე თანდათან ფართოვდებოდა. საინტერესოა, რომ მოცეკვაეები უმეტესად ევროპულად იყვნენ ჩაცმულები. გოგოებს ჯინსებიც კი ეცვათ. როგორც აგვიხსნეს, ესენი თურქეთის დიდი ქალაქებიდან არიან ჩამოსულები დასასვენებლადო.

მინდვრის კიდეებში დაედგათ ბრეზენტის კარვები, იდგა უამრავი ავტომანქანა, იწვებოდა მწვადები, ხალხი დასასვენებლად და გასართობად ამოსულიყო, ჩვენ ვნახეთ ნამდვილი სახალხო ზეიმი. ჩვენგან განსხვავებით იქ ხალხი სპირტიან სასმელს არ ეტანება.

ცეკვა ხანდახან ერთ საათზე მეტს გრძელდება, წრეზე მოცეკვაენი ხშირად იცვლებიან, დაღლილებს ახლები ცვლიან, არ იცვლება მხოლოდ „ტულუმზე“ დამკვრელი, რომელსაც ფულს უდებენ „ტულუმის“ ჯიბეში.

როცა მოცეკვაეთა წრე ძალიან გაფართოვდა, შუაში ბავშვები შევიდნენ, ისინი თვალს ადევნებდნენ უფროსებს და თვითონაც ცეკვაედნენ.

მოცეკვაეთა შორის სოლისტები არ გამოსულან, ისინი გუნდებად ცეკვაედნენ, სიმღერა, რომელსაც უნისონში ასრულებდნენ, მარტივი იყო და რაიმე განსა-

კუთრებული ღირებულებით არ გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, ღღესასწაული ძალიან საინტერესო გამოდგა.

მას აკონტროლებენ პოლიციელები. საერთოდ აქაურ დასახლებულ პუნქტებში და გზებზე გასაცარი წესრიგია, არ არსებობს, რომ ვინმემ აყალმაყალი ატეხოს, შესაძლოა იმიტომ, რომ აქ ხალხი ალკოჰოლიან სასმელს არ ეტანება.

გარდა ამისა, ხალხს პოლიციის რიდი და შიში აქვს.

ადრეს რომ გამოვცდით, დაახლოებით სამ კილომეტრზე მიგვეყენებს ერთ ულამაზეს ადგილას, რომელიც ძალიან წააგავდა ბაკურიანს. აქ ბუნებრივი ცხელი წყლებია, რომელსაც სამკურნალო თვისებები გააჩნიათ. ამ წყლებზე აშენებულია აბანო, სადაც მიჰყავთ ავადმყოფები, ძირითადად დაერდომილები და გონებაშეზღუდულნი. განუკითარებელი ბაქშეები, რომლებსაც თვეების განმავლობაში მკურნალობენ მალალკვალიფიციური ექიმები.

რიხეიძე გზას რამდენიმე საათი მოუნდით, თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში გვხვდება მეჩეთი, ანუ ჯამე, როგორც მას თურქები უწოდებენ. ამ ქვეყანაში მეჩეთების აღშენებლობა მიდის, შენდება თანამედროვე სტილის საუკეთესო ნალოცავები ასობით, შეიძლება ათასობითაც, რაც ხაზს უსვამს თურქეთის მთავრობის დამოკიდებულებას რელიგიისადმი.

2 იცლისს დილით დავათვალიერეთ რიზეს დიდი მეჩეთი „ჯამე“ (სანაპიროს მეჩეთი). იგი შავი ზღვის სანაპიროზე ყველაზე დიდი მეჩეთია, რომელიც 1974-82 წლებში აშენდა.

სილამაზით, მასშტაბებითა და მოხატულობით ეს მეჩეთი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. იგი მარმარილოთია მოპირკეთებული. იატაკი ნაცრისფერი



ცეკვა „ბანდაან“

ხალიჩებითაა მოფენილი. მეჩეთში შესვლისას ყველა ფეხზე იხდის, ჩვენც გავიხადეთ. ლოცვა იმართება ყოველდღე სხვადასხვა დროს. თურმე ეს დამოკიდებულია შხის მდებარეობაზე და დღის სიგრძეზე. კაცები და ქალები ცალ-ცალკე ლოცულობენ.

რიზეს კულტურის სახლში ტარდებოდა რეგიონული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი მომღერლები. ამ კონკურსზე როგორც საპატიო სტუმრები, ჩვენც მიგვიწვიეს.

სცენაზე იჯდა ოთხი კაცისაგან შემდგარი ჟიური. კონკურსის წამყვანი გახლდათ ერთ-ერთი ცნობილი ხალხური მომღერალი.

კონკურსი ასეთი წესით მიმდინარეობდა. წამყვანი კონკურსის მონაწილე მომღერლებს აძლევდა თემას. ამ თემაზე ორი მომღერალი ეჯიბრებოდა ერთმანეთს, მაგალითად, თემა არის მეგობრობა, მოშაირეებმა ამ თემაზე იმპროვიზებულად უნდა შეთხზან ლექსები და რიგრიგობით იმღერონ ქამანჩის აკომპონიმენტზე.

ქამანჩაზე დამკვრელებად მოწვეული მუსიკოსებიც რიგრიგობით უკრავენ. შაირი გრძელდება მანამ, სანამ მოპაექრე მოშაირეებს პროგრამის წამყვანი არ გააჩერებს.

კონკურსში მონაწილე მომღერალთა ასაკი განუსაზღვრელია. ყველა გამომსულელი ერთსა და იმავე მელოდიაზე შაირობს, სიმღერა მარტივია და იგი მხოლოდ ლექსის გამოთქმის საშუალებაა. მაყურებელი ტაშით აჯილდოებს მას, ვინც უკეთეს ლექსს ან კუპლეტს შეთხზავს. გარდა მიცემული თემისა, პროგრამის წამყვანი მომღერლებს დავალებას აძლევს, რომ ყველა სტროფი დააბოლოონ, მაგალითად, მარცვალზე „ეში“. რასაც ზუსტად ასრულებენ. სხვათა შორის მოშაირეებმა მაღალი დონე აჩვენეს. ხალხს აყავს გამოჩენილი მომღერალ-მოშაირეები, ისინი მეტად პოპულარულები არიან და დიდი სიყვარულით სარგებლობენ.

საინტერესოა ქამანჩის აკომპონიმენტი. პირველი და მეორე სიმი მიპყვებიან მომღერლის მელოდიას, ხოლო მესამე სიმი სოლისტს კვარტულ შებანებას აძლევს.

კონკურსი მაღალ დონეზე ჩატარდა და ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გამარჯვებულები დიდი ფულითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვეს.

კონკურსის შემდეგ გეზი ართვინისაკენ ავიღეთ. ისევ ლამაზი ხეობა, ისეთივე ფლორა და ფაუნა, ხეხილი, სასოფლო-სამეურნეო კულტურები, კრამიტით დახურული ხის ოდა-სახლები და სხვ.

საღამოს 6 საათისთვის უკვე ბორჩხაში ვიყავით. ჩვენმა მძღოლმა ნოდარ გაბაიძემ მანქანა ბენზინის გასამართ სადგურზე მიაყენა.

– ქართველები ხართ ჯო? – იკითხა პატრონმა, - მეც ქართველი ვარ ნაზიმ ბაიძე, ეს ჩემი ძმაა გივი, შემოით ჩაი ვსვათ.

ბენზინის გარდა ნაზიმი მანქანის ნაწილებით ვაჭრობს და, როგორც თვითონ ამბობს, „მე აქ კაი ვარ“, ე.ი. კარგად ვცხოვრობო.

ნაზიმს საეჭრო ობიექტის გვერდით უზარმაზარი ხუთსართულიანი სახლი უდგას. — ჯერ სასტუმროდ მინდოდა, მარა მერე, საცხოვრებელ სახლად გადავაკეთე. ახლა აქ ჩემი და ჩემი ძმის მრავალშვილიანი ოჯახები ვცხოვრობთ. აქ ჩემი მამა-პაპა მარხია, - თქვა მან და სახლის გვერდით წაგვიყვანა, სადაც კარგად მოვლილი საგვარეულო სასაფლაოა. – მეც აქანე დევიმარხები, ჩემს საქართველოში, დიახ! აქ ჩემი საქართველოა, ჩვენ არსად არ წავსულვართ, აქანე დევიბადეთ ქართველებად. ბორჩხაში სულ ქართველები ცხოვრობენ, ქართული ენა თითქმის ყველა ოჯახმა შეინახა, პაწა წერა გეიჭირს იმიზა, რომე აქანა ქართული სკოლები არაა, ჩვენი საქართველო აგია ჭოროხის ნაპირი, აქიდან ბათუმამდი ჭოროხით 17კმ-ია, თუ

ლენინმა საზღვარი სარფში გაატარა ჩვენი რა ბრალია. – თქვა ნაზიმმა და ხელი ჩაიქნია.

ჩვენ ჭოროხის ნაპირზე ვიდექით და მის ულამაზეს ხეობას გავყურებდით.

დავემშვიდობეთ კეთილ მასპინძელს და ართვინისკენ გავწიეთ. გზა სულ მაღლა-მაღლა მიდის, ტყე მეჩხერდება და ბუნება მესხეთ-ჯავახეთს ემსგავსება. აგერ მაღალ მთაზე ძველი ციხესიმაგრე გამოჩნდა, ქართველთა არსებობის უტყუარი საბუთი.

სულ მაღლა ავედით და ართვინში შევედით.

ართვინი მთაში ჩასახლებული პატარა ქალაქია, ქუჩაში სულ ქართულად ლაპარაკობენ, რაც ძალიან წააგავს ზემო აჭარის ქართულს.

4 იელისს დილით ართვინის ხელმძღვანელობას შევხვდით. აღმოჩნდა, რომ გუბერნატორის მოადგილე ქართველია იუსუფ სობიაშვილი.

ჩვენი განზრახვა იქაური ფოლკლორის შესწავლის შესახებ მოვწონა, — ამჟამად აქაურ სოფლებში ვერაის ნახავთ, რადგან ყველა მთაშია საქონელთან ერთად. ჯობია სექტემბერში, ან ოქტომბერში ჩამოხვიდეთ, მაშინ სოფლებშიაც წაგიყვანთ, სიმღერებსაც მოგასმენინებთ და „სამასაც“ გაჩვენებთ, - გვითხრა ბატონმა იუსუფმა.

ჩვენც ასე შეეთანხმდით.

5 იენისს დილით გამოვემშვიდობეთ ართვინს და იმ იმედით, რომ მალე ჩვენი დელეგაცია კარგა ხნით ჩამოვა აქაური ფოლკლორის შესასწავლად, გეზი ბათუმისაკენ ავიღეთ.

სამწუხაროდ შემდეგ ექსპედიციაში ვეღარ მივიღე მონაწილეობა, ვინაიდან „რუსთავს“ უცხოეთში საგასტროლო ტურნე ჰქონდა.

* * *

1997 წლის დასაწყისში ჩვენი ძველი მეგობარი იბერია მელაშვილი (ოსგანი) თბილისში ჩამოვიდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა თურქეთში საქართველოს კულტურის დღეები ჩაეტარებინა, ამისთვის მოინახულა და შეარჩია ის ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, რომლებიც თურქეთში რამდენიმე თვის განმავლობაში კონცერტებს რიგრიგობით გამართავდნენ. ამით თურქეთი ახლოს გაიცნობდა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას.

პირველი არჩევანი ანსამბლ „რუსთავზე“, ცნობილ პიანისტ ელისო ბოლქვაძესა და გიტარისტ ტარიელ ბერიძელიძეზე შეჩერდა.

საქართველოს კულტურის დღეებს თურქეთში აფინანსებდა ილპამ დიშლი (ილია ბოლქვაძე).

18 მარტს „რუსთავი“ სტამბულს გაემგზავრა. ჩვენთან ერთად იყვნენ, აგრეთვე, ელისო ბოლქვაძე და ტარიელ ბერიძელიძე. აეროპორტში დაგვხვდნენ იბერია მელაშვილი მეუღლით და ილია ბოლქვაძე.

აეროპორტიდან ქალაქში წაგვიყვანეს და მოგვათავსეს მშვენიერ სასტუმრო „მაჩკაში“. სტამბულში კარგი ამინდი იყო. იმ დღეს კონცერტი არ გვქონდა, ამიტომ მასპინძლებმა ავტობუსებით მოგვატარეს ქალაქი. ენახეთ ბიზანტიის კედლის ნანგრევები, ბოსფორის ულამაზესი სრუტე, გადავედით ახალ ხიდზე, ფეხით გავისეირნეთ ქალაქში და სასტუმროში ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით.

ჩვენი პირველი კონცერტი 21 მარტს გაიმართა სტამბულის ახალ საკონცერტო დარბაზში. კონცერტს დიდძალი საზოგადოება დაესწრო, მათ შორის იყვნენ იქაური ქართველები. კონცერტზე მოვიდა ჩვენი ძველი მეგობარი პაიდარ ზენგინი (კორტანიძე), მისი ძმა მეულდი და მათი ოჯახის წევრები, როგორც მათ გვითხრეს,

მესამე ძმა ხასანი აუადმყოფობის გამო ვერ მოვიდა და დიდი მოკითხვა და სალამი გადმოგვცათო.

ჩვენ ძალიან გავიხარეთ ერთმანეთის ნახვით. დიდხანს ვისაუბრეთ და მოვიგონეთ ბევრი ძველი მეგობარი.

კონცერტზე დასასწრებად ბურსადან ქართული სათვისტომოს დიდი დელეგაცია ჩამოვიდა, მათ შორის, იყვნენ მამია დუმბაძე და იბერია მელაშვილის ქართული ანსამბლის წევრები.

ჩვენ ამ გასტროლისათვის კარგად მოვემზადეთ. შევადგინეთ სპეციალური პროგრამა. ვინაიდან თურქეთის სასიმღერო ფოლკლორი მონოდიურია, ამიტომ ისეთი სიმღერები შევარჩიეთ, რომლებიც თურქი მაყურებლისათვის მისაღები იქნებოდა. ყრილობის სულაბერიძემ ცეკვები მათი გემოვნების გათვალისწინებით მოამზადა. ინსტრუმენტული ტრიოსთვის საგანგებო რეპერტუარი შეკვარჩიეთ. პროგრამა საკმაოდ საინტერესო გამოგვივიდა და კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა. მაყურებელი ფეხზე დამდგარი სკანდირებდა და მოითხოვდა ფინალის კიდევ ერთხელ გამეორებას.



სოლისტი
ეთერ ბანუშვაძე

ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ პოპულარული თურქული სიმღერა „ეი ონბეშლი“ რომელიც კონცერტის ბოლოს „ბისზე“ შეგვასრულეთ, მთელი დარბაზი ჩვენთან ერთად მღეროდა. კონცერტის შემდეგ სცენაზე ამოვიდა ცნობილი პიროვნება ნიაზ გოგიტიძე (ნიპათ გოერღით), რომელმაც ანსამბლს საჩუქრად სოლიდური თანხა გადასცა.

კონცერტს დაესწრო ცნობილი მომღერალი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ზულფუ ლივანელი, რომელმაც ორი შესანიშნავი წერილი მიუძღვნა „რუსთაველის“ კონცერტს.

გაზ. მილლიეთ. 24 მარტი. ზულფუ ლივანელი.

„მსოფლიოს ტრადიციები“

სცენაზე არაჩვეულებრივი მამაკაცები და ქალები არიან. ისინი

ცეკვითა და სიმღერით ცხოვრების შესახებ გვიყვებიან.

ქალები კავკასიის მთების პრინცესები არიან, აშოლტილნი, წელწვრილნი, შშვენიერები, ელეგანტურები და საკუთარ თავში დარწმუნებულები. სცენაზე ისე მოძრაობენ, თითქოს ყინულზე სრიალებენო.

მამაკაცები ზამბარიან დასაკეც დანებს ჰგვანან: სწრაფნი, წელგამართულები და ამაყნი, ნამდვილი კავკასიელი მხედრები, რომლებიც ხან უსაზღვროდ ძლიერები არიან, ხანაც — აბრეშუმივით რბილები.

დიდი ისტორიის შქონე ფლეიტით (სალამურით) და მთელი მსოფლიოს განმაცვიფრებელი მრავალხმიანი გუნდით, რომლის საიდუმლო ჯერ კიდეე არ ამოხსნილა, „რუსთავი“ ცხოერებაზე, ბუნების სილამაზეზე, სიყვარულზე და ომის სიმწარეზე გვიყვებაა.

განსაცვიფრებელი ქორეოგრაფიისა და ადამიანის შესაძლებლობათა საზღვრებს გადასული მოცეკვაეების მიერ წარმოდგენილ კომპოზიციებს როცა უყურებთ, მღელვარება გიპყრობთ, სისხლი გიდუღდებათ: რა კარგია, რომ ამ მწარე ცხოერებაში ხელოენება არსებობსო, ფიქრობთ.

სცენაზე დატრიალებულ ქარიშხალს რომ უყურებ, თითქოს ათასწლეულით უკან გადადიხარ. მოცეკვაეები, თავზე წაკრული ქსოვილებით ძველ ეგვიპტელებს ჰგვანან.

ხმლების პატარა მრგვალ ფარებზე დაჯახებისას გამოცემულ ხმას თქვენ პომეროსის ეპოქაში გადაჰყაეხართ. ნუთუ ეს მებრძოლები აქილეესის შვილები არიან? ან ტროას გმირი ვაჟკაცები?

როცა წითელ ტანსაცმელში შემოსილი... ახალგაზრდები... სცენაზე ტრიალებენ, მატისის მხატერული ტილო წარმოგიდგებათ თვალწინ. მატისს ეს ცეკვა აუცილებლად უნდა ენახა!

ჩემი ვალია მადლობა გადავუხადო ანსამბლ „რუსთავის“ წევრებს, რადგან მათ მომაგონეს მსოფლიოს ლამაზი წეს-ჩეულებები და ტრადიციები.

გაზ. მილლიეთ. 29 მარტი. ზულფუ ლივანელი. „მსოფლიოს ტრადიციები“

„ჩინეთში პეკინის ოპერა მინახავს, მექსიკაში – მაიას ცეკვები... ერზინჯანის მთებში დერეიშების მიერ ღვთისმსახურების დროს შესრულებული სიმღერებისათვისაც მომისმენია.

კაცობრიობის მიერ შექმნილი ყველანაირი სასიმღერო და საცეკვაო გარჯობის ნახვისა და მოსმენის შესაძლებლობა მქონდა. დაბოლოს კავკასიის მთებში, ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ხელოენების განმაცვიფრებელ ძალას წავაწყდი.

კავკასიის, ბალკანეთისა და ეგეოსის კულტურები მე შუა აღმოსავლეთისაზე უფრო მიზიდავს. რატომ? იმიტომ, რომ ამ მდიდარი კულტურის ექსპრესიაში ქალს ქალის ადგილი უკავია, კაცს კი – კაცის.

არაბული ქეყნების კულტურებში კი კაცი და ქალი ერთიმეორეში ირევიან და ამგვარად საოცარ დამოკიდებულებას ქმნიან. უფრო სწორად, საზოგადოებაში, სადაც მამაკაცი მამაკაცის გულისათვის ცხოვრობს და ქალი ამ საზოგადოების გარეთ არის დარჩენილი, ზოგიერთი მამაკაცი ქალისათვის დამახასიათებელ თვისებებს იძენს.

შუა აღმოსაელეთის არაბული გაელენის მქონე სიმღერებში მამაკაცების ხმა ქალების ხმაზე უფრო წერილია. ისინი დაუჯერებლად მაღალ ნოტებზე ყვირიან. მე „ლამაზი ხმა“ სხვანაირად მესმის.

(იტალიელი ტენორებიც მაღალ ნოტებზე მღერიან, მაგრამ ამას ყვირილის გარეშე ახერხებენ. ხელოვნებაც ხომ ეს არის!)

ცეკვებშიც იგივე მდგომარეობაა: ძველ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე დაფუძნებულ საცეკვაო ელემენტებში, როდესაც კაცი ქალის ფორმაში არის გადაცმული, მამაკაცები მხრებს ხრიან, კისერს აქეთ-იქით აქნევენ, მუცლის ცეკვას ასრულებენ და ერთმანეთს თეძოებით ეჯახებიან, და ეს ტრადიცია თურქეთის თითქმის ყველა გასართობ ადგილას არის გაერცელებული.

კავკასიის, ბალკანეთის და ეგეოსის ცეკვებში კი მამაკაცები მკლავებს არასოდეს მხრებზე ზევით არ სწევენ და „სიკიდიმ სიკიდიმ“-ს (შიქიდიმ შიქიდიმ) არ მღერიან, წელსაც არ არხევენ. მათი მოძრაობები ხან ცხენოსნებს მოგვაგონებენ, ხან კი — არწივს.

ქალებს კი, თითქოს ცხოვრების გამოწვევას ცდილობენ, თავები აწეული აქვთ და ღირსეულად უჭირავთ“.

„რუსთავის“ კონცერტებს სხვა კორესპოდენტებიც გამოეხმაურნენ:

გაზ. „აქსიონ“. 29 მარტი.

„ტრადიციების სულმა ჩურჩულივით გადაგვიარა. ყველა გაგვაკვირვა მისმა ბუნებრიობამ და ერთგულებამ, რომელიც ამ ბუნებრიობას კვებავს. ნათელი გახდა, რომ სიყვარულს რისხვაზე აქვს უპირატესობა, ენთუზიაზმს – უბედურებაზე, მშვიდობას – ომზე. ეს ყველაფერი „რუსთავის“ ორსაათიანი კონცერტის დროს განვიცადეთ.

იმ ღამეს, როდესაც ტრადიციული ხალხური ცეკვები და სიმღერები წარმოგვიდგინეს, ისეთმა სურნელმა დაგვათრო, რომელსაც ვერ ვიხსენებდით, მაგრამ ძალიან გვქონდა მონატრებული. ეს წარმოდგენა ისეთი სახით იყო, რომელიც ჩვენს არმოწონებულ კონიუნქტურას გვავიწყებინებს; იმ მინდვრებში გადავყავართ, სადაც ბუნებრივი სამართალი წეს-ჩვეულებების ხელით სრულდება და ყვავილების თაიგულს გვაწვდის. მოკლედ, მოგვნატრებია...

ტრადიციული ხელოვნების გამოცდილებიდან გამოჟონილმა წკრიალა სისუფთავემ ჩვენ სულ მთლიანად მოგვაჯადოვა.

ანსამბლში ყოველ ხმას სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება გააჩნია.

ჩვენ იმის იმედი გვაქვს, რომ ანსამბლი „რუსთავი“, რომელიც ასე სუფთად და თავისებური ფორმით აცნობს საკუთარ მუსიკას მსოფლიოს, იმ სასიმღერო და საცეკვაო ჯგუფებს უჩვენებს მაგალითს, რომლებიც ამბობენ, რომ „დასავლეთს ჩვენ არ მოვწონვართ, ჩვენ მისთვის უცხონი ვართო“. „რუსთავს“ ხომ წარმოდგენები საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთში, ბელგიაში, იუგოსლავიაში, პოლონეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებშიც გაუმართავს.

არ არის ცნობილი, თუ როდის ჩამოვა ეს ანსამბლი კიდევ ერთხელ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ აპლოდისმენტები, რომლებიც აქ მიიღეს, მათ კიდევ ერთხელ ჩამოიყვანს“.

გაზ. მილლიეთ. 20 მარტი.

„რუსთავი“ წარმოგვიდგენს“.

ანსამბლმა, რომელმაც თავის მიზნად გაიხადა ხალხური სიმღერების აღდგენა და გაცოცხლება, თვით ქართველებისათვისაც უცნობი სიმღერები და მელოდიები მოიძია და თავის რეპერტუარს შეუერთა. ამ მიზნით ანსამბლმა სერიოზული ისტო-

რიული გამოკელევა ჩაატარა, გამოცდილების მქონე, ჯერ კიდევ ცოცხალი მოხუცები იპოვა, მათი სიმღერები ჩაიწერა და ისევ ააჟღერა.

ანსამბლი, რომელიც ჩონგურზე, ფანდურზე, სალამურზე, დოლზე, დუდუკზე, გარმონსა და სხვა ტრადიციულ ინსტრუმენტებზე უკრავს, რომ გუნდის ყველა მომღერალი სოლისტია. აქ ყველა სოლისტი ერთი გუნდის მომღერალი უნდა იყოს.

გაზ. ძამან. 23 მარტი.

„რუსთაემა“ მოაჯადოვა“.

საქართველოს ფოლკლორული ხელოვნებისა და ტრადიციების ყველაზე მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა, ანსამბლმა „რუსთაემა“, თავისი წარმოდგენით მოაჯადოვა სტამბულელები.

„რუსთაეის“ ხელოვნება საქართველოს ფოლკლორული ხელოვნების საძირკველს ეყრდნობა. იგი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან აღებულ ტრადიციებს აერთიანებს და კონცერტის ფორმით თავისი ქვეყნის უძველეს კულტურას წარმოგვიდგენს.

გაზ. ძამან. 26 მარტი. აბდულაჰ გილიჩი.

„ხმალი, ფარი, მუსიკა და ცეკვა“.

„ჩვენს ქვეყანაში, სადაც კავკასიური ფესვების მქონე ფოლკლორი ძალიან პოპულარულია, ანსამბლ „რუსთაეის“ წარმოდგენებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ხმლებისა და ფარების ჭახაჭუხში განხორციელებულმა ცეკვებმა და სიმღერებმა მუსიკის მოყვარულებს განუშეორებელი ღამეები განაცდევინეს. ანსამბლმა „რუსთავმა“ სიყვარულისა და ომის თემაზე შექმნილი სიმღერებითა და ცეკვებით, მდიდარი კოსტიუმებითა და ტრადიციული ორკესტრით, ქართული ფოლკლორიდან ბევრი მნიშვნელოვანი რამ გვაჩვენა.

დაარსებიდან დღემდე „რუსთაეი“ ქართულ ხალხურ სიმღერებს მაღალი პროფესიული ოსტატობით წარმოაჩენს. იგი მაღალი კატეგორიის აკადემიური გუნდია, რომელიც საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეებში მემკვიდრეობად დარჩენილ მდიდარ მუსიკალურ ფოლკლორს განადიდებს და ეს ცხოერების ფილოსოფიად აქვს გადაქცეული.

„რუსთაეს“, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენს დროში ქართული ფოლკლორული ხელოვნების გამაერცელებელ უამრავ ანსამბლს შორის, დაარსების დღიდან დღევანდღემდე ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისათვის ყველა ფორმა და შოდელი აქვს გამოყენებული და განხორციელებული პრაქტიკაში“.

კონცერტის მეორე დღეს სტამბულში ამინდი იმდენად გაფუჭდა, რომ სასტუმროდან გარეთ გამოსვლაც კი ეერ შეეძელით. ჯერ აციედა და გაწვიმდა, მერე დაიწყო თოვა და ყინვები. როგორც იქაურებმა გვითხრეს, ასეთი ამინდი სტამბულში მარტში კი არა, მგონი, ზამთარშიაც იშვიათად ყოფილაო.

დიდი წარმატება ჰქონდათ ჩვენს შესანიშნავ პიანისტს ელისო ბოლქვაძეს და ტარიელ ბერიმელიძეს, რომლებმაც სოლო კონცერტი გამართეს.

„რუსთავმა“ სტამბულში კიდევ ორი წარმატებული კონცერტი ჩაატარა და ავტობუსით ანტალიაში გაემგზავრა, სადაც ჩვენი კონცერტები იყო დაგეგმილი.

ანტალიაშიც ცუდი ამინდები დაგეხვდა. მარტის ბოლოს იქ დამსვენებლები უკვე ბანაობენ, ამჯერად ძალიან ციოდა.

ანტალიის კულტურის ცენტრის ახალ საკონცერტო დარბაზში „რუსთაემა“ ორი წარმატებული კონცერტი გამართა, შემდეგ ისევ სტამბულში დაებრუნდით და იქიდან თბილისში გამოეემგზავრეთ.

* * *

1997 წლის ივნისში ისევ მიგვიწვიეს თურქეთში, სადაც ჩატარდა ბოსფორის პირველი საერთაშორისო ფესტივალი.

ფესტივალში მონაწილეობდნენ:

რუსეთის ალექსანდროვის სახელობის წითელდროშოვანი არმიის ანსამბლი.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“;

სტამბულის მუნიციპალიტეტის დიდი სიმფონიური ორკესტრი;

ჯაზ-ანსამბლი სენეგალიდან;

ანსამბლი „ფლამენგო“ ესპანეთიდან;

ჯაზის ვარსკვლავები თურქეთიდან;

სამხრეთ კორეის ფოლკლორული ანსამბლი;

ჯაზ-ტრიო ქაბულიდან;

ანსამბლი "გზა კონცერტისაკენ" დიდი ბრიტანეთიდან;

როკ-კონცერტი „ფიშ“ შოტლანდიიდან.

ფესტივალი კარგად იყო ორგანიზებული, თურქეთის მთავრობამ დიდი ყურადღება გამოიჩინა მის მიმართ.

„რუსთავის“ პირველი კონცერტი 13 ივნისს გაიმართა „ბახჩე შეჰირის“ ამფითეატრში, ხოლო შემდეგი კონცერტები ჩავატარეთ „აია სანათ მერქეზის“ მშვენიერ საკონცერტო დარბაზში, რომელიც ბოსფორის სრუტის ნაპირას მდებარეობს. „რუსთავმა“ სტამბულში სულ ხუთი კონცერტი გამართა დიდი წარმატებით.

შემდეგ რამდენიმე დღე დასვენება გვქონდა, ვცხოვრობდით მაღალი კლასის სასტუმრო „შაჩკაში“ და დავდიოდით ექსკურსიებზე.

იმპრესარიომ ჩვენთვის დაიქირავა კატარღა და ბოსფორზე სეირნობა მოაწყო. ვნახეთ გასაოცარი სანახაობა. ულამაზესია ბოსფორის სრუტე მზის ჩასვლის დროს. მთელი ანსამბლი გემბანზე იყო გამოფენილი და იშვიათი სანახაობით ტკბებოდა. მერე ვიღაცამ „მრავალჟამიერი“ წამოიწყო. სიმღერა გუგუნებდა და ბოსფორის ნაპირებს ეფინებოდა. წინ რამდენიმე კატარღა შემოგვხვდა, მათ ტაშით ჩაგვიარეს. ეტყობოდა; უცხოური ტურისტები იყვნენ. გავიარეთ ახალი ხიდების ქვეშ, პირველად 1968 წელს როცა სტამბულში ვიყავით, ეს ხიდები არ იყო და ერთი ნაპირიდან მეორეზე ხალხი კატარღებით გადადიოდა.

1980 წელს, როცა „რუსთავი“ აფრიკაში მიემგზავრებოდა გემით, ამ ადგილას ღამის 2 საათზე გავიარეთ. რადიომ რამდენჯერმე გამოაცხადა, ახლა ჩვენი გემი ბოსფორის ახალი ხიდების ქვეშ გაივლისო. დაინტერესებულებს თხოვდნენ, რომ გემბანზე ასულიყვნენ.

ანსამბლის წევრებს ეძინათ. მე, ჰამლეტ გონაშვილი, მარინა გელაშვილი და ფრიდონ სულაბერიძე გემბანზე აველით.

ციოდა, ცა შავად მოქუფრულიყო და ჰორიზონტზე უკუნეთი ჩამოწოლილიყო, ამ ფონზე გაბრდღვიალებული ხიდი ზღაპრულ სალტეს გავდა, რომლითაც ევროპა და აზია ერთმანეთზე იყვნენ მიბმული. ციოდა, მაგრამ ამ ზღაპრულ სილამაზეს თვალს ვერ ვაცილებდით და გემბანზე ვიდექით მანამ, სანამ ხიდი თვალს არ მიეფარა.

ახლა კი „მრავალჟამიერით“ გავიარეთ ხიდების ქვეშ, გადავიღეთ ბევრი ფოტოსურათი. ჩვენი გემი ორჯერ მიადგა ნაპირს, სადაც იქაური განთქმული მაწონი, ნაყინი და ყავა მოგვართვეს გემბანზე.

20 ივნისს დავათვალიერეთ „აიას სოფია“ და „ცისფერი მეჩეთი“, მართლაც

გრანდიოზული ნაგებობებია.

შერე ღეს ალია ბოლქაძემ წაგვიყვანა საკურორტო ადგილებში, ჯერ ზღვახე, ხოლო შემდეგ ბოლნისურ სოფელში.

ეს სოფელი ძალიან ლამაზია და ჩვენს წუნეთს მოგვაგონებს. პოლონელები აქ ცხოვრობენ 1842 წლიდან. მათ შეინარჩუნეს ენა, დამწერლობა და საკუთარი ტრადიციები.

ამ სოფელში გვახადილეს ქორფას რესტორანში. შერე გაეისეირნეთ ტყეში. რომელიც ძალიან დაბურული იყო და ზოგიერთ ადგილას შხის სხივიც კი ვერ ატანდა.

სახლში ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით.

24 ივნისს წაგვიყვანეს ექსკურსიაზე და „აიას სოფიასთან“ ახლოს მდებარე მიწისქვეშა წყალსაცავი გვახვენეს. რაგორც გეითხრეს, იგი ბიზანტიის იმპერიის ადრეული პერიოდის ნაგებობაა. აქ ახლომდებარე წყაროებიდან გროვდებოდა სასმელი წყალი, რომელსაც მხოლოდ ქალაქის მაღალი ფენის სახოგადოება იყენებდა. წყალსაცავი ხაუკეთესოდაა შენახული. მას ახაშენებლად ეგვიპტიდან მოუხიდავთ



ცეკვა „ზარიკაობა“

10 მეტრის სიმაღლის 300-ზე მეტი მარმარილოს სვეტი, რომელიც ზევიდან აგურისაგან ნაშენი თაღებითაა გადახურული. ყველა სვეტი მრგვალია, ზოგიერთ მათგანზე ღმერთების გამოსახულებაა ამოტვიფრული.

წყალსაცავს დაახლოებით 3000-ზე მეტი კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს. ამჟამად წყალსაცავში დაბალი წყალი დგას, სადაც თევზები დაცურავენ. იქაური წყალი ძალიან ცივია, წყალსაცავი მუდმივ ტემპერატურას ინარჩუნებს.

წყალსაცავი მშვენივრადაა განათებული, გაკეთებულია ხის პატარა ხიდები, რომლებზედაც მრავლად მიმოდიან ტურისტები. ზაფხულობით იქ ტევა არაა. წყალსაცავში შესანიშნავი აკუსტიკაა, ჩვენ ერთ ადგილას გავჩერდით და სიმღერა დავაგუგუნეთ. როცა სიმღერა გათავდა, მისი ბოლო აკორდი კარგა ხანს ისმოდა წყალსაცავის კულუარებში. იქ მყოფმა ტურისტებმა ტაში დაგვიკრეს.

ამის შემდეგ შეგვიყვანეს „აიას სოფიაში“. მე იგი რამდენჯერ მინახავს და ყოველთვის მანცვიფრებდა თავისი სილამაზით, სიდიადითა და არქიტექტორული გადაწყვეტით. ადრე იგი ქრისტიანულ სამყაროს ეკუთვნოდა და რაოდენ დასანანია, რომ მაჰმადიანებს მიჰყიდეს, რომლებმაც ოთხი მინარეთი მიაშენეს და იგი მეჩეთად აქციეს. „აიას სოფიას“ შიგნით ჯერ კიდევ შემონახულია ქრისტიანობის დროინდელი XI-XII საუკუნეების იშვიათი ფრესკები, ღვთისმშობლის, ქრისტესა და იმპერატორთა გამოსახულებებით, რომლებიც ულამაზესი მოზაიკითაა შესრულებული.

„აიას სოფიას“ შემდეგ დავათვალიერეთ სულთნის სასახლე, რომელმაც ჩვენზე მართლა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. სასახლეში დაცულია სულთანთა მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი იშვიათი ქონება, თვალ-მარგალიტი, სხვადასხვა სამკაულები, ტანსაცმელი, იარაღი, საოჯახო ნივთები და სხვ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მსოფლიოში ყველაზე დიდი ზომის ბრილიანტი, რომელიც შეუფასებელია.

მოკლედ, სტამბულის ღირსშესანიშნაობები კარგად დავათვალიერეთ და შთაბეჭდილებებით აღსავსენი ბურსაში გავემგზავრეთ.

ჩვენ ბურსაში ვცხოვრობდით, ხოლო კონცერტები იალოვაში და ინეგოლში იყო დაგეგმილი.

ინეგოლში მოსახლეობის 90 პროცენტი ქართველია. ჩვენს იმპრესარიოსა და იქაურ ქართველთა საზოგადოებას შორის, რომელსაც მამია დუმბაძე ხელმძღვანელობს, რაღაც გაუგებრობა მოხდა, ამიტომ ქართველებმა ბოიკოტი გამოაცხადეს და კონცერტზე არ მოვიდნენ.

თუმცა „რუსთაველის“ ხელმძღვანელობასა და წევრებს დიდი ბოდიში მოუხადეს.

იმპრესარიოს დაჟინებული მოთხოვნით კონცერტი მაინც ჩატარდა თითქმის ცარიელ სპორტის სასახლეში.

იალოვაში ულამაზესი საზაფხულო საკონცერტო დარბაზი აუშენებიათ ზღვისპირას, სადაც კონცერტი ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდა. მაყურებელი ბევრი დაგვესწრო და წარმატებაც დიდი იყო.

იალოვოდან გეზი ანკარისაკენ ავიღეთ.

ჩვენი კონცერტი გაიმართა ანკარის უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში. კონცერტს საქართველოს საელჩოს მთელი შემადგენლობა დაესწრო ბატონი ვიქტორ ჭიკაიძის ხელმძღვანელობით. კონცერტზე მოიწვიეს აგრეთვე სხვა ქვეყნების საელჩოები. ვიქტორ ჭიკაიძემ დაპატიჟა ერთი გენერალი ოჯახით, რომელსაც თან ახლდა რამდენიმე მაღალჩინოსანი სამხედრო პირი, ისინი თურქეთის არმიის შტაბის ხელმძღვანელები აღმოჩნდნენ. ის გენერალი (გვარი არ მახსოვს) წარმოშობით

ართვინიდანაა. კონცერტის შემდეგ იგი სცენაზე ამოვიდა, დიდი თაიგული მიართვა ჩვენს გოგოებს და შესანიშნავი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. დასასრულს მან თქვა, რომ ჩვენს საპატივცემულოდ საქართველოს საზღვაო სასაზღვრო ნაწილს ორ თანამედროვე ტიპის კატარღას გადასცემს. საქართველოს საელჩომ ამისთვის დიდი მადლობა გადაგვიხადა.

მეორე დილით 3 ივლისს ანტალიაში გავემგზავრეთ და ავტობუსით 10 საათი ვიმგზავრეთ, ანტალიაში ძალიან ცხელოდა, მოვთავსდით სასტუმრო „სტარლაიში“, იგი მშვენიერი ოთხსართულიანი სასტუმროა ბასეინით, ზღვასთან ახლოა და ყველანაირი პირობებია შექმნილი დასასვენებლად. ამ სასტუმროში ბევრი უცხოელი ცხოვრობს, მათ შორის დიდი ნაწილი რუსეთიდანაა.

სასტუმროს პატრონი გახლავთ სელათინ ბეი – თურქი, რომელიც პოლანდიაში ცხოვრობს, პყავს 4 შვილი და აქვს საკუთარი სუპერმარკეტები. სელათინი ძალიან მდიდარი კაცია. იგი საოცრად შრომისმოყვარეა, უთენია დგება და მუშაობს თავის მოსამსახურეებთან ერთად. ამ სასტუმროში მუშაობენ თბილისელი ქალები (ძირითადად რესტორანში), ისინი ყოველ სეზონზე ჩამოდიან და ცოტა ფულს შოულობენ ოჯახის გამოსაკვებად, აღსანიშნავია, რომ – სელათინ ბეი მათ დიდი პატივს სცემს, როგორც მუყაით თანამშრომლებს და ფულსაც გვარიანად უხდის.

ანტალიაში სიცხე 55 გრადუსამდე აღწევდა. ამიტომ, პლაჟზე ან ქალაქში გასვლა არ შეიძლებოდა, რადგან სუნთქვა ჭირდა. ანსამბლი მთელი დღე სასტუმროს აუზში ჭყუმპალაობდა, იღებდნენ სამახსოვრო ფოტოებს და იყო ერთი სიცილ-ხარხარი, რომლის მოთავე გახლდათ ხუმრობის დიდოსტატი ამირან გოლიაძე.

საღამოობით ბატონი სელათინი მე და ფრიდონ სულაბერიძეს ლუდზე გეპატიჟებდა, ჩვენ გვიან ღამემდე ვსაუბრობდით, იგი მართლაც შესანიშნავი პიროვნებაა.

ანტალიაში დიდი სიცხის გამო კონცერტები გვიან ღამით იწყებოდა, კონცერტის შემდეგ კოსტუმები ოფლისგან ისე იყო დასველებული, რომ მის ფორმაში მოყვანას მთელი დღე სჭირდებოდა, ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ გასტროლები საზღვარგარეთ სულის მოსალხენი გასეირნებაა, იგი ბევრ სირთულეებთანაა დაკავშირებული და თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს.

12 ივლისს ანტალიიდან ბოდრუმში გავემგზავრეთ, გზაზე ყველგან ჩვენებური ხეხილი გვხვდებოდა. ეს მხარე ხილით მდიდარია, თანაც ნაყოფი ძალიან გემრიელია.

ბოდრუმი ეგეოსის ზღვაზე მდებარეობს და შესანიშნავი საკურორტო ადგილია. იქ არის ულამაზესი ყურე, რომელიც სავსეა იალქნიანი კატარღებით. ბოდრუმში ყოველთვის ბევრი უცხოელი ტურისტია. იქ თავს იყრის მრავალი ქვეყნის მდიდარი საზოგადოება, ამიტომ ღამით რესტორანში ადგილს ვერ ნახავთ, ქუჩაშიც ხალხმრავლობაა.

მომსახურება ბოდრუმში მსოფლიო სტანდარტების დონეზეა, ამიტომ ეს ქალაქი და თურქეთის სხვა საკურორტო ქალაქები ყოველთვის სავსეა ტურისტებით და ქვეყანას ტურიზმით დიდი შემოსავალი აქვს. პირდაპირ გაოცებული ვარ, იმ 30 წლის განმავლობაში რაც მე თურქეთს ვიცნობ, როგორ ამაღლდა ცხოვრების დონე, როგორ გამოსწორდა ეკონომიკა, როგორ გაიზარდა მომსახურების კულტურა. ამ მხრივ თურქეთი ნელ-ნელა ევროპული სტანდარტებს უახლოვდება. ეჰ! როდის მიაღწევს ჩვენი ქვეყანა ასეთ დონეს.

ბოდრუმში ჩვენი კონცერტი ძველი ციტადელის გვერდით აშენებულ თანამედროვე საზაფხულო თეატრში გაიმართა. იქ ადრეც გამოვსულვართ. 1990 წელს ჩვენმა კონცერტმა მაღალ დონეზე ჩაიარა. ამჯერადაც დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით, რომელთა შორის უცხოელები ჭარბობდნენ. კონცერტის შემდეგ ჩვენ დაგვპატიჟეს

ბოდრუმის ცენტრში მდებარე რესტორანში. ქუჩებში სიცოცხლე „დუღდა“, აქ თაეი მოეყარათ სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებს და ათასნაირი თამაშებით ერთობოდნენ. ჩართული იყო მუსიკა და ცეკვა-თამაში დილამდე გრძელდებოდა. ბოდრუმში რამდენიმე დღე დავრჩით. ჩვენი სასტუმრო ქალაქის გარეუბანში ზღვისპირას იდგა. ანსამბლის წევრები პლაჟზე იხრუკებოდნენ, ჩვენი გოგოები ეთიოპელებს დაემსგავსნენ. ბიჭები დილაობით ნაეებით ზღვაში სათევზაოდ შედიოდნენ. სხვათა შორის რიგიანად იჭერდნენ თევზებს, რომელსაც იქვე ნაპირზე ეწვავდით და ცივ ლუდთან ერთად მივირთმევდით. თევზის მოშზადების საქმეში დიდი ოსტატობა გამოამჟღავნეს ჩვენი ანსამბლის განუმეორებელმა მოცეკვავე-სოლისტმა თამაზ კობახიძემ, ტარიელ ამაშუკელმა, მომღერლებმა ტარიელ ონაშვილმა, ამირან გოლიაძემ და სხვებმა. გადაეიღეთ ბევრი სამახსოვრო ფოტოსურათი და ვიდეოფირი, რომელსაც ახლაც სიამოვნებით ვუყურებთ.

19 ივლისს გავემგზავრეთ იზმირში, სადაც დიდი საერთაშორისო ბაზრობა იყო გამართული. იქ ჩვენი კონცერტი ჩატარდა შესანიშნავ ამფითეატრში, რომელსაც ბევრი უცხოელი დაესწრო. კონცერტის შემდეგ რამდენიმე მათგანი ჩვენთან მოვიდა. აღმოჩნდა, რომ მათ „რუსთაევის“ კონცერტები ევროპის ქალაქებში ენახათ, ერთმა ინგლისელმა ფოტოსურათიც გვაჩვენა, რომელიც ჩვენთან ერთად გადაულია ლონდონში.

იზმირიდან ისევე სტამბულში დავბრუნდით და ჩვენს საყვარელ სასტუმრო „მაჩაში“ დავბინაედით.

21 ივლისს მთელი დღე ფეხით დაედიოდით ქალაქში, კიდევ ერთხელ მოვინახულეთ ჩვენი საყვარელი ადგილები და ღამით თბილისისკენ გამოვემგზავრეთ.

* * *

1998 წელს ილპამ დიშლიმ ისევ მიგვიწეია თურქეთში 15 ივლისიდან 5 აგვისტომდე. „რუსთაევი“ დაახლოებით იგივე შემადგენლობით გაემგზავრა როგორც წინა წელს.

წარმატებული კონცერტები ჩავატარეთ ჩვენთვის ცნობილ საკონცერტო დარბაზებში: სტამბულში, ანკარაში, ბოდრუმში, ანტალიაში, იზმირში, ბურსასა და სხვა ქალაქებში.

თურქეთში უკვე მერამდენედ ვიყავით, იქაურმა მაყურებელმა „რუსთაევი“ კარგად გაიცნო და შეიყვარა, ამიტომ ჩვენს კონცერტზე სიამოვნებით მოდიოდნენ, იღებდნენ სამახსოვრო ფოტოსურათებს, შევიძინეთ ბევრი მეგობარი, განსაკუთრებული შეხვედრები გვქონდა ქართულ დიასპორასთან, ჩვენს ძმებთან, რომლებიც თან დაგვყვებოდნენ სხვადასხვა ქალაქებში, იწერდნენ ჩვენს სიმღერებს, სწავლობდნენ, მერე ჩვენთან ერთად მღეროდნენ. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ჩვენი საყვარელი მეგობარი იბერია მელაშვილი, რომელიც მეუღლე ეკასთან ერთად თითქმის ყველა კონცერტს ესწრებოდა. ეკა თარჯიმნობას გვიწევდა, მათ თან ახლდათ უფროსი ვაჟიშვილი ბექა, რომელსაც მშობლები ქართული სულისკვეთებით ზრდიან, ბექა უკვე კარგად ლაპარაკობს ქართულად, მშვენიერად მღერის და სალამურზე ქართულ მელოდიებს ასრულებს. ჩვენთან ხშირად მოდიოდა და ქართულ სიმღერებს სწავლობდა უნიჭიერესი მომღერალი ბაიარ შაჰინი (გუნდარიძე), რომელიც დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც თურქეთში, ასევე საქართველოში. პრესამ მაღალი შეფასება მისცა „რუსთაევის“ გამოსვლებს:

გაზ. აკსიყონ. 21-27 ივნისი.

ანსამბლი „რუსთაეი“, რომელიც თავისი სიმღერებითა და ცეკვებით წარმოაჩენს საქართველოს მთელს მსოფლიოში, შეუდარებლად ასახიერებს ქართული კულტურის ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებს. 50-კაციანი ანსამბლის წარმატების უკან გამოცდილი კაცი დგას – ანზორ ერქომაიშვილი, რომელიც საქართველოს მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ ავტორიტეტს წარმოადგენს, მის მიერ ქართული ფოლკლორის დარგში გაკეთებული გამოკვლევებისა და არქაული ნამუშევრების შედეგს ანსამბლ „რუსთაეის“ მეშვეობით მთელს მსოფლიოს აცნობს.

ქართულ ხალხურ სიმღერებში ყველა ხმას განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. ანსამბლ „რუსთაეის“ მომღერლებს მიაჩნიათ, რომ მთავარია სიმღერების კუთხური თავისებურებების შენარჩუნება (და მათ გადმოსაცემად ძალიან ბევრს მუშაობენ და მუდმივად აფართოებენ თავიანთ შესაძლებლობებს). ამიტომ ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მრავალხმიან სიმღერებს მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებენ.

* * *

გაზ. აჯანდა ყაზ. 10-16 იელისი.

შოთას თანამემამულეები...

ალბომი, რომლის სახელიცაა „საქართველოს ხალხური სიმღერები და ხალხური ცეკვების მუსიკა – I“, ჩვენი მეზობელი ქვეყნის კულტურის თავისებურებებს გადმოსცემს. მაგრამ მუსიკალური ინსტრუმენტები, რომლებიც კავკასიური მელოდიების საფუძველს წარმოადგენს, რა თქმა უნდა, წინა პლანზეა. ქართული სალამური, სამსიმიანი ფანდური, ოთხსიმიანი ჩონგური, ცნობილი კავკასიური აკორდეონი – გარმონი, კავკასიური ბარაბანი – დოლი და დუდუკი – მთავარ როლებში არიან. უფრო ხშირად, გარმონისა და სალამურის მხიარულ და ამაღლებულ ხმას დოლის ჩქარი ტემპი ემატება. ზოგჯერ კი, სევდიან სიმღერებში, დუდუკის მოტირალი ხმა ჩნდება. ალბომის ბოლოში კი სასიამოვნო სიურპრიზი გველოდება. ანსამბლი „რუსთაეი“ მოცარტის ცნობილ „თურქულ მარშს“ შესანიშნავად ასრულებს ჩონგურ-ფანდურითა და სალამურით. ანსამბლს ძალიან მდიდარი რეპერტუარი აქვს. მაღალი პროფესიული შრომის შედეგად შექმნილი ალბომი „საქართველოს ხალხური სიმღერები და ხალხური ცეკვების მუსიკა – I“ აუცილებლად უნდა შეიძინონ კავკასიური მელოდიების მოყვარულებმა.

გაზ. ძამან. 17 იელისი. აბდულაჯ გილიჩი.

„რუსთაეი“ და ქართული ფოლკლორული მელოდიები“

ანზორ ერქომაიშვილი არა მარტო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია, არამედ ქართული ფოლკლორული სიმღერების გამავრცელებელი და შემსრულებელი კარგი მუსიკოსია. იგი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებს სტატიებს. მან მთელი თავისი პიროვნება მუსიკალურ ალბომში ჩააქსოვა. ანსამბლის ინსტრუმენტალური ჯგუფის სოლისტია ომარ კილაპტრიშვილი (უმცროსი). კილაპტრიშვილი, ბავშვობიდან დღეანდლამდე სალამურის ვირტუოზია.

კულტურელ დერგი /„ჩვენებური“. კულტურული კრებული/

ხალხური ცეკვისა და სიმღერების ანსამბლი „რუსთაეი“

ფოლკლორის დარგში ქართული კულტურის ყველა განსაკუთრებული თვისების ბრწყინვალედ წარმომჩენი ანსამბლ „რუსთაეის“ ხელმძღვანელია ანზორ ერქომაიშვილი, რომელიც ცდილობს ძველი მუსიკალური ტრადიციების გადარჩენას.

მან ამ დარგში ღრმა ცოდნა თავისი წინაპრებისაგან მიიღო. ანზორ ერქომაიშვილმა, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს მუსიკალური ფოლკლორისა და მისი ტრადიციების აღდგენა-გაღრმავებაში, მთელი თავისი ცხოვრება ქართულ მუსიკას მიუძღვნა.

„რუსთაველის“ მთავარი ქორეოგრაფია „საქართველოს სახალხო არტისტი“ ფრიდონ სულაბერიძე. მან დიდი გამოცდილებისა და მდიდარე ტემპერამენტის წყალობით ქართული ხალხური ცეკვების ძირძველ ელემენტებს კვლავ სიცოცხლე დაუბრუნა და ქართული კულტურის სამსახურში ჩააყენა.

„რუსთაველის“ მიერ გამართულ კონცერტებში ანსამბლმა სიმღერისა და ცეკვის ბრწყინვალე პარმონია გვიჩვენა.

ნიჰალ ბენგისუ. „სიმღერა – ლექსით და რიტმით“

დროის გვირაბში საქართველომდე მგზავრობა

მხედრებმა ხმამაღლა შესძახეს, ფეხები მიწაზე დაარტყეს და პარპუნიკით ნაბიჯებმა იქაურობა შეძრა. მუსიკამ ბრძოლიდან დაბრუნებული გმირების ღირსეული მკერდიდან ამოხეთქა და აპლოდისმენტიან რიტმებად გადაიქცა. დეზებიანი ცხენების ოფლს პაერში მბრწყინავი ხმლების ჭახაჭუხი შეემატა. იასამნისფერი ლეჩაქებიანი ქალიშვილები ღრუბლებიდან ჩამოვიდნენ და სიწყნარე, სიჩუმე და სიმშვიდე იჩურჩულეს. აზიის ზეგნებიდან რძისა და ყვავილების სურნელი მოვიდა. სოფლელმა გოგომ მანდილი დააგდო და ბრძოლა უკვე აკრძალულია. კეთილი მამაკაცებისა და ნაწნაკებიანი ქალების სიყვარულს ვუყურეთ. ამგვარად, საქართველო მდიდარი კულტურის ქვეყანაა.

არასოდეს დაგვაიწყდება ერთი შემთხვევა. ერთ-ერთი კონცერტის წინ სცენაზე რეპეტიციას გავდიოდით, ჩემთან მოვიდა თეატრის ადმინისტრატორი და მითხრა, ხუთი კაცია მოსული, ისინი აფხაზები არიან, ლტოლვილები და ძალიან სურთ თქვენს კონცერტზე დასწრება, თუ თქვენ ნებას დამრთავთ, მოსაწვეევებს გავუკეთებო. – რას ამბობთ, მოსაწვეევებიც გაუკეთეთ და ახლავე აქ მოიყვანეთ-მეთქი, ვუთხარი. სცენაზე ხუთი ახალგაზრდა ამოვიდა. სამი ვაჟი და ორი გოგონა. მაღლები, ლამაზები, ჯიშიანები. ისინი თავდახრილები, თითქოს დარცხვენილნი მოდიოდნენ ჩვენკენ. ანსამბლი ტაშის გრიალით შეეგება მათ. აფხაზებმა გაგვეღიმეს და გამოგველაპარაკნენ. უმეტესად რუსულად ვსაუბრობდით, თუმცა ზოგიერთი მათგანი ქართულადაც ლაპარაკობდა. ისინი გულრიფშიდან იყვნენ, მათ გაეგოთ „რუსთაველის“ გასტროლების შესახებ და ჩვენს სანახაობად მოვიდნენ. ისინი საპატიო ადგილას დავსვით და კონცერტზე მათ საპატივცემულოდ აფხაზური სიმღერაც შევასრულეთ.

კონცერტის შემდეგ აფხაზები სცენაზე ამოვიდნენ თავალცრემლიანები და დიდი მადლობა გადაგვიხადეს მაღალი დონის კონცერტისა და გულთბილი მიღებისათვის.

ჩვენი ავტობუსი დაიძრა, აფხაზები ხელებს გვიქნევდნენ. გავიარეთ დაახლოებით 50კმ და რას ვხედავთ, თურმე ისინი თავიანთი მანქანით გვაცილებდნენ. ჩვენ ავტობუსი გავაჩერეთ, დაბლა ჩამოვედით და კიდევ ერთხელ დავეშვიდობეთ ამ შესანიშნავ ახალგაზრდებს, რომლებმაც ჩვენს კონცერტზე დასასწრებად 150 კილომეტრი გაიარეს.

მომდევნო კონცერტზე აფხაზები უკვე ოთხი მანქანით ჩამოვიდნენ. ისინი მთელი კონცერტის განმავლობაში აღტაცებულები უკრავდნენ ტაშს, და ხმამაღალი „ბრა-

ვოთი“ გვამხნევებდნენ. კონცერტის შემდეგ სცენაზე ამოვიდნენ, ბევრი საქებარი სიტყვა გვითხრეს და თბილად დაგვემშვიდობნენ.

გასტროლები დამთავრდა და ჩვენ სტამბულისკენ გავემგზავრეთ, თბილისში დაბრუნებამდე ერთი დღე თავისუფალი გვქონდა. დილით ჩვენთან სასტუმროში მოვიდა რამდენიმე აფხაზი. მათ გვითხრეს, რომ სტამბულთან ახლოს მდებარეობს პატარა ქალაქი, სადაც აფხაზების დიდი დიასპორა ცხოვრობს, იქ ტარდება სახალხო დღესასწაული და თუ შესაძლებელია იქნებ პატარა კონცერტი გაგვემართოთო, ავტობუსებს თვითონ გამოგვიგზავნიდნენ. შევთანხმდით. საღამოს 5 საათზე გავემგზავრეთ აფხაზებთან.

სახალხო დღესასწაული ქალაქის ცენტრალურ პარკში ტარდებოდა, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა, პარკი სადღესასწაულოდ იყო მორთული.

კონცერტი დაიწყო. პირველ განყოფილებაში ადგილობრივი შემსრულებლები გამოდიოდნენ, შეორე განყოფილება მთლიანად „რუსთავს“ დაეთმო. ჩვენი გამოსვლის წინ სცენაზე აყვიდა აფხაზური დიასპორის მეთაური ბატონი ჩიჩბა, რომელმაც „რუსთავი“ შესანიშნავად წარადგინა. აპლოდისმენტებითა და შეძახილებით ვიგრძენით, რომ კონცერტს ბევრი აფხაზი ესწრებოდა, ჩვენ სპეციალურად მათთვის შევასრულეთ აფხაზური სიმღერები. ბევრი მათგანის თვალებზე ცრემლი შევნიშნეთ. კონცერტის შემდეგ ისინი ყვავილებით სცენაზე ამოვიდნენ და ანსამბლის წევრები ალყაში მოაქციეს. იყო გულისამაჩუყებელი შეხვედრა. პოლიტიკაზე ერთი სიტყვაც არ თქმულა, ისინი მხოლოდ გვაქებდნენ. ჩვენთან ფოტოებს იღებდნენ და მადლობას გვიხდიდნენ დღევანდელი კონცერტისათვის.



სოლისტი გიორგი აბაშიძე

კონცერტის შემდეგ მთელი ანსამბლი იქვე ახლოს მდებარე ულამაზეს ბაღში მიგვიწვიეს, სადაც ჩვენთვის სუფრები გაეშალათ. თითო მაგიდასთან ათ-ათი კაცი იჯდა, „რუსთაველის“ წევრები და აფხაზები. ჩვენთან მოვიდა ერთი წარჩინებული პიროვნება და გვთხოვა, ანსამბლის ხელმძღვანელები მას გაეყოლოდით. იქვე ახლოს ულამაზეს ყვავილნარში დიდი სუფრა გაეშალათ. ფრიდონ სულაბერიძეს და მე დაგვსხეს 30 კაცი ფეხზე ამდგარი ტაშით შეგვეგება. ესენი გახლდათ საპატიოცემულო პიროვნებები აფხაზური დიასპორადან. თამადობდა

ჭარმაგი დარბაისელი პიროვნება, რომელმაც შესანიშნავად წაიყვანა სუფრა. მე და ფრიდონი ყურადღების ცენტრში ვიყავით, იყო ლამაზი მოგონებები და ღირსეულ მამულიშვილთა სადღეგრძელოები. ჩვენც გვადღეგრძელეს. თამადამ თქვა: - ჩვენ საუკუნეებრივი მეგობრობა გვაკავშირებს, რომელსაც ვერაფერი წაშლის, ახლა რაც ხდება, ეს ყველაფერი დროებითია, ჩვენ ბოლოს მაინც ერთად უნდა ვიცხოვროთო.

– ქეიფი გვიან ღამემდე გაგრძელდა, იყო ქართული და აფხაზური სიმღერები, ახმიანდა დოლ-გარმონი, ერთად ცეკვავდნენ აფხაზები და ქართველები.

წასვლა არავის უნდოდა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. აფხაზებმა ანსამბლის ყველა წევრს ლამაზი სამახსოვრო საჩუქარი მიართვეს, მერე ავტობუსამდე მიგვაცილეს და ხელებს გვიქნევდნენ მანამ, სანამ ავტობუსი თვალს არ მიეფარა.

მეორე დღეს თბილისში გამოეფრინდით.

დასრულდა რუსთავის კიდევ ერთი მოგზაურობა და მეტად მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერა საქართველოსა და თურქეთის კულტურული ურთიერთობის ისტორიაში.

მას შემდეგ თურქეთთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. იქ ხშირად იმართება კულტურული ღონისძიებები, სადაც ქართული ანსამბლებიც მონაწილეობენ. ინეგოლში ყოველ წელს ტარდება ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი, რომლის თავკაცი ბატონი მამია დუმბაძე, როგორც წესი, რომელიმე ქართულ ანსამბლს იწვევს.

რამდენიმე წლის წინ ქალბატონ გიული ალასანიასა და დარეჯან კუხიანიძის ინიციატივით საქართველოში დაფუძნდა საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“, ამ ფესტივალზე ვიწვევთ სხვადასხვა ქვეყნის ანსამბლებს, რომლებიც ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს ასრულებენ. მათ შორის აუცილებლად მონაწილეობს თურქეთის რომელიმე ანსამბლი. რამდენიმე წლის წინ ფესტივალის სენსაცია იყო ანსამბლი „მაჭახელა“ თურქეთიდან. ეს ანსამბლი მაჭახელას ხეობიდან გახლავთ, იგი მოხუცი მომღერლებითაა დაკომპლექტებული. საინტერესოა, რომ მოხუცებმა მშვენივრად შეინარჩუნეს არა მარტო ქართული ენა და ტრადიცია, არამედ მრავალხმიანი ქართული სიმღერა და ცეკვა. ვინ იცის, ეს სიმღერები რამდენი ხანია საქართველოში აღარ აჟღერებულა. „მაჭახელამ“ არაერთხელ მიიღო მონაწილეობა ფესტივალზე – „ჩვენებურები“, იგი დიდი წარმატებით გამოვიდა აგრეთვე თბილისის ტრადიციული პოლიფონიური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც იუნესკოს ეგიდით მიმდინარეობს. „მაჭახელას“ სიმღერები და ცეკვები თბილისში არაერთხელ ჩაიწერეს და გადაიღეს.

ფესტივალი „ჩვენებურები“ რამდენჯერმე თურქეთშიაც ჩატარდა ინეგოლის ფესტივალთან ერთად, სადაც ქართველმა და უცხოელმა ანსამბლებმა მიიღეს მონაწილეობა. ჩვენ ინეგოლის სოფლებში დავდივართ, სადაც ძირითადად ქართული მოსახლეობა ცხოვრობს. მათთან ხშირი კონტაქტი გვაქვს. ქართველი ქორეოგრაფები ჩადიან თურქეთში, ბავშვებს ქართულ ცეკვას ასწავლიან და ანსამბლებს აყალიბებენ. ეს ანსამბლები წარმატებით გამოდიან როგორც თურქეთში, ასევე საქართველოში. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებაში.

შარშან ინეგოლის საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობა მიიღო მომღერალთა ანსამბლმა „შაენაბადამ“, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ანსამბლმა და ბავშვთა ცეკვის კოლექტივმა.

ფესტივალი მაღალ დონეზე ჩატარდა. თავისუფალ დღეებში ვათვალიერებდით ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, გავდიოდით სოფლებში, ვხვდებოდით ქართულ დიასპორას.

ერთ დღეს დიდი ქართველი მოღვაწის ახმედ მელაშვილის (ოსგანი) საფლავზე წავედით, რომელიც თავის სოფელშია დაკრძალული. იქ „შავნაბადამ“ რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულა. შემდეგ ბატონმა გურამ ქოქოლაძემ საკუთარ ოჯახში მიიწვია მთელი ქართული დელეგაცია, იქ დაგვხვდნენ ადგილობრივი ქართველები. ბატონი გურამი ამჟამად საქართველოში მოღვაწეობს და დიდ საქმეებს აკეთებს საქართველო-თურქეთის მეგობრობის განმტკიცებაში. გურამის ოჯახში (მას შესანიშნავი კარ-მიდამო აქვს) გაშლილი იყო ქართული სუფრა რამდენიმე ასეულ კაცზე. გაჩაღდა ქართული ქეიფი. სუფრაზე ქართული საჭმელები ეწყო, ეზოში მწვადები იწვებოდა შამფურზე, მღეროდა „შავნაბადა“, ცეკვაობდნენ ქართველი გოგო-ბიჭები, ისმოდა ქართული სადღეგრძელოები. იქაურები მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულად. მოკლედ, შესანიშნავი სუფრა გაიმართა, რომელიც გვიანობამდე გაგრძელდა. წამოსვლის წინ ჩვენ ავედით გურამ ქოქოლაძის ოდა-სახლში და ვინახულეთ მისი დედა, რომელიც 98 წლისაა. იგი წარმოშობით აფხაზია, მაგრამ შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულად. ჩვენ მას აფხაზური და ქართული სიმღერები ვუმღერეთ, იგი ცრემლმორეული გვისმენდა. გამომშვიდობებისას დაგვლოცა და გვითხრა: ყველანაირად ეცადეთ, რომ აფხაზეთი არ დაკარგოთო.

ჩვენ გამოვემშვიდობეთ დარბაისელ მანდილოსანს და შევპირდით, რომ მისი 100 წლის იუბილეზე აუცილებლად ჩავალთ ინეგოლში და ისევ ეუმღერებთ აფხაზურ და ქართულ სიმღერებს.

თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ჩვენგან მეტი ყურადღება ესაჭიროება. მათ შემოინახეს ქართული ენა, რომელსაც სასოებით უვლიან. იქაურ ქართველებს ცოლები ქართული ოჯახებიდან მოჰყავთ, რაც იმის გარანტია, რომ თუ დედა ქართველია, ბავშვებიც ქართველებად დაიზრდებიან. ერთმა ქართველმა იბრაჰიმმა გვიმასპინძლა ქ.იზნიკში. იგი მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად, მე ეს აღვნიშნე. იბრაჰიმმა ხელი ჩაიქნია და სევდიანი ხმით მითხრა: - „ეჰ! რაც ნენეი ჩვენგან წვეიდა, იმის მერე ჩვენს ოჯახში ქართული ლაპარიკი გვილიაო“.

დიახ! ქართველმა დედებმა იქაც შემოგვინახეს ქართული ენა და ქართული ტრადიციები. „ჩვენებურები“ თურქეთში თავს ქართველებად მიიჩნევენ და ამით ძალიან ამაყობენ.

აფერუმ, „ჩვენებურებო!“

მთავარი ის კი არაა, სად გააკეთეს სახელმწიფო საზღვარი. მთავარია, შენს გონებაში არ წაშალო საზღვარი იმ მიწასთან, „სადაც შენი წინაპრების ძვლებია ჩაფლული და მათი სისხლითაა გაპოხილი“, იმ მიწასთან, საიდანაც შენი ჯიში მოდის და სადაც შენი დედაენა დაიბადა.

2008 წელი

ანსამბლ „რუსთაველის“ წევრები (1970-იანი წლები):

რეზო მორჩილაძე (დირექტორი)

მომღერლები:

1. გენო მუჯირი
2. ჯუმბერ ყოლბაია
3. სალიერ ვადაჭკორია
4. ომარ კელაპტრიშვილი †
5. ჰამლეტ გონაშვილი †
6. ირაკლი მათიკაშვილი
7. იური კახნიაშვილი
8. აზირი ბოჭოიძე
9. გაიოზ არაბაშვილი †
10. ლადო წივწივაძე †
11. ანზორ ტუღუში †

კონცერტმეისტერი მედეა გონგლიაშვილი

ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი

ქორეოგრაფი რეზო ჭოხონელიძე

მოცეკვავე ქალები:

1. ნატა ჯანდიერი
2. ციალა გაჩეჩილაძე
3. გულიკო გაბუნია
4. ლია ჭრიკიშვილი
5. რუსუდან რევია
6. ეთერ შენგელია
7. ლალი ქართველიშვილი
8. ლალი შიუკაშვილი
9. ირინა ფალავა
10. ირინა მახარაძე
11. ნონა მგელაძე
12. სვეტა ჩაჩავა
13. ნინო ბასილაშვილი
14. აზა გოგინავა †
15. დარეჯან ქართველიშვილი
16. მარინა გელაშვილი
17. თამილა ბერიშვილი
18. ლალი სტურუა
19. ლენა კუნდუხაშვილი

მოცეკვავე ვაჟები:

1. თემურ გურგენიძე
2. თემურ ვაშაკიძე
3. დეშონ შუბლაძე †
4. გივი (კაკუჩა) არსოშვილი
5. გრიგოლ ცანავა
6. მიშა შარაშიძე
7. რენცო ბახტაძე †
8. გოგი მარღანია
9. ომარ ხურციძე
10. ვაჟა ლეკვეიშვილი
11. ლერი მოსია †
12. ჯემალ მოსია †
13. თამაზ მოსია
14. ჯემალ დარჩიაშვილი
15. ომარ ჭიჭინაძე †
16. ომარ მდივნიშვილი
17. ავთანდილ ცეცაძე †
18. ზაზა ცერცვაძე
19. ვალერი გელიაშვილი
20. როლანდ ტატიშვილი
21. მურთაზ (ტაცია) დაშნიანი †
22. ბორის თარალაშვილი

23. ნუგზარ თათარაშვილი †
24. მალხაზ მორჩილაძე
25. თამაზ ჟორჟოლიანი
26. სერგო შენგელია
27. გოგი ციბისელი
28. როინ პატარაია
29. სერგო მუშკუდიანი
30. ჯიმშერ კუნდუხაშვილი
31. ჯუმბერ ტურაშვილი
32. იგორ მიქაია
33. რომან ბირთველიშვილი
34. ალექსანდრე კვეტენაძე
35. რუსლან აკობია †
36. ნოდარ მაზიაშვილი †
37. კარლო ღარიბაშვილი †
38. ვასიკო გეგელაშვილი †
39. დათო ჩხეიძე †
40. თამაზ კობახიძე
41. ჯუმბერ დუნდუა
42. თამაზ ყურაშვილი
43. ალექსი ნიკოლაძე
44. ჯანო ჯანიაშვილი †
45. თენგიზ ჯავახიშვილი
46. ჯუმბერ ბერაძე
47. მილერ ცირეკიძე

მუსიკოს-აკომპანიატორები:

1. უშანგი ფილაური †
2. ედუარდ გაბოიანცი †
3. ლერი თაყაძე †
4. არტემ არუთინოვი †
5. აკაკი ტატიშვილი †
6. რუსლან კარაპეტოვი
7. ნოდარ შერმადინი
8. ზაური არეშიძე
9. ჟანი მირკოვიჩი †

ანსამბლ „რუსთაველის“ წევრები 1980-იან წლებში:

1. ანზორ ერქომაიშვილი (სამხატვრო ხელმძღვანელი)
2. ფრიდონ სულაბერიძე (მთავარი ქორეოგრაფი)
3. რეზო ღვინერია (დირექტორი)
4. ალეკო ლორთქიფანიძე (დირექტორი)

მომღერლები:

3. ბონდო გუგავა †
4. ბორის სორდია
5. რამინ მიქაბერიძე
6. ნუგზარ გელაშვილი
7. ტარიელ ონაშვილი
8. ჰამლეტ გონაშვილი †
9. ომარ კელაპტრიშვილი †
10. ბადრი თოიძე – ქორმეისტერი
11. ამირან გოლიაძე
12. გენო მუჯირი
13. სალიკო ვადაჭკორია
14. ჯუმბერ ყოლბაია
15. გაიოზ არაბაშვილი †
16. ირაკლი მათიკაშვილი
17. ლადო წივწივაძე †
18. ზურაბ ნინუა
19. ნარგიზა მშვენიერაძე-კონცერტმეისტერი

მოცეკვავე გოგონები:

20. ნინო ლაზიშვილი
21. ირინე მახარაძე
22. მარინე გელაშვილი
23. ნანა მჭედლიშვილი
24. მაია დარჩიაშვილი
25. მაკა ქორიძე
26. მარიკა ფიცხელაური
27. ქეთინო სახვაძე
28. მაია სიგუა
29. ირმა დუნდუა †
30. ნანა აბრამიშვილი
31. ქეთევან პაიჭაძე
32. ეკა ბაჩაკაშვილი
33. გალინა გაეაშელი
34. მედეა ჟორჟოლიანი
35. ლელა ბიჩინაშვილი
36. მედეა გამცემლიძე
37. თინა ჩხეიძე
38. ქეთევან ბარამიძე
39. ტატიანა ფიცხელაური
40. ნესტან ტოგონიძე
41. ხათუნა სამხარაული
42. ნინო აბურჯანია
43. მარიკა ლორთქიფანიძე
44. ნანა თავაძე
45. ლელა კინწურაშვილი
46. ინგა ყალიჩავა

მოცეკვავე ვაჟები:

47. ტარიელ ამაშუკელი
48. გურამ აფციაური
49. გია (ვიქტორ) განუგრავა
50. ალეკო გაბრიელაშვილი
51. ლერი გრძელიშვილი
52. შოთა ყარალაშვილი
53. მამუკა ქართველიშვილი
54. ირაკლი კიკილაშვილი
55. მალხაზ მანაგაძე
56. თამაზ კობახიძე
57. სერგო მუშკუდიანი
58. შალვა პაპიაშვილი
59. შალვა რაზმაძე
60. ნოდარ აბულაძე
61. ზურაბ გვანცელაძე
62. ნოდარ მაზანაშვილი
63. სერგო შენგელია
64. გელა წოწორია
65. თამაზ სოლომონია
66. გელა ძებოშვილი
67. ბესიკ ხუხუნაიშვილი
68. მერაბ სარიშვილი
69. ზაზა სეხნიაშვილი
70. ავთანდილ სულაბერიძე †
71. ზურაბ გურასაშვილი
72. გია ჯოხაძე
73. გელა ყაველაშვილი
74. ვასილ ხუტაშვილი
75. ბადრი ქუთათელაძე
76. გია გულისაშვილი †
77. ბესიკ ბაკურაძე
78. რადინ ხელაშვილი
79. თამაზ ჟორჟოლიანი
80. ბადრი გეგეჭკორი
81. გოჩა ძოწენიძე
82. გია დეკანოსიძე
83. ნუგზარ გენგაშვილი
84. მერაბ მაჭარაშვილი
85. ტარიელ ვანიშვილი

მუსიკოსები:

86. მალხაზ ყარყარაშვილი
87. გიული ქონიაშვილი
88. თენგიზ გოგავა
89. ზურაბ საღიარაშვილი
90. ავთანდილ მაზანაშვილი
91. არჩილ გეიშიანი
92. ნოდარ შერმადინი

ანსამბლ „რუსთაველის“ წევრები 1990-იან წლებში:

1. ანზორ ერქომაიშვილი (სამხატვრო ხელმძღვანელი)
2. ფრიდონ სულაბერიძე (მთავარი ქორეოგრაფი)
3. ზურაბ გურასაშვილი (დირექტორ-განმკარგულებელი)
4. ბადრი თოიძე (დირექტორი)

მომღერლები:

5. ნუგზარ გელაშვილი
6. ტარიელ ონაშვილი
7. ამირან გოლიაძე
8. ბონდო გუგავა †
9. ომარ კელაპტრიშვილი †
10. რამინ მიქაბერიძე
11. გენო მუჯირი
12. სალიერ ვადაჭკორია
13. ბორის სორდია
14. ლადო თანდილაშვილი
15. გია წივწივაძე
16. ომარ კელაპტრიშვილი (უმცროსი)
17. დათო ყიფიანი
18. გიორგი ნატროშვილი
19. გიორგი ბუგიანიშვილი
20. მიხეილ ბახტაძე
21. გიორგი კვესელაძე
22. კახა ონაშვილი

მოცეკვავე გოგონები:

23. ნინო ლაზიშვილი
24. ნანა მჭედლიშვილი
25. თამარ მარტაშვილი
26. ია მაქაცარია
27. ირინა მახარაძე
28. ხათუნა სამხარაული
29. ნესტან ტოგონიძე
30. ელისო ცხომელიძე
31. ეთერ ჭანუყვაძე
32. მარინა გელაშვილი
33. მარი მარტაშვილი
34. სალომე ჩაჩუა
35. ეკა მამასახლისი
36. მარიკა ახრახაძე
37. ნუცა წერუაშვილი
38. თეონა ცაციაშვილი
39. თეა ჩხაიძე

მოცეკვავე ვაჟები:

40. ალეკო ლორთქიფანიძე
41. ტარიელ ამაშუკელი
42. ზაურ ბასილაშვილი
43. მამუკა ბერძენიშვილი
44. ალეკო გაბრიელაშვილი
45. თენგიზ გოგავა
46. ზურაბ გურასაშვილი
47. გოჩა ძოწენიძე
48. დათო იმესაშვილი
49. თამაზ კობახიძე
50. მამუკა ქართველიშვილი
51. გელა ყაველაშვილი
52. ირაკლი ყაველაშვილი
53. მალხაზ მანაგაძე
54. სერგო მუშკუდიანი
55. ირაკლი ნუცუბიძე
56. შალვა რაზმაძე
57. რევაზ რევაზიშვილი
58. გელა წოწორია
59. გოჩა შეყილაძე
60. ნოდარ აბულაძე
61. შალვა პაპიაშვილი
62. ლერი გრძელიშვილი
63. ლევანი ბირთველიშვილი
64. ზურაბ გვანცელაძე
65. ზაზა სეხნიაშვილი
66. ვასო ხუტაშვილი
67. დათო ჯანგველაძე
68. კახა დაშნიანი
69. მამუკა მეტრეველი †
70. ბესიკ ხუხუნაიშვილი †
71. ლევან ლომინაძე

მუსიკოსები:

72. ზურაბ საღირაშვილი
73. ნოდარ მაზანაშვილი
74. მალხაზ ყარყარაშვილი
75. შოთა ღაღაშვილი †
76. გიგი ქონიაშვილი

სახალისო მოზაიკა

ირაკლი მათიკაშვილი (მომღერალი)

ჰამლეტ გონაშვილი ფრიად განათლებული კაცი გახლდათ. ბევრ საინტერესო ამბებს გვიყვებოდა, მაგრამ ერთი უცნაური თვისება სჭირდა, — ხშირად სიტყვა გაუგრძელდებოდა და აზრის დამთავრებას აგვიანებდა. მეგობრები ეეხუმრებოდით „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“, მაგრამ არა, იგი, როგორც ნამდვილი ქიზიყელი, ჯიუტად იდგა თავის პრინციპზე. მოყოლა კი ისეთი საინტერესო იცოდა, რომ თვალსა და ყურს ვერ მოაცილებდი.

ერთხელ კონცერტის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ჰამლეტმა საინტერესო ამბავი წამოიწყო, რომელსაც შემთხვევით თვითონ შეესწრო. 1950-იან წლებში ჰამლეტი ექსკურსიამძღოლად მუშაობდა და რუსი ტურისტები წაუყვანია გორში სტალინის სახლ-მუზეუმის სანახავად. მოგეხსენებათ, ქართლში დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართული ჭიდაობა. ერთ-ერთ ქუჩაზე რუსული სამხედრო ბაზის ახლოს საჭიდაო მოედანი ყოფილა. ნახეს, რომ ხალხით სავსე მოედნის შუაგულში ვეებერთელა ტანის რუსი გოლიათი იდგა, რომელიც სამხედრო მოსამსახურე ყოფილა. მან თურმე სანდრო კანდელაკი გამოიწვია საჭიდაოდ, მაგრამ სანდრო არ ჩანდა, რადგან მისი ზომის საჭიდაო ტრუსი ვერ უშოვეს და ბიჭები გააგზავნეს, იქნებ სადმე დიდი ზომა ქალის საცვალი მაინც იშოვოთო. მეგობრებო, მე ამას ძალიან სწრაფად გიყვებით, თორემ ის კონცერტი ისე დავამთავრეთ და ისე დავბრუნდით სასტუმროში, რომ ჰამლეტმა ამბის დამთავრება მაინც ვერ მოასწრო. ყვებოდა საოცარი სიდინჯით, ემოციებით, აზარტით. ჩვენ ერთი სული გვქონდა დაემთავრებინა, რომ გაგვეგო, თუ ვინ გაიმარჯვა, ის კი დინჯად გვეუბნებოდა, ნუ ხართ სულსწრაფებიო.

მეორე დღეს კონცერტის წინ ისევ განაგრძო თხრობა, თუ როგორ უშოვეს კანდელაკს ქვედა საცვალი, როგორ მოიტანეს ნაძვის წიწვები და დაყარეს მოედანზე, როგორ დაიწყო შერკინება. ამას ყველაფერს დეტალებში ყვებოდა, ისეთი სიდინჯით და ისე საინტერესოდ, რომ სცენაზე გასვლა დავაგვიანეთ და ჩვენს მაგივრად ინსტრუმენტული ნომერი დაუკრეს, რისთვისაც დიდი საყვედური მივიღეთ. კონცერტის შემდეგ, როგორც იქნა, შვებით ამოვისუნთქეთ, თურმე სანდრო კანდელაკმა თავი მოუგრიხა იმ „ურჩხულს“ და ბეჭებზე დასცა.

კიდევ ერთი ამბავი მინდა გაგიხსენო.

1970 წელს საფრანგეთში მიგვიწვიეს ფესტივალზე. კონცერტები გავმართეთ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. ერთ-ერთ პატარა ქალაქში, სასტუმროში ადგილი

არ იყო და ღამის გასათევად ოჯახებში გაგვანაწილეს. ჩემი და ჰამლეტის მასპინძელი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი აღმოჩნდა, რომელთაც 10 წლის მშვენიერი გოგონა ჰყავდათ, სახელად — სოფი.

ფრანგებმა კარგი მასპინძლობა გაგვიწიეს. მშვენიერი სუფრა გაგვიშალეს, მოგვართვეს კარგი ფრანგული ღვინო. ჩვენ მშვენივრად მოვულხინეთ, ბევრი ვიმღერეთ, მასპინძლებიც ვამხიარულეთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ქართული სიმღერა ბანის გარეშე წარმოუდგენელია. ჰამლეტი შეეცადა ჩვენი მასპინძლისთვის „წინწყაროს“ ბანი ესწავლებინა. ფრანგმა იოლად აითვისა იგი და სიმღერაც მშვენიერი გამოგვივიდა. ჰამლეტმა თავისი ხმით განაცვიფრა ფრანგები, გარდა ამისა, მოგეხსენებათ, იგი ულამაზესი კაცი იყო და თავიდანვე მიიქცია დიასახლისის ყურადღება. გვიან ღამემდე ვიქეიფეთ. დილით ისევ მიგვეწვიეს სუფრასთან, მოგვართვეს კარგი ფრანგული კონიაკი და მდიდრული საუზმე. ჩვენ ავტობუსით სხვა ქალაქში მივემგზავრებოდით. მასპინძლებმა გამოგვაცილეს ქუჩამდე და გადაგვიღეს სამახსოვრო სურათები. ეზედავ ჩვენს მშვენიერ მასპინძელ ქალს თვალები ცრემლით აქვს სავსე. ჰამლეტი მასთან მივიდა და ხელზე ეამბორა. ქალბატონი მას კისერზე ჩამოეკიდა და ყოველგვარი მორიდების გარეშე დაუწყო კოცნა. ჰამლეტი საშინელ უხერხულობაში ჩავარდა, მე დავიბენი და ვუყურებ, თუ როგორი რეაქცია ექნება ქმარს, ის კი სიგარეტს ეწეოდა და ღიმილით, მშვიდად უყურებდა ამ სცენას. ქალბატონი ამ დროს თავდავიწყებით კოცნიდა ჰამლეტს, თან ტიროდა, ჰამლეტი მორიდებით ცდილობდა მის მოშორებას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, როგორც იქნა, მოიშორა, ჩვენ კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადეთ მასპინძლებს და ქალაქის ცენტრისკენ წავედით, სადაც ავტობუსი გველოდებოდა. ჰამლეტს სახეზე ალმური ასდიოდა, ეტყობოდა, რომ დიდი უხერხულობა გადაიტანა. მე სიცილს ძლივს ვიკავებდი და ბიჭებს მოვუყევი, რაც მოხდა. ომარ კილაპტრიშვილმა, რასაკვირველია, ეს ფაქტი ყურადღების გარეშე არ დატოვა, ჰამლეტს ზნეობა შეუქო და სასწრაფოდ „გამოაცხო“ ლექსი, რომელიც ავტობუსში წაგვიკითხა:

ჰამლეტ, ძვირფასო, ბევრი იარე,
მთელი ქვეყანა შემოიარე
და ევროპაში ამდენ წანწალით
ფრანგულ ოჯახში ჰპოვე წაწალი.

შენ წინაპართა მოგდგამს გენები
და რომ არ გახდი შესაჩვენები,
აფერუმ მაგ შენს ვაჟკაცურ ქცევას,
საკუთარ თაეის დათრგუნვას, ძლევას.

შენ მაგალითი უჩვენე „რუსთაველს“
და როგორც შოთა რუსთაველს უთქვამს,

სიყვარულს სიძვა ჩამოაშორე,
ცოლ-ქმარი ერთურთს არ დააშორე.

თუმცა კი ძლიერ, ძლიერ ღელავდი,
არ წაიწყმინდე სული მღერადი,
და თავს დაიდგი კაცურ-კაცობის
ნაღდი გვირგვინი ათასფერადი.

ჰამლეტთან დაკავშირებით კიდევ ერთი ფაქტი გამახსენდა:

ერთხელ ჰამლეტი და მე ჩემი ახალი მანქანით ჩარგალში გავემგზავრეთ ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის სანახავად. იქ ვაჟას ქალიშვილი გულქანი ვნახეთ, რომელმაც კედლიდან ფანდური ჩამოიღო და თავისებურად ჩამოამღერა ფშაურ კილოზე. შემდეგ იქაურებმა მშვენიერი სუფრა გაგვიშალეს, მე და ჰამლეტმაც ბევრი ვიმღერეთ. ჰამლეტი კარგად შეზარხოშდა და საღამოს სახლისკენ გამოვემართეთ.

ბინდდებოდა. ჩამოვუარეთ ჟინვალაპესს, გავედით გზატკეცილზე და ვხედავ, ორი ახალგაზრდა გოგონა დგას და ხელს გვიწევს.

— წავიყვანოთ, ცოდონი არიან, — მითხრა ჰამლეტმა.

მე მანქანა დავამუხრუჭე და კარი გავაღე.

— გოგოებო, საით გაგიწევიათ?

— თბილისში მივდივართ, ხომ არ წაგვიყვანთ?

— დაბრძანდით, რა თქმა უნდა, წაგიყვანთ!

ისინი უკანა სალონში მოთავსდნენ.

ჰამლეტმა, როგორც იცოდა ხოლმე, გამოჰკითხა სადაურობა, სად სწავლობდნენ, რა გვარები იყვნენ და ა. შ.

უცებ ერთ-ერთი გოგონა შეეკითხა:

— უკაცრავად, თქვენ ჰამლეტ გონაშვილი არ ბრძანდებით?

ჰამლეტი ხუმრობის ხასიათზე იყო: — კაცო, ვინ არის ეს ჰამლეტ გონაშვილი, ნუთუ ასე ძალიან ვგავართ ერთმანეთს? — თან მე გადმომხედა, რომ კვერი დამეკრა.

— მეც ძალიან მიკვირს, ჩემო ჰამლეტ, — უცბად სიტყვა ბაგეზე გამეყინა, რომ ჩემდაუნებურად გაეთქვი მისი სახელი.

ყველას სიცილი აგვიტყდა. ეს გოგოები რომ მიხვდნენ, მათ წინ ნამდვილი ჰამლეტ გონაშვილი იჯდა, გაიხარეს და ხან ერთი ჰკოცნიდა, ხან — მეორე.

მოკლედ, ბევრი ვიცინეთ, ვიმხიარულეთ და თბილისში ჩამოვედით. მანქანა „უშბასთან“ გავაჩერე, მაგრამ გოგოები არ გადმოდიან და ცოტა ნაწყენი გეთავაზობენ:

— იქნებ სადმე გაგვესეირნა.

ჰამლეტმა უთხრა: — თქვენ ალბათ დედიკოები გელოდებიან სახლში და თუ დროზე არ მიხვედით, დედიკო გაგიბრაზდებათო.

ისინი განაწყენებულები გადმოვიდნენ მანქანიდან. ჩვენ გზა გავაგრძელეთ, ჰამლეტის სახლთან მანქანა გავაჩერე და ღიმილით ვუთხარი: — დიმიტრიჩ, ისე, არ

იყვნენ ცუდი გოგოები, ჰა? მან შემომხედა, ცალი წარბი მაღლა აზიდა და მითხრა:
— ყმაწვილო, ყველამ თავის ბოსტანში უნდა თესოს!
პამლეტ გონაშვილი ზნეობის მაგალითი იყო ჩვენთვის.

რეგო ჭოხონელიძე (ქორეოგრაფი)

ანსამბლ „რუსთავში“ 16 წელი ვიმუშავე მთავარი ქორეოგრაფის თანამდებობაზე. ბევრი რამ დამრჩა მოსაგონარი. მრავალი მოგზაურობა გვქონდა როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ანსამბლში დიდი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა სუფევდა. გვყავდა საუკეთესო მომღერლები და მოცეკვავეები, ზოგიერთ მათგანს კალამიც უჭრიდა და მწარე ნაკვესების „ტყორცნაც“ ეხერხებოდა. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ შესანიშნავი ინსტრუმენტალისტი — სალამურის დიდოსტატი ომარ კელაპტრიშვილი, რომელსაც ლექსების წერაც ემარჯვებოდა და ენაკვიმატიც იყო, ამიტომ მას ხუმრობით „შაქარა“ დავარქვი.

ჩვენს ანსამბლს ამშვენებდა ქართული სიმღერის ლეგენდა პამლეტ გონაშვილი. პამლეტს ერთი ნაკლი ჰქონდა, — დაგვიანება უყვარდა, ამიტომ ომარი ხშირად გასაკილავ ლექსებს უწერდა და ხალხს აცინებდა. პამლეტმა მას „შადიმანი“ შეარქვა.

ერთხელ უცხოეთის სასტუმროში მე და ომარი ერთ ნომერში ვცხოვრობდით. მე ჩვევად მაქვს, მოკუტულს მძინავს და ნახევარი საწოლი მიკაია. ეს რომ ომარმა დაინახა, სიცილი აუტყდა, მერე მთელ ანსამბლს მოუყვა: იმპრესარიომ თუ გაიგო, რომ რეზოს ნახევარი საწოლი უჭირავს, ხომ გაგიჟდა, იგი მთელი საწოლის ფულს იხდისო. ამაზე ლექსიც შემითხზა.

მე შევამჩნიე, რომ ომარი სასტუმროს საპნებს არ ხმარობდა, მას კოლექციისთვის აგროვებდა, საპასუხოდ ამაზე ლექსი დაეუწერე:

კელაპტრიშვილი ომარი,
მესალამურე რომ არი,
საპონს საერთოდ არ ხმარობს,
ეკონომია ხომ არი?

ომარს ხუმრობა არ წყენია, მაგრამ ყოველდღე კალმის წვერზე ეყავდი წამოგებული. მეც შეძლებისდაგვარად ეპასუხობდი და ჩვენი პაექრობა ანსამბლის საერთო მხიარულობას იწვევდა.

ერთხელ ომარ კელაპტრიშვილმა მითხრა: ბავშვობაში მე სხვა სახელი მერქვა და თუ გამოიცნობ, კარგ პურმარილს ვიკისრებო. სიმართლე გითხრათ, ძალიან დავინტერესდი და დავიწყე „გამოძიება“, თუ რა ერქვა ბავშვობაში ომარს. როგორც იტყვიან, ციხე შიგნიდან ტყდებაო. ომარის ძმამ — გერისომ დიდი ხვეწნის შემდეგ მითხრა, რომ თურმე პატარაობაში ომარს რქმევია შიო.

სოფელ კავთისხევში, სადაც ომარი გაიზარდა, ყოფილა ერთი გიჟი, სახელად შიო. როცა პატარა ომარი წამოიზარდა და დაეაჯკაცდა, იუკადრისა გიჟის სახელი და ომარი დაირქვა. ეს ამბავი რომ გაიგე, სიხარულით ცას ეწიე.

ერთ დღეს ხალხური შემოქმედების სახლში ომარ კელაპტრიშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელიც ვახუშტი კოტეტიშვილს მიჰყავდა.

ბევრმა გამოჩენილმა პიროვნებამ ომარს სიტყვით მიმართა. ბოლოს ჩემი ჯერიც დადგა. მე ბევრი საქებარი სიტყვა ვუთხარი, რასაც უდავოდ იმსახურებდა. ომარი სახეგაბრწყინებული მიყურებდა, შექება სიამოვნებდა. მერე ვუთხარი, რომ ამ დღისთვის ლექსი დაგიწერე და ახლა წაგიკითხავ-მეთქი. მთელი დარბაზი გაისუსა.

„მე შენ „შაქარა“ დაგარქვი,
თურმე შენ გერქვა შიო,
აქედან ჩქარა წავიდეთ
ხალხი არ მომიმშიო,
თუ რამე დამრჩა უთქმელი,
იქ გეტყვი, ოჯახშიო.“

ომარი გაშრა, იგი გაცეცხლებული თვალებით მიყურებდა, მთელი დარბაზი ხარხარებდა, ვახუშტი კოტეტიშვილი „ბრავოს“ იძახდა ხმამაღლა, იგი ხომ კაფიობის ოსტატი იყო.

ერთი ასეთი ამბავიც მახსენდება: პარიზში, სახელგანთქმულ საკონცერტო დარბაზ „ოლიმპიაში“, „რუსთავმა“ 12 კონცერტი გამართა. ერთ-ერთი კონცერტის დროს მე და ანზორ ერქომაიშვილი ანსამბლს პარტერიდან ვადევნებით თვალს. უნდა შესრულებულიყო ცეკვა „ქართული“, რომელსაც განუმეორებელი მოცეკვავეები იამზე დოლაბერიძე და ფრიდონ სულაბერიძე ასრულებდნენ. აი, გაისმა დუდუკის ხმა, სცენაზე ქართული ცეკვის რაინდი ფრიდონ სულაბერიძე გამოჩნდა, იგი სცენის მოპირდაპირე მხარეს გაემართა, რომ ქალი გამოიწვიოს და რა ხდება? — იამზე არ ჩანს. მე გავშრი. ფრიდონმა ერთი წრე დაუარა, ქალი კვლავ არ ჩანს, დაუარა მეორე წრე, იამზე კვლავ არ არის, მე კინაღამ გადავირიე, რადგან ცეკვა იშლება, დარბაზი ხალხითაა გაჭედილი და შესცქერის მარტოხელა რაინდს, რომელიც მესამე წრეზე წავიდა. ამ დროს ერთმა მოცეკვავე გოგონამ, თინიკო გურამიშვილმა, იმარჯვა, იგი სცენაზე გავიდა და ფრიდონს გამოეცეკვა, ფრიდონმაც იმპროვიზებულად შეცვალა ცეკვის ნახაზი და იგი თინიკოს მოხდენილ სელას მოარგო. ცეკვა გასწორდა და მშვიდობიანად დასრულდა. ხალხმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა შემსრულებლები, მაგრამ მე კინაღამ გაეთავდი. ვერაფრით მივხვდი რა მოხდა. შესვენებაზე ყველაფერი გაირკვა. თურმე იამზე კულისისკენ გარბოდა საცეკვაოდ და გზაში რამინ მიქაბერიძეს შეეფეთა, მათ ერთმანეთს გზა არ დაუთმეს და თავებით შეასკდნენ. როცა ფრიდონ სულაბერიძე სცენაზე მარტო დასრიალებდა, იამზეს თურმე გულწასულს ასულიერებდნენ. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა და მაყურებელს არაფერი შეუტყვია.

კელაპტრიშვილს ეს ამბავი მხედველობიდან არ გამოპარვია, ხელად ლექსი „გამოაცხო“ და დაზარალებულებს „ჯიუტი თხები“ უწოდა.

***

ერთი საინტერესო ამბავიც მინდა გაგიხსენო:

1979 წელს ანსამბლი „რუსთაველი" სირია-იორდანიაში მიიწვიეს. იქ ქართული კულტურის დღეები ტარდებოდა. ამ დღეებს ატარებდა „უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის საქართველოს საზოგადოება". ამ საზოგადოებაში აზიის ქვეყნების განყოფილებას იმ დროს ხელმძღვანელობდა ერმალოზ (ერვანდ) ფხაკაძე.

ჩვენთან ერთად სირია-იორდანიაში გაგზავნეს მაღალი დონის დელეგაცია: ბატონები ვახტანგ ბერიძე, კოტე წერეთელი, ირაკლი ოჩიაური, გურამ ჩიქოვანი და სხვ. მათთან ერთად იყო აგრეთვე რესტორან „არაგვის" შეფ-მზარეული რეზო სარიშვილი, შესანიშნავი პიროვნება, რომელსაც იქ ქართული საშზარეულო უნდა წარედგინა.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი იყო ბატონი ერმალოზ ფხაკაძე, იგი ბრწყინვალედ ფლობდა სომხურ ენას. ჩვენს ანსამბლში იყო ერთი არაჩვეულებრივი პიროვნება, ნიჭიერი მუსიკოსი, ანსამბლის კოლორიტი, შესანიშნავი იუმორით დაჯილდოებული, პურმარილით განთქმული მალხაზ ყარყარაშვილი, რომელიც ავლაბარში გაიზარდა და კარგად ლაპარაკობდა სომხურად. სირიაში გასტროლის წინ ბ-ნი ერვანდ ფხაკაძე დაუმეგობრდა მალხაზ ყარყარაშვილს და გვერდიდან არ იშორებდა. მე მათ ხუმრობით დავარქვი „ერვანდა" და „სერვანდა".

გასტროლების წინ მათ შეიძინეს ძალიან ბევრი სომხური ფირფიტა. მე ვკითხე: მალხაზ, რად გინდა ამდენი სომხური ფირფიტები, ქართული მაინც წაგეეღო-მეთქი. ბატონმა ფხაკაძემ თქვა, რომ ქ. ალეპოში ძალიან დიდი სომხური დიასპორაა და იმათ უნდა ვაჩუქოთო, — მიპასუხა ყარყარაშვილმა.

სირიაში და იორდანიაში საქართველოს კულტურის დღეები შესანიშნავად ჩატარდა. ჩვენ დავათვალიერეთ უამრავი ისტორიული ძეგლი. არასოდეს დამავიწყდება ძველი რომაული ქალაქი პალმირა, სადაც მთელი ღამე გავათენეთ და მზის ამოსვლას შევხვდით. ასეთი სანახაობა იშვიათად გვინახავს. თანაც ბატონმა ვახტანგ ბერიძემ ბევრი გვიამბო ამ უძველესი ქალაქის შესახებ. ჩვენ მთელი ღამე დავდიოდით ქალაქის ნანგრევებში, ეს იყო მართლაც საოცარი შთაბეჭდილება.

დამასკოში არის ციტადელი — ძველი ციხესიმაგრე, რომელიც ქართველმა მკვლევარმა, სსრ კავშირის იქაური საელჩოს თანამშრომელმა, ბატონმა გოჩა ჯაფარიძემ, დაგვათვალიერებინა. ერთადერთხელ აუღიათ თურმე ეს ციხესიმაგრე და ისიც ქართველს. აბრაზე იყო წარწერა: „გიურჯი გიორგი სააკაძე".

ქ. ალეპოში გვაჩვენეს ციხესიმაგრე, სადაც ყოველ წელს იკრიბებიან თურმე მაჰმადიანი ქართველები და ატარებენ რიტუალს, — წითელი საღებაებით ღებავენ იმ კუნძს, რომელზედაც გიორგი სააკაძეს თავი მოკვეთეს და მერე იწყებენ ლოცვას, რითაც პატივს მიაგებენ დიდი მოურავის ხსოვნას.

არ შეიძლება არ მოვიგონოთ სირიის მოქალაქე, შესანიშნავი ქართველი — ბატონი ლევან საღარაძე, რომელმაც ძალიან დიდი პატივი გვცა. გამომშვიდობებისას მან არაბულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი" გვაჩუქა.

ალეპოში მოხდა ერთი კურიოზი: „ერვანდა" და „სერვანდა" დაუკავშირდნენ

ჭაღების მაღაზიის მფლობელს, ვინმე ჟორესას და შესთავაზეს სომხური ფირფიტები, სანაცვლოდ სთხოვდნენ ძვირფას ჭაღებს, მაგრამ ჟორესამ უარი სტკიცა და ორივე გარეთ გამოყარა.

ასე ეზარალათ „ერვანდას“ და „სერვანდას“ რამდენიმე ასეული სომხური ფირფიტა.

ამაზე ლექსი დავწერე და ავტობუსში წავუკითხე ანსამბლ „რუსთავის“ და ქართული დელეგაციის წევრებს:

იყო ავლაბარს სერვანდა,
მედოლე მაღალხმიანი,
მაღალი, სუსტი, გამხდარი,
დოლ-გარმონ-დუდუკიანი.

და პლეხანოვზე ცხოვრობდა,
„ერვანდა“ — კაცი სვიანი,
„სერვანდას“ მეგობარი და
ხინკალ-ქაბაბის ტრფიალი.

„ერვანდამ“ უთხრა „სერვანდას“ —
შემოგველია ფული,
სირიაში რომ მივდივართ,
ასე მკარნახობს გული:

იქ დიდი დიასპორაა,
სომხური, ძველებური,
მათ სიმღერები წავუღოთ,
სომხურ ენაზე თქმული.

მსოფლიოს გავაგებინოთ,
სომხურ მუსიკის სული,
ჩვენ „პლასტინკები“ გავყიდოთ,
„ჰამაც“ ვიშოვოთ ფული.

ბევრი „პლასტინკა“ წაიღეს,
ჩამოურიგეს მასებს,
და ნიშნად სიყვარულისა
იაფი დაუფასეს.

ძმური სალამი გადასცეს,
შეხვდნენ იქაურ გმირებს

და მამაპაპურ სომხურით
სომხებიც გააკვირვეს.

ქალაქ ალეპოს „სერვანდა“,
ჟორესას „ჩაეზრასტა“
„სომხურ სიმღერებს გაჩუქებთ,
გვაქვს ფირფიტების დასტა.

სანაცვლოდ ჭაღებს ავიღებთ,
ძველებურს ანტიკვარს და
ახალი ჭაღი არ გვინდა,
თბილისში ჩამოფასდა“.

ჟორესამ ცერად შეხედა,
„ერვანდა“ — „სერვანდასა“,
შეავატყვე, მათი „სიფათი“
ნამდვილად არ „ევასა“.

ქუჩაში გადაუყარა,
სომხურ „პლასტინკის“ დასტა,
ორთავე გარეთ გაყარა,
არ დაეკითხა სხვას და
თითო პანღურიც ამოჰკრა,
გამოუცხადა ბასტა.

ატყდა საერთო სიცილ-ხარხარი, „ერვანდა“ და „სერვანდაც“ გულიანად იცინოდნენ.

ეჰ! დაუვიწყარი იყო, არის და იქნება ჩემი გატარებული ცხოვრება იმ ულამაზეს ანსამბლში, რომელსაც „რუსთავი“ ჰქვია.

თეიმურ ჟამბაკიძე (მოცეკვავე)

საქართველოში კონცერტების შემდეგ ხშირად იმართებოდა ეგრეთ წოდებული „მესამე განყოფილება“, ანუ ბანკეტები. ერთ-ერთი კონცერტის წინ გორში ჩვენმა მომღერლებმა გაგვაფრთხილეს, რომ მასპინძლები კონცერტის შემდეგ რესტორანში გვეპატიჟებოდნენ. ამიტომ სავახშმოდ არაფერი მოგვიმარაგებია. კონცერტი გვიან დამთავრდა, მასპინძელი არსად ჩანს, არადა, ყველაფერი დაკეტილია, თანაც ყველას ძალიან გვშია. მიველით სასტუმროში. უცებ თემურ გურგენიძემ შეგვიყვანა თავის ნომერში და შემოგვთავაზა უპურმარილო ქეიფი — მარტო წყლით. იდეა მოგვეწონა (მეტი რა გზა გექნდა), დავიდგით წყლიანი გრაფინი, ცარიელი თეფშები და გაჩაღდა „ქეიფი“ ტრადიციული სადღეგრძელობით, სიმღერებით. ჩვენი ნომრიდან ისმოდა ხმები — „ხაშლამა გადმომაწოდე, გაციედა გოჭი და მწვადი,

მიირთვი ხაჭაპური, გადაიღე თევზი“.

კუჭმა ყველა შეაწუხა, მოშიებული მოცეკვავეები მორიდებით აკაკუნებდნენ კარებზე, ჩვენ დაგვიანებით ვულებდით კარებს და თან მათ გასაგონად ვამბობდით ხმამაღლა — „გადამალე ღვინო, ქათამი და ხაჭაპური. შემოსული მოშიებული მოცეკვავეები გაკვირვებით უყურებდნენ ცარიელ მაგიდას: — როდის გადამალეს პურმარილიო — ფიქრობდნენ. შემდეგ ჩვენ ვუტყდებოდით, რომ არაფერი გვქონდა და ქეიფის იმიტაციას ვაკეთებდით. ამაზე გულიანად ხარხარებდნენ და გვიერთდებოდნენ უპურმარილო ქეიფში. ნახევარ საათში მთელი ანსამბლი შემოვიდა და დილამდე „ვიქეიფეთ“ ცარიელი თეფშებითა და ერთი გრაფინი წყლით.

ყველას ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ მაგარ „პახმელიაზე“ ვიყავით, ამიტომ უთენია გავვარდით ლუდზე და ხინკალზე.

ᲛᲘᲨᲐ ᲛᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ (ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔ)

მოცეკვავეებს ჩვენად აქვთ ვინმეს გამასხარაევება. ერთხელ რუსთაველში კონცერტი იყო დანიშნული. კონცერტის წინ გენერალურ რეპეტიციაზე დემონა შუბლაძემ ვითომ სხვათა შორის თქვა: გაიგეთ? ბიჭებო, მოცეკვავეებზე სამი ნობელის პრემია მოსულა, ერთს რეზო მორჩილაძეს აძლევენ (ანსამბლის დირექტორი), მეორეს მალხაზ მორჩილაძეს (რეზოს ვაჟი) და მესამეს თურმე თემურ გურგენიძესო (რეზოს ნათესავი).

როგორც კი ამას ყური მოჰკრა შესანიშნავმა მოცეკვავე — სოლისტმა, რენცო ბახტაძემ, გულმოსულმა მიატოვა რეპეტიცია და რეზო მორჩილაძის კაბინეტში შევიდა.

— რატომ არა ხარ რეპეტიციაზე, რამე ხომ არ მოგივიდა? — შეეკითხა რეზო.

— მე, გიორგევიჩ, ყველაზე ასაკოვანი და დამსახურებული მოცეკვავე ვარ ანსამბლ „რუსთაველში“, ამიტომ თუ რაიმე პრემია ან ჯილდო მოვა ანსამბლის სახელზე, ერთ-ერთ პირველს მე მეკუთვნისო, — უპასუხა რენცო ბახტაძემ.

რეზო მორჩილაძე შეწუხდა: — კი მაგრამ, რითი ხარ უკმაყოფილო, რენცო, რა ჯილდო მოვიდა ანსამბლზე ისეთი, რომ შენ არ მოგეცით?

— რა და ნობელის პრემიები მოსულა ანსამბლის სახელზე, თქვენ კი გეკუთვნით, მარა თქვენს ვაჟსა და ნათესავებს რატომ ურიგებთ? — ნაწყენი ტონით უპასუხა ბახტაძემ.

რეზო მორჩილაძეს ხარხარი აუტყდა და კინაღამ სკამიდან გადავარდა. შემდეგ რეპეტიციაზე მოვიდა და გაგვაფრთხილა, კონცერტის წინ ასეთ ხუმრობებს თავი დაანებეთ, თორემ ზოგიერთს ცეკვის ხალისს უკარგავთო.

ᲒᲘᲕᲘ (ᲙᲐᲙᲣᲩᲐ) ᲐᲠᲡᲝᲨᲕᲘᲚᲘ (ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔ)

1971 წელს ესტონეთში ქართული კულტურის დღეები ჩატარდა. კონცერტები დიდი წარმატებით მიდიოდა, შემდეგ მდიდრული ბანკეტები იმართებოდა, რომელზეც ისეთი ცეკვა-თამაში გაჩაღდებოდა, რომ ხშირად ქეიფი დილამდე გრძელდე-

ბოდა. განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა ჰამლეტ გონაშვილს როგორც სცენაზე, ისე ბანკეტზეც.

ერთხელ, კონცერტის შემდეგ, გვარიანად მოვულხინეთ, რადგან მეორე დღეს კონცერტი არ გვქონდა. დილით ანსამბლი ექსკურსიაზე წაიყვანეს. ჩვენი აეტობუსი ბორანზე ავიდა, ჩვენ მაღლა გემბანზე აველით, იქიდან ულამაზესი სანახაობა გადაიშალა. ბიჭებს სასმელი წამოეღოთ, ჩვენ ვათვალიერებდით გარემოს, თან ცოტ-ცოტას ვწრუპაედით და „პახმელიიდან" გამოედიოდით. იქვე იყო ჰამლეტ გონაშვილი. მან არ დალია, ხვალ ფორმაში უნდა ვიყოო.

მე გვარიანად შევზარხოშდი, სიმღერა მომინდა და მაინცდამაინც „წინწყარო" წამოვიწყე. არავინ ამყვა, მაშინ მეორედ წამოვიწყე, მაგრამ ამაოდ, ისევ არავინ წამომეშველა და როცა ჩემი ჩახრენწილი მჩხაუანა ხმით „წინწყარო" მესამედ წამოვიწყე, ჰამლეტს, ეტყობა, შეეცოდე, მობრუნდა ჩემსკენ და თავისი ღუღუნა ხმით პირველი შემაშველა. მე წელში გავიმართე, ყელი მოვიღერე და კაი პარტნიორივით გავაგრძელე სიმღერა, ანსამბლის წევრები სიცილით იხოცებოდნენ. ასე გაგრძელდა ცოტა ხანს, მერე ვეღარ გავუძელი ჰამლეტის ჩახვევებს და ტონალობიდან ამოვეარდი. ჰამლეტი არ დაიბნა, იგი თან გამომყვა და სიმღერა სხვა ტონალობაში დავამთავრეთ. ხალხმა ტაში დაგვიკრა. ჰამლეტი მომეხვია და მითხრა: კაკუჩ, კარგად მღერიხარ, მაგრამ სხვაგან ჩემს გარეშე ეგ სიმღერა არ იმღერო, თორემ შეიძლება ბოლომდე ვერაინ გაგყვესო.

კიდევ ერთი ამბავი მინდა გაგიხსენო:

1975 წელს ჩვენი ანსამბლი ესპანეთში იმყოფებოდა საგასტროლოდ. ზაფხული იყო და დიდი სიცხის გამო კონცერტები გვიან ღამით ღია ცისქვეშ იმართებოდა. ერთხელ, მორიგი კონცერტის წინ, ანსამბლის წევრები პარკში სეირნობდნენ. ჰამლეტ გონაშვილი ყველა ხესთან ჩერდებოდა, აკვირდებოდა და მის წარმომაელობას კითხულობდა. ბიჭებმა იცოდნენ ჰამლეტის გატაცება ბუნებით და მას სიყვარულით „მინდია" შეარქვეს. უცებ ჩემთან მოვიდა ომარ კელაპტრიშვილი და მთხოვა, რომ ბუჩქებში დავმალულიყავი და სტვენით გამემეორებინა მელოდია, რომელსაც თეითონ დაუკრაედა სალამურზე. თურმე მას ჰამლეტისთვის უთქვამს, რომ ამ პარკში საოცრად მუსიკალური ჩიტები არიან და, საერთოდ, ესპანეთი ასეთი ფრინველებითაა განთქმულიო. ჰამლეტი — ეს დიდებული მომღერალი ბაუშვიეით გულუბრყვილო იყო და რასაც ეტყოდნენ, ყველაფერს იჯერებდა.

ვხედავ, ომარი და ჰამლეტი ჩემკენ მოდიან და რაღაცაზე კამათობენ. მე ბუჩქებში დავიმალე. ომარმა სალამური ამოიღო და მარტივი მელოდია დაუკრა. მე სტვენა კარგად მეხერხებოდა და მელოდია ზუსტად გავიმეორე. ჰამლეტი გაჩერდა და ხეებს დაუწყო თვალიერება, მაგრამ ღამე იყო და, ცხადია, ვერაფერს გაარჩევდა. გაოგნებული ჰამლეტი კარგა ხანს იდგა გაურკვეველ მდგომარეობაში, მერე ომარს სთხოვა მელოდია გაემეორებინა. ომარმა ახლა სულ სხვა მელოდია დაუკრა, მე ისევ ზუსტად გავიმეორე. ჰამლეტი ისევ გაოგნებული იყურებოდა აქეთ-იქით, მერე ომარს შესთავაზა, რომ სხვა მხარეს წასულიყნენ და ისევ დაეკრა რომელიმე მელოდია. მე ჩუმად გავყევი მათ შორიახლო და ერთ-ერთ ხეს ამოვეფარე.

ომარი შეჩერდა და ისევ დაუკრა მელოდია, მე მათკენ ზურგით შევტრიალდი და ისე დავუსტვინე, თითქოს მელოდია შორიდან ისმოდა. ჰამლეტი ადგილს ველარ პოულობდა და ხელების აქტიური ჟესტიკულაციით ომარს რაღაცას უმტკიცებდა. ომარმა ჰამლეტს შეახსენა, რომ უკვე კონცერტი იწყებოდა. ისინი სცენისკენ გაემართნენ. მე სხვა გზიდან წავედი და მათ სცენაზე დავხვდი. ჰამლეტმა მთელი ანსამბლი შეკრიბა და აღფრთოვანებული უყვებოდა ყველას, თუ როგორი მუსიკალური ფრინველები ბუდობენ ამ პარკში და ომარის მიერ სალამურზე შესრულებული მელოდია ჩიტებმა როგორ შეუცდომლად გაიმეორეს. ჰამლეტი თან დედას იფიცებდა და აღტაცებული ამბობდა, რომ რამდენი ქვეყანა მოუვლია, მაგრამ ასეთი რამ არსად უნახავს. კელაპტრიშვილი სერიოზული სახით დაემოწმა ჰამლეტს და ანსამბლის დირექტორს, რეზო მორჩილაძეს, მიმართა, რომ იქნებ ზოოპარკში შეეძინათ და საქართველოში მოემრავლებინათ ეს გასაოცარი იმიტატორი ჩიტები.

ზუსტად ვერ ვიხსენებ, ვისი სიტყვებია, მაგრამ კარგად კი არის ნათქვამი: დიდი შემოქმედნი ბოლომდე ბავშვები რჩებიანო.

სალიეერ ვადაჭკორია (მომღერალი)

ანსამბლ „რუსთაველში“ დაარსების დღიდან ვარ. მეუღლე მოგვიანებით, 37 წლის ასაკში, შევირთე. ამის გამო ოჯახში ნერვიულობდნენ, ანსამბლშიც ხშირად მტუქსავდნენ, მაგრამ ნუგეშად ისღა მქონდა, რომ ჩვენი ლიდერი, „საქართველოს ბულბული“ ჰამლეტ გონაშვილი 44 წლის ასაკში ჯერაც უცოლო იყო. ჩვენი უცოლობა ანსამბლში ხშირად ხუმრობის საგანი გახლდათ. ერთხელ ანსამბლის კარის პოეტმა ომარ კელაპტრიშვილმა ჰამლეტს სუფრაზე პირდაპირ რომ ვერ აკადრა, ექსპრომტით თითქოს მე გამაქილიკა და ამ დროს არც ჰამლეტი დაინდო:

„სალიეერ ვადაჭკორია
კაცია დავლათიანი,
სუფრისა თავში დაჯდება,
სიტყვა მოუდის ფრთიანი.
შეიძრა მთელი ქვეყანა,
დადის მრავალი ჭორია, —
„ე, ბიჭო, სთხოვე გონაშვილს,
მოგაყვანინოს ცოლია“.

* * *

ერთხელ თელავში კონცერტი გვქონდა. სასტუმროდან გამოვედით და რამინ მიქაბერიძეს ველოდებით, რომელიც ამ დროს თაეის ნომერში ხმას აკარჯიშებდა და ხმამაღლა მღეროდა გამებს: „მი-ი-ი-ი- ა-ა-ა-ააა!“ იქვე, ეზოში, პატარა ბავშვები ქვიშაში თამაშობდნენ. ბავშვები რამინის გამებით დაინტერესდნენ, ქვიშას თავი ანებეს და ფანჯრების ახლოს მიუცუცქდნენ; ვერ გაეგოთ, რა ხმა გამოდიოდა. ერთი პატარა ბიჭუნა თანატოლებს მიუბრუნდა და, თავდაჯერებულმა, განუმეორებელი კახური ინტონაციით თქვა: ი! ბაალე-ტია!

თელავმა ერთი ამბავიც გამახსენა: კონცერტის დაწყების წინ ქუჩებში დავსეირნობდით. ერთი თმაგაბურძგნილი, საოცრად კოლორიტული გარეგნობის 3-4 წლის ბიჭუნა თავის ჭიშკართან იდგა, ლაჯებში რეზინის მილი ამოედო და ყვაიელებს რწყავდა. ჩვენ მიეუახლოვდით. ბიჭუნას ჩვენთვის ყურადღება არ მიუქცევია, ცალი ხელით ტიტლიკანა ტანზე დახვეულ აბეზარ ბუზებს იგერიებდა, მეორეთი კი სურნელოვან ვარდს უსხამდა წყალს.

„გამარჯობა, ბიჭი, შენი!“ — ხმამაღლა, ხალისიანად მიესალმა ლადო წივწივაძე. ბუზებისგან თავგაბეზრებული ბიჭი ჩვენკენ მობრუნდა, გაბურძგნილ თავზე სველი ხელი გადაისვა და ლადოს შემოუტია: ი! დაიკარგე აქედანა, რა დროს ჩემი გამარჯობაა? ვერა ხედავ, პატარა ვარ!

ჩვენ ვხარხარებდით, ბიჭუნა მშვიდად მიბრუნდა და თავისი საქმე განაგრძო.

მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა, ვინ იცის. პატარა ბიჭი კი ახლაც თვალწინ მიდგას და ღიმილს მგვრის. დარწმუნებული ვარ, უთუოდ კარგი, მართლაც გასამარჯებელი ვაჟკაცი დადგა და, წერილშვილი გარშემორტყმულს, ალბათ აღარც ახსენდება ვიღაც უცნობი ძია, რომელსაც პატარაობაში ჯიქურ შეუტია.

ლათო გველესიანი (მომღერალი):

1987 წელს საგასტროლოდ გავემგზავრეთ გერმანიაში. ბონში კონცერტი საბჭოთა საელჩოში უნდა გაგვემართა. კონცერტის დაწყების წინ ყელის ტკივილი დამეწყო და გავნერვიულდი. ბედად, საელჩოს შენობაში თეთრხალათიანი კაცი დაეინახე და დახმარებისთვის მივმართე. მან კეთილად გამიღიმა, კარადიდან რაღაც ორი ტაბლეტი გამოიღო, გამომიწოდა და მითხრა:

— აი, ეს მიიღეთ და მორჩებით.

— როგორ, ორი ტაბლეტი ერთად? — ეკითხე მე.

— დიახ! — მიპასუხა სრულიად დაჯერებულმა.

სხვა რა გზა იყო, დაველიე.

ნახევარ საათში კონცერტი დაიწყო. ისეთი ძილქუში დამაწვა, რომ სიმღერის დროს ნუგზარ გელაშვილი ბალიშად მეჩვენებოდა. კიდევ კარგი, მთქნარება ვერავინ შემამჩნია. კონცერტს ძლივს გავუძელი.

დამთავრებისთანავე იმ თეთრხალათიან კაცთან მივედი და ვკითხე:

— უკაცრავად, ექიმო, მაგრამ ეს რა წამალი მომეცით.

— დიმედროლი, — მიპასუხა და ღიმილით დასძინა, — საერთოდ, მე ექიმი არ გახლავართ, მზარეული ვარ, ისე აქ ყველანი ამ წამლით ვმკურნალობთო.

ნუგზარ გელაშვილი (მომღერალი)

იტალიაში გასტროლების დროს ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელ ბატონ ჯანსულ ჩარკვიანთან ერთად ერთი პატარა ქალაქის ლუდის ბარში შევედი. იმ დღეს მთელი ქალაქი სტადიონზე მიიჩქაროდა. ბარმენი მიხვდა, რომ ჩვენ მალე წამსვლელები არ ვიყავით, არადა მასაც სტადიონზე ეჩქარებოდა. რა ექნა, ბარი ჩვენ დაგვიტოვა.

მე მასპინძლის ნდობით ვისარგებლე, ბარმენობა შევიფერე და ბატონ ჯანსულსაც მოვემსახურე და ჩემ თავსაც.

თამაშის შემდეგ ბარმენი დაბრუნდა და დიდად გაიხარა, ჩვენ მიერ დაცლილი ბოთლების რაოდენობა რომ ნახა!.. თვითონაც შემოგვიერთდა და სამივემ ერთად გავაგრძელეთ ქეიფი...

წასვლა დავაპირეთ, ჯანსულმა ჯიბეზე გაიკრა ხელი. ბარმენმა შეიცხადა: როგორ გეკადრებათ, თქვენ ისეთი ფეხი გქონიათ, რომ დღეს ჩვენმა ფეხბურთელებმა ერთი თვის განმავლობაში პირველად მოიგეს თამაში, ფულს როგორ გადაგახდევინებთ, — ჩვენ იტალიელები ვართო! ჯანსულმა უთხრა: ჩვენ კი, ბატონო, ქართველები ვართ, ქართველები! და ამას მოჰყვა სიმღერა „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა“...

ჩვენმა იტალიელმა მასპინძელმა სულ სიმღერა-სიმღერით გამოგვაცილა ფეხბედნიერი სტუმრები.

ამირან გოლიაძე (მოამღერალი)

1989 წელს ჩავფრინდით ტოკიოში. აეროპორტში „იამაშიროგუმის“ გუნდის წევრები „მრავალჟამიერით“ დაგვხვდნენ. მათ ყვაელები მოგვართვეს. ერთმა ახალგაზრდამ სიყვარულით გადამხვია ხელი, იგი იღიმებოდა და ისედაც წვრილი თვალები კიდევ უფრო ეჭუტებოდა, მე სახელი ვკითხე. — „სიმინდის ტარო სან“, — მითხრა მან და „ხასანბეგურა“ წამომიწყო. მე მისი სახელი, ცხადია, იოლად დავიმახსოვრე. ჩვენ შემდეგში მაგრად დავმეგობრდით. იაპონელები არაჩვეულებრივ შეხვედრებს გვიწყობდნენ, კონცერტებზე თან დაგვყვებოდნენ და ჩვენთან ერთადაც მღეროდნენ. კონცერტების შემდეგ ვახშამზე გვეპატიჟებოდნენ და რესტორნებიდან დილამდე ქართული სიმღერები ისმოდა. „ამირან სან“, — დამიძახებდა ჩემი მეგობარი, — „სიმინდის ტარო“, — შეევხმიანებოდი მე და მერე ჩემი ნაჩუქარი ყანწებით ბოლომდე „ვახტანგურით“ ვსვამდით „საკეს“, თან ცერა თითზე ვიწურავდით არყის წვეთებს. ასე გაგრძელდა თითქმის ერთ თვეს. მერე „იამაშიროგუმი“ თბილისში ჩამოვიდა და ახლა მე და „სიმინდის ტარო“ კახურ ღვინოს ვიწურავდით ცერა თითზე. რამდენჯერმე, „პახმელიაზე“ მყოფი, ხაშით და ჩვენებური „ჭაჭით“ გამოვიყვანე მდგომარეობიდან.

იაპონელები თვალცრემლიანები გავაცილეთ აეროპორტში იმ იმედით, რომ მომავალ წელს ისევ შევხვდებოდით ერთმანეთს ტოკიოში.

ერთი წლის შემდეგ ისევ ჩავედით ტოკიოში. „იამაშიროგუმის“ გუნდის წევრები ისევ დაგხვდნენ აეროპორტში, ჩვენ ისევ ერთად დავაგუგუნეთ „ხასანბეგურა“, მაგრამ „დამწყები“ სხვა იყო. მე მოვიკითხე ჩემი მეგობარი „სიმინდის ტარო“, მაგრამ ვერსაც ვნახე. როგორც შემდეგ გაირკვა, იგი ლოთობისათვის გაეგდოთ ანსამბლიდან. საწყალი „სიმინდის ტარო“! ანსამბლიდან გააგდეს, მე კი — მისი გამლოთებელი — ქე დავრჩი „რუსთაველში“.

* * *

გვიან ღამით ანსამბლი „რუსთავი“ ალჟირში ჩაფრინდა. დაგვაბინაეს ზღვის პირას, თეთრად შეღებილ, ორადგილიან კემპინგებში. მე და ომარ კელაპტრიშვილი ერთ ოთახში მოვხვდით.

შუაღამეა. სიცხისგან ვიწვით. აივნექი, აბაზანაში შეველი, შხაპი მივიღე, მერე პირსახოცით თავზე არაბული ჩალმა გავიკეთე. ტანზე ზეწარი მოვისხი, არაბული სტილის შავი ულვაშები მამშვენებდა და სარკეში რომ ჩავიხედე, თავი იასირ არაფატი მეგონა. საძინებელში ომარს გამოვეცხადე. შეშინებულმა „ვაი დედაო“ შეჰყვირა. და რომ შემიცნო, სიცილით კინაღამ გაიგუდა.

ჩვენს გვერდით კემპინგში მოთავსდნენ რამინ მიქაბერიძე და ზურიკო ნინუა. მე გავედი და იმათ კარებზე მივაკაკუნე. კარები ზურიკომ გამიღო და რომ დამინახა, უკან დაიხია.

— „ვინაა ბიჭო“?! — შეეკითხა რამინი.

— რა ვიცი ვიღაც ააარაბია - უპასუხა ზურიკომ

— „მიეცი ხაჭაპური და გააგდე გარეთ მაგის დედაც!!!“

არაბულად თავი დავხარე, რაღაცას ვბურდღუნებ და ალახ, ალახს გავიძახი. თან მაგიდისკენ მივიწევ ნელ-ნელა, სადაც ზურიკოს და რამინის საჭმელ-სასმელი აწყვია ბლომად. მე ავიკეცე ზეწრის კალთა, ყველაფერი შიგ ჩავალაგე და ალაჰ, ალაჰის ძახილით დინჯად გამოვედი გარეთ.

მეორე დილას მე და ომარმა მშვენიერი სუფრა გავშალეთ, თან ბიჭებიც მოვიპატიჟეთ მათ შორის დაზარალებულებიც იყვნენ, ისინი ყვებოდნენ, თუ როგორ წაართვა ვიღაც არაბმა ყველაფერი, თან უშვერი სიტყვებით აგინებდნენ მას, ანუ — მე.

* * *

ალჟირში ულამაზეს ადგილას ვცხოვრობდით, ტბის პირას, რომელსაც შესანიშნავი პლაჟი ჰქონდა. კონცერტები სიცხის გამო გვიან ღამით იწყებოდა, ამიტომ ანსამბლის წევრები მთელი დღე წყალში ჭყუმპალაობდნენ და მჭადის ფქვილივით თეთრ ქვიშაზე იღებდნენ მზის აბაზანებს.

ერთ დღეს პლაჟზე მიმავალმა ცერის ტოლა გოლიათი ჭიანჭველების ქარავანი შევნიშნე. იქვე ახლოს ჩემს მეგობარს, ლადო წიფწიაძეს, ეძინა და მზეზე იტრუსებოდა. მე გავედი ოთახიდან, შაქრის ფხვნილი გამოვიტანე, ჭიანჭველებს წინ დაეუყარე და გზა გაეუკეთე ლადოსკენ, რომელსაც ფეხებს შუა ერთი მუჭა შაქრის ფხვნილი ჩაეუყარე. გოლიათი ჭიანჭველები შეიკრენ და მუჭის სიმსხო შავი გველივით ლადოსკენ გაემართნენ.

მე პლაჟზე წავედი და ბიჭებს ყველაფერი ვუამბე. ცოტა ხანში გვესმის განწირული ბღავილი, დედიშობილა ლადო აწყვეტილი მოზვერივით მორბოდა წყლისაკენ. გოლიათმა ჭიანჭველებმა კინაღამ გამოჭამეს ერთი ადგილი.

* * *

„რუსთაველი“ საფრანგეთში მიემგზავრებოდა საგასტროლოდ. მოსკოვის აეროპორტის საბაჟოზე ახალდადგმული იყო ლითონის თაღი. როცა გაივლიდი ამ თაღის ქვეშ, თუ ჯიბეში რაიმე ლითონის ნივთი გედო, აპარატი მაშინვე ხმოვან სიგნალს გამოსცემდა. მე ამ სიგნალის ხმა დავაფიქსირე.

ჩემს წინ ერთი მომღერალი გავიდა, აპარატმა „დაუსტვინა“. მომღერალი მოაბრუნეს, პიჯაკი გახადეს და ისევ გაატარეს ლითონის თაღქვეშ. აპარატმა კვლავ დაუსტვინა, ახლა პერანგი გახადეს, მერე ფეხსაცმელები, მერე შარვალი, ფოტოაპარატიც ჩამოართვეს, მაინც უსტვენდა და უსტვენდა. მებაჟეებმა გადაწყვიტეს მისი რენტგენზე გატარება. ოქროულობა ხომ არ ჩაყლაპაო, მაგრამ როცა ჩემი მეგობარი ტრუსებში დარჩა, მხოლოდ მაშინ შეწყვიტა აპარატმა სტვენა. მებაჟეები გაოგნებულები ატრიალებდნენ ხელებს და ვერ გაეგოთ, რა მოხდა. ჩემი მეგობარიც უხალისოდ იცმევდა ტანსაცმელს და ფიქრობდა, რა დააშავა ასეთი, რომ მებაჟეებმა კინაღამ დედიშობილა დატოვეს.

რა იცოდნენ იმ საცოდავებმა, რომ აპარატის მაგიერად მე ვუსტვენდი.

ტარიელ ამამუკელი (მოცეკვავე)

გერმანიაში ერთ-ერთი გასტროლის დროს ფრიდონ სულაბერიძესთან მოვიდნენ იქაური ბალეტის მოცეკვავე გოგონები და სთხოვეს მათთვის რამდენიმე გაკვეთილი ჩაეტარებინა. ფრიდონი დასთანხმდა და მათთან მეცადინეობას შეუდგა. ჩვენ დარბაზიდან ვადევნებდით თვალს. ფრიდონი არაჩვეულებრივი ოსტატობით გოგოებს აჩვენებდა ქართულ ილეთებს, ისინიც შეძლებისდაგვარად იმეორებდნენ მათთვის უჩვეულო მოძრაობებს. ცეკვა „სამაიაში“ გოგონები ხელებს მაღლა სწევენ და ე. წ. „ირმულა“ მოძრაობას აკეთებენ. ფრიდონს თარჯიმანი არ ჰყავდა და ვერაფრით აუხსნა გოგოებს, როგორ გაეკეთებინათ ილეთი. ე, ბიჭო, ვინმე მომეხმარეთ და უთხარით ამ გოგოებს, რომ ხელები მაღლა ასწიონ, — გვითხრა ფრიდონმა. მაშინ მამუკა ქართველიშვილი ფეხზე წამოხტა და გამყინავი ხმით დასჭყივლა: „ჰენდე პოხ!“

***

კასაბლანკაში გასტროლების დროს ძალიან ცხელოდა. ანსამბლის ხელმძღვანელობამ შუადღისას პლაჟზე გასვლა აგვიკრძალა. მე მაინც გავიარე, ვინმე ჩვენიანი ხომ არ დარჩა-მეთქი. ვხედავ, ფრიდონ სულაბერიძეს ჩასძინებია და წითლადაა „შებრაწული“, გავაღვიძე და სასტუმროში მოვიყვანე. ფრიდონს მთელი ტანი და თავი ეწვოდა. იქაურმა გიდმა გვასწავლა სასწრაფოდ პომიდორი წაუსვით ტანზეო. მე გავიქეცი რესტორანში და მაცივრიდან ამოღებული პომიდორები ამოვიტანე, მერე შუაზე გავჭერი და ფრიდონს მთელ ტანზე წავუსვი. როცა მელოტ თავზეც ვუსვამდი, პომიდორიდან წვენთან ერთად მთელი თესლიც გადმოვიდა და ფრიდონს თავზე დაეწება. მე ვუთხარი ამას ხელი არ ახლო დილამდე ასე უნდა იყოს-მეთქი.

— ხომ არ გაგიჟდი, დილამდე ჩითილები ამომივა თაეზეო, — მითხრა ფრიდონმა.

* * *

აფრიკაში, გვინეაში, გახლდით გასტროლებზე. ზოოპარკში წაგვიყვანეს. მე და ფრიდონ სულაბერიძე ლომებთან ვიყავით, რომ უცბად გორილის საზარელი ღრიალი შემოგვესმა, — ნაღდად ჩვენები დაუშავებდნენ რაღაცასო, — თქვა ფრიდონმა და იქეთკენ გავიქეცით, საიდანაც გორილის ხმა ისმოდა. მივედით და რას ვხედავთ, ჩვენს მედოლეს მალხაზ ყარყარაშვილს ხელში ბამბუკის ჯოხი უჭირავს და გორილას გამეტებით ურტყამს, ის კიდევ ღრიალებს და ლამობს გამოამტვრიოს გალია, რომ მალხაზს საკადრისი პასუხი გასცეს, მაგრამ ვერ ახერხებს. ძლივს დააშომშინეს. თურმე რა მოხდა; მალხაზს შაჲი შორტები ეცვა და გორილაზე ნაკლებ არ იყო გაბანჯგვლული. გორილამ იგი თავისიანად მიიღო და ხელიც კი გამოუწოდა. მალხაზმა ჯერ ხელი ჩამოართვა, მერე შეულიტინა და ბოლოს უხერხულ ადგილზე მაგრად უჩქმიტა. ამაზე გორილა გაბრაზდა და მალახაზს ისე შეაფურთხა, რომ მთელი სახე დუჟით დაუფარა. მაშინ მალხაზმა მოტეხა ბამბუკის ჯოხი და გორილას სახეში უთავაზა. მალხაზი ისე იყო გამწარებული, რომ, როცა გალიას მოაშორეს, გორილას მუშტებს უღერებდა და სულ აჲლაბრულ სომხურად აგინებდა, თითქოს მაიმუნი მარტო აჲლაბრელი სომხების წინაპარი ყოფილიყო. მოკლედ, ჯარიმას იმით გადაერჩით, რომ ზოოპარკის ხელმძღვანელობა საღამოს კონცერტზე დავპატიჟეთ.

* * *

ამერიკაში დელფინარიუმში დაგვპატიჟეს. დელფინები საოცარი ოსტატობით ამოხტებოდნენ წყლიდან, კუდზე დგებოდნენ და იშვიათ მოძრაობებს აკეთებდნენ. მერე ისევ ამოდიოდნენ წყლიდან და მაღალ ნახტომში რგოლებში ძერებოდნენ. ფრიდონ სულაბერიძე, დელფინების ოსტატობით მოხიბლული, აღტაცებული უკრაუდა ტაშს. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: ბიჭო, ნახე დელფინები რაებს სჩადიან, შენ კიდევ ორ ტრიალს ვერ აკეთებ და სცენაზე მთხლესავით ებერტყებიო.

***

რაბათის ბაზარში გამყიდველებს დახლზე ეჯდათ მაკაკები, რომლებიც მყიდველებს ხელებზე მისჩერებოდნენ, რომ არაფერი მოეპარათ. გამყიდველი სანაძლეოს დებდა, თუ მაკაკებს რამეს მოპარაედით, საჩუქარს მიიღებდით. მაიმუნების ხელის რამდენიმე მოძრაობა ვაჩვენე, მათ ზუსტად გაიმეორეს, მერე ორიეე ხელი თვალებზე აეიფარე და როცა ესეც გაიმეორეს, დახლიდან მაჯის საათი აეიღე. გამყიდველი გაგიჟდა, ჯერ ჩიბუხი გადმომცა საჩუქრად, შემდეგ თაეისი მაკაკები მაგრა გაწკეპლა.

* * *

ბრიუსელში ერთი კონცერტი ცირკის არენაზე გვქონდა. უკან თოკები ეკიდა. ბიჭებმა შენიშნეს, რომ ერთ ადგილას, კულისებში „კაკანათი“ იყო დაგებული, თუ ღილაკს ხელს დააჭერდი, თოკი ფეხებზე შემოგეხვეოდა და პაერში აგიტაცებდა. სცენაზე ქალთა ცეკვა „ნარნარი“ სრულდებოდა, ამ დროს გელა ყაველაშვილმა საცეკვაო კოსტიუმი გამოიცვალა, ჩვენს კულისებში მოვიდა და ზუსტად იმ ადგილას დადგა, სადაც „კაკანათი“ იყო მოწყობილი. ვიღაცამ ღილაკს ხელი დააჭირა

და მაყურებელი საოცარი სურათის მოწმე გახდა. სცენაზე გოგოები გედებივით დასრიალებდნენ, ხოლო მათ თაეზე ჩოხაში გამოწყობილი, ორიენ ფეხით მახეში გაბმული გელა ყაველაშვილი თავდაყირა დაფრინავდა.

თამაზ კობახიძე (მოსეკვაევე)

გერმანიაში ერთ-ერთი კონცერტის წინ მე და ტარიელ ამაშუკელი საცეკვაო კოსტიუმს ვიცვამდით. ამ დროს ჩვენი ანსამბლის სოლისტი ზურაბ ნინუა მაღალ რეგისტრში სავარჯიშოებს მღეროდა. მას მართლაც იშვიათი სილამაზის ძლიერი ხმა აქვს. როცა ზურიკომ სავარჯიშოები დაამთავრა, ტარიელმა უთხრა: ზურა, იცი შენი ხმა ვის მაგონებს? აი, იტალიელი მომღერალი რომაა, ძალიან მაგრა მღერის, ოჰ! ღმერთო, გამახსენე, რაღაც ამნაირი გვარი აქვს „ნალეევო“ თუ „ნაპრავო“. — აა! პავაროტი, — უპასუხა ზურიკომ.

* * *

ლიბიაში სასტუმროს წინ ულამაზესი აუზი იყო. მე და ტარიელ ამაშუკელი ერთმანეთს ყვინთაში გავეჯიბრეთ. წყალში ერთად გადავხტით, მაგრამ მე უმალ ამოვყვინთე, მინდოდა ტარიელი მომეტყუებინა. როცა ტარიელმაც ამოყვინთა, დაინახა, რომ მის წინ ვიღაც თავაწეული მიცურავს. ტარიელმა იგი რამდენჯერმე ჩააყურყუმალავა. ვხედავ, უცნობს უნდა გაექცეს, მაგრამ ამაშუკელი არ ეშვება, როგორც კი წყლიდან თავს ამოსწევს, მაშინვე დააწვება თაეზე და ჩააყურყუმალავებს. მე ნაპირზე ვზივარ და სიცილით ვკვდები, მიეხვდი, რომ ტარიელს ის კაცი მე ვგონიარ. ამ დროს რამდენიმე ახალგაზრდა წყალში გადახტა, ჯერ ის კაცი გაოგნებული ამოიყვანეს აუზიან, შემდეგ ტარიელს სტაცეს ხელი, წყლიდან ამოათრიეს და სულ ცემა-ტყეპით წაიყვანეს სასტუმროსკენ.

პოლიციის განყოფილებაში ყველაფერი გაირკვა. ის უცნობი მოცურავე სინამდვილეში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე აღმოჩნდა, რომელიც დაცვის თანხლებით ყოფილიყო საცურაოდ მოსული.

* * *

ერთხელ მოსკოვში სტადიონ „ლუჟნიკებში“ სასტუმროში მოგვათავსეს. მე მომღერალ რამინ მიქაბერიძეს დავეხმარე და მისი მოზრდილი ჩემოდანი მიმქონდა N344 ოთახში. კარგა ხანს ვიარეთ, თითქმის მთელ სტადიონს შემოეუარეთ, მაგრამ რამინის ოთახს ვერ მივაკვლიეთ. ამ დროს მოშორებით ამირან გოლიაძე შევნიშნეთ, რომელიც აგრეთვე თავის ოთახს გამწარებული ეძებდა.

— ამირან, — შესძახა რამინმა, ხომ არ იცი 344-ე ოთახი სად იქნება?

345-ის გვერდით, „იუჟნი ლევიზე“ — უპასუხა ამირანმა.

* * *

საფრანგეთში, ნიცაში, ღია სცენაზე გამოვდიოდით. კონცერტს ბევრი ხალხი ესწრებოდა. დაიწყო ცეკვა „ფარიკაობა“. სოლისტი ნოდარ აბულაძე შავი ნაბდით დაჰქროდა სცენაზე და თავის „გულისსწორს“ ეძებდა. ამ დროს სცენაზე უზარმაზარი შავი ძაღლი ამოვარდა, ნოდარს ნაბადში ეცა და ტანზე გახადა. ნოდარმა ნაბადს ხელი სტაცა, მაგრამ ძაღლი არ ეშვება და ნაბადს თავისკენ ექაჩება. ასე იძიძგილაეეს კარგა ხანს. საოცარი სანახაობა იყო, ხალხი სიცილით იხოცებოდა. ძაღლმა იმძლავრა, ნოდარს ნაბადი გამოგლიჯა და წაიღო. ამ დროს სცენაზე ძაღლის პატრონი ამოვიდა, ძაღლს „ნადაელი“ ჩამოართვა და პატრონს დაუბრუნა. ცეკვა გაგრძელდა, მაგრამ ყველანი შეშინებულები ვიყურებოდით იმ მხარეს, სადაც ძაღლი წაიყვანეს.

* * *

ლენინგრადში „ერმიტაჟს“ ვათვალიერებდით. ერთ-ერთ დარბაზში, სადაც ულამაზესი ფერწერული ტილოები იყო გამოფენილი, მალხაზ ყარყარაშვილს პარკეტი მოეწონა, იგი დაბლა დაიხარა, პარკეტს ხელი გადაუსვა და ფრიდონ სულაბერიძეს მიმართა: — დიმიტრიჩ! ნახე რა პარკეტია!


— ბიჭო, რა იატაკს მისჩერებიხარ „პარკეტჩიკივით“, თავი აწიე და შეხედე, შენს გვარს ჯერ რომ არ უნახავს, ისეთი ნამუშევრებია, — უპასუხა ბატონმა ფრიდონმა.

ანსამბლ „რუსთავის“ საკონცერტო აფიშები






6 20府中グリーンプラザ






Ensemble
RUSTAVI







USTAVI


RUSTAVI


COMPANY
RUSTAVI


Ensemble
RUSTAVI


GÉORGIE
Roustavi
Le
Ballet National
d'Etat




COMPANY
RUSTAVI


Ensemble
RUSTAVI


COMPANY
RUSTAVI


COMPANY
RUSTAVI


COMPANY
RUSTAVI

დაუვიწყარი შეხვედრები



შოთა ბიძინაშვილი, ირაკლი ქარუმიძე და „ბერიოზკა“, ლონდონი, 2007 წ.



მსტოვრის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“ წარმოდგენის შემდეგ, 2008 წ.



ა. წერეთელი, ი. ბაქრაძე, ნ. ნინოშვილი, ა. ჭანტურია, ნ. ლეკიშვილი, ი. ნონეშვილი, ნ. ნონეშვილი, ნ. ნონეშვილი, ნ



„რუსთავის" მეომარლეგიონი სტუმრად მეორად ბირთვნიშნიულთან, 2009 წ




ზურაბ სოტკილავა და ანსამბლი „რუსთავი" ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტზე. მოსკოვი. 1977 წ.





სპბერძნეთი (ოლიმპია) „ოლიმპიურ ჩემპიონ კახი კახიაშვილთან ერთად. 2003 წ.



ანა კალანდაძე, შურმან ლეგანიძე და ანზორ ერქომაიშვილი, „რუსთავის“ კონცერტის წინ



თბილისი. შიდა „მელოდიაში“ ხმის ჩაწერის შემდეგ. მარცხნიდან: რედაქტორი რობერტ ჩერნოვი, ხმის რეჟისორი მიხეილ კილოსანიძე, ანსამბლის გონაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, კომპოზიტორი სულხან ნასიძე



ᲕᲘᲓᲔᲝᲙᲐᲓᲠᲘ ᲙᲐᲜᲐᲕᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ





„რუსთავი“ ინდიელების ჯგუფთან ერთად 2003 წ



საბერძნეთში. სალიეერ ვადაჯკორია, იზოლდა შიშია და გადრი თოიძე აკროპოლთან. 2003 წ.







კოლანდია 1997 წ.



კოლონადთან. კარაკოვი, „რუსთაველის“ მომღერლები ადამ მიცკევიჩის ძეგლთან 2009 წ.




1998 წ.



„ორშაბათის" ოფიციალურებზე კინოგმირებად ჩაცმის დროს. 1974 წ.

„რუსთავი“ დღეს



პრეზიდენტი და ვიოლინო სულხანიშვილი 2008 წ

„ქართული“ – სიყვე პოტბებაშვილი და შრიდენ სულაბერიძე (უხუროში)



ნათია ბაბელია





თამრიკო ცაციაშვილი



იროკლი ჯოლია

ზურიდინ სულაბერიძე (უფროსი)

ოთარ შანიძე

ანსამბლი „რუსთაველი“ თბილისის წლისთავის [illegible]

ანსამბლი „რუსთაველი“

ცეკვა „ბიჭურა"





ანსამბლ „ორშიოპის“ მომღერლები მარცხნიდან: დათო ბეჭოშვილი, ნუგზარ ქახიაშვილი, ბადრი ჩიხიაშვილი და გიორგი ალექსანდრია




ილია ჭუმბაშვილი, მეორე სამყურაშვილი და გიორგი ბუბიანაშვილი



ამირან მამალაძე და გიორგი ნატროშვილი



ცეკვა „სამაია“ ფარცხნიძან: სოფო გოგებაშვილი, ეთერ ჯანუქაძე და თამუნა ემუხვარი.



სოფო გოგებაშვილი

შინაარსი

წინათქმის მაგიერი 3

სიყვარული – გზად და ხიდად
(გერმანია) 6

ტრიუმფი „ოლიმპიაში“
(საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, ლუქსემბურგი) 100

„წინწყაროს“ შავი შაშვი შეეხმიანა
(ესპანეთი) 156

არივედერჩი
(იტალია) 174

პალმირადან მკვდარ ზღვამდე
(სირია-იორდანია) 220

ბეირუთში რა გვინდოდა
(ლიბანი) 232

კონცერტი ნებისმიერ დროს შეიძლება დაიწყოს
(ლიბია, მაროკო) 248

დომო არიგატო
(იაპონია) 254

ეხ, ამერიკა, ამერიკა
(კანადა–აშშ) 284

ბოსფორს ნათქვამი „მარავალჟამიერი“
(თურქეთი) 358

ანსამბლ „რუსთავის“ წევრები 386

სახალისო მოზაიკა 392

ანსამბლ „რუსთავის“ საკონცერტო აფიშები 410

დაუვიწყარი შეხვედრები 416

„რუსთავი“ დღეს 426